

გურამ ნაჭყებია

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# სისხლის სამართალი

სახელმძვანელო  
ზოგადი ნაწილი





# სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი

915

(სახელმძღვანელო)

2011

თბილისი  
2011





გურამ ნაჭყვია — სისხლის სამართალი ზოგადი ნაწი-  
ლი, (სახელმძღვანელო) საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ.,  
2011, გვ. 448.

# ინოვაციური კომპიუტერი ინოვაციური ინოვაციური

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სკოლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, დოქტორანტების, პრაქტიკოსი იურისტებისა და იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიური პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველისთვის.

რედაქტორი — ირაკლი დვალისძე  
ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი

გამომცემელი-რედაქტორი - ზაურ ნაჭყვია

© გურამ ნაჭყვია  
© საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

ISBN 978-9941-9205-2-3



K282-638

წინასიტყვაობა.....	9
<b>თავი პირველი.</b> სისხლის სამართლის ცნება, მოწესრიგების საგანი და მეთოდი.....	9
§ 1. სისხლის სამართლის ცნება.....	9
§ 2. სისხლის სამართლებრივი მოწესრიგების საგანი.....	18
§ 3. სისხლის სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდი.....	33
<b>თავი მეორე.</b> პასუხისმგებლობა სისხლის სამართალში და მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა.....	42
§ 1. პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა სისხლის სამართალში.....	42
§ 2. ნეგატიური პასუხისმგებლობა სისხლის სამართალში.....	51
§ 3. პასუხისმგებლობის საფუძველი სისხლის სამართალში.....	58
<b>თავი მესამე.</b> სისხლის სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში.....	66
§ 1. სამართლის სისტემა და მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა.....	66
§ 2. სისხლის სამართალი და სამართლის სხვა დარგები.....	67
<b>თავი მეოთხე.</b> სისხლის სამართლის პრინციპები.....	79
§ 1. ზოგადი დებულებანი.....	79
§ 2. კანონიერების პრინციპი.....	82
§ 3. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი.....	88
§ 4. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი.....	90
§ 5. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი.....	95
§ 6. პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპი.....	97
§ 7. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი.....	99
§ 8. სამართლიანობის პრინციპი.....	101
§ 9. კუმანიზმის პრინციპი.....	104
<b>თავი მესამე.</b> პოლიტიკა სისხლის სამართალში და სისხლის სამართლის თეორია.....	110
§ 1. პოლიტიკა სისხლის სამართალში.....	110
§ 2. სისხლის სამართლის თეორია.....	115
§ 3. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი.....	120
§ 4. სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგია.....	124
§ 5. სისხლის სამართლის მეცნიერების ადგილი მეცნიერებათა სისტემაში.....	136
§ 6. სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემა და მისი ლოგიკური საფუძველი.....	143
§ 7. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია.....	157
§ 8. სისხლის სამართლის ფილოსოფია.....	159

<b>თავი მეთხუთსეუ.</b> სისხლის სამართლის კანონი .....	165
§ 1. სისხლის სამართლის კანონის ცნება .....	165
§ 2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემა .....	171
§ 3. სისხლის სამართლის კანონის აკტულება .....	177
§ 4. სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურა .....	179
§ 5. დისპოზიციისა და სანქციის სახეები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში .....	184
§ 6. სისხლის სამართლის ნორმის განმარტება .....	188
<b>თავი მეთხუთსეუ.</b> სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები .....	194
§ 1. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში .....	194
§ 2. სისხლის სამართლის კანონის უკუმაღლა .....	199
§ 3. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში .....	204
§ 4. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის .....	210
§ 5. დანაშაულის ჩამდენი პირის გადაცემა და ექსტრადიცია .....	212
§ 6. თავშესაფრის უფლება .....	215
<b>თავი მერვე.</b> დანაშაულის ცნება (ნიშნები და ელემენტები) .....	217
§ 1. დანაშაულის ცნების შინაშენილობა .....	217
§ 2. ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობის ტერმინოლოგიური საკითხისთვის .....	220
§ 3. ქმედების შემადგენლობის ელემენტები .....	225
§ 4. დანაშაული, როგორც ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხი .....	227
§ 5. ქმედების შემადგენლობის ცნება .....	232
§ 6. ქმედების შემადგენლობის სახეები .....	236
§ 7. სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და ქმედების შემადგენლობის ბუნება .....	239
§ 8. ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი და შეფასებითი ნიშნები .....	242
§ 9. ქმედების შემადგენლობის ფუნქციები .....	245
§ 10. ქმედების სუბიექტი და ობიექტი .....	246
<b>თავი მეთხუთსეუ.</b> ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ცნება და ნიშნები .....	250
§ 1. ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ცნება .....	250
§ 1. აქტიური დანაშაულებრივი მოქმედება .....	252
§ 2. დანაშაულებრივი უმოქმედობა .....	255
§ 3. დანაშაულებრივი შედეგი .....	258
§ 4. მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის .....	263



§ 5. დანაშაულის (ქმედების) შემაღვენლობის ობიექტური მხარის სხვა ნიშნები.....

**თავი მათე.** დანაშაულის შემაღვენლობის სუბიექტური მხარის ცნება და ელემენტები .....281

§ 1 დანაშაულის (ქმედების) შემაღვენლობის სუბიექტური მხარის ცნება.....281

§ 2. მოტევი და მიზანი, როგორც ქმედების შემაღვენლობის სუბიექტური მხარის ელემენტები..... 286

**თავი მათერთმეტე.** მართლწინააღმდეგობა, როგორც დანაშაულის ცნებისშეორე ელემენტი..... 296

§ 1. მართლწინააღმდეგობის ცნების საკითხისათვის.....296

§ 2. შეურაცხადი პირის მოქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხისათვის ..... 309

§ 3. ქმედების შემაღვენლობისა და მართლწინააღმდეგობის მიმართების საკითხისათვის..... 313

§ 4. უმართლობის ცნება და ელემენტები..... 320

§ 5. ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის თანაფარდობის საკითხისათვის..... 322

**თავი მათორმეტე.** ბრალის ცნება და თეორიები ..... 327

§ 1. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ..... 327

§ 2. ბრალის ნორმატიული (ნორმატივისტული) თეორია ..... 341

§ 3. ბრალის ანგლო-საქსური მოდელი ..... 358

**თავი მათათმეტე.** ბრალის კატეგორია და მისი გამოვლენის ფორმები..... 362

§ 1. ბრალის კატეგორიალური ბუნების საკითხისათვის..... 362

§ 2. ბრალის ფორმების პრობლემა ..... 371

§ 3. ბრალისა და მისი ფორმების თანაფარდობის პრობლემა „ფუნაღიზმში“ ..... 373

§ 4. განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა..... 378

§ 5. გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის ფორმა ..... 390

§ 6. „წინსწრებული ბრალის“ იდეა და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალში ..... 400

§ 7. ბრალის ხარისხის ცნება და მნიშვნელობა..... 413

§ 8. დანაშაული ბრალის ორი ფორმით ..... 423

§ 9. დანაშაულის კატეგორიები ..... 427

**თავი მათოთმეტე.** იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ..... 435

§ 1. იურიდიული პირის პასუხისმგებლობის მეთოდოლოგიური საკითხები ..... 435

§ 2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ..... 442



საქართველოს სახელმწიფო თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. კერძოდ, სახელმწიფოებრიობისთვის აუცილებელი ფუნდამენტის შექმნის კვალობაზე ახლებურად დადგა საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემა. დეკადს არ იწვევს საზოგადოებაში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალობა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დანაშაულთა თავიდან აცილების ღონისძიებებს, ხოლო, უკვე ჩადენილი დანაშაულის მიმართ — სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. ყოველივე ეს მრავალმხრივ სამართლებრივ რეფორმას მოითხოვს. ამ მხრივ საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება კიდევ. შემუშავდა საქართველოს კონტიტუციის ახალი რედაქცია (2010 წ.). 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელშიც ახლებურადაა გადაწყვეტილი მთელი რიგი ფუნდამენტური პროცესუალური საკითხი. დაწესებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ამოქმედდა საქართველოს სასჯელაღსრულებითი სამართლის სფეროში პატიმრობის კოდექსიც. ცხადია, ეს არ გამორიცხავს სამართლებრივი რეფორმის შემდგომ გაღმავებას, რაც, თავის მხრივ, იურიდიული განათლების შემდგომ გაღრმავებასაც გულისხმობს. იურიდიული განათლების შემდგომი გაღრმავებისთვის კი უაღრესად დიდ მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამეცნიერო ლიტერატურის, არამედ სასწავლო ლიტერატურის შექმნასა და გამოცემას. ამ თვალსაზრისით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრამ გარკვეული ნაბიჯი გადადგა — ჯერ კიდევ 2004 წელს გამოსცა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კოლექტიური სახელმძღვანელო, ხოლო სისხლის სამართლის თეორიის საპროფესორის ინიციატივით მოხდა ამ სახელმძღვანელოს გადამუშავება და იგი გაუმჯობესებული სახით გამოქვეყნდა კიდევ (2007 წ.).

მიუხედავად ამისა, დღის წესრიგში დგება ახალი სახელმძღვანელოს შემუშავებისა და გამოცემის პრობლემა. საქმე ისაა, რომ ხსენებულ სახელმძღვანელოში საერთოდ არაა სუსტადაა განხილული სისხლის სამართლის თეორიის რიგი ფუნდამენტური საკითხი (მაგალითად, სისხლის სამართლის საგანი, მეთოდი, სისხლის სამართლის მეცნიერების ცნება, საგანი და მეთოდოლოგია, პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა სისხლის სამართალში, ბრალის თეორიები და ზოგიერთი სხვა). ამიტომ, გადავწყვიტე (ამჯერად კი თსუ-ს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანაშრომელთა ძალისხმევით) შემექმნა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ახალი, გადამუშავებული, უფრო სრულყოფილი სახელმძღვანელო. ცხადია, ეს არ გამორიცხავს კიდევ უფრო სრულყოფილი კოლექტიური თუ ინდივიდუალური სახელმძღვანელოს ან ლექციების (მათ შორის პრობლემური ტიპის) კურსის გამოცემას, მაგრამ ამჯერად ამ გამოცემით შემოვიფარგლები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია, ასე ვთქვათ, დანაშაულზე მოძღვრებაზე, ხოლო სასჯელის პრობლემატიკა ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში იქნება გადმოცემული.

ამ სახელმძღვანელოში „**დანაშაულის კატეგორიები**“ – ეკუთვნის სამართლის დოქტორს, ასისტენტ-პროფესორს **ო. დვალისძეს**, დანარჩენი კი, როგორც ჩანს, დიდი ნაწილი, ჩემი დაწერილია. ამ სახელმძღვანელოში გამოყენებულია სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში პრობლემური ლექციების ხანგრძლივად კითხვის გამოცდილება, საკუთარი მეცნიერული კვლევის შედეგები, რომლებიც გაფანტულია ჩემს ადრინდელ შრომებშიც, რის გამოც ზოგი რომ მეორდება კიდევ (მაგალითად, ქმედების შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური მხარის ნიშნები, ბრალის პრობლემა და ზოგიერთი სხვა), თუმცა ამ, ერთგვარ შემადგამებელ ნაშრომში გამეორებებს თავიდან ვერ ავიცილებდი. მით უმეტეს, რომ საქმე ფუნდამენტურ მეთოდოლოგიურ პრობლემებს შვებება.

დასასრულ, ორიოდ სიტყვით მაინც უნდა ითქვას იმის შესა-

ხედავ, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოში რიგი ფუნდამენტური საკითხი (მაგალითად, სისხლის სამართლის საგანი, სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემა, ბრალის პრობლემა) დისკუსიის ფორმითაც არის გადმოცემული. ამის გამო აღნიშნული სახელმძღვანელო მონოგრაფიული კვლევის ელემენტებსაც შეიცავს. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტის უფრო ღრმა აზროვნებას და მას ამ მხრით საკუთარი ძალების მოსინჯვასაც გააბუფინებს. ვერ გავიზიარებ საკმაოდ მყარად დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ სახელმძღვანელო უნდა იყოს მარტივი, ღოგმატური და რომ სტუდენტი პრობლემებით არ უნდა „შეაწუხოთ“ ამგვარ მოსაზრებას, სამწუხაროდ, თუმცა, გარკვეული საფუძველი აქვს, მაგრამ მისი პირდაპირი გაზიარება მეცნიერებისაგან სწავლების სრულიად გაუმართლებელ მოწვევებას გამოიწვევდა. მით უფრო, რომ უნივერსიტეტი „ნუცას სკოლა“ კი არაა, არამედ, დიდი თანეჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უამაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და ამვე დროს უამაღლესი მეცნიერების სასწავლებელიც.“

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ამ სახელმძღვანელოს რედაქტორს, სამართლის დოქტორს, თსუ სისხლის სამართლის საპროფესორს ასისტენტ-პროფესორ ირაკლი დვალიძეს იმისთვის, რომ მან ეს ნაშრომი დეტალურად, კრიტიკული კათოსით, წაიკითხა და გააკეთა შენიშვნები, რომელთა გაზიარებამ ნაშრომის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებას შეუწყო ხელი.

## გურამ ნაჭყვია

თ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის თეორიის საპროფესორის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, თსუ-ს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

## § 1. სისხლის სამართლის ნება

სისხლის სამართლის, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგის, ცნების ჩამოყალიბება მთელი კვლევა-ძიების საქმეა. ამჟერად კი მოკლედ შევეჩებე სისხლის სამართლის ანბანურ ნიშან-თვისებებს. კერძოდ, სისხლის სამართალი სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგია და ამდენად, სამართლის ზოგადი ნიშნებისგან მოწვევტილი არაა. კერძოდ, სისხლის სამართალიც, ისევე, როგორც სამართალი საზოგადოდ, განსაზღვრული ნორმების, ანუ, ქცევის წესების რთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს განსაზღვრულ ურთიერთ უბებს. სისხლის სამართლის ნორმა, ისევე როგორც სამართლის ნორმა საზოგადოდ, სახელმწიფოებრივად სავალდებულო წესია ქცევისა და იგი საზოგადოების ყველა დელიქტუნარიან ირის მიმართ ვრცელდება (თუცა, როგორც ამტკიცებენ, ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება შეურაცხმაც კი ჩაიდინოს). სისხლის სამართლის ნორმის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირებზეც. გარდა ამისა, სისხლის სამართლის ნორმაც ჯერარსულია, ესე იგი, მოითხოვს მართლზომიერ ქმედებას და მართლწესრიგის შექმნას. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისგან საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულების დაცვის მიზანს ემსახურება. ეს მიზანი, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულთა თავიდან აცილების გზით უნდა განხორციელდეს. თუ სისხლის სამართლის სუბიექტმა სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა ნებაყოფლობით არ შეასრულა და დანაშაული ჩაიდინა, მაშინ, მას სახელმწიფოებრივად აიძულებენ, რომ ამ მოთხოვნას დაემორჩილოს (ამ ნორმის საფუძველზე



სასამართლოს მიერ გამოტ ნიღა გამამტყუნებელი განაჩენის ფორმაში) და ნორმის სავალდე უფო ძალის შემოქმედება ამ ვხით განიცადოს.

სისხლის სამართალი საც ჯ თლის სრულიად უნიკალური დარგია და რიგი სპეციფიკურ ნიშნებით ხასიათდება. ეს ჩანს თუნდაც ტერმინოლოგიურ საკ თხშიც. კერძოდ, ქართულ ენაზე „სისხლის სამართალი“ წარმოც ღვარია „სისხლის“ თავდაპირველი მნიშვნელობისგან. ცნობილი ი, რომ ძველ, გვაროვნულ, საზოგადოებაში შურისძიება სისხლი ი ალების წესით სრულდებოდა. მოგვიანებით, როდესაც სახელმწ აფო წარმოიშვა, „სისხლი“ ქონებრივი საზღაურის, ანუ, კომპო იციის (სასჯელის) აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ამ პოზიციიდან გასაკებია, რომ „სისხლის სამართალი“ სიტყვა-სიტყვით ნიშ იქს „სასჯელის სამართალს.“

ცნობილია, რომ რუსულ ენ. ხე სისხლის სამართალი აღი-ნიშნება, როგორც „Уголовное право.“ ამტკიცებენ, რომ ძველ რუსულ სამართალში სიკვდილით დასჯა თავის მოკვეთის წესით სრულდებოდა (ესე იგი ხდებოდა სჯერდებულის „Уголовение“) თუმცა, არსებობს ამ ტერმინის მქორუნაირი ახსნაც. კერძოდ ცნობილია, რომ სისხლის სამართალში არსებობს პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, ე ე აგი, ს თხოვნა, რომ პირად მის მიუჩადენილი დანაშაულისთვის პირად ად, ანუ, საკუთარი ც ვით აგო. პასუხი („Отвечать собственн ой и словой“). ასეა თუ ის ე, რუსულ ენაზე ტერმინი „სისხლის სამართალი“ სიტყვა-სიტყვით ნიშნაქს „სასჯელის სამართალს.“

გერმანულ ენაზე ტერმინ „სისხლის სამართალ“ თავდაპირველად გამოიხატებოდა, როგორც „Peinliche recht (სასჯელის სამართალი“), მოგვიანებით – „Kriminalrecht“ (ლათ ანუ ზად „კრიმინალ“ დანაშაული, გერმანულად „რებტ“ – სამართალი). ს ბოლოოდ კი სამართლის ეს დარგი გამოი ატა ტერმინით „Strafrecht,“ (ესე იგი „სასჯელის სამართალი“); ინ ლისურად სისხლის სამართალი გამოიხატება როგორც „Kriminalrecht,“ „Droit penal“ – ფრ. ნგულად,

„Наказательное право“ – ბულგარულად და სხვა.

როგორც ამ ტერმინოლოგიური მსჯელობიდან ჩანს, სისხლის სამართალში ორი უძირითადესი ცნება არსებობს: დანაშაულის ცნება და სასჯელის ცნება. სისხლის სამართლის ყველა სხვა ცნება ამ ორი ძირითადი ცნების გარშემო ყალიბდება. არც ისაა შემთხვევითი, რომ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემა ხან დანაშაულის ცნების პირველადობის პრინციპით აიგებოდა და აიგება, ხან კი – სასჯელის ცნების პირველადობის პრინციპით, მაგრამ ამ საკითხს უფრო მოგვიანებით განვიხილავ. ამჯერად კი ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, თავის გამოხატულებას (ნაწილობრივ) სათანადო ნორმატიულ აქტებში (კანონში, თუ ე. წ. დამატებით კანონებში) პოულობს. საქართველოს სისხლის სამართლის კანონის (კოდექსის) პირველსავე მუხლში ნათქვამია, რომ ეს კოდექსი ადგენს რა დანაშაულის ცნებას, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად და სასჯელის ან ზემოქმედების რა ზომა შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშნვის საფუძველს, წესსა და პრინციპებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველებსა და სახეებს, არასრულწლოვანთა მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებათა შეფარდების წესსა და პირობებს. ცხადია, სისხლის სამართალი სამართლის სისტემის ობიექტური კანონზომიერებით განისაზღვრება და ამ სისტემაში სპეციფიკურ ადგილს იკავებს. აქ ამ მხრივ მოკლედ აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სისხლის სამართლის პროცესუალური ფორმის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართებით სისხლის სამართალი არის მატერიალური სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგი.

გარდა ამისა, სისხლის სამართალი საჯარო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგია, რადგან საჯარო სამართალში ურთიერთობის ერთი მხარე სახელმწიფო ან მისი რომელიმე ორგანოა. თუმცა, განსხვავებით საჯარო სამართალში არსებული დაქვემდებარების პრინციპისგან, სისხლის სამართალში ურთიერთობა მყარდება სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტებს შორის (ფიზიკური პირი, აგრეთვე ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირი). ამის გამო ზოგიერთი გერმანელი კრიმინალისტი ფიქრობს, რომ სისხლის სამართალი განსხვავდება როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის დარგებისგან და სამართლის შესამე ტიპის დარგს წარმოადგენს. მე პატევს ვცემ ამ მოსაზრებას, რადგან მას გარკვეული საფუძველი გააჩნია, თუმცა, გერმანელი კოლეგები ამ მხრივ სამართლებრივი ურთიერთობის კრიტერიუმს არ იშველიებენ, მაშინ როდესაც ეს კრიტერიუმი გადაშვევტია. კერძოდ, არსებობს საჯარო სამართლის ისეთი ფუნდამენტური დარგი, როგორიცაა: კონსტიტუციური სამართალი. სამართლის ამ დარგში არსებობს დაქვემდებარების პრინციპზე დამყარებული ურთიერთობანი (მაგალითად, ზოგიერთ სახელმწიფოში მთავრობა ექვემდებარება, ერთის მხრივ, პარლამენტს, მეორეს მხრივ — პრეზიდენტს). მაგრამ არსებობს ურთიერთობის უკიდურესად მაღალი ფორმა, როგორიცაა: სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, სადაც დაქვემდებარების პრინციპი გადაშვევტია არაა. მართლაც, ცნობილია, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი პრინციპი სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობაა. აქ მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური სამართლის ანალოგიურად არსებობს ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, სადაც პიროვნება პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე როგორც პოზიტიურად (დანაშაულობა თავიდან აცილებისთვის), ისე ნეგატიურად

<sup>1</sup> მაგალითად, E. Halt, Strafrecht, Allgemeiner Teil, München, 1998, s. 2; R. Schmidt, Strafrecht, Allgemeiner Teil, Berlin, 2006, s. 1.

(ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის), ხოლო, სახელმწიფო-  
თავის მხრივ, პასუხისმგებელია იმისთვის, რომ უზრუნველყოს  
პიროვნების აქტიური მონაწილეობა სისხლის სამართლის კანონ-  
შემოქმედებაში.

უკვე ითქვა, რომ სამართალი ნაწილობრივ გამოიხატება სათა-  
ნადო ნორმატიულ აქტებში (კანონი, კანონქვემდებარე აქტები).  
გამონაკლისი ამ მხრივ არც სისხლის სამართალია. კერძოდ,  
სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი  
დარგი, ნაწილობრივ (და არა მთლიანად) გამოიხატება სისხლის  
სამართლის კანონში (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსში  
— საქართველო) ან როგორც სისხლის სამართლის კოდექსში,  
ისე ე.წ. დამატებით კანონებში, რომლებიც სისხლის სამართლის  
ნორმებს შეიცავენ (მაგალითად, გერმანია). სამართლისა და მისი  
გამოხატვის სპეციფიკური ფორმების თანაფარდობის პრობლემა  
სამართლის ფილოსოფიის სფეროში გადადის, რადგან ამ მხრივ  
დგას ადამიანის ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასების  
პრობლემა. ცნობილი ფაქტია, რომ მეორე მსოფლიო ომში  
გერმანელი ფაშისტების მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულობის  
გამართლების ცდა სისხლის სამართლის კანონის ფორმაზე  
მითითებით ხდებოდა, გერმანელი ფაშისტები თითქოს სისხლის  
სამართლის კანონის მოთხოვნას ასრულებდნენ. მაგრამ ნიურ-  
ნბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალებზე არაერთგზის  
გაჟღერდა ზოგადფილოსოფიური აზრი, რომ სამართალი მისი  
ნორმატიული გამოხატვის ფორმებზე არ დაიყვანება. მაშასადამე,  
გერმანელმა ფაშისტებმა და იაპონელმა სამხედრო სარდლობამ  
დაარღვიეს სამართლის, როგორც ქცევის ზოგადი წესის, მოთხოვნა  
და, მაშასადამე, მათი ქმედება საზოგადოდ მართლსაწინააღმდეგო  
და ბრალეულია. შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ ამ პირთა  
ქმედებები დაკვალიფიცირდა, როგორც დანაშაული მშვიდობის,  
კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ.

ამრიგად, სამართალი, მათ შორის სისხლის სამართალი,

სისხლის სამართლის გამოხატვის ნორმატიულ ფორმებზე არ დაიყვანება, თუმცა არც მისგან მოწვევით არის შესაძლებელი აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონშემოქმედების პრობლემა ფრიად სერიოზულია და საგანგებო შესწავლასაც მოითხოვს.

განასხვავებენ სისხლის სამართალს ობიექტური გაგებით (*ius poenale*), როგორც სამართლის ნორმათა ერთობლიობას, და სუბიექტური გაგებით (*ius puniendi*), როგორც სასჯელზე სახელმწიფოს უფლებას, რომელიც ფილოსოფიურ დასაბუთებას მოითხოვს და ამიტომ ცალკე განხილვის საგანია. ამჯერად კი მოკლედ აღვნიშნავ, რომ დანაშაული სოციალური მოვლენაა და მას, როგორც წესი, სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს. სისხლის სამართლის უპირველესი მიზანი კი არის დანაშაულთა თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა (საქ. სსკ-ის პირველი მუხლის შესამე ნაწილი). გასაგებია, რომ დანაშაულთა თავიდან აცილებისთვის კი, უფრო ეფექტური იქნებოდა ბრძოლა დანაშაულობათა მიზეზებთან (სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური თუ სამართლებრივი მექანიზმებით), ვიდრე ბრძოლა უკვე ჩადენილ დანაშაულთან, როგორც შედეგთან. ცხადია, დანაშაულობასთან სისხლისსამართლებრივი ბრძოლა შეუცვლელია, მაგრამ არ უნდა დაგვეიწყდეს, რომ ეს ბრძოლა მაინც მთორეულია, ვიდრე დანაშაულობათა მიზეზებთან სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური მექანიზმებით ბრძოლა. ამდენად, დანაშაულობასთან სისხლისსამართლებრივი ბრძოლა (როგორც ბრძოლა შედეგთან) ნაკლებად ეფექტურია იმის იმედი, რომ სისხლის სამართალი დანაშაულობას ეფექტურად გაუმკლავდება, ქმნის ვოლუნტარისტულ წარმოდგენებს, რომ ადამიანები დანაშაულს თითქოს თვითნებურად სჩადიან. ამგვარი იდეების ზეგავლენით კანონმდებელსაც კი შეიძლება გაუჩნდეს წარმოდგენა, რომ განსაკუთრებით ეფექტურია უკიდურესად მკაცრი და სასტიკი სასჯელების დაწესება და გამოყენება. ცხადია,

ყოველივე ეს უაღრესად საშიშია იმ მხრივ, რომ აძლიერებს/ სისხლისსამართლებრივი რეპრესიების გამოყენების ტენდენციებს/ საზოგადოების განვითარების ისტორიაში კი, პირიქით, არაერთგზის დაადასტურა იტალიელი კრიმინალისტიკის ჩმზარამ ბეკარიას იმ სიტყვების ჭეშმარიტება, რომ დანაშაულთა თავიდან აცილებისთვის მთავარია არა სასჯელთა სიმკაცრე, არამედ იმ რწმენის გაქარწყლება, რომ დანაშაული დაუსჯელი დარჩება. დანაშაულთა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები და ხელშემწყობი პირობები კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებას ფატალისტურად (როგორც ბუდისწერა) არ განაპირობებს. ადამიანი თავის გადაწყვეტილებებში შეფარდებით თავისუფალია და, მაშასადამე, პასუხისმგებელია კიდევ თავისი საქციელისთვის. ეს გარემოება ნაწილობრივ მაინც ამართლებს სისხლის სამართლის ადგილს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემაში. მით უმეტეს, რომ სასჯელი მხოლოდ სამაგიეროს მიზლვა კი არაა, არამედ მიზნად ისახავს დანაშაულით დარღვეული სამართლიანობის აღდგენას, მსჯავრდებულის გამოსწორებას და რესოცილიზაციას (არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ ნაწილობრივ აღზრდასაც კი) მართლზომიერი ქმედების ვალდებულებებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების სულისკვეთებით (საქ. სსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილი). გარდა ამისა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმების სანქციებში გამოხატული შუქარა იმისა, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის ნეგატიური პასუხისმგებლობა გარდუკალია, აიძულებს საზოგადოების მერყვე ელემენტებს, თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისგან (სასჯელის ზოგადპრევენციული ფუნქცია). ბოლოს, დანაშაულთა თავიდან აცილებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტის (როგორც ფიზიკური, ისე განსაზღვრული კატეგორიის იურიდიული პირის) სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სისხლის სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოს წინაშე

სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიულ ფორმას წარმოადგენს.

დიდი ხანია შემჩნეული, რომ დანაშაულისა და სასჯელის პრობლემატიკა მარტოოდენ პროფესიონალი იურისტების ყურადღებას არ იპყრობს. ამ ფენომენების ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ბადებს მისწრაფებას, რომ ისინი გახდეს როგორც ფილოსოფიური და პოლიტიკური, ისე მხატვრული შემოქმედების ობიექტი. არსებობს სისხლის სამართლის ფილოსოფია, როგორც სამართლის ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი. ამა თუ იმ სახელმწიფოს ოფიციალური პილიტიკა სისხლის სამართლის სფეროშიც სპეციფიკურად ვლინდება, თუმცა ანტიდემოკრატიულ რეჟიმებში სისხლის სამართალი პოლიტიკის უბრალო დანამატად გარდაიქმნება და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეების საწინააღმდეგო ტენდენციით ვითარდება. რაც შეეხება მხატვრულ შემოქმედებას, დანაშაულისა და სასჯელის პრობლემატიკა არაერთი საინტერესო შთაგონების წყარო გამხდარა (მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „სახრჩობელაზე“, ლევ ტოლსტოის „ადღობა“, თეოდორ დისტოვსკის „დანაშაული და სასჯელი“, ჯაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, ნოდარ ღუბაძის „მარადისობის კანონი“ და სხვა). მაგრამ სისხლისსამართლებრივი აზრის ისტორიიდან ისიც ცნობილია, რომ დანაშაულისა და სასჯელის ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი არც თუ იშვიათად ბადებდა ამ პრობლემატიკაში სრულიად „უნვრთველი აზრის“, ანუ, საამისოდ გაუნათლებელ პიროვნებათა პრეტენზიას, გამოეთქვათ კომპეტენტური აზრი, რაც სინამდვილეში პრობლემის დამახინჯებას იწვევდა. ამ გარემოებას პროფესიონალი კრიმინალისტები ხშირად აპროტესტებდნენ. აქ არაფერს ვამბობ დანაშაულისა და სასჯელის რელიგიურ პრობლემატიკასთან მჭიდრო კავშირის თაობაზე (დანაშაული, როგორც ცოდვა, და სასჯელი, როგორც ღვთის რისხვა, თუმცა იშვიათად არაა მსჯელობა მიტყუებაზეც. რასაკვირველია, სადაც ეს არსებითად არის შესაძლებელი).



ისიც უნდა ითქვას, რომ საზოგადოების ნორმატიულ სისტემაში სისხლის სამართლის ადგილის გამო (სისხლის სამართალი მატერიალური სამართლის ბოლო საფეხურზეა), აგრეთვე ის, რომ სამართლის ამ დარგში ადამიანის ურთულეს პრობლემას განსაკუთრებული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს, — კრიმინალისტები ხშირად გამოთქვამდნენ რადიკალურად განსხვავებულ, დაპირისპირებულ მოსაზრებას, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადაყარდნის გამო იშვიათი არ იყო და არც დღესაა დაძლეული უცნაური არეუ-დარეუა სისხლის სამართლის თეორიის ვველაზე უფრო ფუნდამენტურ საკითხებზეც კი. ყოველივე ეს ფრიად ფრთხილ, ზომიერ, სწორ მეთოდოლოგიურ მიდგომას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, სამართლის ამ დარგში პრაქტიკული, თეორიული თუ მეთოდოლოგიური ხასიათის სიძნელეებს განაპირობებს.

ამ მოკლე მსჯელობიდანაც კი შეიძლება ვცადოთ, ჩამოვყალიბოთ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, ცნება: სისხლის სამართალი მატერიალური სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგია, რომელიც სისხლის სამართლის კანონის ფორმაში ადგენს დანაშაულის ზოგად ცნებას, განსაღვრავს, თუ რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად და რა სასჯელი ან ზემოქმედების რა ზომა შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს, მიზნად ისახავს, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულთა თავიდან აცილებასა და მართლწესრიგის დაცვას (სისხლის სამართლებრივი ურთიერთობისა და სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის პიზიტიური პასუხისმგებლობის ერთიანობის გზით), ხოლო უკვე ჩადენილი დანაშაულის მიმართ ადგენს სასჯელის დანიშნვის ზოგად წესსა და პრინციპებს, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძვლებსა და სახეებს, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებას.








სამართლებრივი მონუსხვების საზნად და მეთოდის პრობლემებს უადრესად დიდი პრაქტიკული, თეორიული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვთ არ არსებობს იურისპრუდენციის რომელიმე პრობლემა, რომელიც სამართლებრივი მონუსხვების საზნად და მეთოდთან არ იყოს დაკავშირებული. იგულისხმება სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამართლის ნორმის, როგორც ჯერარსის, და მართლწესრიგის, როგორც ნაწილობრივ განხორციელებული სამართლის, ანუ არსის, კავშირის ფორმა. სამართლებრივი ურთიერთობა სამართლის ნებისმიერ დარგში იურიდიული აზროვნების წესისა და იურიდიული ხასიათის ცნებათა სისტემის აგების ლოგიკური საფუძველია. ცხადია, ეს ეჭბა სისხლის სამართალსაც.

საბჭოურ სისხლის სამართლის თეორიაში, როგორც წესი, გაბატონებული გახლდათ დანაშაულის ჩადენის გამო სისხლის-სამართლებრივი ურთიერთობის იდეა,<sup>1</sup> ხოლო თანამედროვე რუსეთში არ უარყოფენ დანაშაულის ჩადენის გამო ურთიერთობის იდეას, თუმცა აღიარებენ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეასაც.<sup>2</sup> ჯერ ერთი, დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა სისხლის სამართლის მეცნიერებაში სოციოლოგიზმს აბატონებს, რადგან წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, დანაშაული ჩადენილად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის დადგენილია სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით ერთია დანაშაულებრივი ქმედების ფაქტობრივი ჩადენა და მეორეა ამ ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია, რომლის გარეშე „დანაშაული“, იურიდიული აზ-

<sup>1</sup> Н. А. Огурцов, Правоотношение и ответственность в советском уголовном праве, Рязань, 1976.

<sup>2</sup> Курс уголовного права, т. 1. 1999, стр. 3.



როვნების წესის მიხედვით, არ არსებობს. აქედან გამომდინარე,  
„დანაშაული, როგორც იურიდიული ფაქტი,“ რომელიც <sup>საქართველოს</sup> <sup>სისხლისსამართლებრივ</sup> <sup>ურთიერთობას</sup> სახელმწიფოსა და  
დანაშაულის ჩამდენ პირს შორის, დანაშაულის არაიურიდიული,  
სოციოლოგიკური გაგების შედეგია, რაც იურიდიული აზროვნების  
წესისთვის უცხოა. უფრო მეტიც, თუ დანაშაულის  
ჩადენა ქმნის სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას,  
მაშინ გამოდის, რომ დანაშაულის ჩადენამდე სახელმწიფოსა და პიროვნების  
სისხლისსამართლებრივი კავშირი არ არსებობს. მაშინ როგორაა შესაძლებელი ჩადენილი  
ქმედების მართლწინააღმდეგობა? დანაშაული, როგორც მართლსაწინააღმდეგო  
ქმედება, იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც დანაშაულის ჩადენას წინ  
უსწრებს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი  
ურთიერთობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის  
მომენტიდან წარმოიშობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის.<sup>1</sup>  
მაშასადამე, დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი  
ურთიერთობის იდეა დანაშაულის, როგორც მართლსაწინააღმდეგო  
ქმედების, ლოგიკურ უარყოფას წარმოადგენს. უფრო მეტიც, დანაშაულის  
ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა ძირშივე  
წინააღმდეგება არაბრალეულობის პრეზუმფციას, რადგან ბრალდებული,  
თავისი პროცესუალური მდგომარეობით, არაბრალეულია იქამდე, ვიდრე  
ეს მისი არაბრალეულობა სასამართლოს მიერ გამოტანილი  
გამამტყუნებელი განაჩენით არ იქნება გაბათილებული და იგი  
ბრალეულის სამართლებრივ მდგომარეობაში არ ჩადგება.

მეორეს მხრივ, წინააღმდეგობრივია სისხლის სამართალში  
ორი სახის ურთიერთობის იდეაც – დანაშაულის ჩადენის გამო და  
დანაშაულთა თავიდან აცილების გამო. მართლაც, თუ დანაშაული  
უკვე ჩადენილია, მაშინ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო

<sup>1</sup> გ.ნაჭყეაძე, სისხლის სამართლის საგანი, თბილისი, 1997, გვ. 36.

ურთიერთობა შეუძლებელია, ხოლო, თუ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მაშინ დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი სახელმწიფოსთან ურთიერთობაში კი არ შეჰყავს, არამედ, პირიქით, (ამ კონკრეტული ქმედების გამო და ფარგლებში) სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფარგლებს გარეთ გაჰყავს. საქმე ისაა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, უფლება-მოვალეობათა კავშირია. დანაშაულის ჩადენის შემდეგ კი მისი ჩამდენი პირი იურიდიულად არაა ვალდებული გამოცხადდეს და არც უფლებამოსილია მიიძალოს. მაშასადამე, დანაშაულის ჩამდენი პირი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გარეთაა. დანაშაულის ჩადენას ფუნქციონალურად უნდა მოჰყვეს არა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობისა, რომლის ფარგლებში ხდება ჩადენილი ქმედების გამოძიება და სასამართლო განხილვა. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის სამართალი კი არ ადგენს, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესუალური ეტაპების მიხედვით („ბრალდებული“ – გამოძიების სტადიაზე, „გამართლებული“ ან „მსჯავრდებული“ – სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგად, სახელმწიფოს სახელით გამოტანილი განაჩენის ფორმაში).

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სისხლის-სამართლებრივი ურთიერთობის იდეა, როგორც წესი, ტრადიციული არ არის. მართალია, ხშირადაა მსჯელობა სისხლის სამართლის ნორმაზე, ამ ნორმის მეშვეობით მართლწესრიგის დაცვაზე, მაგრამ თითქმის არაფერია ნათქვამი სახელმწიფოსა და პიროვნების იმ ურთიერთობაზე, რაც დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანს ემსახურება. ამის გამო არ არის ნათელი, გადადის თუ არა სისხლის სამართლის ნორმა მართლწესრიგში, ხოლო თუ გადადის, რა გზით და საშუალებით? მაგალითად, **პ. ოტო**

ამტკიცებს, რომ სისხლის სამართლის ამოცანაა დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაიცვას სამართლებრივი სიკეთე. სისხლის სამართლის ნორმა მიმართულია მომავლისკენ და ავალდებულებს ცალკეულებს, არ ჩაიდინოს დანაშაული (მაგალითად, „შენ ვალდებული ხარ, არ მოკლა ადამიანი, მოიტყვევი ასე, დაისჯები“).<sup>1</sup> მაგრამ ეს პრობლემა საგანგებო მსჯელობის საგანი არ ხდება. ამის გამო გერმანელი კოლეგები წინააღმდეგობაშიც ვარდებიან. მაგალითად, **პ. როქსინი** ხზვგასმით ამტკიცებს, რომ სისხლის სამართალი დანაშაულებრივ ხელყოფისგან იცავს სამართლებრივ სიკეთეს და რომ სამართლებრივი სიკეთის ცნებას დანაშაულის მატერიალური ცნების ასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს.<sup>2</sup> მაგრამ, გაურკვეველია, რა გზით, რა ხერხით ხდება დანაშაულებრივი ხელყოფისგან სამართლებრივი სიკეთის დაცვა? თუ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ სამართლებრივი სიკეთის დაცვა სასჯელის გამოყენებით ხდება. მაგრამ რა უყვით იმას, რომ სასჯელის გამოყენება დანაშაულს უკვე ჩადენილად გულისხმობს? თუ დანაშაული უკვე ჩადენილია, მაშინ სადღაა დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლის სამართლებრივი დაცვა?

ამრიგად, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის იდეა აუცილებელი ხდება იმისთვის, რომ, ჯერ ერთი, სწორად იქნეს დადგენილი სისხლის სამართლის, როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის, მიზნები და ამოცანები. მეორეც, იურიდიული აზროვნების წესის მიხედვით აიგოს სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემა. ამდენად, სისხლის სამართლებრივი მოწესრიგების საგანსა და მეთოდს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მაგალითად, დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ სასამართლოს როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენი სახელმწიფოს სახელით გამოაქვს.

<sup>1</sup> H. Otto, Crundkurs, Allgemeiner Srafrechtslehre, Berlin, 1985, a. 5.

<sup>2</sup> C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1. München, 2006, a. 14-15.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ერთი აუცილებელი, წარმმართველი სუბიექტია რადგან, იგი სისხლის სამართლის კანონს დანაშაულთა თავიდან აცილების მიზნით შეიმუშავებს და აამოქმედებს. კერძოდ, სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან საზოგადოების ყველა დელიქტუნარიანი წევრი, აგრეთვე ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირი, ხდება ვალდებული მოიქცეს მართლზომიერად და სისხლის სამართლის ან წინდახედულობის ნორმის მოთხოვნა მართლწესრიგად აქციოს. ეს უკვე სისხლისსამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის მიზანი დანაშაულთა თავიდან აცილებაა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მართლზომიერი ქმედების მოვალეობა თვით მართლზომიერი ქმედების ჩასადენად საკმარისი არაა. საჭიროა მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება, როგორც მართლზომიერი ქმედების ჩადენის სუბიექტური მიზეზი. აქ უკვე ლაპარაკია პასუხისმგებლობის პოზიტიურ ასპექტზე, რადგან ნორმალური ფსიქიკისა და სათანადო ასაკის ადამიანი (სოციალიზირებული პიროვნება) პასუხისმგებლობის რაიმენაირი გრძნობის გარეშე არ არსებობს. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა არის ფორმა, რომელიც სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიურ პასუხისმგებლობას გამოავლენს (იგულისხმება პასუხისმგებლობა მართლზომიერი ქმედებისთვის).

ამრიგად, სისხლის სამართალს აქვს საზოგადოების ამ ნორმატიულ სისტემაზე უკუხემოქმედების უნარი. იგულისხმება ის, რომ სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისგან იცავს საზოგადოების ძირეულ ღირებულებათა სისტემას და ამ გზით საზოგადოების ნორმატიულ სისტემაში თავის კუთვნილ ადგილს იკავებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველესი ობიექტია ადამიანი, მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, ძირითადი

უფლებები და სხვა. ამ ამოცანას საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსი, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულთა თავიდან აცილებებს  
მიზნით ახორციელებს (საქ. სსკ-ის პირველი მუხლის მესამე  
წილი). თუ დანაშაული მაინც იქნა ჩადენილი, მაშინ, ამოქმედ-  
დება ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა  
(თუმცა მისგან გათავისუფლების ზოგიერთი საფუძველი და წესიც  
არსებობს (მაგალითად, ქმედითი მონანიების გამო - საქ. სსკ-ის  
68-ე მუხლი). თუ დანაშაულის ჩამდენ პირს სასჯელი დაენიშნა,  
მაშინ მსჯავრდებული სასჯელის მიზნების განხორციელების  
შედეგად უნდა გამოსწორდეს მართლწესრიგის დაცვისა და  
კანონის წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის სულისკვეთებით  
(საქ. სსკ-ის 39-ე მუხლი). არც ისაა შემთხვევითი, რომ სისხლის  
სამართალი საზოგადოების ნორმატიული სისტემის ბოლო  
საფეხურია. ასეთია, საზოგადოდ, ღირებულებათა გადანაწილების  
აქსიოლოგიური პრინციპი („აქსიოლოგია“ არის ღირებულების,  
როგორც შეფასების საფუძველის, ფილოსოფია). კერძოდ, თუ,  
მაგალითად, ზნეობა ადამიანს მოთხოვნის მაქსიმუმს (სიკეთის  
ქმნის მოთხოვნას) წარუდგენს, სისხლის სამართალი ნორმატიული  
მოთხოვნის მინიმუმს გამოხატავს, რადგან, დანაშაულის ჩადე-  
ნისგან თავშეკავების მოთხოვნა ის მინიმუმია, რაც კი შეიძლება  
ადამიანს წარუდგინოს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია დას-  
კვნა, რომ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის  
მომენტიდან სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის (მათ შორის  
ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირის ფორმაში) მყარდება  
დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი  
ურთიერთობა, რომლითაც, ერთის მხრივ, სახელმწიფო სუბიექტს  
მართლზომიერი ქმედების მოვალეობას აკისრებს. მეორეს მხრივ,  
სისხლის სამართლის სუბიექტი ამ ურთიერთობის ფორმაში  
სახელმწიფოს წინაშე კისრულობს პოზიტიურ პასუხისმგებლობას  
მართლზომიერი ქმედებისთვის.

ამ პოზიციიდან იგულისხმება, რომ სისხლის სამართლის

ნორმა, რომელიც მართლზომიერ ქმედებას მოითხოვს, თავის  
არსით **ჯერარსულია**, ესე იგი მომავლისკენაა მიმართული და  
ამიტომ ჯერ არაა განხორციელებული, თუმცა, პრაქტიკული  
განხორციელების ღირსია. ტერმინი „ჯერარსი“ ფილოსოფიურია  
და ნიშნავს იმას, რომ მასში ნაგულისხმევი შინაარსი იდეალუ-  
რია, ანუ ღირებულებაა, (მოთხოვნაა), რომელიც ჯერ არაა გან-  
ხორციელებული. მეორენაირად რომ ვთქვათ, ჯერარსი რეალურში,  
ანუ არსში ჯერ არ განამდვილებულა და ამიტომაც ის **ჯერარსი**,  
ესე იგი, ჯერ არაა ქცეული არსის ანუ ყოფიერების ელემენტად.  
ამგვარი ჯერარსული მოთხოვნის ადრესატი არის ადამიანი (გან-  
საზღვრული სპეციფიკით იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმეც),  
რომელმაც ეს მოთხოვნა უნდა შეასრულოს და ამ გზით შექ-  
მნას საზოგადოებრივი წესრიგი. **გ. ნანეიშვილი** მართებულად  
აღნიშნავდა, რომ „...წარმოუდგენელია სამართლის ნორმა ღირე-  
ბულებითი მომენტის გარეშე, წარმოუდგენელია იგი ობიექტის  
ჯერარსობრივი ხასიათის გარეშე, აგრეთვე გაუგებარი იქნებოდა,  
— როგორ შეუძლია სამართლის ნორმას სხვა რამ გამოხატოს,  
თუ არა ჯერარსობა.“<sup>1</sup> თუ სამართლის ნორმა, როგორც ჯერარსი,  
ჯერ არაა განხორციელებული, მართლწესრიგი, პირიქით, სა-  
მართლებრივი მოთხოვნის პრაქტიკული განხორციელების შე-  
დეგად შექმნილი წესრიგია. გასაკებია, რომ სამართლის ნორმა  
მართლწესრიგში პირდაპირი ლოგიკური გზით ანუ უშუალოდ, ესე  
იგი, სამართლებრივი ურთიერთობის ფორმით გაშუალების გარე-  
შე, არ გადადის.

მაშასადამე, სამართლებრივი ურთიერთობა სამართლის ნორ-  
მისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმაა.

კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობა, ერთის მხრე, სცილ-  
დება სამართლის ნორმის მოთხოვნას, ესე იგი, მოძრაობაა  
მართლწესრიგისკენ, ხოლო, მეორე მხრე, არც მართლწესრიგია,

1 გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქ-  
ტების დასაბუთებისა, თბილისი, 1929, გვ. 18.



რადგან, სამართლებრივი ურთიერთობა სამართლებრივი მოწყობის/რიგების პროცესშია და არა შედეგი (ანუ, მართლწესრიგი) უკუგებობის თავიდან აცილების მიზნით აქ მოკლედ უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისგან იცავს სისხლის სამართლის კანონამდე და მის გარეთ არსებულ ურთიერთობებს, მაგრამ ამავე დროს ქმნის საკუთრით, ანუ, სისხლის სამართლებრივ, ურთიერთობას. არსებითად არაა სწორი კ. ბინდინგის თეორია, რომლის თანახმად, სისხლის სამართალი თითქოს არაფერს არ კრძალავს; სისხლის სამართლის კანონი აღწერს მხოლოდ ქმედების შემადგენლობას, ხოლო ქმედების აკრძალვა თითქოს მოცემულია სისხლის სამართლის კანონამდე და მის გარეთ.

ამ თვალსაზრისში სწორია ის, რომ სისხლის სამართლის კანონი მართლაც აღწერს ქმედების შემადგენლობას, რომლის შესაბამისადაც დანაშაულის ჩამდენი პირი მოქმედებს. მაგრამ სამართლის ნორმა, როგორც ქმედების უარყოფითი შეფასების საფუძველი, ქმედების შემადგენლობის აღწერილობაზე არ დაიყვანება. პროფ. **თ. შპრაჰეილი** სწორად მიუთითებდა, რომ “დანაშაულის შემადგენლობის შექმნით და მასთან სასჯელის დაკავშირებით კანონმდებელი ქმნის ნორმას, რომელიც საუკუნდებულოა ყველა მოქალაქისათვის” და შემდეგ: „ყველასათვის გასაკებია, რომ როდესაც სისხლის სამართლის კანონი მოქმედებას დასჯადად აცხადებს, იგი ამით კრძალავს ამ მოქმედებას.”<sup>1</sup> მართლაც, სისხლის სამართლის კანონის სანქციაში კანონმდებლის მითითება, რომ ესა თუ ის ქმედება „ისჯება“ ასე თუ ისე, — იმას ნიშნავს, რომ ეს ქმედება აკრძალულია. ცხადია, სისხლის სამართლის კანონი ანგარიშს უწევს სამართლის სხვა დარგის ნორმებს (ე. წ. ბლანკეტური ნორმა სისხლის სამართალში), აგრეთვე დაუსწრელი ნორმების სისტემას (მაგალითად, წინდახედულობის ნორმები ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის სპეციფიკის დასად-

<sup>1</sup> თ. შპრაჰეილი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. I თბილისი, 2007, გვ. 36.



გენად), როცა სუბიექტი მოვალეა შეასრულოს, უპირველეს ყოვლისა, ეს ნორმები. ამიტომაც, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად საჭირო ხდება იმისი დადგენა, თუ, სახელდობრ, რომელი ნორმით უნდა ემოქმედა სუბიექტს და ხომ არ დგას ამ მიმართებით ე. წ. შერეული მართლწინააღმდეგობის საკითხი?

ამრიგად, სისხლის სამართალი აკრძალავს თვითონ კი არ იწყებს, არამედ, იგი მატერიალური სამართლის სისტემის სულ ბოლო საფეხურზეა და ამიტომ დანაშაულებრივი ხელყოფისგან იცავს მის წინსწრებული ნორმების სისტემას, ამ ნორმების შესატყვის ურთიერთობებს. მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ სისხლის სამართალი აკრძალვის საკუთარ სისტემას და კრიტერიუმს არ იცნობს. სისხლის სამართლის კანონის ნორმა ქმედების შემადგენლობის აღწერაზე რომ დაეყვანოს, როგორც ამას **პ. ბინდიანი** აკეთებდა, მაშინ სისხლის სამართლის ნორმა, როგორც აღწერილობითი და ნორმატიული (შეფასებითი) ელემენტების სინთეზი, შეუძლებელი იქნებოდა. ამ ვითარებაში სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, ვერც იარსებებს. ამდენად, გასაგებია, რომ რეგულირების (მოწესრიგების) საკუთარი საგანი სამართლის ნებისმიერი დარგის დამოუკიდებლობის უპირველესი და უტყუარი ნიშანია.

ამრიგად, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც სისხლის სამართლის კანონი ძალაში შევიდა და მის ადრესატებს მართლზომიერი ქმედების ჩადენის, მართლწესრიგის შექმნისა და დაცვის მოვალეობა დააკისრა. ცხადია, იგულისხმება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოშობილი სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სისხლის სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმაცაა. დანაშაულის ჩადენის გამო წარმოიშობა არა სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობა, რომელიც უკვე ჩადენილი დანაშაულის მიმართ ნეგატიური პასუხისმგებლობის დადგენისა

და დაკისრების პროცესუალურ ფორმას წარმოადგენს.

ისიც გასაგებია, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა თავისი ბუნებით აბსოლუტურია, რადგან ამ ურთიერთობის ერთი მხარე არის სახელმწიფო, ხოლო მეორე მხარეს პირთა (მათ შორის, იურიდიული პირიც) განუსაზღვრელი წრე წარმოადგენს. მაშასადამე, ხსენებული ურთიერთობა ცალმხრივია, რადგან, სახელმწიფო სისხლის სამართლის ნორმის ადრესატებს ცალსახად, ესე იგი, სანაცვლო უფლებების გარეშე, აკისრებს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და მოუწოდებს მათ ამ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით მოეციონ. ცხადია, მოქალაქეებს აქვთ უფლება, დადგენილი წესით მიიღონ მონაწილეობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, მაგრამ ეს სხვა საკითხია. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სისხლის სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა, ამავე დროს არის სისხლის სამართლის სუბიექტის სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიული ფორმაც. ეს ბუნებრივია, რადგან თუ მართლზომიერი ქმედების მოვალეობა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ნიშანია, ამ მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, როგორც მართლზომიერი ქმედების სუბიექტური მიზეზი, პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატულებას წარმოადგენს. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ მართლზომიერი ქმედების მოვალეობა სახელმწიფოსთან სისხლის სამართლის სუბიექტის ობიექტური, ნორმატიული, კავშირის ნიშანია, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება სახელმწიფოსთან სუბიექტის სუბიექტურ კავშირს გამოხატავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულების, როგორც სახელმწიფოსთან სუბიექტის ობიექტური კავშირის, დარღვევა ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანია, ხოლო მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სისხლის

სამართლის სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, როგორც სახელმწიფოსთან მისი სუბიექტური კავშირის დარღვევა და როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი, სუბიექტის ბრალის გამოხატულებას წარმოადგენს. მაშასადამე, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა და სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის პიზიტიური პასუხისმგებლობის ერთიანობა ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის ერთიანობის ლოგიკური წინამძღვარია. ამ ერთიანობაზე აიგება სასჯელის ცნებაც, რადგან სასჯელის მიზნების განხორციელების შედეგად მსჯავრდებული კვლავ უნდა დაუბრუნდეს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის სულისკვეთებით(საქ. სსკ-ის 39-ე მუხლი).

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი მხოლოდ შერაცხადი პირია, რადგან მართლზომიერი ქმედებისთვის პოზიტიური პასუხისმგებლობა მხოლოდ მას ეკისრება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია დამთავრებული დანაშაულის მოდელი. ამდენად, გასაკებია, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმის ადრესატი სწორედ ის შერაცხადი პირია, ვისაც შეუძლია, ჯერ ერთი, პასუხისმგებლურად მოეკიდოს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, მაგრამ ვინც მოიქცა მართლსაწინააღმდეგოდ და სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლოდ, ანუ ბრალეულად და ამიტომ ნეგატიური წესითაა პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე. არც ისაა შემთხვევითი, რომ შერაცხაობის თუ შეურაცხაობის პრობლემა გადაწყვეტილია არა სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, არამედ, სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში. ეს იმას ადასტურებს, რომ შეურაცხად პირს შეუძლია თავისი ქმედებით დაარღვიოს სახელმწიფოს ან პიროვნების უფლება

და, მაშასადამე, მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგოდ. მაგრამ შეურაცხად პირს მართლზომიერი ქმედების ვალდებულება ვერ დაეკისრება და ამიტომ სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში ვერ იქნება. მით უმეტეს, რომ სახელმწიფოსთან პიროვნების სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიული ფორმა, ხოლო შეურაცხად პირს პასუხისმგებლური საქციელის ჩადენა არ შეუძლია. პასუხისმგებლობა არის ამ ურთიერთობის შინაარსი, რომელიც ქმნის ამ ურთიერთობას ინსტანციასა და სუბიექტს შორის. „ინსტანცია“ არის ზემდგომი, რომლის წინაშეც სუბიექტია პასუხისმგებელი, როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატიურად. მაგალითად, ზნეობრივი პასუხისმგებლობისას ინსტანცია არის სინდისი, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისას ინსტანცია კონტრაგენტი ან მოვალეა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისას ინსტანცია არის სახელმწიფო და ა.შ.

რაკი აქ ზნეობრივი პასუხისმგებლობა ვახსენეთ და მასთან კავშირში — სინდისის ცნება, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სისხლის სამართალი არაა მოწყვეტილი ზნეობრივ ურთიერთობას და საქციელის ზნეობრივ შეფასებას. ჯერ ერთი, ბრალის პრობლემა ადამიანის საქციელის ზნეობრივ შეფასებას უკავშირდება. დებულება, რომ ბრალი სუბიექტის გაკიცხვის ანუ უარყოფითი შეფასების საფუძველია, იმას ნიშნავს, რომ ბრალი ადამიანთა ურთიერთობაში ზნეობრვ საწყისს ემყარება. ეს გასაგებია, რადგან „გაკიცხვა“ ზნეობრივი აქტია მეორეც, არც ისაა შემთხვევითი, რომ სისხლის სამართალი რიგ შემთხვევაში ითვალისწინებს ზნეობრივ პრინციპებს და ამის შესაბამისად დანაშაულად აცხადებს, ან, პირიქით, არ აცხადებს რომელიმე ქმედებას; ან კიდევ: ან ათვისუფლებს პირს პასუხისმგებლობისგან (მაგალითად, დანაშაულის დაფარვისთვის, თუ დამფარავი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ახლო ნათესა-

ვია (საქ. სსკ-ის 375-ე მუხლის შენიშვნა); მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ახლო ნათესავის (უთუცაა მისი დედის) მიერ ამ დანაშაულთა დაფარვისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზნეობრივი გაუმართლებლობის თაობაზე თავის დროზე საინტერესოდ მსჯელობდა პროფ. ო. გამყრელიძე. მისი მტკიცებით, თუ პირი ახლო ნათესავის მიერ ჩადენილ დანაშაულს ნათესაური გრძნობის კარნახით ფარავს, მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ქინააღმდეგება მორალს და დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანს ვერ მიაღწევს.<sup>1</sup> გარდა ამისა, ნათესაური გრძნობით ჩადენილი ქმედება ზოგჯერ ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. მაგალითად, ვინც სათანადო ორგანოში არ ატყობინებს იმას, რომ შხადდება ან ჩადენილია მძიმე ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (საქ. სსკ-ის 376-ე მუხლი), პასუხს აგებს ამისთვის, მაგრამ თუ ამ უმოქმედობას ადგილი აქვს ახლო ნათესაობის გამო, პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება, მაგრამ შემსუბუქდება, ზოლო, თუ რამდენად — სასამართლოზეა დამოკიდებული. ბოლოს, ზნეობრივი პრინციპი შეიძლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება აღმოჩნდეს. მაგალითად, ახლო ნათესავის დაყაჩაღება ან მგობრად შეფიცული კაცის ცოლის გაუპატიურება (ამ შემთხვევაში მკითხველს შეეახსენებთ დიდი ქართული პოეტის აკაკი წერეთლის უმშვენიერესი პოემის „გამზრდელის“ ერთ-ერთი პერსონაჟის საფარ-ბჯის ზნეობრივი დაცემის შეშზარავ სურათს); ანდა მკვლელობას მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (საქ. სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტის სისხლისსამარ-

<sup>1</sup> ო. გამყრელიძე, ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, „საბჭოთა სამართალი“, 1979, № 2, გვ. 37.

თლებრივი ურთიერთობა არაა მოწყვეტილი საზოგადოებრივი დამკვიდრებულ ზნეობრივ პრინციპებს და, მაშასადამე, მათი ნებისა და საზოგადოების ურთიერთობას. მაგალითად, სისხლის-სამართლებრივად დედაც რომ ყოფილიყო ვალდებული, ემხილებინა საკუთარი შვილი დანაშაულის ჩადენაში, მაშინ, იგი საკმაოდ მძიმე არჩევანის წინაშე დადგებოდა. შშობლიური გრძობა სამართლებრივ პრინციპებზე მალლა დგას და სახელმწიფომ მას პატივი უნდა სცეს, თუმცა, ქართულმა მხატვრულმა აზროვნებამ იცის ტრაგიკული შემთხვევა, როდესაც ხვეისბერი გოჩა (ალ. ყაზბეგი) იძულებული გახდა, ხვეის ლალატში ბრალდებული მისი ერთადერთი ვაჟი ონისე საკუთარი ხელებით განეხირო, თუმცა ისიც კიდევ უფრო დამაფიქრებელია, რომ გოჩა ამის გამო სულიერად შეირყა. ამ ლიტერატურული ფაქტის გამო პროფ. ო. გამყრელიძე ზემოთ დასახელებულ სტატიას იწვინად შენიშნავს: "ამით ალ. ყაზბეგმა, როგორც დიდმა პუმიანისტმა, დაგვანახა, რომ არ უნდა ჩაუყენოთ ადამიანი ისეთ მდგომარეობაში, როცა მისი პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესი ასე შკვეთრად დაუპირისპირდება ერთმანეთს."<sup>1</sup>

**დასკვნა.** ამრიგად, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა მყარდება სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტებს (ფიზიკურ და ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირებს) შორის დანაშაულთა თაუიდან აცილების გამო. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიული ფორმაა, რომელიც, თავის მხრივ, სისხლის სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმას წარმოადგენს. მოკლე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა, არის კატეგორია, რომელსაც უადრესად დიდი

<sup>1</sup> ო. გამყრელიძე, ახლო ნათესაუის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, „საბჭოთა სამარალი,“ 1979, № 2, გვ. 37.

მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს იურისპრუდენციის ფუნ-  
დამენტური პრობლემების გადასაჭრელად. ჯერ ერთი, ედუკაცი-  
ბა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არის სამართლის ნორ-  
მისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა, მეორეხარად ნიშ-  
ნავს სამართლებრივ ურთიერთობის ფორმაში ჯერარსისა და  
არსის ერთიანობას, როდესაც თავიდანაა აცილებული როგორც  
ნორმატივიზმი, ესე იგი, მართლწესრიგისაგან სამართლის ნორმის  
მონყვევტა, ისე, სოციოლოგიზმი, ესე იგი, მართლწესრიგზე  
სამართლის ნორმის დაყვანა. ამ პოზიციიდან აშკარაა, რომ  
სამართლის ფილოსოფია არსისა და ჯერარსის ამ ერთიანობის  
გარეშე შეუძლებელია. მეორეც, სამართლებრივი ურთიერთობა,  
როგორც სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის  
ფორმა, ამავე დროს სამართლის სუბიექტის პოზიტიური  
პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიული ფორმაა, რადგან,  
სამართლებრივი ურთიერთობა არის მართლზომიერი ქმედების  
ჩადენის ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა.  
თუ მართლზომიერი ქმედების ვალდებულება სამართლებრივი  
ურთიერთობის ელემენტია, ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის  
პასუხისმგებლური დამოკიდებულება, როგორც მართლზომიერი  
ქმედების სუბიექტური მიზეზი, პოზიტიური პასუხისმგებლობის  
ნიშანია. მაშასადამე, სამართლებრივი ურთიერთობა და ამ ფორ-  
მით გამოხატული პოზიტიური პასუხისმგებლობა არის ფორმისა  
და შინაარსის ერთიანობა. მესამე, სამართლებრივი ურთიერთობა,  
როგორც უფლება-მოვალეობათა სპეციფიკური კავშირი, ერთის  
მხრივ, არის იურისპრუდენციის მეთოდოლოგიური პრობლემა,  
ხოლო, მეორეს მხრივ, - იურიდიული პრაქტიკის სახელმძღვანელო  
პრინციპი. მეოთხე, სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც  
სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა,  
აგრეთვე, პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდი-  
ული ფორმა, ამავე დროს იურიდიული აზროვნების წესის ლოგი-  
კური საფუძველია, რადგან, არ არსებობს იურისპრუდენციის  
რომელიმე ცნება, ან კატეგორია, რომელიც სამართლებრივ



ურთიერთობასთან არ იყოს დაკავშირებული. ყოველივე ეს  
ქება სისხლისსამართლებრივ ურთიერთობასაც, ცხადია, ეხება.  
უკანასკნელის სპეციფიკის გათვალისწინებით

### § 3. სისხლისსამართლებრივი მონუსრიგავის მეთოდი

სამართლებრივი მონუსრიგების (რეგულირების) მეთოდი არის ერთობლიობა იმ ხერხებისა, რომელთა მეშვეობით ხდება მართლწესრიგის შექმნა და სამართალდარღვევებისგან მისი დაცვა, ამ უკანასკნელთა თავიდან აცილება. სამწუხაროდ, მართლწესრიგის პრობლემა დღემდე სათანადოდ არაა შესწავლილი და ამიტომაც ის, თუ რა გზით, რა ხერხით და მეთოდით გადადის სამართალი მართლწესრიგში, არც თუ ისე ნათელია. როგორც პროფ. ბ. სავანელის ერთ-ერთ სტატიაშია ნაჩვენები, მართლწესრიგი ხშირადაა აღრეული მის ისეთ მომიჯნავე ცნებებთან, როგორიცაა: თვით სამართალი, სამართლებრივი რეჟიმი და კანონიერება, სამართლებრივი ურთიერთობა. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ „სამართალი და მართლწესრიგი არიან სხვადასხვა სოციალური რიგის მოვლენები. თუ კი სამართალი მიუთითებს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მართლწესრიგი (სამართალი განეკუთვნება „ჯერარსის“ სფეროს), მართლწესრიგი მიაჩნდება იმაზე, თუ როგორი არის სინამდვილეში ის წესრიგი, რომელიც უნდა იყოს სამართლის აზრით (მართლწესრიგი მიეკუთვნება „არსის“ სფეროს).“<sup>1</sup>

ავტორს ჰქონდა სრული საფუძველი განეცხადებინა, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში მართლწესრიგი დარჩა მეცნიერული კვლევის მიღმა. მისი მართებული შენიშვნით, „სრულიად უგულებელყოფილ იქნა ის გარემოება, რომ მართლწესრიგის ფორმირებაში მონაწილეობს არა მარტო პოზიტიური სამართალი, არამედ აგრეთვე თვითმოქმედი (თვთმართვადი) ძალები, მათ შორის ნორმატიული

<sup>1</sup> ბ. სავანელი, მართლწესრიგის პრობლემა, „საბჭოთა სამართალი“, 1978, № 2, გვ. 42.



ფაქტები.”<sup>1</sup>

სწორია, მართლაც, რომ ტერმინი „მართლწესრიგი“ სისტემურ სტრუქტურით სამართლის ნორმის პრაქტიკული განხორციელების შედეგად შექმნილ წესრიგს აღნიშნავს, მაგრამ სამართალი მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების სხვა ნორმატიულ სისტემებთან, საზოგადოდ – კულტურის სხვა ფენებთან და, მაშასადამე, სამართლის პრაქტიკული რეალიზაცია წმინდა სამართლებრივი სახით კი არ ხდება, არამედ სამართლის სუბიექტის ზოგადკულტურული დონითაც განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, სწორია ხსენებული ავტორის დასკვნა, რომ ერთნაირი სამართლის სისტემებს ერთნაირი მართლწესრიგი არა აქვთ.<sup>2</sup>

არც ის უნდა გამოგვჩნეს მხედველობიდან, რომ „მართლწესრიგი“ სრულიადაც არაა უკვე განხორციელებული სამართლის სინონიმი, როგორც რაღაც აბსოლუტური რამ. თუ მართლწესრიგი უკვე განხორციელებული სამართალია, მაშინ არც სამართალი არსებობს და არც მართლწესრიგი. გასაგებია, რომ „მართლწესრიგი“ პირობითი ცნებაა, რომელიც, ერთის მხრივ, წესრიგის ელემენტებს (სამართლის ნორმას, მის ადრესატს, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობას, იმოქმედოს ნორმის მოთხოვნის შესაბამისად) მოიცავს, მაგრამ, მეორეს მხრივ, გულისხმობს მის საპირისპიროსაც, ანუ, უწესრიგოსაც, რადგან დანაშაულებრივი ქმდება არღვევს დადგენილ წესრიგს, ხოლო, არსებობს დარღვეული წესრიგის აღდგენის მეთოდები და ა. შ. აქედან გამომდინარე, საესებით მართებულად უნდა ჩაითვალოს გ. მაჩიტაძის მოსაზრება, რომ წესრიგის და უწესრიგოს კატეგორიები არ წარმოადგენენ ერთმანეთისადმი მეტაფიზიკურად დაპირისპირებულ კატეგორიებს, და რომ “ერთი გულისხმობს მეორეს და მეორე – პიერველს. ერთის ბუნების შეცნობა გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს მეორის ბუნების შესახებ. ისინი გამოხატავენ საგანთა იმ საპირისპირო მდგომარეობებს. რომლებიც დიალექტიკური განვითარების პრო-

<sup>1</sup> ბ. სუანელი, იურიდიული მეთოდები, თბილისი, 2009, გვ. 45.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 49.

ცესში ერთმანეთში გადადიან.<sup>41</sup>

ამრიგად, აშკარაა, რომ სამართლის ნორმა მართლწესრიგში მთელი რიგი სხვა ტიპის გამაშუალებელი რგოლების მეშვეობით გადადის. ისიც გასაგებია, რომ მართლწესრიგის შექმნსა და განმტკიცებაში სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. ამიტომ ეს საკითხი მოკლედ მაინც უნდა განვიხილოთ.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდი ამ მოწესრიგების საგანზეა დამოკიდებული. ამიტომაც, რომ სამართლის დარგებად დაყოფის ძირითად კრიტერიუმს სამართლებრივი რეგულირების საგანი წარმოადგენს, ხოლო, მეთოდი დამატებით საკლასიფიკაციო ნიშნად ითვლება. მაგრამ ეს სრულიადაც არ აქნინებს სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდის მნიშვნელობას, რადგან, იგი სამართლებრივი მოწესრიგების ბუნებას უფრო ნათლად და სპეციფიკურად წარმოაჩენს.

სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებში განასხვავებენ ე. წ. ავტონომიურ მეთოდს, რომლის თანახმად, გადამწყვეტია სუბიექტის ნება — მიიღოს მონაწილეობა ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობაში (დადოს ხელშეკრულება, გასწიოს მომსახურება და ა.შ.). ავტონომიური მეთოდი, როგორც ჩანს, მოქმედებს სამოქალაქო სამართალში, რადგან, აქ საქმე, როგორც წესი, ქება პირად ინიციატივაზე დამყარებულ, იურიდიულად თანასწორ სუბიექტთა ურთიერთობას. მაგრამ არსებობს სამართლებრივი მოწესრიგების მეორე, ე. წ. პეტერონომიული მეთოდი, როდესაც ურთიერთობას საფუძვლად უდევს სახელმწიფოებრივი ბრძანებანი. ამგვარი მეთოდი ბუნებრივია ადმინისტრაციულ სამართალში, რადგან, აქ საქმე შეეხება იურიდიულად არათანასწორ სუბიექტთა ურთიერთობას როგორც ვერტიკალურად (პრეზიდენტი და მინისტრი, მინისტრი და დირექტორი და ა.შ.), ისე ჰორიზონტალურად (პრეზიდენტი და მოქალაქე, დირექტორი და მოქალაქე და ა.შ.).

<sup>1</sup> გ. მაჩიტაძე, წესრიგის კატეგორია, „ობიექტური სინამდვილის დიალექტიკური კანონზომიერებანი“, თბილისი, 1978, გვ. 141.

ბუნებრივია, თუ სისხლისსამართლებრივ რეგულირებაში <sup>გა</sup> დაძველებულია სახელმწიფოს ნება, რადგან სახელმწიფო სისხლის სამართლის კანონში დანაშაულთა თავიდან აცილების იდეას გამოხატავს. კერძოდ, დეას არ იწვევს ის ფაქტი, რომ დანაშაულთა უდიდესი ნაწილი აქტიური მოქმედებით ხორციელდება (მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ.). ამ და სხვა აქტიური მოქმედების წინააღმდეგ და მათი თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო მიმართავს აკრძალვის ხერხს, რომელიც ამ აქტიური მოქმედებისგან თავშეკავებით სრულდება. ამ შემთხვევაში სუბიექტი მხედველობაში იღებს სისხლის სამართლის კანონში გამოხატულ აკრძალვებს და პასიური უმოქმედობით ასრულებს მათ.

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს უმოქმედობითაც, როდესაც სუბიექტი ვალდებულია მოქმედებდეს აქტიურად და ქმნიდეს მართლწესრიგს. მაგალითად, შშობელი ვალდებულია კვების ბავშვი და შეუქმნას მას განვითარების ნორმალური პირობები; მედიცინის მუშაკი ვალდებულია აუდმყოფს გაუწიოს სამედიცინო დახმარება (საქ. სსკ-ის 130-ე მუხლი); მწარმე ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი (საქ. სსკ-ის 218-ე მუხლი) და ა.შ. როგორც ვხედავთ, უმოქმედებით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას სახელმწიფო უპირისპირებს აქტიური მართლწესრიგის მოქმედების ვალდებულებას, რათა ამ გზით დანაშაულის ჩადენა თავიდან იქნეს აცილებული.

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სუბიექტი არღვევს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებს (მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემა (საქ. სსკ-ის 333-ე მუხლი). ამ შემთხვევაში კანონი აღგენს აქტიური მართლწესრიგის მოქმედების ფარგლებს, რომელთა დარღვევა დაუშვებელია. ამ მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოა ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა თუნდაც მოკლე ანალიზი. კერძოდ, ცნობილია, რომ ადამიანს აქვს საყოველთაოდ აღიარებული უფლება — აქტიურად დაიცავს ხელყოფისგან თავისი, ან სხვისი სამართლებრივი სიკეთე

(აუცილებელი მოგერიება საქ. სსკ-ის 28-ე მუხლი); შეიპყრონ/საერაუდო დამნაშავე ხელისუფლების ორგანოებში მისი წარდგენის მიზნით (საქ. სსკ-ის 29-ე მუხლი); გადაარჩინოს ქონება, ან ადამიანის სიცოცხლე (უკიდურესი აუცილებლობა საქ. სსკ-ის 30-ე მუხლი); გასწიოს მართლზომიერი რისკი (საქ. სსკ-ის 31-ე მუხლი) და სხვ. ცხადია, ამგვარი უფლებამოსილების განხორციელებას გარკვეული წესი და ფარგლები აქვს. ამ წესსა და ფარგლებს ადგენს სისხლის სამართლის კანონი და აწესებს ნეგატიურ პასუხისმგებლობას ამ ფარგლების ბრალეულად დარღვევისთვის. აქედან გამომდინარე, თუ სუბიექტი პრაქტიკულად დგება ამ უფლებამოსილებათა განხორციელების წინაშე, მაშინ, ის კისრულობს კიდევ პოზიტიურ პასუხისმგებლობას, რომ სისხლის სამართლის კანონით დადგენილ ფარგლებში იმოქმედოს. მაშასადამე, ეს პოზიტიური პასუხისმგებლობა ამ მიმართებით შესაძლო დანაშაულთა თავიდან აცილების ზერხია. აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ პიროვნებისთვის თავისი, ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის უფლებამოსილების მინიჭებით კანონმდებელი საზოგადოების მერყვე ელემენტებს აფრთხილებს, რომ თავი შეიკავონ მოქალაქეთა ამ უფლებების ხელყოფისგან.

სამართლებრივი რეგულირების სფეროში ცნობილია წახალისების, სტიმულირების მეთოდიც და ამის შესაბამისად წამახალისებელი, მასტიმულირებელი ნორმები. ეს ნორმები, სამართლის ნორმებისგან განსხვავებით, სუბიექტის არც ვალდებულებას ადგენენ და არც უფლებამოსილებას. ისინი მხოლოდ მოუწოდებენ სუბიექტს, ისარგებლოს მის ხელთ არსებული შესაძლებლობით და ნებაყოფლობით თქვას უარი დაწვებული დანაშაულებრივი ქმედების დამთავრებაზე, ამ წახალისებელი ქმედების გამო წინანდელი დანაშაულებრივი ქმედებისთვის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინასწარი დაპირებით. (მაგალითად, დანაშაულის ჩადენისგან ნებაყოფლობით ხელის აღებას (საქ. სსკ-ის 21-ე მუხლი) სახელმწიფო იმით წახალისებს, რომ სუბიექტს პირდება დაუსჯელობას, თუ იგი დანაშაულებრივ საქმიანობას

თავისი ნებით შეწყვეტს და ამავე დროს მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. თუ ამ მიმართებით სუბიექტი უმოქმედობს, კენ წახალისდება, დანაშაულში თანამონაწილეობისას, პირიქით, საჭიროა აქტიური მოქმედება. კერძოდ, თუ თანამონაწილეებს უკვე აღარ სურთ უშუალო ამსრულებელთან ერთად მომზადებული დანაშაულის ჩადენა, მაშინ, ორგანიზატორმა აქტიური მოქმედებით უნდა დაშალოს მის მიერ შექმნილი დანაშაულებრივი ვგუფი; წამქეზებელმა აქტიურად უნდა გადაარწმუნოს ნაგარაუდვეი უშუალო ამსრულებელი; დამხმარემ უკან უნდა დაიბრუნოს დანაპირები, ან იარაღი ანდა, კიდევ მიიღოს სხვა ზომა, რათა ეს დანაშაული თავიდან იქნეს აცილებული. გარდა ამისა, რიგი წამახალისებელი ნორმა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილშიც. მაგალითად, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალას, ფეთქებად ნივთიერებას, ან ასაფეთქებელ მოწყობილობას, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ მის ქმედებაში არა არის სხვა დანაშაულის ნიშნები (საქ. სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნა). ანალოგიური ნორმაა გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეპუსორის და სხვა ანალოგიური ნივთიერების ნებაყოფლობით ჩაბარებისთვის (საქ. სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნა); აგრეთვე, იმ შემთხვევისთვის, როცა ქრთამის მიმცემი ნებაყოფლობით განაცხადებს, რომ თანამდებობის პირს (მოხელეს, ან მასთან გათანაბრებულ პირს) მისცა ქრთამი (სსკ-ის 339-ე მუხლის შენიშვნა).

გარდა ამისა, წამახალისებელია ე. წ. მონანიება აქტიური მოქმედებით, როდესაც სუბიექტმა ყველაფერი გააკეთა დანაშაულებრივი შედეგის დასადგომად, მაგრამ შემდეგ, თავისი ნებაყოფლობითი აქტიური მოქმედებით, თავიდან აიცილა ეს შედეგი (საქ. სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი). არსებობს სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ქმედითი მონანიებაც (საქ. სსკ-ის 322-ე მუხლი), როდესაც პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი ნებაყოფლობით განაცხადებს იმის შესახებ, რომ კავ-

შირი ჰქონდა საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილ ორგანიზაციებთან და თუ მისი შემდგომი აქტიური მოქმედებით დანაშაული თავიდან იქნა აცილებული.

სისხლის სამართალში წამახალისებელი ნორმები მოქმედებენ იმ პირობაში, რომლებმაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა უკვე განახორციელეს, მაგრამ ამ მიმართებით წახალისება ჩადენილი დანაშაულის გახსნა-გამოძიების მიზანს ემსახურება. მაგალითად, მოწოდება, რომ პირი ნებაყოფლობით გამოცხადდეს ბრალის აღიარებით (საქ. სსკ-ის 54-ე მუხლი), ხოლო, ამის სანაცვლოდ სახელმწიფო მას სასჯელის მნიშვნელოვან შემსუბუქებას ჰპირდება. მეორეხარად რომ ვთქვათ, კანონმდებელი ამ ასპექტით მიზნად ისახავს, დაჩქარდეს სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის წარმოშობა, რადგან, სადაუო არაა, რომ ჩადენილი ქმედების გამოძიება და სასამართლო განხილვა სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის ფორმაში ხორციელდება. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ დებულების ჭეშმარიტებას, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა კი არ წარმოიშობა, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობა. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი (ამ ქმედების გამო და ფარგლებში) სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში გადადის. როგორც უკვე ითქვა, არ არის ვალდებული გამოცხადდეს და არც უფლებამოსილია მიიმალოს. ამიტომ, კანონმდებელს ამ პირობეზე ზემოქმედების სხვა გზა არ რჩება, თუ არა წახალისება, რათა იგი როგორმე „შემოიტყუოს“ სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობაში.

ცალკე და მოკლედ მაინც უნდა შევხებით დანაშაულთა თავიდან აცილებაში სასჯელისა და მისი გამაფრთხილებელი როლის პრობლემას. კერძოდ, სასჯელის გამოყენება დანაშაულს უკვე ჩადენილად გულისხმობს. ამდენად, სასჯელს შეუძლია თავიდან აგვაცილოს მსჯავრდებულის მხრივ ახალი დანაშაულის ჩადენა. ეს შესაძლებელია ორი ასპექტით: **ჯერ ერთი**, სასჯელის

(მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის) მოხდის პირობებში მსჯე-  
რდებულს ერთმჯა, ან ეზღუდება ახალი დანაშაულის ჩადენის  
შესაძლებლობა. მეორეც, სასჯელის მიზნების განხორციელება  
გულისხმობს მსაჯურდებულის გამოსწორებას კანონისა და  
მართლწესრიგის წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის სულის-  
კვეთებით (საქ. სსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილი), ესე იგი რო-  
დესაც ყოფილი მსჯურდებული მართლზომიერი ქმედების მოუა-  
ლუობას მისი შესრულების განწყობით, ანუ პასუხისმგებლურად  
მოუკიდება. ამ ასპექტით იგულისხმება სასჯელის ე. წ. კრძო  
გამაფრთხილებელი, ანუ პრვენციული ფუნქცია, რაკი სასჯე-  
ლის ზემოქმედება ამ მიმართებით კონკრეტულ პირს ეხება. მაგ-  
რამ არსებობს სასჯელის ზოგადი პრვენციული ფუნქციაც.  
კრძოდ, სისხლის სამართლის კრძო ნაწილის ნორმებში ამა თუ იმ  
დანაშაულის შემადგენლობის აღწერასთან ერთად გამოხატულია  
დანაშაულისა და მისი ჩადენის გარემოებებთან დაკავშირებული  
სანქცია, რომელიც, როგორც წესი, სასჯელის ამა თუ იმ სახესა,  
თუ ზომას წარმოადგენს. გასაკებია, რომ კანონმდებელი ამ  
სანქციით, ანუ, სასჯელით ემუქრება ყველა იმას, ვინც შეიძლება  
დანაშაული ჩაიდინოს. ცხადია, ეს მუქარა, უპირველეს ყოვლისა,  
საზოგადოების მერყვე, არამდგრად, წვერებს შეეხებათ. სასჯელის  
ეს ზოგადი გამაფრთხილებელი ფუნქციის ეფექტურობა შესაძ-  
ლო დანაშაულთა თავიდან აცილებაში არსებითადაა დამოკიდებუ-  
ლი სასჯელის კრძო პრვენციული ფუნქციის განხორციელების  
ეფექტურობაზე. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ყოველი  
ჩადენილი დანაშაულის მიმართ სახელმწიფოს დროული უარ-  
ყოფითი რეაქცია. კრძოდ, თუ სახელმწიფოში დამკვიდრებულია  
იმისი პრაქტიკა, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის ნჯატიური  
პასუხისმგებლობა არავის შერჩება, მაშინ საზოგადოების მერყვე  
ელემენტები უფრო ეფექტურად გაფრთხილდებიან და დანაშაულს  
დაუსჯელობის იმედით ვერ ჩაიდენენ. მაშასადამე, დანაშაულთა  
თავიდან აცილებისთვის არსებითია სასჯელის კრძო და ზოგადი  
გამაფრთხილებელი ფუნქციის ერთიანობა. მაგრამ ამ მიმართებით



რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი გარემოება. ჯერ ერთი, ნეგატიური სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი ერთი და იგივე არ არის. პირმა შეძლება ჩაიდინოს დანაშაული, მაგრამ გარკვეული პირობების არსებობისას იგი სისხლისსამართლებრივი წესით არ დაისაჯოს (მაგალითად, თუ იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდეს. ამით იმისი თქმა გვინდა, რომ გარდუვალია არა იმდენად სასჯელი, არამედ, სახელმწიფოს დროული რეაქცია იმის გადასაწყვეტად, აგოს თუ არა პირმა პასუხი, ან რა წესით აგოს მან ჩადენილი დანაშაულისთვის. მეორეც, სასჯელის ზოგადი პრევენციული ფუნქციის დასაბუთება გულისხმობს, ერთის მხრივ, იმის აღიარებას, რომ ადამიანის ქმედება დეტერმინისტულია, ესე იგი ადამიანის ქცევაზე გავლენას ახდენენ გარეფაქტორებიც, მათ შორის შესაძლო დანაშაულისთვის დასჯის მუქარაც, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსშია გამოხატული. მეორეს მხრივ, დეტერმინიზმი სრულიადაც არ გამორიცხავს პიროვნების თავისუფლებას, არჩევანს ღირებულებათა შორის, რაც იმისი აუცილებელი პირობაა, რომ პირი მართლზომიერი ქმედების მოვალეობას პასუხისმგებლურად მოეკიდოს.

ამრიგად, სისხლის სამართლის ძირითადი მიზანია დანაშაულთა თავიდან აცილება. ამაზე მეტყველებს სისხლისსამართლებრივი რეგულირების საგანიც და მეთოდებიც. სისხლის სამართლის ნორმები სხვა ნორმებთან კავშირში სისხლის სამართლის სუბიექტებს აკისრებენ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და მოუწოდებენ მათ, პასუხისმგებლურად მოეკიდონ ამ მოვალეობას, რათა დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაიცვან საზოგადოების ძირეული ღირებულებანი, შექმნან და დაიცვან მართლწესრიგი. ეს უკანასკნელი სამართლებრივი კულტურის დიდი მონაპოვარია, რადგან მას საზოგადოების ყოველი წევრის პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ სახელმწიფოზე საზოგადოების კონტროლის დაწესება დემოკრატიის ანბანია.





## § 1. პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა სისხლის სამართალში

უკვე ითქვა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა, არის აგრეთვე პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიული ფორმაც. ბუნებრივია, თუ სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემას ლოგიკურად მოჰყვებს პასუხისმგებლობის პრობლემის განხილვა. სამწუხაროდ, რაკი გერმანელი კოლეგები დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე, როგორც წესი, არაფერს ამბობენ, ბუნებრივია, თუ მათ სათანადოდ ვერც პოზიტიური პასუხისმგებლობა ექნებათ წარმოდგენილი.

პასუხისმგებლობა საზოგადოდ (ანუ პასუხისგება, გარკვეული ანგარიშვალდებულება, განსაზღვრული ინსტანციის წინაშე) იყოფა პოზიტიურ, ანუ, პროსპექტიულ და ნეგატიურ, ანუ, რეტროსპექტიულ ასპექტებად. პირველი ასპექტი დადებითია, რადგან, იგი თავისი ნორმატიული მოვალეობისადმი ადამიანის პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას გამოხატავს, მიმართულია მომავალ შესაძლებელ ქცევაზე და სოციალური ნორმის მოთხოვნის შესაბამისი (მორალური თუ მართლზომიერი) ქმედების ჩადენის სუბიექტური მიზეზია. მეორე ასპექტი კი, პირიქით, უარყოფითია, რადგან იგი წარსულში ჩადენილი ამორალური, თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად ჩადენისთვის დაწესებული სათანადო ინსტანციის (მაგალითად, სახელმწიფოს) გარკვეული მიზნების მქონე უარყოფით რეაქციას წარმოადგენს. ამდენად, პასუხისმგებლობა საზოგადოების ყველა ნორმატიული სისტემის განუყოფელი ნიშანია. ზნეობა, რელიგია, პოლიტიკა, სამართალი და სხვა სოციალური

ნორმების სისტემა პასუხისმგებლობის სპეციფიკური გამოვლენის სფეროა. ეს, ცხადია, უბრალოდ სისხლის სამართალსაც, რომელიც პასუხისმგებლობის პრობლემატიკას განსაკუთრებული სიმძაფრით ითავისებს. ნორმალური ფსიქიკისა და სათანადო ასაკის ადამიანის პიროვნება, როგორც გარკვეული სოციალიზაციის შედეგი, პასუხისმგებლობის სათანადო გრძნობის გარეშე არ არსებობს. პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ცხოველს არ გააჩნია, ადამიანს უჩენს ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების მოთხოვნილებას, ანუ, მისი შესრულების განწყობას. შესაბამისად, პიროვნება ამის გამო, სათანადოდ აცნობიერებს კიდევ ამ ვალდებულებისადმი უპასუხისმგებლო, ანუ, ბრალეული დამოკიდებულების ხასიათს და შედეგებს, რის გამოც, ამ უპასუხისმგებლობისთვის ნეგატიური პასუხისმგებლობა მისთვის უცხო და გარედან თავსმოხვეული არაა. ეს კი თავისებური გარანტიაა იმისა, რომ უპასუხისმგებლობის გამო ნეგატიურმა პასუხისმგებლობამ ადამიანის პიროვნება პოზიტიური პასუხისმგებლობის პოზიციასში დააბრუნოს. სამწუხაროდ, ამ მიმართებით არაერთი გაუგებრობაა შექმნილი. მაგალითად, ს. ბრატუსი ფიქრობდა, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა არის იძულება მოვალეობის შესრულებისთვის.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, მოვალეობის ნებაყოფლობით შესრულება, ავტორის აზრით, პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს. ცხადია, მოვალეობა პასუხისმგებლობასთან არ უნდა იქნეს გაიგივებული, რადგან, მოვალეობა სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტია, ხოლო, პასუხისმგებლობა მისი პოზიტიური ასპექტით არის მოვალეობისადმი დამოკიდებულება ამ მოვალეობის შესრულების სულისკვეთებით. სამწუხაროდ, ნეგატიური პასუხისმგებლობაც ხშირადაა გაიგივებული მოვალეობასთან. მაგალითად, ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ნათქვამი იყო, რომ სისხლის სამართლებრივი

<sup>1</sup> С. Н. Братусь, Юридическая ответственность и законность, М. 1976, стр. 85.

პასუხისმგებლობა არის დანაშაულის ჩადენით გაპირობებული მოვალეობა ბრალეული პირისა ანგარიში მისცეს თავის ქმედებაში, წარსდგეს სასამართლოს წინაშე და დაექვემდებაროს დასჯას.<sup>1</sup>

ტრადიციულ კონცეფციებში არ უარყოფენ, რომ სისხლის სამართალში არსებობს მოვალეობა — არაეინ ჩაიდინოს დანაშაული. მაგრამ, ამავე დროს, ისინი დანაშაულის ჩამდენი პირის მოვალეობაზე ლაპარაკობენ: პირი თითქოს ვალდებულია პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. „სინამდვილეში ამ პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მართლმსაჯულების ორგანოს მოვალეობას შეადგენს. მაშასადამე, მართლმსაჯულების ორგანოს მოვალეობა დანაშაულის ჩამდენ პირზეა გადაკისრებული, რის გამოც აქ ყველაფერი თუდაფირა დგას.“<sup>2</sup> გასაგებია, რომ ზემოთ მოტანილი მსჯელობიდან გამომდინარე, „პასუხისმგებლობა“ მისი ნეგატიური ასპექტით სასამართლოს მიერ გამოტანილ გამატყუნებელ განაჩენთანაა დაკავშირებული და ამ უკანასკნელის გარეშე არ არსებობს. მეორეს მხრივ, პოზიტიური პასუხისმგებლობა საკმაოდაა ცნობილი, მაგრამ სისხლის სამართალში რატომღაც უფრო ხშირად მხოლოდ ნეგატიურ პასუხისმგებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც სწორი არ უნდა იყოს. მაგალითად, თანამედროვე რუსეთის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში, ერთის მხრივ, აღიარებულია პიზიტიური პასუხისმგებლობის იდეა, რომლის თანახმად, სისხლის სამართალი თურმე „წახალისებს საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეთა პასუხისმგებლურ ქცევას,<sup>3</sup>“ მაგრამ, მეორეს მხრივ, ირკვევა, რომ „სისხლისსამართლებრივი ნორმები თავიანთი „სახით“ მიმართულია ადამიანზე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული...“<sup>4</sup> გამოდის, რომ სისხლის სამართლის ნორმა მართლზომიერი ქმედების

<sup>1</sup> Советское уголовное право, Общая и Особенная часть, М. 1981, стр. 27.

<sup>2</sup> გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის საგანი, თბილისი, 1997, გვ. 34.

<sup>3</sup> Уголовное право, Общая часть, М. 2004, с тр. 61.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 63.

სუბიექტზე არაა მიმართული, ხოლო, ან პოზიციიდან პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა წარმოუდგენელია. ასეთვე ცალმხრივ და გაურკვეველია, მაგალითად, **პ. პავლოვის** პოზიციაც. მისი აზრით, "იურიდიული პასუხისმგებლობა, როგორც უფრო მოცულობითი ცნება, არის სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობა სამართლის დამრღვევსა და სახელმწიფოს შორის მისი უფლებოსილი სახელმწიფო ორგანოების სახით" <sup>1</sup> ჯერ ერთი, ავტორი, როგორც ჩანს, ამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არის სამართლის ნორმით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეს კი არის მართლწესრიგის ცნება და არა სამართლებრივი ურთიერთობისა, რომელიც სამართლებრივი მოწესრიგების პროცესია და არა შედეგი. მეორეც, გამოდის, რომ სამართალდარღვევის გამო წარმოშობილი ურთიერთობა მატერიალური, ანუ, სისხლისსამართლებრივი კი არაა, არამედ პროცესუალურია, რადგან, დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფო ორგანოები სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის სუბიექტებია. მესამე, ირკვევა, რომ სისხლის სამართალში პასუხისმგებლობა მხოლოდ ნეგატიურია, ესე იგი, მხოლოდ დანაშაულის ჩადენის გამო წარმოიქმნება და, მაშასადამე, პოზიტიური პასუხისმგებლობა სამართლის ამ დარგში არ არსებობს. მეოთხე, ავტორი ნეგატიურ პასუხისმგებლობას ურთიერთობასთან აიკავებს. მართალია, ავტორი ცდილობს გაშიჯნოს ისინი, მაგრამ, ეს ცდა მიზანს ვერ ხვდება. აქ ავტორის მთავარი შეცდომა ისაა, რომ მას დანაშაულის ჩადენის გამო ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესუალური ფორმა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობად წარმოუდგენია, მაშინ, როდესაც სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა პოზიტიური პასუხისმგებლობის იურიდიულ ფორმას წარმოადგენს.

<sup>1</sup> В. Г. Павлов, Субъект преступления и уголовная ответственность, С-П. 2000, стр. 13.

სამწუხაროდ, პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა იმდენად არ იწვევს გაუგებრობებს, მაგრამ ამჯერად მოკლედ აღვნიშნავთ, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობა და მისი გამოუღენის ფორმა — ურთიერთობა — ერთი და იგივე არაა. კერძოდ, მართლზომიერი ქმედების ვალდებულება სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტია, ხოლო ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება, როგორც მართლზომიერი ქმედების სუბიექტური მიზეზი, პოზიტიური პასუხისმგებლობის ნიშანია. უფრო მეტიც, ურთიერთობა კი არ ქმნის პასუხისმგებლობას, არამედ, პირიქით, პასუხისმგებლობა, როგორც შინაარსი, ქმნის ურთიერთობას, როგორც პასუხისმგებლობის გამოუღენის ფორმას. ამ ასპექტით, ცხადია, პირველ რიგში, იგულისხმება პოზიტიური პასუხისმგებლობა, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანს ემსახურება. დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი, პირიქით, ამ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების გამო, ერთდროულად გამოჰყავს როგორც სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის, ისე მართლზომიერი ქმედებისთვის სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის, ფარგლებს გარეთ ამის გამო დგება ნეგატიური პასუხისმგებლობის პრობლემა, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობას. ამ ურთიერთობის ფარგლებში ხდება ჩადენილი ქმედების გამოძიება და სასამართლო განხილვა. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ დანაშაულის ჩადენის გამო სუბიექტის გასვლა სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ, სხვა არაფერია, თუ არა სუბიექტის ქმედების მართლწინააღმდეგობის გამოხატულება. აქედანვე გამომდინარეობს მეორე დასკვნაც, რომ თავისი ქმედების გამო სუბიექტის გასვლა სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ფარგლებს გარეთ სხვა არაფერია, თუ არა სუბიექტის გადასვლა უპასუხისმგებლობის ვითარებაში, ხოლო, მართლზომიერი ქმედების ვალდებულები-

სადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სუბიექტის ბრალის ნიშანია. სამსწუხაროდ, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა და პოზიტიური პასუხისმგებლობის ერთიანობა, როგორც ქმედების მართლწინამდგომისა და სუბიექტის ბრალის ერთიანობის ლოგიკური წინამძღვარი, დღემდე სათანადოდ არაა გააზრებული. რატომღაც სათანადოდ არაა გაგებული ის გარემოება, რომ „პასუხისმგებლობა“ არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, რომელიც სპეციფიკურად ვლინდება სამართალშიც, მათ შორის, სისხლის სამართლის სფეროშიც. ამიტომ იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება შეუძლებელია. შემთხვევითი არაა ის, რომ თვით „იურიდიული პასუხისმგებლობაც“ კი არაა ერთნაირი. მაგალითად, დელიქტური პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართალში სულ სხვაა, ვიდრე, პასუხისმგებლობა სისხლის სამართალში. ჯერ ერთი, დელიქტი, ანუ, ზიანი არის ის იურიდიული ფაქტი, რომელიც ქმნის ზიანის მიმყენებლის მოვალეობას — აღადგინოს ეს ზიანი ნატურით, ან ფულადი კომპენსაციის წესით, ანუ, აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა. მეორეც, მოვალე ზიანის მიყენებაში ითვლება ბრალეულად, ვიდრე, არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. სისხლის სამართალში საქმის ვითარება არსებითად განსხვავებულია: დანაშაული, როგორც წესი, ჩადენილად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით გარდა ამისა, დანაშაულს მატერიალურად, მორალურად და პოლიტიკურად შეუქცევადი ხასიათი აქვს (მაგალითად, მკვლელობის შედეგად მოკლულს სიცოცხლეს ვერაინ დაუბრუნებს) და ამიტომ ამ მიმართებით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია. შესაძვე, მტკიცების ტვირთი ვკისრება არა ბრალდებულს, არამედ, ბრალდებულს, რადგან არსებობს არაბრალეულობის პრეზუმფცია, რომლის თანახმად, პირი თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობით არაბრალეულია, ვიდრე, მისი ბრალი არ იქნე-

ბა დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენით მეოთხეც, თუ დელექტური პასუხისმგებლობისას ზიანის ნებაყოფლობით აღდგენა გამორიცხავს, ამ მხრივ, სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროებას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საბოლოო გადაწყვეტა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობის გარეშე შეუძლებელია.

ამრიგად, დელექტური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ეს მოკლე შედარებითი ანალიზიც კი მეტყველებს, რომ არ არსებობს არა მარტო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება, არამედ, იურიდიული პასუხისმგებლობის ცნებაც, რადგან „იურიდიულის“ დონეზე პასუხისმგებლობის განმაზოგადებელი კატეგორიის ჩამოყალიბება შეუძლებელია. გარდა ამისა, პასუხისმგებლობა არაა ვალდებულება არც პოზიტიური და არც ნეგატიური ასპექტით თუ ვალდებულება სამართალში სუბიექტს გარედან ეხვევა თავს და სახელმწიფოსთან სუბიექტის ობიექტურ კავშირს გამოხატავს, პასუხისმგებლობა მისი პოზიტიური ასპექტით არის ვალდებულებისადმი სუბიექტის შინაგანი დამოკიდებულება, როგორც მისი შესრულების საკმარისი და აუცილებელი პირობა, სახელმწიფოსთან სუბიექტის სუბიექტური კავშირის ნიშანია. ამიტომ, რომ პასუხისმგებლობა (მისი ორივე ასპექტით) ხასიათდება გარდუვალობით პასუხისმგებლობა, მისი პოზიტიური ასპექტით, სუბიექტის მოწოდებაა, პასუხისმგებლურად მოეკიდოს თავის მოვალეობას. იგი ადამიანის არსის განუყოფელი ნიშან-თვისებაა და არა მოვალეობა. მოვალეობა არის ურთიერთობის ელემენტი და იგი შეიძლება დაირღვეს, არ შესრულდეს, მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობა გარდუვალია და მისი „დარღვევა“ შეუძლებელია. კერძოდ, ნორმალური ფსიქიკის ადამიანი ან პოზიტიური პასუხისმგებლობის სუბიექტია, ან ნეგატიური პასუხისმგებლობისა. პასუხისმგებლობის გარეთ ან შეურაცხადია, ან - ის, ვისი დანაშაულებრივი ქმედება სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა, ხოლო ეს უკანასკნელი პრინციპუ-



ლად დაუშვებელია, რადგან, ადამიანი პასუხისმგებლობის გარეშე  
სამყაროს დამანგრეველი ძალა იქნებოდა, სისხლის სამართლის  
- სახელმწიფოს დამანგრეველი.

ამრიგად, სამართლებრივი ურთიერთობა, ისევე როგორც ნე-  
ბისმიერი სხვა ნორმატიული ურთიერთობა, ქცევის შესატყვისი  
წესის, ანუ, ნორმისა და საზოგადოებრივი წესრიგის კავშირის  
ფორმაა. მაგრამ ფორმა-შინაარსის დიალექტიკიდან ცნობილია,  
რომ ფორმას შინაარსი ქმნის. რა შეიძლება იყოს საზოგადოდ  
ნორმატიული, მათ შორის, სამართლებრივი, ურთიერთობის  
დამაფუძნებელი შინაარსი? უპირველეს ყოვლისა, არც მეტი და არც  
ნაკლები - პოზიტიური პასუხისმგებლობა, რომლის გარეშე არ  
არსებობს არც უპასუხისმგებლობა, როგორც ბრალის სინონიმი,  
და არც ნეგატიური პასუხისმგებლობა სუბიექტის უპასუხისმგებ-  
ლო ქმედებისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ პასუხისმგებლობა არის სუბიექტის  
მიერ თავისი ქმედების გამო ინსტანციის წინაშე ანგარიშის  
მიცემისა და მისადმი დამოკიდებულების თავის თავზე აღების  
გარდუვალობა. ამრიგად, ჯერ ერთი, გარდუვალია, რომ სუბი-  
ექტმა ანგარიში გაუწიოს „ინსტანციას“, რათა მისი ყოველი  
გადაწყვეტილება იყოს პასუხისმგებლური. მეორეც, გარდუ-  
ვალია ისიც, რომ სუბიექტი თავის თავზე იღებდეს თავისი  
ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შედეგებს. თუ საქმე  
ზნეობრივი ვალდებულებისადმი დამოკიდებულებას ეხება, მაშინ,  
სამართლიანობა მოითხოვს, რომ სუბიექტმა ჯილდო დაიმსა-  
ხუროს. ცხადია, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი  
პასუხისმგებლური დამოკიდებულება, ამ ვალდებულების დაბალი  
ღირებულებითი შინაარსის გამო, ჯილდოს ვერ დაიმსახურებს,  
თუმცა, სამართლებრივად მოწონების ღირსია, რადგან, იგი მარ-  
თლზომიერი ქმედების საკმარისი პირობაა. თუ სუბიექტი თავის  
მოვალეობას უპასუხისმგებლოდ მოეკიდა, მაშინ, იგი თავის თავზე  
გარდუვალად იღებს ამ უპასუხისმგებლობის შედეგებს, სისხლის



სამართალში კი ნეგატიურ პასუხისმგებლობას, ხოლო, როგორც  
წესი, — სასჯელს.

ამრიგად, „პასუხისმგებლობა“ ყველა ნორმატიული სისტემის დამახასიათებელი ნიშანია. მისი პიზიტიური ასპექტი ანუ პასუხისმგებლობა მომავლისთვის ქმნის ინსტანციისა და სუბიექტის ურთიერთობას, როგორც ამ პასუხისმგებლობის გამოხატვის ფორმას. თუ ნორმატიულად დადგენილი ვალდებულება ურთიერთობის ელემენტია, ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება პოზიტიური პასუხისმგებლობის ნიშანია. ამდენად, ურთიერთობა და პასუხისმგებლობა ფორმისა და შინაარსის ერთიანობას გამოხატავს. ეს დებულება ვრცელდება სისხლის სამართლის სფეროზეც. სამწუხაროდ, იშვიათი არაა შემთხვევა, როცა ცდილობენ, სამართლის სფეროშიც შემოიტანონ პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა, მაგრამ მისი ბუნება და ურთიერთობასთან მისი კავშირი ყალბადაა გაგებული.

ამრიგად, ნათელი უნდა იყოს, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიულ ფორმას წარმოადგენს. თუ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა (მართლზომიერი ქმედების ვალდებულება) სახელმწიფოსთან სუბიექტის ობიექტურ კავშირ-ურთიერთობას გამოხატავს, პოზიტიური პასუხისმგებლობა (მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება) სახელმწიფოსთან სუბიექტის სუბიექტურ კავშირზე მიანიშნებს. დანაშაულის ჩადენა კი, არღვევს სახელმწიფოსთან სუბიექტის როგორც ობიექტურ კავშირს (მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევით, რომელიც ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანია), ისე, სუბიექტურ კავშირს (მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით, რომელიც სუბიექტის ბრალის ნიშანია). მაშასადამე, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის, როგორც ფორმის, და

სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობა, როგორც ამ ურთიერთობის შინაარსის, ერთიანობა მართლწოდებითი ერი ქმედების ჩადენისა და მართლწესრიგის შექმნის აუცილებელი და საკმარისი პირობაა. სამწუხაროდ, რაკი გერმანელი კოლფები სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე, როგორც წესი, არაფერს ამბობენ, პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა მათ ნაწერებში არ გვხდება, თუმცა ამ საკითხს უფრო ვრცლად ბრალის პრობლემატიკაში განვიხილავთ.

## § 2. ნებატიური პასივისმგებლობა სისხლის სამართალში

„პასუხისმგებლობა“ უნდა გვესმოდეს არა მხოლოდ პოზიტიური, პროსპექტული, არამედ, ნებატიური, რეტროსპექტული ასპექტითაც. თუ პირველი ასპექტი დადებითია, მართლწესრიგის შექმნისა და დაცვის საკმარისი პირობაა, მეორე ასპექტი, პირიქით, უარყოფითია და მართლწესრიგის ბრალეულად ხელყოფის შედეგად ვალიბდება. დანაშაულის ჩამდენი პირი ნებატიური წესით პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე, რადგან, იგულისმება, რომ იგი სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა სისხლის სამართლის, ან წინდახედულობის ნორმის მოთხოვნებს, რის შედეგადაც მართლწესრიგი ხელყოფილი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ნებატიური ხასიათის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არც თუ იშვითად (იყო და არის დღესაც) გაიგებებული ურთიერთობასთან, ოღონდ, არარსებულთან, რადგან, დანაშაულის ჩადენის გამო ნებატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაცვლად ურთიერთობაზეა საუბარი. მაგალითად, ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ამტკიცებდნენ, რომ „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა – ეს არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სამართალდამრღვევსა და სახელმწიფოს შორის შეარ-

დება.<sup>1</sup> ეს დებულება უბრალოდ გაუგებრობის შედეგია, რადგან, ამ თვალსაზრისში ნეგატიური ხასიათის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა „ურთიერთობად“ სალდება, მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა შეუძლებელია. ეს გაუგებრობა იმან გამოიწვია, რომ ნეგატიურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განსაზღვრავდნენ როგორც სუბიექტის მოვალეობას, პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. ნუთუ გასაკები არაა, რომ დანაშაულის ჩამდენ პირზე სასჯელის დაკისრება ამ პირის მოვალეობას არ წარმოადგენს? სასამართლოს მოვალეობა, დანაშაულის ჩამდენ პირს დააკისროს ნეგატიური ხასიათის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ტრადიციულ კონცეფციებში თვით დანაშაულის ჩამდენ პირზეა გადაკისრებული, რის გამოც ამ მიმართებით, როგორც უკვე ითქვა, ყველაფერი თავდაყირა დგას. სამწუხაროდ, თითქმის იგივე მდგომარეობაა თანამედროვე რუსეთის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც. კერძოდ, ერთ-ერთ უახლოეს სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შინაარსობრივ პლანში არის ერთობლიობა სამართლებრივი ურთიერთობისა, რომელიც სისხლისსამართლებრივი რეგულირების მექანიზმში შედის.“<sup>2</sup> ცხადია, ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკავშირებულია სუბიექტის მოვალეობასთან. მაგალითად, დანაშაულის ჩამდენი პირი ვალდებულია აანაზღაუროს (აღადგინოს) სამოქალაქო სარჩელის წესით დადგენილი ზიანი, მაგრამ ნეგატიური პასუხისმგებლობა ვალდებულებაზე არ დაიყვანება, რადგან, ის სახელმწიფოებრივი იძულების გარეშე არ არსებობს, ხოლო, დანაშაულის ჩამდენ პირს, რასაკვირველია, არ შეუძლია თავის თავს დააკისროს ეს პასუხისმგებლობა. ცხადია, არსებობს ნეგატიური პასუხისმგებლობის თმენის ვალდებულება,

<sup>1</sup> Советское уголовное право, Общая часть, М. 1981, стр. 31.

<sup>2</sup> Уголовное право, Общая часть, М. 2004, стр. 71.

მაგრამ ეს სხვა საკითხია. მთავარია, რომ თვითონ პასუხისმგებლობა არაა ვალდებულება არც პოზიტიური და არც ნეგატიური ასპექტით. უკვე ითქვა, რომ ვალდებულება შეიძლება შესრულდეს ან არ შესრულდეს, მაშინ როდესაც პასუხისმგებლობა ორივე ასპექტით გარდუვალია.

ისმება კითხვა: თუ პასუხისმგებლობის ორი ასპექტი არსებობს (პოზიტიური და ნეგატიური), მაშინ როგორ გადადის პირველი მეორეში, ანუ რა შემთხვევაში ხდება ნეგატიური პასუხისმგებლობის ამოქმედება? ეს იმისი თქმაა, რომ პასუხისმგებლობის ეს ორი ასპექტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გარეშე არ არსებობს. კერძოდ, ვიდრე სუბიექტი თავის მოვალეობას პასუხისმგებლურად ეკიდება, ნეგატიური პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა. აქედან გამომდინარე, ნეგატიური პასუხისმგებლობა წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტი თავის მოვალეობას პასუხისმგებლურად კი არ მოეკიდება, არამედ, პირიქით, უპასუხისმგებლოდ და ამის შედეგად ჩაიდენს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება, რომელიც მართლზომიერი ქმედების ჩადენის სუბიექტური მიზეზია, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემთხვევაში, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებად იცვლება; იგი ამ ქმედების ჩადენის სუბიექტური მიზეზი და ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება. ტერმინი „უპასუხისმგებლობა“, ერთის მხრივ, მომდინარეობს პოზიტიური პასუხისმგებლობიდან, როგორც ამ უკანასკნელის საპირისპირო ვითარება, ხოლო, მეორეს მხრივ, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია, რადგან, სუბიექტი ნეგატიური წესით პასუხს აგებს ამ უპასუხისმგებლო ქმედებისთვის. მაშასადამე, ტერმინი „უპასუხისმგებლო“ პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმაა. კერძოდ, პოზიტიური პასუხისმგებლობა რომ არაა, მისი საპირისპირო ტერმინი „უპასუხისმგებლობა“ შეუძლებელი იქ-

ნებოდა. ამიტომ “პასუხისმგებლობა“ მისი პოზიტიური გაგებით, “უპასუხისმგებლობის“ (საფუძველია), ხოლო უპასუხისმგებლობა, თავის მხრით, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია, რადგან, უპასუხისმგებლობის გარეშე ნეგატიური პასუხისმგებლობა ობიექტური შერაცხვა იქნებოდა. მაშასადამე, „უპასუხისმგებლობა,“ როგორც პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმა, სხვა არაფერია, თუ არა ბრალის სინონიმი. ბრალი არის ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენით გამოიხატება და ნეგატიურ პასუხისმგებლობას აფუძნებს.<sup>1</sup> აქ უკვე დგას ბრალის, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმის, ხასიათისა და ხარისხის პრობლემა. ტერმინი „ანტისაზოგადოებრივი ქმედება“ ამ ქმედების საკმაო სოციალურ მნიშვნელობას, მის საზოგადოებრივ საშიშროებას გამოხატავს. კერძოდ, მცირემნიშვნელოვანი ქმედება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ცხადია, ასეთ მცირემნიშვნელოვან ქმედებაში გამოხატული უპასუხისმგებლობა, როგორც ბრალის სინონიმი, ბრალის სისხლისსამართლებრივ ხასიათსა და ხარისხს ვერ მოგვცემს. აქედან გამომდინარე, ბრალის, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმის, ფორმალური გაგების თავიდან აცილების მიზნით მხედველობაში უნდა მივიღოთ პოზიტიური პასუხისმგებლობის სუბიექტი და ობიექტი. კერძოდ, ვინ ვის წინაშეა პასუხისმგებელი და რისთვის? აქედან გამომდინარე, შეიძლება დაუადგინოთ უპასუხისმგებლობის სუბიექტიც და ობიექტიც. ცხადია, სისხლის სამართლის სუბიექტი ნეგატიური წესით პასუხს აგებს დანაშაულისთვის, მაგრამ, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ეს დანაშაული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

<sup>1</sup> უფრო დაწვრილებით იხ. ვ. ნაჭვებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001 წ.

საფუძველი კი არაა, არამედ, ამ პასუხისმგებლობის ობიექტი.

ბრალის პრობლემას დანაშაულის ცნებასთან კავშირში ვერცლად შევხები. აქ კი მოკლედ აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, განსაზღვრული ინსტანციის წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის შვენიერი უარყოფაა, მაშინ, როდესაც გაუფრთხილებლობა პოზიტიური პასუხისმგებლობის უგულებელყოფას წარმოადგენს. მაგრამ უპასუხისმგებლობა, როგორც ბრალის სინონიმი, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი დამოკიდებულებით კი არ ამოიწურება, არამედ გამოხატავს სუბიექტის ფაქტობრივ მდგომარეობასაც, კერძოდ იმას, რომ სუბიექტი სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ დგას, ანუ, იმყოფება სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლობის ობიექტურ ვითარებაში, რაც მოუთმენელია. პირი უნდა მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში, რათა პირის ეს უპასუხისმგებლო მდგომარეობა აღიკვეთოს და იგი „ბრალდებულის“ სამართლებრივ მდგომარეობაში მოექცეს. ცხადია, ბრალდებული ჯერ არაბრალეულობის სამართლებრივ მდგომარეობაში იმყოფება. ამითაც მტკიცდება, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა პირის უპასუხისმგებლობის აღკვეთის პროცესუალური ხერხია და არა ნეგატიური ხასიათის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც ბრალდებულის ბრალეულად ცნობისა და გამამტყუნებელი განაჩენით მისი გამოხატვის გარეშე შეუძლებელია. არც ისაა შემთხვევითი, რომ ძველ ქართულ სამართალში დანაშაულს „გარდამავლობითი მოქმედება“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, ნაწარმოებია „სჯულის წიგნიდან.“ ავტორი აღნიშნავს, რომ „კანონმდებლის მიზანს ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგება შეადგენდა, მოქმედების იმ საზღვრის დადება, რომლის გადასვლა სახელმწიფოს, სარწმუნოებისა, სხვისი უფლებისა და ინტერესის შელახვას წარმოადგენდა. კანონითა და სამართლის წიგნით

დადებული საზღვრით ადამიანთა შორის „კანონიერება“ უნდა დამყარებულიყო და ამიტომ ადამიანის სწორ მოქმედებასა და ქცევასაც კანონიერებას უწოდებდნენ.<sup>1</sup> სჯულისა და კანონიერების დამრღვევის მოქმედება კი ამ ნორმების „გარდასვლად“ იყო მიჩნეული. როგორც ავტორი აღნიშნავს, „თვით საქციელს, რომელიც სჯულისა, სამართლისა და წესის გარდაღაზვას წარმოადგენდა, „გარდამავლობითი მოქმედება“ სწოდებია.<sup>2</sup>

როგორც ჩანს, ჩვენს ბრძენ წინაპრებს კარგად შეუძინვევიათ, რომ დანაშაული კანონს გარდამავალია, ანუ, დანაშაულის ჩამდენი პირი გადის კანონით დადგენილი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ. მაშასადამე, დანაშაულის ჩადენა სახელმწიფოსთან ურთიერთობას კი არ ქმნის, როგორც ამას რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად ამტკიცებენ, არამედ, პირიქით, დანაშაულის ჩამდენ პირს, ამ კონკრეტული ქმედების გამო და ფარგლებში, სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის მიღმა აყენებს. დანაშაული, ამ აზრით, მართლაც „გარდამავლობითი ქმედებაა.“ ამაზე მეტყველებს რუსული ტერმინიც „პრესტუპლენიე“, ანუ, „Переступление“ (ესე იგი დანაშაული, როგორც კანონს გადაბიჯებითი ქმედება). აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი არა მარტო გადის სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ, არამედ სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ფარგლებს გარეთაც, ანუ უპასუხისმგებლობის ობიექტურ ვითარებაში, რომელიც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო, ანუ ბრალეული დამოკიდებულებითაა გამოწვეული.

ამრიგად, ნეგატიური ხასიათის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინე-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VII, გვ 188.

<sup>2</sup> იქვე, გვ 189.



ბული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში სუბიექტის ბრალის დადგენის გარეშე შეუძლებელია, ხოლო, სუბიექტის ბრალეულად ცნობის ოფიციალურ პროცესუალურ დოკუმენტს გამამტყუნებელი განაჩენი წარმოადგენს. ეს დასკვნაც ბუნებრივია, რადგან, დანაშაულის ჩადენა (ამ კონკრეტული ქმედების მიმართ) აჩერებს მართლწესრიგში სისხლის სამართლის ნორმის გადასვლას, რის გამოც მართლწესრიგი ხელყოფილი ხდება. თუ სისხლის სამართლის სუბიექტმა სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა ნებაყოფლობით არ შეასრულა და იგი თვითნებურად გავიდა სახელმწიფოსთან სიახლის სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ, მაშინ, მას აიძულებენ, ამ ნორმის საფუძველზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ფორმით აღსდგეს სახელმწიფოსთან ობიექტურ კავშირში.

ცხადია, ეს ჯერ კიდევ არაა სამართლადამრღვევი პირის სახელმწიფოსთან სუბიექტური კავშირის აღდგენა, რადგან, სახელმწიფოსთან სისხლის სამართლის სუბიექტური კავშირი მხოლოდ მაშინ მყარდება, როცა, ეს სუბიექტი მართლზომიერი ქმედების მოვალეობას მოეკიდება პასუხისმგებლურად. თუ, პირიქით, სუბიექტი მართლზომიერი ქმედების მოვალეობას მოეკიდება უპასუხისმგებლოდ, ანუ ბრალეულად, მაშინ სუბიექტი არღვევს სახელმწიფოსთან სუბიექტურ კავშირსაც. ამ დარღვეული სუბიექტური კავშირის აღდგენა ხდება მოგვიანებით, როცა დანაშაულის ჩამდენი პირის სახელმწიფოს წინაშე ეს უპასუხისმგებლობა სასჯელის მიზნების აღსრულების შედეგად შეიცვლება მისი პოზიტიური პასუხისმგებლობით მართლაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზნებია სამართლიანობის აღდგენა, დანაშაულთა თაყიდან აცილება (როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირების მხრე) და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი ნათქვამია, რომ „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა



პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძობით.

ამკარაა, რომ კანონმდებელი აქ გულისხმობს პოზიტიურ პასუხისმგებლობას, როცა სუბიექტი პასუხისმგებლურად მოეკიდება მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას. მაშასადამე, ირკვევა, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის უპასუხისმგებლობა (ბრალი), სასჯელის მოხდის შემდეგ მისი პასუხისმგებლობით შეიცვლება. რაკი დანაშაული შეუქცევადია (დანაშაულით გამოწვეული, როგორც წესი, მატერიალური და მორალურ-პოლიტიკური შედეგების აღდგენა შეუძლებელია), სისხლის სამართალში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეიძლება მხოლოდ მსჯავრდებულზე ზემოქმედებით, როცა დანაშაულში გამოუღენილი მისი უპასუხისმგებლობა სასჯელის ზემოქმედების შედეგად მისივე პოზიტიური პასუხისმგებლობით შეიცვლება. იგულისხმება, რომ ყოფილი მსჯავრდებული მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდება პასუხისმგებლურად და, მაშასადამე, ის უკვე აღდგენილია სახელმწიფოსთან სუბიექტურ კავშირშიც.

### § 3. პასუხისმგებლობის საფუძველი სისხლის სამართალში

პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემის მართებული დასმა და გადაწყვეტა თვით პასუხისმგებლობის გაგებაზეა დამოკიდებული, ხოლო, პასუხისმგებლობის არსი, როგორც ზემოთ უკვე მოკლედ მიმოხილულ თვალსაზრისებში ჩანს, დღემდე არსებთან სადავო და გაურკვეველია. იმ თეორიაში, რომელშიც პასუხისმგებლობა გაგებულია ნჯატიური ასპექტით, უფრო მარტივი ჩანს მტკიცება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. მაგრამ ამ საკითხში უფრო ღრმა გარკვევის მიზნით მიემართოთ თვით „საფუძვლის“ კატეგორიას. პროფ.

ს. წერეთელი აღნიშნავდა, რომ „ლოგიკისათვის მთავარია აზრობა/ შორის საფუძველ-შედგვის კავშირი, რომელსაც შუალობითი ხასიათი აქვს, სადაც შუალობა აუცილებლობით ხორციელდება.“<sup>1</sup>

ამ დებულების მართებული გაგებისთვის მიემართოთ პასუხისმგებლობის კატეგორიას. კერძოდ, ჩვენ უკვე ვიცით, რომ პასუხისმგებლობა იყოფა პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებად, ხოლო, პასუხისმგებლობის ამ ასპექტებს შორის კავშირი ხორციელდება შესამით, რომელიც პასუხისმგებლობა არაა არც პოზიტიური და არც ნეგატიური ასპექტიოქ პირიქით, პოზიტიური პასუხისმგებლობის მიმართ ის უპასუხისმგებლობაა, ხოლო, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ნეგატიურ პასუხისმგებლობას აფუძნებს. მაშასადამე, პასუხისმგებლობის პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებს შორის შუალობას უპასუხისმგებლობა ასრულებს. გარდა ამისა, საფუძველ-შედგვის კავშირის მართებული გაგებისთვის არსებითია დასახელებული ავტორის ის მოსაზრებაც, რომ საფუძველი არის „ასეთი მისი საპირისპიროსათვის როგორც შედეგისათვის, მაგალითად, სასრული გადადის უსასრულობაში და პირიქით უარყოფის საშუალებით“<sup>2</sup>

აქედან ძნელი არაა იმის დასკვნის გაკეთება, რომ პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი საფუძველია მისი საპირისპიროსთვის, ანუ უპასუხისმგებლობისთვის, როგორც შედეგისათვის, მაგრამ უპასუხისმგებლობა, თავის მხრივ, საფუძველია ნეგატიური პასუხისმგებლობისთვის, როგორც უპასუხისმგებლობის შედეგისთვის. თუ „უპასუხისმგებლობა“ არის „ბრალეულობის“ სინონიმი, როგორც ამას დიდი ხანია ვფიქრობ, მაშინ გასაგებია, რომ ბრალი არის პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფის ან უგულებელყოფის გამოხატულება, ხოლო, ბრალი, როგორც ნორმატიული ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, როგორც ანტიზაზოგადოებრივი

<sup>1</sup> ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, თბილისი, 1965, გვ. 76.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 77.

ქმედების სუბიექტური მიზეზი, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია.

ამრიგად, კატეგორიული აზროვნების მიხედვით გამოდის, რომ ნეგატიური (უკვე ჩადენილი ანტისაზოგადოებრივი ქმედებისათვის) პასუხისმგებლობის საფუძველი საზოგადოდ არის ბრალი, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი. მაგრამ საქმე ისაა, რომ პასუხისმგებლობის პოზიტიურ ასპექტს თავისი საფუძველი აქვს. კერძოდ, უკვე ითქვა, რომ პასუხისმგებლობა, მისი პოზიტიური ასპექტით, არის ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, როცა სუბიექტს ამ ვალდებულების აღსრულების განწვობა აქვს. ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულების არჩევისთვის კი საჭიროა თავისუფლება. თუ სუბიექტს ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების თავისუფალი არჩევანი არა აქვს, მაშინ, ის პოზიტიურად პასუხისმგებელი ვერ იქნება. ცხადია, ამ ვითარებაში ის არც ნეგატიურად იქნება პასუხისმგებელი, რადგან, პოზიტიური პასუხისმგებლობის გარეშე ნეგატიური პასუხისმგებლობა შეუძლებელია. მაშასადამე, პოზიტიური პასუხისმგებლობის საფუძველია თავისუფლება. მაგრამ თავისუფლებამ თვითნებობა კი არაა, არამედ, ზღვარდებულია პასუხისმგებლობით. ამიტომ, რომ პასუხისმგებლობა მისი პოზიტიური ასპექტით არის თავისუფლებისა და აუცილებლობის კავშირის ფორმა. კერძოდ, თავისუფლება აუცილებლობაში (მორალურად გამართულ, თუ მართლზომიერ ქმედებაში) პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის მეშვეობით გადადის.

თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის მიმართება რთული ფილოსოფიური პრობლემაა.<sup>1</sup> ამიტომ, რომ ამ პრობლემას

1 უფრო დაწერილებით იხ. გ. ნაჭყებია, ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში, თბილისი, 1975 (საკანდიდატო დისერტაცია).

იურიისტები ხშირად გაურბიან, ამ პრობლემის გადაჭრა თითქმის ფილოსოფიის გარეშაა შესაძლებელი. ასეთ და სხვა ანალოგიური საკითხებში ფილოსოფიიდან გაქცევა საბედისწერო შეცდომების წყაროა. მაგალითად, დღემდე თითქმის გაბატონებულია აზრი, რომ ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველი თითქოს არის თავისუფლება. ისე ჩანს, რომ ბრალი, როგორც ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველი, სუბიექტის თავისუფლებას გამოხატავს. სინამდვილეში ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის უარყოფა ან უგულებელყოფა და უპასუხისმგებლობის სინონიმი, თავისუფლების ბოროტად გამოყენებას, სუბიექტის თვითნებობას გამოხატავს და არა თავისუფლებას. ამიტომ, რომ ანტისაზოგადოებრივ ქმედების ჩადენაში ბრალეული პირი გაკიცხვას იმსახურებს. კერძოდ, თუ ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება შექებას, წახალისებას, ზოგჯერ ჯილდოსაც იმსახურებს, ამ ვალდებულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, პირიქით, გაკიცხვის, დაგმობის ღირსია. კაცს რომ ეტყვიან, „რა უპასუხისმგებლო ხარო,“ – ეს უკვე სეროზული გაკიცხვაა.

ამრიგად, ამკარაა, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობის საფუძველი არის თავისუფლება, რომლის გარეშე სუბიექტი თავის მოვალეობას პასუხისმგებლურად, ანუ მისი აღსრულების განწყობით ვერ მოკიდება. ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველი კი არის ბრალი, როგორც თავისუფლების ბოროტად გამოყენება, პოზიტიური პასუხისმგებლობის საპირისპირო, ანუ, უპასუხისმგებლობის სფეროში თვითნებური გადასვლა. პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტიდან ნეგატიური პასუხისმგებლობის სფეროში გადასვლა ხდება უპასუხისმგებლობის მეშვეობით. ამიტომ, რომ უპასუხისმგებლობა არის ის შესაძენი, რომელიც პასუხისმგებლობის ამ თარ ასპექტს ერთმანეთთან აკავშირებს.

ამრიგად, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ლოგიკურია

მტკიცება, რომ ბრალის, როგორც უპასუხისმგებლობის, საფუძველია პოზიტიური პასუხისმგებლობა, ხოლო, უპასუხისმგებლობა, როგორც ბრალის სინონიმი, არის ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველი. სამწუხაროდ, იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე მეთოდოლოგიურ მიდგომებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. უფრო მეტიც, საექვო ჩანს ამ საკითხზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პოზიციაც. კერძოდ, ამ კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.“ დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ყალბი იდეის გამოხატულებას წარმოადგენს. ამას ისიც ემატებოდა და ემატება, რომ დანაშაულის შემადგენლობის ოთხწევროვანი დაყოფა (დანაშაულის ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარის ერთიანობით) „დანაშაულს“ გამოხატავდა და გამოხატავს დღესაც. ამიტომ, გაცხარებული დავა იმის თაობაზე, რომელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი — დანაშაული თუ მისი შემადგენლობა, — არსებითად უსაგნო იყო და არის დღესაც (თანამედროვე რუსეთშიც ამ მხრე საბჭოური ტრადიცია გრძელდება).

დანაშაულის ცნების სამწევროვანი დაყოფის გერმანული ტრადიციის მიხედვით კი, (ქმედების შემადგენლობა, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი) ეს საკითხი სხვანაირად უნდა გადაწყდეს. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება სუბიექტის სასამართლო წესით ბრალის დადგენით, გამამტყუნებელი განაჩენის ფორმაში, როცა უკვე გაბათილებულია გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის არაბრალეულობის პრეზუმფცია და ყოფილი ბრალდებული ბრალეულის პროცესუალურ მდგომარეობაში იმყოფება. ცხადია, სუბიექტის

ბრალის დადგენა ადასტურებს, რომ ჩადენილია დანაშაული, მაგრამ პასუხისმგებლობის საფუძველი მაინც ბრალია, ჩადგენი. ჯერ ერთი, დანაშაული პასუხისმგებლობის ობიექტია და არა საფუძველი. მეორეც, დანაშაულის სამწვეროვანი დაყოფის ლოგიკით თავდაპირველად დადგენილი უნდა იქნეს ქმედების შემადგენლობა, მეორე ეტაპზე – ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბოლოს, – სუბიექტის ბრალი. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ გამამტყუნებელი განაჩენის ეტაპზე პირის პროცესუალური მდგომარეობა გამოიხატება მისი ბრალეულობით.<sup>1</sup>

თუ სუბიექტი ბრალეულია, მაშინ, გასაგებია, რომ ის სახელმწიფოს წინაშეა პასუხისმგებელი ნეგატიურად, ხოლო, გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სასამართლოს გამოაქვს სახელმწიფოს სახელით, ამ პასუხისმგებლობას გამოხატავს. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, როგორც ასეთი, არამედ, ბრალი. ეს დებულება დასტურდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სათანადო ანალიზითაც. მაგალითად, საქ. სსკ-ის 88-ე მუხლის თანახმად, თუ პირმა პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის მაქსიმალური ზომა არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, ის შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ იგი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი. საკითხავია: რას ნიშნავს ამ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება? აქ მოკლედ ვიტყვით იმას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ნიშნავს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში სუ-

<sup>1</sup> გ. ნაჭყვია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, გვ. 269.

ბიექტის ბრალის ოფიციალური წესით, ანუ, გამამტყუნებელი განაჩენის ფორმით დადგენის გარეშე. თუ სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის ფორმაში სუბიექტის ბრალს დაადგენს, - ეს უკვე პასუხისმგებლობაა, რომლისგანაც გათავისუფლება შეუძლებელია.

ამრიგად, არსებობს საფუძველ-შედგვის კაუშირი, როცა პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი უპასუხისმგებლობის, როგორც ბრალის სინონიმის, ლოგიკური საფუძველია („პასუხისმგებლობა“ რომ არა, „უპასუხისმგებლობა“ შეუძლებელი იქნებოდა), ხოლო, ბრალი, თავის მხრივ, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია. ამ მხრივ გამონაკლისი არც სისხლის სამართალია, რადგან სუბიექტი ნეგატიური წესით პასუხს აგებს თავისი უპასუხისმგებლო ქმედებისთვის, როცა სასამართლო, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, სუბიექტის ბრალს დაადგენს.

აქედან გამომდინარე, დასაზუსტებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „ეს კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.“ ამკარაა, რომ აქ ლაპარაკია ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო და არა სასამართლო კვალიფიკაციაზე, რის გამოც აქ ნეგატიურ პასუხისმგებლობაზე ყურდლების გადატანა დაუშვებელია (საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების აღრევას მოახწევს). აქ, საკანონმდებლო ხელისუფლების კომპეტენციიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ „სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს დანაშაულის ცნებას, განსაზღვრავს,“ და შემდეგ როგორც ტექსტშია. შესაბამისად უნდა შესწორდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის

თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული,“ რადგან, ეს დებულება დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შესახებ სოციოლოგიკური აზრის შედეგია, მაშინ როდესაც წმინდა იურიდიულად დანაშაული ჩადენილად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში სუბიექტს ბრალი დადასტურებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით. მაშასადამე, ნეკატიური ხასიათის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ბრალი და არა დანაშაული, როგორც ასეთი.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ გ. ნაჭყეაძის, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა, „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები,“ თინათინ წერეთლის დაბადების მე-100 წლისთავესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კომფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული, თბილისი, 2006, გვ. 138-141.



თავი მესამე  
სისხლის სამართლის ადგილი სამართლის  
სისტემაში



1. სამართლის სისტემა და მისი მეთოდოლოგიური  
მნიშვნელობა

სამართალი საზოგადოების ზოგადკულტურული განვითარების დონეზეც არის დამოკიდებული. ამიტომაც, რომ სამართალი საზოგადოების ნორმატიული სისტემის შემადგენელი ნაწილია. ზნეობა, ხელოვნება, რელიგია, ადათები და ტრადიციები და სხვა, გაელენას ახდენენ სამართალზე და, პირიქით, სამართალი, თავის მხრივ, იცავს საზოგადოების ამ ნორმატიულ სისტემას, მის კულტურულ ღირებულებებს. გამონაკლისი, ამ მხრივ, არც სისხლის სამართალია. ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ სამართალს საზოგადოების ნორმატიულ სისტემაში თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს. ეს ადგილი განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, იმით, თუ რა ხასიათისაა ამა თუ იმ ნორმატიული სისტემით გამოხატული მოთხოვნა, რომელიც ადამიანს, როგორც საზოგადოებრივი პრაქტიკის სუბიექტს, წარუდგინება. ამ მხრივ დავას არ იწვევს ის დებულება, რომ ადამიანს უკიდურესად მაღალ მოთხოვნას ზნეობა წარუდგენს. ზნეობრივად ადამიანს სიკეთის, როგორც უმაღლესი ღირებულების, ქმნა, დამკვიდრება და დაცვა მოეთხოვება. სიკეთე, მშვენიერება, ჭეშმარიტება, თავისუფლება, მშვიდობა, დემოკრატია და ა. შ. არის ის იდეალური ღირებულება, რომელიც პრაქტიკული განხორციელების ღირსია და ამიტომ უნდა განხორციელდეს. მეორეს მხრივ, ღირებულება, როგორც განსაზღვრული იდეალი შესაბამის სფეროში, იმიტომ უნდა განხორციელდეს, რომ რეალურ სოციალურ სფეროში ის (ღირებულება, მაგალითად, მშვიდობა) სათანადოდ არაა დამკვიდრებული. კაცობრიობის ისტორიაში ომები ხშირია და ის არც მომავალშია გამორიცხული.

მიტომ, მშვიდობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, სხვა ალტერნატივა არა აქვს.

მეორეს მხრით, არსებობს საკუთრივ სამართლის სისტემა, როგორც საზოგადოების ნორმატიული სისტემის სპეციფიკური ელემენტი. როგორც სწორადაა აღნიშნული ფილოსოფიურ ლიტერატურაში, სისტემური კვლევის „შედეგები ნათლად შეტყვევებენ იმაზე, რომ სისტემა, მისი ელემენტი და ა.შ. განისაზღვრება არა მხოლოდ და არა იმდენად მათი სუბსტანციონალური, სუბტრაქტული თვისებებით, არამედ, და უფრო მეტად მათი ადგილით შესაბამის სფეროში და მათ მიერ შესრულებული ფუნქციებით სისტემური მიდგომა, ნაცვლად ცალმხრივი ანალიტიკური მიზნობრივი ახსნისა, ყურადღებას ამახვილებს საკვლევი ობიექტის მთლიანობაზე, ინტეგრაციულ, თვისებებზე, მის სხვადასხვა კუთხეებსა და სტრუქტურაზე.“

სამართლის სისტემა, თავის მხრით, განიხილება ორი ასპექტით, ერთის მხრით იგულისხმება სამართლის მსოფლიო ოჯახები (რომანულ-გერმანული, ანგლო-საქსური და ისლამური). მეორეს მხრით კი, ლაპარაკია თითოეული სახელმწიფოში მოქმედ სამართალზე, რომელიც ამა თუ ხალხის თავისებურებით, ისტორიითა და ტრადიციებით განისაზღვრება, თუმცა, სამართლის ამა თუ იმ მსოფლიო ოჯახს განეკუთვნება; საქართველოში მოქმედი სამართალი კი სამართლის რომანულ-გერმანულ ოჯახს ეკუთვნის.

## § 2. სისხლის სამართალი და სამართლის სხვა დარგები

სამართლის სისტემა, როგორც სამართლის დარგთა ლოგიკური დალაგება ამ სისტემაში სამართლის თითოეული დარგის ადგილის მიხედვით, ობიექტურია, სუბიექტის, ანუ, კანონმდებ-

1 გ. ცინცაძე, მეცნიერული კვლევის სისტემური მეთოდი, თბილისი, 1980, გვ. 64-65.

ლის ნებაზე დამოკიდებული არაა. პირიქით, კანონმდებელი ნორმაშემოქმედების პროცესში უნდა ითვალისწინებდეს სამართლის ამა თუ იმ დარგის სპეციფიკას, მის მიზნებსა და ამოცანებს. არც ისაა შემთხვევითი, რომ სამართლის სისტემის ობიექტურობა სამართლის დარგთა უბრალო ჩამონათვალშიც ვლინდება. ეს ჩამონათვალი იმდენადაა მკაცრად იერარქიული, რომ აქ თვითნებობა გამორიცხებულია. მაგალითად, სისხლის სამართალი მატერიალური (არაპროცესუალური) სამართლის სისტემაში სულ ბოლო საფეხურია. ეს იმით აიხსნება, რომ სამართლის სისტემაში თავისებურად ვლინდება ღირებულებათა გადანაწილების აქსიოლოგიური კანონი. იგულისხმება ადამიანისადმი, როგორც საზოგადოებრივი პრაქტიკის სუბიექტისადმი, წარდგენილი მოთხოვნის ბუნება და ხასიათი. უკვე ითქვა, რომ სისხლის სამართალი გამოხატავს მინიმალურ მოთხოვნას (ანუ, ღირებულებას), რომ დანაშაული არ იქნეს ჩადენილი. დანაშაულის ჩადენისგან თავშეკავების მოთხოვნა მოთხოვნის ის მინიმუმია, რაც კი შეიძლება სამართალმა ადამიანს წარუდგინოს. ამიტომაც, რომ დანაშაული არის სამართლდარღვევის უკიდურესი სახე, ხოლო, სასჯელი სახელმწიფო იძულების უკიდურეს სახეს წარმოადგენს. სამაგიეროდ, სამართლის სისტემის მწვერვალს კონსტიტუციური სამართალი წარმოადგენს, ვინაიდან, იგი თავისი პრინციპებით, დარგობრივი იერარქიის მიხედვით, განსაზღვრავს სამართლის სხვა დარგებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მატერიალური სამართლის სისტემაში საწყისი მომენტია კონსტიტუციური სამართალი, ხოლო სისხლის სამართალი ამ სისტემის დამამთავრებელი საფეხურია. როგორც სწორად აღნიშნავდა ვ. კოგანი, "სისხლის სამართლის მიღმა საერთოდ არაა სამართალი. სისხლის სამართლის მიღმა არის ის უშუალო რეალობა, რომელიც მართლწესრიგს აძლევს სიცოცხლეს."<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, კონ-

<sup>1</sup> ВВ. М. Коган, Логико-юридическая структура советского уголовного права, Алма-Ата, 1966, 43-44.

სტიტუციური სამართლიდან უფრო ნათლად შეიძლება გამოჩნდეს/ სისხლის სამართლის ბუნება. ეს აზრი შეიძლება დაედასტუროთ შემდეგი დებულებით: “ვევალზე უფრო დაბალი ღირებულების საზრისს და ადგილს ღირებულებათა იერარქიაში უმაღლესი ღირებულება ადგენს და არაკვევს”.<sup>1</sup> მართალია, ეს დებულება უფრო აქსიოლოგიურად, ანუ, ღირებულებათა თეორიის მიხედვით ზოგადია, ვიდრე სამართლის სისტემა, მაგრამ, იგი სამართლის სისტემის მიმართაც შეიძლება გამოვიყენოთ კერძოდ, ამ დებულების თანახმად, სამართლის სისტემას იწყებს კონსტიტუციური სამართალი და ამთავრებს სისხლის სამართალი. ცხადია, სამართლის სისტემა დახურული არაა, რადგან, სამართლის ახალი დარგიც შეიძლება აღმოჩნდეს. მაგრამ, თანამედროვე ვითარებაში სისხლის სამართლის ადგილს სამართლის სისტემაში კონსტიტუციური სამართალი ადგენს, ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სამართლის ნებისმიერ დარგში წამყვანი სამართლებრივი ურთიერთობაა. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა კონსტიტუციური ურთიერთობის ანალოგიურად უნდა იქნეს გაგებული. კერძოდ, კონსტიტუციურ ურთიერთობაში წამყვანია სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობა. ბუნებრივია, რომ სისხლის სამართალშიც ურთიერთობა მყარდება სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, აგრეთვე სახელმწიფოსა და ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირებს შორის, მაგრამ არა დანაშაულის ჩადენის გამო, არამედ, პირიქით, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო. დანაშაული, პირიქით, სახელმწიფოს ლოგიკურ უარყოფას წარმოადგენს, რადგან, დანაშაულებრივი ქმედება, ერთის მხრივ, არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, ესე იგი, სახელმწიფოსთან პიროვნების ობიექტურ სამართლებრივ კავშირს, რაც ქმედების მართლწინააღმდეგობით გამოიხატება; მეორეს მხრივ, დანაშაული არღვევს სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტიურ პასუხისმგებლობას, ანუ, სახელმწიფოსთან სუბი-

<sup>1</sup> ნ. ჭუჭუაძე, ესთეტიკის მეთოდლოგიისათვის, თბილისი, 1977, გვ. 28.

ექტურ კავშირს, რაც სუბიექტის უპასუხისმგებლობით, ანუ, ბრალით გამოიხატება.

ამრიგად, სამართლის სისტემა ობიექტურია და იგი კონსტიტუციური სამართლით იწვება და სისხლის სამართლით მთავრდება. ბუნებრივია, რომ შიდა სამართლის ნებისმიერი დარგი ამა თუ იმ სახელმწიფოს კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. ეს, ცხადია, ეხება სისხლის სამართალსაც. კერძოდ, საქართველის სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილში გაცხადებულია, რომ ეს კოდექსი შეესაბამება, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციას. გარდა ამისა, კონსტიტუციური სამართლის სფეროს განეკუთვნება ისეთი ნორმატიული აქტი, როგორცაა: თავშესაფრის უფლება (საქ. სსკ-ის მე-6 მუხლის შესაბამე ნაწილი); ამნისტიისა და შფიცალების აქტები (საქ. სსკ-ის 77-ე და 78-ე მუხლები). გასაგებია ისიც, რომ სისხლის სამართალი, თავის მხრივ, დანაშაულებრივი ხელყოფისგან იცავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, კონსტიტუციურ წესრიგს.

სისხლის სამართალი უკავშირდება ადმინისტრაციულ სამართალსაც, როგორც ერთ-ერთი საჯარო სამართლის დარგს, რომელსაც კონსტიტუციური სამართლის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს. უკვე იყო მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის ნორმებს, ანალოგიურად ადმინისტრაციული სამართლის ნორმებისა, საფუძვლად უდევს სახელმწიფოებრივი ბრძანებანი, ანუ, მოწესრიგების პეტერონომიული მეთოდი. მაგრამ ადმინისტრაციულ სამართალში ურთიერთობის ერთი მხარე არის არა სახელმწიფო, როგორც ეს ხდება სისხლის სამართალში, არამედ სახელმწიფო მმართველობის რომელიმე ორგანო. სრულიად კანონზომიერია ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მმართველობის წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის (იხ. თავი XL). გარდა ამისა, არსებობს ადმინისტრაციული

გადაცდომა, რომელიც დანაშაულთან შედარებით უფრო ნაკლებ საშიშადაა მიჩნეული. მაგრამ, ამ მიმართებით რაოდენობრივი მანკენებელი საქმეს ვერ შევლის. კერძოდ, თუ ადმინისტრაციული სამართალი თვისებრივად სხვაა, ვიდრე, სისხლის სამართალი, მაშინ, ადმინისტრაციული გადაცდომა თვისებრივად სხვა უნდა იყოს, ვიდრე, დანაშაული. მართლაც, დანაშაული უპირისპირდება სახელმწიფოს იდეას. მეორეაირად რომ ვთქვათ, დანაშაული საზოგადოებრივად საშიშია, რადგან, ის საზოგადოებას ტოვებს სახელმწიფოს გარეშე, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული გადაცდომა ხელყოფს სახელმწიფო მმართველობის რომელიმე ორგანოსთან კავშირსა და ურთიერთობას.

სისხლის სამართალი კავშირშია სამართლის სხვა დარგებთანაც და იცავს მათ დანაშაულებრივი ხელყოფისგან. კერძოდ, სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისგან იცავს ფულად-საკრედიტო ურთიერთობას (საქ. სსკ თავი XXVII, აგრეთვე თავი XXVIII – საფინანსო საქმიანობას); სამწარმოო საქმიანობას (თავი XXVI-ე), ეკოლოგიური ხასიათის ურთიერთობებს (თავი XXXVI) და ა.შ. მაგრამ განსაკუთრებული განხილვის ღირსია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მიმართება, რადგან, ამ მხრივ დღემდე სუფევს არაერთი გაუგებრობა. კერძოდ, ყოფილ საბჭოთა კავშირში სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა გაგებულ იქნა ზიანის მიყენების გამო წარმოშობილი, ანუ, დელიქტური ვალდებულების ანალოგიით. კერძოდ, ამტკიცებდნენ, რომ ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ის იურიდიული ფაქტი, რომელიც იწვევს ზიანის აღდგენის გამო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, ისევე, როგორც დანაშაული არის ის იურიდიული ფაქტი, რომელიც თითქოს იწვევს ურთიერთობას სახელმწიფოსა და დანაშაულის ჩამდენ პირს შორის.<sup>1</sup> ცხადია, სამოქალაქო დელიქტისა და დანაშაულის გაიგეება დაუშვებელია,

<sup>1</sup> В. П. Божьев, Уголовно-процессуальные правоотношения, М. 1975, стр. 108.

თუცა, მათი ანალოგიური ნიშნებიც არსებობენ.

უნდა ითქვას, რომ სამართლის ამ ორ დარგს შორის ანალოგია, როგორც მეთოდი, საკმარისი არაა. სისხლის სამართლის ანალოგია სამართლის ნებისმიერ დარგთან შეიძლება, მაგრამ ანალოგია შედარების, როგორც მეთოდის, გარეშე სრულყოფილ დასკვნას ვერ მოგვცემს. კერძოდ, ჯერ ერთი, სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის დარგია, მაშინ, როცა სისხლის სამართალი საჯარო სამართლის დარგს განეკუთვნება, თუცა, როგორც ითქვა, ის საჯარო სამართლისაგანაც განსხვავდება. ამიტომაც, რომ სამოქალაქო სამართალში მატერიალური ზიანი მართლაც არის იურიდიული ფაქტი, რომელიც იწვევს ამ ზიანის აღდგენის გამო ურთიერთობას მოვალესა და კრედიტორს შორის. დანაშაული, იურიდიული თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ ითვლება ჩადენილად, თუ იგი დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. მეორეც, თუ სამოქალაქო სამართალში ზიანი შეიძლება აღსდგეს ნატურით ან ფულადი კომპენსაციით და ამდენად მოქმედებს პირუანდელი, ანუ, ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის პრინციპი, დანაშაული, პირიქით, შეუქცევადია და მისი მატერიალური, თუ მორალურ-პოლიტიკური შედეგების აღდგენა შეუძლებელია (მაგალითად, მკვლელობისას მოკლულს სიცოცხლეს ვერ დაუბრუნებ, ან დანაშაულის მორალურ-პოლიტიკურ შედეგებს ვერ გააბათილებ). ამიტომ, სისხლის სამართალში დანაშაულის ჩადენამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია არა დანაშაულის ასპექტით, არამედ, სასჯელის ასპექტით, როდესაც ყოფილი მსჯავრდებული სასჯელის მოხდის კვალობაზე აღსდგება სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში (საქ. სსკ-ის 39-ე მუხლის შესაბამისად), როგორც ის იყო მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე. მესამე, თუ სამოქალაქო სამართალში ზიანის მიმყენებლის მიმართ ბრალი, როგორც წესი, თარაუდება, ანუ, მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია, სისხლის სამართალში, პირიქით,

როგორც წესი, მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფცია, ვიდრე პირის ბრალი არ იქნება დადგენილი კანონიერ ძალაში შესვლის გამამტყუნებელი განაჩენით.

მიუხედავად ამ სხვაობისა, ფაქტი მაინც ისაა, რომ რიგ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეს თან ახლავს სასარჩელო წარმოებაც, როდესაც, მაგალითად, ქურდობა იწვევს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ ქურდობით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივ ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო დანაშაულის ჩამდენ პირს აკისრებს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც.

უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართალს უფრო მეტი ანალოგიური ნიშნები აქვს არა იმდენად ვალდებულებით სამართალთან, რამდენადაც სახელშეკრულებო სამართალთან. ჯერ ერთი, სისხლის სამართლის კანონი მისი ძალაში შესვლის მომენტიდან ქმნის სისხლის სამართლის სუბიექტის (ფიზიკური და ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირის) ვალდებულებას, მოქმედებდეს მართლზომიერად და ქმნიდეს მართლწესრიგს. ანალოგიურად, ხელშეკრულება მისი ძალაში შესვლის მომენტიდან ქმნის ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთობას. მეორეც, როგორც სისხლის სამართლის კანონში, ისე, ხელშეკრულებაში წინასწარაა გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის ან, პირიქით, შეუსრულებლობითვის. მესამე, როგორც სისხლის სამართლის კანონის, ისე ხელშეკრულების დარღვევა ახალ, სისხლისსამართლებრივ თუ სახელშეკრულებო ურთიერთობას კი არ იწვევს, არამედ, სამართალდამრღვევი გადის როგორც სისხლის სამართლის კანონის, ისე, სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებს გარეთ და სამართალდარღვევისთვის ნაკადიური პასუხისმგებლობა წყდება როგორც სისხლის სამართლის კანონის, ისე, ხელშეკრულების საფუძველზე.



სისხლის სამართალი დაკავშირებულია სამეწარმეო-სამართალთან, აგრეთვე უფრო კონკრეტულ ურთიერთობებთან, მელსაც აწესრიგებს საკორპორაციო სამართალი და სააქციო სამართალი. ამ ასპექტით, გარდა იმისა, რომ საქმე ეხება მეწარმეთა პასუხისმგებლობის პრობლემებს, ყურადღებას იქცევს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემაც.

სისხლის სამართალი მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის პროცესთან, (აგრეთვე საპროცესო სამართალთან) და ეს ბუნებრივია, რადგან, დანაშაულის ჩადენა ფუნქციონალურად იწვევს არა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობას, რომლის ფარგლებში ხდება ჩადენილი ქმედების გამოძიება და სასამართლო განხილვა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მატერიალური სისხლის სამართლის შესაბამისად უნდა აიგოს. მაგალითად, მტკიცების საგნის ცნება ძირითადად ნასესხებია საქ. სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის თანახმად, დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. უფრო მეტიც, მთელი რიგი პროცესუალური პრინციპისა სისხლის სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა აიხსნას. მაგალითად, არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის გაგებას საფუძვლად უნდა დაედოს დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი, ანუ სამწვეროვანი დაყოფა, რომლის თანახმად, ბრალი ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ელემენტი კი არაა, როგორც ეს დანაშაულის ცნების რუსულ მოდელშია მიღებული, არამედ, დანაშაულის ბოლო, მესამე, ელემენტი. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელება კი, ჯერ კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ ეს ქმედება ბრალეულადაა ჩადენილი, ვიდრე, სუბიექტის ბრალი ამ ქმედების ჩადენაში არ იქნება დადგენილი კანონიერ ძალაში

შესული გამამტყუნებელი განაჩენით. პრობლემაურია დანაშაულის ცნების სამწვეროვანი დაყოფა და ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველი<sup>1</sup> (თუმცა, ამ საკითხს უფრო ღრმა კვლევა სჭირდება).

სისხლის სამართალი მჭიდრო კავშირშია სასჯელაღსრულებით სამართალთან, რადგან, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდის წესი და პირობები მსჯავრდებულის გამოსწორებისა და რესოციალიზაციის მიზანს უნდა ემსახურებოდეს. მაგრამ, სასჯელის სათანადოდ აღსრულება განსაკუთრებით რთულია. ამიტომ, სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

სისხლის სამართალი მჭიდრო კავშირშია საერთაშორისო სამართალთან, მის პრინციპებთან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილში გაცხადებულია, რომ ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საფოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. როგორც აღნიშნულია, „საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, საგაჭრო, კულტურული და სხვა ურთიერთობის იურიდიული ჩარჩოა.“<sup>2</sup> სახელმწიფოთა ურთიერთობებში არაერთი ქცევის წესი, ანუ, ნორმა იქმნება, მაგრამ ყველა მათგანი საერთაშორისო სამართალს როდი განეკუთვნება. საერთაშორისო სამართალი მრავალი თავისებურებით ხასიათდება, მაგრამ ამჯერად დგება საკითხი იმის თაობაზე, არსებობს თუ არა საერთაშორისო სისხლის სამართალი? ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ მონათმფლობელური სახელმწიფოები ცდილობდნენ, ერთობლივი ძალისხმევით ჩაეჭმით ამა თუ იმ ქვეყანაში მონათა აჯანყებანი. მაგრამ საერთაშორისო სისხლის სამართლის შექმნაში დიდი რო-

<sup>1</sup> ვ. ნაჭყვებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, გვ. 84-94.

<sup>2</sup> ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2008, გვ. 4.

ლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში გერმანელს და იაპონელი სამხედრო პირების მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულებას მზილებამ, კვალიფიკაციამ (დანაშაული მშვიდობის, კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ) და მთავარ სამხედრო პირების დასჯამ ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალების წესდებების შესაბამისად. მას შემდეგ მსოფლიოში საკმაოდ ბევრი ცვლილება მოხდა და კიდევ უფრო განმტკიცდა აზრი და იურიდიული ბაზა საერთაშორისო სისხლის სამართლის ჩამოყალიბებისთვის. კერძოდ, მიუხედავად კაცობრიობის ზოგად განვითარებაში მნიშვნელოვანი პროგრესისა, საერთაშორისო ხასიათისა და საერთაშორისო დანაშაულობანი (მეკობრეობა, გენოციდი, დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაულობანი და სხვა) კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, იზრდება. დღითიდღე იზრდება ამ ხასიათის დანაშაულის ჩამდენ პირთა საერთაშორისო კავშირები, მატულობს ამ დანაშაულთა ინტერნაციონალიზაციის ხარისხი. ამდენად, დგება საერთაშორისო სისხლის სამართლისა და მისი პრინციპების ჩამოყალიბების პრობლემა. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტია არა პირიუვნება ინდივიდუალურად, არამედ სახელმწიფო, ხოლო დანაშაულებრივი ქმედებისთვის კი, როგორც წესი, პასუხს აგებს ადამიანი, როგორც ინდივიდი, ცხადია, მათ შორის თანამონაწილეობის ფორმაში. საქმე ეხება, ერთის მხრივ, საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს, ხოლო მეორეს მხრივ, — შიდაეროვნული სისხლის სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების გამოყენებას ამ უკანასკნელთა სპეციფიკის შესაბამისად. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, საერთაშორისო სისხლის სამართალი არის საერთაშორისო სამართლისა და სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპების კომბინაცია.<sup>1</sup> ასეთივე მოსაზრებას ხსენებულ საკითხზე გამოთქვამს **გერჰარდ შერლმეც**.<sup>2</sup> გარდა ამისა, საერთაშორისო სისხლის

<sup>1</sup> K. Ambos, Der Allemeiner Teil des Volkerstrafrechts, Berlin, 2002, s. 40.

<sup>2</sup> C. Werle, Volkerstrafrecht, Berlin, 2003.

სამართლის არსებითი თავისებურება ისიცაა, რომ იგი თავისთავში აერთიანებს არა მარტო მატერიალური სისხლის სამართლის ნორმებს, არამედ, სისხლის სამართლის პროცესუალურ ნორმებს და ნორმებს საერთაშორისო სასამართლო წყობილების შესახებაც კი.

ცნობილია, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტის (მიღებულია 1998 წელს რომში საერთაშორისო დიპლომატიურ კონფერენციაზე), შესაბამისად გადაწყდა პაავის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა. საქართველო შეუერთდა რომის სტატუტს, რომლის რატიფიკაციით მან აღიარა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია.<sup>1</sup>

საქმე ისაა, რომ საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იგი შეუერთდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. 1999 წლის 27 აპრილს საქართველო გახდა ვროსაბჭოს წევრი სახელმწიფო, ხოლო იმავე წლის 20 მაისიდან საქართველოში ამოქმედდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მიღებულ იქნა 1950 წლის 4 ნოემბერს), როგორც მოქმედი კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი.<sup>2</sup> საქართველოში ამ კონვენციის გამოყენების პრობლემებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა კ. ჯორჯელიამ. აღნიშნული კონვენციითა და მისი ოქმებით დაცულია, მაგალითად, სიცოცხლის უფლება, აკრძალულია წამება, მონობა და იძულებითი შრომა, გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება და სხვა.

არ შეიძლება მოკლედ მაინც არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბოლო ხანებში უკვე სერიოზულად მსჯელობენ ევროპული სისხლის სამართლის შესახებაც. იგი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლის სისტემიდან აღმოცენდა. საქმე ეჭება ამ სახელმწი-

<sup>1</sup> მ. ტურაეა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2010, გვ. 19.

<sup>2</sup> კ. ჯორჯელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004.

ფოთა საერთო ინტერესების დაცვას, რის გამოც ვეროპული სისხლის სამართლის პრობლემა საგანგებო კვლევის საგნად იქცა. ის არის საკუთარი სახის მქონე სამართლებრივი მატერია, რომელიც როგორც ვეროგაერთიანებისა და საერთაშორისო სამართლის, აგრეთვე ეროვნული სისხლის სამართლის გავლენით შეიქმნა.<sup>1</sup> ვეროპული სისხლის სამართლის პრობლემებს ვრცელი გამოკვლევა უძღვნა სამართლის დოქტორმა მერაბ ტურავამ. მან ჩამოაყალიბა როგორც ვეროპული სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები, ისე, ამ მიმართებით სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილის ერთიანობა, თუცა, კერძო ნაწილის უპირატესობით, რადგან, ამ მხრით წამყვანია ცალკეულ დანაშაულთა თავისებურებანი, როგორცაა, მაგალითად, ორგანიზებული დანაშაული, ტრეფიკინგი, ფულის გათურება, ტერორიზმი, ნარკოტიკებით აკრძალული ვაჭრობა და სხვა.<sup>2</sup>

<sup>1</sup>B. Hecer, *Europische Strafrecht*, Heidelberg, 2007, s. 3-5.

<sup>2</sup>მ. ტურავა, *ვეროპული სისხლის სამართალი*, თბილისი, 2010.

## § 1. ზოგადი დებულებანი

„პრინციპი ლათინური წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს პირველსაწყისს, სახელმძღვანელო იდეას, ქცევის ძირითად წესს, რითაც ხელმძღვანელობენ პრაქტიკულ, თუ თეორიულ საქმიანობაში. ამგვარი საწყისები და ამოსავალი იდეები გამოხატულებას პოულობენ საზოგადოების ნორმატიულ სისტემაშიც. ზნეობა, რელიგია, პოლიტიკა, სამართალი (და ზოგიერთი სხვა) გულისხმობს როგორც უზოგადეს, ისე თითოეულისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პრინციპებს. აქედან ის დასკვნაც გამოდინარეობს, რომ ამგვარ პრინციპებს ნორმატიული ბუნება აქვთ და შესაბამისად, სუბიექტს ავალდებულებენ, მოიქცნენ მათი მოთხოვნის მიხედვით ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ამ პრინციპების გამოვლენის თავისებურებაც. მაგალითად, ზნეობაში აღაძვინათა საქციელი ამგვარი ზოგადი პრინციპების მიხედვით ფასდება, მაშინ, როცა სამართალში პრინციპი გაშუალებულია შესაბამისი ნორმატიული აქტებით. კერძოდ, სამართლის ზოგადი პრინციპები წინ უსწრებენ ნორმატიული აქტების შემუშავებას და შესაბამისად, განსაზღვრავენ კანონშემოქმედებით საქმიანობას. მეორენაირად რომ ვთქვათ, სამართლის პრინციპები მიმართული არიან სახელმწიფოზე, ან მის ორგანოებზე, რათა ნორმატიული აქტები ამ პრინციპების შესაბამისად შემუშავდეს. ამიტომაც, რომ თითოეული ნორმატიული აქტი, თავის მხრივ, უფრო კონკრეტულად გამოხატავს სამართლის ამა თუ იმ დარგის პრინციპებს, კერძოდ, ამ დარგის ნორმებსა და ინსტიტუტებში.

ნათქვამი, განსაზღვრული სპეციფიკით, უეჭველად ეხება სისხლის სამართალსაც, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგია, რომელიც პრაქტიკულად

საზოგადოების ნორმატიულ სისტემაში მოქმედებს. ამიტომაც, რომ სისხლის სამართალში სპეციფიკურად ვლინდება სამართლის როგორც ზოგადი, ისე, თავისი საკუთარი პრინციპები. სამწუხაროდ, ხშირია ამ პრინციპების აღრვეის ტენდენცია. კერძოდ, იმის გამო, რომ სისხლის სამართალში სპეციფიკურად ვლინდება სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა, როგორც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სტრატეგიული და ტაქტიკური ხერხების ერთიანობა, პოლიტიკის პრინციპები სისხლის სამართლის პრინციპებთან იშვიათად არ იყო გაიგივებული. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახლდათ ყოფილ საბჭოთა კავშირში, რადგან, ამ სისტემაში პოლიტიკური ღირებულება ღირებულებათა იერარქიის სათავეში მოექცა და მან ზნეობრივი ღირებულებაც კი დაჩრდილა. სინამდვილეში კი, პირიქით, სიკეთეზე უფრო მაღალი ღირებულება არ არსებობს და, მაშასადამე, ზნეობრივი ღირებულება, ამ თვალსაზრისით, განმსაზღვრელია. ამიტომაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველეს ობიექტად აღიარებულია ადამიანი (მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება და ა.შ.), მაშინ, როცა ყოფილ საბჭოთა კავშირში სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველეს ობიექტად მიჩნეული გახლდათ სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი.

ცხადია, პოლიტიკას თავისი პრინციპები აქვს და ზოგიერთი მათგანი სისხლის სამართალშიც ვლინდება. მაგალითად, დემოკრატიზმი პოლიტიკის პრინციპია, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის კანონშემოქმედებაში საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობას, რათა საზოგადოების ყველა დელიქტუნარიანმა წევრმა ნებაყოფლობით იკისროს სისხლის სამართლის კანონის აღსრულების პასუხისმგებლობა. სამაგიეროდ, კანონიერება სამართლის ზოგადი პრინციპია, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს პოლიტიკური საქმიანობის ძირითად მიმართუ-

ლებებს, რადგან, კანონიერების გარეთ არც პოლიტიკური საქმიანობა არსებობს. აქედან ის დასკვნაც გამოძინარეობს, რომ პოლიტიკა ზემოქმედებს სამართალზე, მაგრამ ამ უკანასკნელსაც გააჩნია პოლიტიკაზე უკუზემოქმედების უნარიც.

მეორეს მხრივ, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ კრიმინალიზაციის პოლიტიკური საწყისები და საკუთრად სისხლის სამართლის საწყისები. კერძოდ, პოლიტიკური მიზანშეწონილობის გარეშე ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადება შეუძლებელია, ხოლო, სისხლის სამართლის პრინციპები კრიმინალიზაციის პროცესის (ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციის) მომწესრიგებელი მოთხოვნებია, რომელსაც კანონმდებელი უნდა დაემორჩილოს, რათა სისხლის სამართლის კანონი ამ მოთხოვნების მიხედვით აიგოს. მაგალითად, კანონიერების პრინციპი სისხლის სამართალში იმას ნიშნავს, რომ დანაშაული და სასჯელი გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კანონში. სისხლის სამართლის ყველა პრინციპი ამ მიმართებით კანონმდებლის საქმიანობას განსაზღვრავს. ამიტომაც აუცილებელია, რომ ერთმანეთში არ აგვერიოს სისხლის სამართლის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის სამართლის კანონშემოქმედებას, და ამ პრინციპების გამოვლენა ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნის ეტაპზე. სამწუხაროდ, ამგვარი აღრევები ხდებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში და იგი არც სადღეისოდ იშვიათი. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე ბატონობს დანაშაულის ჩადენის გამო სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის იდეა, რომლის ლოგიკით, სისხლის სამართლის პრინციპები სასჯელის დანიშვნის პროცესს აწესრიგებენ. ამ თვალსაზრისში, რომელიც თავისთავად და არსებითად მიუღებელია, დაუიწყებელია სისხლის სამართლის პრინციპების წარმოშობა-განვითარების ისტორია. კერძოდ, ცნობილია, რომ ფეოდალური თვითნებობის პირობებში სამართლის ზოგადი



პრინციპების წარმოდგენაც კი შეუძლებელი გახლდათ ამიტომ იყო, რომ ამგვარი პრინციპების საქვეყნოდ გაცხადება ხდებოდა და ანტიფეოდალური რევოლუციების ეპოქაში. ამგვარ ზოგად საწყისებს, თავის მხრივ, ნიადაგი მოუშადას ე.წ. განმანათლებელთა იდეებმა საფრანგეთში (დიდრო, ვოლტერი, რუსო, მარატი). ისიც ცნობილია, რომ განმანათლებლობამ დიდი გავლენა მოახდინა სამართლებრივ იდეებზეც, მათ შორის, სისხლის სამართლის პრინციპების ჩამოყალიბებაზე და მათ შემდგომ განვითარებაზეც. კერძოდ, იტალიელმა კრიმინალისტმა **ჩეზარე ბეკარია**მ თავის სახელგანთქმულ ნაშრომში („დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ“) **შან-შაკ რუსოს** პროგრესულ შეხედულებათა ზეგავლენით ჩამოაყალიბა სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები, რომელთაც არა მარტო ანტიფეოდალურ ეპოქებში, არამედ, დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. მაგალითად, კანონიერების პრინციპი, **ჩეზარე ბეკარიას** მიხედვით, ნიშნავდა სახელმწიფოს, როგორც სუვერენული სუბიექტის, მტკიცე დავალებულებას, რომ დანაშაულებრივი ქმედება და სასჯელი ამ ქმედებისთვის გათვალისწინებული ყოფილიყო სისხლის სამართლის კანონით.

მოკლედ განვიხილოთ სისხლის სამართლის პრინციპები.

## § 2. კანონიერების პრინციპი

კანონიერების პრინციპი სამართლის ზოგადი პრინციპია, მაგრამ იგი სპეციფიკურად ვლინდება სისხლის სამართალშიც. კერძოდ, აღნიშნული პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ანალოგიის აკრძალვას და ლეგალიობის პრინციპის დამკვიდრებას. მართლაც, კანონიერების პრინციპის თანახმად, ყველა ქმედება, რომელსაც სახელმწიფო დანაშაულად მიიჩნევს, გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კანონში. ეს დებულება გამოთქმული გახლდათ ლათინური ფორმულით (Nullum

crimen sine lege) ე.ი. „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“ მუორე დებულება, რომელიც კანონიერების პრინციპს სასჯელის ასპექტით გამოთქვამს, შემდგომში მდგომარეობს (Nulla poena sine lege) ე.ი. „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე.“

ამრიგად, კანონიერების პრინციპის თანახმად, ყოველი ქმედება, რომელსაც სახელმწიფო დანაშაულად მიიჩნევს და ყოველი სასჯელი, ან ზემოქმედების სხვა სახე, რომელსაც სახელმწიფო გამოიყენებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კანონში. სამსუხაროდ, გამონაკლისი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირი, სადაც სისხლის სამართლის სფეროში დაშვებული იყო ანალოგიის პრინციპი, ე.ი. სისხლის სამართლის იმ ნორმის გამოყენება, რომელშიც ჩადენილი ქმედება პირდაპირ და უშუალოდ არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ეს ქმედება რაიმე ნიშნებით ემსგავსებოდა ნორმით გათვალისწინებულ ქმედებას. ამ პრინციპს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სიძველეებით ამართლებდნენ, მაშინდელს, რთულსა და ცვალებად ვითარებაში, თითქოს შეუძლებელი გახლდათ ყველა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების გათვალისწინება სისხლის სამართლის კანონში. ცხადია, სისხლის სამართლის კანონში ყველა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების გათვალისწინება იოლი საქმე არაა, მაგრამ აღნიშნული ანალოგია მაინც პოლიტიკური მიზანშეწონილობით უფრო აიხსნებოდა, ვიდრე არსებული ვითარების ცვალებადობით.

ცხადია, ანალოგიის დაშვება არ გამორიცხავს თვითნებობას და უკანონობას, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის საბაბით ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების უხეშ დარღვევას. ამიტომ იყო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის პროგრესულად მოაზროვნე კრიმინალისტები (მათ შორის იყო პროფ. **თ. ჯირაქიძე**) ყოველნაირად ასაბუთებდნენ ანალოგიის გაუქმების აუცილებლობას. ანალოგია საბჭოთა კავშირში გაუქმდა 1958 წელს, როდესაც მიიღეს „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლო

ბის საფუძვლები“, რომლის მე-7 მუხლში ჩაიწერა: „**დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება...**“ ამ დროიდან ანალოგია აიკრძალა და დამკვიდრდა ლეგალიზაციის პრინციპი, რომლის თანახმად, დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ ის ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. ცხადია, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ანალოგია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ასპექტით გამორიცხებულია, რადგან, სწორედ სისხლის სამართლის კერძო ნაწილშია გათვალისწინებული ცალკეული დანაშაული (მკვლელობა, ყაჩაღობა, ბანდიტიზმი, გენოციდი და ა.შ.) და მათი შესატყვისი შემადგენლობანი.

ნორმის გამოყენება ანალოგიის წესით არაა გამორიცხული სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, როდესაც საქმე ეხება ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას, ან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ცალ-ცალკე არაა გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ გარემოებათა დადგენას. თუ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს უნდა მიეცეს შეზღუდული ახსნა-განმარტება, შემამსუბუქებელ გარემოებას, პირიქით, ფართო ახსნა-განმარტება უნდა მიეცეს, რაც

თავის მხრივ, ანალოგიის წესით კანონის ნორმის გამოყენებას ც/ გულისხმობს (მაგ. საქ. სსკ-ის 32-ე და 38-ე მუხლები პირდაპირი იძლევა ანალოგიით ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის გამოძირიკველ გარემოებათა გამოყენების შესძლებლობას).

კანონიერების პრინციპი სისხლის სამართალში ვლინდება არა მარტო დანაშაულის ასპექტით, არამედ სასჯელის ასპექტითაც. კერძოდ, სასჯელს, ან ზემოქმედების სხვა ზომებს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადგენს მხოლოდ სახელმწიფო, როგორც კანონმდებელი. გარდა ამისა, სასჯელის სახეები ზუსტადაა ჩამოთვლილი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში (მუხ. მე-40). ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ჩამონათვალში მოუხსენიებელი სასჯელის გამოყენება დაუშვებელია. მეორეს მხრივ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში თითოეული დანაშაულებრივი ქმედების აღწერასთან ერთად გათვალისწინებულია შესაბამისი სასჯელები, რაც სასამართლომ კანონის ფარგლებში და შესაბამისად შეიძლება გამოიყენოს. დაუშვებელია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ამა თუ იმ მუხლით გაუთვალისწინებელი სასჯელის გამოყენება.

კანონიერების პრინციპი გამოხატულებას პოულობს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ნორმებშიც. კერძოდ, ამ კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს ის, რომ, როგორც წესი, გამოყენებული უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენის დროისთვის მოქმედი კანონი. გამონაკლისია სისხლის სამართლის კანონის უკუძალა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ნიშნავს ახალი კანონის გავრცელებას ამ კანონის ძალაში შესვლამდე ჩადენილი ქმედების მიმართ, თუ ეს ახალი კანონი აუქმებს ძველი კანონით გათვალისწინებული ქმედების დასჯადობას, ე.ი. როდესაც ახალი კოდექსი დანაშაულად არ აცხადებს მას, ან ახალი კანონი ძველ კანონთან შედარებით

ამსუბუქებს სასჯელს. მაშასადამე, დანაშაულის ჩადენის დრო  
ისთვის მოქმედი კანონის გამოყენების მოთხოვნა კანონიერების  
პრინციპის თავისებური გამოვლენაა, რადგან, სუბიექტი (ფიზი-  
კური, თუ იურიდიული პირი) უნდა იქცეოდეს მოქმედი კანონის  
შესაბამისად. რა თქმა უნდა, კანონიერების პრინციპი სისხლის  
სამართლის კოდექსის სხვა ნორმებშიც გამოიხატება, მაგრამ  
ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ კანონიერების პრინციპის  
შინაარსობრივ მხარეს, რადგან, არ არის გამორიცხული სისხლის  
სამართლის საკანონმდებლო შემადგენლობისადმი ჩადენილი  
ქმედების ფორმალური შესაბამისობა, როდესაც ამ ქმედებას  
არ გამოუწვევია დანაშაულისთვის ნიშანდობლივი ზიანი, ან არ  
შეუქმნია ამგვარი ზიანის საფრთხე (საქართველოს სისხლის  
სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი). ამკარაა, რომ  
კანონთან ქმედების ფორმალური შესაბამისობა ქინაალმდგევა  
კანონიერების პრინციპს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ სისხლის  
სამართალი ქმედების სამართალია. კერძოდ, კრიმინალიზაციის  
ობიექტია არა პიროვნება, ან მისი შეხედულებანი, აზრთა წყობა თუ  
ხასიათი, არამედ, ქმედება, როგორც პიროვნების აზრთა წყობის  
გამოხატვის კონკრეტული ხერხი. იგულისხმება, რომ ნების  
გარეგანი აქტის გარეშე დანაშაულებრივი ქმედება შეუძლებელია.  
დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც მოქმედების, ისე  
უმოქმედობის გზით, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგულისხმება  
ქმედების გარეგანი აქტი, როგორც დანაშაულის შემადგენლობის  
ობიექტური მხარე. ცხადია, დებულება, რომ დანაშაული ადამი-  
ანის ნების გარეგანი აქტია, არ ნიშნავს სუბიექტისთვის ამ დანაშა-  
ულებრივი ქმედების სასურველობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდეს-  
აც სუბიექტი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. იგულისხმება,  
რომ დანაშაულებრივი ქმედება სუბიექტის ნებელობითი საქცი-  
ელისგან მოწვევით შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს, რომ  
კრიმინალიზაციის ობიექტია არა მარტო ნების გარეგანი აქტი,  
არამედ, სუბიექტის ქცევის ფსიქიკურ საზრისში გამოხატული მისი

უპასუხისმგებლობაც, რადგან, სისხლის სამართლის სუბიექტი არა მარტო ვალდებულია მოიქცეს სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად, არამედ, მოწოდებულია სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის ვითარებაში აღასრულოს მართლზომიერი ქმედების ვალდებულება. მაშასადამე, კრიმინალიზაციის ობიექტია შერაცხადი პირის ქმედება. შემთხვევითი არაა, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია სწორედ ისეთი ქმედება, რომლის ჩადენა შესაძლებელია ბრალეულად, ამიტომაც, რომ შეურაცხაობასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყვეტილია სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში და არა კერძო ნაწილში.

ამრიგად, სისხლის სამართალი ქმედების სამართალია. ეს იმასაც ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები მეტი თუ ნაკლები სისრულით აღწერილია სისხლის სამართლის კანონში. უფრო სწორად, დანაშაული, როგორც უკვე ითქვა, არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. დანაშაულის ამ ნიშნებში უპირველესია დანაშაულის შემადგენლობა. როგორც ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთიანობა. დანაშაულის შემადგენლობის ზოგიერთი ნიშანი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში (დაუმთავრებელი დანაშაულისა და როლების განაწილებით დანაშაულში თანამონაწილეობისას), მაგრამ დანაშაულის შემადგენლობა არსებითად აღწერილია სისხლის სამართლის კერძო ნაწილში. აქედან ის დასკვნაც გამოძინარეობს, რომ დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის შექმნა დანაშაულობათა წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ ბრძოლაში კანონიერების საგარანტიო ფუნქციას ასრულებს. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში უკანონობას და სრულიად გაუმართლებელ რეპრესიებს სწორედ ის განაპირობებდა, რომ არსებითად გვერდს უვლიდნენ იმ საკანონმდებლო შემადგენლობებსაც კი, რაც იმ დროის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასე თუ ისე არსებობდა. გარდა ამისა, პოლიტიკური თვალსაზრისით იყო გა-

მართლებული ისეთი აბსტრაქტული შემადგენლობის შექმნა, როგორც იყო ე.წ. ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა, როგორც განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ნაირსახეობა, რომელიც ფაქტობრივად დისიდენტობის წინააღმდეგ იყო მიმართული და ნიშნავდა სასჯელს აზრისთვის, შებედულებისთვის.

წარსულის ამ მწარე გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა გადადგა არსებითი ნაბიჯი წინ, როდესაც მასში ნაცადია დანაშაულთა ბუნების შესაბამისი შემადგენლობების შექმნა, რაც საშუალებას იძლევა იმისთვის, რომ ჩადენილი ქმედება დანაშაულად დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად. ეს ბუნებრივია, რადგან, ამ კოდექსში შესაბამისად გათვლილია დანაშაულის ჩადენის ყველა შესაძლო ვარიანტი, რის გამოც კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფა არსებითად შესაძლებელი ხდება.

ამრიგად, სისხლის სამართალში კანონიერების პრინციპი ნიშნავს არა მარტო ქმედების ფორმალურ შესაბამისობას ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობასთან, არამედ, თვით ამ ქმედების ზუსტ საკანონმდებლო აღწერას და მის სისხლისსამართლებრივ შეფასებას.

### § 3. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი ერთ-ერთი კონსტიტუციური პრინციპია, რომელიც გამოხატულებას სისხლის სამართალშიც პოულობს. ამ პრინციპს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფად. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კატეგორიულად კრძალავს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შებედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე



წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნი-  
ლების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი  
მდგომარეობის გამო (საქ. სსკ-ის 142-ე მუხლი).

ამკარაა, რომ ამ მუხლში გათვალისწინებულია, ზემოთ ჩა-  
მოთვლილი ნიშნების მიხედვით, ადამიანთა თანასწორუფლები-  
ანობის დარღვევის ყველა შესაძლებელი ვარიანტი, ე.ი. ამ ნიშნების  
მიხედვით რომელიმე მათგანსთვის უპირატესობის მინიჭება ან  
პირიქით, შეზღუდვა, რაც არსებითად ხელყოფს ადამიანის უფლებას.  
(რასობრივი დისკრიმინაცია — საქ. სსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლი) აგრეთვე  
შეზღუდული შესაძლებლობის პირის უფლების დაცვაზე უარის  
თქმა (142<sup>2</sup>-ე მუხლი). 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნ-  
ქტი ამძიძებს პასუხისმგებლობას მკვლელობისთვის რასობრივი,  
რელიგიური, ეროვნული, ან ეთნიკური შეუსწნარებლობის გამო,  
რომ არაფერი ვთქვათ გენოციდზე (მუხლი — 407-ე). აქედან  
გამომდინარე, კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. ეს  
ჭება იურიდიულ პირსაც, რომლის რაიმე ნიშნით დისკრედიტაცია  
ან, პირიქით, მისთვის რაიმე უპირატესობის მინიჭება დაუშვე-  
ბელია. სისხლის სამართალში ეს იმას ნიშნავს, რომ მართლზო-  
მიერი ქმედება ყველა დელიქტუნარიანი პირისთვის (აგრეთვე,  
იურიდიული პირისთვის) თანაბრად საუკლდებულოა. თანაბრად  
აუცილებელია მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი  
სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლური დამოკიდებულებაც,  
როგორც მართლზომიერი ქმედების ჩადენის ერთ-ერთი პირობა.  
აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს წინაშე  
პოზიტიური პასუხისმგებლობის ობიექტია მართლზომიერი ქმე-  
დება, როგორც მართლწესრიგის შექმნის პირობა. ბუნებრივია, თუ  
ნეგატიური პასუხისმგებლობის ობიექტია სისხლის სამართლის  
კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალე-  
ული ქმედება, ე.ი. დანაშაული. მაშასადამე, კანონის წინაშე  
თანასწორობის საგარანტიო ფუნქციას ასრულებს სისხლის  
სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. ამგვარი



ქმედების ჩამდენი პირი უნდა მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში ამ მხრივ აღიარებული იყო კლასობრივი პრინციპი, რომლის თანახმად, უფრო მკაცრად ისჯებოდა ე.წ. ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენელთა მიერ დანაშაულის ჩადენა მაშინ, როდესაც ამ მხრივ არსებითი შეღავათები ენიჭებოდათ მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლებს. ამგვარი მიდგომა სადღეისოდ არ არსებობს, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ყველა პირი თანაბრად უნდა დაისაჯოს. ჯერ ერთი, პასუხისმგებლობა მკაცრად პერსონალურია. მეორეც, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი საქმის ვითარების იურიდიულ მხარეს გამოხატავს მაშინ, როდესაც არსებობს ადამიანთა შორის ფაქტობრივი განსხვავება, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება უფლება-მოვალეობათა განსხვავებაშიც. ამიტომაც, რომ პასუხსაგებ თანამდებობაზე მყოფ მოხელეს მეტი მოეთხოვება, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეს, ერთი და იმავე დანაშაულისთვის ქალებს, როგორც წესი, უფრო მსუბუქად სჯიან, ვიდრე, მამაკაცებს; უცხოელს შეიძლება რაიმე შეღავათი გაეწიოს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც კარგად იცის საქართველოს კანონმდებლობა, სახელმწიფო ენა და ა.შ. მაგრამ ეს საკითხი სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს უკავშირდება და ოდნუადაც არ არყვეს პრინციპს, რომლის თანახმად, ყველა პირი კანონის წინაშე თანასწორია სისხლის სამართალშიც, ხოლო, ამ მხრივ თანასწორობის გარანტიას სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენს.

#### § 4. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრება სამართლებრივი კულტურის მაღალი დონის მონაპოვარი და მანუვრებელია. მართლაც, ცნობილია, რომ დაბალი სამართლებრივი

კულტურის ეპოქებსა და ხალხებში ასამართლებდნენ არა მარტო ადამიანებს, არამედ, ცხოველებსა და საგნებსაც კი. სინამდვილეში დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ადამიანს შეუძლია. დანაშაული, როგორც უკვე ითქვა, არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მაშასადამე, ბრალი დანაშაულის მესამე ელემენტია. ეს იმასაც ნიშნავს, რომ არ არსებობს დანაშაული ბრალის გარეშე. ამ დებულებას თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში არაეინ უარყოფს, თუმცა, ზოგიერთი გამონაკლისიც არსებობს. კერძოდ, ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში, მართალია, არ უარყოფენ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ ზოგჯერ, პრაგმატისტული ფილოსოფიის ზეგავლენით, უშვებენ ბრალეულობის პრეზუმფციას, რომლის თანახმად, ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში სუბიექტის ბრალი თითქოს ყოველთვის იფარაუდება. ბრალეულობის პრეზუმფციის დაშვება, ამ იდეის ავტორთა აზრით, არსებითად ამცირებს მტკიცების ტვირთის უზარმაზარ ხარჯებს. სინამდვილეში კი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს ბრალის გარეშეც. ეს ბუნებრივია, რადგან, ადამიანის ქმედება მიმართულია გარესამყაროზე და მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვშია ჩართული. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოებისთვის საზიანო შედეგი შეიძლება გამოიწვევოს იქნეს სუბიექტის ნების საწინააღმდეგოდ. ცხადია, „ნება“ აქ არ გულისხმობს სუბიექტის მხოლოდ სურვილს, არამედ, მასში იგულისხმება სუბიექტის ცნობიერი აქტიუობაც. კერძოდ, როდესაც სუბიექტს, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი ქმედების მაგნე შედეგისა, უპასუხისმგებლობა არ გამოუჩენია, იგი მოქმედებს ბრალის გარეშე, თუმცა ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

ამრიგად, მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს ბრალის გარეშეც. ამიტომ დებულება, რომ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში სუბიექტის ბრალი ყოველთვის უნდა იფარაუდებოდეს, არსებითად სწორი არ არის. პირიქით, იმ შემთხვევაშიც

კი, როდესაც სუბიექტს განხორციელებული აქვს დანაშაულის <sup>არა</sup> მელიძე შემადგენლობა, რომლის მართლწინააღმდეგობა <sup>არა</sup> იწვევს, სუბიექტი მაინც არაბრალეულია, ვიდრე მისი ბრალი დადგენილი არ იქნება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით მაშასადამე, სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, მაშინ, როცა სამოქალაქო სამართალში, როგორც წესი, პირიქით, დაშინანებლის ბრალი ყოველთვის ივარაუდება, ვიდრე, იგი თვითონ არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს და არა ბრალდებულს. ბრალდებულის ფიგურა კი ბრალთან რაიმე შეხების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, რომ სისხლის სამართალში ბრალის ცნებასა და ფორმებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი მიმართულია კანონმდებელზე, რათა ამ უკანასკნელმა სისხლის სამართლის კანონშივე გადაწყვიტოს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის განხორციელების ობიექტური და სუბიექტური წინამძღვრის საკითხი. ამ მხრივ უპირველესია სუბიექტური შერაცხვის პრინციპის საკანონმდებლო გადაწყვეტა. იგულისხმება შერაცხაობის ცნება, როგორც სპეციალურ-იურიდიული ფენომენი, ანუ, სუბიექტის უნარი — პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის (ე.ი. შერაცხაობა ასაკისა და სულიერი ჯანმრთელობის გამო (სსკ-ის 33-ე და 34-ე მუხლების შესაბამისად). სისხლის სამართლის კოდექსითვალისწინებს აგრეთვე შეზღუდული შერაცხაობის ცნებას (სსკ-ის 35-ე მუხლი), რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ბრალეული პასუხისმგებლობის საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტისთვის.

კანონმდებელს მხედველობიდან არ რჩება ერთ შემადგენლობაში ბრალის ორი ფორმის შესაძლებლობაც (სსკ-ის მე-11 მუხლი), აგრეთვე შეცდომასთან დაკავშირებული ბრალეული პასუხისმგებლობის საკითხი (სსკ-ის 36-ე მუხლი), მათ შორის

ბრძანების, ან განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებული/ (სსკ-ის 37-ე მუხლი) და ბრალის გამოპრიცხავე ზეკანონიერ/ გამოპრიცხავე გარემოებათა საკითხიც (სსკ-ის 38-ე მუხლი).

ამრიგად, შერაცხადობა, როგორც სპეციალურ-იურიდიული ცნება, სუბიექტის ასაკზე, ან სულიერ ჯანმრთელობაზე არ დაიყვანება. ამიტომაც, რომ საერთოდ შერაცხადი, ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში (მაგალითად, პათოლოგიური აფექტის, ან პათოლოგიური სიმთვრალის ვითარებაში), მის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ შეურაცხადია. უფრო მეტიც, არსებობს ე.წ. კაზუსი, ანუ შემთხვევა, რომელიც დანაშაულებრივი დაუდგრობის ზღვარზეა, როდესაც სუბიექტი არ არის ვალდებული აცნობიერებდეს ქმედების მართლწინააღმდეგობას, ან მას არ შეუძლია მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში იმოქმედოს სხვაგვარად.

გარდა შერაცხადობისა, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი თავად ბრალის ცნებასა და ფორმებსაც გულისხმობს. სამწუხაროდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბრალის ფორმები ბრალის ცნების გარეშეა განმარტებული, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ბრალი წარმოდგენილია შინაარსის გარეშე, თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსებში საზოგადოდ ბრალის ცნების განმარტება იშვიათია. გამონაკლისი იყო ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 პარაგრაფი, რომელშიც ბრალის ცნება სუბიექტის უპასუხისმგებლობად იქნა წარმოჩენილი. ეს არსებითად რომ ვთქვათ, ფრიად საინტერესოა. კერძოდ, უკვე აღინიშნა, რომ არსებობს პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი, როგორც ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება, რომელიც მართლზომიერი ქმედების პირობაა. ამ პოზიციიდან ლოგიკურია დასკვნაც, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, ანუ, ბრალის შედეგია. ცხადია, ბრალი არაა მოწვევითი ქმედებისა და მისი შედეგები-

სადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, მაგრამ ბრალის ცნება ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე არ დაიფუძნება. აქედან გამომდინარე განზრახვა (სსკ-ის მე-9 მუხლი) და გაუფრთხილებლობა (სსკ-ის მე-10 მუხლი)<sup>1</sup> სისხლის სამართლის, ან წინდახედულობის ნორმებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენის ფორმებია. თუ განზრახვა არის პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის შვენებელი უარყოფა, გაუფრთხილებლობა ამ პასუხისმგებლობის უგულვებელყოფით ვლინდება. ამიტომ, შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსებში ბრალის ცნების განსაზღვრებაც, რაც ბრალის ფორმებს თავის საკუთარ შინაარსს მიანიჭებდა. კერძოდ, გამოძიების სტადიაზე ბრალის ფორმების დადგენა ბრალდების საფუძველია, მაშინ როდესაც ბრალის ფორმებიდან ბრალზე უკუდასკვნა ინდუქციურია, ე.ი. საგარაუდოა. ამიტომაც, რომ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში ბრალის დადგენა მხოლოდ სასამართლოს საქმეა.

ამრიგად, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელება მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ პირობებზეა დამოკიდებული. ვერ ვიტყვით იმას, რომ ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უნაკლოა (მით უმეტეს, რომ მასში ბრალის ცნება განმარტებული არ არის), მაგრამ მასში მაინც მოიპოვება ისეთი ნორმატიული გადაწყვეტა, რომელსაც ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი ქება აგრეთვე იურიდიულ პირსაც, რადგან იურიდიული პირის ფორმაში, მისი

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილში ნათქვამია, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. მოხდა ისე, რომ ამ კოდექსის კერძო ნაწილში ბრალის გაუფრთხილებელი ფორმა საერთოდ იქნა ამოგდებული, რის გამოც შექმნილია ამკარად უხერხული ვითარება, რაც პრაქტიკულად დაუსწვებელია.

სახელით ან ინტერესებში მოქმედი ფიზიკური პირი(პირები) იურიდიული პირის დამაფუძნებელი ხელშეკრულებით, წესდებით ან დებულებით ვალდებულია მოქმედებდეს მართლზომიერად და მოწოდებულია ამ ვალდებულებას ეკიდებოდეს პასუხისმგებლურად. მაშასადამე, იურიდიული პირი შეიძლება მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგოდ, როცა აღნიშნული ფიზიკური პირი არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას. იურიდიული პირი შეიძლება მოქმედებდეს ბრალეულად, თუ აღნიშნული ფიზიკური პირი(პირები) მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდება უპასუხისმგებლოდ, ნაცვლად იმისა, რომ მოკიდებოდა პასუხისმგებლურად. მართლზომიერი ქმედების ვალდებულებებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი და ბრალის სინონიმიცაა.

## § 5. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი

სისხლის სამართალში მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის ყოველი სუბიექტი ინდივიდუალურადაა პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე მართლწესრიგის დაცვისთვის. ეს დასკვნა გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის შესამე ნაწილიდან. ჯერბოდ, აქ ნათქვამია, რომ ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. მართალია, შესაძლებელია ამ მხრე ჯგუფური პასუხისმგებლობაც, როდესაც ე.წ. დანაშაულთან სასაზღვრო სიტუაციაში პირთა განსაზღვრული ჯგუფი (მაგალითად, მასობრივი არეულობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად) იღებს პასუხისმგებლურ გადაწყვეტილებას, რომ არ აკყვეს პროვოკაციას, მაგრამ ეს არ წინააღმდეგება პასუხისმგებლობის პირად

ხასიათს. მეორეც, ჩადენილი ბრალეული ქმედებისთვის ნეგატიური წესით პასუხს აგებს მხოლოდ მისი ჩამდენი პირი და არა მისი შშობელი,<sup>1</sup> ახლობელი და ა.შ. როგორც ეს შეიძლება მოხდეს სამოქალაქო სამართალში, ან ნაწილობრივ – ადმინისტრაციულ სამართალში. ცხადია, შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის შშობლები ზნეობრივ პასუხისმგებლობას თავს ვერ დააღწევენ, მაგრამ ეს სხვა საკითხია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი მკაცრად პერსონალურია. ეს აიხსნება არა იმდენად ბრალის პერსონიფიკაციით, არამედ თვით ნეგატიური პასუხისმგებლობის ბუნებით. კერძოდ, დანაშაულში თანამონაწილეობისას ადგილი აქვს ბრალის განსაზღვრულ ერთიანობას, ანუ თანაბრალეულობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობა კოლექტიურია, ან სოლიდარულია. საქმე ისაა, რომ დანაშაულში თითოეული თანამონაწილე სხვასთან თანაბრალეულობის მიუხედავად, პასუხს აგებს საკუთარი ბრალის ხარისხის შესაბამისად. მაშასადამე, ერთია ბრალის ცნება და მეორეა ნეგატიური პასუხისმგებლობა, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპში გადადის. იგივე ითქმის იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებაც. კერძოდ, ყოველი იურიდიული

<sup>1</sup> საქ. სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული გადახდისუუნაროა, მაშინ ჯარიმის გადახდა დაეკისრება მის შშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. მომეჩვენა, რომ ეს ნორმა წინააღმდეგება როგორც პირად, ისე ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს (იხ. ამ სახელმძღვანელოს მეორე, 2007 წლის გამოცემა). მაგრამ უფრო დაკვირვებითი ანალიზისას აღმოჩნდება, რომ ამ მუხლის თანახმად, ჯარიმა, როგორც სასჯელი, სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით ეკისრება მხოლოდ არასრულწლოვანს და ის „მსჯავრებულია“ კიდევ, ხოლო ჯარიმის გადახდა, როგორც გარკვეული პროცედურა, მიუხედავად მატერიალური დანაკარგისა, შშობლის, მზრუნველის ან მეურვის პასუხისმგებლობად არ შეიძლება ჩაითვალოს. მით უფრო, რომ ბრალის გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეუძლებელია.



პირი თავისი დამფუძნებელი დოკუმენტებით, საქმიანობის წესით და სხვა პირადი მახასიათებლით პერსონალურია და ამ თვალსაზრისით პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი არც იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისას ირღვევა. სხვა საკითხია, შესაძლებელია თუ არა იურიდიული პირების თანამონაწილეობა დანაშაულში, ან იურიდიული და ფიზიკური პირის თანაბრალეულობა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მაინც პერსონალური იქნება ბრალის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად.

**§ 6. პასუხისმგებლობის ბარდუპალობის პრინციპი**

როგორც ამ სახელმძღვანელოს მეორე თავში აღინიშნა, პასუხისმგებლობა არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, რომელსაც გარდუვალობა ბუნებრივად ახასიათებს. გარდუვალია არა მარტო ნეგატიური პასუხისმგებლობა უკვე ჩაღწეული ანტისაზოგადოებრივი ქმედებისთვის, არამედ პოზიტიური პასუხისმგებლობაც, ე.ი. ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულებაც. თუ სუბიექტი თავის მოვალეობას პასუხისმგებლურად არ მოეკიდება, მაშინ ის უპასუხისმგებლობის ვითარებაში აღმოჩნდება, ხოლო ამგვარ უპასუხისმგებლობას გარდუვალად მოჰყვება ნეგატიური პასუხისმგებლობა, როგორც უპასუხისმგებლო, ანუ ბრალეულ ქმედებაზე შესაბამისი ინსტანციის (მაგალითად, სახელმწიფოს მხრივ) უარყოფითი რეაქცია. მაშასადამე, ადამიანი პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა: ის ან პოზიტიური პასუხისმგებლობის სუბიექტია ან, პირიქით, ნეგატიური პასუხისმგებლობის სუბიექტი. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც სუბიექტმა ჩაიდინა უპასუხისმგებლო ქმედება, ე.ი. როდესაც იგი თვითნებურად გავიდა პოზიტიური პასუხისმგებლობის ფარგლებიდან, მაგრამ



ნვატიურ პასუხისმგებლობაში მიცემული არ არის. ამ ვითარებაში სუბიექტი პასუხისმგებლობის ოროვე ასპექტის გარეთაა, ანაღც დაუშვებელია, მოუთმენელია, რის გამოც აუცილებელია ნვატიური პასუხისმგებლობის პრაქტიკული ამოქმედება.

პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპს სისხლის სამართალში უაღრუსად დიდი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის. ჩვენ უკვე მიუთითეთ **ჩუზარიმ ბაპარიას** გამონათქვამზე, რომ დანაშაულთა თავიდან აცილებაში მთავარია არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ მისი გარდუვალობა. ეს დებულება არსებითად სწორია, ოღონდ, იმ შესწორებით, რომ „პასუხისმგებლობა“ და „სასჯელი“ ერთი და იგივე არ არის. კერძოდ, გარდუვალია, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობა, როგორც ბრალეულ ქმედებაზე სახელმწიფოს უარყოფითი რეაქცია. თუ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაში პასუხისმგებლობა გარდუვალი გახდა, ე.ი. არც ერთი ბრალეული ქმედება სახელმწიფოს მხრივ სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩება, მაშინ საზოგადოების მერყევი ელემენტები დანაშაულის ჩადენისგან თავს უფრო მეტად შეიკავებენ.

სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის გარდუვალობა არ ემთხვევა სასჯელის გარდუვალობას. ცხადია, სასჯელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა და, მაშასადამე, სასჯელიც ამ აზრით გარდუვალია, მაგრამ ჯერ ერთი, არსებობს სასჯელის ეკონომიის პრინციპიც, რომლის თანახმად, სასჯელი წაღმა-უკუღმა არ უნდა გამოვიყენოთ. ადამიანი, როგორც **თ. დოსტოევსკი** იტყოდა, ყველაფერს ეჩვევა. მაშასადამე, იგი სასჯელსაც შეეჩვევა. ამ პირობებში სასჯელი ეფექტური ვერ იქნება. ამიტომაც აუცილებელი, რომ ყველა შესაძლებელ შემთხვევაში გამოვიყენოთ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ზომა, ვიდრე სასჯელი. მეორეც, არსებობს პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გათავისუფლების წესი და პირობები, რაც იმას ადასტურებს, რომ სათანადო

სახელმწიფოებრივი რეაგირების გარეშე არც ერთი დანაშაული არ უნდა დარჩეს, ხოლო საკითხი იმის შესახებ, თუ ზემოქმედების რა ზომა იქნეს გამოყენებული, წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

## § 7. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი სისხლის სამართალში სასჯელთა დიფერენციაციის გზით ხორციელდება. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელთა სახეებისა და სისტემის მკაცრად განსაზღვრის შემდეგ (ე.ი. სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში) სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, თითოეული დანაშაულის ხასიათის მიხედვით, დიფერენცირებულია სასჯელი. სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა შეარჩიოს ისეთი სასჯელი, რომელიც ყველაზე უფრო ადეკვატურად გამოხატავს როგორც დანაშაულის ბუნებას, მისი ჩადენის გარემოებებს და ბრალეულის პიროვნებას. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც წესი, თავიდანაა აცილებული აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები, ხოლო, მთელ რიგ შემთხვევებში დაწესებულია სასჯელის მაქსიმუმი ამავე დანაშაულისთვის იქვე სასჯელის მინიმალური ზომის განსაზღვრის გარეშე. მაგალითად, 118-ე მუხლში ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის, ამ მუხლის პირველი ნაწილით დაწესებულია გამასწორებელი სამუშაო ვადით თვრამეტ თვემდე, ან თავისუფლების შეზღუდვა ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლში არა მარტო დიფერენცირებულია სასჯელი, არამედ, განსაზღვრული სასჯელის მხოლოდ მაქსიმუმი, რაც სასამართლოს საშუალებას აძლევს შეარჩიოს არა მარტო სასჯელის ყველაზე ოპტიმალური სახე, არამედ, კანონის ფარგლებში

სასჯელის მინიმალური ზღვარიც განსაზღვროს.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია გამსჭვალულია პედაგოგიური სულისკვეთებით. როგორც აღზრდის პრობლემა სწორად ვერ გადაწყდება პედაგოგიური შაბლონით, აღსაზრდელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ისე პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი პრაქტიკულად ვერ განხორციელდება ბრალეულთა პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. მით უმეტეს, რომ სასჯელის მიზანი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, არის არა მარტო სამართლიანობის აღდგენა, არამედ, მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენაც, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ – პოზიტიური პასუხისმგებლობის აღზრდაც. დანაშაულის ჩამდენის პიროვნება მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე არ დაიყვანება. მიტომ, სასამართლო ვალდებულია ღრმად შეისწავლოს ბრალეულის პიროვნება, მისი წარსული ცხოვრება პირადი და ეკონომიკური პირობები, ფოტაქცია მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, განსაკუთრებით – მისი მისწრაფება აანაზღაუროს ზიანი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის შესამე ნაწილი).

სასჯელის ინდივიდუალიზაცია განსაკუთრებით აქტუალურია დანაშაულში თანამონაწილეობისას, რადგან, საქმე შეეხება ორი ან მეტი პირის მიერ ერთიანი უმართლობის განხორციელებას თანაბრალეულობის ვითარებაში. ამიტომაც აუცილებელი ზუსტად იქნეს დადგენილი ამ ერთიანი უმართლობის განხორციელებაში თითოეული თანამონაწილის, აგრეთვე ამსრულებლის როლი, ამის შესაბამისად, თითოეული მათგანის ბრალის ხარისხი. სასჯელის ინდივიდუალიზაცია ეხება იურიდიულ პირსაც, ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, მისი ჩადენის გარემოებებს, ბრალის ხარისხს და სხვა კრიტერიუმებს.

ამრიგად, სასჯელის ინდივიდუალიზაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი პრონციპია, რომლის არსი განსაზღვრულია თვით სას-

ჯელის მიზნებით თუ სასჯელი არ არის სამაგიეროს მიზნად ჩადენილი დანაშაულისთვის, მაშინ, გასაკებია, რომ სასჯელს საგან უნდა მივიღოთ პრაქტიკული სარგებლიანობის მაქსიმუმი - აღვადგინოთ დარღვეული სამართლიანობა, მივალწიოთ დანაშაულთა თავიდან აცილებას როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირების მხრივ, გამოვავლინოთ ან აღვზარდოთ მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობა, რათა სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული აღსდგეს სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში და სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში.

## § 8. სამართლიანობის პრინციპი

სამართლიანობა ეთიკის კატეგორიაა და სპეციფიკურად ვლინდება სამართალშიც, მათ შორის, - სისხლის სამართალშიც. განსხვავებით სიკეთის კატეგორიისგან, რომელიც უპირობო და უნაცვალგებოა, ე.ი. აბსოლუტური ღირებულებაა, სამართლიანობა ნაცვალგების პრინციპზეა აგებული. ამ პრინციპის თანახმად, ვველას დამსახურებისამებრ უნდა მიეზღოს. ამის გამო, იქმნება იმის საშიშროება, რომ სამართლიანობის პრინციპი სისხლის სამართალში ჩადენილი დანაშაულისთვის სამაგიეროს მიზლის პრინციპში გადაიზარდოს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სასჯელის თეორიაში სამაგიეროს მიზლის მოთხოვნას თავი ვერ დააღწიეს ისეთმა დიდმა ფილოსოფოსებმაც კი, როგორებიც იყვნენ **პანტი** და **კვველი**. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სასჯელი, მართალია, დასჯაა ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ იგი მიზნად ისახავს ისეთ შედეგებს, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ სამაგიეროს მიზლის პრინციპთან. კერძოდ, სსკ-ის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშა-

## ულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია

აშკარაა, რომ დანაშაულებრივი ქმედება არა მარტო მართლსაწინააღმდეგოა, არამედ უსამართლობის აქტიც. რა თქმა უნდა, „დანაშაულის“ ჭეშმარიტი უსამართლობა არსებითადაა დამოკიდებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობაზე. მონათა და გლეხთა აჯანყებანი უკიდურესი უსამართლობის წინააღმდეგ იყო მიმართული. აშკარად უსამართლობის აქტები გახლდათ საბჭოთა კავშირში და საერთოდ კომუნისტურ რეჟიმში განხორციელებული რეპრესიებიც. თანამედროვე სახელმწიფოებში კი, მეტ-ნაკლები ხარისხის დემოკრატიზმის ვითარებაში, დანაშაულებრივი ქმედების აკრძალვა სამართლიანიცაა და, მაშასადამე, ამ აკრძალვის დარღვევა – უსამართლობის აქტიც. რა თქმა უნდა, ამ უსამართლო აქტის ჩამდენის დასჯა სამართლიანობის აღდგენასაც მოასწავებს. მაგრამ ამ მიმართებით სახელმწიფომ ქმედების კრიმინალიზაციის ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს დანაშაულისა და სასჯელის შესაბამისობის საკითხი. კერძოდ, სისხლის სამართლის კანონში უნდა იქნეს გათვალისწინებული ყოველი დანაშაულისა და მისი შემადგენლობის შესატყვისი სასჯელები ამ დანაშაულის სიმძიმის, ანუ, კატეგორიის, მისი ჩადენის გარემოებებისა და მისი შესაძლო ჩამდენი პირის თავისებურებათა გათვალისწინებით. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ სასამართლომ შეძლოს დანიშნოს სამართლიანი სასჯელი. თუ დანიშნული სასჯელი, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შედარებით, აშკარად ღმობიერია ან, პირიქით, აშკარად მკაცრია, მაშინ გამამტყუნებელი განაჩენი შესწორებას მოითხოვს.

სასჯელის სამართლიანობა, ერთის მხრივ, აკმაყოფილებს საზოგადოებრივ გრძნობას, მართლშეგნებას, რომ დანაშაულის ჩადენით ხელყოფილი სამართლიანობა აღდგენილია, ხოლო, მეორეს მხრივ, იგი ხელს უწყობს მსჯავრდებულის მხრივ სასჯელისადმი სწორი დამოკიდებულების შემუშავებას. ცხადია,

სასჯელში გამოხატული სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა არ შეიძლება დაყვანილი იქნეს საზოგადოების ზოგიერთი ფენისთვის დამახასიათებელ შურისგებაზე, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა საზოგადოებრივი აზრისგან მოწყვეტით შეუძლებელია. სასჯელის სამართლიანობა ამგვარი შურისგების გრძნობას კი არ აკმაყოფილებს, არამედ, სწორედ **სამართლიანობის გრძნობას**, რომელიც საზოგადოებრივი მასშტაბით უეჭველად დიდი ძალაა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. რა თქმა უნდა, სამართლიანობის თვალსაზრისით დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობა ობიექტურია და ამიტომაც, რომ სასჯელი, მისი მიზნების მიუხედავად, დასჯაა ჩადენილი დანაშაულისთვის. ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩამდენმა პირმა შეიგნო მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, გულწრფელად მოინანია იგი და, მაშასადამე, გამოსწორებას სისხლისსამართლებრივი გაგებით არ საჭიროებს, ის მაინც დაისჯება, თუმცა, დანაშაულისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით ამიტომ აქაც უნდა განვასხვაოთ სამაგიეროს მიზნა, რომელიც, ზოგჯერ თვითგასწორების აქტშიც ვლინდება, და სამართლიანობა, რომლის ობიექტური კრიტერიუმი ჩადენილი დანაშაული და მისი ჩამდენი პირია.

სამართლიანობის პრინციპი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ სასჯელის სამართლიანობით. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ზემოქმედების სხვა ზომებსაც. (მაგალითად, პირობითი მსჯავრი), რომელთა გამოყენება სამართლიანობის მოთხოვნას უნდა პასუხობდეს. ამ მხრივ გამონაკლისი არაა არც პასუხისმგებლობისგან და არც სასჯელისგან გათავისუფლების წესი და პირობები.

სამართლიანობის პრინციპთანაა დაკავშირებული ერთი დანაშაულისთვის **ორჯერ დასჯის დაუშვებლობის** პრინციპიც (*nen bis in idem*), რაც გამოხატულებას პოულობს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლშიც. ცხადია, მკაცრ

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმსახურებს პირი არაერთგზისი ან რეციდიული დანაშაულისთვის, დანაშაულთა განაჩენთა ერთობლიობისას, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

ერთი დანაშაულისთვის ერთჯერადი პასუხისმგებლობის პრინციპი არ გამორიცხავს განმეორებით სასამართლო პროცედურას, როდესაც სასამართლო ბრალდებულის მიმართ იყო უსამართლო, ან პირი პასუხისმგებაში მიცემული იყო მისი დასჯის ნამდვილი მიზნის გარეშე. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით იმას, რომ დანაშაულის ჩამდენი იურიდიული პირის დასჯა ყოველთვის სამართლიანია. მაგალითად, იურიდიული პირის ლიკვიდაციისას უსამართლოდ ისჯებიან იურიდიული პირის ფორმაში მოქმევე ფიზიკური პირები, რომლებიც კარგავენ სამუშაოს, ილაჩება მათი ღირსება და პატივი სწორედ იმ შემთხვევაში, როცა ამ ადამიანებს წარმოდგენა არა აქვთ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაში მოკალათებულ კრიმინალებზე და მათ დანაშაულებრივ საქმიანობაზე.

## § 9. პუბლიცისტიკური პრინციპი

„პუბლიცისტიკური“ ნიშნავს ადამიანის სიყვარულს, მისი პიროვნებისადმი პატივისცემას, მისივე ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლების დაცვა-გათვალისწინებას. რეალურ სამყაროში ადამიანზე უფრო მაღალი ღირებულება არ არსებობს. ამიტომაც აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების, გათვალისწინება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ადამიანის პიროვნებისადმი ამგვარი დამოკიდებულება არა მარტო თეორიული იდეაა, არამედ იგი უაღრესად პრაქტიკულ შედეგებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ადამიანის პიროვნებისადმი მაღალზნობრივი დამოკიდებულება დანაშაულთა თავიდან აცილების მნიშვნელოვანი ფაქტორია. არსებითად ცდუბოდნენ მართლმსაჯულების ის წარმომადგენლები, რომლებიც,

როგორც წესი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ჩამოხრჩობის საჯარო დემონსტრირებისას მოსახლეობის შინების გზით და დანაშაულთა თავიდან აცილების მიზნით შეიძლება დაიწყო. ჯერ ერთი, სიკვდილით დასჯა, რა ფორმითაც არ უნდა აღსრულდეს იგი, არ შეიძლება სასჯელად ჩაითვალოს. სასჯელი დასჯაა ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ სასჯელი სუბიექტმაც (მსჯავრდებულმაც) უნდა აღიქვას და განიცადოს, რაც სიკვდილით დასჯის შემთხვევაში გამოირიცხება. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში გამოირიცხება მსჯავრდებულის რაიმენაირი გამოსწორების იდეაც. მეორეც, ჩამოხრჩობის საჯარო დემონსტრირებისას მხედველობიდან რჩებოდათ ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში სახრჩობელაზე ეკიდა მსჯავრდებული, როგორც ქუჩის მაწანწალა ძაღლი, რომელსაც არავითარი ადამიანური ღირებულება არ გააჩნდა და, მაშასადამე, ამით საზოგადოდ ეცემოდა ადამიანისადმი პატივისცემითი დამოკიდებულების სულისკვეთება და მკვიდრდებოდა სისასტიკის საშიში ტენდენცია. ამ ვითარებაში დანაშაულთა თავიდან აცილება კი არ ხდებოდა, არამედ, პირიქით, მკვიდრდებოდა გაუფასურებული ადამიანის წინააღმდეგ ნებისმიერი ძალადობის გამოვლენის ტენდენცია. ამიტომაც აუცილებელი ჰუმანიზმის იდეის არა მარტო თეორიული პროპაგანდა, არამედ, მისი პრაქტიკული დამკვიდრება. ამ მხრით საქართველოში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როდესაც გაუქმდა სიკვდილით დასჯა, როგორც „სასჯელის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიება“. მაშინ როცა, როგორც უკვე ითქვა, სიკვდილით დასჯა არ შეიძლება სასჯელად ჩაითვალოს. იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზლის უკიდურესი გამოვლინებაა და თავის მხრით, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სისასტიკის მაჩვენებელია. ისიც ცნობილია, რომ სიკვდილით დასჯას არასოდეს მოუტანია დანაშაულთათვის თავიდან აცილებისათვის სასარგებლო შედეგები, მით უმეტეს მკვლელობის თავიდან აცილების საქმეში.



სიკვდილით დასჯის პრობლემა დღემდე სადაუოა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობამ სიკვდილით დასჯის ექვეფლენებად დააწესა თავისუფლების უვადოდ აღკვეთა, რომელიც, თავისთავად აღებული, მეტად მკაცრია და მისი ფილოსოფიური დასაბუთება არც თუ ისე იოლია. კერძოდ, ფილოსოფიაში ადამიანის არსებით ნიშნად მიჩნეულია მისი თავისუფლება. მაშასადამე, არის თუ არა ადამიანი ის, ვისაც მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა? საბედნიეროდ, ამ დილემიდან გამოსვალიც იქნება ნაპოვნი, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოზღვისგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა“.

ამრიგად, ამკარაა, რომ თავისუფლების უვადოდ აღკვეთის შეფარდების შემთხვევაშიც არაა გამორიცხული მსჯავრდებულის გამოსწორების იდეა. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართალში ჰუმანიზმის მთავარი ნიშანია არა იმდენად პასუხისმგებლობის ნეგატიური ასპექტის ჰუმანიზაცია, რამდენადაც დანაშაულთა თავიდან აცილება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ამ კოდექსის მიზნადაა მიჩნეული. ამ მიზნისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. არც ისაა შემთხვევითი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა ადამიანი სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველეს ობიექტად გამოაცხადა. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში ღირებულებათა ამგვარი გადანაწილება უეჭველად პასუხობს არა მარტო ჰუმანიზმის იდეას, არამედ პრაქტიკულ ცხოვრებაშიც ამკვიდრებს ადამიანისადმი პატივისცემით დამოკიდებულებას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან აცილებას. სამწუხაროდ, დანაშაულთა თავიდან

აცილება ყოველთვის ვერ ხერხდება. ამიტომ დგება ნაკითხი/ ჩადენილი დანაშაულისთვის ნეგატიური პასუხისმგებლობის ქუქმა/ ნიშანის შესახებ. **ჯერ ერთი**, ადამიანის აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს და, მაშასადამე, დანაშაული ადამიანთა სრული თვითნებობის შედეგი არაა. არსებობს დანაშაულთა მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების რთული კრიმინოლოგიური პრობლემა, რომელიც ჩადენილი დანაშაულისათვის ნეგატიური პასუხისმგებლობის ქუქმანიშანის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის შესამე ნაწილში სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისთა შორის მოხსენებულია დანაშაულის ჩამდენი პირის წარსული ცხოვრება, მისი პირადი და ეკონომიკური პირობებიც. არ იქნება უხეში მატერიალიზმის აღიარება იმისი თქმა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ პირობებს დანაშაულთა მიზეზებში განსაზღვრული მნიშვნელობა აქვთ ჩადენილი დანაშაულისთვის ნეგატიური პასუხისმგებლობის ხასიათისა და ზომის განსაზღვრისას ამ პირობების გათვალისწინება უადრესად აუცილებელია, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოების წევრებისათვის ცხოვრების მინიმალური პირობების შექმნა სახელმწიფოს მოვალეობაა. ამ ვითარებაში სასჯელზე სახელმწიფოს უფლება არსებითად ფარდობითია.

უკვე ითქვა, რომ დანაშაულისთვის ნეგატიური პასუხისმგებლობა სამაგიეროს მიზღვას სრულიად არ წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა დაცული იქნეს ქუქმანიშანის პრინციპის ისეთი არსებითი ასპექტი, როგორიცაა: ბრალეული პირისადმი დამოკიდებულება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის შესამე ნაწილი, რომლის თანახმად, „სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.“ **ჯერ ერთი**, ფიზიკური სასჯელები, რომლებიც ნაწილობრივ მოქმედებენ ზოგიერთ მუსლიმურ სახელმწიფოებში, საქართველოში გამორიცხულია. **მეორეც**, მართალია,

სასჯელი მსჯავრდებულში იწვევს მორალურ-ფსიქიკურ ტანჯვას, რაც სასჯელის ობიექტური ნიშანია და არა მისი მიზანი. მესამე, დაუშვებელია დანაშაულის ჩამდენი პირის ღირსების დამცირება. საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულებრივი ქმედება, როგორც წესი, ამორალური აქტიცაა და, მაშასადამე, დანაშაულის ჩამდენი პირის მორალური ღირსება ისედაც შელახულია, რომ მას ზედ დაემატოს მისი ღირსების შემლახველი ქმედებანი. მართალია, პრაქტიკაში იშვიათი არ არის უბოროტესი დანაშაული, რომელიც ვველა ნორმალური ადამიანის უკიდურეს აღშფოთებას იწვევს, რის გამოც, ძნელია თავშეკავება და ამგვარი პირებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების შენარჩუნება. მაგრამ, როგორც **თ. ღოს-ტომპსკი** იტყოდა, ადამიანურ მოპყრობას შეუძლია შემოაბრუნოს ღვთის პირიდან გადაჯარღნილიც კი. ამ თვალსაზრისით ისიც შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს გამოუსწორებელი „დამნაშავე“ ყოველთვის უნდა დავიტოვოთ იმის იმედი, რომ მსჯავრდებული გამოსწორდება. როგორც უკვე ითქვა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი ითვალისწინებს მსჯავრდებულში პოზიტიურ პასუხისმგებლობის აღდგენას, ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ – ამ პასუხისმგებლობის ნაწილობრივ აღზრდასაც.

არც ისაა შემთხვევითი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დაცვისა და პასუხისმგებლობის პრობლემას, ამ ასაკის შესაბამისად ვველა საშეღავათო გარემოებას, მათ შორის აღზრდელითი ხასიათის ღონისძიებებს. ამ კოდექსში ყურადღება ეთმობა ორსულ და ბავშვიან ქალებს, მოხუცებისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირების სისხლისსამართლებრივ დაცვას, რაც ჰუმანიზმის თავისებური გამოვლენაა. ცხადია, ჰუმანიზმი სრულიად არ ნიშნავს ცალმხრივ დათმობებს და ზღვარგადასულ მიმტკეველობას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ით-

ვალისწინებს ამნისტიისა და შეწყალების შესაძლებლობას. ამ  
ით ჩვენ იმისი თქმა გვინდა, რომ მკაცრად უნდა დაისაჯოს ის  
პირები, რომლებიც აბუნად იგდებენ ადამიანს, არად აგდებენ  
ქალებს, მათ შორის, ორსულებსაც, ღრმად მოხუცებსა თუ უმწეო  
მდგომარეობაში მყოფთ.

ამრიგად, ჰუმანიზმი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელ-  
საც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. შემთხვევითი არც  
ისაა, რომ ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგა-  
ნიზაციებს არაერთგზის გაულაშქრიათ ბრალდებულთა წამების,  
მსჯავრდებულებისადმი სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის  
წინააღმდეგ. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ ჰუმანიზმის პრინციპი  
მოქმედებს არა მარტო სისხლის სამართალში, ან სისხლის  
სამართლის პროცესში გამოძიებისა და სისხლის სამართლის  
საქმის სასამართლო განხილვის სტადიებზე, არამედ სასჯელის  
აღსრულების პრაქტიკაშიც. უფრო მეტიც, როგორც იტყვიან,  
ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თუ სასჯელის აღსრულებაში  
დაშვებული იქნა ჰუმანიზმის საწინააღმდეგო აქციები, რამაც  
მსჯავრდებულთა გამოსწორების ნაცვლად, პირიქით, მათი  
გაბოროტება შეიძლება გამოიწვიოს.



§ 1. პოლიტიკა სისხლის სამართალში

პოლიტიკისა და სისხლის სამართლის თანაფარდობის ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართლის პრინციპებთან კავშირშიც განვიხილე. ამჯერად ამ საკითხს უფრო კონკრეტულად შევხები. ცნობილია, რომ „პოლიტიკა“ ბერძნული წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს იმას, „რაც ქება სახელმწიფოს.“ ამ ტერმინის შინაარსი ვრცლად განმარტა და გამოიყენა დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა **არისტოტელემ**. იგულისხმებოდა საზოგადოების ორგანიზებული მართვა-გამგეობა, რაც ყველაზე ადეკვატურად სახელმწიფო ხელისუფლების შექმნასა და ორგანიზებაში გამოიხატა. ეს ბუნებრივია, რადგან სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. ამდენად, პოლიტიკა საზოგადოებრივი პრაქტიკის ერთ-ერთი დამოუკიდებელი და საკმაოდ ფართო სფეროა, რომელიც სპეციფიკურად ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში ამ უკანასკნელის სპეციფიკის შესაბამისად. ამ მხრით, არსებითია სამართალი, რომელშიც პოლიტიკა სპეციფიკურად ვლინდება. უფრო მეტიც, სახელმწიფო და სამართალი პოლიტიკის გამოვლენის ძირითადი ფორმებია. სამართალი თავისი გამოხატვის ფორმების, ანუ, წყაროების მიხედვით კანონებსა თუ კანონქვემდებარე აქტებში ვლინდება, ხოლო თავად კანონშემოქმედება სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის თავისებურ გამოხატულებას წარმოადგენს. ამ მხრით გამოჩნდის არც სისხლის სამართალია. პირიქით, სწორედ სისხლის სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგი, წარმოადგენს სახელმწიფოს ოფიციალური

პოლიტიკის გამოვლენის აქტიურ სფეროს, რომელშიც აშკარად გამოხატული დანაშაულობასთან სახელმწიფოებრივი ბრძოლის სტრატეგიული და ტაქტიკური ხერხების ერთიანობა. კერძოდ, დაუას არ იწვევს ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის დარგში კანონმდებელი სახელმწიფოა, რომელიც ამავე დროს ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციის სუბიექტია. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.“

გასაკებია, რომ ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად ოფიციალური, საკანონმდებლო, კვალიფიკაცია და მისთვის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ადეკვატური ზომების შერჩევა სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკური აქტებია. ისიც ცხადი ხდება, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვრავს იმასაც, თუ, უპირატესად, რა ღირებულება უნდა იქნეს დაცული სისხლის სამართლის კანონით. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმად, „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.“ ეს ბუნებრივია, რადგან, როგორც უკვე იყო ნათქვამი ამ სახელმძღვანელოს პირველივე თავში, დანაშაულობის მიზეზებთან და ხელშემწყობ პირობებთან ბრძოლა უფრო ეფექტურია, ვიდრე ბრძოლა უკვე ჩადენილ დანაშაულთან, როგორც გარკვეული მიზეზების შედეგთან. ამდენად, პოლიტიკა სპეციფიკურად ვლინდება სამართალშიც. ამიტომ სწორი არაა საკმაოდ გავრცელებული ტერმინი „სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა“, პოლიტიკა თითქოს შეიძლება იყოს „სამართლებრივი,“ მაშინ, როცა პოლიტიკა, როგორც უკვე იყო ნათქვამი, სპეციფიკურად

ვლინდება სისხლის სამართალშიც. ეს ბუნებრივია, რადგან პოლიტიკა საზოგადოებრივი პრაქტიკის გაცილებით უფრო ფართო სფეროა, ვიდრე სამართალი. სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება ისეთ ფუნდამენტურ ნორმატიულ აქტში, როგორიცაა: კონსტიტუცია. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში გამოხატულია სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ამუშების იდეა. გასაგებია, რომ კონსტიტუცია სამართლის ნებისმიერი დარგის იურიდიული ბაზაა. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, „ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.“ იგულისხმება, რომ სისხლის სამართალი არაა მოწყვეტილი არა მარტო შიდა სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, არამედ დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო პოლიტიკისგანაც, რის დადასტურებასაც წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დანაშაულს კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ (თავი XIVII).

ამრიგად, სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ვლინდება პოლიტიკური ნების, პოლიტიკური სტრატეგიის, ტაქტიკისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ქართულმა სახელმწიფომ ახალ პირობებში ჭეშმარიტი პოლიტიკური ნება გამოავლინა კორუფციის, ქურდული მენტალიტეტისა და სხვა მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ამ სახელმძღვანელოს შესავალში აღინიშნა, შემუშავდა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, შემუშავდა ახალი კანონი პატიმრობის შესახებ, რაც არსებითია სასჯელაღსრულებითი სამართლის სფეროშიც. ყოველივე ეს ფრიად

აქტუალურ პრაქტიკულ და თეორიულ პრობლემებს წარმოქმნის,  
ხოლო პოლიტიკური აზროვნების გარეშე ამ პრობლემების სწორად  
გადაწყვეტა შეუძლებელია.

არც ის უნდა გამოგვჩვენებს მხედველობიდან, რომ რაკი პო-  
ლიტიკა სპეციფიკურად ვლინდება სისხლის სამართალში, იქნება  
პოლიტიკის მიერ სამართლის „გადავლავის“ საშიშროება,  
როდესაც დანაშაულობასთან ბრძოლის საბაბით უგულვებელ-  
ყოფილი ხდება სამართლის ძირითადი პრინციპები, ინერგება  
სრულიად უკანონო რეპრესიები და სამართალი პოლიტიკის უბ-  
რალ დანაშაულად გარდაიქმნება, როგორც ეს ხდებოდა და ხდება  
ანტიდემოკრატიული რეჟიმის სახელმწიფოებში, მათ შორის,  
ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამიტომ საჭიროა დავიცვათ პოლი-  
ტიკისგან სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის პრინციპი,  
როდესაც პოლიტიკა, როგორც წესი, ზემოქმედებს სამართალ-  
ზე, მაგრამ, მეორე მხრე, სამართალსაც აქვს პოლიტიკაზე  
უკუზემოქმედების უნარი. ეს ბუნებრივია, რადგან, პოლიტიკური  
გადაწყვეტილება და მისი აღსრულება მკაცრი კანონიერების  
რეჟიმში უნდა ხდებოდეს. მეორეს მხრე, საჭიროა სისხლის  
სამართლის სფეროში უფრო ლიბერალური კანონმდებლობა,  
რადგან ბოლო წლების საკანონმდებლო ცვლილებებმა დასჯითი  
პოლიტიკა გაუმართლებლად დაამძიმა.<sup>1</sup> შეიძლება ეს იმითაც  
აიხსნას, რომ საქართველოს განუყოფელი რეგიონები (აფხაზეთი  
და სამაჩაბლო), რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წყალობით,  
საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის  
გარეთ აღმოჩნდნენ, მაგრამ მაინც უფრო ლიბერალური დასჯითი  
პოლიტიკა აჯობებდა.

ბოლოს, მკვეთრად უნდა გავემიჯნოთ ყოფილ საბჭოთა  
კავშირში პოლიტიკის მეცნიერებისა და სამართლის მეცნიერების  
აღრვეის ტენდენციას. იმის გამო, რომ არ არსებობდა პოლი-

<sup>1</sup> ნ. სარია, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა,  
“ცხოვრება და კანონი,” 2009, № 1, გვ. 26-29.



ტოლოგია, ხოლო პოლიტიკის შესწავლაზე პრეტენზიას აცხადებდა მაშინდელი არაერთი სასწავლო დისციპლინა (სსრკ-ის შირის კომუნისტური პარტიის ისტორია, მეცნიერული კომუნიზმი, ისტორიული მატერიალიზმი და სხვა), პოლიტიკის შესწავლაზე პრეტენზია იურისტებმაც განაცხადეს. ამის მაგალითად შეიძლება დაუასახელოთ ჯ. ქერიშვილი, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ პოლიტიკა იურიდიული მეცნიერების კვლევის სფეროსაც წარმოადგენს, ცხადია, სამართლის, როგორც აგრეთვე დამოუკიდებელი მოვლენის, კვლევასთან ერთად.<sup>1</sup> სხვა საკითხია, თუ პოლიტიკა მჭიდროდაა გადახლართული ფილოსოფიასთან. შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ პოლიტიკა მთელი რიგი გამოჩენილი ფილოსოფოსების მსჯელობის საგანი იყო წარსულში,<sup>2</sup> არის და იქნება მომავალშიც. ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იურისპრუდენცია პოლიტიკის მეცნიერება ვერ იქნება, იმის მუხედგად, რომ იურისტი პოლიტიკურადაც უნდა აზროვნებდეს. მეცნიერი ლოგიკურადაც უნდა აზროვნებდეს, მაგრამ ლოგიკა ერთ-ერთი ფილოსოფიური მეცნიერებაა, ისევე როგორც პოლიტოლოგია არის დამოუკიდებელი მეცნიერება პოლიტიკის შესახებ. გასაგებია, რომ იურისტი პოლიტოლოგიის მონაცემებით უნდა სარგებლობდეს, რათა პოლიტოლოგიაში თვითონ არ გადაუარდეს, ხოლო პოლიტიკოლოგიისა და იურიდიულ მეცნიერების ურთიერთობის პრობლემა ფილოსოფიაში გადადის. სხვა საკითხია, თუ არსებობს პოლიტიკის ფილოსოფიაც, რომელიც სამართლის ფილოსოფიის ბუნებრივი მოკავშირეა.

<sup>1</sup> Д. А. Керимов, Философские основания политико-правовых исследований, М. 1986, стр. 126-151.

<sup>2</sup> გ. ასათიანი, დასავლური პილიტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრებების ისტორია (ნარკვევები), თბილისი, 2003.



სისხლის სამართლის, როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის, პრაქტიკული დანიშნულებისა და ეფექტურობის დადგენა სისხლის სამართლის თეორიის საქმეა. სისხლის სამართლის თეორიას წინ უსწრებს სისხლის სამართლის დოგმატიკა, როგორც სისხლის სამართლის ნორმების გარეგანი დამუშავების, მათი კლასიფიკაციისა და პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციების სისტემა. ნაწილობრივ დოგმატურია სისხლის სამართლის კანონის განმარტებისა და მისი მეთოდების სისტემაც, რადგან ამ შემთხვევაში შემეცნების ხერხად გამოყენებულია ფორმალურ-დოგმატური მეთოდი. ცხადია, კანონმდებლის აზრის რაც შეიძლება უფრო ღრმა და ადეკვატური გაგება შემეცნების უფრო ღრმა სახეობას მოითხოვს და სისხლის სამართლის თეორიაში ინაცვლებს, თუმცა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ფორმალურ-დოგმატური მეთოდი გამოყენებული გახლდათ არა მარტო იურიდიულ დოგმატიკაში საზოგადოდ, არამედ, სისხლის სამართლის თეორიაშიც კი. იგულისხმება, მაგალითად, იურიდიული პოზიტვიზმი, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გავრცელდა პოზიტვისტური ფილოსოფიის საფუძველზე. პოზიტვიზმი ფილოსოფიაში არის კერძო მეცნიერებაზე ფილოსოფიის დაყვანა, რაც დაუშვებელია. რადგან ამ გზით ფილოსოფია კარგავს თავის თავს, როგორც თეორიული მსოფლმხედველობრივი სისტემა, და ემპირიულ ფაქტებში იხლართება. პოზიტვისტური მსოფლმხედველობა იურისპრუდენციის წმინდა ფორმალისტურ ხასიათს აღიარებდა, რის გამოც, იურისპრუდენციის მეცნიერულობის საკითხი სერიოზული ეჭვის საგანი ხდებოდა. ცხადია, აღნიშნული საკითხი მეთოდოლოგიურია და თავად იურისპრუდენციის ფარგლებში ვერც დაისმის და ვერც გადაწყდება. ეს ბუნებრივია, რადგან იურისპრუდენცია, როგორც ერთ-ერთი კერძო მეცნიერება, საკუთარ

ფარგლებში კი არ ცნობიერდება, არამედ ფილოსოფიაში, რომელიც თვითცნობიერების მქონე თეორიული მსოფლმხედველობა რივი სისტემაა. სამწუხაროდ, იურიდიულ ლიტერატურაში იმ-ვითაა არაა მტკიცება, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება ამ მეცნიერების საგნისა და მეთოდის პრობლემებს თითქოს თვითონ შეისწავლის. სინამდვილეში ეს საკითხები მეტათეორიული ბუნებისაა და მეცნიერების ფილოსოფიის სფეროში გადადის.

სისხლის სამართლის თეორია, თავის მხრივ, იყოფა **სისხლის სამართლის მეცნიერებად და სისხლის სამართლის ფილოსოფიად.**

სისხლის სამართლის მეცნიერება არის ერთ-ერთი კერძო, დარგობრივი ცოდნის სისტემა, რომელიც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული ამოცანებით განისაზღვრება. იგი, ერთის მხრივ, კანონმდებელს ეხმარება უფექტური, მეცნიერულად დასაბუთებული, სისხლის სამართლის კანონშემოქმედების სფეროში, ხოლო, მეორეს მხრივ — სისხლის სამართლის ნორმაშეფარდების პრაქტიკას. მეცნიერება საზოგადოდ, როგორც ეს **იმანუელ კანტმა** დაადგინა, არის **საყოველთაო და ზოგადაუცილებელი მსჯელობების სისტემა.**<sup>1</sup> ყოველი მეცნიერება კი მისი საგნითა და მასში მოქმედი კანონებით, თუ კანონზომიერებით განისაზღვრება.<sup>2</sup> გამონაკლისი ამ მხრივ არც სისხლის სამართლის მეცნიერებაა, თუმცა, ამ მეცნიერების საგანი დღემდე გაურკვეველია. სამწუხაროდ, იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის მეცნიერება გაგებულია, როგორც სისხლის სამართლის კანონის შესახებ სისხლის სამართლებრივი წარმოდგენების, შუბედულებებისა და იდეების სისტემა.<sup>3</sup> ჯერ ერთი, „წარმოდგენა“ მართლშეგნების იმდენად დაბალი საფეხურია, რომ იგი „მეცნიერების“ ელემენტი ვერ იქნება. მაგალითად, ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ადამიანს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს **ცხრათუიანი დევი**, მაგრამ,

<sup>1</sup> გ. თვზაძე, იმანუელ კანტი, თბილისი, 1974, გვ. 34.

<sup>2</sup> ს. აგლიანი, მეცნიერების ფილოსოფიის შესავალი, თბილისი, 1991.

<sup>3</sup> Курс Российского уголовного права, Общая часть, М. 2001, стр. 59.

ცხადია, ამგვარ წარმოდგენას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს. მეორეც, სისხლისსამართლებრივი შეხედულება მართლშეგნების სტრუქტურაში წარმოდგენაზე უფრო მაღალი საფეხურია, მაგრამ მეცნიერებამდე ვერც ეს საფეხური აღწევს. მაგალითად, შოთა რუსთაველის სამართლებრივ შეხედულებაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ შოთა რუსთაველი გენიალური პოეტია და არა სამართლის მცოდნე (მეცნიერი). მესამეც, სისხლისსამართლებრივი იდეა მართლშეგნების იმდენად უკიდურესად მაღალი ელემენტია, რომ იგი თავისი არსით ფილოსოფიაში გადადის.

მართლშეგნების სტრუქტურაში სისხლის სამართლის მეცნიერების ადგილს გამოხატავს ცნება, როგორც აზრის ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა, რადგან ცნებითი აზროვნება მეცნიერული დონეა, რომელიც სამართლებრივი ცხოვრების პრაქტიკისთვის მეტად დიდ როლს ასრულებს, იმის მიუხედავად, რომ მეცნიერების შინაარსში სხვა ელემენტიც (მაგალითად, მეცნიერების კანონიც) იგულისხმება. ამიტომაც, რომ მეცნიერული მსჯელობების მიმართ ჭეშმარიტობა-მცდარობის კრიტერიუმი გამოიყენება, მაშინ, როცა საზოგადოების ნორმატიულ სისტემაში (ზნეობა, ხელოვნება, სამართალი და სხვა) წამყვანია შეფასებანი და არა იმდენად დესკრიფციული, აღწერილობითი ასპექტი. ამრიგად, მეცნიერული შეშეცნების არსებითი ნიშანია ჭეშმარიტობა-მცდარობის ნიშანი. მეცნიერულ შეშეცნებაში შექმნილი გნოსეოლოგიური ცდომილების დაძლევის შედეგად მეცნიერება წინ მიდის და ვითარდება.

ამ თვალსაზრისით დგას სისხლის სამართლის თეორიის მეცნიერულობის პრობლემა. კერძოდ, ეს თეორია „ნორმის“ მეცნიერებაა და არა „ფაქტისა.“ ეს ვითარება ბადებს არაერთ სიმწელეს. სახელდობრ, თუ სისხლის სამართლის თეორია სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, ფარგლებში დარჩება, მაშინ, მას დაემუქრება ნორმატივიზმი, როდესაც „ფაქტის“ მეცნიერებათა ცნებების (მაგალითად, მიზეზობრიობის, ნებისყოფის,

მოტვის და ა.შ.) ნორმატიული კონსტრუირება მოხდება. ეს კი დუალიზმის წყაროა, რადგან, ამ ლოგიკით, იქმნება ამ ცნებების ნორმატიული გაორება. ნორმატივიზმი გადადის დოგმატიზმში, რაც მეცნიერების განვითარებადი ტენდენციისთვის შეუთავსებელია. ამ ცდომილებათა თავიდან აცილების მიზანი აჩვენს ტენდენციას, რომ სისხლის სამართლის თეორია საკუთრივ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, ფარგლებიდან გავიდეს და წმინდა ფაქტობრივი სინამდვილის შექმენების შედეგში გადაიზარდოს. ასეთი ტენდენცია კი სისხლის სამართლის თეორიას „ფაქტის“ მეცნიერებად გადააქცევს და იურიდიული ხასიათის პრობლემა „ფაქტის“ მეცნიერებაში დამკვიდრებული აზროვნების წესის მიხედვით გადაწყდება და არსებითად სოციოლოგიური ტიპის ცნებები იურიდიულ ცნებებად გასაღდება. ამ ნიადაგზე კი ჩნდება სოციოლოგიზმი, როდესაც სამართალი გაგებული იქნება არა როგორც სამართლებრივი ღირებულების გამოხატულება, რომელიც ჯერარსის ფორმით არსებობს და სამართლებრივი შეფასების საფუძველია, არამედ, როგორც წმინდა სოციალური მოვლენა, სოციალური მიზეზებითა და შედეგებით ამ პოზიციიდან კი სისხლის სამართლის ნორმატიული ფუნქციის დასაბუთება შეუძლებელია. სოციოლოგიზმი გადადის ობიექტივიზმში, რომელიც ადამიანის საქმიანობაში სუბიექტურ ელემენტებს (მაგალითად, მოტვისა და მიზანს) გამორიცხავს, რის გამოც სისხლის სამართლის შეფასებითი ცნებების (მართლწინააღმდეგობის, ბრალის, არსებითი თუ მნიშვნელოვანი ზიანის და ა. შ.) დასაბუთება შეუძლებელია. ობიექტივიზმი გადადის ფსიქოლოგიზმში, როდესაც იურიდიული პრობლემა (მაგალითად, ბრალის თაობაზე) წყდება წმინდა ფსიქოლოგიურად. ფსიქოლოგიზმიდან აღვილია გადასვლა გნოსეოლოგიზმში, როდესაც სამართლებრივი შეფასება შექმენებით შეიცვლება, რის შედეგადაც სამართალი საზოგადოებრივი პრაქტიკიდან ქრება და თეორიაში ინაცვლებს. ამ

ლოგიკით კი "სამართლის მეცნიერება" შეუძლებელია.<sup>1</sup>

ამრიგად, სისხლის სამართლის თეორიისთვის „მეცნიერების“ მალალი სახელის მინიჭება ადვილი საქმე არაა. იგულისხმება ამა თუ იმ მეცნიერების დამაფუძნებელი „ლოგოსი,“ ანუ, „კანონი.“ საკითხავია: არსებობს თუ არა სისხლის სამართლის თეორიის სფეროში ისეთი „ლოგოსი,“ რომელიც ამ თეორიას თვითნებობისგან დაიხსნიდა და მისი დაფუძნების ობიექტური კრიტერიუმი იქნებოდა? ასეთად შეიძლება გამოდგეს თვით სამართლის სისტემა და მისი ობიექტური კანონზომიერება. მართლაც, სამართლის სისტემა ობიექტურია. ამას სამართლის დარგთა უბრალო ჩამონათვალიც ადასტურებს. როგორც უკვე ითქვა, სისხლის სამართალს სამართლის სისტემაში სულ ბოლო ადგილი უჭირავს. ეს იმით აიხსნება, რომ სისხლის სამართალში ნორმატიული ღირებულების მინიმუმი, ანუ დანაშაულის ჩადენისგან თავშეკავების მოთხოვნაა გამოხატული. აქსიოლოგიის, ანუ ღირებულების თეორიის ვნაზე რომ ვთქვათ, სამართლის სისტემა სამართლებრივი ღირებულების გადანაწილების აქსიოლოგიური კანონით აიხსნება. ეს კანონი ნებისმიერი იურიდიული მეცნიერების, მათ შორის, ცხადია, სისხლის სამართლის მეცნიერების სფეროშიც მოქმედებს. მაშასადამე, სისხლის სამართლის შესახებ თეორიული ცოდნის მეცნიერულობის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამართლის სისტემაში სისხლის სამართლის ადგილის დადგენის აქსიოლოგიური კანონი, რომელიც სამართლებრივი ღირებულების გადანაწილების ობიექტურ წესრიგს გამოხატავს. მაგრამ ეს კანონი ამ მხრივ საკმარისი არაა. არ უნდა დაგვაუწყდეს, რომ სისხლის სამართალი თვითონაც არის ნორმების, ანუ ქცევის წესების განსაზღვრული სისტემა, რომელსაც მისი სტრუქტურული ორგანიზაციის საკუთარი ფორმა, ანუ კანონი განსაზღვრავს. მაშასადამე, თავად სისხლის სამართლის კანონი, როგორც ნორმატიული

<sup>1</sup> გ. ნაჭყებია, ტერმინი „სისხლის სამართლის მეცნიერება,“ „სამართალი,“ 1997, № 5-6.

აქტი, თავად სისხლის სამართლის, როგორც მოვლენის, განიხილვის უნდა გამოხატავდეს.

ამრიგად, არსებობს სისხლის სამართლის თეორიის მეცნიერულობის ობიექტური საფუძველი, რომელიც სისხლის სამართლის თეორიის სუბიექტმა შემოქმედებითად უნდა გამოიყენოს, რათა აღნიშნული თეორია ჭეშმარიტების მოთხოვნას პასუხობდეს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ჭეშმარიტების მიღწევის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური პირობები, ჭეშმარიტების კრიტერიუმი, ანუ საზომი არის არა რომელიმე თეორია, თუნდაც ყველაზე არსებითი და მეთოდოლოგიური, არამედ, პრაქტიკა. ეს ბუნებრივია, რადგან ერთი რომელიმე თეორია მეორე თეორიის ჭეშმარიტობის კრიტერიუმი ვერ იქნება. ცხადია, რამდენადაც მეცნიერული შემეცნება უსასრულო პროცესია, ამდენად აბსოლუტური ჭეშმარიტების იდეა მეცნიერების განვითარებაზე უარის თქმა იქნებოდა. სხვა საკითხია, გამორიცხულია თუ არა, რომ მეცნიერება, მისი განვითარების ერთ რომელიმე კონკრეტულ ეტაპზე, აბსოლუტური ჭეშმარიტების პოსტულატზე იდგეს, მაგრამ მეცნიერული შემეცნების იდეალად აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევის დასახვა მეცნიერული შემეცნების დასასრული იქნებოდა.

### § 3. სისხლის სამართლის მეცნიერების საბანო

ნებისმიერი მეცნიერების ცნებათა სისტემა კი, როგორც ცნობილია, მეცნიერების საგნის სპეციფიკით განისაზღვრება. მეცნიერების საგანზე ცნობიერების მობრუნება, როგორც თავის დროზე სწორად შენიშნაუდა ვ. შვეცოვი, მისი განვითარების აუცილობელი მომენტია. ფილოსოფიის სპეციფიკა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თავის საგანზე მისი რეფლექსია საკუთრივ, ფილოსოფიური პრობლემაა. იაზრებს რა თავის საგანს,

ფილოსოფია რჩება თავის ფარგლებში და არ მოითხოვს რა თავის “მეტაფილოსოფიას.”<sup>1</sup> ამით ისაა ნათქვამი, რომ კერძო მეცნიერების, მათ შორის, სისხლის სამართლის მეცნიერების, საგნის პრობლემა ამავე მეცნიერების ფარგლებში ვერ გადაწყდება და ამიტომ მის გარეთ მდგარ და გადასაწყვეტ, ანუ, მეტათეორიულ(ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ) პრობლემას წარმოადგენს. გარდა ამისა, მეცნიერების საგნის საბოლოო განმარტება, ამ მოვლენაზე თეორიული აზრის შემდგომი განვითარების იდეის გარეშე, მეცნიერული შექმენების დასასრულის აღიარება იქნებოდა. იქნებ ამ გარემოებათა გაუთვალისწინებლობის შედეგია თითქმის ტრადიციად ქცეული და დიდი ხნის წინათ ნათქვამი დებულება, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია დანაშაული და სასჯელი.<sup>2</sup> სისხლის სამართლის შედარებით უახლოეს სახელმძღვანელოშიც ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება სწავლობს ორ ფუძემდებლურ ინსტიტუტს — დანაშაულს და სასჯელს.<sup>3</sup>

**დანაშაული და სასჯელი** სოციალური მოვლენებია, ხოლო, მეცნიერება მოვლენათა სამყაროზე კი არ ჩერდება, არამედ ამ მოვლენების მიღმა მოქმედ კანონზომიერებებს იმეცნებს. ცხადია, სისხლის სამართლის მეცნიერება მოწოდებულია, ააგოს დანაშაულის ცნება და სასჯელის ცნება, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია დანაშაული და სასჯელი. ვერ ერთი, სისხლის სამართლის მეცნიერება გვერდს ვერ აუკლის სისხლის სამართლის კანონშემოქმედებით ურთიერთობას. ამაზე მეტყველებს სისხლის სამართლის პრინციპები, რომელთა აღრუსატი, რო-

<sup>1</sup> В. Ф. Шевцов, Предмет философии как философская проблема, Предмет философии: Принципы, подход, аспекты, Тезисы межвузовской региональной конференции, Челябинск, 1981, стр. 15.

<sup>2</sup> Н. Сергиевский, Преступление и наказание как предмет юридической науки, Юридический Вестник Московского юридического общества, 1879, № 12.

<sup>3</sup> Уголовное право Российской Федерации, М. 1996, стр. 12.



გორც უკვე ვნახეთ, არის სახელმწიფო, როგორც კანონმდებელი. მაგალითად, კანონიერების პრინციპი სისხლის სამართალში იხსნება, რომ სახელმწიფომ ყოველი ქმედება, რომელსაც იგი დანაშაულად აცხადებს, სისხლის სამართლის კანონში აღწეროს მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებით და ამ ქმედების სიმძიმის შესაბამისად სისხლის სამართლის ნორმა აღჭურვოს შესაბამისი სანქციებით. მეორეაირად რომ ვთქვათ, კანონიერების პრინციპი სისხლის სამართალში იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ანალოგია გამოირიცხოს. ასე, რომ სისხლის სამართლის ყველა პრინციპი მიმართულია კანონმდებელზე, რათა ამ უკანასკნელმა სისხლის სამართლის კანონი ამ პრინციპების შესაბამისად შეიმუშაოს და ააგოს. მაგრამ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ სახელმწიფო სისხლის სამართლის კანონს საზოგადოების, როგორც სუბიექტის, გარეშე ვერ შეიმუშაებს. უფრო მეტიც, საზოგადოება განსაზღვრულ ქმედებას აფასებს საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით, რათა შემდეგ სახელმწიფოს მისცეს წინადადება მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად, ანუ დანაშაულად მისი გამოცხადების თაობაზე, სახელმწიფო, ამ უკანასკნელის დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, მხედველობაში იღებს საზოგადოების ამ დაკვეთას, მაგრამ სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, საზოგადოებაზე არ დაიყვანება და ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადებისას მხედველობაში იღებს თავის პოლიტიკურ მოტივაციებს. მეორეც, სახელმწიფოსა და საზოგადოების ეს კანონშემოქმედებითი ურთიერთობა მოსაწესრიგებელია სახელმწიფოს ძირითადი კანონითაც. ასე, რომ ამ მიმართებით მეცნიერების საგნის ძიება უფრო გამართლებულია. მით უფრო, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონშემოქმედებითი ურთიერთობა სამართლის თეორიის შესწავლის სფეროა, ხოლო, სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობა სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის მთავარი ელემენტია. ამაზე მეტყველებს დანაშაულის ცნებაც. კერძოდ, საზოგადოებრივი საშიშროება,

როგორც დანაშაულის მატერიალური ნიშანი, ადამიანის ქმედების საზოგადოებრივ შეფასებაზე მიუთითებს, მართლწინააღმდეგობა კი - ამავე ქმედების სახელმწიფოებრივ შეფასებაზე, ხოლო, ბრალი - პიროვნებაზე, რომლის ანტისაზოგადოებრივი ქმედება კრიმინალიზაციის თუ დეკრიმინალიზაციის ობიექტია, ხოლო, ეს უკანასკნელი სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების განსაზღვრულ თანაფარდობაში მიმდინარეობს.<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი ნათქვამით არ ამოიწურება, რადგან, სისხლის სამართლის მეცნიერება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პრობლემას გვერდს ვერ აუვლის. იგულისხმება არა დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ყალბი იდეა, არამედ, პირიქით, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან წარმოიშობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, აგრეთვე, სახელმწიფოსა და ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირს შორის. გასაგებია, რომ სისხლის სამართლის კანონის პრაქტიკული მოქმედების მექანიზმისა და მისი შედეგების გათვალისწინების გარეშე სისხლის სამართლის წარმატებული კანონშემოქმედება შეუძლებელია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობისა და სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ერთიანობა.

ამრიგად, სისხლის სამართლის მეცნიერებას აფუძნებს არა დანაშაული და სასჯელი, როგორც სოციალური მოვლენები, არამედ, სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობისა და სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან წარმოიშობილი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ერთიანობა. ცხადია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა შემდგომ დამუშავებას მოითხოვს.

<sup>1</sup> გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილისი, 1998, გვ.

მეცნიერული, თუ ფილოსოფიური შემეცნება სათანადო შეთოდების გამოყენებას მოითხოვს. "მეთოდი" თეორიულ შემეცნებაში ისეთი საგანგებო ხერხია, რომელიც დროისა და ენერჯიის რაც შეიძლება ნაკლები ხარჯვით მეტი თეორიული ეფექტი იქნეს მიღებული. მეორეხარად რომ ვთქვათ, შემეცნების მეთოდი უმოკლესი გზაა საგნის თაობაზე ჭეშმარიტი აზრის მოსაპოვებლად. ისიც ცხადია, რომ შემეცნების მეთოდი შემეცნების საგანზე დამოკიდებული. მაგალითად, გეოლოგიაში აქსიოლოგიური მეთოდი (ღირებულებით-შეფასებითი დამოკიდებულების ფილოსოფია) გამოყენებული ვერ იქნება, თუმცა არსებობს შემეცნების უზოგადესი მეთოდები, რომლებიც ნებისმიერი მეცნიერების სფეროში გამოიყენება. ასეთებია **დიალექტიკური და მეტაფიზიკური მეთოდები**.

1) დიალექტიკური მეთოდი, როგორც ცნობილია, წარმოსდგება ბერძნული "დიალოგიდან" და ნიშნავს საგანთა და მოვლენათა განხილვას ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების, მათი შინაგანი წინააღმდეგობისა და განვითარების კანონზომიერების მიხედვით. დიალექტიკური მეთოდი თვისებრივად ახალ საფეხურზე დაამუშავა **ჰეგელი**, რომელმაც ეს მეთოდი სამი ძირითადი პრინციპის სახით ჩამოაყალიბა. კერძოდ, რაოდენობის თვისებრივში გადასვლის, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და უარყოფის უარყოფის კანონები **ჰეგელის** ფილოსოფიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენელია და ამ პოზიციიდან დიალექტიკის კანონები რეალურ სინამდვილეს გარედან ეჭვვა თავს. კერძოდ, დიალექტიკური აზროვნების გარეშე შეუძლებელია განვითარებისა და ახლისქმნადობის კანონზომიერების გაგება და შემოქმედებითი გამოყენება. ეს მეთოდი გამოიყენება როგორც ობიექტური სინამდვილის მიმართ, ისე, მეცნიერული შემეცნების მიმართაც. მაგალითად, სისხლის სამართლის მეცნიერებას არაერთი მეც-

ნიერების (ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიის, ბიოლოგიის და ა.შ.) მონაცემი სჭირდება, მაგრამ ეს მონაცემი სისხლის სამართალში მექანიკურად კი არ გადმოდის, არამედ ახალი ცნების აგების საფუძველია. დიალექტიკური აზროვნების გარეშე შეუძლებელია გაგებულ იქნეს, მაგალითად, სამართლებრივი მოწესრიგებისა და მისი მეთოდების ერთიანობა, როგორც არსისა და ჯვარარსის, ობიექტურისა და სუბიექტურის, მატერიალურისა და იდეალურის და ა. შ. მხარეების მიმართების თავისებურებანი. მნიშვნელოვანია ჰეგელის ის დებულება, რომ დანაშაული სამართლის უარყოფაა, ხოლო სასჯელმა უნდა უარყოს დანაშაული. მართლაც, დანაშაული სახელმწიფოს იდეის უარყოფაა, რადგან, დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი გამოჰყავს სახელმწიფოსთან სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ, ხოლო, სასჯელმა მსჯავრდებული ისე უნდა გამოასწოროს, რომ იგი კვლავ დაუბრუნდეს სახელმწიფოსთან თავდაპირველ ურთიერთობას.

2) ცხადია, დიალექტიკური მეთოდი ვველა მეცნიერებაში გამოიყენება, როგორც ერთ-ერთი უზოგადესი ხერხი ფილოსოფიური თუ კერძომეცნიერული შემეცნებისა, მაგრამ ეს მეთოდი სხვა მეთოდებთანაც არის გადაჯაჭვული. ერთ-ერთი ასეთი უზოგადესი მეტაფიზიკური მეთოდი, რომელიც აზროვნების შედარებით უფრო ნაკლოვანი წესია, ვიდრე დიალექტიკური აზროვნების წესი. ტერმინი "მეტაფიზიკა" წარმოიშვა იქიდან, რომ არისტოტელეს შრომების დალაგებისას მისი ერთი უსათაურო ნაშრომი მოათავსეს "ფიზიკად" წოდებული ნაშრომების ბოლოს. ეს ტერმინი კი ორი მნიშვნელობით გამოიყენება. ერთის მხრივ, იგი აღნიშნავს თვალხილული სამყაროს მიღმა არსებულ უცვლელ სუბსტანციას. ამ აზრით, მეტაფიზიკა ფილოსოფიის მნიშვნელობითაც გამოიყენება, თუმცა, ზოგჯერ მას უარყოფითი მნიშვნელობითაც მოიხსენებენ. მეორე მნიშვნელობით იგი აღნიშნავს აზროვნების ისეთ წესს, როცა საგნები და მოვლენები განიხილება ერთმანეთთან კავშირის გარეშე. ცალ-ცალკე, უცვლელი არსების სახით, ან ცვალებადობა

დაყვანილია საგნის გარეგან ცვლილებამდე. ცხადია, მეტაფიზიკური აზროვნების წესი ნაკლოვანია, მაგრამ მისი ხელალებით უარყოფა ან უგულებელყოფა დაუშვებელია. კერძოდ, მეტაფიზიკური მეთოდი საჭიროა, როგორც საგანთა და მოვლენათა ანალიზური ხერხი, რადგან, ანალიზის გარეშე სინთეზური აზროვნება შეუძლებელია. მაგალითად, დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, დანაშაული არის ქმედების შემადგენლობის, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის ერთიანობა. გასაკებია, რომ დანაშაულის ამ ელემენტების ცალ-ცალკე ანალიზის გარეშე დანაშაულის, როგორც ერთიანი, სინთეზური, სისტემის დიალექტიკური აზროვნების წესით, აგება შეუძლებელია.

3) დიალექტიკური მეთოდი მოიცავს ისეთ მეთოდსაც, რომლის თანახმად, ადამიანი არის არა მარტო შემქმნელებელი, არამედ შემფასებელი არსებაც. ეს ბუნებრივია, რადგან ადამიანი არა მარტო ჭეშმარიტებას ეძებს და პოულობს, არამედ ხელმძღვანელობს იდეალებით, ღირებულებებით, ეთიკური, ესთეტიკური, რელიგიური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ა.შ. შეფასებებით ამ პოზიციიდან იგულისხმება აქსიოლოგია, როგორც ღირებულების ფილოსოფია, რომელსაც ნორმატიულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ღირებულება აქსიოლოგიის ძირითადი ცნებაა და ნიშნავს შეფასებისა და ორიენტაციის იდეალურ საფუძველს.<sup>1</sup> მაგალითად, სიკეთე, სამართლიანობა, სიმამაცე, მშვენიერება, კანონიერება, და სხვა, ღირებულებებს შეადგენს. შესაბამისად, არსებობს ეთიკური, ესთეტიკური, თუ სამართლებრივი შეფასება. მაგალითად, სამართლის სფეროში ადამიანის ქმედება შეიძლება

<sup>1</sup> ვ. ქაჩაია, შ. ნადირაშვილი, დ. ბეჭაია, ვ. ჭელიძე, ღირებულება და განწყობა, „სოციოლოგიური ნარკვევები“, თბილისი, 1969.

იყოს „მართლზომიერი“, როცა ქმედება შეესაბამება სამართლის ნორმის მოთხოვნას, ან, პირიქით, „მართლსაწინააღმდეგო“, როცა ქმედება წინააღმდეგობა ამ მოთხოვნას. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად ჩამდენი პირი კი ფასდება, როგორც „უპასუხისმგებლო“, რაც ამ პირის გაკიცხვას გამოხატავს, რადგან, იგულისხმება, რომ ამ პირს შეეძლო მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება ჰქონოდა, ხოლო, მან, პირიქით, უპასუხისმგებლობა გამოიჩინა და ამიტომ იგი ნაკატორადაა პასუხისმგებელი ამ უპასუხისმგებლო ქმედებისთვის.

4) ამგვარი შეფასებითი მსჯელობანი ჭეშმარიტობა-მცდარობის ნიშნით არ ხასიათდებიან, მაშინ, როცა შეშეცნების თეორიული მსჯელობა ჭეშმარიტობა-მცდარობის კრიტერიუმით იზომება და ფაქტობრივად არსებულს ადასტურებს ან უარყოფს. მაგალითად, ადამიანი მოკვდავია, რკინა გათბობისას ფართოვდება, ვაშლი ხიდან ვარდება და ა.შ. ფაქტის აღმნიშვნელია და მასში შეფასებითი არაფერია. ამ პოზიციიდან მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ადამიანი კეთილია ან არ არის კეთილი. გამოდის, რომ, ან ყველა ადამიანი კეთილია, ან, პირიქით, არც ერთი ადამიანი არ არის კეთილი. ცხადია, ორივე მსჯელობა მცდარია, რადგან, რეალურ სინამდვილეში ზოგიერთი ადამიანი კეთილია, ზოგიერთი კი, პირიქით, ბოროტი. დებულება, რომ ადამიანი კეთილი უნდა იყოს, არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, რადგან, იგი არის მოთხოვნა, რომ ყველა ადამიანი იყოს კეთილი, რაკი სიკეთე ღირებულებაა, როგორც შეფასების იდეალური საფუძველი. მაშასადამე, ღირებულებითი (შეფასებითი) მსჯელობა ფაქტის, ანუ აღწერილობით მსჯელობაზე არ დაიყვანება და, პირიქით.

5) სამწუხაროდ, ღირებულება, როგორც აქსიოლოგიის ცნება, ხშირადაა გაიგებულები სარგებლიანობის პრინციპთან. მაგალითად, ხშირადაა ლაპარაკი სამართლის სასარგებლო თვისებაზე, რომ მას აქვს ე. წ. ინსტრუმენტური ღირებულება. ამ პოზიციიდან

სამართალი ფასდება მისი მომწესრიგებელი ეფექტურობის მიხედვით, რაც სამართლის სოციოლოგიის სფეროა, მაშინ როცა აქსიოლოგიურად სამართალი (სამართლის ნორმა) თვითონაა ადამიანთა ქმედების შეფასების საფუძველი. კერძოდ, ერთი ქმედების ფაქტობრივად ჩადენა და მეორეა მისი იურიდიული კვალიფიკაცია დანაშაულად. „კვალიფიკაცია“ ნიშნავს შეფასებას და ამდენად, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის აგება აქსიოლოგიური მეთოდის შემოქმედებითი გამოყენების გარეშე შეუძლებელია.

6) სისხლის სამართლის მეცნიერებაში უნდა იქნეს გამოყენებული ლოგიკური მეთოდების მთელი სისტემა (აღწერა, ახსნა, გაგება, ანალიზი, სინთეზი და სხვა), მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ აქვს დეონტურ ანუ, ნორმათა ლოგიკას. მაგალითად, დებულება, რომ ის, რაც კანონით აკრძალული არ არის, ნებადართულია, საკმაოდაა გავრცელებული. მაგრამ ნორმათა, ანუ, დეონტური ლოგიკის სფეროში საკითხი სხვანაირად დგას. მაგალითად, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმალვა პირდაპირ აკრძალული არაა, რადგან, მიმალვის აკრძალვა ლოგიკურად გამოცხადების ვალდებულებას დააწესებდა, მაშინ, როცა საგამომიებო-სასამართლო ორგანოში პირის გამოცხადება მისი ნების საქმეა და მას კანონმდებელი ამისკენ წახალისებს. მაგრამ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმალვა არც ნებადართულია.<sup>1</sup>

დებულება, რომ მოქალაქეს ეძლევა ნება, აკეთოს ყველაფერი, რაც კანონით არაა აკრძალული, კანონიერების პრინციპს გამოხატავს. მაგრამ იგი დეონტური ლოგიკის პოზიციებიდან პრობლემურია. კერძოდ, როგორც ერთი ცნობილი ფინელი ლოგიკოსი ამტკიცებს, ჯერ ერთი, იქიდან, რომ რაიმე არის, არ გამომდინარეობს, რომ ის აგრეთვე უნდა იყოს, რადგან, ფაქტიდან ნორმაზე, ანუ შეფასებაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა არ

<sup>1</sup>გ. ნაჭყებია, კანონით აკრძალვის ნებადართულობის შესახებ, „სამართალი“, 1992, № 1, გვ. 18.



არსებობს. მეორეც, საკმაოდ ბევრია ისეთი ვითარება, რომელიც საერთოდ არ წესრიგდება ნორმით და მას ამიტომ არც დეონტური და არც იურიდიული სტატუსი არა აქვს.<sup>1</sup>

დებულება, რომ კანონით აუკრძალავი ნებადართულია, დეონტური, ანუ, ნორმების ლოგიკის მიხედვით სწორი არაა, რადგან, ამ პოზიციიდან სამართალი თავისებურად ჩაკეტილ სივრცეში ექცევა. მაგალითად, ქმედების შემაღგენლობის განხორციელება უკვე მართლზომიერი აქტი აღარაა, რადგან, იგი სცილდება დანაშაულთა თვიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს, მაგრამ, ამავე დროს, არც მართლსაწინააღმდეგოა. ეს იმიტაც აიხსნება, რომ ქმედების შემაღგენლობიდან, როგორც ფაქტის მსჯელობიდან, ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, როგორც ამ ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებაზე, პირდაპირი ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია არსიდან ჯერარსზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა. იგულისხმება, რომ ქმედების შემაღგენლობის ფაქტიდან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე დასკვნა ინდუქციურია (საგარაუდოა). თუ განხორციელებულია ქმედების რომელიმე შემაღგენლობა და ამავე დროს არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხავი რომელიმე გარემოება, მაშინ გამოძიება ვარაუდობს, რომ ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. მაშასადამე, აქსიოლოგიური მეთოდის უგულებელყოფა საშუალებას არ იძლევა, ფაქტისა და ნორმის თანაფარდობის პრობლემა სწორად იქნეს გადაწყვეტილი. საქმე ის გახლავთ, რომ კანონით აკრძალავის ნებადართულობის იდეა კიდევ ერთი საბუთით არაა მართებული. კერძოდ, თუ კანონით აუკრძალავი ამავე დროს ნებადართულია, მაშინ, გაუკებარია, საიდან, ან რა მიზნით ჩნდება ნებადამრთველი ნორმა? მართლაც, თუ რომელიმე ქმედება კანონით აკრძალული არ არის, მაშინ, ჩვენ ამ მტკიცებისას ვადასტურებთ

<sup>1</sup> В. Г. Х. Фон Вригт, Логико-философские исследования, Избранные труды, М. 1986, стр.300.



იმ ფაქტს, რომ ეს ქმედება სამართლებრივად აკრძალული არ არის. ამ ფაქტიდან იმ დასკვნის გაკეთება, რომ ეს აუკრძალავი ქმედება ნებადართულია, ნიშნავს ქმედების აუკრძალაობის ფაქტიდან ამ ქმედების ნებადართულობაზე, ანუ ნებადამართველ ნორმაზე პირდაპირ ლოგიკურ გადასვლას, რაც **დეონტური ლოგიკის ენაზე აბსურდია**. გარდა ამისა, დებულება, რომ ფაქტიდან ნორმაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა ხდება შესაძლებელი, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის უსასრულობაზე მეტყველებს და, ამ აზრით, სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა შეუძლებელი ხდება. მართლაც, თუ ფაქტიდან ნორმაზე გადასვლა პირდაპირი ლოგიკური გზით ხდება შესაძლებელი, მაშინ ყოველი სამართლებრივი ურთიერთობის ბოლოს ლოგიკურად ჩნდება ახალი ნორმა, რომელიც ახალ სამართლებრივ ურთიერთობას დააფუძნებს და ასე უსასრულოდ.

7) სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოყენებული უნდა იქნეს მთელი რიგი სხვა მეთოდებისა, როგორიცაა: **ახსნა**, ანუ **მიზეზობრიობის პრინციპი**. მაგალითად, ერთის მხრივ, დანაშაულებრივი ქმედების მიზეზობრივი ახსნა, ხოლო მეორეს მხრივ, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტი.

8) მიზეზობრიობის პრინციპი საკმარისი არაა და ნატურალიზმის (სოციალური მოვლენების ბუნებისმეტყველური მეთოდებით შემეცნების ცალმხრივი მცდელობა) საფრთხეს შეიცავს, თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული **თელეოლოგიური პრინციპი**, ანუ, ადამიანის ქმედების შეფასება მიზნის, საშუალებისა და შედეგის თანაფარდობის მიხედვით. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობების დასადგენად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, იმისი დადგენა, ისახავს თუ არა მიზნად სუბიექტი თავისი, ან სხვისი სამართლებრივი ინტერესების დაცვას? ამ მიზნის მისაღწევად დაცვის რა საშუალება გამოიყენა? რა შედეგი გამოიღო სუბიექტის ამ ქმედებამ, ანუ ხომ არ გადააცილა მან

აუცილებელი მოგერიების ფარგლებს?

9) გარდა ამისა, არსებითაა **გაგების მეთოდოლოგია**, რადგან ამ პოზიციიდან საქმე ქება, ჯერ ერთი, სამართლის საზრისის ადეკვატურ გაგება-შეცნობას, რაც არსებითაა სამართლის ფილოსოფიაში; მეორეც, როგორც კანონმდებლის საქმიანობის საზრისის გაგებას, რაც არსებითაა სისხლის სამართლის კანონის სწორი განმარტების მეთოდოლოგიაში; მესამეც, დანაშაულის ჩამდენი პირის ქცევის მოტივებისა და მიზნის გაგებას, რაც არსებითაა ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციის საქმეში.

10) სისხლის სამართლის მეცნიერებაში საჭიროა ე.წ. ფიქციის მეთოდიც, როდესაც რაიმე თითქოს ასეა, მაშინ როდესაც ფაქტობრივად საქმის ვითარება სხვანაირადაა, მაგრამ ფაქტობრივიდან ამ გადახრას გარკვეული საზრისი აქვს და პრაქტიკულად მიზანშეწონილია, თუმცა, არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ფიქციის მეთოდის გარეშე შეუძლებელია რიგი საკითხის სწორი გაგება და გადაწყვეტა. მაგალითად, არაერთგზისი დანაშაულის ცნება ფიქციის თავისებური გამოვლინებაა. კერძოდ, 177-ე მუხლის მეორე შენიშვნის თანახმად, თუ პირველად ჩადენილი იყო, მაგალითად, ბანდიტიზმი(საქ. სსკ-ის 224-ე მუხლი), ხოლო, მეორედ – ქურდობა, მაშინ, ქურდობა არაერთგზისაა ჩადენილი. ცვალობის, რომ აქ ფაქტობრივად ერთი ქურდობაა ჩადენილი, მაგრამ იურიდიულად – ორი ანუ არაერთგზის.

ასეთივე ფიქციის მეშვეობით შეიძლება გაგებულ იქნეს ე.წ. შუალობითი ამსრულებლობა, როდესაც შერაცხადი პირი დანაშაულის ჩასადენად აქვხებს შეურაცხადს, რომელიც ამ წაქეზების წყალობით ახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას. აქ ფაქტობრივად წამქეზებელი იურიდიულად ამსრულებელია, რადგან, შეურაცხ პირს არ შეუძლია ბრალეულად იმოქმედოს. ფიქციის მეთოდით გაიგება, აგრეთვე, დანაშაულის პროფიკაცია (საქ. სსკ-ის 145-ე მუხლი), ესე იგი, სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის

მიზნით. იგულისხმება, რომ პროუოკატორი ფაქტობრივად წამქეზებულია, ხოლო, იურიდიულად — დანაშაულის პროუოკაციის ამსრულებელი. თუ დანაშაულში თანამონაწილეობისას წამქეზებული თანამონაწილეა და წაქეზება აქ იურიდიული მნიშვნელობისაა, დანაშაულის პროუოკაციისას პროუოკატორი, რასაკვირველია, დანაშაულში თანამონაწილე კი არაა, არამედ, როგორც ითქვა, დანაშაულის პროუოკაციის ამსრულებელია.

11) სისხლის სამართლის მეცნიერება იშვიათად არ აწყდება ე.წ. მონიზმისა და დუალიზმის დაპირისპირებას. თუ პრურალიზმში აუცილებელია პოლიტიკურ ურთიერთობებში, მეცნიერულ შემეცნებაში, პირიქით, წამყვანი და გადაძწვევტია მონიზმი, როგორც ერთი საწყისიდან ამოსვლის მკაცრად ლიგეკური მეთოდოლოგია. მაგალითად, სადავო არაა, რომ ფილოსოფია ყველა მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველია. არც ისაა სადავო, რომ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია გარკვეულ მეთოდოლოგიურ როლს ასრულებს. ამის გამო გვეჩვენება, რომ არსებობს მეთოდოლოგიური დუალიზმი (ერთის მხრე, ფილოსოფიის, ხოლო, მეორეს მხრე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის მეთოდოლოგიურ ფუნქციებს შორის). მაგრამ ამგვარი წარმოდგენა არსებითად არაა სწორი, რადგან, ამ დუალიზმში ფილოსოფია წარმოდგენილია ერთ-ერთ კერძო მეცნიერებად, ისევე როგორც სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერება არის ზოგადი ხასიათის ერთ-ერთი კერძო მეცნიერება. მაგრამ, როგორც კი გავაცნობიერებთ იმას, რომ ფილოსოფია არის უზოგადესი მსოფლმხედველობრივი თეორიული სისტემა, რომელიც ყველა მეცნიერების(მათ შორის, ცხადია, იურიდიული მეცნიერებების) მეთოდოლოგიური საფუძველია, დასკვნა ცალსახად ერთია: არსებობს მეთოდოლოგიური მონიზმი, რომელიც იურიდიული აზროვნების წესის მიმართაც ვრცელდება.

12) სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიაში არსებითია სოციოლოგიური კვლევის ხერხები, რადგან, ამ პოზიცი-

იდან სისხლის სამართალი არის ერთ-ერთი სოციალური მოვლენა, სოციალური მიზეზებითა და შედეგებით, სისხლის სამართლის კანონმდებლობისას კი არსებითაა დანაშაულის მდგომარეობის, სტრუქტურისა და დინამიკის კრიმინოლოგიური გაგება. გარდა ამისა, რიგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვხდებით გადაუხვიოთ იურიდიული აზროვნების წესს და ვარაუდის დონეზე გადავწყვიტოთ ესა თუ ის საკითხი. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას (ვთქვათ, ქმედითი მონანიერის გამო — საქ. სსკ 68-ე მუხლი), იმის მიუხედავად, რომ არსებობს დანაშაულის ჩადენის შესახებ გარკვეული მტკიცებულება, ჩვენ უნდა ვიფარაუდოთ, რომ გარკვეული კატეგორიის დანაშაული უკვე ჩადენილია. აქ ვარაუდი იმიტომაცაა საჭირო, რომ ჩადენილი ქმედების დადასტურება გამამტყუნებელი განაჩენის ფორმაში არ ხდება. თუ ჩადენილი ქმედება გამამტყუნებელი განაჩენის ფორმით დადასტურდება, — ეს უკვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა და, მაშასადამე, მისგან გათავისუფლებაც შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ნიშნავს ზოგიერთი კატეგორიის (ნაკლებად მძიმე) დანაშაულის გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში სუბიექტის ბრალის ოფიციალური, ანუ სასამართლო წესით დადგენის გარეშე.

დანაშაულის ჩადენის შესახებ ასეთივე ვარაუდი იგულისხმება საპროცესო შეთანხმების შემთხვევაშიც, როცა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს საქმის არსებითი განხილვის გარეშე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლში ჩამოთვლილია გარემოებანი, რომელნიც უნდა აღინიშნოს დოკუმენტში საპროცესო შეთანხმების შესახებ, ხოლო ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულია მტკიცებულებებზე, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ

აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.”

13) ამ სფეროში არსებითია **სისტემური კვლევის მეთოდოლოგია**,<sup>1</sup> მაგალითად, სამართლის სისტემაში სისხლის სამართლის ადგილის დასადგენად. კერძოდ, სამართლის სისტემას იწყებს კონსტიტუციური სამართალი და ამთავრებს სისხლის სამართალი. ნებისმიერი სისტემის საწყისი და სასრული ელემენტი უფრო მეტი ანალოგიური ნიშნებით ხასიათდება, ვიდრე, ამ სისტემის შუალედური ელემენტი. მაშასადამე, სისხლის სამართალს უფრო მეტი საერთო აქვს კონსტიტუციურ სამართალთან, ვიდრე, ვთქვათ, სამოქალაქო სამართალთან. ამ ასპექტით კი, თავს იჩენს ისეთი მეთოდები, როგორცაა: **ანალოგია და შედარება**. მაგალითად, ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრის წინააღმდეგ, რომლის თანახმად, დანაშაული თითქოს ისეთივე იურიდიული ფაქტია, როგორც დელიქტი სამოქალაქო სამართალში. ამ დებულებაში გამოყენებულია მხოლოდ ანალოგია და არა შედარება, რადგან, როგორც კი სამართლის ამ ორ დარგს ერთმანეთთან შევადარებთ, მაშინვე თავს იჩენს მათ შორის არსებითი სხვაობაც. ამის შესახებ უკვე მქონდა მსჯელობა და აქ არ გავიმეორებთ.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში შეიძლება დაედასტუროთ ზოგიერთი მეთოდოლოგიური ცალმხრივობანი. მაგალითად, **ობიექტივიზმი**, როდესაც დანაშაულის ცნების კლასიკურ მოდელში ქმედების შემადგენლობა გაგებული იყო წმინდა ობიექტურად, სუბიექტის ქცევის მოტვისა და მიზნის გარეშე, მაშინ, როცა, მაგალითად, ქურდობის შემადგენლობა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო ფარული მისაკუთრების მიზნის გარეშე შეუძლებელია. გამორიცხული არაა **სუბიექტივიზმიც**. მაგალითად, დანაშაულის ცნების რუსულ მოდელში ბრალი ქმედების შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტია, მაშინ, როცა ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში მართლწინააღმდეგობა არ შედის,

<sup>1</sup> გ. ცინცაძე, მეცნიერული კვლევის სისტემური მეთოდი, თბილისი, 1980

როგორც დანაშაულის მეორე ელემენტი, ხოლო ბრალი ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე შეუძლებელია. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობაში ბრალის შეტანა **სუბიექტივიზმია**, რადგან, იგი ანგარიშს არ უწევს არც დანაშაულის სისტემის ობიექტურ წყობას და არც იმას, რომ ქმედების შემადგენლობა აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობაა, ხოლო, ბრალი სუბიექტის გაკიცხვის საფუძველია. გასაგებია, რომ წმინდა აღწერილობითი მსჯელობის (ქმედების შემადგენლობის) და ბრალის, როგორც სუბიექტის გაკიცხვის, პირადაპირი ლოგიკური კავშირი (მართლწინააღმდეგობის გაშუალების გარეშე) შეუძლებელია.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში შეინიშნება რედუქციონიზმიც, როდესაც ერთი მოუღენა მეორეზეა დაყვანილი და ამდენად ერთიც მახინჯდება და მეორეც. მაგალითად, ერთ-ერთ სახელმძღვანელოში აღნიშნული იყო, რომ **“სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა – ეს სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც სახელმწიფოსა და დაშნაშავეს შორის წარმოიშობა.”**<sup>1</sup> ამ დებულებაში პასუხისმგებლობა ურთიერთობაზეა დაყვანილი, ანუ პასუხისმგებლობა ურთიერთობად საღდება, მაშინ, როცა პასუხისმგებლობა აპირობებს ურთიერთობას, როგორც პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმას.

შეიძლება სხვა მეთოდებზე მსჯელობაც, მაგრამ ამჯერად მოკლედ შევაჯამებთ ამ თემაზე ჩვენი ადრინდელი მსჯელობის მოშველიებით კერძოდ, სისხლის სამართლის მეცნიერება „ნორმის“ მეცნიერებაა, რაც ნორმატივიზმის, ანუ სოციალური სინამდვილიდან სამართლის ნორმის მოწვევების საფრთხეს შეიცავს. სოციალური სინამდვილიდან მოწვევითი სამართალი კი, განვითარების ზოგად კანონზომიერებაში ვერ ჩაჯდება, ხოლო, ეს **დოკმატიზმის წყაროა**. ნორმატივიზმი **დუალიზმში გადადის**, როდესაც, მაგალითად, ცდილობენ ჩამოაყალიბონ მოტევის იურიდიული ცნება (მოტევის ფსიქოლოგიური ცნების პარალელურად); ნორ-

<sup>1</sup> Советское уголовное право, Общая часть, МГУ, 1988, стр.24.

მატივზმის დაძლევის ცდამ შეიძლება მეორე უკიდურესობა – სოციოლოგიზმი – გამოიწვიოს, როდესაც სამართალი განიხილება არა როგორც ჯერარსი, არამედ, როგორც წმინდა სოციალური ფენომენი სოციალური მიზეზებითა და შედეგებით. ამ პოზიციიდან კი, სისხლის სამართლის მეცნიერების, როგორც იურიდიული აზროვნების ლოგიკური ფორმების (იურიდიული ცნებების) სისტემის, დასაბუთება შეუძლებელია.<sup>1</sup>

ამრიგად, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიის ეს მოკლე განხილვაც კი ადასტურებს, რომ მეცნიერული შემეცნება განსაკუთრებულად რთულია და ამიტომ მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. ისიც გასაგებია, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიაში წამყვანია ფილოსოფია, როგორც ნებისმიერი მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიური საფუძველი.

## § 5. სისხლის სამართლის მეცნიერების ალბილი მეცნიერებათა სისტემაში

სისხლის სამართლის მეცნიერება კერძო, დარგობრივი, იურიდიული ცოდნის სისტემაა, რომელიც მეცნიერებათა გარკვეულ სისტემაში თანაარსებობს და ვითარდება. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება იურიდიულ მეცნიერებათა სისტემა. ამ სისტემაში წამყვანია სამართლის თეორია, რომლის ცნებებსა და კატეგორიებს სისხლის სამართლის მეცნიერებისთვის დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვთ მაგალითად, სამართლის ცნების გარეშე სისხლის სამართლის ცნების დადგენა შეუძლებელია. გარდა ამისა, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისათვის არსებითია კანონშემოქმედების ცნება და პრობლემა, რომელიც, როგორც

<sup>1</sup> გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილისი, 1998, გვ. 49.



უკვე ვნახეთ, სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის ვადო-  
კვეთაზე დგას. ეს იმით აიხსნება, რომ სამართლის სისტემას  
კონსტიტუციური სამართალი იწყებს, ხოლო, სისხლის სამართალი  
ამთავრებს. ამიტომ კანონშემოქმედება სამართლის თეორიისა და  
სისხლის სამართლის მეცნიერების სპეციფიკური პრობლემებია.  
სამართლის მეცნიერების სხვა არც ერთ დარგს კანონშემოქმე-  
დების პრობლემა საგანგებოდ არ აინტერესებს.

სისხლის სამართლის მეცნიერება მჭიდრო კავშირშია სხვა  
იურიდიული ცოდნის სისტემებთან. მაგრამ მათ ამჯერად არ  
განვიხილავ, რადგან, ამ საკითხებზე სამართლის სისტემაში სისხ-  
ლის სამართლის ადგილის პრობლემასთან კავშირში მოკლედ  
მაინც ვიმსჯელებ. ამჯერად კი მოკლედ შევხები სისხლის სა-  
მართლის მეცნიერების მიმართებას კრიმინოლოგიასთან და  
კრიმინალისტიკასთან, როგორც იურისპრუდენციისთვის დამ-  
ხმარე, არაიურიდიული ცოდნის, სისტემებთან. შემთხვევითი არც  
ისაა, რომ სამართლის მეცნიერების არც ერთ დარგს საკუთარი  
ლათინური, თუ ბერძნული, სახელდება არ დაკეოლიათ, მაშინ,  
როცა მეცნიერებათა უმრავლესობას ეს სახელდება (მაგალითად,  
გეოლოგია, გეოგრაფია, ბიოლოგია და ა. შ.) იმთავითვე დაკევა.  
ეს იმით აიხსნება, რომ სამართლის დარგებმა თვითონ მოახდინეს  
სახელდება იმ სინამდვილისა, რომელსაც სამართლის ესა თუ  
ის დარგი აწესრიგებდა. ამიტომ, სამართლის მეცნიერებათა  
ახალი სახელდება პრაქტიკულად საჭირო არ გახდა. ამ მხრივ  
გამონაკლისი გახლდათ „კრიმინოლოგია“ და „კრიმინალისტიკა“,  
რომელთაც საქმე უშუალოდ აქვთ რეალურ ფაქტებთან და მხოლოდ  
გამუალებულად უკავშირდებიან სამართლის შესაბამის დარგებს.  
ისინი „ფაქტის“ მეცნიერებებს წარმოადგენენ და არა „ნორმისა“.  
ამიტომაც მოხდა მათი საკუთრივი სახელდებაც. სამწუხაროდ,  
ყოფილ საბჭოთა კავშირში კრიმინოლოგიას სისხლის სამართლის  
ნაწილადაც კი მიიჩნევდნენ. კრიმინოლოგია მჭიდრო კავშირშია,  
უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის მეცნიერებასთან,



რადგან, დანაშაულობის, როგორც შედარებით მასობრივი მოვლენის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების პრობლემატიკას გათვალისწინების გარეშე, ჯერ ერთი, სისხლის სამართლის წარმატებული კანონშემოქმედება, მეორეც, სისხლის სამართლის საქმეებზე მართალი მსაჯულების განხორციელება, შეუძლებელი იქნებოდა. ისიც გასაგებია, რომ კრიმინოლოგიაზე სისხლის სამართალიც ახდენს უკუხემოქმედებას, რადგან კრიმინოლოგია სოციოლოგიისა და სისხლის სამართლის მიმართების მიჯნაზე იმყოფება, ხოლო სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, და კრიმინოლოგიის, როგორც სოციოლოგიური ტიპის მეცნიერების, ურთიერთობის კვლევა, ფილოსოფიურ მიდგომას მოითხოვს.

რაც შეეხება კრიმინალისტიკას, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი აქვს სისხლის სამართლის პროცესთან, მაგრამ სისხლის სამართლის გარეშე ვერც კრიმინალისტიკა (როგორც ჩადენილი დანაშაულის გახსნა-გამოძიების ტექნიკის, ტაქტიკისა და მეთოდის ერთიანობის შესახებ მეცნიერება) იქნებოდა შესაძლებელი.<sup>1</sup> აქ მოკლედ მაინც აღვნიშნავ ერთ-ერთ საგულისხმო გარემოებას. კერძოდ, როგორც შემდგომაც დავინახავთ, დანაშაული არის ფსიქოლოგიური ქცევის, ანუ მოტევისა და მიზნის განხორციელების ხერხი, ხოლო თვით დანაშაულის ჩადენის ხერხი (მაგალითად, მკვლელობა მოწამვლით, მოხრჩობით, დაჭრით და ა.შ.) კრიმინალისტიკას აინტერესებს. მაგრამ არაა გამორიცხული დანაშაულის ჩადენის ხერხს, როგორც კრიმინალისტიკურ ცნებას, სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობაც აქონდეს. მაგალითად, მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს (საქ. სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

სისხლის სამართლის მეცნიერებას უსათუოდ სჭირდება მთე-

<sup>1</sup> ზ. ბარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბილისი, 1969.

ლი რიგი არაიურიდიულ მეცნიერებათა მონაცემებისა. ამ მხრივ არსებითია ზოგადი ფსიქოლოგია იმის დასადგენად, თუ ფსიქოლოგიურად ქცევის რომელ ფორმას (იმპულსურს, თუ ნებისმიერს) უკავშირდება დანაშაულებრივი ქმედება, როგორია დანაშაულებრივი ქმედების მოტივაცია და მოტივების რა კლასიფიკაცია იქნებოდა აუცილებელი სისხლის სამართლისთვის? როგორია მიზნის ფსიქოლოგიური ბუნება და რა როლს ასრულებს იგი (მოტივთან ერთად) ადამიანის საქციელის შეფასებაში? ბუნებრივია, რომ ფსიქოლოგიის მონაცემების გარეშე შეუძლებელია ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტების მეცნიერული ანალიზი. ცხადია, ფსიქოლოგიის მონაცემები სისხლის სამართლის მეცნიერებაში მექანიკურად არ უნდა იქნეს გადატანილი, თუმცა ამ მიმართებით დგას არაერთი მეთოდოლოგიური სიძნელე. კერძოდ, ფსიქოლოგია არის ფაქტის მეცნიერება, მაშინ როდესაც სისხლის სამართალი ჯერარსულია და ამდენად, სისხლის სამართლის მეცნიერება „ნორმისაა“ და არა ფაქტისა. გასაგებია, რომ ამ მიმართებით გადამწყვეტია არსისა და ჯერარსის თანაფარდობის სწორი ფილოსოფიური ანალიზი, რომელსაც უკვე მოკლედ მაინც შევხუე. აქ აღენიშნავ იმას, რომ, რაკი აქ „ფილოსოფია“ ვახსენეთ, ურიგო არ იქნება, თუ მოკლედ მაინც ვიტყვი იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართალი არაა მოწყვეტილი ზნეობას, ხელოვნებას და სხვა ნორმატიულ სისტემას.

დანაშაული, როგორც წესი, ამორალური ქმედებაა, ხოლო ბრალის პრობლემატიკაში ზნეობრივი გაკიცხვის პრობლემა იმაზე მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება კავშირშია ეთიკასთანაც. შემთხვევითი არც ისაა, რომ გერმანელი კოლგები მორალური და სამართლებრივი ბრალის გამიჯვნაზე ხშირად მსჯელობენ. გარდა ამისა, თუ სამართალი მაინც გარედან ნაკარნახვეი ქცევის წესია, მორალური ნორმების სპეციფიკა უმთავრესად და ყველაზე მეტად მათი შესრულების შინაგან გარანტიაში ჩანს.

ეს არის სინდისი, ჩვენი შინაგანი მსაჯული. სინდისის ქენჯნა თს სასჯელია, რომელიც მორალური ნორმის დამრღვევისათვის არის განკუთვნილი.<sup>1</sup>

სამართალი კავშირშია ხელოვნებასთან, მათ შორის, სისხლის სამართალიც. მაგალითად, თუ მეცნიერებაში ერთი ავტორის იდეა შეიძლება შემოქმედებითად განავითაროს მეორემ, ხელოვნებაში ეს შეუძლებელია, რადგან აქ „ავტორი“ მკაცრად პერსონალურია (ვთქვათ, ლადო გუდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ვაჟა-ფშაველა და ა.შ.). ანალოგიურად, სამართალში ოფიციალური, პერსონალური, „ავტორი“ ანუ კანონმდებელი სახელმწიფოა და მხოლოდ მას შეუძლია მიიღოს კანონი ან მასში ცვლილება-დამატებანი შეიტანოს. გარდა ამისა, ყოველი მხატვრული სახე ინდივიდუალური და განუმეორებელია: არ არსებობს ორი კუკარაჩა, ორი დათა თუთაშხია, ორი რასკოლნიკოვი და ა.შ. ისევე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ქმედების შემადგენლობის აღწერილობა მკაცრად ინდივიდუალურია და ერთი არ იმეორებს მეორეს (იმის მიუხედავად, რომ ანალოგიური ხასიათის ნორმები ხშირია). ისიც გასაკვირია უნდა იფოს, რომ ხელოვნება სინამდვილის მოვლენების აღწერასაც მოიცავს, მაგრამ ხელოვნებაში მთავარია მხატვრული შეფასება, ისევე როგორც სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ქმედების შემადგენლობის აღწერილობა, მაგრამ აქაც მთავარია ქმედების სამართლებრივი შეფასება მისი მართლზომიერებისა თუ მართლწინააღმდეგობის თვალსაზრისით. არსებობს სხვა ანალოგიური ნიშნებიც, მაგრამ ამჯერად მოკლედ შევხებით მხატვრული შემოქმედებისა და კანონშემოქმედების ანალოგიურ ნიშნებს, რაც კარგად არის გამოხატული **ბ. ნანაიშვილის** ნააზრევში.

მისი აზრით, „პოზიტიური სამართლის წარმოშობა უნდა ნიშნავდეს მხოლოდ ერთს, სახელდობრ იმას, რომ სამართლის

1 ო. ბაკურაძე, მორალისა და სამართლის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, „საბჭოთა სამართალი,“ 1972, № 4, გვ. 33.

აზრი იქცა მოქმედ უფლებრივ შინაარსად, ისე, როგორც ყოველ სურათში — ესთეტიკური იდეა პოულობს თავის ნამდვილობას. ავტორის დასკვნით, „პოზიტიური სამართალი წარმოუდგენელია უდასაწყისოდ, ესე იგი სამართლის წყაროს გარეშე, და როგორც ესთეტიკური იდეა პოულობს თავის განხორციელებას სურათში ესთეტიკური შემოქმედების საშუალებით, სწორედ ასევე სამართლის არამოქმედი აზრის ნამდვილ (ქმედით) შინაარსად ქცევა შეიძლება მხოლოდ სამართლის შემოქმედების აქტის საშუალებით.“<sup>1</sup>

ხელოვნებისა და სამართლის ეს და სხვა ანალოგიური ნიშნები იმას ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება არც ესთეტიკისგანაა მოწყვეტილი. პირიქით, ესთეტიკის, როგორც მეცნიერების, დაფუძნება სამართლის მეცნიერებათა დაფუძნების ანალოგიურია. მხატვრულის შესახებ სამართალთან მიმართებაში ზემოთ ცოტა რამ მაინც ითქვა, ხოლო, რელიგიურისა და სამართლის მიმართების თაობაზე აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ, ჯერ ერთი, სამართალი ადამიანის გარკვეული რწმენის გარეშე წარმოუდგენელია. აქ საკმარისი იქნებოდა თუნდაც იმ ფაქტის მოხმობა, რომ, მაგალითად, მოსამართლის რწმენის გარეშე განაჩენი მართლმსაჯულების აქტად ვერ ჩაითვლება. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანურ ყოფიერებაში ერთადერთი უნარი, რომელიც აერთიანებს სიკეთეს, მშვენიერებას, ზნეობას და ხელოვნებას, არის რწმენის უნარი, ვინაიდან მხოლოდ შემოქმედება წვდება მშვენიერებას, ხოლო უმაღლესი სიკეთე არის მშვენიერება.<sup>2</sup> არაა გამორიცხული, რომ ესთეტიკურად მშვენიერი აღმოჩნდეს სამართლის პრინციპების, ნორმების სხარტი, მოქნილი, ღრმააზროვანი შემოქმედებითი ჩამოქნა-ჩამოყალიბება, რომელიც სამართლებრივი კულტურის განსაკუთრებით მაღალი

<sup>1</sup> გ. ნაწიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, „სამართლის ფილოსოფიის საკითხები“, თბილისი, 1992, გვ. 65.

<sup>2</sup> ა. ბურჯაღლიანი, ადამიანური ყოფიერების სიმბოლური უმანაცია და ღირებულების ობიექტურობის პრობლემა, საქართველოს მეცნიერებათა „მაცნე“, 1992, № 1, გვ. 15-16.

დონის მანქანებელი იქნება.

სისხლის სამართლის მეცნიერებას უეჭველად სჭირდება ფსიქო-ატრიის მონაცემებიც (მაგალითად, შერაცხაობის, შეურაცხაობისა და შეზღუდული შერაცხაობის საკითხებზე); **სოციალური ფსიქოლოგიისა** (მაგალითად, ჯგუფური ქცევის ფსიქოლოგია და დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემა); **სოციოლოგიისა** (მაგალითად, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები; სოციალური როლების თეორია და დანაშაულებრივი უმოქმედობის მიზეზობრიობის პრობლემა) და სხვა. ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ სისხლის სამართლის კანონი ბუნებრივად უკავშირდება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ზოგიერთ სხვა მეცნიერებათა მიღწევებს (მაგალითად, გარემოს სისხლისსამართლებრივი დაცვის პრობლემა). ამჯერად კი დავამთავრებ დასკვნით, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება, მართალია, კერძო მეცნიერებათა რიგში ერთიანდება, მაგრამ მეცნიერებათა სისტემაში სისხლის სამართლის ადგილის პრობლემა, საბოლოო ანგარიშით, ფილოსოფიაში გადადის. მით უმეტეს, რომ ადამიანის ფილოსოფიური პრობლემატიკის გარეშე დანაშაულისა და სასჯელის პრობლემატიკის მეცნიერული გააზრება შეუძლებელია. აკად. **ა. ბოჭორიშვილი** შემთხვევით არ წერდა: „ადამიანის ველურობიდან გამოსვლის ერთ-ერთი მანქანებელი არის იურიდული და ზნეობრივი კანონების ცნობა, აღიარება ადამიანის მიერ ადამიანი ვერ იაზრება, თუ არ იქნება ამისათვის გამოყენებული სამართლისა და მორალის ცნება. ნორმატიული კანონები, კანონების ნორმალური გამოყენება არის აუცილებელი პირობა როგორც ადამიანთა საზოგადოების, ისე, ადამიანის ინდივიდის პიროვნებად დადგენისთვის. პიროვნებისა და საზოგადოების აუცილებელი შტაფდრა და შემტკიცება ნორმის ცნებაში გვაძლევს ადამიანის ბუნების წვდომის საიმედო გზას.“<sup>1</sup>

აქ ისე კარგად არის ყველაფერი ნათქვამი, რომ ვერაფერს

<sup>1</sup> ა. ბოჭორიშვილი, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თეორიული საფუძვლები, თბილისი, 1976, გვ. 77.

დაეუმატებ. ფაქტია, რომ ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომების გარეშე, სისხლის სამართლის მეცნიერების ნამდვილი პრობლემების სწორი გააზრება და გადაწყვეტა შეუძლებელია.

## § 6. სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემა და მისი ლოგიკური საფუძველი

უკვე განვიხილე სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, მეთოდოლოგია. აქედან გამომდინარე, დგება სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემის პრობლემაც, რადგან, ამ მხრივ საქმე შეეხება იურიდიული აზროვნების წესსა და მის ლოგიკურ ფორმებს. უკვე ითქვა, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა და სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობის ერთიანობა. სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობის პოზიციიდან საქმე შეეხება რამდენიმე მნიშვნელოვან ცნებას. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ქმედების საზოგადოებრივი, ანუ სოციალური საშიშროება, რომელიც ქმედების დანაშაულად სახელმწიფოებრივი კვალიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. სამწუხაროდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებში ბრალის ფორმები აგებულია ქმედების მხოლოდ მართლწინააღმდეგობაზე და ამ მხრივ ქმედების სოციალური საშიშროების ხასიათი და ხარისხი გათვალისწინებული არაა, ხოლო, ეს ბრალის ხასიათისა და ხარისხის პრობლემატიკაში სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის. მართლწინააღმდეგობას, როგორც ქმედების უარყოფით სახელმწიფოებრივ (სამართლებრივ) შეფასებას, ხარისხობრივი გრადაცია არ გააჩნია და, მაშასადამე, ბრალის ხასიათი და ხარისხი სხვა კრიტერიუმს მოითხოვს. დანაშაულის ცნების წმინდა ფორმალური გაგების წინააღმდეგ კი მხედველობაში

უნდა მივიღოთ საქ. სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, მცირეწიშვნელოვანი ქმდება დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ამ პოზიციიდან კი, ქმედების სოციალური საშიშროების ცნება და კრიტერიუმი ლოგიკურად ხდება აუცილებელი. სხვას რომ თავი დაეანებოთ, დანაშაულთა კატეგორიზაცია (საქ სსკ მე-12 მუხლი) ამ კრიტერიუმის გარეშე შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში მითითება ქმედების სოციალურ საშიშროებაზე საკმარისი იქნებოდა თუნდაც იმისი თქმა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მთელი ერთი თავია გათვალისწინებული, რომელშიც ქმედების სოციალური საშიშროება დავას არ იწვევს (მაგალითად, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ XXX თავი).

ქმედების დანაშაულად სახელმწიფოებრივ კვალიფიკაციას, ანუ სისხლის სამართლის კანონის ფორმაში ქმედების დანაშაულად ოფიციალურ გამოცხადებას „კრიმინ.ლიზაცია“ ეწოდება. არსებობს ამისი საპირისპირო შემთხვევა, როდესაც კანონმდებელი წინათ დანაშაულად მიჩნეულ ქმედებას დანაშაულად უკვე აღარ აცხადებს. ამ პროცესს „დეკრიმინალიზაცია“ ეწოდება. სახელმწიფოს აღნიშნული საკანონმდებლო საქმიანობა საკმარის რთული და პრაქტიკულია, რადგან, ამ პროცესებს თან ახლავს მთელი რიგი საკითხებისადმი ტრადიციული მიდგომების გადასინჯვა, ღირებულებათა თავისებური გადაფასება, მით უფრო ისეთ ვტაპზე, როცა საზოგადოებაში ძირეული სოციალურ-ეკონომიკური და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ცვლილებები ხდება. ასე დაიწყო საქართველოში ახალი ეპოქა (გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან), თუმცა საკმარის რთული თანმხლები ნეგატიური მოვლენებით მაგრამ საბოლოო ჯამში ეს იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების პროგრესულ გზაზე შედგომა და, მაშასადამე, ეროვნული სისხლის სამართლის



კანონმდებლობის შემუშავების რთული ამოცანის გადაჭრა. ცხადია, ყოველფე ეს სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკური გეზის, სტრატეგიისა და ტაქტიკის გარეშე ვერ განხორციელდება. ცხადია, ადამიანთა გარკვეული ქმედების კრიმინალიზაცია წინასწარვე გულისხმობს დაშვებულად დებულებას, რომ დანაშაული სიციალური მოვლენაა და მას სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს, მაგრამ ადამიანი თავის გადაწყვეტილებებში შეფარდებით თავისუფალია და, ამდენად, პასუხისმგებელია კიდევ თავისი ქმედებისთვის.

კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის უაღრესად რთული და მრავალმხრივი პროცესები მთელი რიგი პრინციპებით წესრიგდება. მაგალითად, თუ ქმედება, რომლის კრიმინალიზაციის საკითხი დგას, არ უნდა იყოს საზოგადოებაში იმდენად მასობრივი მოვლენა, რომ მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ ბრძოლას აზრი არ ჰქონდეს. პირიქითაც, თუ ქმედება იშვიათია და შემთხვევიდან შემთხვევამდე ხორციელდება, მისი კრიმინალიზაცია, როგორც წესი, უაზროა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ განსაკუთრებულ გამონაკლისებს, როცა, მაგალითად, საქმე ეხება საერთაშორისო მშვიდობის დაცვას. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ითვალისწინებს პასუხისმგებლობას აგრესიული ომის განაღებისკენ მოწოდებისთვის (405-ე მუხლი). ძნელი მისხვედრი არაა, რომ ამ დანაშაულს საქართველოს სინამდვილეში შეიძლება არც კი ექნეს ადგილი, მაგრამ ქართველი კანონმდებელი, საერთაშორისო მშვიდობის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, ვაღდებულება აღნიშნული ნორმა შექმნას და განამტკიცოს კიდევ.

არსებობს კრიმინალიზაციის რიგი სხვა პრინციპიც. მაგალითად, ქმედება, რომელიც კრიმინალიზაციის ობიექტი შეიძლება გახდეს, სოციალურად საშიში უნდა იყოს, თანაც გავრცელების მზარდი ტენდენციით, სისხლის სამართლის კანონი მას დაუპირისპირდეს და შემცირების ტენდენციისკენ შეაბრუნოს. გარდა ამისა, ქმედების კრიმინალიზაციის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული



მოთხოვნა, რომ, ის, რაც დანაშაულთა წინააღმდეგ შეიძლება ეფექტურად გამოიყურებოდეს, ყველაფერი დაშვებულია. მაგალითად, გაუპატიურების რეციდივის აღმოსაფხვრელად მსაჯურდებულის კასტრაცია დიდად ეფექტური იქნებოდა, მაგრამ, ცხადია, ამ უკიდურესად მახინჯ და ანტიადამიანურ ღონისძიებას არც ერთი ნორმალური სახელმწიფო არ დაუშვებს.

კრიმინალიზაცია, თავის მხრივ, დაკავშირებულია ტერმინ “პენალიზაციასთან,” რაც ნიშნავს იმას, რომ კანონმდებელი დანაშაულად მიჩნეულ ქმედებას სისხლის სამართლის კანონში სათანადო სასჯელით აღჭურავს სასჯელის საკანონმდებლო გრადაციის მიხედვით. ტერმინი “დეპენალიზაცია” ნიშნავს დანაშაულად მიჩნეული ქმედებისათვის სასჯელის გაუქმებას ან შემსუბუქებას.

დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის პოზიციიდან კი, უფრო ლოგიკურია „სისხლის სამართლის სუბიექტის“ ცნება, ვიდრე „დანაშაულის სუბიექტის“ ტრადიციული ცნება, რადგან, ამ მიმართებით საქმე შეეხება მართლზომიერ ქმედებას. როგორც უკვე ვიცით, სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ყველა ქმედუნარიანი ფიზიკური პირი და ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირი ვალდებული ხდება, მოქმედებდეს მართლზომიერად და ქმნიდეს მართლწესრიგს. ამ პოზიციიდან ლოგიკურია არა „დანაშაულის სუბიექტის“ ფალბი ცნება, არამედ, „სისხლის სამართლის სუბიექტის“ ცნება. ამჯე ლოგიკით უფრო მართებულია „სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტის“ ცნება, ვიდრე, „დანაშაულის ობიექტის“ ტრადიციული ცნება, რადგან, ჯერ ერთი, იმ საკითხს, თუ რომელი ობიექტი უნდა იყოს დაცული სისხლის სამართლის კანონით, — წვევტს კანონმდებელი; მეორეც, სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტი დაცულია სისხლის სამართლის სუბიექტის მართლზომიერი ქმედებითაც. მესამეც, როგორც შემდგომაც დაეინახავთ, შეუძლებელია მართებულად ჩაითვალოს რუსული ტრადიციია, როცა ქმედების დანაშაულად

კვალიფიკაციას „დანაშაულის ობიექტის“ ტრადიციული ცნებით იწყებენ, მაშინ როდესაც, მაგალითად, აფეთქების, ცეცხლის წაქიდების და სხვა ანალოგიური ქმედების მიზანი ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს საკუთრების დაზიანება, ან განადგურება (საქ. სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილი), მაშასადამე, აქ „დანაშაულის ობიექტია“ საკუთრება; მეორე შემთხვევაში კი იგივე ქმედების მიზანი შეიძლება იყოს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, შესუსტება (ანუ საბოტაჟი – საქ. სსკ 318-ე მუხლი) და ამ მიმართებით „დანაშაულის ობიექტია“ სახელმწიფო, მისი ნორმალური ფუნქციონირება. მაშასადამე, სუბიექტის მიზნის დადგენის გარეშე „დანაშაულის ობიექტის“ სწორად დადგენა შეუძლებელია, ხოლო მიზანი დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი ელემენტია.

ამრიგად, „დანაშაულის ობიექტის“ ტრადიციული ცნების საფუძველზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ვერ დაიწყება. ამიტომ უფრო მართებულია „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის“ ცნება, რადგან ამ მიმართებით საქმე შეეხება კანონმდებლის საქმიანობას, კერძოდ კი იმას, თუ რომელი ობიექტი მიაჩნია მას სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტად. მაშასადამე, დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებს „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის“ ცნება. დანაშაული ხელყოფს სწორედ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს, ხოლო ის, თუ სახელდობრ, სამართლებრივი დაცვის რომელი ობიექტია ხელყოფილი, ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის (მოტივისა და მიზნის) დადგენის გარეშე სწორად დადგენილი ვერ იქნება. უფრო მეტიც, მაგალითად, „განზრახვის მიმართულების“ ცნების გარეშე ვერც ის იქნება დადგენილი, ჩადენილია თუ არა მცირე მნიშვნელოვანი ქმედება (საქ. სსკ მე-7 მუხლის მეორე ნაწილი), თუ დანაშაული. მაგალითად, ხუთლარიანის ქურდობა, თუ სუბიექტს უფრო მეტის შესაძლებლობა ჰქონდა, მცირემნიშვნელობის გამო, დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვა-

ლოს, მაგრამ თუ ხუთლარიანი ჯიბის ქურდობისას ამოკვეთა ხელს, ცხადია, დანაშაული უკვე ჩადენილია, რადგან, ამ შემთხვევაში ქურდის განზრახვა ნებისმიერ შედეგზე იყო მიმართული.

ამრიგად, სისხლის სამართლის სუბიექტი და სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებია. მაშასადამე, მცდარია რუსული ტრადიცია, როცა „დანაშაულის სუბიექტი“ და „დანაშაულის ობიექტი“ თითქოს ქმედების შემაღგენლობის ელემენტებია. ამ მცდარ ტრადიციას კი, თავის მხრივ, განაპირობებს დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფაქტი იდეა, მაშინ როცა, პირიქით, არსებობს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა, რომელიც სისხლის სამართლის ჰუმანიტარულ მიზნებს და ამოცანებს შეესაბამება. ბუნებრივია, თუ ეს იდეა სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემის აზღვურად აკების ერთ-ერთი საფუძველია. მით უფრო, რომ დანაშაულის ჩამდენ პირს წმინდა იურიდიულად „მსჯავრდებული“ ქვდება.

აქედან გამომდინარე, იურიდიულად არაუიშარი გამართლება არა აქვთ ისეთ ტერმინებს, როგორცაა: „დამნაშავე“, „დანაშაულის სუბიექტი“, „დამნაშავის პიროვნება.“ ეს ტერმინები პირის სამართლებრივ მდგომარეობას კი არ გამოხატავენ, არამედ, სოციოლოგიური ხასიათისანი არიან და მათი იურიდიული დასაბუთება შეუძლებელია. მართლაც, თუ სუბიექტმა ქმედების შემაღგენლობა განახორციელა და არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაშინ, გამოძიება ვარაუდობს, რომ ჩადენილი ქმედება მართლწინააღმდეგოა. თუ ამასთან ამ ქმედებაში გამოხატულია ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვა ან გაუფრთხილებლობა, მაშინ არსებობს ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძველი და პირი თავისი პროცესუალური მდგომარეობით „ბრალდებული“ ხდება. თუ ეს ქმედება საბოლოოდ დანა-

შაულად დაკვალიფიცირდა, ესე იგი, ჩადენილ მართლსაწინა-  
აღმდეგო ქმედებაში ბრალდებულის ბრალი დადგინდა, მაშინ საქ-  
მე შეეხება ამ პირის პროცესუალური მდგომარეობის დადგენას  
სასამართლოს მიერ სახელმწიფოს სახელით გამოტანილი გა-  
მამტყუნებელი განაჩენით („მსჯავრდებული“). მაშასადამე, დანა-  
შაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის  
სამართალი არ ადგენს. ეს დასკვნა საესებით ბუნებრივია, რადგან,  
დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი სახელმწიფოსთან სისხ-  
ლისსამართლებრივ ურთიერთობაში კი არ შეჰყავს, როგორც ეს  
რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშია წარმოდგე-  
ნილი, არამედ, პირიქით, სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებ-  
რივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ გაჰყავს. სახელმწიფოსთან  
სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ კი,  
სამართლებრივად თავისუფალი სივრცეა (დანაშაულის ჩამდენი  
პირი იურიდიულად არ არის ვალდებული, გამოცხადდეს და  
არც უფლებამოსილია, მიიმალოს) და, მაშასადამე, ამ ეტაპზე  
და ფარგლებში პირის სამართლებრივი მდგომარეობის დადგენა  
შეუძლებელია. ამიტომ, რომ დანაშაულის ჩადენა ფუნქცი-  
ონალურად ქმნის არა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას,  
არამედ სისხლის სამართლის პროცესუალურ ურთიერთობას,  
რომლის ფარგლებში ხდება ჩადენილი ქმედების გამოძიება და  
სასამართლო განხილვა (მაშასადამე, პირის პროცესუალური  
მდგომარეობის დადგენაც).

ამრიგად, ისეთ არაიურიდიული ხასიათის ტერმინებს, რო-  
გორიცაა: „დანაშაულის სუბიექტი“, „დამნაშავე“, „უდანაშაულო“,  
„დამნაშავის პიროვნება“ არაეითარი იურიდიული და ფილოსო-  
ფიური საფუძველი არ გააჩნია. მართლაც, თუ „დანაშაულის სუბი-  
ექტი“ არის იურიდიული ხასიათის ცნება და იგი იურიდიული  
აზროვნების წესს გამოხატავს, მაშინ საესებით ლოგიკური იქნება  
სრულიად აბსურდული დასკვნა, რომ დანაშაულის ჩადენა ადამი-  
ანის ერთ-ერთი დანიშნულებაა. სინამდვილეში დანაშაული არ-

სებიტად ქინაალმდგება ადამიანის დანიშნულებას. როგორც მართებულად აღნიშნაუდა პროფ. **თ. ბუაჩიძე**, „ადამიანის დანიშნულება აა მის დიოს (ხაზგამა ავტორისაა — გ. ნ.) ღირებულებით განსაზღვრულ ჯერარსის ხმას: ამაღლდეს ვიტალობაზე, იცხოვროს ინტენსიური ცხოვრებით, ე. ი. იღწვოდეს მაღალი ღირებულებების განხორციელება-დაცვისათვის, სამყაროში ლოგოსის, გონიერების დამკვიდრებისათვის.“<sup>1</sup>

გასაკებია, რომ ადამიანის დანიშნულება, უპირველეს ყოვლისა, სიკეთის, როგორც უმაღლესი ღირებულების, ქმნასა და დაცვაში მდგომარეობს. აქედან გამომდინარე, ადამიანის დანიშნულება სისხლის სამართლის სფეროშიც ვლინდება. ესაა მართლზომიერი ქმედების, როგორც მინიმალური ღირებულების (მოთხოვნის) განხორციელება. ადამიანი სისხლის სამართლის სფეროში დანიშნულია მართლზომიერი ქმედებისათვის (მათ შორის, იურიდიული პირის სახელით მოქმედიც) ხდება ვალდებული, მოქმედებდეს მართლზომიერად). მაშასადამე, დანაშაულის ჩადენა არ შეიძლება ადამიანის დანიშნულებად ჩაითვალოს. პირიქით, დანაშაულის ჩადენა არსებიტად ქინაალმდგება ადამიანის არსებას, მის დანიშნულებას. პროფ. **ზ. კაკაბაძე** მართებულად აღნიშნაუდა, რომ ადამიანს შეუძლია გადაუხვიოს თავის საკუთარ არსებას, თავისი ყოფიერების „კანონს“<sup>2</sup> და რომ დანაშაულის ჩადენა ისევე მოხდება, თუ ადამიანი თავისი სინდისის ნეიტრალიზაციას არ მოახდენს თვითმოტყუების მეშვეობით, დანაშაული, მოცემულ გარემოებებში, თითქოს საესებით გამართლებულია. ირკვევა, რომ ეს თვითმოტყუება „ვიზაა დანაშაულის სამყაროში შესასვლელად.“<sup>3</sup> მაშასადამე, დანაშაულის ჩადენა ადამიანის არსის, მისი დანიშნულების, საწინააღმდეგო აქტია. აქედან გამომდინარე, „და-

<sup>1</sup> **თ. ბუაჩიძე**, ღირებულება და ადამიანის დანიშნულება, „ადამიანი, ინდივიდი, პიროვნება“, თბილისი, 1987, გვ. 42.

<sup>2</sup> **ზ. კაკაბაძე**, ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა, თბილისი, 1987, გვ. 12.

<sup>3</sup> იქვე გვ. 19.

ნაშაულის სუბიექტი“ არ შეიძლება იურიდიული აზროვნების წესს გამოხატავდეს და იურიდიულ ცნებას წარმოადგენდეს. ამ მხრივ არც „დამნაშაულის პიროვნება“ ჩაითვლება იურიდიულ ცნებად, რადგან, თუ საქმე პიროვნებაზე მიდგება, მაშინ, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროში, აგრეთვე, სასჯელაღსრულებით ურთიერთობებში, უნდა იგულისხმებოდეს სათანადო სამართლებრივი მდგომარეობა და ამის შესაბამისად ბრალდებულის, გამართლებულის (თუ სასამართლო გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს), მსჯავრდებულის, ან პატიმრის პიროვნება.

ბოლოს, არაეითარი იურიდიული და ფილოსოფიური საფუძველი არა აქვს აგრეთვე ტერმინს „უდანაშაულო“, რადგან, ქმედების შემადგენლობის განმახორციელებელი პირი ჯერ კიდევ „დამნაშაუვ“ არაა, რაკი ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში ბრალი არ შედის, მაგრამ არც უდანაშაულოა, რადგან, გამორიცხული არაა, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელებით მას დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი. რაკი ტერმინი „უდანაშაულო“ პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ გამოხატავს, ბუნებრივია დასკვნაც, რომ ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ იურიდიული აზროვნებისთვის არსებითად უცხოა. ჯერ ერთი, ადამიანი, როგორც ასეთი, არც „დამნაშაუვა“ და არც „უდანაშაულო“. ადამიანის, როგორც ასეთის, მიმართ მოქმედებს არა „უდანაშაულობის პრეზუმფცია“, როგორც ამას ხშირად ფიქრობენ, არამედ, ე. წ. კეთილსინდისიერების პრეზუმფცია. ფარაუდება, რომ ადამიანი კანონებს კეთილსინდისიერად შეასრულებს. ამ ეთიკური სიმაღლიდან დანაშაულის ჩადენამდე ადამიანის დაცემა ფრიად სერიოზული ექვსის საგანი ხდება და ამიტომაა, რომ ამ მიმართებით „შერაცხაობის“ ცნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. თუ დადგინდა, რომ ქმედების სუბიექტი შერაცხადა, პროცესუალურად ის მაინც ჯერ კიდევ არაბრალეულია, რადგან ჩადენილ ქმედებაში სუბიექტის ბრალს ადგენს არა გამოძიება,

არამედ მხოლოდ სასამართლო სახელმწიფოს სახელით გამორჩენილი გამამტყუნებელი განაჩენის ფორმაში. მაშასადამე, პროცესუალურად არსებობს არა „უდანაშაულობის პრეზუმფცია“, არამედ, „არაბრალეულობის პრეზუმფცია“, რომლის სასამართლო გაბათილების შემდეგ უკვე უპრიანია მტკიცება, რომ პირი ბრალეულის სამართლებრივ მდგომარეობაში იმყოფება. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ არსებითად შესაცვლელია გამამტყუნებელი განაჩენის ტრადიციული ფორმულაც („პირი ცნობილ იქნეს დამნაშავედ“), რადგან, „დამნაშავე“ იურიდიული ტერმინი არაა და იურიდიული აზროვნების წესს არ გამოხატავს. ამიტომ გაუკებარია, როგორ უნდა სცნოს სასამართლომ პირი იმად („დამნაშავედ“), რომლის პროცესუალური მდგომარეობა არ არსებობს? ცხადია, ლოგიკურია დასკვნა, რომ სასამართლომ პირი უნდა სცნოს ბრალეულად სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. მართლია, დანაშაული ქმედების შემადგენლობის, ამ ქმედების მართლსაწინააღმდეგობის და სუბიექტის ბრალის ერთიანობით ვლინდება, მაგრამ დანაშაულის ცნებიდან „დამნაშავის“ ლოგიკური გამოყვანა დაუშვებელია, რადგან, ჯერ ერთი, „დანაშაული“ იურიდიული ხასიათის ცნება, ხოლო, დანაშაულის ჩამდენ პირს იურიდიულად „მსჯურდებული“ ქმედება. მეორეც, დანაშაული, როგორც უკვე ითქვა, შეუქცევადია და ამდენად, ამ ასპექტით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია. სისხლის სამართლში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია სასჯელის ასპექტით, რადგან მსჯურდებული სასჯელის მოხდის შედეგად პასუხისმგებლურად მოეკიდება მართლზომიერი ქმედების მოვალეობას და, მაშასადამე, აღსდგება სახელმწიფოსთან იმ ურთიერთობაში, რომელშიც იგი იმყოფებოდა მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამონაკლისის სახით სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში შეიძლება მოქმედებ-



დეს ბრალეულობის პრეზუმფციაც. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისას (მაგალითად, ქმედითი მონანიების გამო — საქ. სსკ-ის 68-ე, მუხლი), გარკვეული მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, სავარაუდოა, რომ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული უკვე ჩადენილია. ცხადია, ამ ვარაუდში იგულისხმება პირის ბრალეულობაც, რომლის ოფიციალური (სასამართლო) წესით დადგენა მოცემულ შემთხვევაში არ ხდება.

ასეთივე ვარაუდი, ანუ, ბრალეულობის პრეზუმფცია იგულისხმება საპროცესო შეთანხმების შემთხვევაშიც, რადგან, ამ მიმართებით განაჩენი საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოაქვთ და, მაშასადამე, დანაშაული ჩადენილად თვარაუდება, თანაც ამ კონკრეტული ბრალდებულის მიერ (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საქმეზე არსებული მტკიცებულება „საკმარისია იმ დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა“).

მოკლედ შევხები დანაშაულისა და სასჯელის ცნებების აგების საქმეში დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელობას. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ამ დებულების თანახმად, ქმედების შემადგენლობა დანაშაულის ცნების პირველი ელემენტია. საქმე ისაა, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება მართლზომიერი აქტი უკვე აღარ არის, რადგან იგი სცილდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს, მაგრამ ამავე დროს არც მართლსაწინააღმდეგოა.

ამრიგად, ქმედების შემადგენლობა არის აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობა, რადგან იგი დანაშაულთა თავიდან აცილების



გამო წარმოშობილი ურთიერთობის, როგორც ღირებულებათა ურთიერთობის, ფარგლებს გარეთ არსებულ ფაქტობრივ ვითარებას ასახავს. დანაშაულის ცნების მეორე ელემენტია ქმედების მართლწინააღმდეგობა. ცხადია, იგულისხმება, რომ პირი არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტია. ნაცლად იმისა, რომ სისხლის სამართლის სუბიექტი მოქმედებდეს მართლზომიერად და ქმნიდეს მართლწესრიგს, ის, პირიქით, არ ასრულებს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და ხელყოფს მართლწესრიგს. თუ განხორციელებულია ქმედების შემაღგენლობა და ამავე დროს არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამოძრინცხავი რომელიმე გარემოება (ვთქვათ, აუცილებელი მოგერიება), მაშინ გამოძიება ვარაუდობს, რომ ჩადენილი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. ქმედების შემაღგენლობის ფაქტიდან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური დასკვნა შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია არსიდან ჯერარსზე (ფაქტიდან ნორმაზე) პირდაპირი ლოგიკური გადასვლა. ამიტომ, რომ ქმედების შემაღგენლობის ფაქტიდან მის მართლწინააღმდეგობაზე დასკვნა გამოძიების სტადიაზე საგარაუდოა (ინდუქციურია). ამ მიმართებით ინდუქციის მეორე მიზეზი ისაა, რომ ქმედების შემაღგენლობის განხორციელება მკაცრად ინდივიდუალურ პირობებში ხდება, ხოლო ქმედების მართლწინააღმდეგობა ამ ქმედების ზოგადსამართლებრივ შეფასებას გამოხატავს.<sup>1</sup>

ამრიგად, ერთია, როცა ქმედების შემაღგენლობის ფაქტიდან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური დასკვნა შეუძლებელია და ეს დასკვნა ამიტომ საგარაუდოა (ინდუქციურია). ქმედების შემაღგენლობის განხორციელების ინდივიდუალური პირობებიდან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე (როგორც

<sup>1</sup> ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989.

კერძოდან ზოგადზე გადასვლა) პირდაპირი ლოგიკური გზით შეუძლებელია. სასამართლოში კი ქმედების მართლწინააღმდეგობა უტყუარად უნდა იქნეს დადგენილი, რადგან, სასამართლოს შეუძლია გააკეთოს უკუდასკვნა იმ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც წინ უძღოდა დანაშაულის ჩადენას და რომელიც ადასტურებს, რომ პირი ვალდებული იყო ემოქმედა მართლზომიერად, ხოლო ის, პირიქით, მოიქცა მართლსაწინააღმდეგოდ.

მართლწინააღმდეგობა, როგორც ჩადენილი ქმედების უარყოფითი სამართლებრივი შეფასება, ქმედების შემადგენლობასთან ერთიანობაში ქმნის უმართლობის ცნებას, რომელსაც არაერთი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ უმართლობა არაა წმინდა ობიექტური ფენომენი, რომელიც ქმედების სუბიექტური ელემენტებისგან მოწყვეტილი იქნებოდა. გარდა იმისა, რომ არსებობს უმართლობის სუბიექტური ელემენტი (მაგალითად, სუბიექტის ქცევის მიზანი), არსებობს უმართლობის კლასიფიკაცია სისხლის სამართალშიც. მაგალითად, მკვლელობის უმართლობა სუბიექტის განზრახვის გარეშე შეუძლებელია, ხოლო განზრახვა ბრალის ერთ-ერთი ფორმაა. მაშასადამე, უმართლობა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის კავშირის თავისებური ფორმაა. მით უფრო, რომ ბრალი არის სუბიექტის უპასუხისმგებლობის სინონიმი, ესე იგი, როცა სუბიექტი უპასუხისმგებლოდ ეკიდება მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და სწადის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

მაშასადამე, ბრალი სისხლის სამართალში შეიძლება განისაზღვროს, როგორც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებასადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოიხატება.

რაც შეეხება სასჯელის ცნებას, ისიც სისხლისსამართლებ-

რეგი ურთიერთობის საფუძველზე გაიგება. კერძოდ, უკვე ითქმის, რომ დანაშაულებრივი ქმედება შეუქცევადია, რადგან დანაშაუ-  
ულით გამოწვეული ზოგი მატერიალური (მაგალითად, მკვლელო-  
ბისას მოკლულს სოცოცხლეს ვერ დაუბრუნებ) და მორალურ-  
პოლიტიკური ზიანის აღდგენა შეუძლებელია. ამიტომ სისხლის  
სამართალში პირველადი, ანუ დანაშაულის ჩადენამდე არსებული  
მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია არა დანაშაულის ასპექტით,  
არამედ სასჯელის ასპექტით. კერძოდ, საქართველოს სისხლის  
სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,  
სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშა-  
ულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.  
ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „სასჯელის მიზანი ზორ-  
ციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირებზე ზემოქმედებით, რათა  
ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წი-  
ნაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.“

გასაკებია, რომ ამ დებულებაში „პასუხისმგებლობა“ გამო-  
ყენებულია მისი პოზიტიური ასპექტით იგულისხმება, რომ  
სასჯელის გამოყენების შედეგად როგორც მსჯავრდებული, ისე  
საზოგადოების სხვა მერყევი ელემენტი (ამ უკანასკნელის მიმართ  
სისხლის სამართლის კანონის ზოგადი პრევენციული მოქმედების  
გამო), მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდებიან  
სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით  
და, მამასადამე, უპასუხისმგებლო, ანუ ბრალეულ ქმედებას  
არ ჩაიდენენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოფილი მსჯავრდებული,  
სასჯელის მოხდის შედეგად, აღსდგება სახელმწიფოსთან როგორც  
სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში, რაც მართლზომიერი  
ქმედების ვალდებულებით გამოიხატება, ისე სახელმწიფოს წი-  
ნაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში, რაც, თავის  
მხრე, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის  
პასუხისმგებლური დამოკიდებულებით გამოიხატება. აქ ისიც  
უნდა ითქვას, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალიდან, ანუ,

მისი უპასუხისმგებლობიდან მსჯავრდებულზე სასჯელის ზე-  
მოქმედების შედეგად მისი პოზიტიურ პასუხისმგებლობაზე  
გადასვლის პირდაპირი ლოგიკური გზა არ არსებობს და ეს გზა  
ნასამართლობითაა გაშუალებული.

ამრიგად, აშკარაა, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების  
ყველა ძირითადი ცნება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა  
და პოზიტიური პასუხისმგებლობის ერთიანობის საფუძველზე  
აიგება. ამ პრობლემებს შემდგომ უფრო გავაღრმავებთ.

## § 7. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის

### ზოგადი თეორია

ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სწორი შეფასებისა და  
სისხლის სამართლის ამ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის გარეშე  
კანონიერი, სამართლიანი, ყოველმხრივ დასაბუთებული გამამ-  
ტყუნებელი განაჩენის დადგენა შეუძლებელია. მაგრამ, ამ ფრიად  
მნიშვნელოვანი პრაქტიკული საქმიანობის ეფექტურობისთვის  
აუცილებელი ხდება მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური შესწავლა,  
ანუ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის  
შემუშავება. სამწუხაროდ, ამ მხრივ ქართული ლიტერატურა ძალიან  
ღარიბია. \* ჯერ ერთი, საკმაოდაა გავრცელებული ისეთი არასწო-  
რი ტერმინი, როგორიცაა: „დანაშაულის კვალიფიკაცია“, რადგან,  
თუ ქმედება უკვე „დანაშაულია“, მაშინ ის კვალიფიცირებულია  
ასეთად და მაშასადამე, მისი ხელახალი კვალიფიკაცია „დანა-  
შაულად“ უაზროა. ამ პოზიციიდან „დანაშაულის კვალიფიკაციის“  
ცნებაც შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია „დანაშაულად  
კვალიფიცირებული დანაშაულის დანაშაულად კვალიფიკაცია.“ ამ  
იწილო-ბიწილოს თავიდან აცილების მიზნით უნდა გამოვიყენოთ  
ტერმინი „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია.“  
საქმე ეხება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებუ-

ლი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას ამ კვალიფიკაციის ზოგადი წესებისა და მათი თეორიული განზოგადების მეორეც, თეორიული ცოდნის სისტემაში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის ადგილიც სწორად არაა დადგენილი. კერძოდ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აღნიშნული თეორია სისხლის სამართლის მეცნიერების ნაწილია. ცხადია, სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილისგან მოწყვეტით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შემუშავება შეუძლებელია. მაგრამ ეს უკანასკნელი სისხლის სამართლის თეორიის ფარგლებში ვერ ეტყვა. ეს ბუნებრივია, რადგან ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია მისი სუბიექტების (კანონმდებლის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების) საქმიანობის ანალიზის გარეშე შეუძლებელია. ამას რომ თავი დაეხანებოთ, „კვალიფიკაცია“ უცხო (ლათინური) ტერმინია და ნიშნავს „შეფასებას.“ შეფასება, თავის მხრივ, მეტად რთული საქმიანობაა და დაკავშირებულია ისეთ ცნებებთან, როგორცაა: შეფასების საფუძველი, შეფასების სუბიექტი და ობიექტი, შეფასების საგანი და სხვა. შეფასების საფუძველი არის შესატყვისი ღირებულება (არსებობს ეთიკური, ესთეტიკური, სამართლებრივი და ა.შ. ღირებულებანი და მათი შესატყვისი შეფასებანი), ხოლო, ეს პრობლემა თავისი არსით აქსიოლოგიურია (აქსიოლოგია არის ღირებულების ფილოსოფია). შეფასება, თავის მხრივ, არაა მოწყვეტილი შეფასების ობიექტის შემეცნებას, რადგან თუ შეფასების ობიექტის ბუნება არ ვიცით, ვერც მის სწორ შეფასებას მოახერხებთ. შეფასების ობიექტის შემეცნება სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პირობაა, ხოლო, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტებისა და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის თანაფარდობის პრობლემის მართებული გაგების გარეშე (ეს თანაფარდობა კი დღემდე სადაუოა) სასამართლო შესაბამის ობიექტურ დასკვნას ვერ გამოიტანს. გასაგებია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სინთეზური ერთიანობა სწორი, კანონიერი, სამართლიანი, ყოველმხრივ დასაბუთებული გამატყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველია.

ყოველფე აქედან ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია სისხლის სამართლის მეცნიერების, როგორც ერთ-ერთი კერძო მეცნიერების, ფარგლებში ვერ ეტყვა და იგი ამიტომ მეთოდოლოგიურ პრობლემატიკაში ინაცვლებს.

### § 8. სისხლის სამართლის ფილოსოფია

სისხლის სამართლის მეცნიერება, როგორც უკვე ითქვა, კერძო, დარგობრივი, იურიდიული ცოდნის სისტემაა. მას მჭიდრო კავშირი აქვს არა მარტო სხვა იურიდიული, არამედ არაიურიდიული ცოდნის სისტემებთან. მეცნიერებათა სისტემაში სისხლის სამართლის მეცნიერების ადგილის დადგენა ფილოსოფიაში გადადის, რადგან, მხოლოდ ფილოსოფიას შეუძლია შეიმეცნოს როგორც საკუთარი თავი, ისე სხვა ნებისმიერი მეცნიერების ბუნება. კერძოდ, ფილოსოფიის რაობის დადგენა არის ფილოსოფიის პრობლემა, ანუ ფილოსოფიის ფილოსოფია არის ფილოსოფია, მაშინ, როცა სხვა ნებისმიერი კერძო მეცნიერების თეორია არის მეტათეორია, ესე იგი, ეს უკანასკნელი კერძო მეცნიერების გარეთ აივება. ამიტომ, რომ კერძო მეცნიერება არის ონტოლოგიური ცოდნის სისტემა, მაშინ, როცა გნოსეოლოგია, როგორც შემეცნების თეორიული პრობლემატიკა, ფილოსოფიური სისტემის განუყრელი ნაწილია. ამიტომ, რომ ფილოსოფია ნებისმიერი მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველია. ცხადია, გამოწვევისი ამ მხრივ არც სისხლის სამართლის მეცნიერებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათი არაა შემთხვევა, როცა სამართლის თეორიას ფილოსოფიის თვისებას მიაწერენ, თითქოს ის იყოს როგორც ონტოლოგიური, ისე,

გნოსეოლოგიური ცოდნის სისტემა.<sup>1</sup> სინამდვილეში სამართლის თეორია ზოგადი ხასიათის კერძო მეცნიერებაა, რომელიც მხოლოდ ონტოლოგიური ცოდნის სისტემას წარმოადგენს. არც ის აზრია მართებული, რომ სამართლის თეორია ფილოსოფიასა და დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებათა შორის თითქოს გამაშუალებელი რგოლია.<sup>2</sup> სინამდვილეში ფილოსოფიას კერძო მეცნიერებებთან დასაკავშირებლად არაეითარი „შუამავალი“ არ სჭირდება. გარდა ამისა, გამაშუალებელი რგოლის იდეა, ჯერ ერთი, ფილოსოფიას ერთ-ერთ კერძო მეცნიერებად იაზრებს, რაც დაუშვებელია და ფილოსოფიის ბუნების დამახინჯებას წარმოადგენს. მეორეც, ცუდ უსასრულობაში ჩაგვაგდებს. მართლაც, ფილოსოფიის, სამართლის თეორიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების ურთიერთობის გარკვევას ახალი, მეოთხე, მეცნიერება დასჭირდება, ამ უკანასკნელს – მებუთუ და ასე უსასრულოდ.<sup>3</sup> ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საკმარისი იქნებოდა იმისი თქმა, რომ ფილოსოფია, როგორც უკვე ითქვა, ერთადერთი თეორიული სისტემაა, რომელიც იმეცნებს როგორც საკუთარ თავს, ისე ნებისმიერი სხვა თეორიული სისტემის პრინციპულ შესაძლებლობას.<sup>4</sup> აქედან გამომდინარე, ფილოსოფიის, სამართლის თეორიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების ურთიერთობას არკვევს ფილოსოფია და არა რომელიღაც „მეოთხე“ მეცნიერება. ცხადია, ამ მიმართებით ფილოსოფია სისხლის სამართლის მეცნიერების მიმართ ასრულებს წამყვან მეთოდოლოგიურ ფუნქციას, თუმცა, იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში მეთოდოლოგიურ ფუნქციას სამართლის თეორია ასრულებს. მაგალითად, სამართლის ზოგადი ცნება,

<sup>1</sup> Д. А. Керимов, Философские проблемы права, М. 1972, стрю 33-34.

<sup>2</sup> А. М. Васильев, Правовые категории, М. 1976 стрю 18-19

<sup>3</sup> გ. ნაჭვებია, ფილოსოფიასთან სისხლის სამართლის მეცნიერების „გაშუალებული“ კავშირის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, № 1.

<sup>4</sup> გ. ცინცაძე, ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა ურთიერთობის შესახებ, თბილისი, 1977, გვ. 20.



რომელსაც სამართლის თეორია ადგენს, სისხლის სამართლის ცნების დადგენის მეთოდოლოგიური საფუძველია. მაგრამ ამ მხრივ წამყვანი მაინც ფილოსოფიაა და ამიტომ საკითხი მონისტურად წყდება, ანუ ამ მიმართებით მეთოდოლოგიური დუალიზმი არ არსებობს.

ამრიგად, სისხლის სამართლის მეცნიერების მიმართ ფილოსოფიის მეთოდოლოგიური ფუნქცია დაეას არ იწვევს. მაგრამ არსებობს სისხლის სამართლის ფილოსოფიაც, როგორც სამართლის ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი. სწორად მიუთითებს პროფ. **გ. ხუბუა**, რომ სამართლის თეორია არის კერძო მეცნიერება, ანუ იგი მეცნიერულია, ხოლო სამართლის ფილოსოფია – მსოფლმხედველობრივი<sup>1</sup> და რომ სამართლის ფილოსოფია არის ფილოსოფიის და არა სამართლის მეცნიერების ნაწილი. მართლაც, სამართლის ფილოსოფია სამართლის არსის მსოფლმხედველობრივი ანალიზია, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის ფონზე იმისი დადგენაა, თუ რა ისტორიული როლი მიუძღვის სამართალს ადამიანის ქმნალობაში და როგორი შეიძლება იყოს ან უნდა იყოს სამართალი მომავალში. მართალია, სამართლის ფილოსოფია სამართლის არსის თაობაზე შეხედულებათა ჩასახვისა და განვითარების ისტორიის კვლევასაც მოითხოვს,<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ფილოსოფია პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიისგან განსხვავდება. **მ. მაიერი** წერდა, რომ ფილოსოფია, როგორც კრიტიკული მეცნიერება, სწავლობს ღირებულებას საზოგადოდ, ხოლო სამართლის ფილოსოფია სწავლობს სამართლის ცნებასა და იდეას.<sup>3</sup>

სამართლის ფილოსოფია სამართლის არსის ზოგადი ფილოსოფიური ანალიზით არ შემოიფარგლება. კერძოდ, არსებობს არა მარტო დარგობრივი იურიდიული მეცნიერებანი (მაგალითად,

<sup>1</sup> გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 15-16.

<sup>2</sup> ჯ. ფუტკარაია, სამართლის ფილოსოფია, თბილისი, 2007.

<sup>3</sup> M. E. Mauer, Rechtsphilosophie, Berlin, 1922, s. 6.



კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და ა.შ. სპარტლის თეორიული სისტემები), არამედ სამართლის ფილოსოფიური ფილოსოფიებიც. გამონაკლისი ამ მხრივ არც სისხლის სამართალია. უფრო მეტიც, საზოგადოების ნორმატიულ სისტემაში სისხლის სამართლის ადგილი გვიჩვენებს, რომ სისხლის სამართლის სპეციფიკურ პრობლემებს სისხლის სამართლის კერძო მეცნიერება ვერ ამოწურავს. მაგალითად, სისხლის სამართლებრივი აზრის ისტორიაში იშვიათად არ დასმულა საკითხი იმის თაობაზე, აქვს თუ არა სახელმწიფოს იმისი უფლება, რომ დასაჯოს ადამიანი თავისი დანაშაულებრივი ქმედებისთვის? **სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა თავისი არსით ფილოსოფიურია, რადგან, სისხლის სამართლის კერძო მეცნიერება ამგვარ საკითხებს არ სვამს და ვერც გადაჭრის.** მაგალითად, პ. ანდრეასი სპეციალურად იხილავს სისხლის სამართლის ფილოსოფიის ისეთ საკითხს, როგორცაა: სახელმწიფოებრივი სასჯელის გამართლება.<sup>1</sup> გარდა ამისა, დანაშაული, განსაკუთრებით ბრალის განზრახი ფორმით ჩადენილი, არის მსოფლმხედველობრივი ცდომილების ნაირსახეობა, რადგან დანაშაულის ჩადენა, იმის მიუხედავად, რომ სუბიექტი განზრახ და შეგნებულად მოქმედებს, არის ქმედება ადამიანის საკუთარი არსის წინააღმდეგ.<sup>2</sup> საკუთარი არსების წინააღმდეგ ადამიანის მოქმედება, რაც დანაშაულებრივი ქმედების სახით გამოიხატება, არის ადამიანის შეცდომა, ანუ, მისი მსოფლმხედველობრივი ცდომილება, რომელიც სისხლის სამართლის ფილოსოფიის პოზიციიდან შეიძლება გაცნობიერდეს.

დანაშაულისა და სასჯელის ამგვარი მსოფლმხედველობრივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, უფრო კრიტიკულად მოვკვიდოთ სასჯელზე სახელმწიფოს უფლებას, რაც წარმატებული სისხ-

<sup>1</sup> H. Andreas, Die Bergundung des Srsfrecht in der Neueren Deutsche RechtsPhilosophie, 1961, a. 20.

<sup>2</sup> გ. ნატყებია, განზრახი დანაშაული, როგორც მსოფლმხედველობრივი ცდომილება, „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. XI, თბილისი, 2007.

ლის სამართლის კანონშემოქმედების წინაპირობაა, ხოლო, დანაშაულებრივი ქმედების ფილოსოფიური კრიტიკა, თავის მხრივ კიდევ უფრო ღრმად ააშკარავებს დანაშაულის უსაზრისობას, დანაშაულის ჩამდენი პირის საკუთარ თავთან დაპირისპირების ტრაგიზმს, რითაც ხელს უწყობს დანაშაულთა თავიდან აცილებას. მაგრამ სამართლის ფილოსოფია და, მაშასადამე, სისხლის სამართლის ფილოსოფია იურისპრუდენციის მეთოდოლოგიურ საკითხებთან არ უნდა აგვერიოს, როგორც ეს, ჩემი აზრით, **300-კელმ ჯაშერს** დაემართა. მისი აზრით, სამართლის ფილოსოფია განსხვავებულ მიმართებაშია ფილოსოფიასთან და სამართლის მეცნიერებებთან. ფილოსოფიისთვის სამართალი არის მასალა, სფერო, დარგი, ისევე, როგორც ეს ითქმის ეთიკის, ესთეტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის შესახებ. სამართლის მეცნიერებებისთვის კი, სამართლის ფილოსოფია არის მხოლოდ მეთოდი, საგნის განხილვის წესი.<sup>1</sup>

ჩემი აზრით, ავტორის მტკიცება სწორი არაა. სამართლის ფილოსოფია, რა თქმა უნდა, კავშირშია სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრობლემებთან, მაგრამ ამ უკანასკნელზე სამართლის ფილოსოფიის დაყვანა სამართლის ფილოსოფიის ლოგიკურ უარყოფას წარმოადენს. სამართლის ფილოსოფია სამართლის არსის მსოფლმხედველობრივი ანალიზის გარეშე არ არსებობს, მაშინ როდესაც იურისპრუდენციის მეთოდოლოგიური საკითხები უფრო კონკრეტულ სფეროებს აღძრავენ და ამ უკანასკნელის ინტერესებს ემსახურებიან. სამართლის ფილოსოფია კი, ფილოსოფიის ინტერესებს ემსახურება, თუმცა, არის თუ არა სამართლის ფილოსოფია სპეციალური ფილოსოფიური დისციპლინა, ანალოგიურად, მაგალითად, ეთიკის ან ესთეტიკისა, — სპეციალურ განხილვას მოითხოვს. ამჯერად კი სისხლის სამართლის ფილოსოფიის საკითხებს დაეუბრუნდები.

თუ სისხლის სამართლის მეცნიერება დანაშაულის ცნების

<sup>1</sup> W. Sauer, Einfuhrung in die Rechtsphilosophie, Berlin, 1961, a. 1.

პირველადობის პრინციპით აიგება, სისხლის სამართლის ფილოსოფია, პირიქით, სასჯელის ცნების პირველადობიდან ამოედის (სასჯელზე სახელმწიფოს უფლების დასაბუთება-უარყოფით) და დანაშაულის ცნებით ამთავრებს. ეს იმით აიხსნება, რომ სისხლის სამართლის ფილოსოფია კრიტიკულად განიხილავს იმ ქმედებათა წრეს, რომელიც დანაშაულად სახელმწიფოებრივ კვალიფიკაციას იმსახურებს (ცხადია, სისხლის სამართლის კანონშემოქმედების ეტაპზე და სისხლის სამართლის კანონის ფორმაში). მართალია, სისხლის სამართლის ფილოსოფია სისხლის სამართლის იდეალსაც წარმოაჩენს, ესე იგი, იმის მიხედვითაც, თუ როგორი უნდა იყოს სისხლის სამართალი, მაგრამ იგი ამჟღად დროს ხელს უწყობს უფრო პროგრესული ტიპის სისხლის სამართლის დამკვიდრებას, მაშასადამე, უფრო პროგრესული სისხლის სამართლის მეცნიერების დამკვიდრებასაც. მით უფრო, რომ სისხლის სამართლებრივი ცოდნის მეცნიერულობა სერიოზული ეჭვის საგანიც კი ვოფილა. ამ ცოდნას უფრო ხელოვნებად ნათლავდნენ, ვიდრე, მეცნიერებად.<sup>1</sup> ცხადია, რომელიმე თეორიული ცოდნის ჭეშმარიტობის საზომი პრაქტიკაა, მაგრამ ეს კი არ გამოიციხავს, არამედ, გულისხმობს მეცნიერების ფილოსოფიის მეთოდოლოგიურ გამოყენებას იმის წარმოსაჩენად, რომ სისხლის სამართლებრივი ცოდნა „მეცნიერების“ მაღალი სახელის ღირსია. ამით ისაა ნათქვამი, რომ ფილოსოფია სისხლის სამართლის სფეროში ორმაგად სასარგებლოა და, მაშასადამე, ფილოსოფიის უგულვებელყოფა ორმაგად საზიანო იქნებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ ლოგიკურიცაა სისხლის სამართლის კანონის ცნებისა და მისი სისტემის საკითხის განხილვაც.

<sup>1</sup> В. Набоков, Содержание и метод науки уголовного права, М. 1896.

§ 1. სისხლის სამართლის კანონის მნება

ტერმინი „კანონი“ ფართოდ ვრცელდება როგორც ბუნებისმეტყველების, ისე სოციალურ მეცნიერებათა სფეროში, მითუმეტეს, ფილოსოფიაში და ფილოსოფიურ დისციპლინებში. ლაპარაკობენ, მაგალითად, მსოფლიო მიზიდულობის კანონზე ფიზიკაში, გენეტიკურ კანონზე ბიოლოგიაში, დიალექტიკის კანონებზე ფილოსოფიაში, აზროვნების კანონებზე ლოგიკაში და ა.შ. მაგრამ, ლაპარაკობენ ნორმატიული ხასიათის კანონებზეც. ეთიკაში ხშირად იყენებენ ზნეობრივი კანონის ცნებას, ისევე, როგორც ხშირია ლაპარაკი იურიდიულ კანონებზეც. გასაკებია, რომ საჭიროა კანონის უზოგადესი ცნება, რომელიც ამ უაღრესად საინტერესო ფენომენის არსებით ნიშნებს დაადგენდა. ამ მხრით ფრიად საინტერესოა პროფ. ს. წერეთლის მიერ მეცნიერების კანონის ცნების შემდეგი განმარტება: „საერთოდ, მეცნიერების კანონი არის მოძრაობა-განვითარებაში მყოფ მოვლენათა ობიექტური, აუცილებელი, იდენტური, არსებითი კავშირ-ურთიერთობის ზოგადობის ფორმა.“<sup>1</sup>

მართალია, კანონის აღნიშნული ცნება უფრო ლოგიკის ასპექტითაა წარმოდგენილი, მაგრამ თუ კანონის ამ ცნების ნიშნებს დაუკვირდებით, მაშინ ძნელი არ იქნება ეს ნიშნები ნორმატიულ კანონებსაც სპეციფიკურად მივაწეროთ კერძოდ, ნორმატიულ სფეროში „კანონი“ ნორმის, როგორც ქცევის წესის, გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ ის ამავე დროს სამართლის ნორმათა ობიექტური, შინაგანი, არსებითი, აუცილებელი კავშირის ზოგადობის ფორმას წარმოადგენს. მართლაც, სამართლის ნორმა ამა თუ იმ ნორმატიული კანონის ფორმაში ქაოსურად კი არაა „ჩაყრილი“,

<sup>1</sup> ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, თბილისი, 1965, გვ. 137.



არამედ, დალაგებულია გარკვეული სისტემით, სამართლის ამდენი იმ დარგის არსებით თავისებურებათა მიხედვით მართალია ნორმატიულ კანონებს, როგორც სამართლის ნორმების გამოხატვის სპეციფიკურ ფორმებს, ქმნის კანონმდებელი და ამდენად ის სუბიექტურია (განსხვავებით, მაგალითად, აზროვნების კანონებისგან, რომლებიც ობიექტურად არსებობენ ადამიანთა აზროვნებაში), მაგრამ ნორმატიული კანონი, ამავე დროს, ობიექტურია, რაკი ის სამართლის ნორმის, როგორც ქცევის ზოგადი წესის, გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა. ისიც მართალია, რომ სამართლის ნორმა, რომელსაც კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი გამოხატავს, თავისი ბუნებით ჯერარსულია, ესე იგი, ადამიანებისგან მოითხოვს მართლზომიერ ქმედებას, ხოლო, სამართალდარღვევა საზოგადოდ კანონსაწინააღმდეგო ქმედებად ითვლება, მაშინ, როცა ბუნების ან ლოგიკის კანონების წინააღმდეგ მოქმედება ან ობიექტურად შეუძლებელია და დამანგრეველია, ანდა ლოგიკური შეცდომაა. მაგრამ ეს არ გამოირიცხავს ნორმატიული კანონის ობიექტურობას იმ თვალსაზრისით, რომ იგი საზოგადოების განვითარების რომელიმე ძირულ ტენდენციას გამოხატავს. ამიტომაც, რომ კანონშემოქმედება შემოქმედების ერთ-ერთი ურთულესი სახეა, რადგან, ნორმატიულმა კანონმა საზოგადოების ობიექტური მოთხოვნა, ანუ საზოგადოებაში არსებული ძალების თანაფარდობა უნდა გამოხატოს. ეს განსაკუთრებით ითქმის კონსტიტუციაზე, ხოლო სისხლის სამართლის კანონი ჩვეულებრივ კანონთა რიგს განეკუთვნება და, ამდენად, კანონთა იერარქიაში თავის კუთვნილ ადგილს იკავებს. აქ საგანგებოდ არ შეეჩერდები იმაზე, თუ რა რადიკალური ცვლილება განიცადა საქართველომ საბჭოური სისტემის ნგრევიდან 1999 წლამდე, ანუ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიღებამდე. ამის თაობაზე უფრო ვრცლად მსჯელობს პროფ. ო. გამყრელიძე<sup>1</sup> და მას აქ არ გავიმეორებ.

<sup>1</sup> ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005.

ცნობილია, რომ სამართლის წყაროს ცნება ორი გაგებით გამოიყენება. პირველი გაგებით სამართლის წყარო ნიშნავს იმ ძალებს, რომლებიც კანონის მიღება-შემუშავებას აპირობებენ და ქმნიან ამისათვის საჭირო წინაპირობებს. ამ თვალსაზრისით, იგულისხმება სამართლის წყარო მატერიალური გაგებით. უკვე აღვნიშნე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თამახმად, ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის წყარო მატერიალური გაგებით არის საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო), მისი ახალი რედაქცია (2010 წ.), საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები, რომლებიც სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავენ. ჯერ ერთი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არამარტო ფორმალურად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, არამედ თავისი ძირითადი შინაარსითა და პრინციპებით მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში აღიარებულია ადამიანთა უფლებებისა თავისუფლების დაცვის პრინციპი, ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ეს პრინციპი გამოხატულია იმით, რომ სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველესი ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა, ადამიანთა თანასწორუფლებიანობა, სხვა ძირეული უფლებანი და თავისუფლებანი. მეორე მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი დელიქტი გათვალისწინებულია რიგი საერთაშორისო კონვენციის ზეგავლენით მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ ნარკოტიკულმა დანაშაულმა დიდი ხანია საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ამიტომ იყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერომ) ნარკოტიკულ დანაშაულთა ბრძოლის გაძლიერების მიზნით მიიღო არაერთი კონვენცია (მაგალითად,

1988 წელს „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“<sup>1</sup> ამ და სხვა კონვენციებზე დაყრდნობით საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია ახალი თავი (XXXIII) „ნარკოტიკული დანაშაული.“<sup>1</sup> ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულება ან შეთანხმება პირდაპირაა გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (მაგალითად, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ – კარი მე-14).

ამრიგად, მატერიალური გაგებით სისხლის სამართლის წყაროა, ერთის მხრივ, არის საქართველის კონსტიტუცია, ხოლო, მეორე მხრივ – მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებებისა, რომელთაც საქართველოს სახელმწიფო მიუერთდა. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სამართლის წყაროს ცნება გამოიყენება ფორმალური გაგებითაც, როდესაც საქმე ეხება სამართლის ნორმის გამომხატველ სპეციფიკურ ფორმებს (კანონი, ზოგადი ხასიათის ბრძანებულება ან ბრძანება, რეგლამენტი და სხვა). ამ თვალსაზრისით, სამართლის ნორმების გამომხატველ სპეციფიკურ ფორმებს სამართლის წყარო ეწოდება.<sup>2</sup> არსებობს ნორმატიული აქტების მთელი იერარქია, რომელიც გადმოცემულია საქართველოს კანონში ნორმატიული აქტების შესახებ (1996 წ. რომელსაც 2010 პირველი იანვრიდან ეტაპობრივად აუქმებს 2009 წლის 22 ნოემბრის კანონი).

ცხადია, სამართლის კანონი სისხლის სამართლის წყაროა, ესე იგი სისხლის სამართლის ნორმები გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (მიღებული იქნა 1999 წლის 22 თებერვლის და ამოქმედდა 2000 წლის 1 თებერვლის). დებულება, რომ საქართველოში სისხლის სამართლის წყარო არის სისხლის სამართლის კოდექსი, გამოხატულია ამავე კოდექსის პირ-

<sup>1</sup> ნ. თოდუა, რ. გოგუელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, თბილისი, 2003.

<sup>2</sup> გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 2004.



ველსავე მუხლში, რომლის თანახმად, ეს კოდექსი ადგენს რა  
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. განს  
საზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს  
შესაბამის სასჯელს, ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღო-  
ნისძიებას. მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონი (კოდექსი),  
ჯერ ერთი, განეკუთვნება არა კონსტიტუციურ ან ორგანულ  
კანონთა რიგს, არამედ ჩვეულებრივ კანონს; მეორეც, ეს კოდექ-  
სი საქართველოში სისხლის სამართლის ერთადერთი წყაროა.  
სისხლის სამართლის ყველა ნორმა, რომელსაც დამატებების ან  
ცვლილებების სახით მიიღებს საქართველოს პარლამენტი, შეტ-  
ანილი უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.  
ასეთივე ტრადიციას დამკვიდრებული თანამედროვე რუსეთის ფე-  
დერაციაშიც. კერძოდ, არსებობს რუსეთის ფედერაციის სისხლის  
სამართლის კოდექსი, რომელიც რუსეთის მთელ ტერიტორიაზე  
მოქმედებს. როგორც ჩანს, რუსეთის ფედერაციის ცალკეულ  
სუბიექტებს სისხლის სამართლის საკუთარი კოდექსი არა აქვთ.  
ცნობისათვის: ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქმედებდა, ერთის  
მხრივ, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის  
სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“ (1958 წ.) ხოლო,  
მეორეს მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის  
კოდექსები, რომლებიც არსებითად შეესაბამებოდნენ სისხლის  
სამართლის კანონმდებლობის „საფუძვლებს“, მათ შორის საქარ-  
თველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსიც, მი-  
უხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელში გათვალისწინებული  
გახლდათ ზოგიერთი ორიგინალური გადაწყვეტა. მაგალითად,  
ამ კოდექსის მე-11 მუხლში გათვალისწინებული იყო პასუხის-  
მგებლობა გაფრთხილებლობით გამოწვეული მძიმე შედეგით კვა-  
ლიფიცირებული განზრახვი დანაშაულისთვის, ხოლო ეს მუხლი  
უცნობი იყო როგორც საკავშირო „საფუძვლებისთვის“, ისე, სხვა  
მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისთვის,  
მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში



ფაქტობრივად მოქმედებდა სისხლის სამართლის უნიფიცირებული კანონმდებლობა.

ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა საზღვარგარეთის ზოგიერთ სახელმწიფოში. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს ყველაზე უფრო ტიპურ დელიქტებს (მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანებანი, დანაშაული საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფოს წინააღმდეგ, ტერორიზმი და სხვა), ხოლო სისხლისსამართლებრივი ხასიათის სხვა დარღვევები (მაგალითად, სატრანსპორტო დანაშაული, დანაშაული ეკოლოგიის, ნარკოტიკის და სხვა სპეციალურ სფეროში) გათვალისწინებულია ე.წ. „დამატებითი კანონებით“, რომელთაც ცალკე იღებენ და იყენებენ კიდევ. კიდევ უფრო განსხვავებულია ვითარება, მაგალითად, ინგლისში, სადაც სისხლის სამართლის კოდექსი დღემდე არ არსებობს, მოქმედებს პარლამენტის მიერ მიღებული სისხლის სამართლის კანონი (ე. წ. სტატუტების სახით) და სასამართლო პრეცედენტიც, ესე იგი, მსგავსი სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტა წინასწარ არსებული სასამართლო გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, იქ თავდაპირველად სამართლებრივი სისტემა ინგლისური სამართლის საფუძველზე წარმოიშვა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. სადღეისოდ ამერიკაში კანონმდებლობა, მათ შორის, სისხლის სამართლის სფეროში, მოქმედებს ფედერალიზმის პრინციპებზე. აქ სისხლის სამართლის წყარო არის ამერიკის შტატების კონსტიტუციები, შტატების ხელისუფლების მიერ მიღებული კოდექსები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხებზე იშვიათად არ წინააღმდეგებიან ერთმანეთს.

ზავგასმით უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის კანონი თუ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, გამოხატვის

სხვა რომელიმე ფორმა, სამართლის ამ დარგს ვერ ამოწურავს/ ამდენად, ზოგადი დებულება, რომ სამართალი მისი გამოხატვის ფორმებზე, ანუ ფორმალურ წყაროებზე არ დაიყვანება, სისხლის სამართლის მიმართაც ვრცელდება. სამართლის ფილოსოფია სამართლისა და კანონის ამ განსხვავებაზეც არის დამყარებული. ნორმატიული კანონი სამართლის იდეალს უნდა მიუახლოვდეს და მაშინ იგი სამართლიანობასაც მიუახლოვდება.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის წყაროებთან დაკავშირებით მსოფლიოში ერთნაირი გავება და პრაქტიკა არ არსებობს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონი არის საქართველოს პარლამენტის მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ჩვეულებრივი ტიპის ნორმატიული აქტი, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პასუხისმგებლობის ფორმებს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.

## § 2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემა

უკვე ითქვა, რომ სისხლის სამართალი ნაწილობრივ გამოიხატება სისხლის სამართლის კანონში (კოდექსში), რომელიც საკუთრად სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, სპეციფიკით განისაზღვრება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სისხლის სამართლის ნორმების გამომხატველი სპეციფიკური ფორმაა, რომელიც მკაცრად განსაზღვრული სისტემით ხასიათდება. ეს სისტემა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სისხლის სამართლის ნორმების დალაგებას ორი მწვობრივი სისტემით: ზოგადი და კერძო ნაწილის ნორმებად. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი, რომელიც სისხლის სამართლის კერძო

<sup>1</sup> გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 15-16.

ნაწილის ფუნდამენტია, თავის მხრივ, მკაცრად განსაზღვრული სისტემით ხასიათდება. კერძოდ, ზოგად ნაწილში გამოხატულია სისხლის სამართლის პრინციპები და ნორმები, რომელთაც სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგისთვის, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვთ ამ მხრივ განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლი. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ კანონის პრეამბულაში, თუ პირველსავე მუხლში გამოხატულია ამ კანონის არსი, მისი მიზანი და ამოცანა, სამართლებრივი მოწესრიგების საგანი, სამართლის სისტემაში მისი ადგილი. მართლაც, უკვე აღვნიშნე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველ მუხლში გამოხატულია, ჯერ ერთი, სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, ცნება (რომ იგი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს სასჯელს ან სხვა სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას); მეორეც, სისხლის სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში (ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს); სისხლისსამართლებრივი მოწესრიგების (რეგულირების) საგანი (ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა), ესე იგი ლაპარაკია დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოშობილ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც ამ სახელმძღვანელოს პირველ თავში უკვე განვიხილე და აქ არ გაემეორებ. ბოლოს, ამავე მუხლის პირველსავე დებულებაში (სისხლის სამართლის კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად), გამოხატულია სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, კერძოდ, სისხლის სამართლის კანონშემოქმედების პრინციპებისა და ამ კანონშემოქმედებითი ურთიერთობის ერთიანობა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> გ. ნაჭვებია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილისი, 1998.

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველსავე მუხლში გამოხატულია სისხლის სამართლის ცნებების დანაშაულად სახელმწიფოებრივი კვალიფიკაციის არსი, ანუ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, სისხლის სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში და სისხლისსამართლებრივი მოწესრიგების საგანი. გასაგებია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ამ ნორმას მთელი სისხლის სამართლისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

ხსენებულ კოდექსში გადმოცემულია სისხლის სამართლის კანონის დროში მოქმედება და მისი პრინციპები (სსკ-ის მე-2 და მე-3 მუხლი). სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში და მისი პრინციპები (სსკ-ის მე-4 და მე-5 მუხლები); ბრალდებულის ამ მსჯავრდებულის ექსტრადიცია, ან გადაცემა (მუხლი მე-6). ცხადია, ამ მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედება გადაჯაჭვულია როგორც საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო სისხლის სამართლის, ისე საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პრინციპებთან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლში გამოხატულია დანაშაულის, როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნების, არსი და ელემენტები. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მცირემნიშვნელოვანი ქმედება, რომელიც მხოლოდ ფორმალურად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას, მაგრამ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს არ აყენებს დანაშაულისთვის ნიშანდობლივ ზიანს ან არ ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს — დანაშაულად არ ჩაითვლება. ამ დებულებით თავიდანაა აცილებული დანაშაულის ცნების წმინდა ფორმა-

ლური განსაზღვრებისა და ამით უკანონო მსჯავრდების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ამ საკითხებს შემდგომ საგანგებოდ შევხებით. ამჯერად კი მხედველობაშია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის სისტემა. კერძოდ, ამ კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში გადმოცემულია დანაშაულის ცნების სამწვეროვანი დაყოფა (ქმედების შემადგენლობა, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი), რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხვ გარემოებათა და ბრალის გამოძრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებათა ადგილს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემაში; მე-8 მუხლში გადმოცემულია დანაშაულებრივ ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, რომელიც ქმედების ზოგიერთი შემადგენლობის ობიექტური მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებში გადმოცემულია ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვისა და გაუფრთხილებლობის სპეციფიკური ნიშნები; მე-11 მუხლში – მძიმე შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის თავისებურება (ანუ, დანაშაული ბრალის ორი ფორმით); მე-12 მუხლში გადმოცემულია დანაშაულის კატეგორიები, რომელთაც უაღრესად დიდ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ (პასუხისმგებლობის ხასიათისა და ზომის დასადგენად, პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლებისთვის, ამნისტიისა და შეწყალებისთვის); მე-13 და მე-14 მუხლებში გათვალისწინებულია ერთიანი დანაშაულის ცნება და ფორმები; დანაშაულთა სიმრავლე (მე-15, მე-16 და მე-17 მუხლები); დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება და ფორმები (მე-18 და მე-19 მუხლები); დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება და ფორმები (22-27-ე მუხლები); ქმედების მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი გარემოებანი (28-32-ე მუხლები) და ბრალის გამოძრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი (33-ე და 38-ე მუხლები).

ამ კოდექსის მესამე კარში გათვალისწინებულია სასჯელის პრობლემა (სასჯელის ცნება, მიზნები, სასჯელის სისტემა და სახეები, სასჯელის დანიშვნა, პირობითი მსჯავრდება, პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავსებურებანი და, ბოლოს, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა (კარი მეექვსე<sup>1</sup>).

საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თავის მხრივ, აკებულია სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის ღირებულებათა შკალის მიხედვით ნაცვლად სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების დაცვისა, რაც პრიორიტეტული გახლდათ საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსისთვის, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსისთვის სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველესი ობიექტია ადამიანი, მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხლებლობა, ადამიანის სხვა ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, საკუთრება, კანონით დადგენილი ნორმალური სამქარმეო საქმიანობა, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება, საზოგადოებრივი ზნეობა, კულტურული ღირებულებანი, საზოგადოების ჯანმრთელობა, უსაფრთხო გარემო, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის სისტემა, მართლმსაჯულება, კანონით დადგენილი სამხედრო სამსახური, კაცობრიობის მშვიდობა, უშიშროება და ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები.

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემა მკაცრად არის განსაზღვრული იმგვარად, რომ ამ მიმართებით თვითნებობა გამორიცხულია. მაგრამ სისხლის სამართლის კანონის ეს სისტემა გარკვეული პირობითი აზრითაა დაყოფილი. რეალურად კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ერთიანია და მოქმედებს ერთიანად. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლები (ესე იგი

ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვა და გაურთხილებლობა) თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობენ სისხლს სამართლის კრძო ნაწილის იმ ნორმებში, რომლებიც ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობებს ითვალისწინებენ. კიდევ უფრო თვალსაჩინოა ამ მხრით საქ. სსკ-ის მე-11 მუხლისა (დანაშაული ბრალის ორი ფორმით) და სისხლის სამართლის კრძო ნაწილის ნორმების მჭიდრო კავშირი. მაგალითად, საქ. სსკ-ის 117-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, მაგრამ რამდენადაც ამ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა გაურთხილებლობით (ამავე მუხლის მეორე ნაწილი), ამდენად აქ სახეზეა პასუხისმგებლობა მძიმე შედეგით კვალიფიცირებული განზრახ დანაშაულისთვის. გარდა ამისა, მე-18 და მე-19 მუხლებში გათვალისწინებულია დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები, ესე იგი, დანაშაულის ჩადენისთვის მზადება და მისი ჩადენის მცდელობა. რაკი დამთავრებული დანაშაულის მოდელი სისხლის სამართლის კრძო ნაწილშია გათვალისწინებული, იგულისხმება, რომ საქმე შეეხება, მაგალითად, მკვლელობის, ტერორიზმის, გენოციდის და ა.შ. დანაშაულთა მომზადებას. ამ შემთხვევაში ქმედება კვალიფიცირდება ორი მუხლით: მე-18 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულისათვის მზადების ნიშნებს, და კრძო ნაწილის იმ მუხლით, რომლის ჩასადენადაც სუბიექტი ემზადებოდა (ვთქვათ, ანგარებითი მკვლელობისთვის (საქ. სსკ-ის 109-ე მუხლის შესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ესე იგი მე-18-109-ე მუხლის შესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). ასეთივე წესით კვალიფიცირდება აგრეთვე დანაშაულის ჩადენის მცდელობაც. კრძოდ, მე-19 მუხლი მიუთითებს იმაზე, რომ საქმე ეხება მცდელობის ცნებას და ნიშნებს, ხოლო რაკი მცდელობა ფოველთვის გულისხმობს სისხლის სამართლის კრძო ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების (ვთქვათ, დიდი ოდენობით ქურდობის) ჩადენის სურვილს, ქმედება ამ შემთხვევაშიც უნდა დაკვალიფიცირდეს ორი მუხლით

მე-19 მუხლით (მცდელობის ცნება და ნიშნები) და დიდი ოდენობით ქურდობის მიმართ (საქ. სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილების ერთიანობა გამოხატულია აგრეთვე დანაშაულში თანამონაწილეობის ასპექტითაც. იგულისხმება დანაშაულში თანამონაწილეობა როლების განაწილებით. კერძოდ, დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება გადმოცემულია სსკ-ის 23-ე მუხლში. ხოლო თანამონაწილენი — 24-ე მუხლით. რამდენადაც თანამონაწილეობა შეიძლება სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული ქმედების ჩადენით, ამდენად ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია აქაც რამდენიმე მუხლით ხდება (24-ე მუხლით და კერძო ნაწილის იმ მუხლით, რომელიც თანამონაწილეობის ფორმით იქნა ჩადენილი (ეთქვათ, მარტივი მკვლელობა, ანუ მკვლელობა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (24-ე მუხლი, ესე იგი, მითითება თანამონაწილეობზე, და 108-ე მუხლი).

ამრიგად, სისხლის სამართლის სისტემა ერთიანია, ესე იგი, მოქმედებს და გამოიყენება ერთიანად დ მის დაყოფას ზოგად და კერძო ნაწილად გარკვეული პირობითი აზრი აქვს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ თითოეული ეს ნაწილი ერთმანეთისგან შეფარდებით დამოუკიდებელია.

### § 3. სისხლის სამართლის კანონის აგებულება

სისხლის სამართლის კანონი, როგორც უკვე იყო ნათქვამი, სისხლის სამართლის ნორმებს გამოხატავს. სისხლის სამართლის ნორმები კი, იყოფიან ზოგადი და კერძო ნაწილის ნორმებად. ზოგადი ნაწილის ნორმებში გამოხატულია ზოგადი ხასიათის წესები და მოთხოვნები, ხოლო კერძო ნაწილის ნორმებში — ქმედების შემადგენლობანი და ბრალის შესაბამისი ფორმებით



მათი განხორციელებისთვის სათანადო პასუხისმგებლობის  
 მქონე. ამის შესაბამისად, რამდენადმე განსხვავებულია სისხლის  
 სამართლის ნორმის აგება და მისი დაყოფა. იგულისხმება  
 სისხლის სამართლის ნორმის დაყოფა ნაწილებად. მაგალითად,  
 დებულება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი  
 შესაბამისაა საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო  
 სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს,  
 გათვალისწინებულია სსკ-ის 1-ლი მუხლის მეორე ნაწილში და  
 არა პირველ ნაწილში ზოგადად. ან კიდევ: პირდაპირი განხრახვის  
 ცნება გადმოცემულია სსკ მე-9 მუხლის მეორე ნაწილში და  
 არა ამ მუხლში ზოგადად. მით უფრო აუცილებელია სისხლის  
 სამართლის ნორმის ამგვარი დაყოფა სისხლის სამართლის კერძო  
 ნაწილში. მაგალითად, მარტივი ქურდობა გათვალისწინებულია  
 სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილში, ხოლო, ქურდობის  
 მაკვალიფიცირებელი, ანუ ქურდობის დამამძიმებელი გარემოება-  
 ნი გადმოცემულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში.  
 გასაგებია, რომ ქმედების დანაშაულად ზუსტი კვალიფიკაციის-  
 თვის აუცილებელია მითითება სისხლის სამართლის კერძო  
 ნაწილის არა მარტო ნორმებზე ზოგადად, არამედ ამ ნორმების  
 შესაბამის ნაწილებზეც (ცხადია, სადაც ეს დაყოფა არსებობს).

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსებში ხშირია კა-  
 ნონმდებლის შენიშვნა სისხლის სამართლის ამა თუ იმ ნორმის  
 ზუსტი შინაარსის დასადგენად. მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლის  
 პირველი შენიშვნა განმარტავს იმას, თუ რომელი ნივთის ქურდობა  
 ჩაითვლება დიდ ოდენობად (ესე იგი ისეთისა, რომლის ღირებულება  
 აღემატება 10 000 ლარს). ამ მუხლის მეორე შენიშვნა კი გამოხა-  
 ტავს ქურდობას არაერთგზის. მაგალითად, თუ პირმა პირველად  
 ჩაიდინა ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი), ხოლო, ამის შემდეგ —  
 ქურდობა, მაშინ ქურდობა არაერთგზისადაა ჩადენილი.

იშვიათი არაა შემთხვევა, როცა საკანონმდებლო ტექნიკიდან  
 გამომდინარე, სისხლის სამართლის მოქმედ კოდექსში ცვლილე-

ბებსა და დამატებებს კანონმდებელი სათანადო ნიშნებით გამოხატავს. მაგალითად, ტრეფიკინგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში შეტანილი იქნა მოგვიანებით, რის გამოც ამ კოდექსში გაჩნდა ახალი მუხლი — 143<sup>1</sup>, ვინაიდან ამავე კოდექსის 143-ე მუხლში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის, რომელიც ტრეფიკინგის სპეციფიკას არსებითად ვერ გამოხატავს.

სისხლის სამართლის კოდექსში კოდექსის მუხლი და სისხლის სამართლის ნორმა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, მკვლელობა ერთი სისხლის სამართლებრივი უმართლობაა, რომელიც ხორციელდება განზრახ, ხოლო, მკვლელობის სხვადასხვა შემადგენლობა გათვალისწინებულია კოდექსის სხვადასხვა მუხლებში (108-114-ე მუხლები). ზოგჯერ კი სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლი ორ ნორმას მოიცავს. მაგალითად, კომერციული მოსყიდვა (საქ. სსკ-ის 221-ე მუხლი) პირველ ნაწილში კრძალავს სამქონარმო, ან სხვა ორგანიზაციებში ხელმძღვანელობითი ფუნქციის მატარებელი პირისთვის ფულის, ფსიანი ქაღალდის ან სხვა ქონების თუ ქონებრივი მომსახურების შეთავაზებას ან დაპირებას მომსყიდველის ინტერესების შესაბამისად, ხოლო მესამე ნაწილში ამ ორგანიზაციებში მომსახურე სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირს უკრძალავს ამ შეთავაზების ან დაპირების მიღებას.

#### § 4. სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურა

სისხლის სამართლის ნორმა, როგორც სამართლის ნორმა საზოგადოდ, არის ქცევის ზოგადი წესი, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად. მაგალითად, მარტოვე მკვლელობა გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით, რომლის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ იგი

დაამტკიცებს, რომ კონკრეტულმა პირმა სწორედ ამ სახის მკვლელობა ჩაიდინა. გამამტყუნებელი განაჩენი კი სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების აქტია, რომელიც მკაცრად პერსონალურია და არა ქცევის ზოგადი წესი. ამის გამო ისმის საკითხი სისხლის სამართლის ნორმის ადრესატებისა და, მაშასადამე, ამ ნორმის სტრუქტურის თაობაზე. კერძოდ, დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის ნორმის ერთ-ერთი (არაპირდაპირი) ადრესატი არის სასამართლო, რადგან სასამართლო სასჯელს ნიშნავს სისხლის სამართლის ნორმაში გამოხატული სანქციის, ანუ სასჯელის ზომის შესაბამისად. მაგრამ უკვე ვიცით, რომ სისხლის სამართლის ნორმა იყოფა ზოგადი ნაწილის და კერძო ნაწილის ნორმებად. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმაში სანქცია, როგორც სასჯელის ზომა, გათვალისწინებული არაა, მაგრამ მასში გამოხატულია გარკვეული აკრძალვები და მოთხოვნები, რომელთა ადრესატი არის როგორც გამოძიების, ისე სასამართლო ორგანო. უკვე მქონდა მსჯელობა სისხლის სამართლის პრინციპებზე, რომლებიც კატეგორიულად კრძალავენ, მაგალითად, ანალოგიას სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ან ბრალის გარეშე, ანდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას (დანაშაულში თანამონაწილეობისას) და სხვა. მაგრამ არსებობს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმა, რომლის სტრუქტურა და ადრესატი დღემდე არაა ნათელი.

ცნობილია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში სამართლის ნორმას ჰყოფდნენ სამ ნაწილად: **ჰიპოთეზა**, **დისპოზიცია** და **სანქცია**. ჰიპოთეზაში იგულისხმებოდა ნორმის მოქმედების პირობა; დისპოზიციაში — ქცევის წესი, რომელსაც ჰიპოთეზაში გათვალისწინებული პირობის დადგომა იწვევს; სანქციაში კი — პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც ნორმის დარღვევას მოჰყვება. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმებს კი, როგორც წესი, ორი სტრუქტურით წარმოადგენენ: დისპოზიციითა და სანქციით. ჰიპოთეზა, ანუ ნორმის მოქმედების პირობა სისხლის სამარ-

თაღში თითქოს არ არსებობს.<sup>1</sup> სინამდვილეში ნორმა, რომელიც ფოველგვარი პირობის გარეშე მოქმედებს, შეუძლებელია. მაშინაც კი, როცა ნორმა თითქოს აბსოლუტურ პრინციპს გამოხატავს, ის გარკვეული აზრით, რელატიურიცაა. მაგალითად, ჩადენილი ქმედება სისხლისსამართლებრივად, როგორც წესი, ფასდება ამ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონით, მაგრამ არსებობს კანონის უკუქცევითი ძალაც, ანუ გარკვეულ პირობებში ახალი კანონი, რომელიც აღნიშნული ქმედების ჩადენის შემდეგ გამოიცა, შეიძლება გავრცელდეს ამ კანონის გამოცემამდე ჩადენილი ქმედების მიმართ ამდენად, პიპოთუხა, როგორც ნორმის მოქმედების პირობა, სისხლის სამართლის სფეროშიც არსებობს, ოღონდ საკანონმდებლო ტექნიკიდან გამომდინარე, იგი ნორმის სტრუქტურაში ფოველთვის ტექსტუალურად არაა გამოხატული. მაგალითად, სხვისი სიცოცხლის მოსპობა დანაშაულად ჩაითვლება, თუ ამ შემთხვევაში გამორიცხულია ორი პირობა: თუ იგი ჩადენილი არაა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და ამავე დროს არ იგულისხმება სიკვდილით დასჯის თაობაზე გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულება. მეორეს მხრით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის თანახმად, სხვისი სიცოცხლის მოსპობა, თუ იგი ჩადენილია განზრახ, მკვლელობაა, ხოლო გაუფრთხილებლობით მისი ჩადენა მკვლელობად არ შეიძლება ჩაითვალოს; ან: სხვისი მოძრავი ნივთის ფარული მითვისება ქურდობად არ ჩაითვლება, თუ იგი ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში და ა.შ.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმაში დისპოზიცია ნიშნავს ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქცევის წესის ამა თუ იმ ხერხით დადგენას. ზოგ შემთხვევაში ქცევის წესი მინიშნებულია საგანგებო აღწერილობის გარეშე, რაკი, ამ შემთხვევაში, ნორმის შინაარსი ისედაც გასაგებია. მაგალითად, მკვლელობა (საქ. სსკ-ის 108-114-ე მუხლები) განმარტებული არაა (როგორც სხვისი

<sup>1</sup> Уголовное право, Общая часть, М. 2004, стр. 30.

სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო და განზრახი მოსპობა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ მუხლებში გადმოცემულია მკვლელობის განსხვავებული შემადგენლობანი, რომელთა შესაბამისად შეკვლილი მოქმედებს. თუმცა, ქცევის წესი არც თუ იშვიათადაა გადმოცემული აღწერილობითი ხერხით. მაგალითად, საქ. სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილში გადმოცემულია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ნიშნები, 121-ე მუხლში ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აფექტის მდგომარეობაში, 142-ე მუხლში – ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა და სხვა. ზოგ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსი ამ მიმართებით მიმართავს ცნების დადგენას განსაზღვრული ნიშნებით. მაგალითად, 177-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია ქურდობის ცნება (როგორც სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით); 178-ე მუხლში განმარტებულია ძარცვის ცნება, 181-ე მუხლში – გამოძალგის ცნება და ა.შ.

ერთი სიტყვით, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმის დისპოზიციაში ამა თუ იმ ხერხით დადგენილია ქცევის ის წესი, რომელიც აკრძალულია, თუ საქმე შეეხება დანაშაულის ჩადენას აქტიური მოქმედებით ან მოთხოვნილია აქტიური მართლზომიერი მოქმედება, თუ დანაშაული შეიძლება განხორციელდეს უმოქმედობით (მაგალითად, განსაცდელში მიტოვება – 128-ე მუხლი).

გასაგებია, რომ სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში დანაშაულებრივი ქცევის წესის რაც შეიძლება ნათლად და გასაგებად გადმოცემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეების მხრით სისხლის სამართლის კოდექსის სწორი აღქმის, ისე ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციის საქმეში.

სისხლის სამართლის ნორმის სანქციაში კი გათვალისწინებულია სასჯელის სახეები და ზომები დისპოზიციაში აღწერილი დანაშაულებრივი ქცევის წესის ხასიათისა და სიმძიმის შესაბა-

მისად. მაგალითად, მარტვი მკვლევლობისთვის (სსკ-ის 108-ე მუხლი) გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით შეიდიდან თხუთმეტ წლამდე. 109-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მკვლევობას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებში, გადმოსცემს სასჯელის ზომებს ამ მუხლის შესაბამის ნაწილებში აღწერილი ქცევის წესის ხაიათისა და სიმძიმის მიხედვით; ასეთვე წესითაა გათვალისწინებული სასჯელის სახეები და ზომები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კრძო ნაწილის სხვა ნორმების სანქციებში. ასე, რომ კანონმდებელი ცდილობს, ჯერ ერთი, რაც შეიძლება ზუსტად დაახასიათოს ქმედების შემადგენლობა სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში, ხოლო, მეორეც, თითოეული დანაშაულის კატეგორიისა და მისი ჩადენის გარემოებათა მიხედვით აღჭურვოს სისხლის სამართლის ნორმა იმ სანქციით, რომელიც სასამართლომ უნდა გამოიყენოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სხვა საკითხია არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება, როდესაც, არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და მას, საქ. სსკ-ის 91-ე მუხლის თანახმად, დაენიშნოს აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი (მაგალითად, გაფრთხილება).

ამრიგად, სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში, ერთის მხრივ, გადმოცემულია დანაშაულებრივი ქცევის წესი, რომლის შესაბამისად ხდება ქმედების შემადგენლობის განხორციელება, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ ქმედების აკრძალვა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის ნორმის სანქციაში. მაშასადამე, სისხლის სამართლის კრძო ნაწილის ნორმა მიმართულია, ერთის მხრივ, ყველა იმ სუბიექტზე, რომელმაც შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული (ფიზიკური პირი, აგრეთვე ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირი); ამის შესაბამისად მყარდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. მით

უმეტეს, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმის სანქცია აკლდებულებს სისხლის სამართლის სუბიექტს დიპლომატიურ მართლზომიერად. თუ დანაშაული იქნა ჩადენილი, მაშინ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის ნორმის კერძო ნაწილის დისპოზიციაში გამოხატული ქცევის წესისა, ანუ აქ აღწერილი ქმედების შემადგენლობის ნიშნებისა და ჩადენილი ქმედების ნიშნების სრული იგვევობის პრინციპით, ხოლო თითოეული დანაშაულისთვის სასჯელი უნდა დაინიშნოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმის სანქციების შესაბამისად.

## **§ 5. დისპოზიციისა და სანქციის სახეები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში**

სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიღებულია სისხლის სამართლის ნორმის კერძო ნაწილის ნორმაში გამოხატული დისპოზიციისა და სანქციის კლასიფიკაცია გარკვეული ნიშნებით. კერძოდ, განასხვავებენ დისპოზიციის რამდენიმე სახეს: მარტოვს, აღწერილობითს, მითითებითსა და ბლანკეტურს. მარტოვ დისპოზიციაში დასახელებულია ქმედება მისი არსებითი თავისებურებისა და შინაარსის დადგენის გარეშე. მაგალითად, საქ. სსკ-ის 108-ე მუხლში გათვალისწინებულია მკვლელობა, ჯერ ერთი, მკვლელობის ცნების განმარტების გარეშე; მეორეც, მკვლელობის ჩადენის გარეშეობათა დადგენის გარეშეც. ასეთივე მარტოვია სხვა რიგი დისპოზიცია. მაგალითად, უკანონო აბორტი (საქ. სსკ-ის 133-ე მუხლი); თავისუფლების უკანონო აღკვეთა (საქ. სსკ-ის 143-ე მუხლი); ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (საქ. სსკ 233<sup>1</sup>-ე მუხლი) და სხვა.

ვერ ვიტყვი, რომ მარტოვი დისპოზიცია საკანონმდებლო ტექნიკის ღირსებაა, რადგან ამ მიმართებით იქმნება სისხლის სამართლის სწორად შეფარდების სიძნელე. ამიტომ, რომ საქარ-

თველოს სისხლის სამართლის კოდექსში მარტვი დისპოზიცია შედარებით იშვიათია.

**აღწერილობითა** დისპოზიცია, რომელშიც ქმედების ნიშნები გადმოცემულია მეტ-ნაკლები სისრულით ისე, რომ შესაძლებელი ხდება ქმედების უფრო ზუსტი კვალიფიკაცია. მაგალითად, ტრეფიკინგი საქ. სსკ-ის 143<sup>1</sup> მუხლში გადმოცემულია იმდენად ვრცელი აღწერილობით, რომ ამ მუხლის გამოყენება უფრო იოლი ხდება, იმის მიუხედავად, რომ ტრეფიკინგი საკმაოდ რთული და მრავალმხრივი დანაშაულებრივი ქმედებაა და მისი არსებითი ნიშნების დადგენა განსაკუთრებით ძნელია. აღწერილობითი დისპოზიცია სისხლის სამართლის კოდექსებში უფრო ხშირია.

**მითითებითა** დისპოზიცია, რომელიც ნორმის შინაარსის დასადგენად მიმართავს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ნორმას, რომელშიც ქმედების ნიშნები უფრო სრულადაა გამოხატული. მაგალითად, საქ. სსკ-ის 126-ე მუხლში ძალადობას კანონმდებელი განმარტავს, როგორც სისტემატურ ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. გასაგებია, რომ ძალადობით ქმედების კვალიფიკაციის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს როგორც ჯანმრთელობის მძიმე, ისე ნაკლებად მძიმე დაზიანების ნიშნები.

**ბლანკეტურია** დისპოზიცია, რომელშიც კანონმდებელი ქმედებას, რომელიც დანაშაულადაა მიჩნეული, სისხლის სამართლის კოდექსში უშუალოდ არ აღწერს და უთითებს სამართლის სხვა დარგის იმ ნორმაზე, რომელშიც ეს ქმედება სპეციფიკური ნიშნებითაა აღწერილი. მაგალითად, საქ. სსკ-ის 170-ე მუხლში გათვალისწინებულია შრომის დაცვის წესების დარღვევა. იგი შრომის სამართლის ერთ-ერთ ნორმაშია გათვალისწინებული, ოღონდ იგი დანაშაულია, თუ მას მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ანდა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა



(ორი ან მეტი პირისა ც კი). გასაგებია, რომ იმის დასადგენად, რა სახელდობრ, შრომის დაცვის რა წესი იქნა დარღვეული, საჭირო იქნება შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი მუხლის გამოყენება. ცხადია, ამ მიმართებით მაინც წამყვანია ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციის ნიშნები, რაც იმასაც ადასტურებს, რომ ბლანკეტურ ნორმაში კანონმდებელი დანაშაულის ნიშნებს გამოხატავს. ამიტომაც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს **პ. ბინდიგის** მოსაზრება, რომ სისხლის სამართალი თითქოს არაფერს არ კრძალავს და რომ ქმედების აკრძალვა სისხლის სამართლის კანონამდე და მის გარეთაა. შრომის დაცვის წესები შრომის სამართლის სფეროა, მაგრამ სისხლის სამართალი მათ იცავს დანაშაულებრივი ხელყოფისგან და ადგენს აკრძალვის საკუთარ სფეროს და კრიტერიუმებს.

ბლანკეტური ნორმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საკმაოდ ბევრია. მაგალითად, აუტოსატრანსპორტო, ეკოლოგიური ხასიათის, კომპიუტერული და ზოგიერთი სხვა დანაშაულებრივი ქმედება ბლანკეტურ ნორმებშია გათვალისწინებული, მაგრამ, ვიმეორებ, ამ მიმართებით განმსაზღვრელი მაინც არის ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმაში სანქცია, როგორც სასჯელის სახისა და ზომის გამოხატულება, არაერთგვაროვანია. ამ მხრეზე განასხვავებენ აბსოლუტურად და შეფარდებით განსაზღვრულ სანქციებს. აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციებში სასჯელის მხოლოდ ერთი რომელიმე ზომაა გათვალისწინებული. ყოფილ საბჭოთა კავშირში აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის ორ მაგალითს ასახელებდნენ: საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი სახალხო რაზმელის ან მილიციელის სიცოცხლის ხელყოფა (საქ. 1960 წლის კოდექსის 109<sup>1</sup> მუხლი) და პასუხისმგებლობა ქრთამის დამამძიმებელ გარემოებებში აღებისათვის (186-ე მუხლი). საქართველოს ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში აბსოლუტურად

განსაზღვრული სანქცია თითქმის არ გვხვდება. გამონაკლისად ასახელებენ 88-ე მუხლს, რომელშიც არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის ვადებია განსაზღვრული. მაგალითად, თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვანს დანიშნული თავისუფლების აღკვეთა შეუძირდება ერთი მესამედით, ხოლო, საბოლოო სასჯელის ზომა არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს (საქ. სსკ-ის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

შეფარდებით განსაზღვრულ სანქციას უწოდებენ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც სასჯელის ზომა დადგენილია მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს შორის. მაგალითად, მარტივი მკვლელობისთვის (ანუ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით შეიდიდან თხუთმეტ წლამდე. სანქციის ამგვარი სახე იმის საშუალებას იძლევა, რომ სასჯელი დაინიშნოს როგორც ჩადენილი ქმედების, ისე მისი ჩამდენი პირის პიროვნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, შესაძლებელია სანქციის ისეთი სახეც, როდესაც კანონმდებელი ადგენს სასჯელის მხოლოდ მაქსიმუმს მინიმალური ზღვარის დადგენის გარეშე (თუმცა მინიმალური ზღვარი კოდექსის ზოგად ნაწილშია გათვალისწინებული). მაგალითად, საქ. სსკ-ის 142-ე მუხლის მესამე ნაწილი (აღამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა) ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამ წლამდე ან უამისოდ. ეს მაგალითი იმასაც ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ე.წ. **ალტერნატიულ სანქციებსაც**, როდესაც სასამართლოს შეუძლია ამ ალტერნატივებიდან აირჩიოს ერთ-ერთი (რა თქმა უნდა, ძირითად და დამატებით სასჯელთა შეხამების დადგენილი წესის შესაბამისად).



სისხლის სამართლის ნორმა, როგორც უკვე ითქვა, ჯერარსულია და მისი მოთხოვნა სამართლის სუბიექტმა მართლზომიერი ქმედებით უნდა განახორციელოს. მართლზომიერი ქმედება კი, სამართლის ნორმის მოთხოვნას მართლწესრიგად გარდაქმნის. იმისათვის, რომ სამართლის სუბიექტი სამართლის ნორმის მოთხოვნის მიხედვით მოიქცეს, მან სამართლის ნორმის შინაარსი სწორად უნდა გაიგოს. მაგრამ სისხლის სამართლის ნორმის შინაარსის გაგების პრობლემა განსაკუთრებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება (ესე იგი განხორციელებულია ქმედების რომელიმე კონკრეტული შემადგენლობა) და ღვას ამ ქმედებისადმი სისხლის სამართლის კონკრეტული ნორმის შეფარდების პრობლემა, რომელიც, თავის მხრივ, მის წინაპირობად ჩადენილი ქმედების სწორ სამართლებრივ შეფასებას, ანუ კვალიფიკაციას გულისხმობს. ჩადენილი ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის ნორმის სწორად შეფარდების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. კერძოდ, თავდაპირველად ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულად, რათა შემდგომ სასამართლომ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, როგორც ჩადენილი ქმედებისადმი სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების ინდივიდუალური აქტი. აქედან გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართლის ნორმას ჩადენილ ქმედებას უფარდებს არა პროკურორი ან გამომძიებელი, არამედ მხოლოდ სასამართლო.<sup>1</sup>

სისხლის სამართლის ნორმის სწორად შეფარდებისთვის საჭიროა, ერთის მხრივ, ჩადენილი ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა,

<sup>1</sup> გ. ნაჭვებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა, „მართლმსაჯულება“, (საქართველოს უზენაესი სასამართლო), 2008, № 1.

ანუ ამ ქმედების შემადგენლობის დადგენა; მეორეს მხრით კი შერჩევა სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმისა, რომელიც ამ ქმედებას ითვალისწინებს. შესამე, თუ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამოძირიცხველი რომელიმე გარემოება, რომელიც, გამოძიების ეტაპზე, იმ საუარაუდო დასკვნის საფუძველია, რომ ჩადენილი ქმედება მართლწინააღმდეგოა. მეოთხე, თუ სუბიექტმა მართლწინააღმდეგო ქმედება განახორციელა ბრალეულად. ცხადია, არც თუ ისე იოლია იმის დადგენა, თუ რამდენად ჰქონდა აღქმული და გაგებული სუბიექტს კონკრეტული სისხლის სამართლის ან წინდახედულობის ნორმის მოზონა? ამ საკითხებზე უფრო კონკრეტულად შერაცხვის პრობლემასთან კავშირში იქნება მსჯელობა.

ამრიგად, სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების აქტი რამდენიმე ეტაპს გათლის. აქ, ერთის მხრით, დასადგენია ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი ისე, როგორც ეს აღწერილია (გათვალისწინებულია) სისხლის სამართლის კურო ნაწილის ნორმაში. ამ ასპექტით იგულისხმება სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, რადგან, როგორც შემდგომ დავინახეთ, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა, როგორც წესი, აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობაა და, მასადამე, ჭეშმარიტობა-მცდარობის კრიტერიუმებით იზომება. ქედების მართლწინააღმდეგობის, როგორც დანაშაულის მეორე ელემენტის, დადგენა კიდევ უფრო რთულია, რადგან, მართლწინააღმდეგობა არის ქმედების უარყოფითი სამართლებრივი შეფასება, ხოლო, ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან ამავე ქმედების მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა (დასკვნა) შეუძლებელია. ამიტომაც არის საჭირო სისხლის სამართლის ნორმის ზუსტი შინაარსის დადგენა, ანუ განმარტება. სამართლის ნორმის განმარტებას მის ინტერპრეტაციასაც უწოდებენ. არსებობს სამართლის ნორმის განმარტების ხერხები, რომლებიც ნორმის შინაარსის ადეკვატური

გაგებისა და, მაშასადამე, ნორმის ერთგვაროვანი შეფარდების მიზანს ემსახურებიან. რადგან სამართლის ნორმის განმარტების პრობლემა სამართლის თეორიაშია ასე თუ ისე განხილული, აქ ამ საკითხს მოკლედ განვიხილავთ.

განასხვავებენ ნორმის განმარტებას სუბიექტების მიხედვით. სამართლის ნორმას საქართველოში განმარტავს საქართველოს პარლამენტი და ამ განმარტებას საუაღდებულო ძალა აქვს. სამართლის ნორმას განმარტავს სასამართლოც რაიმე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით სისტემატიურად ქვეყნდება საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, ხოლო, ამ გადაწყვეტილებების მიხედვით შეიძლება იმისი დადგენა, თუ რა ტენდენციით ვითარდება სასამართლო პრაქტიკა ამა იმ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გარდა ამისა, შემუშავებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოს ე. წ. „გაიდლაინები“, რომელთა მიზანია ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, იმის მიუხედავად, რომ ამ „გაიდლაინებისადმი“ ერთნაირი დამოკიდებულება არაა შემუშავებული. მკითხველს შევახსებთ, რომ საქართველოში სასამართლო პრეცედენტი (ანუ წინასწარ არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით მსგავსი საქმეების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკა) დაშვებული არ არის.

გარდა ლეგალური და სასამართლო განმარტებისა, სისხლის სამართლის ნორმა შეიძლება განმარტოს მეცნიერმაც (ე.წ. დოქტრინალური განმარტება) თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების დროს ან სპეციალურად კანონში ბუნდოვანობის აღმოფხვრის მიზნით. თუმცა, ამგვარ განმარტებას საუაღდებულო ძალა არა აქვს, მაგრამ, ჯერ ერთი, მას მნიშვნელობა აქვს სამართლის ნორმის სწორად გაგებისა და შეფარდებისთვის. მეორეც, იგი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ახალი კანონის შემუშავების დროს. კანონი შეიძლება განმარტოს ჩვეულებრივმა მოქალაქემაც, რაც მოქალაქეთა მართლშეგნების ამაღლებისთვის მნიშვნელოვანია,

თუმცა მას იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს.

განმარტების ხერხების მიხედვით, განასხვავებენ კანონის გრამატიკულ, ლოგიკურ, სისტემურ და ისტორიულ განმარტებას.

გრამატიკული განმარტება გულისხმობს კანონის ნორმის ტექსტში გამოყენებული გრამატიკული წესების, სასვენი ნიშნების და სხვა ენობრივი წყობის მიხედვით ნორმის აზრის დადგენას. მაგალითად, შეურაცხაობის კანონმდებელი განასხვავებს ცნობიერების ინტელექტუალურ მხარეს, როცა სუბიექტს არ შეეძლო თავისი ქმედების ხასიათის ან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება, ან ეს შეეძლო, მაგრამ არ შეეძლო ქელმძღვანელა მისთვის, ანუ მოშლილი ჰქონდა ნებისყოფა, როგორც საკუთარი ქმედების მართვის უნარი. ამ შემთხვევაში ეს განსხვავება გამოხატულია არა „და“ კავშირით, არამედ „ან“ ნაწილაკით. ლოგიკური განმარტებისას მხედველობაში მიიღება ლოგიკის წესები, როგორცაა, მაგალითად, ლოგიკური გამომდინარეობა, ანალიზი, თუ სინთეზი, ანალოგია, თუ შედარება, იგვეობა და განსხვავება და სხვა.

კანონის სისტემური განმარტებისას მხედველობაში მიიღება მისი ადგილი სამართლის სისტემაში, ან კანონის ამა თუ იმ ნორმის ადგილი სამართლის ერთი და იგივე დარგის ნორმათა სისტემაში. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია უზენაესი კანონია, რომლის მიმართ სისხლის სამართლის კანონი უფრო დაბალი იერარქიისა (ჩვეულებრივი კანონია), რომელიც კონსტიტუციას არ უნდა წინააღმდეგებოდეს. არაა გამორიცხული, დადგეს სისხლის სამართლის რომელიმე ნორმის კონსტიტუციურობის საკითხიც. მაგალითად, სისხლის სამართლის კანონის უკუძალასთან მიმართებით რთულდება საკითხი პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, როცა ახალმა კანონმა შეამსუბუქა სასჯელი, მაგრამ გაზარდა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, ანუ სხვაგვარად გააუარესა პირის მდგომარეობა. აქვს თუ არა ამ კანონს უკუქცევითი ძალა? კანონი იხე

უნდა განიმარტოს, რომ ის წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს კონსტიტუციასთან.

კანონის ისტორიული განმარტება ნიშნავს იმ პირობების დადგენას, როდესაც ეს კანონი იქნა მიღებული. იგულისხმება კანონის მიღების სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური თუ ზოგადმსოფლმხედველობრივი პირობები. გასაგებია, რომ საქმე ეხება კანონის მიღებისა და მისი შეფარდების დროებს შორის არსებულ ცვლილებებს. კანონმდებლის ისტორიული ნება არ უნდა დაეიფიწოთ, მაგრამ არაა გამორიცხული რომელიმე ნორმის ისე მოძველება, რომ ის შეიძლება არც იქნეს მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული.

განასხვავებენ კანონის თეოლოგიურ განმარტებას, როდესაც საქმე ეხება კანონმდებლის მიზნების დადგენას და ამის შესაბამისად კანონის განმარტებას. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა (სსკ-ის პირველი მუხლის შესაბამე ნაწილი). ამ დებულებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართალი აწესრიგებს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოშობილ ურთიერთობებს. ამიტომ ვინც ფიქრობს, რომ სისხლის სამართალი აწესრიგებს დანაშაულის ჩადენის გამო წარმოშობილ ურთიერთობებს, კანონს განმარტავს არასწორად, კანონის ჭეშმარიტი აზრის საწინააღმდეგოდ. მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში მიზანი სხვა კუთხითაც შეიძლება წარმოჩნდეს და განიმარტოს კიდევ. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში ლაპარაკია სასჯელის მიზნებზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სასჯელის დანიშვნა და მისი აღსრულება სასჯელის ამ მიზნების შესაბამისად უნდა ხდებოდეს.

სამართლის ნორმა შეიძლება განიმარტოს მისი მოცულობის მიხედვითაც. ამ პოზიციიდან განასხვავებენ ტექსტუალურ, ანუ სიტყვა-სიტყვის (აღკვეპატურს), განერცობით და შეზღუდვით გან-



მარტებას. კანონის ტექსტუალური განმარტებისას საქმე პასუხისმგებლობის არც შემამსუბუქებელ და არც დამამძიმებელ გარემოებებს არ ეხება. განვრცობითი განმარტება გულისხმობს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. მაგალითად, სსკ-ის 54-ე მუხლში სანიმუშოდ (და არა ამომწურავად) ჩამოთვლილია სასჯელის დანიშვნისას საქმეში არსებული შემამსუბუქებელი გარემოებანი. გამორიცხული არაა სისხლის სამართლის საქმეში აღმოჩნდეს პასუხისმგებლობის სხვა (ესე იგი 54-ე მუხლში პირდაპირ მითითებული) შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, კანონს შეზღუდვითი განმარტება უნდა მიეცეს. ეს ბუნებრივია, რადგან, ჯერ ერთი, ყოველგვარი ეჭვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ. მეორეც, გარემოება, რომელიც პასუხისმგებლობას ამძიმებს, განსაკუთრებულია, გამონაკლისია, რომელიც ამიტომ უფრო ფართოდ განვრცობას არ ექვემდებარება.





## § 1. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში

ნებისმიერი იურიდიული კანონი მოქმედებს დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ. გამონაკლისი არც სისხლის სამართლის კანონია, ცხადია, ამ უკანასკნელის სპეციფიკის შესაბამისად.

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლების ანალიზი უნდა დაიწყოს ამ კანონის იურიდიულ ძალაში შესვლის დადგენით. კერძოდ, სისხლის სამართლის კანონი ძალაში შედის მისი მიღებიდან მეთხუთმეტე დღეს, თუ კანონში მისი ძალაში შესვლის სხვა თარიღი არაა დათქმული. ცნობილია, მაგალითად, რომ საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კანონი მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს, ხოლო, ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივნისს. კანონის ძალაში შესვლის ვადის გამოთვლა იწყება მისი გამოქვეყნების მეორე დღიდან, ესე იგი, როგორც წესი, ძალაში შედის თოთხმეტი დღის გასვლის შემდეგ, ანუ მეთხუთმეტე დღეს. სისხლის სამართლის კანონი გამონაკლისის სახით შეიძლება ძალაში შევიდეს მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ ის პირს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, ან მისთვის რაიმე სხვა შედეგს აწესებს.<sup>1</sup>

სისხლის სამართლის კანონი, როგორც წესი, მოქმედებს უკუდოდ, თუმცა, არაა გამორიცხული კანონის მოქმედება დროებითი მოქმედებისთვის. რაც შეეხება სისხლის სამართლის კანონის ძალადაკარგულად ცნობას, მას თავისებურება ახასიათებს. კერძოდ, თუ ახალი კანონი მანამდე მოქმედ კანონს აცხადებს ძალადაკარგულად. გარდა ამისა, არის შემთხვევა, როდესაც ძველი კანონი ძალას კარგავს ახალი კანონის ამოქმედებით, მაგრამ არის

<sup>1</sup> ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, გვ. 49.

გამონაკლისები, როდესაც ძველი კოდექსის ზოგიერთი ნორმა, რომელიც ქმედების ჩადენის დროს მოქმედებდა, ძალაშია, ან ახალი კანონს ეძლევა უკუძალა იმ ქმედების მიმართ, რომელიც ამ ახალი კანონის მიღებამდე იყო ჩადენილი.

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლების პრობლემატიკიდან, პირველ რიგში შევხები სისხლის სამართლის კანონის დროში მოქმედების პრობლემას.

კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედების ჩადენის დროს. უკვე მქონდა მსჯელობა სისხლის სამართლის პრინციპებზე (იხ. მეოთხე თავი), მათ შორის კანონიერების პრინციპზეც, რომლის თანახმად, არ არსებობს დანაშაული და სასჯელი, თუ არ არსებობს ამის შესახებ მითითება სისხლის სამართლის კანონში. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ყოველ მოქალაქეს (აგრეთვე იურიდიული პირის სახელით მოქმედს) უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ იმოქმედოს სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ყოველი ქმედება, რომელიც დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს, უნდა იყოს გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონში. ამდენად, ქმედება დანაშაულად დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის სწორედ იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედების ჩადენის დროს. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის, აგრეთვე ზოგადი ნაწილის ზოგიერთი ნორმის ასპექტით ანალოგიის წესით კანონის გამოყენების აკრძალვა იმაზე მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

დებულება, რომ ქმედება დანაშაულად უნდა დაკვალიფიცირდეს ამ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონით, იშვიათად არ იყო გამოყენებული იმ აზრის დასაბუთებისთვის, რომ სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა თითქოს დანაშა-

ულის ჩადენის გამო წარმოიშობა. სინამდვილეში კი, დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა არსებითად წინააღმდეგება როგორც კანონიერების პრინციპს საზოგადოდ, ისე სისხლის სამართლის კანონის დროში მოქმედების პრინციპს. კერძოდ, დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებს სისხლის სამართლის კანონის მოქმედება, რადგან, ვიდრე რომელიმე ქმედება დანაშაულად დაკვალიფიცირდება, ის, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კანონით, რომელიც ყოველ დელიქტუნარიან პირს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას აკისრებს. ამდენად, სისხლის სამართლის კანონის დროში მოქმედების პრინციპი დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეას კი არ ამტკიცებს, არამედ, პირიქით, აბათილებს და ამტკიცებს, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან წარმოიშობა. ამაზე უკვე მქონდა მსჯელობა (იხ. პირველი თავი) და აქ არ გავიმეორებ.

ამრიგად, როგორც წესი, გამოიყენება სისხლის სამართლის სწორედ ის კანონი, რომელიც მოქმედებდა ქმედების ჩადენის დროს. მაგრამ რას ნიშნავს „ქმედების ჩადენის დრო“? ცხადია, ქმედება, ვიწრო მნიშვნელობით, „შემადგენლობას“ ნიშნავს, მაგრამ ამ კონტექსტში იგულისხმება „დანაშაული“. ამაზე მეტყველებს სსკ-ის მე-2 მუხლის მეორე ნაწილი. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ „დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან თანამონაწილე ანდა უნდა ემოქმედა მას. შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს.“ ამ დებულებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს. ჯერ ერთი, დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება დრო, როცა სუბიექტმა თავისი ნება გამოავლინა, ანუ, იმოქმედა იმის მიუხედავად, დგება თუ არა ამავე დროს დანაშაულებრივი შედეგი. ე. წ. ფორმალური შემადგენლობის განხორციელებისას, როდესაც ქმედება უკვე უდრის დანაშაულს (მაგალითად, ყაჩაღობა), პრობლემა ამ მხრივ არ

წარმოიშობა. მატერიალური შემაღენლობის განხორციელებისას, როდესაც ქმედება და შედეგი დროში სცილდება ერთმანეთს იქმნება ის სიძნელე, თუ როდის უნდა მივიჩნიოთ დანაშაული ჩადენილად- თვით ქმედების ჩადენის დროს თუ, პირიქით, შედეგის დადგომის დროს? მით უფრო, რომ მატერიალურ შემაღენლობებში დანაშაული დამთავრებულად ითვლება სწორედ ამ შედეგის დადგომის შემთხვევაში. მაგრამ, როგორც ვხედავთ, სსკ-ის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანაშაული ჩადენილად ითვლება თვით ქმედების ჩადენის დროს. მაგალითად, დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია 2009 წლის 5 მაისს, როდესაც პირმა დანით დაჭრა მსხვერპლი, ხოლო ეს უკანასკნელი გარდაიცვალა ამავე წლის 10 ივნისს. მაშასადამე, დანაშაული ჩადენილად ითვლება 2009 წლის 5 მაისს. აქედან გამომდინარე, თუ ახალი, უფრო მკაცრი, კანონი ძალაში შევიდა 2009 წლის 10 ივნისის შემდეგ, თუნდაც 11 ივნისს, ესე იგი, დანაშაულებრივი შედეგის დადგომიდან მეორე დღეს, მაშინ იმოქმედებს ძველი კანონი.

ისიც ცნობილია, რომ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმითაც. ამ შემთხვევაში იგულისხმება თანამონაწილეობა როლების განაწილებით (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). უშუალო ამსრულებელი, რომელმაც საერთო ჩანაფიქრი თვითონ, თავისი გონებითა და ხელებით, განახორციელა, დანაშაულში თანამონაწილედ არ ითვლება. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ დანაშაულის ჩადენის შესახებ თანამონაწილენი ამსრულებელთან ერთად შეთანხმდნენ დროის ერთ მონაკვეთში, ხოლო, ამსრულებელმა ეს საერთო ჩანაფიქრი განახორციელა მოგვიანებით, როდესაც უკვე ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი კანონი. სსკ-ის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან თანამონაწილე ანდა უნდა ემოქმედა მას. გასაკებია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორული პრინციპიდან გამომდინარე, დანაშაული დამთავრებულია

მაშინ, როცა ამსრულებელმა საერთო ჩანაფიქრი განხორციელებულა. ამიტომ ამ შემთხვევაში დანაშაული ჩადენილად ითვლება ამსრულებლის მიერ საერთო ჩანაფიქრის განხორციელების დროს. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ამსრულებელმა ნებაყოფლობით თქვას უარი საერთო ჩანაფიქრის განხორციელებაზე, ან რაიმე სხვა მიზეზით ამსრულებელმა ვერ შეძლოს ამ საერთო ჩანაფიქრის განხორციელება. ამ შემთხვევაში დანაშაულში თანამონაწილეობა არ არსებობს და ამ პირთა ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულის მოშადებად (სსკ-ის მე-18 მუხლი). ამდენად, ამ შემთხვევაში დანაშაულის მოშადება ჩადენილად ითვლება დანაშაულის ჩადენის შესახებ შეთანხმების მომენტიდან და, მაშასადამე, როგორც წესი, იმოქმედებს ამ შეთანხმების დროს მოქმედი კანონი (სხვა საკითხია კანონის უკუძალა). ბოლოს, არაა გამორიცხული დანაშაულში თანამონაწილეობა უმოქმედობით, როდესაც ამსრულებელს ან თანამონაწილეს უნდა ემოქმედა აქტიურად და მართლზომიერად. მაგალითად, ახალშობილის მკვლელობა მისთვის საკვების მიუცემლობით ორი ან მეტი პირის ერთობლივი შეთანხმებით, ანუ მათი ნების გამოვლენით, მაშინ როდესაც, პირიქით, მათ უნდა ემოქმედათ აქტიურად, ესე იგი ბავშვისთვის სათანადო და დროულად უნდა მიეცათ საკვები.

სისხლის სამართლის კანონის დროში მოქმედების საკითხი დაკავშირებულია ერთიანი დანაშაულის ცნებასთან და მისი გამოვლენის ფორმებთან. კერძოდ, დენადი დანაშაული (სსკ-ის მე-13 მუხლი) დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა პირმა შეწყვიტა დანაშაულებრივი მდგომარეობა (მაგალითად, დეზერტირობა) და გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ან უამისოდ ანდა იგი ოფიციალური წესით დააკავეს. განგრძობადი დანაშაულის (სსკ-ის მე-14 მუხლი) ჩადენის დროა ის უკანასკნელი აქტი, რომელიც სუბიექტის ერთიანი მიზნისა და განზრახვის განხორციელების საშუალებას წარმოადგენდა. მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულების ოფისიდან პირი ნაწილ-ნაწილ იპარავს

ხან ვიდეოკამერას, ხან ტელევიზორს, ხან კი — კომპიუტერს.

თავისებურია ე.წ. ორაქტიანი დანაშაულის ჩადენის დროის საკითხი. მაგალითად, ტრუფიკინგი (აღაძიანებით ვაჭრობა) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს აღაძიანის ყიდვა-გაყიდვას, მაგრამ ზოგჯერ ეს დანაშაული დამთავრებულია აღაძიანის ექსპლუატაციის მიზნით მისი ყიდვის ან ექსპლუატაციის მიზნით მისი დაქირავების მომენტიდან. ასე, რომ აღაძიანებით ტრუფიკინგისთვის საკუთრთვ ყიდვა-გაყიდვის აქტი აუცილებელი არაა, თუმცა, იგი ამ უკანასკნელი აქტების ფორმაშიც შეიძლება განხორციელდეს.

## § 2. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

სისხლის სამართლის კანონი, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი აქტი, ოფიციალური წესით ამოქმედების შემდეგ, სავალდებულოა მისი ადრესატებისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ იურიდიული კანონი, როგორც წესი, მიმართულია მომავლისკენ, როგორც ჯერარსი, რომელიც მართლზომიერ ქმედებას მოითხოვს. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად ჩადენის შემთხვევაში კი, როგორც ვნახეთ, დგება საკითხი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონის გამოყენების შესახებ. მაგრამ სისხლის სამართლის კანონს ზოგჯერ აქვს უკუქცევითი ძალა, ანუ უკუძალა. კანონის გავრცელებას მის გამოცემამდე და ძალაში შესვლამდე ჩადენილი ქმედების მიმართ კანონის უკუძალა ეწოდება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს. გასაგებია, რომ საქმე ეჭვა ძველ კანონთან ახალი კანონის მიმართებას. კერძოდ, თუ ახალმა კანონმა დანაშაულად გამოაცხადა ქმედება, რომელსაც წინათ მოქმედი სისხლის სამართლის კანონი არ ითვალისწინებ-

და, მაშინ უკვე ჩადენილი ქმედების მიმართ ახალი კანონის გამოყენება, ანუ მისთვის უკუძალის მინიჭება დაუშვებელია და მაშინ ჩადენილ ქმედებას შეეფარდება ამ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონი. ცხადია, იგულისხმება არა მხოლოდ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმები, არამედ ზოგადი ნაწილის ნორმებიც, რადგან, ქმედების დასჯადობას ზოგჯერ ზოგადი ნაწილის ნორმაც აწესებს. მაგალითად, იყო დრო, როცა იხვებოდა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მოშადება, ხოლო 2006 წლის 29 დეკემბერს სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილში შეტანილი ცვლილების თანახმად, იხვება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე, ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მოშადებაც.

სისხლის სამართლის კანონს, რომელიც წინათ მოქმედ კანონთან შედარებით ამკაცრებს სასჯელს, აგრეთვე უკუქცევითი ძალა არ ენიჭება. აქედან გამომდინარე, უკუძალა ენიჭება სისხლის სამართლის მხოლოდ იმ კანონს, რომელიც აუქმებს წინათ მოქმედი კანონით გათვალისწინებული ქმედების დანაშაულებრიობას, ანუ, როდესაც ახალი კანონი დანაშაულად არ აცხადებს მას. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის ახალ კანონს აქვს უკუძალა და საკითხი პრაქტიკულად წყდება იმის მიხედვით, თუ საქმე რომელ სტადიას შეეხება. კერძოდ, თუ ახალი კანონი ძალაში შევიდა იმ დროს, როდესაც სუბიექტმა წინა კანონით დანაშაულად მიჩნეული ქმედება — ეს არის ჩაიდინა, მაშინ, ეს ქმედება დანაშაულად არ ჩაითვლება და ამ ქმედების გამო რაიმე საგამომიებო მოქმედება არ დაიწყება. თუ წინათ მოქმედი სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად დანაშაულებრივი ქმედებისთვის დანიშნულია სასჯელი, ან მსჯურდებული უკვე იხდის სასჯელს, მაშინ, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში (სსკ-ის მე-3 მუხლის მეორე ნაწილი).

სისხლის სამართლის კანონს უკუქცევითი ძალა აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ახალი კანონი წინათ მოქმედ კანონთან

შედარებით ამსუბუქებს სასჯელს. მაგრამ, საკითხი მარტივი არაა, რადგან სისხლის სამართლის კერძო ნაწილში სასჯელთა სახეები და ზომები სხვადასხვანაირადაა განლაგებული. კერძოდ, არსებობს სასჯელის ზომის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი, ზოგჯერ მითითებულია სანქციის მაქსიმუმი მინიმალური ზომაზე მითითების გარეშე; ზოგჯერ დგება დამატებითი სასჯელის პრობლემაც. ამდენად, იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რომელი კანონია უფრო ღმობიერი, იოლი არაა. ცხადია, გაიოლებულია საკითხი, როდესაც ახალი კანონი ერთდროულად ამცირებს სანქციის როგორც მინიმუმს, ისე მაქსიმუმს და იგი ამავე დროს არ ითვალისწინებს რაიმე დამატებით სასჯელს. შედარებით უფრო იოლია საკითხი, როდესაც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა შეჯერებისას ირკვევა, რომ ახალი კანონი უფრო ღმობიერია.

სისხლის სამართლის კანონის უკუძალასთან დაკავშირებით შეიძლება დადგეს პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ან ნასამართლობის ვადის გაზრდასთან დაკავშირებული სიძნელეები, რადგან ამ თვალსაზრისით, საქმე შეეხება პირის მდგომარეობის სხვაგვარად გაუარესებას, რასაც სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი არ ითვალისწინებს. მართლაც, თუ ახალმა კანონმა წინათ მოქმედ კანონთან შედარებით შეამცირა ნორმის სანქციის როგორც მინიმუმი, ისე მაქსიმუმი, მაგრამ გაზარდა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ან ნასამართლობის ვადა, მაშინ, ერთი მუხედვით, ახალი კანონის გამოყენებას წინ არაფერი უდგას, მაგრამ საკითხი ასე მარტივი არაა. კერძოდ, ახალ კანონში პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ან ნასამართლობის ვადის გადიდებით ხომ არ ხდება ქმედების დანაშაულებრიობის დაწესება, როცა ახალ კანონს უკუქცევითი ძალა არ შეიძლება ჰქონდეს? თუ წინათ მოქმედი კანონით პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ახალ კანონში, მაშინ ამ კანონისთვის უკუძალის მინიჭება იმას ნიშნავს, რომ იგი პასუხისგებაში უნდა



მიეცეს ხანდაზმულობის ამ ახალი ვადის გამო. გამოდის, რომ პირი პასუხისგებაში უნდა მიეცეს იმ ქმედებისთვის, რომლის ჩადენის დროს პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა უფრო ნაკლები იყო და, მაშასადამე, ამ კანონის ფარგლებში ის პასუხისგებაში არ იქნებოდა მიცემული.

ეს საკითხი დადგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე (იხ. 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება), როდესაც, კანონის ფართო განმარტების მოშველიებით, ძირითადად გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი(მისი მეორე ნაწილი) არ ქინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, სახელდობრ 42-ე მუხლის მე-5 პუნქტს, რომლის თანახმად, „არაუინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარვევად არ ითვლებოდა.“ თვით საკონსტიტუციო სასამართლის ხსენებულ გადაწყვეტილებაშიც ხაზგასმულია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, რა უტყუარი მტკიცებულებანი არ გამოუღინდეს, — “ეს ვეღარ გახდება სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების საფუძველი.“ მაშასადამე, თუ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გაზრდა ახალ კანონში მოხდა ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შემდეგ, ასეთ კანონს უკუძალა არ უყნდა მიენიჭოს.

საკითხის სირთულის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ლოგიკურად დაუკავშირდა სისხლის სამართლის თეორიის ჯერ კიდევ სათანოდ დაუმუშავებელ ფუნდამენტურ პრობლემებს, სამმა მოსამართლემ განსხვავებული აზრი გამოთქვა. მიუხედავად ამისა, ვიმეორებ: სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ან ნასამართლობის ვადის გაზრდის შემთხვევაში, აღნიშნული მუხლის მიხედვით, პირი ახალი კანონით პასუხისგებაში უნდა მიეცეს იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენის დროს იგი დანაშაულად არ ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, მართებული იქნებოდა მოსაზრება, რომლის თანახმად,

თუ პასუხისგებაში მიცემის ან ნასამართლობის ვადის გაზრდა მოხდა მოქმედ სისხლის სამართლის კანონში ამ ვადების გასვლის შემდეგ, მაშინ ასეთ კანონს უკუძალა არ უნდა მიეცეს.<sup>1</sup> გარდა ამისა, შესაძლებელია ახალი სისხლის სამართლის კანონის არაპირდაპირი გზით გამკაცრებაც. მაგალითად, ცნობილია, რომ პირობითი მსჯავრი სასჯელი არაა, მაგრამ ამჟამად მოქმედი ნორმით (სსკ-ის 63-ე მუხლი) მისი დაკისრების საფუძველი და წესი არსებითად გამკაცრებულია, რის გამოც ამ ნორმას უკუქცევითი ძალა არა აქვს. არა აქვს უკუძალა იმ ნორმასაც, რომელიც ნასამართლობას ითვალისწინებს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. ბოლოს, არა აქვს უკუძალა სისხლის სამართლის იმ ნორმას, რომელიც ამკაცრებს, სასჯელისგან პირობით ვადადღე გათავისუფლების წესსა და საფუძველს (სსკ-ის 72-ე მუხლი), ხოლო ამ მუხლის იმ ნაწილს, რომელიც აუპეჯობებს პირის მდგომარეობას, უკუძალა ექნება.

არის შემთხვევა, როდესაც ქმედების ჩადენიდან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენიმეჯერ შეიცვალა. ამდენად დგას ახალი კანონის უკუძალის საკითხი. საქმე ეჭება ე. წ. **შუალედურ კანონს**, რომელიც ადრინდელ კანონსა და ბოლოს მიღებულ კანონს შორის მოქმედებს, თუცა ამ შემთხვევაში უკუძალა ენიჭება, მათ შორის, ყველაზე უფრო მსუბუქ კანონს (სსკ-ის მე-3 მუხლის შესაბამის ნაწილი). ბოლოს, აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენება იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს (სსკ-ის მე-3 მუხლის მეოთხე ნაწილი).

<sup>1</sup> მ. ტურაფა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2010, გვ. 32.

### § 3. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცულად

სისხლის სამართლის კანონი მოქმედებს არა მხოლოდ დროში, არამედ სივრცეშიც. ეს ნიშნავს იმას, რომ ქმედების შემაჯავნლობა ხორციელდება განსაზღვრულ ადგილას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ადგილი, სადაც სუბიექტის ნება გამოვლინდა, არამედ დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ადგილიც. იგულისხმება სახელმწიფოს სუვერენული უფლება, რომ თავისი კანონები თავისივე ტერიტორიის ფარგლებში აამოქმედოს. მაგრამ სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედებას მარტოდენ ტერიტორიულობის პრინციპი როდი განსაზღვრავს, თუმცა ეს პრინციპი ერთ-ერთია, რომელიც სპეციალურ განხილვას მოითხოვს. მაშასადამე, სივრცეში სისხლის სამართლის კანონის მოქმედების პრინციპთაგან უპირველესია ტერიტორიულობის პრინციპი. ეს პრინციპი გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად, „იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით.“ აქედან გამომდინარე, დგას საქართველოს ტერიტორიის ცნების დადგენის საკითხიც. ამ თვალსაზრით, უნდა ვისარგებლოთ საქართველოს კანონით „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ,“ (1999 წ.), რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული საზღვარი შედგება საქ სსრ ადმინისტრაციული საზღვრისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის საქართველოს ნაწილში საზღვრისაგან.

საქართველოს ტერიტორიად ითვლება, უპირველეს ყოვლისა, ამ ტერიტორიის სახმელეთო ნაწილი, მათ შორის მიწისქვეშა ნაგებობანი, გამოქვაბულები თუ სხვა ბუნებრივი წარმონაქმნი. წყლის ტერიტორია კი განეკუთვნება ტერიტორიული და შიდა წყლები.

შიდა წყლებს მიეკუთვნება მდინარეები, ტბები, წყალსაცავების წყლები საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში; შავი ზღვის ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილი სწორ ხაზებს შორის; საქართველოს პორტის წყლები, რომელიც შემოსაზღვრულია ზღვის მხარეს პორტის ჰიდროტექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობის უკიდურეს წერტილებზე გამავალი ხაზით.

საქართველოს ტერიტორიულ წყლებს მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი 12 მილის ფარგლებში., თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ტერიტორიული ზღვის სივანე შეიძლება დადგინდეს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოქმედებს იმ დანაშაულებრივი ქმედების მიმართ, რომელიც ჩადენილია კონტინენტურ შეღფზე (ამ უკანასკნელის ცნება იხ. საქართველოს კანონი საზღვრის შესახებ). საქართველოს სისხლის სამართლის კანონი ვრცელდება აგრეთვე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილი დანაშაულის მიმართაც. ბოლოს, საქართველოს საჰაერო სივრცესთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველო თავის იურისდიქციას ახორციელებს სივრცეში მის მიერ გაშვებული ობიექტებსა და ეკიპაჟებზე. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს საჰაერო სივრცის უკიდურესი ზღვარი ზუსტად დადგენილი არ არის.

ასეთია, მოკლედ, საქართველოს ტერიტორიის ცნება. ამის შემდეგ უნდა დაგადგინოთ, თუ როგორ ესმის კანონმდებელს ამ ტერიტორიის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულის ცნება? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სსკ-ის მე-4 მუხლის მეორე ნაწილი. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე. გასაგებია, რომ ამ დებულებაში გამოხატულია ე.წ. სულველგანობის პრინციპი, რომლის თანახმად, „დამნაშავის დასჯის უფლება აქვს არა მარტო

იმ ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზე იმოქმედა დამნაშავემ, არამედ იმასაც, სადაც შედგვი განხორციელდა.“<sup>1</sup>

როგორც ჩანს, საკმარისია, დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე დაიწვოს, რომ მის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კანონი გავრცელდეს, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელებაზე, შწიფვეტაზე ან დამთავრებაზე. მაგრამ ერთია სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების სულყოველგანობის პრინციპი და მეორეა ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება, რომელიც საკმაოდ რთულია, რადგან ამ შემთხვევაში საბოლოოდ მაინც სახელმწიფოთა შეთანხმებით თუ გადაწყდება (ცხადია, იმის მიხედვით, თუ დანაშაულის შემადგენლობის რა ნაწილი განხორციელდა ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან საბოლოოდ რომელი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონი უფროა ადეკვატური ამ დანაშაულის მიმართ და სხვა), თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ უპირატესობა მიენიჭება იმ სახელმწიფოს, რომლის ხელშიც დანაშაულის ჩამდენი პირი აღმოჩნდება; მით უფრო, რომ ამ უკანასკნელს, როგორც წესი, ამ პირის გადაცემის ვალდებულება არ წარმოეშობა.<sup>2</sup>

გარდა ამისა, უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის, ვიდრე დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ადგილს. თუ დანაშაული უმოქმედობით იქნა ჩადენილი, მაშინ დანაშაულის ჩადენის ადგილად ითვლება იქ, სადაც პირს უნდა ემოქმედა აქტიურად და მართლზომიერად; ან იქ, სადაც შედგვი დადგა, ანდა სუბიექტის განზრახვის მიხედვით შეიძლება ბოდა დამდგარიყო.

დანაშაულში თანამონაწილეობის დროს (როლების განაწილების ფორმით) როგორც თანამონაწილემ, ისე ამსრულებელმა შეიძლება იმოქმედოს ერთსა და იმავე ადგილას, მაგრამ დანაშა-

<sup>1</sup> ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

<sup>2</sup> მ. ტურაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

ულში თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის თანახმად, უშუალო ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის (ანუ საერთო ჩანაფიქრის განხორციელების) ადგილი არის თანამონაწილის მოქმედების ადგილიც, მიუხედავად იმისა, რომ თანამონაწილე (მაგალითად, წამქეზებელი) ფაქტობრივად მოქმედებდა სხვა ადგილას. აქ, როგორც ირკვევა, თავს იჩენს ე. წ. ფიქციის თეორია, როდესაც ფაქტობრივად სხვა ადგილას მოქმედი თანამონაწილე (წამქეზებელი) თითქოს მოქმედებდა უშუალო ამსრულებლის მიერ საერთო ჩანაფიქრის განხორციელების ადგილას. თუ თანამონაწილეობა უმოქმედობით ხდებოდა, მაშინ დანაშაულის ჩადენის ადგილად ითვლება იქ, სადაც უნდა ემოქმედა მას ან მისი წარმოდგენით შედეგი დადგებოდა.

საქართველოს მოძრავ ტერიტორიას განეკუთვნება როგორც მცურავი, ისე მფრინავი ხომალდი. მცურავ ხომალდად ითვლება საქართველოს ალმით ან სხვა ამოსაცნობი ნიშნით მოსარგებლე. თუ დანაშაული ამ ხომალდზე ან მის წინააღმდეგ იქნა ჩადენილი (მაგალითად, მეკობრეობა — სსკ-ის 228-ე მუხლი), მაშინ იმოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის კანონი იმის მიუხედავად, თუ სად იმყოფება ეს ხომალდი. არსებობს ერთი გამონაკლისი, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც უშვებს შესაძლებლობას, რომ ამ მცურავ ხომალდზე ან მის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიმართ გავრცელდეს ამ ხომალდის ადგილსამყოფელ სახელმწიფოს კანონმდებლობა.<sup>1</sup> ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კანონი არ აკონკრეტებს მცურავი ხომალდის სახეობას, გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგივე რეჟიმი ვრცელდება სამოქალაქო გემზეც, მისი ადგილსამყოფელის მიუხედავად.<sup>2</sup>

ამრიგად, სივრცეში სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ტერიტორიულობის პრინციპის თანახმად, საქართველოს

<sup>1</sup> ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63-64.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 64.

ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისთვის ყველა პირს, მისი მოქალაქეობის მიუხედავად, პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით მაგრამ არსებობს გამონაკლისი ამ ზოგადი წესიდან. კერძოდ, ზოგიერთი კატეგორიის პირები სარგებლობენ ე.წ. ექსტერიტორიულობის პრინციპით, რომლის თანახმად, დიპლომატიური იმუნიტეტით მოსარგებლენი, თუ ისინი ჩაიდენენ დანაშაულს საქართველოს ტერიტორიაზე, მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი წყდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. პირთა წრე, რომელიც დიპლომატიურ წარმომადგენლობას განეკუთვნება, დადგენილია, მაგალითად, ვენის 1961 წლის კონვენციით დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ, აგრეთვე სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მაგალითად, ვენის 1975 წლის კონვენცია). ამ დოკუმენტებში ჩამოთვლილია ის პირები, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ: დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელები, ელჩები, დესპანები, მრჩევლები, საეჭრო წარმომადგენლობა, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ატაშე, დიპლომატიური პერსონალის ოჯახის წევრები, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან საქართველოში.

თუ აღნიშნული პირებიდან რომელიმე ჩაიდენს დანაშაულს საქართველოს ტერიტორიაზე, ამასთან წარმომგზავნი სახელმწიფო მას არ მოუხსნის იმუნიტეტს, მაშინ მის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ გამოიყენება. ამავე დროს, საერთაშორისო სამართლის სფეროში მიღებული პრინციპის თანახმად, ის ცხადდება არასასურველ პირად (ე.წ. "Persona non grata"), ესე იგი, უნდა მოხდეს მისი გაძევება საქართველოდან. ამ პირმა კი შეიძლება პასუხი აგოს წარმომგზავნი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონით.

სრულიად განსხვავებულია, ამ მხრივ, სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს იმ თანამდებობის პირებისა, რომელთაც

იცავს კანონი. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი სამუშაო ადგილის, ბინის ან ავტომანქანის ჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას დანაშაულზე წაასწრეს, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს.

მსგავსი სამართლებრივი დაცვით სარგებლობს აგრეთვე მოსამართლეც, რომლის მიმართ რაიმე საგამოძიებო მოქმედება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე, დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას წაასწრეს დანაშაულზე, რაც უნდა ეცნობოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, მაშინ მოსამართლე, რომელიც დაკავებული ან დაპატიმრებულია, უნდა გათავისუფლდეს.<sup>1</sup>

ბოლოს, როგორც სწორადაა აღნიშნული, არც შიდასახელმწიფოებრივი და არც საერთაშორისო იმუნიტეტი არ აბრკოლებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს რომის სტატუტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი შემდეგი დანაშაულები: გენოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული.<sup>2</sup> (აგრესია), თუმცა ამ უკანასკნელის შემადგენლობა ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო, როგორც ჩანს, უკვე ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ საკითხს აქ ვერ განვიხილავთ.

<sup>1</sup> უფრო დაწვრილებით იხ. გ. ტვეშელიაძე, სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სიერცეში, "სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი," თბილისი, 2007, გვ. 83-89.

<sup>2</sup> მ. ტურაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.





სისხლის სამართლის კანონის სიერცეში მოქმედების ტერიტორიულობის პრინციპის გარდა, მოქმედებს აგრეთვე სხვა პრინციპიც. იგულისხმება მოქალაქეობის პრინციპი, რომელიც გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს სსკ-ით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით.

არსებობს კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ (1993 წ.). დეას არ იწვევს აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის ცნებაც. ორივე კატეგორიის პირები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კანონი უცხოეთში ყოფნისას და ამავე დროს იქაც მიიღონ საქართველოს სახელმწიფოს მფარველობა და დაცვა. თუ ამ პირებმა დანაშაული საზღვარგარეთ ჩაიდინეს, ისინი პასუხს აგებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუმცა იმ პირობით, თუ ქმედების ჩადენის ადგილას მოქმედი კანონით ეს ქმედება დანაშაულად ითვლება, ან არ ითვლება, მაგრამ ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამის გამო არაა გამორიცხული, რომ ისინი საზღვარგარეთ უკვე რაღაცნაირად დაისაჯნენ სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ტერიტორიულობის პრინციპის შესაბამისად, ესე იგი უცხო ქვეყნის სისხლის სამართლის კანონით ამ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ ერთი და იგივე დანაშაულისთვის ორჯერ დასჯა დაუშვებელია (Nen bis in idem), საქართველოში მოქმედმა სასამართლომ პირს სასჯელი უნდა შეუმსუბუქოს ან იგი სასჯელისგან სრულად გაათავისუფლოს.

მაგრამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ შესახებ რომის სტატუტის მე-20 მუხლში გათვალისწინებულია: ორი გამონაკლისი, როცა პირი შეიძლება გასამართლდეს მეორედ: თუ ა) სამართალწარმოება ემსახურებოდა ამ პირის პასუხისმგებლობისგან დაცვას; თუ ბ) სასამართლო განხილვა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად არ წარიმართა, რაც შეუთავსებელი იყო შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისათვის განხორციელების მიზანთან.

გარდა ამისა, ამ მიმართებით მოქმედებს კიდევ რამდენიმე პრინციპი. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაცვის, ანუ რეალობის პრინციპი. კერძოდ, საქ. სსკ-ის მე-5 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საზღვარგარეთ ჩადენილი ქმედება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაა გათვალისწინებული, ხოლო მისი ჩადენის ადგილას დანაშაულად არ ითვლება, დაისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუ ის, **ჯერ ერთი**, მიმართულია საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ; **მეორეც**, თუ ეს ქმედება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას განეკუთვნება; ან ამ დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ამ უკანასკნელი დებულებით გამოხატულია სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ე.წ. **უნივერსალობის პრინციპი**.

რეალობისა და უნივერსალობის პრინციპია გამოხატული აგრეთვე საქ. სსკ მე-5 მუხლის მესამე ნაწილში, რომლის თანახმად, საზღვარგარეთ დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან

განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ან ამ დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით. ამ ასპექტით იგულისხმება, ერთი მხრით, საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებანი, რომელნიც გამოხატულია შესაბამისი კონვენციებით (მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2006 წლის 7 თვისს). მეორე მხრით, იგულისხმება სახელმწიფოს სუვერენიტეტიდან გამომდინარე სისხლისსამართლის კანონის მოქმედების ტერიტორიულობის პრინციპი, რომლის თანახმად, პირი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიეცემა ამ სახელმწიფოს კანონით, იმის მიუხედავად, თუ სად და რომელი ქვეყნის მოქალაქის მიერაა იგი ჩადენილი.

## § 5. დანაშაულის ჩამდენი პირის ბადაყმა და ექსტრადიციი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი ითვალისწინებს დანაშაულის ჩამდენი პირის გადაცემას საერთაშორისო სასამართლოსთვის და მის ექსტრადიციას ერთი სახელმწიფოდან მეორეში. ამ მუხლში პირდაპირაა გაცხადებული, რომ საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად არ შეიძლება იყვნენ ექსტრადირებულნი სხვა სახელმწიფოში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. იგულისხმება ვითარება, როდესაც ამ პირებმა დანაშაული ჩაიდინეს საზღვარგარეთ და ამის შემდეგ აღმოჩნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამით გამოხატულია პრინციპი, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო თავის მოქალა-

ქვეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს, სხვა სახელმწიფოებს არ გადასცემს. რაც შეეხება ექსტრადიციას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, — ეს საკითხი გადაწყვეტილია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილში, რომლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ ის არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქის არმქონე პირი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად შეიძლება ექსტრადირებულნი იქნენ სხვა სახელმწიფოში ან გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს.

განსაკუთრებული საკითხია დანაშაულის ჩამდენი პირის გადაცემა საერთაშორისო სასამართლოსთვის. იგი მოწესრიგებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებით, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომში, 1998 წლის 17 ივლისს.

აღსანიშნავია, რომ ამ წესდების ხელისმომწერ სახელმწიფოთა შორის იყო საქართველოც. რომის სტატუტი რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 16 ივლისის დადგენილებით.

აღნიშნული წესდების პირველსავე მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დაფუძნებულია, როგორც მუდმივმოქმედი ორგანო, ხოლო ამავე წესდების მე-3 მუხლში დადგენილია, რომ აღნიშნული სასამართლოს ადგილსამყოფელია ქალაქი ჰააგა, ნიდერლანდები („მასპინძელი სახელმწიფო“). ამ წესდების მე-5 მუხლის თანახმად,

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უნდა გადაეცეს ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს, წესდების ენით რომ ვთქვათ, შემამფოთებელი უძძიმესი დანაშაულები, როგორცაა: 1. გენოციდი; 2. დანაშაული კაცობრიობის, ადამიანობის წინააღმდეგ; 3. ომის დანაშაულები; 4. აგრესია. რომის სტატუტში მოკლედ, მაგრამ არსებითადაა დახასიათებული ის დანაშაულები, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო თავის იურისდიქციას ახორციელებს. გარდა ამისა, არსებობს საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ (2003 წლის 14 აგვისტო), რომლითაც მოწესრიგებულია აღნიშნულ სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხები, განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც ამ თანამშრომლობაზე უფლებამოსილი ორგანო. ამ კანონში დაწვრილებითაა გადმოცემული საქართველოს სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის ხსენებული დანაშაულის ჩამდენი პირის გადაცემის საფუძველი, წესი და შედეგები. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თუ საქართველოს ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი ხსენებული სასამართლოს განსჯადი რომელიმე დანაშაული, მაშინ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ამ კანონის დადგენილი წესით, პირს გადასცემს ამ სასამართლოს, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული დანაშაულები გათვალისწინებულია თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაც (საქ. სსკ-ის მე-14 კარი). არაა გამორიცხული, რომ საქართველოს სასამართლო მიიღებს ერთდროულ თხოვნას ერთი და იგივე პირის მიმართ როგორც ექსტრადიციის, ანუ, ერთ სახელმწიფოდან მეორეში გადაცემის და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის გადაცემის თაობაზე (ამ კანონის მე-18 მუხლი), მაშინ საკითხი წყდება რომის სტატუტის 90-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნულ მუხლში იმდენად დეტალურადაა განხილული ეს საკითხი, რომ მას აქ არ გავიმეორებთ.

## § 6. თავმჯდომარის უფლება



ყოველი სახელმწიფო ვალდებულია თავისი კანონმდებლობით გაითვალისწინოს თავშესაფრის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.<sup>1</sup>

ეს საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამე ნაწილით. კერძოდ, შესაძლებელია შემთხვევა, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი, შემოეხიზნება, საქართველოს სახელმწიფოს და კანონით დადგენილი წესით ითხოვს თავშესაფარს. ეს შეიძლება იყოს დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც თავის სახელმწიფოში იდევნება პოლიტიკური მრწამსისთვის; ეს შეიძლება იყოს აგრეთვე ის პირიც, რომელმაც საზღვარგარეთ ჩაიდინა ქმედება, ხოლო ეს ქმედება საქართველოს კანონით დანაშაულად არ ითვლება. ასეთ შემთხვევაში ეს პირი არ გადაეცემა თავის სახელმწიფოს, რომელიც გადაცემას ითხოვს.

არსებობს ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიული საფუძვლები, რომლებიც დაწერილებითაა განხილული მ. გვარამიას ნაშრომში.<sup>2</sup> აქ მოკლედ აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ ავტორი განიხილავს ექსტრადიციაზე უარის თქმის რამდენიმე საფუძველს: თუ პირი დევნილია პოლიტიკური მრწამსისთვის; ერთი და იგივე ქმედებისთვის ორჯერ დასჯის აკრძალვიდან (“Nen bis in idem”) გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით; წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ ღირსების შემლახველ სასჯელის

<sup>1</sup> ნ. თაქთაქიშვილი, თავშესაფრის უფლება, „სამართალი“, 1999, № 3.

<sup>2</sup> მ. გვარამია, ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიული საფუძვლები, თბილისი, 2005.

გამო. ეს საკითხები განხილულია ექსტრადიციის თაობაზე არაერთი კონვენციის ანალიზის საფუძველზე, ხოლო ჩვენ ანგარიშად შემოვიფარგლებით მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შესაძენა ნაწილში დადგენილი დებულებით. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო იმ პირს, რომელსაც კანონით დადგენილი წესით მისცა თავშესაფარი, მომთხოვნ სახელმწიფოს არ გადასცემს მას, თუ: ის თავის სახელმწიფოში იდგენება პოლიტიკური მრწამსისთვის; საზღვარგარეთ მის მიერ ჩადენილი დანაშაული პოლიტიკურია; ან მან საზღვარგარეთ ჩადინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება; და, ბოლოს, ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში სასჯელის სახით დაწესებულია სიკვდილით დასჯა და, მაშასადამე, არსებობს სრული საფუძველი დასკვნისთვის, რომ მას ამ გზით გაუსწორდებიან.

ამ კატეგორიის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით, ანუ, ე. წ. მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპის შესაბამისად. პირი დაექვემდებარება საქართველოს იურისდიქციას, თუ საერთაშორისო სისხლის სამართლის ცნობილი ხუთი პრინციპიდან (ტერიტორიულობის, მოქალაქეობის, დაცვის, უნივერსალობის, მონაცვლეობითი მართლმსაჯულების) საქართველოს სახელმწიფოს შემხებლობა აქვს თუნდაც ერთ რომელიმე მათგანთან. მით უფრო, რომ აქტიური პერსონალის პრინციპი უკრძალავს საქართველოს სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოთვის პირის გადაცემას, ხოლო სხვა პრინციპები აძლევს არჩევანის თავისუფლებას. მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარე კი, საქართველოს სახელმწიფოს ვერძალება, გადასცეს პირი სხვა სახელმწიფოს, თუ ამით შეილახება ადამიანის უფლებები, რომლებიც დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე საერთაშორისო სამართლით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> უფრო დაწერილებით იხილეთ მ. ტურაფა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2010, გვ. 53-54.

## § 1. დანაშაულის სწავლის მნიშვნელობა

ამ სახელმძღვანელოში უკვე ითქვა, რომ სისხლის სამართლის სფეროში ორი უძირითადესი ცნება არსებობს: დანაშაულის ცნება და სასჯელის ცნება. ისიც ითქვა, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების პოზიციიდან პირველადი, ამოსავალია დანაშაულის ცნება, მაშინ, როცა სისხლის სამართლის ფილოსოფიის პოზიციიდან პირველადი, ამოსავალი სასჯელის ცნებაა.

ვინაიდან ამ სახელმძღვანელოში ძირითადად გატარებულია სისხლის სამართლის მეცნიერების პოზიცია, ბუნებრივია, რომ ჩვენთვის ამჯერად პირველადი და ამოსავალია დანაშაულის ცნება. დანაშაულის ცნების აგებაზეა დამოკიდებული არა მარტო სასჯელის ცნება, არამედ, სისხლის სამართლის სხვა ცნებები. ჯერ ერთი, არსებობდა თვით დანაშაულის ცნების ელემენტების, მათი თანაფარდობის, ანუ დანაშაულის სისტემის პრობლემა. მართლაც, დანაშაული, საქ. სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ესაა დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი, რომელიც სამი ელემენტისგან შედგება: 1. ქმედების შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით; 2. ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა, როგორც ქმედების წინააღმდეგობა სამართლის იმ ნორმისადმი, რომელიც სამართლის სუბიექტს მართლზომიერი ქმედების მოვალეობას აკისრებს; 3. სუბიექტის ბრალი, რომელიც გამოხატავს როგორც ქმედების, ისე ამ ქმედების ჩამდენი პირის ერთიანობას. მეორეც, დანაშაულის ცნების ამ ელემენტებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საქმეში. კერძოდ, თუ დაპირველად უნდა



დადგინდეს ქმედების შემადგენლობა, სისხლის სამართლის კანონში მისი გათვალისწინებულობის ფაქტი. მეორე ეტაპზე ჩადენილი ქმედება შეფასდეს მართლწინააღმდეგობის პოზიციიდან, ხოლო, ბრალის დადგენა იმას ნიშნავს, ჩადენილია დანაშაული და ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს, სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების რა ზომები უნდა დაეკისროს დანაშაულის ჩამდენ პირს.

დანაშაულის ცნებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კლასიფიკაციის, ანუ კატეგორიზაციისთვის (ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სახით (საქ. სსკ-ის მე-12 მუხლი), ხოლო, თვით ამ კატეგორიზაციას მრავალმხრივი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს (მაგალითად, სასჯელის დანიშვნის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისგან გათავისუფლებისას და სხვა). გარდა ამისა, დანაშაულის ცნების აგებას დიდი მნიშვნელობა აქვს კრიმინოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერებისთვის, რომლის ამოცანაა დანაშაულთა თავიდან აცილების ეფექტურ ღონისძიებათა შემუშავებაა. თუმცა, დანაშაულის ცნების გაგებაში კრიმინოლოგიის, როგორც სოციოლოგიური ტიპის მეცნიერების, მონაცემებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ დანაშაულის ცნების მართებული ანალიზი საკმაოდ რთულია, რადგან ერთია დანაშაულის ცნების სამწვეროვანი დაყოფა ქმედების შემადგენლობის, მისი მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის სახით, და მეორეა ამ ელემენტების სწორი, მეცნიერულად გამართული და დანაშაულობასთან სისხლისსამართლებრივი ბრძოლის პრაქტიკასთან შეფარდებული გაგება. სამწუხაროდ, ამ მიმართებით არაერთი გაუგებრობა და პრინციპულად სადავო საკითხი არსებობს, რომ არაფერი ვთქვათ დანაშაულის ცნების რუსული მოდელის პრაქტიკულ და თეორიულ სიძნელეებზე. ცხადია, ასეთ სადავო საკითხებს მონოგრაფიული კვლევა სჭირდებათ, ხოლო ამ სახელმძღვანელოს ფარგლებში ძირითად საკითხებს მოკლედ შევხებით. აქ კი, მხოლოდ

იმას შევნიშნავ, რომ დანაშაულის ცნების აგების დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა სრულადაც არ აცნობებს სასჯელის ცნების აგებისა და მისი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის პრობლემებს, რომელებიც საგანგებოდ შემდგომ იქნება განხილული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულია დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი ქმედების შემაღგენლობის, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის ერთიანობით დანაშაულის ამ სამი ელემენტის თაობაზე შემდგომში ვისაუბრებ. მექნება საუბარი დანაშაულის სოციალური საშიშროების შესახებაც. მაგრამ დანაშაული ხასიათდება სხვა ნიშნებითაც, რომელთა შესახებ აქვე მოკლედ ვიმსჯელებ. კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედება, როგორც წესი, ამორალურიც არის და არა მხოლოდ მართლწინააღმდეგო, რადგან ის წინააღმდეგება ზნეობრივი ნორმის მოთხოვნას. ზნეობას მოწვევტილი სისხლის სამართალი მკვდარ დოგმად გადაიქცეოდა. მით უფრო, რომ სუბიექტის ბრალი ზნეობრივ გაკიცხვას იმსახურებს. არც ისაა შემთხვევითი, რომ დანაშაულებრივ ქმედებას ხშირად ახლავს მორალური ზიანიც (მაგალითად, მკვლელობის, გაუპატიურების, ქურდობის და სხვა ამგვარ ქმედებათა ჩადენის შედეგად), რომ არაფერი ვთქვათ დანაშაულზე საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (საქსსკ-ის XXXII თავი). მართალია, კომუნისტური იდეოლოგია ნებისმიერ დანაშაულს კომუნისტური მორალის საწინააღმდეგოდ მიიჩნევდა, რაც აშკარად გადამლაშება იყო. სადღეისოდ კი სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს ქმედებასაც, რომელიც ზნეობრივად ნეიტრალურია. მაგალითად, შრომის უსაფრთხოების, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის თუ სხვა ამგვარი სპეციალური წესების დარღვევა, მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება მოჰყვეს საკმაო მძიმე შედეგები, ზნეობრივი ნორმის დარღვევადაც ვერ ჩაითვლება.

დანაშაული სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ქმედებაა. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმის სანქციაში რომლითაც არის აღჭურვილი სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმა, თითოეული დანაშაულის ხასიათის მიხედვით, აწესებს მის დასჯადობას. ცხადია, დასჯადობა დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის გამოყენების მხოლოდ შესაძლებლობას გამოხატავს, რადგან არსებობს გარკვეული კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ცნება და სახეები. მართალია, დანაშაულის ჩადენისთვის დასჯის მუქარა, რომელიც სისხლის სამართლის ნორმის სანქციაშია გამოხატული, დანაშაულის ჩადენის აკრძალვაზეც მიუთითებს, მაგრამ სისხლისსამართლებრივი აკრძალვა სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურაში ქმედების შემადგენლობის აღწერასთან ერთად არის ნაგულისხმები, როგორც ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის საფუძველი. ქმედება შეესაბამება სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში აღწერილი ქმედების შემადგენლობას და ქინააღმდეგება სისხლის სამართლის ნორმას. მართლწინააღმდეგობა არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების უარყოფითი სამართლებრივი შეფასება. ასე, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობისა და დასჯადობის სრული გაიგივება დაუშვებელია.

## § 2. ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობის ბერმონოლოგიური საკითხისთვის

რაკი დანაშაულის ეს სისტემა ქმედების შემადგენლობის ცნებით იწყება, უპირველეს ყოვლისა, ამ ცნებას განვიხილავ კერძოდ, დანაშაული სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედებაა. ესაა სისხლის სამართლის სფეროში კანონიერების პრინციპის თავისებური გამოხატულება (Nullum crimen sine lege

— არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე). ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონით გაუთვალისწინებელი ქმედება დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ანალოგიის წესით სისხლის სამართლის კანონის გამოყენება დაიშვება მხოლოდ სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში და ისიც მაშინ, როცა საქმე შეეხება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამომრიცხველ გარემოებებს. ამდენად, ის ფაქტი, რომ ქმედების შემადგენლობა სისხლის სამართლის კოდექსითაა გათვალისწინებული, — კანონიერების, ანუ, ამ ცნების საგარანტიო ფუნქციას გამოხატავს. კერძოდ, ყოველ პირს, მათ შორის, იურიდიული პირის ფორმაში, შეუძლია მხედველობაში მიიღოს ის გარემოება, რომ ესა თუ ის ქმედება, რომელიც შეიძლება დანაშაულად დაკვალიფიცირდეს, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით და რომ ამ შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული განხორციელება მას სათანადო სასჯელით ემუქრება. თუ ამ ვითარებაში პირი ამ ქმედებას მაინც ჩაიდენს, იგი თავს ჯერაფრით ვერ გაიმართლებს და ამ ქმედებისთვის ადეკვატური პასუხისმგებლობა მისთვის უპრიანი იქნება.

ქმედების შემადგენლობის ცნებასთან დაკავშირებით დგას არაერთი რთული საკითხი. აქ, უპირველეს ყოვლისა, დგას სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედების რაც შეიძლება ზუსტი ფაქტობრივი და იურიდიული ნიშნების აღწერისა და შეფასების პრობლემა. მართლაც, კანონმდებელი დგას იმ რთული საკითხის წინაშე, თუ როგორ, რა ხერხითა და მეთოდებით მოახერხოს მან სისხლის სამართლის კოდექსში სათანადოდ, მოკლედ, ლაკონურად, კანონის ენის შესაბამისად, დაახასიათოს ყოველი კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება იმგვარად, რომ ქმედების ყოველი შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონში იფოს ინდივიდუალური და განუყოფელი. აქ, როგორც უკვე ჩანს, საქმე ეხება შემოქმედების რამდენიმე ნიშანს. ამიტომ სისხლის სამართლის დარგშიც ტერმინი

„კანონშემოქმედება“ არსებითად სწორია და საქმის ნამდვილ  
ვითარებას გამოხატავს. მაგალითად, საქართველოს სისხლის  
სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველ ნაწილში ქურდობა  
განმარტებულია, როგორც „სხვისი მოძრავი ნივთის ფარული  
დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“ ესაა  
ქურდობის მარტოვი შემადგენლობა, ხოლო, ამავე მუხლის სხვა  
ნაწილებში გადმოცემულია ქურდობის მაკვალიფიცირებელი  
ნიშნები, ანუ ქურდობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი  
გარემოებანი, როგორიცაა, მაგალითად, ქურდობა, ჩადენილი  
ორგანიზებული ჯგუფის მიერ (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის  
„ა“ ქვეპუნქტი), ან დიდი ოდენობით (ამავე მუხლის მეოთხე  
ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). ქურდობა, როგორც სხვა დანაშაული,  
პრაქტიკულად ხორციელდება სისხლის სამართლის კერძო ნა-  
წილში მოცემული ქმედების საკანონმდებლო აღწერილობის,  
ანუ შემადგენლობის შესაბამისად. ამიტომ, რომ დანაშაულებ-  
როვი ქმედების ნიშნები შეესაბამება, ანუ უფრო სწორი იქნებოდა  
გვეთქვა, რომ ეს ნიშნები იგვეუბროვია იმ ქმედების იმ ნიშნებისა,  
რომელთაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის  
რომელიმე მუხლის დისპოზიცია. ამიტომ, რომ რომელიმე  
კონკრეტული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს ხდება  
სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების  
ნიშნებისა და ჩადენილი ქმედების ნიშნების იგვეუბრის დადგენა.  
ამგვარი იგვეუბრის შემთხვევაში, თუ არ არსებობს ქმედების  
მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი რომელიმე გარემოება  
(მაგალითად, აუცილებელი მოგერიება), მაშინ, ფარაუდება, რომ  
ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. შესაბამისად, თუ არ არსე-  
ბობს სუბიექტის ბრალის გამოძრიცხველი რომელიმე გარემოება  
(მაგალითად, შეურაცხაობა), მაშინ, ფარაუდება, რომ სუბიექტი  
ამ ქმედების განხორციელებაში ბრალეულია. მაგრამ საქმე  
ის გახლავთ, რომ აქ ჯერ კიდევ არაა გამოხატული ქმედების  
დანაშაულად კვალიფიკაციის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი.

კერძოდ, თუ ქმედება, რომლის ნიშნები სისხლის სამართლის ნორმით გათვალისწინებული ქმედების ნიშნების იგივეობრივად მცირეწილად იქნება, მაშინ, საქ. სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ეს იგივეობა ფორმალურია და, მაშასადამე, ეს ქმედება დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

მეორეს მხრით, დგება ტერმინოლოგიური საკითხიც. კერძოდ, რუსული ტრადიციის მიხედვით გაბატონებულია ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობა.“ ამ ტერმინში იგულისხმება, რომ საქმე შეეხება დანაშაულის სტრუქტურას, მის ელემენტებს შემდეგი ოთხი ჯგუფის ნიშნითა მიხედვით (დანაშაულის ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარის ერთიანობით). მეორეს მხრით, დანაშაულის ნიშნები (საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და ბრალი) თვით დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურაში შეიტანეს, რის გამოც, დანაშაული და მისი შემადგენლობა ერთი და იგივე აღმოჩნდა. ამ ლოგიკით კი გამოდის, რომ, თუ განხორციელებულია დანაშაულის შემადგენლობა, მაშასადამე, ჩადენილია დანაშაული. ეს, როგორც უკვე ჩანს, „დანაშაულის“ და მისი „შემადგენლობის“ იგივეობას გამოხატავს. გაბატონდა დებულება, რომ დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი და საკმარისი საფუძველია. ამ ლოგიკით არსებითად ვიღებთ ერთ საგანს ან მოვლენას, რომლსაც ერთი ცნება შეესაბამება. კერძოდ, არსებობს დანაშაულის ცნება, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებსაც მოიცავს. თუ ეს ასეა, მაშინ დანაშაულის შემადგენლობის ცნება ზედმეტია ან, პირიქით, არსებობს დანაშაულის შემადგენლობის ცნება, რომელიც დანაშაულის ნიშნებსაც მოიცავს (მაშინ დანაშაულის ცნება ზედმეტია). სამწუხაროდ, ასეთივე სიძველე იქმნება თანამედროვე რუსეთის სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაშიც, რომელიც ამ მხრით საბჭოური სისხლის სამართლის ტრადიციას აგრძელებს. მაგალითად, ა. ნაუმოვი წერს: „დანაშაულის შემადგენლობის“ ცნება

ქმნის ნიშანთა ოთხ ჯგუფს, რომელსაც თეორიაში დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს უწოდებენ. ესაა დანაშაულის ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი და სუბიექტური მხარე.<sup>1</sup>

გერმანული ტრადიციის მიხედვით კი გაბატონებულია ტერმინი „ქმედების შემადგენლობა“ („Tatbestand“). ამ პოზიციიდან იგულისხმება, რომ საქმე შეეხება დანაშაულის ცნების პირველ ელემენტს, ესე იგი იმ ქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით. ვასაგებია, რომ ამ ტრადიციაში ქმედების შემადგენლობა „დანაშაულს“ ვერ გაუტოლდება, რადგან ამ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის საჭიროა კიდევ ორი ელემენტის — მისი მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის დადგენა. ამკარაა, რომ გერმანული პოზიცია უფრო გამართლებულია, რადგან, მასში „შემადგენლობის“ და „დანაშაულის“ გაიგივება თავიდანაა აცილებული. მაგრამ ეს ტერმინი, როგორც წესი, გამოხატავს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემას, სადაც საქმე შეეხება დანაშაულის ზოგადი ცნების აგებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში გამოხატული თანმიმდევრობით. მაგრამ ეს ტერმინი საკმარისი არაა სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, რომელშიც გამოხატულია დამთავრებული დანაშაულის მოდელი. ამ პოზიციიდან იგულისხმება, რომ საქმე შეეხება, მაგალითად, მკვლელობის, ჯანაღობის, ბანდიტიზმის და ა.შ. დანაშაულთა შემადგენლობას. შემთხვევითი არაა, რომ გერმანული კოლევები იყენებენ მეორე ტერმინსაც (Straftatbestanbd) ანუ „დანაშაულის შემადგენლობა“).

ამრიგად, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ასპექტით, რამდენადაც საქმე შეეხება დანაშაულის ზოგადი ცნების აგების ინტერესებს, საუსებით ლოგიკურია ტერმინი „ქმედების შემადგენლობა,“ როგორც დანაშაულის ზოგადი ცნების პირველი

<sup>1</sup> А. В. Наумов, Уголовное право, Общая часть, Курс лекций, М. 1996, стр. 136.

ელემენტის გამოხატულება. რამდენადაც სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია დამთავრებული დანაშაულის მოდელი, ამდენად ამ მიმართებით ლოგიკურია ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობა“, როგორც ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის და ა.შ. დანაშაულთა შემადგენლობის გამოხატულება. ეს ბუნებრივია, რადგან, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ირკვევა, თუ, სახელდობრ, რომელი დანაშაულის შემადგენლობას ეხება საქმე.

### § 3. ქველანის შერადგენლობის ელემენტები

ქმედების შემადგენლობის სტრუქტურის თუ ელემენტების საკითხი დღემდე არაა გარკვეული. კერძოდ, იყო დრო, როდესაც ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში იგულისხმებოდა ნების გარეგანი აქტი, ესე იგი, ქმედების მხოლოდ ობიექტური ნიშნები (მოქმედება, უმოქმედობა, შედეგი დ ა.შ.). ასეთი გახლდათ დანაშაულის ცნების ე.წ. კლასიკური სისტემა, რომელიც გერმანელი კრიმინალიტების — **ლისტისა და ბელინგის** — მოძღვრებაშია წარმოდგენილი. ცხადია, ქმედების უპირველესი ნიშანი ისაა, რომ იგი ადამიანის ნების გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს. მაგრამ ადამიანის ქმედება, მით უფრო დანაშაულებრივი, სუბიექტური ელემენტის გარეშე შეუძლებელია. მაგალითად, საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლში ქურდობა განმარტებულია, როგორც სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ან კიდევ: საბოტაჟის შემადგენლობაში აღწერილი ქმედებანი (სახელმწიფო ან სხვა დაწესებულებების საქმიანობისთვის ხელის შეშლა, სხვა ძალადური ქმედება (აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით და სხვა) საქართველოს დასუსტების მიზნით ხორციელდება (საქ. სსკ-ის 318-ე მუხლის შესამე მწილი). მთელი რიგი ქმედების შემადგენლობა (მაგალითად,



ფალსიფიკაცია — საქ. სსკ-ის 197-ე მუხლი) ხორციელდება ან-  
გარების მოტივით ასე, რომ, ადამიანის ქცევის სუბიექტური ელემენტების გარეშე ქმედების შემადგენლობის სტრუქტურის სწორი გაგება შეუძლებელია. ცდებოდნენ ისინი, ვინც ქმედების შემადგენლობას ქმედების მხოლოდ ობიექტური ნიშნით წარმოაჩენდნენ და ადამიანის ქცევის სუბიექტურ მხარეს უგულვებელყოფდნენ. ეს იყო ობიექტივიზმი, რომელიც შემადგენლობის ბუნებას არსებითად ამახინჯებდა, რადგან მოტივისა და მიზნის გარეშე ქმედების შემადგენლობის სრულყოფილი და მართებული გაგება შეუძლებელია. სამწუხაროდ, არსებითად სუბიექტივიზმია, ანუ დანაშაულის ობიექტური სისტემის უგულვებელყოფა ტრადიცია, რომელიც ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში იაზრებს არა მარტო მოტივსა და მიზანს, არამედ ბრალსაც (ყოფილი საბჭოთა კავშირი, თანამედროვე რუსეთი). მართლაც, ჯერ ერთი, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში ქმედების მართლწინააღმდეგობა არ შედის, ხოლო, ბრალი ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე არ არსებობს. მეორეც, ქმედების შემადგენლობა, როგორც წესი, არის აღწერილობითი, ანუ ფაქტის მსჯელობა, ხოლო, ბრალი სუბიექტის გაკიცხვის, ანუ უარყოფითი შეფასების საფუძველია. აქედან გამომდინარე, ქმედების შემადგენლობისა და ბრალის პირდაპირი ლოგიკური კავშირი გამორიცხულია. ამიტომაც, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა ქმედების შემადგენლობისა და ბრალის კავშირის ფორმას წარმოადგენს.<sup>1</sup>

ამრიგად, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში შედის ქმედების არა მხოლოდ ობიექტური მხარის ნიშნები, არამედ ქცევის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: მოტივი და მიზანი. ბრალი კი, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში არ შედის.

<sup>1</sup> გ. ნაჭვებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006, გვ. 93-96.

#### § 4. დანაშაული, როგორც ფსიქოლოგიური ქცევის ბანსორმეილემის ხარხი



როგორც უკვე ჩანს, ქმედების შემაღვენლობის სტრუქტურაში იგულისხმება ამ ქმედების როგორც ობიექტური მხარის (მოქმედება, უმოქმედება, შედეგი და ა. შ.), ისე სუბიექტური მხარის ნიშნები (მოტივი და მიზანი). ქმედების, როგორც აქტიური მოქმედებისა და უმოქმედობის, ერთიანობა, თავის თავში გულისხმობს გარკვეულ მიმართებას ქცევის ფსიქოლოგიურ გაგებასთან. მით უმეტეს, რომ მოტივი და მიზანი, რომელიც ქმედების შემაღვენლობის სუბიექტური მხარის ნიშნებს შეადგენენ, ფსიქოლოგიური ცნებებია და ქცევის ფსიქოლოგიური ცნების არსებითი ნიშნებია. ამის გამო, დადგა ქცევის, როგორც ფსიქოლოგიური ცნების და დანაშაულის, როგორც სისხლისსამართლებრივი ცნების, თანაფარდობის პრობლემა. მართლაც, თუ დანაშაული ქცევის ნაირსახეობაა, მაშინ, ხომ არ გამოდინარეობს აქედან, რომ დანაშაული, როგორც ქცევა, ფსიქოლოგიის ცნებაა? ამგვარი დასკვნის საფუძველი უუჭველად არსებობს, რადგან, ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ ფორმებს მხოლოდ ფსიქოლოგია შეისწავლის. ამ მიმართებით, დგას ფსიქოლოგიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების მიმართების საკითხიც. მართლაც, „ქცევა“ არის ფსიქოლოგიის ცნება, ხოლო, დანაშაულის ცნება სისხლის სამართლის ცნებაა, რომელიც ამოსავალია სისხლის სამართლის მეცნიერებისთვის. ყოველი მეცნიერება კი, არის თავისი, საკუთარი, უნიკალური, ცნებების სისტემა. ამ პოზიციიდან გასაგებია, რომ დანაშაული „ქცევა“ ვერ იქნება, ხოლო ქცევა არ შეიძლება „დანაშაულად“ ჩაითვალოს. საკითხის ამ ასპექტით დასმის შემთხვევაში ბუნებრივად დგება სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სიწმინდის პრობლემაც. აკად. ა. ბოჭორიშვილი წერდა: „ყოველი მეცნიერება ვალდებულია აღმოაჩინოს ის კანონები, რომლებიც მოქმედებენ

მის საკვლევ ობიექტში, მონახოს ის კატეგორიები, რომლითაც შეიძლება ამ სინამდვილის გააზრება და მკაცრად დაიცვას ამ კატეგორიების სინამდვილე და ა. შ. სპეციალური მეცნიერების არსებობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მისი სპეციფიკის ჩვენებით. ეს არის მეცნიერების ყოფნა-არყოფნის საკითხი, მეცნიერული მუშაობის სიზუსტის საფუძველი.<sup>13</sup>

ამრიგად, საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ ღირს მასზე საგანგებოდ შეჩერება. პროფ. თ. წერეთელი საესეებით მართებულად წერდა, რომ დანაშაულებრივი ქმედების ისეთი ნიშნები, როგორიცაა: საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა არ შეიძლება თვით ნებელობითი აქტის ელემენტებად ჩაითვლოს. მისი დასკვნით “ეს იქნებოდა შექმნა მოქმედების სპეციალური ცნებისა, რომელიც სამართლებრივი შეფასების შემცველი და მოქმედების ზოგადი ფსიქოლოგიური ცნებისგან განსხვავებული ცნება იქნებოდა. ამავე დროს მოქმედების ფსიქოლოგიური ცნება არ შეიცავს სამართლებრივი შეფასების მომენტს; მოქმედება ფსიქოლოგიური მნიშვნელობით შეიძლება იყოს იურიდიული თვალსაზრისით მართლზომიერიც და მართლსაწინააღმდეგოც, ბრალეულიც და უბრალოც.”<sup>2</sup> მართლაც, არ შეიძლება დანაშაულის ცნების ეს ნიშნები მექანიკურად მივაწეროთ ნებელობით ქცევას, რადგან, ნებელობითი ქცევა ფსიქოლოგიის ცნებაა და მისთვის დანაშაულის ნიშნების მექანიკური მიწერა-მისადაგება დანაშაულის ცნებას ვერ მოგვცემს. ვფიქრობ, ყურადღების ღირსია პროფ. ბ. ზარაზიშვილის (ზორნაბუჯელის) დებულება, რომ დანაშაული ფსიქოლოგიურად ქცევა კი არაა, არამედ ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ზერხია.<sup>3</sup> ამ დებულების მართებული

<sup>1</sup> ა. ბოჭორიშვილი, ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში, თბილისი, 1965, გვ. 10.

<sup>2</sup> თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, თბილისი, 2007, გვ. 148-149.

<sup>3</sup> Б. В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981, стр. 6.

გაგებისთვის საჭიროა ზოგიერთი ამოსავალი დებულების გარკვევა. კერძოდ, ფსიქოლოგიური ქცევის ცნება გულისხმობს ქცევას ფსიქოლოგიურად, განსაკუთრებით ნებისმიერი (ნებისმიერი) ქცევის ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: მოტივი და მიზანი. დ. უზნაძე წერდა: „ფსიქოლოგიაში ნებისმიერი მოქმედების საბუთს ანუ საფუძველს მოტივს უწოდებენ. მაშასადამე, სანამ ადამიანი რაიმეს გადაწყვეტდეს, მან სათანადო მოტივების ძებნა უნდა დაიწყო: გადაწყვეტის აქტს მოტივაციის პროცესი უძღვის წინ.“<sup>1</sup> მოტივაციის შედეგად კი, ყალიბდება მოტივი, როგორც გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური საფუძველი. აქედან გამომდინარე, დ. უზნაძე მოტივს ქცევასთან აიკავებდა. მისი დასკვნით, ქცევა კი „იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს.“<sup>2</sup> ამასვე ამბობდა ავტორი მიზნის მიმართაც. მისი აზრით, „ფსიქოლოგიურად იმდენი განსხვავებული ქცევა არსებობს, რამდენ განსხვავებულ მიზანსაც ემსახურება იგი.“<sup>3</sup>

ამრიგად, ქცევის ფსიქოლოგიური შინაარსი მოტივისა და მიზნის თავისებურებით განისაზღვრება. ამიტომ გასაგები უნდა იყოს ის დებულება, რომ დანაშაული ფსიქოლოგიურად ქცევა, ანუ მოტივი და მიზანი კი არაა, არამედ, მოტივისა და მიზნის, ანუ ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხია. მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრვი ნივთის მისი მისაკუთრების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფარული ხერხი, ძარცვა — აშკარა ხერხი, ყაჩაღობა- სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადური ხერხი და ა. შ. მაშასადამე, დანაშაული ქცევისგან მოწყვეტილი არაა, მაგრამ იგი ქცევაზე არ დაიყვანება, რადგან დანაშაული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რაიმე მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია. სოციალურად საშიში, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული არის არა ქცევა

<sup>1</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1998, გვ. 203.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 210

<sup>3</sup> იქვე, გვ. 209.

ფსიქოლოგიურად, არამედ, ის ხერხი, რომელიც, მაგალითად, ანგარების მოტეხს ახორციელებს. ამ თვალსაზრისით, გასაკვირვებელია, რომ, ვთქვათ, მკვლელობა ანგარებით არის ანგარების, როგორც მოტეხის, დაკმაყოფილების ხერხი.

ამრიგად, დანაშაული ქცევისგან მოწყვეტილი არაა, მაგრამ იგი ქცევას არ წარმოადგენს. დანაშაული რომ ქცევა იყოს, მაშინ ის ფსიქოლოგიის ცნება იქნებოდა, ხოლო ეს, თავის მხრივ, იქნებოდა ფსიქოლოგიზმი, ანუ ქცევაზე დანაშაულის დაფანა, რომლის ლოგიკით სისხლის სამართალი რჩება დანაშაულის ცნების გარეშე. მეორეს მხრივ, დებულება, რომ დანაშაული არის ქცევის ნაირსახეობა, ნიშნავს დანაშაულის ცნების გადატანას ფსიქოლოგიის სფეროში, რაც ნორმატივიზმია ფსიქოლოგიაში, რადგან, „დანაშაული“ შეფასებითი ცნებაა (მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებაა), ხოლო, შეფასება ფსიქოლოგიისთვის უცხია.<sup>1</sup>

მეორეს მხრივ, დანაშაული არაა ქცევა არა მარტო ცნების ლოგიკური შინაარსით, არამედ, სხვა არსებითი მოსაზრებითაც. კერძოდ, ქცევის შინაარსი მოტეხით და მიზნით განისაზღვრება. ყოველ ერთ ქცევას ფსიქოლოგიურად ერთი მოტეხი განსაზღვრავს, მაშინ, როცა ერთი მოტეხით არაერთი დანაშაული ხორციელდება. მაგალითად, ანგარების მოტეხით, როგორც წესი, ხორციელდება ქურდობა, ძარცვა, ფანალობა, ფალსიფიკაცია, მკვლელობა და ა.შ. დანაშაული რომ ქცევა იყოს, მაშინ ყოველ კონკრეტულ დანაშაულს თავისი საკუთარი მოტეხი და მიზანი უნდა ჰქონოდა, მაშინ, როცა ერთი მოტეხით, როგორც უკვე ჩანს, არაერთი დანაშაული ხორციელდება. მაშასადამე, დანაშაული ქცევა არაა და ამიტომ ის არც ნებისმიერია და არც იმპულსური. ცხადია, დანაშაული ნებისმიერი ქცევის პირობებში ხორციელდება, რადგან ქცევის მოტეხაცია და მიზნის დასახვა ნებისმიერი ქცევის ნიშანია. ნათქვამი

<sup>1</sup> Г. И. Начкебия, Психологизм и нормативизм в науке уголовного права, Тбилиси, 2000.

ქება არა მარტო განზრახ, არამედ გაუფრთხილებელ დანაშაულსაც. მაგალითად, როცა ერთი პირი მეორეს შესაშინებლად უმიზნებს ცეცხლსასროლ იარაღს, ხოლო, სასხლექზე უნებურად ხელის შეხების გამო, ხდება მოულოდნელი გასროლა, რასაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, ქცევა, თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით, ნებისმიერია. სხვისთვის ცეცხლსასროლი იარაღის დამიზნება ამ პირის შეშინების ხერხია, რაც იმაზეც მიანიშნებს, რომ ეს საქციული თავისთავად ამორალურია იმ შემთხვევაშიც, თუ მას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა არ მოჰყვება. არაა გამორიცხული, რომ დანაშაულებრივ ქცევაზე გავლენა იქონიოს იმპულსური ქცევის ზოგიერთმა ნიშანმა, მაგალითად, ე. წ. განწყობისეული ილუზია შეიძლება შეცდომის წყარო აღმოჩნდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქმედება იმპულსურია. არაცნობიერიდან ბრალის გამოყვანა შეუძლებელია.

ამრიგად, დანაშაულებრივი ქმედება არაა მოწყვეტილი ქცევის ფსიქოლოგიურ ფორმებს, მაგრამ მათზე არ დაიყვანება. დანაშაული კავშირშია ნებელობით ქცევასთან არა მხოლოდ განზრახ დანაშაულებრივ ქმედებისას, არამედ, გაუფრთხილებელ დანაშაულშიც, რადგან გარკვეული ხერხით მოქმედების გადაწყვეტილება და მისი რეალიზაცია ნებისმიერი (ბებისყოფითი) ქცევის ფორმაშია შესაძლებელი. მართალია, ფსიქოლოგიურად ერთი ქცევა(ერთი მოტივის ფარგლებში), შეიძლება სხვადასხვა ოპერაციული მოქმედებით განხორციელდეს იმგვარად, რომ ამ ოპერაციებს დამოუკიდებელი ქცევის მნიშვნელობა არა აქვთ. მაგალითად, მკვლელობა ანგარების მოტივით ფსიქოლოგიურად ნიშნავს გადაწყვეტილებას — მოუსპოს სხვა ადამიანს სიცოცხლე რაიმე კონკრეტული მატერიალური გამორჩენის გულისთვის (ზოგჯერ ვალისაგან თავის დაღწევისთვის), ხოლო, მკვლელობის ფიზიკური აღსრულებისათვის მკვლელს შეიძლება დასჭირდეს არაერთი ოპერაცია (იარაღის შექმნა, ჩასაფრება, სროლა), რაც დამოუკიდებელ ფსიქოლოგიურ ქცევას არ წარმოადგენს. ი. იმედაძე

ქცვის ფორმების განხილვისას ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნებელობით ქცევაზე საკუთრივი აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინ, როცა სუბიექტი აცნობიერებს მისი ქცვის მოტევს, შგნებულად ირჩევს რა მისი რეალიზაციის ხერხს.<sup>1</sup>

ამრიგად, ნებელობით ქცევაში ყალიბდება მოტევისა და მისი პრაქტიკული განხორციელების ხერხის ერთიანობა. ამიტომ ტერმინს „ქცვის ხერხი“ არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ნებისმიერ ნორმატიულ მეცნიერებაში. გასაგებია, რომ ეთიკურ შეფასებას ექვემდებარება არა მოტევი თავისთავად, მისი რეალიზაციის ხერხისგან მოწყვეტით, არამედ მოტევისა და მისი განხორციელების ხერხის ერთიანობა.

## § 5. ქმედების შემადგენლობის ცნება

ქმედების შემადგენლობის ცნების დადგენა საკმაოდ რთულია. მაგრამ ამ ცნების დადგენამდე საჭიროა, მოკლედ მაინც განვიხილოთ ქმედების შემადგენლობის დანიშნულების საკითხი. მართლაც, რა დანიშნულება აქვს ქმედების შემადგენლობას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კი, ლოგიკურად დგება დანაშაულის ჩადენის მექანიზმის პრობლემა. როგორც არასპეციალისტები, ისე კრიმინალისტები ხშირად ლაპარაკობენ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. სამწუხაროდ, კრიმინალისტები, როგორც წესი, არ იკვლევენ იმ საკითხს, როგორ ხდება ან, ხდება თუ არა საერთოდ დანაშაულის ჩადენა? ერთი შეხედვით, ეს უცნაური კითხვაა. მაგრამ საკმარისია აქ დავსვათ ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი, რომ პრობლემას აზრი მიეცეს. კერძოდ, არსებობს დანაშაულის ზოგადი ცნება, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ, არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღ-

<sup>1</sup> И. В. Имедадзе, Категория поведения в теории установки. Тбилиси, 1991, стр. 210.

მდეგო და ბრალეული ქმედება(საქ. სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი). ცნობილი ფაქტია, რომ ცნება (კატეგორია) არის თეორიული აზრის ლოგიკური ფორმა, რომელიც საგნის არსებას გამოთქვამს. ცნება არის საგნის არსებითი ნიშნების ასახვის შედეგი.

**ცნება და კატეგორია** (თუმცა, კატეგორიის ცნებაც არსებობს), როგორც თეორიული აზრის ფორმა, გარესინამდვილისადმი ადამიანის შექმენებით, თეორიულ დამოკიდებულებას გამოხატავს, რადგან, ცნება საგნის თეორიული შექმენების შედეგია. დანაშაულის ჩადენა კი, საზოგადოებრივ პრაქტიკაში ხდება. საზოგადოებრივი პრაქტიკა მოწესრიგებულია საზოგადოების ნორმატიული სისტემით (ზნეობით, რელიგიით, პოლიტიკით, სამართლით და ა.შ.), რომელშიც გამოხატულია შესატყვისი ღირებულებანი (სიკეთე, სამართლიანობა, მშენიერება და ა.შ.). ამ მიმართებით, იგულისხმება გარესინამდვილისადმი ადამიანის პრაქტიკულ-ღირებულებითი დამოკიდებულება, რომელიც სისხლის სამართლის სფეროშიც გამოიხატება. მართლზომიერი ქმედება დადებითი ღირებულების ქმედებაა, მაშინ როცა მართლწინააღმდეგობა ქმედების უარყოფით შეფასებას გამოხატავს.

ამრიგად, ამკარაა, რომ დანაშაულის ჩადენა საზოგადოებრივ პრაქტიკაში ხდება. დანაშაულის ცნება, როგორც აზრის ლოგიკური ფორმა, გარესინამდვილისადმი ადამიანის შექმენებით, თეორიულ დამოკიდებულებას გამოხატავს, ხოლო გარესინამდვილისადმი ადამიანის შექმენებით, თეორიული, დამოკიდებულება, გარესინამდვილისადმი ადამიანის პრაქტიკულ-ღირებულებით დამოკიდებულებაზე არ დაიყვანება. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ზოგადი ცნების პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია. პრაქტიკულად შეუძლებელია განხორციელდეს ქმედება, რომელიც არც მკვლელობაა, არც ქურდობა, არც წაჩაღობა და ა.შ. მაშასადამე, დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით, „დანაშაულის ჩადენის“



თაობაზე მოარული აზრი სრულიად დაუსაბუთებელია. მაგრამ ეს მოარული აზრი, არა მარტო დანაშაულის ზოგადი ცნების მიმართ არ მართლდება, არამედ, იგი მიუღებელია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიმართაც. მაგალითად, მკვლელობა არის სხვა ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო და განზრახვი მოსპობა. ესაა მკვლელობის ცნება, როგორც აზრის ლოგიკური ფორმა. მაგრამ მკვლელობის, როგორც ასეთის, ჩადენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მკვლელობის ცალკეული შესაძლებლობის გათვალისწინება საჭირო არ იქნებოდა. მართლაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია მკვლელობის ცალკეული შესაძლებლობა, ანუ, შემაღვენლობა (სსკ-ის 108-114-ე მუხლები). მაგალითად, მარტივი მკვლელობა, ანუ, მკვლელობა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, ერთ შემთხვევაში ზორციელდება ეჭვიანობის მოტივით, მეორეში — შურისძიების, მესამეში — სისხლის აღების, მეოთხეში — ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე. კიდევ უფრო მრავალფეროვანია დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის შემაღვენლობა (საქ. სსკ-ის 109-ე მუხლი).

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა კი არ ხდება, არამედ ზორციელდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემაღვენლობა, რომელიც შემდგომში შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაულად.<sup>1</sup>

ამრიგად, ირკვევა, რომ პრაქტიკულად არც დანაშაულის ზოგადი ცნება ზორციელდება და არც სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ნაგულისხმები კონკრეტული დანაშაულის ცნება. პრაქტიკულად ზორციელდება ქმედების კონკრეტული შემაღვენლობა,

<sup>1</sup> გ. ნატყეაია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, გვ. 73-85.

რომელიც დანაშაულის ჩადენის ხერხია. როგორც წესი, ერთი ქმედებით ერთი შემაღგენლობა ხორციელდება, მაგრამ იშვიათად არაა ორი ან მეტი შემაღგენლობის განხორციელება (მაგალითად, მკვლელობა წინასწარ შეცნობით ორსული ქალისა (საქ. სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) ანგარებით ან შეკვეთით (ამავე მუხლის შესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). ამ შემთხვევაში დანაშაული, როგორც მკვლელობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებში, ერთი დანაშაულია, რომელიც პრაქტიკულად სხვადასხვა შემაღგენლობის განხორციელების გზით შეიძლება იქნეს ჩადენილი.

ყოველივე აქედან შეიძლება ვცადოთ ჩამოაყალიბოთ ქმედების შემაღგენლობის ცნება: „ქმედების (დანაშაულის) შემაღგენლობა არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხის, ინდივიდუალურად გამოკვეთილი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.“<sup>1</sup>

ამრიგად, ირკვევა, რომ დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა კი არ ხდება, არამედ ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების კონკრეტული შემაღგენლობა, რომელიც ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის ხერხია. მაგალითად, ფალსიფიკაცია, რომელიც ფსიქოლოგიურად ანგარების მოტივში გამოიხატება, პრაქტიკულად არის მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ მოტყუების გზით ნივთის თვისებრიობის შეცვლა (საქ. სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილი).

შემაჯამებელი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, **ჯერ** ერთი, ქმედების შემაღგენლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით **მეორეც**, ქმედების შემაღგენლობა არის ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის ხერხი; **მესამეც**, ქმედების შემაღ-

<sup>1</sup> გ. ნაჭყვია, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი, 2002, გვ. 41.

გენლობა აღწერილია ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარეების შკაცრად განსაზღვრული ინდივიდუალური ნიშნებით იმგვარად, რომ ერთი მეორეს არ იმეორებს. მეოთხეც, ქმედების საკანონმდებლო შემაღგენლობის ნიშნებისა და ჩადენილი ქმედების ნიშნების იგვეობის დადგენა ამ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

## § 6. ქმედების შემაღგენლობის სახეები

სისხლის სამართლის კანონში ქმედების შემაღგენლობის აღწერილობის, ამ შემაღგენლობის განხორციელების ხერხებისა და სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტზე ზემოქმედების შედეგების მიხედვით განასხვავებენ ქმედების შემაღგენლობის სამ სახეს: მარტეს, რთულსა და პრივილეგირებულს. მარტეია ქმედების შემაღგენლობა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში გადმოცემულია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გადმოცემის გარეშე. მაგალითად, საქ. სსკ-ის 108-ე მუხლში გათვალისწინებულია მკვლელობის მარტეი შემაღგენლობა, რადგან, მასში არაა მითითებული მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის არც შემამსუბუქებელი და არც დამამძიმებელი გარემოებანი. ამგვარი მარტეი შემაღგენლობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებშიც (მაგალითად, ცრუ მწარმოება, საქ. სსკ-ის 193-ე მუხლი); ან ამა თუ იმ მუხლის პირველ ნაწილში (მაგალითად, საქ. სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია ქურდობის შემაღგენლობის ცნება). როგორც ჩანს, ქმედების მარტეი შემაღგენლობა ტიპური დელიქტია, რომლის ძირითადი ნიშნებიდან შეიძლება დაეადგინოთ მათგან გადახრის ცალკეული შემთხვევები.

რთული, ანუ კვალიფიციურია ქმედების შემაღგენლობა, რო-

მელშიც გადმოცემულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი. მისი ერთ-ერთი ტიპური მაგალითია მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (საქ. სსკ-ის 109-ე მუხლი); აგრეთვე სხვა მუხლების (ვთქვათ, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის და ა.შ.) ნაწილები, რომლებშიც გადმოცემულია ამ დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი. მაგალითად, ქურდობა, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქ. სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი); ან: წინასწარშეცნობით ჯგუფის მიერ (ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და სხვა).

დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებანი გადმოცემულია არა მარტო განზრახ დელიქტებში, არამედ, გაუფრთხილებელ დელიქტებშიც. უფრო მეტიც, განზრახ ქმედებას შეიძლება გაუფრთხილებლობით მოჰყვეს უფრო მძიმე შედეგი. მაგალითად, საქ. სსკ-ის 11-ე მუხლის შესაბამისად (დანაშაული ბრალის ორი ფორმით) სისხლის სამართლის კრძო ნაწილში გათვალისწინებულია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება დაზარალებულის სასიკვდილო შედეგით (საქ. სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-6, მე-8 ნაწილი).

სისხლის სამართლის კრძო ნაწილში ქმედების შემადგენლობა ზოგჯერ გადმოცემულია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებით, რომელთაც პრივილეგირებულ შემადგენლობას უწოდებენ. მაგალითად, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (საქ. სსკ-ის 110-ე მუხლი); მკვლელობა აფექტის ვითარებაში (საქ. სსკ-ის 111-ე მუხლი); ან: აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (საქ. სსკ-ის 113-ე მუხლი) და სხვა.

გარდა ამისა, შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებდეს ე. წ. ალტერნატიულ შემადგენლობას, როცა სუბიექტი პრაქტიკულად დგება არჩევანის წინაშე და მრავალი შესაძლებლობიდან ერთდროულად ახორციელებს ერთ ან რამდენიმე შემადგენლობას. მაგალითად, საქ. სსკ 142-ე მუხლში

ჩამოთვლილია ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევების არაერთი შესაძლებლობა, რომელთაგან პირმა შეიძლება განახორციელოს ერთ-ერთი ან რამდენიმე (ვთქვათ, რასის ან რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით). გარდა ამისა, შესაძლებელია ობიექტური შემადგენლობის ალტერნატიული ვარიანტიც, როცა დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის საკმარისია რამდენიმე შესაძლო დანაშაულებრივი შედეგიდან თუნდაც ერთ-ერთი მათგანის დადგომა. მაგალითად, ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია, ანდა ასეთ პროდუქციაზე ეტიკეტის უკანონო გამოყენება (სსკ-ის 198-ე მუხლი).

განსხვავებენ ე.წ. კუმულაციურ შემადგენლობას, როცა დანაშაულებრივი ქმდება ორი მოქმედებით ან ბრალის ორი ფორმით ან ხელყოფის ორი ობიექტით ხასიათდება (მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელსაც გაუფრთხილებლობით მოჰყვა მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა – სსკ-ის 117-ე მუხლის მე-8 ნაწილი).

არსებობს საფრთხის შემქნელი დელიქტებიც. ეს ჩანს საქ. სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის იმ დებულებიდან, რომ მცირე მნიშვნელოვანი ქმდება, რომელიც ზიანს არ აყენებს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს ან არ უქმნის მას ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს, დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს. გასაკებია, რომ „საფრთხის“ ცნება, ერთის მხრივ, განსხვავდება ქმდების იმ ობიექტური შემადგენლობისგან, რომელშიც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი უკვე დაზიანებულია, ხოლო, მეორეს მხრივ, გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის დაზიანების რეალურ შესაძლებლობას და ამ გზით მისთვის საფრთხის შექმნას. მაგალითად, საქ. სსკ-ის 127-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებას იმ პირისა, ვისაც შესაძლებლობა არ ჰქონდა, მიეღო ზომები თავის დასაცავად. ეს,

თავის მხრივ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, მაშინ, როცა არსებობს კონკრეტული საფრთხის დელიქტიც (მაგალითად, დაუხმარებლობა- სსკ-ის 129-ე მუხლი, რომელშიც დახმარების აღმოჩენა აუცილებელი და გადაუდებელი ხდება). გამორიცხული არაა შერეული საფრთხის დელიქტიც, როცა რომელიმე დელიქტი, ტიპიურად აბსტრაქტული საფრთხისაა, მაგრამ გარკვეულ გარემოებში კონკრეტული საფრთხის დელიქტად მოგვევლინოს. მაგალითად, მედიცინის მუშაკის მიერ არასტერილური სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენება შიდსის შვერის აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის, მაგრამ შიდსით დაავადებული პირის მიმართ უკვე გამოყენებული სამედიცინო აპარატურის, მისი სათანადო სტერლიზაციის გარეშე სხვა პირების მიმართ გამოყენება, შიდსის შვერის რეალურ, კონკრეტულ, საფრთხეს ქმნის.

როგორც ჩანს, ქმედების შემაღვენლობის ასეთ კლასიფიკაციას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის, ისე, სასჯელის დანიშვნის საქმეში, აგრეთვე პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გათავისუფლების საკითხების გადასაწყვეტად.

## § 7. სისხლისამართლებრივი ურთიერთობა და ქმედების შემაღვენლობის ბუნება

ამ სახელმძღვანელოს პირველ თავში უკვე იყო მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართალი დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოშობილ ურთიერთობას აწესრიგებს. სახელმწიფო, როგორც კანონმდებელი, სისხლის სამართლის კანონს საზოგადოების დელიქტუნარიან წევრებზე (მათ შორის იურიდიული პირის ფორმაში მყოფებზე) მიმართავს, რათა დანაშაული თავიდან იქნეს აცილებული. იგულისხმება ღირებულებითი ურთიერთობა, როდესაც სამართლის ნორმა

მართლწესრიგში მართლზომიერ ქმედებას გადააქვს. პირიქით, ქმედება, რომელიც არ ასრულებს მართლზომიერი ქმედების ნაშთს ვალეობას და ხელყოფს მართლწესრიგს, მართლსაწინააღმდეგოა. აშკარაა, რომ, ვიდრე სუბიექტი მართლზომიერად მოქმედებს, იგი ურთიერთობაშია სახელმწიფოსთან. ქმედების შემადგენლობის განხორციელების მომენტიდან კი პირი, ამ ქმედების გამო და ფარგლებში, სახელმწიფოსთან ურთიერთობაში უკვე აღარ არის. კერძოდ, ამ ქმედების გამო პირი არაა ვალდებული გამოცხადდეს და არც უფლებამოსილია მიიმალოს. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის განმახორციელებელი პირი, ამ ქმედების გამო და ფარგლებში, გადადის სამართლებრივად თავისუფალ სფეროში, სადაც ამ პირის სამართლებრივი სტატუსი არ არსებობს. მას ჯერ კიდევ არ შეიძლება ეწოდოს „დამნაშავე“, რადგან, ქმედების შემადგენლობა დანაშაულის პირველი ნიშანია და არა მთელი დანაშაული. მით უმეტეს, რომ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი ჯერ კიდევ დადგენილი არაა. მაგრამ ამ პირს არც „უდანაშაულო“ ეწოდება, რადგან, გამორიცხული არაა, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელების გზით მას უკვე ჰქონდეს ჩადენილი დანაშაული. აშკარაა, რომ ქმედების შემადგენლობის განმახორციელებელი პირის სამართლებრივ მდგომარებას სისხლის სამართალი არ ადგენს. ამიტომ, სისხლის სამართალში არ არსებობს ტერმინი, თუ ცნება, რომელიც ხსენებული პირის სამართლებრივ მდგომარეობას გამოხატავს. სხვა საკითხია სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის ფორმა, რომელშიც სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიების შესაბამისად, ყალიბდება ქმედების სუბიექტის პროცესუალურ მდგომარეობის გამომხატველი ცნებები (ბრალდებული, მსჯავრდებული). მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის განხორციელების მომენტიდან ფუნქციონალურად იქმნება არა სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობა, რომლის

ფორმაში ხდება ჩადენილი ქმედების გამოძიება და სასამართლო/ განხილვა.

ამრიგად, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოშობილი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა თავისი ბუნებით იდეოლოგიური (ღირებულებითი) ურთიერთობის ნაირსახეობაა, ხოლო ქმედების შემადგენლობის განხორციელებას სუბიექტი გადაჰყავს ამ ღირებულებითი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ, ესე იგი ფაქტობრივ, არაიურიდიულ, ვითარებაში, რომელიც სამართლებრივად კვალიფიცირებული არაა. აქედან ის დასკვნა გამოძინარეობს, რომ ქმედების შემადგენლობა დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას გამოხატავს. ეს დასკვნა პირდაპირ შეესაბამება დანაშაულის სისტემაში ქმედების შემადგენლობის ადგილის პრობლემას. როგორც თავის დროზე სწორად მიუთითა პროფ. **ბ. ტყეშელიაძემ**, ქმედების შემადგენლობა არის აღწერილობითი მსჯელობა, მაშინ როდესაც მართლწინააღმდეგობა ღირებულებით მსჯელობას წარმოადგენს.<sup>1</sup> გასაკებია, რომ ქმედების შემადგენლობა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის, როგორც ღირებულებითი ურთიერთობის, ფარგლებს გარეთ არსებული ფაქტობრივი ვითარებით განისაზღვრება. ამიტომაც, რომ ქმედების შემადგენლობა არის ფაქტის, ესე იგი, აღწერილობითი და არა ღირებულებითი (შეფასებითი) მსჯელობა. კერძოდ, ქმედების შემადგენლობის განხორციელება მართლზომიერი აქტი უკვე აღარაა, რადგან ეს ქმედება, როგორც უკვე ჩანს, სცილდება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის, როგორც ღირებულებითი ურთიერთობის, ფარგლებს. მაგრამ ქმედების შემადგენლობა არც მართლსაწინააღმდეგოა, რამდენდაც ქმედების შემადგენლობის განხორციელებას ეს ქმედება მართლწინააღმდეგობის სფეროში პირდაპირი ლოგიკური გზით

<sup>1</sup> Г.Т. Ткешелиадзе, Судебная практика и уголовный закон, Тбилиси, 1975, стр. 54.



არ გადააქვს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. თუ განხორციელებულია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების რომელიმე შემადგენლობა და ამჟღად დროს არ არსებობს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაშინ, გამოძიების სტადიზე ფარაუდება, რომ ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. შეიძლება ითქვას, რომ ქმედების შემადგენლობა, ერთის მხრივ, კავშირშია ქმედების მართლზომიერებასთან, რადგან ქმედების შემადგენლობის განხორციელებას პირი მართლზომიერი ქმედების ფარგლებს გარეთ გადაჰყავს. მეორე მხრივ კი, ქმედების შემადგენლობის განხორციელება ამ ქმედების მართლწინააღმდეგობას ავტომატურად არ ამტკიცებს. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობა არის ქმედების მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის კავშირის ფორმა. ეს ნიშნავს, რომ რომ ქმედების შემადგენლობა არის კატეგორია, რომელიც სამართლის თეორიის უზოგადეს კატეგორიას წარმოადგენს, რადგან „ქმედების შემადგენლობა“ სამართლის ნებისმიერი დარგისთვის აუცილებელ ცნებას წარმოადგენს. სისხლის სამართალში ის სპეციფიკურად ვლინდება. ბოლოს, თუ ქმედების შემადგენლობა არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო, მაშინ გამოდის, რომ რომ ქმედების შემადგენლობა არც დადებითად ფასდება და არც უარყოფითად, ანუ ის შეფასებითი კატეგორია არაა.

## § 8. ქმედების შემადგენლობის შატოგორივი და შეფასებითი ნიშნები

ქმედების შემადგენლობის ნიშნებს შორის აღსანიშნავია ე.წ. ფაქტობრივი და შეფასებითი ნიშნები. ფაქტობრივია ქმედების შემადგენლობის ის ნიშანი, რომელიც უშუალო ფაქტად აღიქმება

ადამიანის გრძნობის ორგანოების მიერ ან პირდაპირ გამოხატვის რაიმე სახის კუშირუროთიქრობებს. მაგალითად, მკვლევართან რომელიმე შემადგენლობის განხორციელებისას სხვა ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობის ფაქტი ამ სახის ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი ნიშანია. ასეთვე ფაქტობრივობით ხასიათდება აგრეთვე ჯანმრთელობის დაზიანების სხვადასხვა ხარისხი, ქონების დაზიანება-განადგურება, აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით და სხვა. ეს ფაქტობრივი ნიშნები ხშირ შემთხვევაში ახასიათებენ ქმედებას, ან შედეგს ან კიდევ ერთდროულად ორივეს. არაა გამორიცხული, როცა ეს ფაქტობრიობა პირდაპირ შედეგში იყოს გამოხატული (მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ან ნაკლებად მძიმე დაზიანება სასიკვდილო შედეგით (საქ. სსკ 117-ე მუხლი).

ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომელიც გრძნობის ორგანოებით უშუალოდ არ აღიქმება, დაინახება „გონების თვლით“ მაგრამ ფაქტის დადგენის წესით დგინდება და მას ფაქტობრიობის მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს. ასეთია, მაგალითად, ნიშანი „სხვისი“, რადგან, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის შემადგენლობისთვის გადამწვევტია ის, რომ მოძრავი ნივთი, რომელიც სხვადასხვა ხერხითაა დაუფლებული, არის „სხვისი“ საკუთრება და არა იმისა, ვინც მას ფაქტობრივად დაუფლა.

ქმედების შემადგენლობა შეფასებითი არ არის, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მის ნიშნებში შეფასებით ნიშნებსაც, რომელთა მიმართ კანონმდებლის დამოკიდებულებაა გამოხატული. მაგალითად, გარყვნილი ქმედება, განსაკუთრებული სისასტიკე, ხულიგნური ქვენაგრძნობა, ანგარება, არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი და სხვა. ამიტომაც საჭირო ამ ნიშნებისადმი შეფასებითი მიდგომა შეფასების საფუძვლის და ობიექტის თავისებურებათა მიხედვით ცხადია, აქ ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს სამართლის ნორმა, როგორც ჯერარსი, რომელიც ქმედების სამართლებრივი შეფასების საფუძველია, და თვით ქმედების შემადგენლობის

შეფასებითი ნიშნები, რომლებიც მართლწინააღმდეგობას ვერ  
დევ არ ქმნიან.<sup>1</sup>

ქმედების შემაღგენლობის შეფასებითი ნიშნები მოცემულია  
სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილშიც. მაგალითად,  
ვენტუალური განზრახვის ცნებაში (საქ. სსკ-ის მე-9 მუხლის  
მესამე ნაწილი) კანონმდებელი სუბიექტს ახასიათებს როგორც  
„გულგრილს,” რომელიც არსებითად განსხვავდება „სამსახურებ-  
რივი გულგრილობისგან,” რომელიც ამ უკანასკნელ შემთხვევაში  
„დაუდევრობის“ სინონიმია (საქ. სსკ-ის 342-ე მუხლი).

შეფასებითი ნიშნები ზოგჯერ შეიძლება ფაქტობრივი ნიშ-  
ნებისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმითაც იქნეს დადგენილი.  
საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულში ტერმინი „დიდ ოდენობა“  
შეფასებითია, მაგრამ, მაგალითად, ქურდობისას დიდ ოდენობად  
ითვლება, თუ ამ გზით დაუფლებული ქონება ფულადი გამო-  
ხატულებით 10 000-ზე მეტ ლარს აღემატება (საქ. სსკ-ის 177-  
ე მუხლის პირველი შინიშენა). ამგვარი გზით კანონმდებელი  
ცდილობს შეფასებით ნიშნებთან დაკავშირებული შესაძლო სუბი-  
ექტივში დაძლიოს, მაგრამ ქმედების შემაღგენლობის შეფასე-  
ბითი ნიშნების უგულებელყოფა, ან ფაქტობრივ ნიშნებზე მათი  
დაყვანა დაუშვებელია.

ამრიგად, ქმედების შემაღგენლობა შეფასებითი არაა (ესე იგი  
არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო), მაგრამ ეს  
არ გამოირიცხავს მასში შეფასებითი ნიშნების არსებობას. უფრო  
მეტეც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხ-  
ლის მეორე ნაწილის თანახმად, მცირე მნიშვნელოვანი ქმედება არ  
შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს. მეორეს მხრივ, ერთმანეთში  
არ უნდა აკვერიოს ქმედების შემაღგენლობის შეფასებითი ნიშნები  
და თვით დანაშაულის შეფასებითი ნიშნები თუ ელემენტები (ქმე-  
დების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი).

1 გ. ზუროშვილი, დანაშაულის შემაღგენლობის შეფასებითი ნიშნები,  
საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2001.



ქმედების შემადგენლობა დანაშაულის პირველი ელემენტია, მაგრამ მას დანაშაულის სისტემაში მეტად დიდი მნიშვნელობა და ფუნქცია აქვს. მოკლედ აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი: **ჯერ ერთი**, უკვე შევეცადე იმის დამტკიცებას, რომ დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა კი არ ხდება, არამედ ხორციელდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, რომელიც ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის ხერხია. მასადაამე, ქმედების შემადგენლობას უაღრესად დიდი დანიშნულება აქვს, რადგან, უამისოდ დანაშაულის ჩადენაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია; **მეორეც**, ქმედების შემადგენლობა — ეს, უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის კოდექსითაა გათვალისწინებული, ხოლო, დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ის ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით. ამით ქმედების შემადგენლობას აქვს კანონიერების რეჟიმისთვის დამახასიათებელი საგარანტიო ფუნქცია. ქმედების შემადგენლობის დადგენა ზღვარს უდებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სფეროში ყოველგვარ თვითნებობას და სუბიექტუიზმს, რადგან ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების ნიშნები იგვეგობრები უნდა იყოს იმ ნიშნებისა, რომელიც ახასიათებს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას. **მესამეც**, ქმედების შემადგენლობა, როგორც ქმედების მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის კავშირის ფორმა, იმაზე მიანიშნებს, რომ მას დიდი მტკიცებითი მნიშვნელობა აქვს. შემთხვევითი არც ის ფაქტია, რომ ქმედების შემადგენლობა თავდაპირველად წარმოიქმნა, როგორც პროცესუალური ცნება და მხოლოდ მოგვიანებით გადავიდა იგი მატერიალური სისხლი სამართლის სფეროში.<sup>1</sup> **მეოთხეც**, ქმედების შემადგენლობა

<sup>1</sup> Н. Н. Полянский, Вопросы теории советского уголовного процесса, МГУ, 1956, стр. 235.

ასრულებს გამშიჯნავ ფუნქციასაც. კერძოდ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობა ინდივიდუალური და განუმეორებელია. ყოველი კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება, სისხლის სამართლის კოდექსში მისი აღწერილობის მიხედვით ხორციელდება, ქმედების კონკრეტული შემადგენლობის განხორციელების კონკრეტული პირობები კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პირობაა. ამის შესახებ უკვე ვისაუბრე სისხლის სამართლის პრინციპებთან დაკავშირებით და აქ არ გავიმეორებ.

## § 9. ქმედების სუბიექტი და ობიექტი

დანაშაულებრივი ქმედების სტრუქტურა, როგორც უკვე ჩანს, ვლინდება, უპირველეს ყოვლისა, ამ ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარის ერთიანობად. მაგრამ დანაშაულებრივი ქმედება ბუნებრივად გულისხმობს სუბიექტს, ესე იგი იმას, ვინც ეს ქმედება ჩაიდინა, აგრეთვე ობიექტს, რომელზედაც სუბიექტმა მოახდინა ზემოქმედება. მაგალითად, ქურდობის შემადგენლობა ისე ვერ განხორციელდება, თუ სუბიექტი სხვის მოძრავ ნივთს მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად არ დაეუფლება. სხვისი მოძრავი ნივთი ამ შემთხვევაში არის ქმედების საგანი, ხოლო ქურდობის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების, ობიექტი არის საკუთრება. აქედან გამომდინარე, საესებით ბუნებრივი ჩანს ყოფილი საბჭოთა კავშირისა და თანამედროვე რუსეთის სისხლისსამართლებრივი ტრადიცია, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურაში იგულისხმება არა მარტო ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარე, არამედ ქმედების სუბიექტიც და ობიექტიც („დანაშაულის სუბიექტი“ და „დანაშაულის ობიექტი“). მაგრამ ამ მიმართებით შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე შენიშვნა. ჯერ ერთი, ტერმინი „ქმედების შემადგენლობა“ სიტყვა-

სიტყვით ნიშნავს ქმედების, ესე იგი მოქმედების ან უმოქმედების სტრუქტურას. ამ პოზიციიდან იგულისხმება ქმედების, როგორც ადამიანის ნების გარეგანი აქტის, ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობა. ქმედების სუბიექტი და ობიექტი ქმედების სტრუქტურაში არ შედის, რადგან, სუბიექტი არაა ქმედება, ისვე, როგორც ქმედება არც ობიექტია. უფრო სწორად რომ ვთქვათ, როგორ შეიძლება სუბიექტი და ობიექტი ქმედების ელემენტებად ჩაითვალოს? მეორეც, როგორც უკვე იყო ნათქვამი, დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი და სისხლის სამართლის სუბიექტი. სხვა საკითხია, თუ ქმედების შემადგენლობის დადგენა მიდის იმის დადგენამდე, თუ სისხლისსამართლებრივი დაცვის რომელი ობიექტი იქნა ხელყოფილი და ვის მიერ, ხოლო ამას სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, „დანაშაულის ობიექტი“ და „დანაშაულის სუბიექტი“ არაიურიდიული, ყალბი ცნებებია, რომლებიც იურიდიული აზროვნებისთვის უცხოა. ყალბია მტკიცება, რომ დანაშაულის შემადგენლობის ანალიზი „დანაშაულის ობიექტიდან“ უნდა დაიწყოს, რადგან „დანაშაული“ მტკიცდება სულ ბოლოს, სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. „დანაშაულის ობიექტის“ დადგენას წინ უსწრებს ქმედების სუბიექტური მხარის დადგენა. მაგალითად, ნივთის დაზიანება-განადგურება აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით და სხვა – ერთ შემთხვევაში არის დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (საქ. სსკ-ის 187-ე მუხლი), როცა სუბიექტი შურისძიების მიზნით მოქმედებს; მეორე შემთხვევაში კი, სახეზეა საბოტაჟი (საქ. სსკ-ის 318-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი), როცა სუბიექტი სახელმწიფოს დასუსტების მიზნით მოქმედებს. პირველ შემთხვევაში ხელყოფის ობიექტია საკუთრება, მეორეში – სახელმწიფო ხელისუფლება, მისი ეკონომიკური საფუძვლები. მაშასადამე, ხელყოფის ობიექტის დადგენა სუბიექტის ქცევის მიზანზეც არის დამოკიდებული,

ხოლო მიზანი და მოტივი ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ მხარის ელემენტებია. ვიმეორებთ სუბიექტის ქცევის მიზანსა და მოტივს დამოკიდებული ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაცია: ერთ შემთხვევაში როგორც დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, მეორეში — სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მეორეს მხრივ, ქმედების სუბიექტის დადგენა არა მხოლოდ პროცესუალური თვალსაზრისითაა აუცილებელი (სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად), არამედ, უპირველეს ყოვლისა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ინტერესებშიც. მაგალითად, არსებობს ე. წ. სპეციალური სუბიექტი, რომლის გარეშე სამოხელეო თუ სამხედრო დანაშაულის ამსრულებლობა შეუძლებელია, მაშინ როდესაც ამ დანაშაულებში თანამონაწილე შეიძლება იყოს სხვა პირიც. არსებობს სხვა სუბიექტიც (მაგალითად, მძღოლი, დისპეტჩერი, გემის კაპიტანი, მედიცინის მუშაკი და ა.შ.). არსებობს ისეთი სუბიექტიც, რომელსაც დანაშაულებრივი ქმედება პერსონალურად მიწერება (მაგალითად, დედის მიერ ახალშობილის განზრახი მკვლელობა — საქ. სსკ-ის 112-ე მუხლი), თუმცა არაა გამორიცხული, რომ დედამ ეს მკვლელობა ჩაიდინოს არა მხოლოდ პერსონალურად, არამედ დანაშაულში თანამონაწილეობითაც, როცა ის იქნება ამ დანაშაულის ამსრულებელი ან წამკეზბელი, ხოლო ვთქვათ, ექიმი, რომელიც დედამ ახალშობილის მკვლელობის მიზნით გამოიყენა, ხსენებული დანაშაულის ამსრულებლად ჩაითვლება.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, რომელსაც ქმნის კანონმდებელი, დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი ვერ იქნება, ისევე, როგორც სისხლის სამართლის სუბიექტი, რომელიც დანიშნულია მართლზომიერი ქმედებისთვის, დანაშაულის შემადგენლობის ელემენტად არ შეიძლება ჩაითვალოს. იმის მიუხედავად, რომ კანონმდებელი არც თუ იშვიათად უთითებს იმ სუბიექტებზე, რომლთაც რიგი დანაშაულის ჩადენა მისი სამსახურებრივი თუ სხვა პერსონალური ნიშნის გამო შე-

უძლიათ სუბიექტი, ვიშეორებთ, ქმედების ელემენტი ვერ იქნება მაშასადამე, ქმედების შემადგენლობა ობიექტური და სუბიექტური მხარეებისაგან შედგება. ვიშეორებ, ქმედების შემადგენლობის დადგენა ლოგიკურად მიდის ამ ქმედების ობიექტისა და სუბიექტის დადგენამდე, რადგან ქმედების შემადგენლობა არის ფაქტის მსჯელობა, მაშინ, როცა დანაშულის, როგორც შეფასებითი მსჯელობის, არც ობიექტი არსებობს და არც სუბიექტი. როგორც უკვე ითქვა, იურიდიული აზროვნების წესის მიხედვით, არსებობს სისხლის სამართლის სუბიექტი, როგორც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი და სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, რომელიც, ერთის მხრე, დაცულია სისხლის სამართლის კანონით, ხოლო, მეორეს მხრე — სისხლის სამართლის სუბიექტის მართლზომიერი ქმედებით



## § 1. ქველავის შიშვალბანლოის ობიექტური მხარის ბნაბა

ქველავის შიშვალბანლოის ობიექტური მხარე ადამიანის ნების გარეგანი აქტია, რომელიც სისბლისსამართლებრივი დაცვის ობიექტზე ზემოქმედების პროცესისა და შედეგის იურიდიულ ნიშნებში გამოიხატება.

როგორც ჩანს, ქველავის შიშვალბანლოის ობიექტური მხარე, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანის ნების გარეგანი აქტი, რომელიც აქტიური მოქმედების, უმოქმედობის, შედეგის, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის და სხვა ობიექტური ნიშნებით ვლინდება. მეორეს მხრივ, ქმედება მისი ობიექტური მხარის ნიშნებით სხვა არაფერია, თუ არა სისბლისსამართლებრივი დაცვის ობიექტზე ზემოქმედების პროცესისა და შედეგის ერთიანობა, რომელიც მთელი რიგი ობიექტური ნიშნებით უნდა იქნეს დადგენილი. სახელმწიფო დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს განსაზღვრულ ობიექტს (სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას, სახელმწიფო ხელისუფლებას და ა. შ.) დანაშაულის შიშვალბანლოება შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიური მოქმედებით (მაგალითად, ყაჩაღური თავდასხმით საქ. სსკ-ის 179-ე მუხლი), ისე უმოქმედობით, ანუ სავალდებულო მოქმედების ისეთი შეუსრულებლობით, როცა მას შეიძლება მოჰყვეს მავნე შედეგები (მაგალითად, ავადყოფის განსაცდელში მიტოვება – საქ. სსკ-ის 130-ე მუხლი).

„ქმედება“ შეიძლება გაგებულ იქნეს ვიწროდ, როგორც აქტიური მოქმედებისა და უმოქმედობის ერთიანობა, და უფრო ფართოდ, როდესაც ამ უკანასკნელში იგულისხმება ქმედების

შემადგენლობის მთელი რიგი ნიშნები. მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ „ქმედება უნდა დაეკვალიფიციროთ დანაშაულად“ ვკულისხმობთ ქმედებას ფართო გაგებით, რომელიც ფაქტობრივად „დანაშაულს“ უტოლდება.

ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნების ზუსტად დადგენას ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართებით, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ქმედების ე. წ. **მატერიალური შემადგენლობა**, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების მატერიალურ შედეგებში ვლინდება. მაგალითად, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის დაზიანებანი, ქონების დაზიანება-განადგურება და ა.შ. მატერიალური შემადგენლობაა, რადგან, ამ მიმართებით დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის საჭიროა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შედეგების დადგომა. მაგრამ არსებობს ე. წ. **ფორმალური** (თუ შეკვეცილი) შემადგენლობა, როდესაც დანაშაული დამთავრებულად ითვლება თვით ქმედების ჩადენის მომენტში და შედეგის დადგომა ფართო აზრითაა ნაგულისხმევი. მაგალითად, ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში თავდასხმის ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარის მომენტიდან, იმის მიუხედავად, მოახერხა თუ არა ყაჩაღმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (საქ. სსკ-ის 179-ე მუხლი).

ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნები საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ **სისხლის სამართალი არის ქმედების სამართალი**. ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი სახელმწიფოს წინაშე როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტით პასუხს აგებს არა მისი მრწამსისთვის, აზრთა წყობისა თუ ხასიათისთვის, არამედ ქმედებისთვის, რომელიც სუბიექტის მრწამსის, აზრთა წყობის თუ ხასიათის გარეგანი, ობიექტური გამოვლენაა. ცხადია, პოზიტიური პასუხისმგებლობა მართლზომიერ ქმედებას მოითხოვს,

ხოლო ნეგატიური პასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად ჩადენაზეა აკებული. ამიტომაც კერძო ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე „ობიექტური შერაცხვის“ კრიტერიუმია. ცხადია, არსებობს სუბიექტური, ანუ ბრალეული შერაცხვის პრინციპი, რომლის გარეშე თანამედროვე სისხლის სამართალი წარმოუდგენელია, მაგრამ ბრალიც თავის გამოხატულებას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში პოულობს.

ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნებია: ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), შედეგი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, ქმედების ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, საშუალება, ვითარება.

## § 1. აქტიური დანაშაულებრივი მოქმედება

დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშანთა შორის განმსაზღვრელია ქმედება, რომლის გარეშე დანაშაული არ არსებობს. ქმედების ცნება მოიცავს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობას, როდესაც სუბიექტს აქტიურად და მართლზომიერად უნდა ემოქმედა. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის უდიდესი ნაწილი აქტიური მოქმედებით ხორციელდება (ყაჩაღური თავდასხმა, მკვლელობის მიზნით დაჭრა, მოწამლევა, ცეცხლის წაქიდება, აფეთქება და ა.შ.). უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სუბიექტის მიერ განხორციელებული ფიზიკური აქტი(ცემა, ცეცხლსასროლი იარაღის ჩახმანზე ხელის გამოკერა, მოწამლევა და ა.შ.). ხშირია სიტყვიერი მუქარა, ფსიქიკური წაქეზება, ფსიქიკური დახმარება და ა.შ. იშვიათი არ არის, მაგალითად, ქესტი თავდასხმისკენ წაქეზების მიზნით, თვალის ჩაკერა მასში ნაგულისხმები შინაარსით, ვთქვათ, ჯგუფური მოქმედების ორგანიზაციისათ-

ვის, აბუჩად ამგდები საქციელი თავისი თანმხლები ცინიზმით, რაც ფიზიოლოგიური აფექტის მიზეზი შეიძლება გახდეს და ა.შ.

ამკარაა, რომ სუბიექტი აქტიურად ხელფოფს სისხლის-სამართლებრივი დაცვის ობიექტს. ამიტომ, სუბიექტი თავისი აქტიური მოქმედების მეტი ეფექტურობისთვის ხშირად იყენებს ამ ობიექტისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს. მაგალითად, ადამიანი რომ მოკვდავია, აზრს აძლევს ადამიანის მოკვდინების მიზნით საწამლავის გამოყენებას, თუმცა ცნობილია, მაგალითად, რომ ცეზარი საწამლავით ვერ მოკლეს, რაკი იგი საწამლავს ბავშვობიდან შეაგუეს და იგი შეთქმულებმა დანით აჩქეს. საწამლავს ბავშვობიდან იყო შვეუებული მითრიდატეც. უფრო ხშირია, მაგალითად, მორგებული გასაღები ქურდობის ჩასაღწენად, ნაჯახი მტრად მოკიდებული მეზობლის ვაზის ასაჩქად, ბენზინი ხანძრის გასაჩენად და ა.შ. ცხადია, ქმედების ჩადენის ვითარების მიხედვით უნდა მოხდეს გამოყენებული საშუალებისა და თვით ჩადენილი ქმედების გამიჯვნა. მაგალითად, დანაშაულის ჩადენა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს, ან ჯანმრთელობას (საქ. სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), რათა ერთმანეთში არ აგვეროს ორი დამოუკიდებელი შემადგენლობა (მაგალითად, მარტივი მკვლელობა და მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში).

დანაშაულებრივი ქმედება სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტზე მკვლე ზემოქმედების ხერხია. მაგალითად, ქურდობის ნებისმიერი შემადგენლობა ხორციელდება ფარულად, ძარცვა – ამკარად (ძალადობის გარეშე ან ისეთი ძალადობით, რაც არაა საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის), თაღლითობა-მოტყუებით და სხვა. ამიტომ, ერთმანეთში არ უნდა აგვეროს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტზე მკვლე ზემოქმედების ხერხები და ამ ხერხების განხორციელების ოპერაციული ასპექტი, რომელიც კრიმინალისტიკას აინტერესებს. მაგალითად, მკვლელობა ანგარებით მატერიალური გამორჩენის, ან მატერიალური

ვალდებულებისგან გათავისუფლების ხერხია, ხოლო თვით მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს დაჭრით, მოხრჩობით, მოწამლვით და ა.შ. ეს უკანასკნელი კრიმინალისტიკას აინტერესებს, თუმცა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს სისხლის სამართლისა და კრიმინალისტიკის გადაკვეთასაც. მაგალითად, მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, ერთის მხრივ, კრიმინალისტიკას, მისი ჩადენის ხერხების მიხედვით, აინტერესებს, ხოლო, მეორეს მხრივ კი მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებაა (საქ. სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

აქტიური დანაშაულებრივი მოქმედება, მართალია, ფსიქოლოგიური ქცევის, ანუ, მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მასში არ იგულისხმება რეფლექსური მოქმედება, რომელიც ბუნებრივი რეფლექსიის (მაგალითად, სიმალიდან ჩამოყარდნის შიშის) შედეგია. მასში არც იმპულსური ქცევა იგულისხმება, რადგან, ეს უკანასკნელი აქტუალური მოთხოვნებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის ურთიერთდამთხვევის ნიადაგზე, არაცნობიერად, მიმდინარეობს. მასში არ იგულისხმება არც იმგვარი ფიზიკური იძულება, როდესაც სუბიექტს არჩევანი არ ჰქონდა. მაგალითად, პირი, რომელიც ასრულებდა სახელმწიფო ობიექტის დაცვის მოვალეობას, მძევლად აიყვანეს, ხოლო სახელმწიფო ობიექტი გაქურდეს.

სისხლისსამართლებრივი გაგებით, მოქმედება არ არსებობს არც დაუძლეველი ძალის არსებობისას, არც უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში, არც აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, პათოლოგიური სიმთვრალის ან პათოლოგიური აფექტის ვითარებაში. რაც შეეხება ფსიქიკურ იძულებას, იგი, მართალია, ზღუდავს პირის ნებას, მაგრამ მოქმედებას, სისხლისსამართლებრივი გაგებით, მაინც არ გამორიცხავს.<sup>1</sup>

დანაშაულებრივი მოქმედება, როგორც წესი, ძალადური აქტია (ყაჩაღობა, ბანდიტიზმი, ტერორიზმი და სხვა), თუმცა არსე-

<sup>1</sup> ი. წერეთელი, დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი, თბილისი, 1966.

ბობს დანაშაულებრივი ქმედება ძალადობის გარეშე (ქურდობა, თაღლითობა, ქრთამის აღება და სხვა).

საქართველოს  
კანონმდებელი  
სამსახური

სისხლის სამართლის კანონში დანაშაულებრივი მოქმედება აღწერილია განსაზღვრული ნიშნებით. მაგალითად, მარტვი მკვლელობა, მისი შინაარსის სიმარტვის გამო, აღწერილი არაა, მაგრამ რიგი აქტიური მოქმედება აღწერილია მეტ-ნაკლები ხარისხით (ნიშნებით) ან ალტერნატიული ნიშნებით, რომელთაგან ერთ-ერთის ჩადენა საკმარისია დანაშაულად მისი კვალიფიკაციისთვის. დანაშაულებრივი მოქმედება ზოგჯერ ერთიანი მიზნისა და განზრახვის რამდენიმე აქტად შეიძლება მოგვევლინოს (განგრძობადი დანაშაული) ან ქმედება, ერთხელ ჩადენილი, უწყვეტად მიმდინარეობდეს (დენადი დანაშაული). დანაშაულებრივი მოქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვა პირებთან ერთად, დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმით, ან სხვა პირის (მაგალითად, მცირეწლოვანის გამოყენებით (ე.წ. შუალობითი ამსრულებლობა).

## § 2. დანაშაულებრივი უმოქმედობა

დანაშაულებრივი მოქმედება, თავისი აქტიური საწყისის გამო, ზემოქმედებს სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტზე და იწვევს მუხე ცვლილებებს. ამიტომ, რომ აქტიური დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ გამოიყენება აკრძალვის მეთოდი. დანაშაულებრივი უმოქმედობისას კი, პირიქით, სუბიექტი არ ასრულებს აქტიური მართლზომიერი მოქმედების ვალდებულებას, რის გამოც, მას სწორედ რომ აქტიური მართლზომიერი მოქმედება მოეთხოვება.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია დანაშაულებრივი უმოქმედების არაერთი შესაძლებლობა. მაგალითად, განსაცდელში მიტოვება პირისა, რომელიც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მოკლებული

იყო შესაძლებლობას დაეცვა თავი, თუ მიმტოვებელს ვეალებოდა და მასზე ზრუნვა და შექმლო მისი დახმარება (საქ. სსკ-ის 128-ე მუხლი); უმოქმედობით ხორციელდება დაუხმარებლობაც (საქ. სსკ-ის 129-ე მუხლი), როდესაც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირს არ გაუწვევენ აუცილებელ და აშკარად გადაუდებელ დახმარებას, როცა ეს დახმარება შესაძლებელია, ან დახმარების გაწვევის შესახებ არ შეატყობინებენ პირს ან სათანადო ორგანიზაციას.

უმოქმედობით ხორციელდება დანაშაულის სხვა რიგი შემადგენლობაც (მაგალითად, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, აქციზური მარკის გარეშე საქონლის გამოშვება, რეალიზაცია, გადაზიდვა (საქ. სსკ-ის 200-ე მუხლი) და სხვა.

აშკარაა, რომ უმოქმედებით დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ხვედრითი წილი მცირეა აქტიური დანაშაულებრივი მოქმედების ხვედრით წილთან შედარებით, მაგრამ ეს სრულიადაც არ აკნინებს უმოქმედობის გზით დანაშაულის ჩადენის სოციალურ საშიშროებას, ვინაიდან უმოქმედობას ხშირად მოსდევს საკმარის მძიმე შედეგები. ეს ბუნებრივია, რადგან, დანაშაულებრივი უმოქმედობა სუბიექტის სრულიად უწყინარი, პასიური, მდგომარეობა კი არაა, არამედ ჩართულია ადამიანთა ურთიერთობებში სუბიექტისგან ამა თუ იმ ვალდებულების აქტიური მოქმედებით შესრულების მოლოდინის მეშვეობით. კერძოდ, სოციალურ ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ერთი და იგივე ადამიანი სხვადასხვა მიმართებაში სხვადასხვა სოციალური როლის მატარებელია. მაგალითად, სახელმწიფოს მიმართ იგულისხმება მოქალაქის როლი, შვილების მიმართ-მშობლისა, ამ უკანასკნელის მიმართ-შვილისა და ა.შ. აშკარაა, რომ თითოეულ ამ როლს შესატყვისი აქტიური მოქმედების მოლოდინი მიეწერება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> მ. გომელაური, სოციალურ მოლოდინთა მოტივაციური მნიშვნელობის საკითხისათვის, თბილისი, 1968.

კერძოდ, სახელმწიფო მოქალაქისაგან კანონების აღსრულებას და სხვა აქტიურ მართლზომიერ მოქმედებას მოელის, ისევე როგორც მოქალაქე სახელმწიფო დაცვასა და სხვა მოვალეობის აღსრულებას მოელის; მეწარმისგან მოსალოდნელია გადასახადის გადახდა, უსაფრთხოების ინჟინერისგან მოსალოდნელია შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა და ა.შ.

აშკარაა, რომ ბუნების მოვლენებისგან განსხვავებით, რომლებშიც მოძრაობა-განვითარება აქტიური საწყისის, მიზეზის, გარეშე შეუძლებელია, საზოგადოებრივ ურთიერთობებში, გარდა აქტიური მოქმედებით გამოწვეული შედეგისა, მაგნე შედეგი შეიძლება გამოწვეულ იქნეს უმოქმედობითაც, როდესაც სუბიექტი არ ასრულებს მისი სოციალური როლიდან გამომდინარე აქტიურ მოქმედებას და იწვევს იმ შედეგს, რაც სუბიექტის აქტიური მოქმედებით თავიდან იქნებოდა აცილებული.

ამრიგად, საზოგადოებრივი ურთიერთობა იშვიათად არაა აკებული ამა თუ იმ პირის სოციალური როლიდან გამომდინარე საქციელის მოლოდინებზე, ხოლო, როდესაც ეს მოლოდინი არ მართლდება, ე. ი. სუბიექტი არ ასრულებს აქტიურ მართლზომიერი მოქმედების ვალდებულებას, მაგნე შედეგიც, როგორც წესი, არ აყოფნებს.

განასხვავებენ ე.წ. წმინდა უმოქმედობას, როდესაც ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ უმოქმედებით ხორციელდება (მაგალითად, დახმარების აღმოუჩენლობა (საქ. სსკ-ის 129-ე მუხლი), გადასახადის გადახდისგან თავის არიდება, სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევა იმის მიერ, ვისაც ამ წესის დაცვა ვალდებოდა (საქ. სსკ-ის 243-ე მუხლი) და სხვა. მაგრამ არსებობს ე.წ. შერეული უმოქმედობაც. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება, როგორც წესი, ხდება აქტიური მოქმედებით, მაგრამ შესაძლებელია უმოქმედობითაც. მაგალითად, მკვლელობა, როგორც წესი, ხორციელდება აქტიური მოქმედებით, მაგრამ შესაძლებელია მისი ჩადენა სპეციალური მოვალეობის



დარღვევით, როცა დედა განგებ არ კვებავს ბავშვს, რათა ის შიმშილით დაიღუპოს.

აღასანიშნავია ისიც, რომ უმოქმედობის გზით დანაშაულის ჩადენა ხშირად დაკავშირებული დენად დანაშაულთან (მაგალითად, იარაღის უკანონო ტარება, ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდება და ა.შ.), რადგან, ამ შემთხვევაში ნორმატიულად დადგენილი ვალდებულების დარღვევა ნიშნავს დანაშაულის შემაღვენლობის უწყვეტად განხორციელებას, ვიდრე სუბიექტი თავისი მართლზომიერი მოქმედებით თვითონ არ შეწყვეტს მას (მაგალითად, ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღს ან მის მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიება).

ამრიგად, დანაშაულებრივი უმოქმედობა სუბიექტის უბრალოდ პასიური მდგომარეობა კი არაა, არამედ აქტიური მართლზომიერი მოქმედების ვალდებულების შეუსრულებლობაა, როცა სუბიექტს შეუძლია ამ ვალდებულების შესრულება და, მაშასადამე, მოსალოდნელი ზიანის, ან ამგვარი ზიანის მიყენების საფრთხის თავიდან აცილება. ამიტომ, სუბიექტი პასუხისმგებელია უმოქმედობის გზით დანაშაულის ჩადენისთვის.

### § 3. დანაშაულებრივი შედეგი

როგორც უკვე იყო ნათქვამი, დანაშაულებრივი ქმედება ხელყოფს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს და იწვევს მასში მავნე ცვლილებებს, რომელთაც დანაშაულებრივი შედეგის კვალიფიკაცია ეძლევათ. დანაშაულებრივი შედეგი, ისევე როგორც დანაშაულებრივი ქმედება, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით კანონმდებელი ამ შედეგებზე ყოველთვის პირდაპირ არ მიუთითებს, როცა ეს შედეგები ქმედების ბუნებრივი თანშხლებია. მაგალითად, მკვლელობა გულისხმობს სხვი-

სი სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო და განზრახ მოსპობას, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი მკვლევლობის ცნებას არ განსაზღვრავს. გაუფრთხილებლობისას კი პირდაპირაა მითითებული სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობაზე (საქ. სსკ-ის 116-ე მუხლი). სისხლის სამართლის კანონში პირდაპირაა მითითებული ჯანმრთელობის დაზიანებებზე ამ დაზიანებების ხარისხებისა და მათი ჩადენის გარემოებათა მიხედვით (საქ. სსკ-ის 117-118-120-121-122- 123-124-ე მუხლები). ასე იქცევა კანონმდებელი ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აღწერს ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, თუმცა აქაც გადამწყვეტია თვით დანაშაულებრივი ქმედების ტიპი. მაგალითად, ქურდობის ან ძარცვის შემადგენლობებში (საქ. სსკ-ის 177-ე და 178-ე მუხლები) პირდაპირაა მითითებული, რომ საქმე შეეხება სხვისი მოძრავი ნივთის მისაკუთრების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას. ბუნებრივია, რომ ქურდობა ან ძარცვა დამთავრებულად ჩაითვლება სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც სუბიექტი სხვის მოძრავ ნივთს ფაქტობრივად დაეუფლა ისე, რომ მას ფაქტობრივად, შეუძლია მოექცეს, როგორც საკუთარს (გაყიდოს, გააჩუქოს და სხვა). სხვა შემთხვევაში, როცა სუბიექტმა ამ მიზანს ვერ მიაღწია, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ქურდობის, ან ძარცვის მცდელობა.

უკვე იყო მსჯელობა იმის თაობაზე, რომ არსებობს ე.წ. ფორმალური შემადგენლობა, როდესაც მოქმედება თავის თავში შეიცავს შედეგს მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით კერძოდ, დანაშაული საზოგადოებას აყენებს არა მხოლოდ მატერიალურ ზიანს (მაგალითად, ნივთის დაზიანება-განადგურება (საქ. სსკ-ის 167-ე მუხლი), მკვლევლობანი, ჯანმრთელობის დაზიანებანი და ა.შ.), არამედ, მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც. თვით მატერიალური შემადგენლობანიც კი უკავშირდებიან ქმედების მორალურ-პოლიტიკურ შედეგებს. მაგალითად, ქურდობა, ერთის მხრივ, არის მატერიალური ზასიათის ქმედება, რადგან იგი მესაკუთრეს

მატერიალურ ზიანს აყენებს. მაგრამ, მეორეს მხრით, ქურდობა საზოგადოებას მორალურ ზიანსაც აყენებს, რადგან ქურდობის ყოველი ფაქტი ქურდული ცხოვრების წესის დამკვიდრების მცდელობაა. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლში გაცხადებულია ქურდული ცხოვრების წესის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის მოთხოვნა. ზოგიერთ შემთხვევაში ქურდობამ შეიძლება მორალური ზიანი გამოიწვიოს. მაგალითად, პირმა იქურდა, მაგრამ მიხვდა, რომ მესაკუთრე ეჭვს მასზე აიღებდა და ამიტომ იძულებული გახდა მოპარული ავტომანქანა უკან დაებრუნებინა. ამ შემთხვევაში სამოქალაქო-სამართლებრივი დავის საგანი არ არსებობს, მაგრამ დანაშაული მაინც ჩადენილია, ესე იგი, მორალური ზიანი მაინც გამოწვეულია, რადგან ავტომანქანის ქურდმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა ქურდული ცხოვრების ამორალიზმი. მაგრამ ქურდობა სახელმწიფოს პოლიტიკურ ზიანსაც აყენებს, რადგან ქურდობის ყოველი ფაქტი სახელს უტეხს სახელმწიფოს, რომელმაც მოქალაქის საკუთრება ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე უნდა დაიცვას. მაგრამ არსებობს ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც თავისი ბუნებით უფრო პოლიტიკურ შედეგებს უკავშირდება. მაგალითად, მექრთამეობის სოციალური საშიშროება სრულიადაც იმაში არ მდგომარეობს, რომ ქრთამის მიმცემს მატერიალურად რაღაც აკლდება და ქრთამის ამღებს ემატება; ასეთი რამ დასაჩუქრების შემთხვევაშიც ხდება. საქმე ის გახლავთ, რომ ქრთამი შეიძლება აიღოს მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა (საქ. სსკ-ის 338-ე მუხლი). მაშასადამე, ვინც ქრთამს იღებს, მოქმედებს სახელმწიფოს სახელით, რის გამოც სახელმწიფო გამოუსწორებელ პოლიტიკურ ზიანს განიცდის. ეს ბუნებრივია, რადგან ქრთამისა თუ სხვა კორუფციული გარიგებისას სახელმწიფო მოქალაქეთა თვალში კარგავს ავტორიტეტს, სახელმწიფო მოქალაქეთა მხრიდან დაცინვისა და ქილიკის ობიექტი ხდება და იგი, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, თავის ჭეშმარიტ ფუნქციებს

ველარ ასრულებს. სახელმწიფო, რომელიც მოქალაქეთა თვალში ავტორიტეტს კარგავს, საზოგადოების მართვას ძალადური მეთოდების გარეშე ვერ შეძლებს, ხოლო, ყოველივე ეს მეტად საშიშ სოციალურ-პოლიტიკურ შედეგებს უკავშირდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია ე. წ. საფრთხის შემქმნელი დელიქტები (საქ. სსკ-ის თავი XXI), რომლებიც ქმედების მეტად თავისებურ შედეგებში გამოიხატება. მაგალითად, შიდსის შეყრა (საქ. სსკ-ის 131-ე მუხლი) არის დამთავრებული დანაშაული, ანუ ის არის დანაშაულის ისეთი შედეგი, რომელიც განსხვავდება, ერთი მხრივ, ჯანმრთელობის დაზიანებისგან, ხოლო, მეორე მხრივ, — ადამიანის სიცოცხლის მოსპობისაგან. მეორენაირად რომ ვთქვათ, ტერმინი „საფრთხე“ გამოხატავს დანაშაულის დამოუკიდებელ შედეგს, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილშია მოხსენიებული, მაგრამ ამ საკითხს მოგვიანებით განვიხილავ. ამჯერად კი მოკლედ აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ დანაშაულებრივი ქმედება საზოგადოებას, სახელმწიფოსა და პიროვნებას აყენებს არა მარტო მატერიალურ ზიანს, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც. ამიტომ დანაშაულებრივი შედეგების კლასიფიკაციას, დადგენას და შეფასებას ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულებრივი შედეგი ბევრ შემთხვევაში გადმოცემულია შეფასებითი ნიშნებით. მაგალითად, ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა დანაშაულია მხოლოდ მაშინ, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქ. სსკ-ის 152-ე მუხლის პირველი ნაწილი); „მნიშვნელოვანი ზიანი“ ზოგჯერ ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებასაც წარმოადგენს (მაგალითად, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი);

დანაშაულებრივი შედეგის მნიშვნელობა, მისი სოციალური საშიშროების ხასიათი და ხარისხი არსებითადაა დამოკიდებული

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის მნიშვნელობაზე, საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემაში ამ ობიექტის ადგილობზე, ეს ბუნებრივია, რადგან „დანაშაული“ შეფასებითი ცნებაა და მის უარყოფით მნიშვნელობას სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის მნიშვნელობაც განსაზღვრავს. მაგალითად, დანაშაული ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ (მითუმეტეს — მკვლელობა) უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე, ვთქვათ, ცრუ მქარაშობა. ან კიდევ: დანაშაული სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო მძიმეა, ვიდრე, ვთქვათ, ფალსიფიკაცია. ცხადია, ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს დანაშაულებრივი ქმედების იურიდიული შედეგი, რომელიც მოცულია სუბიექტის განზრახვით, ან, უკიდურეს შემთხვევაში — გაუფრთხილებლობით და ფაქტობრივი შედეგი, რაც დანაშაულის ჩადენას შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, გამორიცხული არაა შემთხვევა, როდესაც ძვირფასი ადამიანის მკვლელობას ჭირისუფლის ღრმა სევდა და შეშდევ მისი სიკვდილი მოჰყვება. მაგრამ ეს უკანასკნელი არ შეიძლება „დანაშაულის შედეგად“ ჩაითვალოს და სუბიექტს ბრალად შევრაცხოს. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „დანაშაული“ განსაზღვრული იურიდიული მთლიანობაა და მისი ელემენტების ცალ-ცალკე განხილვა ამ საკმაროდ რთული მოუღვენის შესწავლის ანალიზური ხერხია, ხოლო, ანალიზი სინთეზისაკენ, ანუ დანაშაულის მთლიანობის დადგენისკენ მიმავალ მეთოდოლოგიურ გზას წარმოადგენს.

ამრიგად, ფართო გაგებით უშედეგო დანაშაული არ არსებობს და ამიტომ ე.წ. ფორმალურ შემაღვენლობებში, სადაც დანაშაული დამთავრებულად ითვლება თვით ქმედების ჩადენის მომენტიდან, „შედეგი“ მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით იგულისხმება. არსებობს „შედეგის“ უფრო ვიწრო გაგება, სადაც საქმე შეეხება მატერიალური ხასიათის შემაღვენლობებს, როდესაც მკაცრად აუცილებელია საკუთრივ ქმედებისა და შედეგის გამიჯვნა. მაგალითად, მკვლელობის დამთავრებულად ცნობისთვის

საჭიროა არა მხოლოდ იმისი დადგენა, რომ პირმა მსხვერპლს მისი მოკვლის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა, არამედ იმისი დადგენაც, მოჰყვა თუ არა ამ ქმედებას მსხვერპლის სიკვდილი. ბოლოს, ხაზგასმით უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ დანაშაულებრივი შედეგები შეუქცევადია, ესე იგი მათი პირვანდელი სახით აღდგენა შეუძლებელია. მაგალითად, მკვლელობისას მოკლულს სიცოცხლეს ვერაუინ დაუბრუნებს ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების აღდგენა შეუძლებელია. იმ შემთხვევაშიც კი, როცა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანი შეიძლება აღდგეს (მაგალითად, ქურდს ნაქურდალი ჩამოართვეს და მესაკუთრეს დაუბრუნეს), ქურდობის მორალურ-პოლიტიკური ზიანის აღდგენა გამორიცხულია. მაგრამ ამ საკითხს შემდგომ კიდევ უფრო გავლარმაუბ.

#### § 4. მიზნობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი შეიძლება დაზიანოს არა მარტო ადამიანის ქმედებამ, არამედ, ბუნების სტიქიურმა ძალებმაც (მაგალითად, ხანძარმა ელექტროენერჯის მიწოდებაში უწყსრიგობის გამო ე. წ. მოკლე ჩართვის შედეგად). ამიტომ, ამ ობიექტისთვის ზიანის მიყენების მიზეზების დადგენა აუცილებელი ხდება. კერძოდ, არის თუ არა დამდგარი მანე შედეგის მიზეზი ადამიანის ქმედება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მიზეზისა და შედეგის ფილოსოფიური კატეგორია, რომელიც მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის ვველა სპეციფიკური გამოვლენის დადგენის მეთოდოლოგიური საფუძველია. იგულისხმება მიზეზობრიობის გამოვლენა არა მარტო ბუნების, არამედ სოციალურ სფეროშიც. გამონაკლისი ამ მხრივ არც სისხლის სამართალია, რომელიც მიზეზობრიობის გამოვლენის სპეციფიკური სფეროა. იგულისხმება დანაშაულებრივ

ქმედებასა და ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგებს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი, რომელიც ქმედების შემაღვეწლოების ობიექტური მხარის ერთ-ერთი არსებითი ელემენტია.

მიზეზობრივი კავშირი არის მოვლენათა შორის ობიექტური კავშირი, რომელიც ადამიანის ცნობიერებისა და ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს. იგი აისახება ადამიანის ცნობიერებაში და გამოიყენება მის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამდენად, სისხლის სამართალში ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა სუბიექტის ბრალის დადგენის აუცილებელი, მაგრამ საკმარის პირობად ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება. მიზეზობრივი კავშირი, როგორც უკვე ითქვა, მოვლენათა შორის ობიექტურ კავშირს გამოხატავს, მაშინ, როცა ბრალი სახელმწიფოსთან პიროვნების სუბიექტური კავშირის დარღვევით გამოიხატება. გარდა ამისა, ე. წ. ფორმალურ შემაღვეწლოებებში, რომლებშიც დანაშაული თვით ქმედების ჩადენისთანავე მთავრდება (მაგალითად, ფაჩალობა) და დანაშაულებრივი შედეგი მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით იგულისხმება, მიზეზობრივი კავშირის საკითხი არც დადგება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება დამთავრებულად ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის ან ამგვარი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან. მაგალითად, მკვლელობისას უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ადამიანის ქმედებასა და მსხვერპლის სიკვდილს შორის; ან კიდევ: შიღისის შვერის საფრთხესა და ექიმის მოქმედებას შორის, ამ უკანასკნელის მიერ არასტერილიზებული ნემსის გამოყენების გამო.

ამრიგად, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის საკითხი პრაქტიკულად დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც



დანაშაული მთავრდება მართლსაწინააღმდეგო შედეგით, ან ამგვარი შედეგის დადგომის კონკრეტული საფრთხის შექმნით, თუმცა, აქ ერთი შენიშვნა უნდა გაკეთდეს: მაგალითად, მკვლელობის მცდელობა შეიძლება დამთავრდეს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებით, რაც მართლსაწინააღმდეგო შედეგია, იმის მიუხედავად, რომ მკვლელობა აქ დამთავრებული არაა. მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულებრივი შედეგის დადგომის, ან ამგვარი შედეგის საფრთხის დადგომის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ადამიანის ქმედება. იგულისხმება როგორც აქტიური დანაშაულებრივი მოქმედება (მაგალითად, მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით), ისე, უმოქმედობა (მაგალითად, დახმარების აღმოუჩენლობა). აქტიური მოქმედების გზით სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტში მკვლელობის ცვლილების შეტანა და ამ გზით დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა ძნელი წარმოსადგენი არაა. უმოქმედების გზით დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის თაობაზე კი სერიოზული ეჭვი გამოუთქვამთ მაგრამ უკვე აღვნიშნე, რომ დანაშაულებრივი უმოქმედობა სუბიექტის პასიური მდგომარეობა კი არაა, არამედ, სუბიექტის ამა თუ იმ სოციალური როლიდან გამომდინარე, აქტიური მოქმედების მოლოდინია, რომელზედაც მოცემულ შემთხვევაში აგებულია ადამიანთა შორის ურთიერთობა. მაგალითად, წარმოება-დაწესებულების უსაფრთხოების ინჟინრისაგან ხელმძღვანელობა მოელის შრომის უსაფრთხოების წესის დაცვას, სახელმწიფო მოქალაქისგან აქტიურ მართლზომიერ ქმედებას, მწარმისგან მოსალოდნელია გადასახადის გადახდა და ა.შ. როდესაც ამგვარი აქტიური მოქმედების მოლოდინი არ მართლდება, ბუნებრივია, თუ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს ზიანი მიადგეს, ან ამგვარი ზიანის მიყენების საფრთხე შეექმნას. მაშასადამე, უმოქმედობისას სუბიექტს აქტიური მართლზომიერი მოქმედების ვალდებულება ეკისრება და შეუძლია კიდევ ამ ვალდებულების შესრულება, რათა ამ ობიექტისთვის ზიანის მიყენება, ან ამ ზი-



ანის მიყენების საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული (საქ. სს. ც. თბ მე-8 მუხლის შესამე ნაწილი).

**ისმება პიტიხვა:** როდის შეიძლება გამტკიცოთ, რომ ჩადენილი ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ დანაშაულებრივ შედეგთან? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლი-სოდაც ამჯერად ეს შედეგი არ დადგებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა."

ამრიგად, ირკვევა, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება არის კონკრეტული შედეგის, ან საფრთხის აუცილებელი პირობა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მიზეზობრივი ჯაჭვი ასე მარტივი და მექანიკური არაა. შედეგი, როგორც წესი, მისი გამომწვევ პირობათა ურთიერთგადახლართვის გზით ხორციელდება. მაგალითად, მითრიდატეს, ან ცეზარს, როგორც უკვე ითქვა, საწამლაუის გამოყენებით ვერ მოაკვდინებდნენ, რადგან ისინი საწამლაუს ბაუშობიდან შეაგუეს. თუ ამგვარი ადამიანის მოკვდინებას საწამლაუის გამოყენებით შეეცდებიან, დანაშაულებრივი შედეგი, ანუ სიკვდილი არ დადგება და მაშინ სახეზეა მკვლელობის მცდელობა. მაშასადამე, განსაზღვრული შედეგის დადგომა თვით სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის ან გამოყენებული საშუალების თვისებაზე, ან კიდევ ქმედების ჩადენის გარემოებებზეა დამოკიდებული. მაგალითად, პირს, რომელმაც მკვლელობა გადაწყვიტა, ცეცხლსასროლმა იარაღმა უმტყუნა, ან საწამლაუი ვარდის წყალში აურიო. დანაშაულებრივი შედეგის დადგომის წინაპირობა საკმაოდ მრავალფეროვანია. აქედან გამომდინარე, ადამიანის ქმედება დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ერთ-ერთი და არა ერთადერთი პირობაა. ამ დებულებას განსაკუთრებული არგუმენტაციით ასაბუთებს პროფ.

**თ. ჯვარიანი.** მან სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირის პრობლემას მონოგრაფიული გამოკვლევა უძღვნა.<sup>1</sup> რომელიც უფრო შემოკლებით ქართულ ენაზე ითარგმნა (იხ. **თ. ჯვარიანი, ზ. ტყეშელაშვილი,** მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969; აგრეთვე იხ. **თ. წერეთელი,** სისხლის სამართლის პრობლემები, 1 ტომი, თბილისი, 2007). ამდენად, ბუნებრივია, თუ ამ ქართული ვარიანტით ვისარგებლებთ. კერძოდ, ავტორი ამოდის მიზეზობრიობის იმ გაგებიდან, რომლის თანახმად, მიზეზი და შედეგი თანაფარდობითი ცნებებია. ის, რაც ერთი მიმართებით მიზეზია, მეორე მიმართებით შეიძლება შედეგი აღმოჩნდეს. მაგალითად, დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთი გამომწვევი პირობაა, თავის მხრივ, არის გარკვეული მიზეზის შედეგი. პროფ. **თ. ჯვარიანის** აზრით, თუ მიზეზობრიობა არსებობს სინამდვილის მოვლენათა ურთიერთქმედებაში, მაშინ, "ის, რაც გარკვეული მოვლენის მიმართ მიზეზს წარმოადგენდა, თვით სხვა მიზეზის შედეგად წარმოგვიდგება. მეორეს მხრივ, ის, რაც რაღაც მოვლენის შედეგს წარმოადგენდა, წარმოგვიდგება მიზეზად გარკვეული შედეგის მიმართ და ასე უსასრულოდ."<sup>2</sup>

როგორც ჩანს, მიზეზსა და შედეგს შორის კავშირი აუცილებელი ხასიათისაა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა საკმარისი ამ მხრივ სისხლის სამართლის წინაშე მდგარი პრობლემების გადასატრეულად. კერძოდ, უკვე ითქვა, რომ არ არსებობს რაიმე მოვლენის გამომწვევი ერთადერთი მიზეზი. პირიქით, ყოველი მოვლენა მისი გამომწვევი პირობების ურთიერთგადახლართვის შედეგია. მოვლენის გამომწვევ პირობათა შორის ზოგი მათგანი არსებითია, აქტიურია, ზოგი კი ამ მიმართებით — ნაკლებად აქტიური, ხოლო ეს, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ არსებობს შედეგის გამომწვევ ფაქტორთა (პირობათა) არატოლფასოვნება, რომელიც მიზეზობრიობის თეორიის ერთ-ერთი არსებითი პრინციპია. ეს კი

<sup>1</sup> Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, М. 1963.

<sup>2</sup> თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, გვ. 204.

სისხლის სამართლის სფეროშიც მეტად არსებითია. ამ პრინციპის მნიშვნელობას უფრო არსებითად მაშინ გააცნობიერებთ, თუ მოკლედ მაინც განვიხილავ მიზეზობრივი კავშირის თეორიაში ე. წ. **ეკვალენტურ თეორიას**, რომელიც მოუღენის გამომწვევ პირობათა ტოლფასოვნობის პრინციპიდან ამოდის. თვით ტერმინი “**ეკვალენტური**“ იმას ნიშნავს, რომ შედეგის გამომწვევი ყველა პირობა შედეგისთვის თითქოს **თანაბრად ეკვალენტურია**. ეს თეორია აღიარებს იმას, რომ ქმედება მიზეზობრივ კავშირში შედეგის გამომწვევი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა (იგი ლათინურად შემდეგნაირად გამოითქმის: *condition sine qua non*). დებულება, რომ ადამიანის ქმედება დამდგარი დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, არსებითად სწორია და, როგორც პროფ. **თ. ჯარაიძელი** ამტკიცებს, ეკვალენტური თეორიის შეცდომა ამ დებულების აღიარებაში როდია. აღნიშნული თეორიის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შედეგის გამომწვევ პირობათა ტოლფასოვნების პრინციპიდან ამოდის. ამ თეორიის თანახმად, მიზეზი ყოველთვის აუცილებელი პირობების ჯამია. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამ პირობების ჯამს ერთი პირობაც რომ გამოაკლდეს, ყველა სხვა პირობა ინერტულ, მკვდარ, მასად გარდაიქმნება და შედეგს ვერ გამოიწვევს. ამ პოზიციიდან გასაგებია, რომ შედეგის გამომწვევი ყოველი ცალკე აღებული პირობა ამავე დროს არის ამ შედეგის მიზეზი, ურომლისოდაც ეს შედეგი არ დადგება. ამოდის, რომ შედეგის გამომწვევი ყველა პირობა ამ შედეგისთვის თანაბარი მნიშვნელობისაა. ცხადია, ეს თეორია, ჯერ ერთი, ფილოსოფიურად სწორი არაა, რადგან, ამ პოზიციიდან მიზეზისა და პირობის გამიჯვნა შეუძლებელია. მეორეც, აღნიშნული თეორია სისხლის სამართლის სფეროში ქმნის სერიოზულ პრობლემებს. კერძოდ, თუ შედეგის წარმოშობისთვის ყველა პირობა თანაბრად აუცილებელია, მაშინ, დანაშაულისთვის მზადებისა და დანაშაულის ჩადენის მცდელობის გამიჯვნა ობიექტურ სფეროში შეუძლებელი ხდება. გარდა ამისა, ამ პოზიციიდან შეუძლებელია დანაშაულში

თანამონაწილეობის დაფუძნება ობიექტური მხრივ, რადგან, ამ პოზიციიდან გამოდის, რომ დანაშაულში ყველა თანამონაწილის ქმედება შედეგისთვის ერთნაირი მნიშვნელობისაა და, მაშასადამე, ობიექტურ სფეროში მათი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია შეუძლებელია.<sup>1</sup> სინამდვილეში კი დანაშაულის ორგანიზატორის მოქმედება გაცილებით უფრო აქტიურად განაპირობებს დანაშაულებრივ შედეგს, ვიდრე, ვთქვათ, დამხმარის მოქმედება და მაშინ ამ მიმართებით პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის ობიექტური საფუძველი დაგას არ უნდა იწვევდეს.

ამრიგად, მიზეზობრივი კავშირის ეკვივალენტური თეორიის ძირითადი თეზისი შედეგის გამომწვევ პირობათა ტოლფასოვნების შესახებ სწორი არაა. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, სწორია ამ თეორიის საწყისი, ამოსავალი დებულება, რომ ადამიანის ქმედება შედეგის დადგომის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. კერძოდ, თუ, მაგალითად, ერთმა პირმა მეორეს მოკვლის განზრახვით ესროლა, მაგრამ ეს უკანასკნელი მსუბუქად დაიჭრა და მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც იგი მოულოდნელად გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიღუპა, მაშინ, ხსენებული ეკვივალენტური თეორიის წარმომადგენლები უარყოფენ ბრალს, რადგან, იმას, ვინც დაზარალებული მისი მოკვლის მიზნით დაჭრა, არ შეეძლო იმისი გათვალისწინება, რომ დაზარალებული საავადმყოფოში გაჩენილი ხანძრის გამო დაიღუპებოდა. ამიტომ, აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიციირდეს, როგორც მკვლელობის მცდელობა. მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ შემთხვევაში არსებობს მიზეზობრივი კავშირი მსხვერპლის მსუბუქად დაჭრასა და საავადმყოფოში გაჩენილი ხანძრის გამო მის დაღუპვას შორის, რადგან პირს რომ მსხვერპლი მოკვლის მიზნით არ დაეჭრა, იგი საავადმყოფოში არ მოხვდებოდა და იქ გაჩენილი ხანძრის გამო არ დაიღუპებოდა. მაშასადამე, გამოდის, რომ ამ შემთხვევაში ადამიანის ქმედება (მსხვერპლის დაჭრა) მისი მოკვლის მიზნით) მისი დაღუპვის

<sup>1</sup> თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 185-186.

ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე ეს შედეგი არ დადგებოდა. აქედან გამომდინარე, პროფ. თ. წერეთელი მიიღებს შემდეგ დასკვნას: „ადამიანის ქცევა მაშინ უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებელ პირობად, როდესაც ქმედების გარეშე შედეგი არ განხორციელდებოდა, ხოლო, იმის დასადგენად, განხორციელდებოდა თუ არა საზოგადოებრივად საშიში შედეგი მოქმედების გარეშე, შეიძლება გამოვიყენოთ ქმედების აზრობრივი გამორიცხვის მეთოდი, ე. ი. ჩვენს წარმოდგენაში დაუშვათ, რომ ეს ქმედება ადამიანს არ ჩაუდენია. თუ ასეთი აზრობრივი გამორიცხვისას აღმოჩნდება, რომ შედეგი მაინც დადგებოდა, თანაც დადგებოდა სწორედ ამ დროს და ამ სახით, როგორც იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ქმედება არ ფოფილა მიზეზობრივ კავშირში შედეგთან. ხოლო, თუ პირიქით, აღმოჩნდება, რომ მოქმედების არარსებობის შემთხვევაში, ან სრულიად არ დადგებოდა, ან სხვა დროს და სხვა წესით დადგებოდა, ვიდრე იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ადასტურებს, რომ ადამიანის ქმედება იყო საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებელი პირობა.“<sup>1</sup>

ამრიგად, აზრობრივი გამორიცხვის, ანუ, ე. წ. ჰიპოთეტური ელიმინაციის მეთოდის გამოყენების გზით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ ან, პირიქით, უარყოთ ადამიანის ქმედებასა და საზოგადოებრივად საშიში (მართლსაწინააღმდეგო) შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ადამიანის ქმედება დამდგარი დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ერთადერთი მიზეზი კი არაა, არამედ, ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, რომლის გარეშე ეს შედეგი არ დადგებოდა. სამწუხაროდ, იშვიათი არ იყო და არც დღესაა იშვიათი, როდესაც ზემოთ დასახელებულ მაგალითში (მსხვერპლის მსუბუქად დაჭრისა და საკუადმყოფოში გაჩენილი ხანძრის გამო მისი დაღუპვისას), უარყოფენ მიზეზობრივი კავშირის არსებობას იმ საბუთით, რომ

<sup>1</sup> თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 241-242.

მსხვერპლის მსუბუქად დაჭრას მისი სიკვდილი, როგორც წესი, არ მოსდევს და, მაშასადამე, თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, მაშინ მიზეზობრივი კავშირი ან შემთხვევითია ან ადგილი აქვს მიზეზობრივი კავშირის წყვეტას. არც ერთი ეს არგუმენტი სწორი არაა. ჯერ ერთი, „შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირი“ არ არსებობს, რადგან, კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი ხასიათისაა. სხვა საკითხია, თუ შესაძლებელია მოვლენათა შემთხვევითი თანხვედრა, მაგრამ შემთხვევით წარმოქმნილ მოვლენებს შორის მიზეზობრივი კავშირი მაინც აუცილებელი ხასიათისაა. ამდენად, „შემთხვევითი“ მიზეზობრივი კავშირის თეორია სხვა არაფერია, თუ არა მიზეზობრიობის კატეგორიისა და აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიის აღრუვა. მეორეც, მიზეზობრივი კავშირის „წყვეტის“ თეორიაც მცდარია, რადგან, უკვე დასახელებულ მაგალითში აშკარაა, რომ მსხვერპლის მსუბუქად დაჭრა, რომელიც საავადმყოფოში პირის მოთავსების მიზეზი გახდა, არსებობს და მისი გაწყვეტა საავადმყოფოში გაჩენილ ხანძარს, როგორც დაზარალებულის დაღუპვის უშუალო მიზეზს, არ შეუძლია. მესამე, დებულება, რომ ადამიანის მსუბუქად დაჭრა მისი სიკვდილის კანონზომიერი მიზეზი ვერ გახდება და ამდენად, მიზეზი შედეგის ადეკვატური უნდა იყოს(ვთქვათ, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, როგორც წესი, ადამიანის სიკვდილი მოსდევს), ლოგიკურად მიდის მიზეზობრივი კავშირის ე. წ. ადეკვატური თეორიის აღიარებამდე. მართლაც, მიზეზობრიობის ადეკვატური თეორიის თანახმად, დებულება, რომ ადამიანის ქმედება დამდგარი შედეგის დადგომის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, იურისტისთვის საკმარისი არ არის. ჯეროდ, ამის გარდა ისიც უნდა იქნეს დადგენილი, რომ ამგვარი ქმედება საზოგადოდ იწვევს ამგვარ შედეგებს, ასე, რომ მიზეზი შედეგის ადეკვატურია, ესე იგი, მიზეზი კანონზომიერად (და არა შემთხვევით) იწვევს განსაზღვრულ შედეგებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ადეკვატური მიზეზობრიობის თეორია მოვლენათა შორის ობიექტური მიზეზობრივი კავშირის

უარყოფამდე მიდის. მართლაც, საიდან ვიცით, რომ დაძვარი შედეგის მიმართ ადამიანის ესა თუ ის ქმედება შემთხვევითაა? პირობა. **თ. ჯირიანი** ასეთ მაგალითს იშველიებს: პირმა იცის, რომ დაზარალებულმა თავის ტვინის დააუდება გადაიტანა, რის გამოც თავის ქალა იმდენად გათხლებული აქვს, რომ საკმარისია მსუბუქი დარტყმა თავში და იგი მოკვდება. სარგებლობს რა ამ სპეციალური ცოდნით, ბოროტმოქმედი ამ პირს თავში ჩაკრავს ჩიბუხს და მოკლავს კაცს.<sup>1</sup> არსებობს თუ არა ამ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი ადამიანის თავში ჩიბუხის ჩარტყმასა და მსხვერპლის სიკვდილს შორის? ცხადია, არსებობს. მაგრამ დეუსუთა, რომ პირმა არაფერი იცოდა მსხვერპლის აუადყოფობის შესახებ (რომ მას თავის ტვინის დააუდების გამო თავის ქალა ჰქონდა შეთხლებული) და ისე, რაიმე სხვა მიზეზით, მას თავში ჩიბუხი ჩაარტყა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. ადეკვატური მიზეზობრიობის თანახმად, მეორე მაგალითში ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს, რადგან, თავში ჩიბუხის ჩარტყმას ადამიანის სიკვდილი, როგორც წესი, არ მოსდევს. სამაგიეროდ მიზეზობრივი კავშირი არსებობს. პირველ შემთხვევაში, როცა ბოროტმოქმედმა იცოდა, რომ მსხვერპლის თავში ჩიბუხის ჩარტყმასაც კი შეეძლო მისი სიკვდილის გამოწვევა. მაშასადამე, მიზეზობრივი კავშირის არსებობა-არარსებობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აცნობიერებს სუბიექტი თავის ქმედებას და მის შედეგებს, მაშინ, როცა მიზეზობრივი კავშირი არის მოუღენათა შორის ისეთი ობიექტური კავშირი, რომელიც ადამიანის ცნობიერებისა და ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს. ადამიანის ცნობიერებაზე მიზეზობრიობის დამოკიდებულების შესახებ ეს ლოგიკური დასკვნა ადასტურებს, რომ ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის თეორია იდეალისტურია, ხოლო, ამ პოზიციიდან დანაშაულის ცნებაში მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის გამიჯვნა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ქმედებასა და შედეგს

<sup>1</sup> თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.



შორის მიზეზობრივი კავშირი არის ქმედების შემაღვენლობის  
ობიექტური მხარის ერთ-ერთი ელემენტი, მაშინ, როცა ბრალდებუ  
სახელმწიფოსთან პიროვნების სუბიექტური კავშირის, ანუ მარ-  
თლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური  
დამოკიდებულების შეგნებულ უარყოფას ან მის უგულვებელყო-  
ფას წარმოადგენს. მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს  
შორის არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-  
ერთი ობიექტური საფუძველი და ამდენად, აუცილებელია ყოველ  
კონკრეტულ შემთხვევაში გაირკვეს დანაშაულებრივი შედეგის  
დადგომაში ადამიანის ქმედების როლი, რადგან ადამიანის ქმედება  
მაგნე შედეგს წმინდა სახით, სხვა თანმხლები ფაქტორებისგან  
მოწყვეტით, ვერ გამოიწვევს. გამორიცხული არ არის, როცა მაგნე  
შედეგის დადგომაში ადამიანის ქმედების როლი უმნიშვნელოა და  
მაშინ ეს ქმედება საზოგადოებრივად საშიში ვერ იქნება და, პირიქით,  
როცა ეს შედეგი ადამიანის ქმედების გარეშე ვერ დადგებოდა,  
მაშასადამე, ეს ქმედება ობიექტურადაც არის საზოგადოებრივად  
საშიში. ამ გარემოებას სხვა ტერმინითაც გამოხატავენ, როდესაც  
ამტკიცებენ, რომ ყოველი ქმედება, რომელიც შედეგის დადგო-  
მაში მონაწილეობს, სისხლისსამართლებრივად რელევანტური  
უნდა იყოს,<sup>1</sup> ოღონდ ეს არ უნდა აგვერიოს მიზეზობრიობის  
ადეკვატურობის თეორიაში.

ცხადია, ისეთ რთულ პოზიციებში, როგორიცაა: მიზე-  
ზობრიობა, აზრობრივი გამორიცხვის მეთოდი აბსოლუტური ვერ  
იქნება და ამიტომაც არის, რომ ამ თეორიის ნაკლსაც ხედავენ,  
როცა, მაგალითად, საქმე ექება ე. წ. ალტერნატიული მიზეზობრივი  
კავშირის თეორიას, ან, როცა საქმე ექება ე. წ. კოლექტიური  
გადაწყვეტილების მიზეზობრივი კავშირის პრობლემას. არ არის  
შემთხვევითი, რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირის რამდენიმე  
სახე: ალტერნატიული, როდესაც ორი, ან მეტი მოქმედებიდან

<sup>1</sup> შ. ტურაფა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი,  
2010, გვ. 95.



ყველა მათგანი სათითაოდ საკმარისია შედეგის დასადგომად; კუმულაციური, როდესაც ორი, ან მეტი ქმედება სათითაოდ არ იქნებოდა საკმარისი შედეგის დადგომისთვის. მიტომ, შედეგის დასადგომად საჭირო იქნებოდა მათი ერთობლიობა კუმულაციურად; **პიპოთეტური**, როდესაც ქმედება აჩქარებს დადგომას იმ შედეგისა, რომელიც მოგვიანებით ბუნებრივად დადგებოდა (მაგალითად, მძიმედ დაავადებული პირის მოწამლვა), რაც, რა თქმა უნდა, დასჯადია და რიგი სხვა თეორია მიზეზობრიობის შესახებ.<sup>1</sup>

ამრიგად, გასაკები უნდა იყოს, რომ ადამიანის ქმედებასა და მის შედეგებს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, რომელიც ადამიანის ნებისა და ცნობიერებისგან დამოუკიდებელია და ამდენად, ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს. რამდენადაც მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირი პირობათა ურთიერთგადახლართვის წესით მყარდება, ყოველ მოვლენას, მათ შორის ადამიანის ქმედების შედეგებს, ერთი მიზეზი კი არ განაპირობებს, არამედ, რიგი პირობებისა, რომელთაგან ზოგი არსებითია, ურომლისოდაც შედეგი არ დადგებოდა, ზოგი კი შედეგის დადგომის ხელშემწყობია. აქედან გამომდინარე, ადამიანის ქმედება რაიმე მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ან ასეთი შედეგის დადგომის საფრთხეს წმინდა სახით, ანუ, სხვა პირობებისგან დამოუკიდებლად ვერ გამოიწვევს. ამიტომ, რომ ადამიანის ქმედება აღნიშნული შედეგის დადგომის ერთ-ერთი პირობაა. მიზეზობრივი კავშირის პირობათა ტოლფასოვნების, ანუ, ეკვივალენტური თეორია მცდარია და არსებითად ქინააღმდეგება სისხლის სამართლის სფეროში პასუხისმგებლობის დიფერენციაციისა და ინდივიდუალიზაციის ობიექტურ საფუძვლებს. მიზეზობრიობის ადეკვატურობის თეორია კი არსებითად იდეალისტურია, რადგან, იგი მიზეზობრიობას ადამიანის ცნობიერებაზე დამოკიდებულს ხდის. თუ ადამიანმა გააცნობიერა, რომ ამ კონკრეტულ, არასტანდარტულ, ვითარებაში

<sup>1</sup> მ. ტურავას დასახ. ნაშრომი, გვ. 99-104.

ქმედება კანონზომიერად იწვევს შედეგს (ვთქვათ, წინასწარი შეცნობით დაავადებული პირის თავში ჩიბუხის ჩარტყმით გამოიწვევს ადამიანის სიკვდილს), მაშინ, გამოდის, რომ ადამიანის ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს) და მაშინ ეს თეორია წმინდა წყლის იდეალიზმში ვარდება, ხოლო, სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის გამიჯვნის საფუძველს არ იძლევა.

## § 5. დანაშაულის (ქმედების) შემაღგენლობის ობიექტური მხარის სხვა ნიშნები

დანაშაულის შემაღგენლობის ობიექტურ მხარეს, ქმედების, შედეგისა და მათ შორის მიზეზობრივი კავშირის გარდა, ახასიათებს რიგი სხვა ობიექტური ნიშნები, რომელთაც აქ მოკლედ განვიხილავ. ასეთ ობიექტურ ნიშნებად ითვლება ქმედების ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, საშუალება, საგანი, ვითარება. მოკლედ განვიხილოთ ისინი.

1. დანაშაულის შემაღგენლობის განხორციელების დრო და ადგილი. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროსა და სივრცეში, რომელიც სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრობლემას წარმოადგენს (ეს საკითხი უკვე განვიხილეთ). მხედველობაშია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი, რომელშიც იშვიათად არაა მითითებული ქმედების ჩადენის დროსა და ადგილზე. მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, ან ყაჩაღობა შეიძლება ჩადენილ იქნეს ბინაში, სადგომში, თუ საცაგეში შეღწევით, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. გარდა ამისა, შესაძლებელია საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა (საქ. სსკ-ის 296-ე მუხლი). უფრო მეტიც, მაგალითად,

ნადირობა საერთოდ კი არაა აკრძალული, არამედ, განსაზღვრულ ადგილას (ვთქვათ, ნაკრძალში), ან, განსაზღვრულ დროს (ვთქვათ, ტყის ბინადართა გამრავლების დროს), ან აკრძალული იარაღით, ან საშუალებით (საქ. სსკ 301-ე მუხლი); ტყის გაჩეხვა საერთოდ კი არაა აკრძალული, არამედ, განსაზღვრულ ადგილას, ან განსაკუთრებული კატეგორიის ხე-ბუჩქნარისა (საქ.სსკ 303-ე მუხლი). ბოლოს, დანაშაულის შემაღვენლობის განხორციელების დრო შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება (მაგალითად, ომიანობის, ან საგანგებო ვითარების დროს სამხედრო ვალდებულებისგან თავის არიდება (საქ. სსკ 256-ე მუხლის მესამე ნაწილი); მხოლოდ ომიანობის დროს შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს სამხედრო ბეგარის, ან გადასახადისგან თავის არიდება (საქ. სსკ-ის 359-ე მუხლი).

2. **დანაშაულის ჩადენის ხერხი.** სამწუხაროდ, დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით „ხერხის“ ცნება საკმაოდ ბუნდოვანია. ერთ შემთხვევაში ლაპარაკონენ იმაზე, რომ თვით დანაშაულებრივი ქმედება არის ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხი.<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით იგულისხმება, რომ, მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის (მისი მისაკუთრების მიზნით) მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფარული ხერხი. მეორეს მხრივ, ლაპარაკობენ თვით დანაშაულის ჩადენის ხერხზეც. მაგალითად, საბაჟო წესების დარღვევისას დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენება ამ დანაშაულის (ე. წ. კონტრაბანდის) ჩადენის ერთ-ერთი ხერხია (საქ. სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილი); ლაპარაკობენ დანაშაულის ჩადენის ხერხზე კრიმინალისტიკური მნიშვნელობით.<sup>2</sup> უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მაგალითად, მკვლელობა ანგარებით არის ანგარების, როგორც მატერიალური გამორჩენის მოტივის,

<sup>1</sup> ბ. ხარაზიშვილი, სიცრუის ფსიქოლოგია, თბილისი, 1975.

<sup>2</sup> შ. ფაფიაშვილი, დანაშაულის ჩადენის ხერხის ცნება, არსი და კრიმინალისტიკური მნიშვნელობა, „სამართალი“, 1991, № 6.

დაკმაყოფილების ხერხი, მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვადასხვა ხერხით (ცეცხლისასროლი იარაღიდან გასროლით, ბასრი საგნის (ვთქვათ, დანის) გამოყენებით, მოწამლვით, მოხრჩობით და სხვა, რომელთაც კრიმინალისტიკური მნიშვნელობა აქვთ, რადგან, მკვლელობის ამ ხერხების სუსტად დადგენის გარეშე დანაშაულებრივი ქმედება გამოძიებულად და გახსნილად ვერ ჩაითვლება. მაგრამ ამ მიმართებით შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის ხერხების სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტების ერთიანობაც. მაგალითად, მკვლელობა დაზარალებულის განსაკუთრებით მტანჯავი საშუალების გამოყენებით, რაც, ერთის მხრივ, ფასდება როგორც მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით (საქ. სსკ 109-ე მუხლის შესამე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით), ხოლო, მეორეს მხრივ, დანაშაულის ჩადენის ამ ხერხს აქვს კრიმინალისტიკური მნიშვნელობა.

ამრიგად, დანაშაულის ცნებისა და მისი ჩადენის კონკრეტულ გარემოებათა მიმართ „ხერხის“ ცნება მეტად არსებითია იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, ქცევა ფსიქოლოგიურად და დანაშაული ერთმანეთისაგან გაემიჯნოს ამ თვალსაზრისით დანაშაული ფსიქოლოგიურად „ქცევა“ კი არაა, არამედ ქცევის, ანუ სუბიექტის ქცევის მოტყვისა და მიზნის განხორციელების ხერხია. მეორეს მხრივ, „ხერხის“ ცნება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების მეთოდებს შეეხება (მაგალითად, მოტყუებით-თაღლითობა; შეცდომაში შეყვანით-შუალობითი ამსრულებლობა, ძალაობით — ყაჩაღობა და სხვა). და, ბოლოს, „ხერხის“ ცნებას აქვს კრიმინალისტიკური მნიშვნელობაც, თუმცა ამ მხრივ სისხლის სამართლისა და კრიმინალისტიკის სფეროები ხშირად ჰკვეთენ ერთმანეთს.

3. დანაშაულებრივი ქმედების საგანი. განასხვავებენ დანაშაულებრივი ქმედების ობიექტსა და საგანს. მაგალითად, ავტომანქანის ქურდობისას ობიექტია საკუთრების უფლება, ხოლო,

საგანი არის ავტომანქანა. სამწუხაროდ, დანაშაულებრივი ქმედების ობიექტსა და საგანს ზოგჯერ ურვევენ ერთმანეთში, მაგალითად, ამტკიცებენ, რომ არსებობს სამართლებრივი სიკეთის ცნება და რომ ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ქმედების ობიექტი და იდეალური სოციალური ღირებულებანი. ქმედების ობიექტი ამ თვალსაზრისით არის კონკრეტული საგანი, როგორცაა: სხვა ადამიანი, სხვისი მოძრაეი ნივთი და ა.შ.<sup>1</sup>

ეს მოსაზრება სწორი არაა, რადგან, სხვისი მოძრაეი ნივთი არის დანაშაულის საგანი და არა ობიექტი. სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი ამ მაგალითზე არის საკუთრების უფლება, ხოლო, ავტომანქანა არის დანაშაულის საგანი. ამ ორ მოვლენას შორის სხვაობის დადგენა აუცილებელი ხდება, რადგან, თუ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი დანაშაულებრივი ხელყოფისგან ზიანს ყოველთვის განიცდის, დანაშაულებრივი ქმედების საგანი, პირიქით, ზოგჯერ შეიძლება გაუმჯობესდეს კიდევ. მაგალითად, კაცმა მოპარული ავტომანქანა, თუ ტელევიზორი ისე გადააკეთა, რომ მოხდა მათი არსებითი გაუმჯობესება. ცხადია, ხშირ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედების საგანიც ზიანდება (მაგალითად, ნივთის დაზიანების, ან განადგურების დროს — თუ „ხერხი“ იაზრება მოტოვთან კაუშირში (საქ. სსკ-ის 187-ე მუხლი), ან ნადგურდება კონკრეტული ნივთი, რომელიც დანაშაულის საგანია (მაგალითად, ავტომანქანა).

4. **დანაშაულის ჩადენის საშუალება.** დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს არა მარტო სხვადასხვა ხერხებით, არამედ, სხვადასხვა საშუალებების გამოყენებითაც. მართალია, ქმედების „ხერხი“ და „საშუალება“ ერთმანეთს ჰკვეთენ კიდევ, მაგრამ მათ შორის სხვაობაც უნდა დავადგინოთ კერძოდ, კაუშირში საშუალების ცნება ყოველთვის იაზრება მიზნის ცნებასთან მიმართებაში. არსებობს მიზნის, საშუალებისა და შედეგის დიალექტიკური კაუშირი, რომელიც ნებისმიერი ადამიანური საქმიანობის

<sup>1</sup> Wessels (Beulke), Strafrecht, Allgemeiner Teil, Heidelberg, 2003, s. 2.

ეფექტურობის საზომია. იგულისხმება ის, რომ მიზანი სათანადო/საშუალებას მოითხოვს, თუცა, მიზანი საშუალებას ავტომატურად არ განსაზღვრავს. შედეგი, თავის მხრივ, მიზნისა და საშუალების თანაფარდობით განისაზღვრება, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ადამიანის ქმედება გარესამყაროზეა მიმართული და, მაშასადამე, ამა თუ იმ შედეგის დადგომა გარესამყაროს საგნებისა თუ მოვლენების თვისებებზეა დამოკიდებული. მით უფრო, რომ დანაშაულის ჩადენისას სუბიექტი საშუალებას ხშირად მიმართავს (მაგალითად, ტექნიკური ხერხები, მორგებული გასაღები — ქურდობისას; ცეცხლსასროლი იარაღი, საწამლაუი, დანა და ა.შ. მკვლელობისას, კასტეტი, ან სხეულის დასაზიანებლად სხვა ხელოვნური საგანი — ხულიგნობისას და ა.შ.). დანაშაულის ჩადენის საშუალება ზოგჯერ გარკვეული ცრურწმენების, ან დაბალი კულტურისა და განათლების გამო იმდენად გულუბრვეილოა, რომ მას მკვლე შედეგის გამოწვევა არ შეუძლია და ამიტომ კანონმდებელი ამ მიმართებით პასუხისმგებლობას გამორიცხავს კიდეც (იხ. საქ. სსკ-ის 20-ე მუხლი). ხდება პირიქითაც, როდესაც დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა (მაგალითად, იხ. სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი — ესე იგი, მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან, ჯანმრთელობას).

დანაშაულის ჩადენის საშუალება და საგანი ზოგჯერ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ფული ან სხვა ფასიანი ქალაქი ქრთამის მიცემის საშუალებაა, ხოლო, ქრთამის ამღების მხრივ არის ქრთამის საგანი.

დანაშაულის ჩადენის საშუალება, როგორც წესი, პროცესუალური წესით უნდა იქნეს ამოღებული და საქმეზე ნივთმტკიცებად დართული, რადგან მას დიდი მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს. სულ სხვაა ამ მხრივ ქონების ჩამორთმევა, როგორც სასჯელის ღონისძიება (იხ. საქ. სსკ-ის 52-ე მუხლი, რომელიც

ცალკე განხილვას მოითხოვს.

5. **დანაშაულის ჩადენის ვითარება.** ამ მიმართებით „**ვითარება**“ არის შეფასებითი ცნება, რომელიც ხშირად თან ახლავს ქმედებას და განსაზღვრავს მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს. მაგალითად, დანაშაულის ჩადენა ბუნების სტიქიური ძალების, ეკოლოგიური კატასტროფის გამო შექმნილ ვითარებაში პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა, რადგან, ნაცვლად იმისა, რომ ამგვარ ვითარებაში ადამიანები ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ზოგიერთი ანტისაზოგადოებრივი ელემენტი, პირიქით, ამ ვითარებას დანაშაულის ჩასადენად იყენებს. მაგრამ „**ვითარება**“ შეიძლება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებადაც შეიძლება მოგვევლინოს (მაგალითად, დანაშაულის ჩადენა მძიმე პირად ან ოჯახურ ვითარებაში). არაა გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როცა რეალურ ვითარებაში გარკვევა რთულია და პირის ქმედება ამიტომ არ იყოს ბრალეული. მაგალითად, ორ მოჩხუბარ ახალგაზრდას შორის ერთ-ერთს მოეჩვენა, რომ მოპირდაპირე, რომელიც ამოჩაჩული შარვლის ჯიბეს ისწორებდა, ჯიბიდან ცეცხლსასროლ იარაღს იღებდა, ამ უკანაქნელს მოგერიების მიზნით ქვა ესროლა და იგი დაზიანდა. ამ შემთხვევაში სახეზეა ე.წ. მოჩვენებითი მოგერიება, როცა ქმედების ჩადენის რეალურ ვითარებაში გარკვევა იმდენად რთულია, რომ პირი ბრალეული ვერ იქნება. და, ბოლოს, ცნობილია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას ვითარების შეცვლის გამო (საქ. სსკ-ის 71-ე მუხლი). სისხლის სამართლის კანონში განსაზღვრული ქმედების კრიმინალიზაციის მომენტიდან და ამ ქმედების ჩადენის გამო სასამართლო პროცესის გამართვამდე შეიძლება სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იმდენად შეიცვალოს, რომ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მიზანშეწონილი არ იყოს.



§ 1. დანაშაულის (ქმედების) შემაღენლობის სუბიექტური მხარის ცნება

დანაშაულის (ქმედების) შემაღენლობა, როგორც უკვე იყო ნათქვამი, არის ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობა. ობიექტური მხარე ქმედების შემაღენლობა არის ადამიანის ნების გარეგანი აქტი, რომელიც ქმედების, შედეგის, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის და სხვა ობიექტური ნიშნებით (ქმედების ჩადენის ადგილით, დროით და ა.შ.) ვლინდება. როგორც ცნობილია, ქმედების შემაღენლობის ცნება სწორედ ამგვარი ობიექტური ნიშნებით იყო წარმოდგენილი დანაშაულის ცნების კლასიკურ მოდელში, რომელიც სისხლის სამართლებრივი აზრის ისტორიაში დანაშაულის ცნების კანონიერ ცნებად არის მოხსენიებული. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ქმედების შემაღენლობის წმინდა ობიექტივისტური გაგება, ესე იგი, ადამიანის ქცევის სუბიექტური ელემენტისგან მოწყვეტით, ობიექტივიზმია, რადგან იგი არსებით წინააღმდეგობაშია ქმედების შემაღენლობის იმ ნიშნებთან, რაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებშია აღწერილი. მაგალითად, წმინდა ობიექტივისტურად შეუძლებელია გაგებულ იქნეს დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ. კერძოდ, არ არსებობს ქურდობის, ძარცვის, ფაჩალობის და სხვა შემაღენლობანი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის გარეშე, ხოლო, მიზანი ადამიანის ქცევის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი ელემენტია. უფრო მეტიც, ადამიანის ქცევის მიზნის გარეშე შეუძლებელია არა მარტო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემაღენლობა, არამედ, მთელი რიგი სხვა ქმედების შემაღენლობაც. მაგალითად,



საბოტაჟი, როგორც დანაშაული საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, გულისხმობს იმას, რომ სუბიექტი მოქმედებს სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების დასუსტების მიზნით (საქ. სსკ-ის 318-ე მუხლი). გარდა ამისა, არის ქმედების ისეთი შემდგენლობა, რომელიც სათანადო მიზნის ან მოტივის გარეშე დანაშაულად ვერ ჩაითვლება. მაგალითად, კაცმა გასაღების მიზნის გარეშე, წმინდა პირადი ინტერესით, იმის გამოსაცდელად, თუ რა შეუძლია მას, შეიძლება დააშინოს ყალბი ფული, მაგრამ ის, საქ. სსკ-ის 212-ე მუხლის თანახმად, დანაშაულად ვერ ჩაითვლება. ან კიდევ: ფალსიფიკაცია, ესე იგი, მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლა ანგარების მოტივის გარეშე დანაშაულად ვერ ჩაითვლება (საქ. სსკ-ის 197-ე მუხლი). და, ბოლოს, მოტივისა და მიზნის გარეშე შეუძლებელია ქმედების ერთი შემადგენლობის გამოიყენება მეორისგან. ობიექტურის მხრივ ისეთი ანალოგიური შემადგენლობა, როგორცაა, მაგალითად, აფეთქება, ან ცეცხლის წაქიდება, სუბიექტურის მხრივ ერთ შემთხვევაში არის დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, თუ სუბიექტი შურისძიების მოტივით მოქმედებს (საქ. სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილი); იგივე ქმედება, თუ სუბიექტი მოქმედებს ხულიგნური ქვენაგრძნობით, კვალიფიცირდება როგორც დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (საქ. სსკ-ის 239-ე მუხლი); იგივე ქმედება, ესე იგი, აფეთქება ან ცეცხლის წაქიდება, თუ სუბიექტი მოქმედებს სახელმწიფოს დასუსტების მიზნით, კვალიფიცირდება, როგორც საბოტაჟი (საქ. სსკ-ის 318-ე მუხლის მესამე ნაწილი) და ა.შ.

ამრიგად, ამკარაა, რომ ქმედების წმინდა ობიექტური შემადგენლობის იდეა, ადამიანის ქცევის სუბიექტური ელემენტებისგან მონყვევით, ობიექტუიზმია და ამიტომ მიუღებელია. მაგრამ დანაშაულის ცნების კლასიკური მოდელის (ლისტ-ბელინგის მოძღვრება) არსებითი ნაკლი მხოლოდ იმაში კი არაა, რომ აქ ქმედების შემადგენლობა წმინდა ობიექტურადაა გაგებული, არამედ,

ბრალის არსის წმინდა-ფსიქოლოგიური გაგების გამოც. კერძოდ, ამ მოძღვრებაში ადამიანის ქმედების ყველა სუბიექტური ელემენტი ბრალის სფეროში იქნა გადატანილი, ხოლო, ბრალი ქმედების შემადგენლობის გარეთ აღმოჩნდა. ასე ჩამოყალიბდა ქმედების შემადგენლობის წმინდა ობიექტივისტური გაგება.

რუსეთის ფედერაციის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე გაგებულია, როგორც სუბიექტის ქცევის მოტივის, მიზნისა და ბრალის ერთიანობა. ამ პოზიციიდან იგულისხმება ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, რომლის თანახმად, ბრალი არის ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, რომელიც განზრახვის, ან გაუფრთხილებლობის ფორმით გამოიხატება. ცხადია, რომ ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება ფსიქიკური პროცესია და ამ ფსიქიკური დამოკიდებულების „იურიდიული“ ცნება შეუძლებელია. იურიდიული მეცნიერება ფსიქიკური დამოკიდებულების ცნებასა და ფორმებს ფსიქოლოგიური მეცნიერებისგან სესხულობს. სამწუხაროდ, ეს დასესხება ზოგჯერ იმდენად გადაჭარბებულია, რომ ამ მხრე ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით, ბრალის პრობლემატიკაში, აშკარაა. ა. რაროვი წერს: „ბრალი – იურიდიული ცნებაა და მისი მეტისმეტი ფსიქოლოგიზაცია დაუშვებელია...“<sup>1</sup>. სამწუხაროდ, ავტორი ვერაფრით ვერ ასახულებს იმას, რომ ბრალი სისხლის სამართალში იურიდიული ცნებაა. პირიქით, ბრალის ცნებას ავტორი განმარტავს, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას.<sup>2</sup>

ამრიგად, თუ დანაშაულის ცნების კლასიკურ მოდელში ქმედების შემადგენლობა გაგებული გახლდათ წმინდა ობიექტივის-

<sup>1</sup> А. И. Рарог, Субъективная сторона и квалификация преступлений, М. 2001, стр. 14.

<sup>2</sup> ა. რაროვის დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

ტურად, როგორც ადამიანის ნების მხოლოდ გარეგანი აქტი, და  
ეს მეთოდოლოგიურად არის ობიექტივიზმი, დანაშაულის ცნების  
რუსულ მოდელში, პირიქით, ქმედების შემადგენლობა გაგებულია  
არა მარტო ობიექტური ნიშნებით, არამედ, სუბიექტური მხრეაც.  
უფრო მეტიც, ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ მხარეში  
იგულისხმება არა მარტო მოტივი და მიზანი, არამედ, ბრალიც.  
ეს, ერთის მხრე, გასაგებია, რადგან, ბრალის ფსიქოლოგიური  
თეორია, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის  
ფსიქიკური დამოკიდებულება, არსებითად სხვა არაფერია, თუ არა  
ქცევის ფსიქოლოგიური კონცეფცია, რომელიც მოტივისა და მიზ-  
ნის ფსიქოლოგიური ერთიანობით ვლინდება. ეს, თავის მხრე, არის  
ფსიქოლოგიზმი ბრალის პრობლემატიკაში და სუბიექტივიზმი  
დანაშაულის სისტემაში, რადგან, ბრალი, ვითარც სუბიექტისა  
და მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების უარყოფითი შეფასება,  
ქმედების შემადგენლობის აღწერილობით, ფაქტობრივ ნიშნებს  
ლოგიკურად ვერ ვგუება. ამიტომ, რომ ქმედების შემადგენლო-  
ბასა და ბრალს შორის პირდაპირი ლოგიკური კავშირი არ არსე-  
ბობს. კერძოდ, ქმედების შემადგენლობის, როგორც აღწერილო-  
ბითი, ფაქტის მსჯელობის, შვენება ან მისი შვენების შესაძლებ-  
ლობა ბრალის აუცილებელი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარის პირო-  
ბად ვერ ჩაითვლება. ქმედების მართლწინააღმდეგობის შვენებისა  
და მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის  
დამოკიდებულების ხასიათის გარეშე ბრალის ცნება შეუძლე-  
ბელია. ამიტომ, რომ ქმედების შემადგენლობისა და ბრალს  
შორის კავშირი გაშუალებულია ქმედების მართლწინააღმდეგობით,  
რომელიც ქმედების შემადგენლობისა და ბრალის კავშირის ფორ-  
მას წარმოადგენს. თუ ბრალი ქმედების მართლწინააღმდეგობის  
გარეშე არ არსებობს, ხოლო ქმედების მართლწინააღმდეგობა  
ქმედების შემადგენლობის ელემენტს არ წარმოადგენს, მაშინ  
ლოგიკურია დასკვნა, რომ ქმედების შემადგენლობის ელემენტს  
არც ბრალი წარმოადგენს.

ამრიგად, ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის სტრუქტურაში იგულისხმება მოტივი და მიზანი, მაგრამ არა ბრალი, როგორც ეს დანაშაულის ცნების რუსულ მოდელშია მიღებული. ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის სტრუქტურაში ბრალის შეტანა ქინააღმდგვება სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის მთელ რიგ ფუნდამენტურ პრობლემებს. **ჯერ ერთი**, თუ ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში იგულისხმება ქმედების მართლწინააღმდგობა, მაშინ ქმედების განხორციელების ყოველი შემთხვევა ამავე დროს იქნება მართლსაწინააღმდგო. ამ პოზიციიდან კი ქმედების მართლწინააღმდგობის გამოძრიცხველ გარემოებათა (აუცილებელი მოგერიების, საგარაუდო დაშნაშავის შეპყრობის, უკიდურესი აუცილებლობისა და მართლზომიერი რისკის) დასაბუთება შეუძლებელია. **მეორეც**, თუ ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის სტრუქტურაში იგულისხმება ბრალი, მაშინ ქმედების შემადგენლობის განხორციელების ყოველი შემთხვევა ამავე დროს სუბიექტის ბრალზე მიუთითებს და მაშინ ბრალის შემამსუბუქებელ და გამოძრიცხველ გარემოებათა დასაბუთება შეუძლებელია. **მესამე**, თუ ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის სტრუქტურაში ბრალი იქნება შეტანილი, მაშინ, ქმედების შემადგენლობის განხორციელების ყოველი შემთხვევა ამავე დროს სუბიექტის ბრალსაც დაამტკიცებს, ხოლო, ამ პოზიციიდან არაბრალეულობის პრეზუმფციის სისხლისსამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის სტრუქტურაში შედის სუბიექტის ქცევის მოტივი და მიზანი და არა ბრალი, რომელიც ქმედების მართლწინააღმდგობის კვალობაზე ქმედების შემადგენლობის ფარგლებს გარეთ იაზრება.

## § 2. შობივი და შიხანი, როგორც ქველვის შიხანის საბიქტური შხარის ელქენიბაი

საქონის  
სიღონის

ამ სახელმძღვანელოს მეცხრე თავის მე-4 პარაგრაფში უკვე მქონდა მსჯელობა იმაზე, რომ დანაშაულებრივი ქმედება ქცევის ფსიქოლოგიური ფორმებისგან მოწყვეტით არ არსებობს, მაგრამ არც ქცევის ამ ფსიქოლოგიურ ფორმებზე არ დაიყვანება. ჩვენ ამ მიმართებით გავიზიარეთ პროფ. ბ. ხარაზინიშვილის (ხორნაბუჯელის) დებულება, რომ დანაშაული არის არა ქცევა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არამედ, ქცევის, ანუ მოტევისა და მიზნის განხორციელების ხერხი მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის განხორციელების ფარული ხერხი (საქ. სსკ-ის 177-ე მუხლი); ძარცვა — აშკარა ხერხი ძალადობის გარეშე, ან ისეთი ძალადობით, რაც არაა საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის (საქ. სსკ-ის 178-ე მუხლი); ყაჩაღობა — სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადური ხერხი (საქ. სსკ-ის 179-ე მუხლი) და ა. შ. ითქვა იმაზეც, რომ ქცევა ფსიქოლოგიურად მოტევა და მიზანში ვლინდება. დასახელებულ თავში მოტევისა და მიზნის შესახებაც იყო მსჯელობა, მაგრამ ამჯერად ამ საკითხს უფრო ღრმად შევქებები, რადგან მოტევისა და მიზნის ცნებებს სისხლის სამართალში ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვთ.

სამწუხაროდ, მოტევისა და მიზნის ფსიქოლოგიური ბუნება იშვიათად არ მახინჯდება იმ მარტვი მიზეზის გამო, რომ სამართალში საქმე ეხება ქმედების შეფასებას ქცევის მოტევისა და მიზნის გათვალისწინებით, ხოლო ეს ქმნის ყალბ წარმოდგენას, რომ მოტევისა და მიზნის ფსიქოლოგიური ცნებების გვერდით უნდა ჩამოყალიბდეს მათი ნორმატიული ცნებები. მოტევის დუალისტური გაგება საკმაოდ იყო გავრცელებული. მაგალითად, ბ. ვოლკოვი არ უარყოფდა მოტევის ფსიქოლოგიურ ცნებას, მაგრამ ამავე დროს მოტევის სისხლის სამართლებრივი ცნების ჩამოყალიბებასაც

მოითხოვდა. მისი მტკიცებით, „მოტევის ფსიქოლოგიური და სისხლისსამართლებრივი გაგების ურთიერთობის დიალექტიკა ძალიან მარტოია: ის გამოხატავს თანაფარდობას ზოგადისა და კერძოს, გვარსა და სახეს შორის.“<sup>1</sup>

გამოდის, რომ არსებობს მოტევის ორნაირი გაგება: ფსიქოლოგიური და სისხლისსამართლებრივი. მოტევის ფსიქოლოგიური გაგება არის მოტევის ზოგადი ცნება, ხოლო მოტევის სისხლისსამართლებრივი გაგება მოტევის კერძო ცნებას გამოხატავს. მაგრამ ნუთუ მოტევის ფსიქოლოგიური ცნება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ იგი სისხლის სამართლის სფეროშიც გამოვლინდეს? თუ მოტევის კერძო, ანუ სისხლისსამართლებრივი ცნება საჭიროა, მაშინ, გამოდის, რომ მოტევის ფსიქოლოგიური ცნება სისხლის სამართალში არ ვლინდება და მაშინ მოტევის ზოგადი ცნებაც არ არსებობს. თუ მოტევის ფსიქოლოგიური ცნება სისხლის სამართალში არ ვლინდება, მაშინ, ზოგადი ფსიქოლოგია და სისხლის სამართალი ერთმანეთთან კავშირში არ არიან. მეორეს მხრივ, ლოგიკიდან ცნობილია, რომ ყოველი ცნება არის გვარისა და სახის, ზოგადისა და კერძოს ერთიანობა და, მაშასადამე, მოტევის კერძო, ანუ სისხლისსამართლებრივი ცნება არ არსებობს. მართლაც, მოტევის ზოგადი, ანუ ფსიქოლოგიური ცნება სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ სისხლის სამართალში ადამიანის ქმედება შევაფასოთ გადაწყვეტილების მისაღებად სუბიექტი ითვალისწინებს სხვადასხვა გარემოებას, მაგრამ გადაწყვეტილების საფუძველში მაინც ერთი მოტევი დევს, რადგან, ქცევას ფსიქოლოგიურად მხოლოდ ერთი ფსიქიკური საზრისი აქვს. ამიტომაც, რომ მოტევი სისხლის სამართალში ქმედების შეფასების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მაგალითად, თუ სუბიექტი მოქმედებს ანგარების მოტევით, მაშინ, ის უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე, იმ შემთხვევაში, როცა ის მოქმედებს, მაგალითად,

<sup>1</sup> ВБ. С. Волков, Проблема воли и уголовная ответственность, Казань, 1965, стр. 57.

სამაგიეროს მიზლის მოტივით. სხვათა შორის, ბ. ვოლკოვი უფრო მოგვიანებით გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომში არსებითად სხვა, უფრო სწორ, მოსაზრებას გამოთქვამს. მისი აზრით, “აღამიანს არ შეუძლია თავის საქციელს ერთდროულად საფუძვლად დაუდოს შინაარსითა და მნიშვნელობით განსხვავებული მოტივები.”<sup>1</sup> სისხლის სამართალში მოტივის პრობლემა შედარებით იოლად გვარდება იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი მოქმედებს ბრალის განზრახი ფორმით. ამ მხრივ სიძნელე თავს იჩენს ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის ფარგლებში, რადგან, ქმედების „გაუფრთხილებელი მოტივაცია“ შეუძლებელია. ამიტომ ჩნდება აზრი, რომ მოტივი, როგორც გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური საფუძველი, მხოლოდ ბრალის განზრახი ფორმის ნიშანია, ხოლო, გაუფრთხილებლობა თითქოს უმოტივოა. მაგალითად, **ი. ფილანოვსკი** ფიქრობდა, რომ მოტივი აქვს განზრახ ქმედებას, როდესაც სუბიექტი შეგნებულად მოქმედებს, ხოლო, სულ სხვაა ქმედების მოტივი, როდესაც სუბიექტი რაიმე კონკრეტული შედეგის დადგომას მიზნად არ ისახავდა.<sup>2</sup> ავტორს, როგორც ჩანს, იმისი თქმა უნდა, რომ გაუფრთხილებელი ქმედება თითქოს მოტივირებული არაა. ეს მოსაზრება სწორად ვერ ჩაითვლება, რადგან, მოტივის გარეშე არც ერთი ნებელობითი ქმედება არ ხორციელდება. მაგალითად, ერთმა პირმა მეორეს შეშინების მიზნით დაუმიზნა თოფი, მაგრამ მას უნებურად ხელი მოუხვდა სასხლეტზე და მოხდა მოულოდნელი გასროლა, რასაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი. ამ მაგალითზე კარგად ჩანს, რომ სუბიექტი მოქმედებს სხვისი შეშინების მიზნით, ესე იგი, ქცევა ნებისმიერია, მაგრამ მორალურად უზნეოა, ხოლო, სამართლებრივად – მართლსაწინააღმდეგო, რადგან, სუბიექტი ამით არღვევს წინდახედულობის ნორმის მოთხოვნებს. მართა-

<sup>1</sup> Б. С. Волков, Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование, Казань, 1982.

<sup>2</sup> И. Г. Филановский, Социально-психологическое отношение субъекта к преступлению, ЛГУБЮ 1970, стр. 49.

ლია, მოცემულ შემთხვევაში პირი არ ითვალისწინებს ადამიანის სიკვდილის შესაძლებლობას, მაგრამ ის მოიქცა უპასუხისმგებლოდ, ანუ ბრალეულად, რადგან წინდახედულობის ნორმისადმი ამგვარი დაუდევარი დამოკიდებულება არაეის ეპატიება.

ამრიგად, მოტევი ყოველი ნებელობითი ქცევის ფსიქიკური საზრისია. მაგალითად, თუ ერთი პირი ცეცხლსასროლ იარაღს უმიზნებს მეორეს, ამ ფიზიკურ მოქმედებას ერთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ანგარებით მკვლელობის საზრისი, მეორეში — პირის შეშინების მოტევი, მესამეში — ცეცხლსასროლი იარაღის ფლობის საკუთარი უნარის შემოწმება და სხვა. ამიტომ, რომ დანაშაული, როგორც ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხი, თვითონ ქცევა არაა და მას ამიტომ საკუთარი მოტევი არა აქვს. თუ ყოველ ქცევას ფსიქოლოგიურად თავისი მოტევი აქვს, სისხლის სამართლის სფეროში, პირიქით, ერთი რომელიმე მოტევით შეიძლება არაერთი დანაშაულის ჩადენა. მაგალითად, ანგარების მოტევით ხორციელდება, როგორც წესი, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, ფალსიფიკაცია, მკვლელობა და სხვა. დანაშაული რომ დამოუკიდებელი ქცევა იყოს, მაშინ, ყოველ კონკრეტულ დანაშაულს საკუთარი მოტევი უნდა ჰქონოდა, რაც შეუძლებელია. ამიტომ დღემდე გაბატონებული ტერმინები „დანაშაულის მოტევი“ და „დანაშაულის მიზანი“ სწორი არაა, რადგან მოტევი და მიზანი აქვს ქცევას და არა დანაშაულს, როგორც ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხს.<sup>1</sup>

ამრიგად, მოტევი არის ფსიქოლოგიური ცნება, ხოლო, სისხლის სამართალში მოტევის სხვა ცნება კი არ ვალიდდება, არამედ, მოტევის, როგორც ადამიანის ქცევის ფსიქიკური საზრისის, მიხედვით ხდება ადამიანის დანაშაულებრივი ქმედების შეფასება. მაგალითად, ერთია ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა სისხლის აღების ნიადაგზე და მეორეა ტერორისტული აქტით მიტომ,

<sup>1</sup> Б.В. Харaziшвили, Вопросы мотива поведения преступника в советском праве, Тбилиси, 1963, стр. 63



მიღებულია სისხლის სამართალში მოტივების კლასიფიკაცია, როგორც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ისე, სისხლის სამართალში მათი გამოყენების მიხედვით<sup>1</sup> ავტორი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ მოტივი და მიზანი განხილული უნდა იქნეს დანაშაულის ცნების სამი ცნობილი ელემენტის მიმართაც. კერძოდ, მოტივი, რომელიც ქმედების შემადგენლობას აფუძნებს. მაგალითად, ბუშეის შეცვლა ანგარებით, ან სხვა ქვენა გრძნობით (საქ. სსკ 174-ე მუხლი); სუბიექტის ქცევის მიზნის მიხედვით მისი ქმედება შეიძლება იყოს მართლზომიერიც და მართლსაწინააღმდეგოც. ბოლოს, მოტივმა და მიზანმა შეიძლება გაუღენა მოახდინოს ბრალის ხარისხზეც.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში სუბიექტის ქცევის მოტივზე და მიზანზე მითითება ყოველთვის არ გხვდება, უმოტივო ქცევა, როგორც დანაშაულის წინაპირობა, ფსიქოლოგიურად შეუძლებელია და ამიტომ დანაშაულებრივი ქმედების მოტივების დადგენა მაინც აუცილებელი ხდება. სხვანაირად ქმედება სწორად გამოძიებული და შეფასებული ვერ იქნება. ამდენად, სისხლის სამართალში დანაშაულებრივი ქცევის შემდეგ მოტივებს განასხვავებენ: 1. ანგარება, როცა სუბიექტი დანაშაულს სჩადის ქონებრივი ინტერესით(ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ.) ან, გამორჩენით (მაგალითად, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ანდა არსებული ქონებრივი მდგომარეობის (მაგალითად, ვალის შერჩენის სურვილით) შენარჩუნებისთვის; ის, როგორც წესი, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. მაგალითად, საქ. სსკ-ის 109-ე მუხლის შესაბამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი (მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით); ან როცა ანგარების მოტივი ქმედების შემადგენლობას აფუძნებს (მაგალითად, ფალსიფიკაცია (საქ. სსკ-ის 197-ე მუხლი); ქრთამის აღება და

<sup>1</sup> ი. დვალაძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციაზე და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბილისი, 2008, გვ. 41-66.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 65.

სხვა; 2. ხულიგნური ქვენაგრძობა (მაგალითად, მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით – საქ. სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი); იგულისხმება სრულიად უმნიშვნელო, გამოგონილი, საბაბით მკვლელობა, ან ჯანმრთელობის დაზიანება. მაგალითად, „მომწვეინე თამბაქო“ თხოვნაზე პასუხი „არ ვწვი,“ საკმარისია დაზარალებულის დაცინვისა და მის მიმართ ძალადობის გასამართლებლად: „რატომ არ წვი, ტო, ჭლა ქალებიც წვიან!“ ეს მოტივი უნდა განვასხვავოთ ხულიგნური მოქმედებისგან. მაგალითად, თუ მკვლელობას ხულიგნური ქვენაგრძობით თან ახლდა ხულიგნური მოქმედება, მაშინ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით.<sup>1</sup>

3. ექვიანობა (სიყვარულსა და ერთგულებაში დაექვეების მტანჯველი გრძობა, რომელიც მკვლელობის საქ. სსკ-ის 108-ე მუხლი) ან ჯანმრთელობის დაზიანების მოტივად შეიძლება იქცეს); ხშირია ღალატის ფაქტზე ფიზიოლოგიური აფექტის ნიადაგზე ჩადენილი ქმედებანი (მკვლელობა – საქ. სსკ-ის 111-ე მუხლი), ან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ან ნალებად მძიმე დაზიანება (საქ. სსკ-ის 121-ე მუხლი); 4. შურისძიება, ე. ი. სამაგიეროს გადახდა წარსულში მიყენებული სერიოზული წევნისთვის (მაგალითად, საქ. სსკ-ის 108-ე მუხლი) ან ჯანმრთელობის დაზიანებანი ანდა ნოთის განზრახ დაზიანება და განადგურება (საქ. სსკ-ის 187-ე მუხლი); 5. სისხლის აღება, როგორც ძველი გვაროვნული წესის აღსრულება, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში საქ. სსრ 1960 წლის კოდექსის 104-ე მუხლში გათვალისწინებული მკვლელობის დამამძიმებელი გარემოება გახლდათ, ხოლო იგი ამჟამად ფასდება მარტივი მკვლელობის (საქ. სსკ-ის 108-ე მუხლი) ერთ-ერთ შესაძლებელ მოტივად; 6. რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით. მაგალითად, მკვლელობა (საქ. სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტი) ან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (საქ. სსკ-ის 117-ე

<sup>1</sup> აღ. შუმანაშვილი, ხულიგნობა და მასთან ბრძოლა, თბილისი, 1986, გვ. 15.

მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) ანდა გენოციდი (საქ. სსკ-ის 407-ე მუხლი). 7. რელიგიური მოტივი, ვთქვათ, იელღულობა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს, მაგალითად, სამხედრო ვალდებულებისადმი თავის არიდების მოტივი (საქ. სსკ-ის 356-ე, 357-ე, 368-ე მუხლები); 8. ვალბად გაგებული სამსახურებრივი ინტერესი ან კარიერაში შეიძლება იყოს, მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტების მოტივი (იხ. საქ. სსკ-ის 333-ე მუხლი); 9. ნათესაურმა გრძნობამ შეიძლება განაპირობოს, მაგალითად, ცრუ ჩვენების მიცემა (საქ. სსკ-ის 370-ე მუხლი), ან დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვა (საქ. სსკ-ის 375-ე მუხლი). თუ დაფარავი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ახლო ნათესავია (ვთქვათ, შშობელია) ან ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურე თავშესაფრის პასუხისმგებელი პირი, მაშინ დაფარავი, საქ. სსკ-ის 375-ე მუხლის თანდართული შენიშვნის თანახმად, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

ზემოთ ჩამოთვლილი და ზოგიერთი სხვა მოტივი, როგორც წესი, საყოფაცხოვრებო ხასიათისაა, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედება იშვიათად არ ხორციელდება იდეურ-პოლიტიკური მოტივებით. მაგალითად, დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ (საქ. სსკ-ის XXXVII თავი), როგორც წესი, ხორციელდება იდეურ-პოლიტიკური მოტივებით ცხადია, არაა გამორიცხული უცხო სახელმწიფოს აგენტურის მხრივ უხვად გაღებული უცხოური ვალუტის მეშვეობით, ანუ, ანგარებით საქართველოს ზოგიერთი სულმოკლე მოქალაქის გადაბირება საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრული საქმიანობისთვის, მაგრამ არც ისა გამორიცხული, რომ საქართველოს მოქალაქე მოქმედებდეს, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადური გზით შეცვლისთვის (საქ. სსკ-ის 315-ე მუხლი) და ამის მოტივი შეიძლება იყოს ქვეყნის საგარეო კურსის, მისი ორიენტაციის შეცვლა. ასეთივე იდეურ-პოლიტიკური მოტივი შეიძლება განაპირობებდეს, მაგალითად, საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმას

(ესე იგი, ტერორისტული აქტი — საქ. სსკ-ის 325-ე მუხლი).

მოკლედ შევხები სუბიექტის ქცევის მიზნის მიხედვით ქმედების დანაშაულად შეფასებას, ანუ კვალიფიკაციას. მოტოვი და მიზანი ქცევის ფსიქოლოგიური შინაარსის განუყოფელი ელემენტებია, მაგრამ ისინი მაინც განსხვავებული ცნებებია. მოტოვი, როგორც უკვე იყო ნათქვამი, მოთხოვნების დაკმაყოფილების ხერხების არჩევას უკავშირდება და ამდენად, უფრო ენერგეტიკულია, ნებისყოფის სფეროში მოქმედებს, მაშინ, როცა მიზანი, მოთხოვნილები, როგორც მოქმედების აღმძვრელის, ახალ თვისებრიობას წარმოადგენს.<sup>1</sup> იგი არაა მოწყვეტილი მოთხოვნილებას და, მაშასადამე, ნებასაც, მაგრამ მიზანი მაინც უფრო ინტელექტის სფეროა. ამიტომაც, რომ „მიზანი — ეს იდეალურად მოცემული მოქმედების შედეგია, რომელიც ადამიანის რაიმე მოქმედებას აკმაყოფილებს.“<sup>2</sup> გასაკებია, რომ ნებისა და ინტელექტის განუყრელი კავშირი მოტოვისა და მიზნის ერთიანობაზეც მიუთითებს. არსებობს მიზანთა იერარქია, როდესაც უფრო დაბალი რანგის მიზანი უფრო მაღალი მიზნის საშუალებად გამოიყენება. საერთოდაც, ადამიანის საქმიანობის საზომად გამოიყენება მიზნის, საშუალებისა და შედეგის დიალექტიკური ერთიანობა. ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული მსოფლმხედველობრივ პრობლემებთან.

სუბიექტის ქცევის მიზანი ობიექტურის მხროვან ანალოგიური ხასიათის შემადგენლობების გამოყენების არსებითი კრიტერიუმია. მაგალითად, ობიექტურად ერთი და იგივე ქმედება (ვთქვათ, აფეთქება და ცეცხლის წაქიდება) ერთ შემთხვევაში არის დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (საქ. სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილი); მეორე შემთხვევაში — დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ (აფეთქება — საქ. სსკ-ის 229-ე მუხლი); მესამე შემთხვევაში შეიძლება დაუკავშირდეს მასობრივ არეულობას (საქ. სსკ-ის 225-ე მუხლი); მეოთხე შემთხვევაში ის შეიძ-

<sup>1</sup> დ. კიკნაძე, ადამიანის მოქმედების საკითხისათვის, თბილისი, 1971, გვ. 8.

<sup>2</sup> დ. კიკნაძის დასახ., ნაშრომი, გვ. 152.

ლება გამოხატავდეს საბოტაჟს (საქ. სსკ-ის 318-ე მუხლის შესაბამისად) და სხვა. პირველ შემთხვევაში სუბიექტის მოქმედების მოტივი არის შურისძიება, ხოლო, მიზანი არის შესაკუთრისთვის ქონებრივი ზიანის მიყენება; მეორე შემთხვევაში იგულისხმება საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფის მიზანი; შესაბამის შემთხვევაში ის თან ახლავს მასობრივ არეულობას, რომელსაც თავისი მოტივი და მიზანი აქვს; მეოთხე შემთხვევაში სუბიექტს ის მიზანი აქვს, რომ ზიანი მიადგინოს სახელმწიფოს ეკონომიკურ (და პოლიტიკურ) საფუძვლებს. აქედან ის დასკვნაც გამოდინარეობს, რომ სუბიექტის ქცევის მიზანი განსაზღვრავს ხელყოფის ობიექტის ხასიათსაც. სწორად აღნიშნავს ი. დვალაძე, რომ „მიზანი მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტურად მსგავსი ქმედებები სხვადასხვა ობიექტებს ხელყოფენ.“<sup>1</sup> მართლაც, ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში ხელყოფის ობიექტია საკუთრება; მეორე და შესაბამის შემთხვევაში — საზოგადოებრივი წესრიგი; მეოთხე შემთხვევაში — სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი. ამიტომ, ჩვენთვის გაუგებარია, რანაირად შეიძლება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია დავიწყოთ ხელყოფის ობიექტიდან, როგორც ეს ტრადიციულადაა მიღებული რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში? როგორც ზემოთ უკვე იყო ნაჩვენები, თუ სუბიექტის ქცევის მიზანი არ ვიცით, ხელყოფის ობიექტის დადგენა შეუძლებელია. პროფ. **თ. ჯერემილი** სავსებით სწორად უსვამდა ხაზს მიზნის მნიშვნელობას ქმედების სამართლებრივი შეფასებისთვის. მისი აზრით, თუ ვინმე ამტკვრვს ფანჯარას იმ მიზნით, რომ ხანძრის გამო ოთახში დაგროვილი კვამლი გაიფანტოს და გაზით მოხრჩობისგან აკვანში მწოლიარე ბავშვი გადარჩეს, მაშინ ეს ქმედება საზოგადოებრივად სასარგებლო და მართლზომიერია. მაგრამ თუ ვინმე გარუდან ამტკვრვს ფანჯარას ქურდობის მიზნით, მაშინ ეს ქმედება საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგაა იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემომტკვრული

<sup>1</sup> ირ. დვალაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ფანჯრიდან ოთახში დაგროვილი კვამლი გაიფანტება და გაზით  
მოზრჩობისგან ბავშვი გადარჩება.<sup>1</sup> შემთხვევითი არც ისაა, რომ  
მიზანი ქმედების მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველ გარე-  
მოებათა ერთ-ერთი დამაფუძნებელი ნიშანია. მაგალითად, აუცი-  
ლებელი მოგერიებისას სუბიექტი მოქმედებს თავისი ან სხვისი  
სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით.

ამრიგად, მოტივი და მიზანი, როგორც ადამიანის ქცევის ფსი-  
ქოლოგიური მხარის ორი არსებითი ელემენტი, დანაშაულებრივი  
ქმედების ფსიქიკურ საზრისს გამოხატავენ და ამიტომ ქმედების  
დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის ინდივიდუალიზა-  
ციის საქმეში ერთ-ერთ არსებით კრიტერიუმს წარმოადგენენ.  
ცხადია, მოტივი და მიზანი ლოგიკურ კავშირშია ბრალის  
ფორმებთან, მაგრამ ამ საკითხებს ბრალისა და მისი ფორმების  
პრობლემატიკაში გაეაღრმავებ. აქ კი მსჯელობას დაუამთავრებ  
დასკვნით, რომ ბრალი ქმედების შეადგენლობის სუბიექტური  
მხარის ელემენტი ვერ იქნება, რადგან, ქმედების შემადგენლობის  
სტრუქტურაში ქმედების მართლწინააღმდეგობა არ შედის, ხოლო  
ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე სუბიექტის ბრალი არ  
არსებობს. ამდენად, ბრალის პრობლემის განხილვას წინ უნდა  
უსწრებდეს ქმედების მართლწინააღმდეგობის პრობლემის თუნდაც  
მოკლე ანალიზი.

<sup>1</sup> Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, М. 1963, стр. 196.



§ 1. მართლწინააღმდგობის სწავლის საკითხისათვის

ღანაშაულის ცნების გერმანულ მოდელში პირველი ელემენტი ქმედების შემაღგენლობა, ხოლო, მეორე ელემენტი ქმედების მართლწინააღმდგობა წარმოადგენს. თუ ქმედების შემაღგენლობა, როგორც წესი, აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობაა, მართლწინააღმდგობა, პირიქით, არის ღირებულებითი (შეფასებითი) მსჯელობა, რადგან ის ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებას გამოხატავს. ეს ჩანს თუნდაც ტერმინოლოგიურ საკითხშიც. კერძოდ, ტერმინი „მართლწინააღმდგობა“ გამოხატავს ქმედების წინააღმდგობას სამართლის იმ ნორმასთან, რომელიც ქმედების მოცემულ, კონკრეტულ, შემაღგენლობას ითვალისწინებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მართლწინააღმდგობის პრობლემა პირდაპირ კავშირშია სამართლისა და კანონის სხვაობის საკითხთან. უკვე გაუიხსენე მეორე მსოფლიო ომში ფაშისტების მიერ ჩადენილი ღანაშაულობებისთვის პასუხისმგებლობისგან გაქცევის მათი ამაო მცდელობა, რომ ისინი თითქოს იძულებულნი იყვნენ, ემოქმედათ ქვეყანაში მაშინ მოქმედი კანონების მიხედვით. ნიურნბერგის პროცესზე, ანუ ფაშისტი ბოროტმოქმედების სამართლოზე კი მოსამართლე ჯეკსონმა საჯაროდ განაცხადა შემდეგი: „ნაცისტურ კანონებს ისეთი ორჭოფული ხასიათი ჰქონდა, რომ ამის მიხედვით თითქმის ყველას დასჯა შეიძლებოდა, თვით სრულიად უღანაშაულობისაც კი.“<sup>1</sup>

ამ გარემოებამ მსოფლიო საზოგადოება, განსაკუთრებით იურისტები, ერთხელ კიდევ ჩააფიქრა, თუ როგორ შეიძლებოდა

<sup>1</sup> მ. კვესელაუა, ასერგასის დღე, წიგნი მეორე, თბილისი, გვ. 305.

დადგენილიყო ქვეშარიტი თანაფარდობა კანონსა და სამართალს შორის? ნათული გახდა, რომ ფაშიზმის დანაშაულებრივი ქმედებანი კანონიერების ფორმალური კრიტერიუმიდან კი შექმნარავი იყო, მაგრამ კანონის ფორმალური მხარის მიმართ სამართლის პრიმატი იმდენად აშკარა იყო, რომ ფაშისტებმა თავის მართლებას ხალისიც დაკარგეს.

სამართლისა და კანონის არსებითი სხვაობა თავს იჩენს ქმედების მართლწინააღმდეგობის პრობლემატიკაშიც. მაგალითად, ანგლო-საქსურ სისხლის სამართალში ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც მართლსაწინააღმდეგო იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს ქმედება კანონის ფორმალურ მხარეს არ არღვევს. ეს იმიტომ, რომ „სამართლის სფერო თავის თავში მოიცავს დაუწერელი და ოფიციალურად ჯერაც არ აღიარებულ ნორმებს. ადამიანის ქმედება შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო იმის გამო, რომ იგი არღვევს ფუნდამენტურ სამართლებრივ ნორმას იმის მიუხედავად, დადგენილია თუ არა ეს ნორმა კანონის ფორმით”<sup>1</sup> ეს გარემოება სასამართლო პრეცედენტის პოზიციიდან გასაკებია. ამ ტერმინში ჩვეულებრივ იგულისხმება წინასწარ არსებული სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით მსგავსი (ანალოგიური) საქმეების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, სამართლის სფეროშიც დაუშვებელია სამართლებრივი ფორმის (კანონის) და მისი შონაარსის ანუ, სამართლის) დაპირისპირება. ცხადია, მართლწინააღმდეგობის ცნებას ლოგიკურად და იურიდიულად წინ უსწრებს ქმედების მართლზომიერების ცნება, რადგან უკვე შევეცადე იმის დამტკიცებას, რომ სისხლის სამართალი დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოქმნილ ურთიერთობას აწესრიგებს. სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი არის განსაზღვრული თვისების (შერაცხადი) ფიზიკური და ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირი, რომლებიც ვალდებული არიან

<sup>1</sup> Дж. Флетчер, А. В. Наумов, Основные концепции современного уголовного права, М. 1998, стр.13-14



მოქმედებდნენ მართლზომიერად და ქმნიდნენ მართლწესრიგს,  
მაშასადამე, მართლზომიერი ქმედების ვალდებულება დანაშაუ-  
ულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთი-  
ერთობის არსებითი ელემენტია. თუ სისხლის სამართლის სუ-  
ბიექტი მართლზომიერად მოიქცა, მაშინ იგულისხმება, რომ მან  
თავისი ქმედებით შექმნა მართლწესრიგი. დანაშაულთა თავი-  
დან აცილება და მართლწესრიგის დაცვა კი სისხლის სამარ-  
თლის მიზანია. გასაგებია, რომ მართლსაწინააღმდეგოა ქმე-  
დება, რომელიც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას არ  
ასრულებს და ხელფოფს მართლწესრიგს. აქედან გამომდინარე,  
ქმედების მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის არსე-  
ბითი კრიტერიუმი არის დანაშაულთა თავიდან აცილების გამო  
წარმოქმნილი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. ცხადია,  
არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა საზოგადოდ, როგორც  
სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა,  
რომელშიც მართლზომიერი ქმედება მართლწესრიგად სამარ-  
თლის ნორმის გარდაქმნის სფეროა. ბუნებრივია დასკვნაც, რომ  
მართლსაწინააღმდეგო ქმედება, პირიქით, სამართლის ნორმის  
მოქმედებას და მართლწესრიგად გარდაქმნას (ამ კონკრეტული  
ქმედების გამო და ფარგლებში) აჩერებს, რის გამოც ამ ქმედებას  
მისი ჩამდენ სუბიექტს იძულებითი წესით უნდა შეეფარდოს  
სამართლის სწორედ ის ნორმა, რომელიც მართლსაწინააღმდეგო  
ქმედების გამო მართლწესრიგად ვერ გარდაიქმნა.

ამრიგად, მართლწინააღმდეგობის ცნება და პრობლემა სა-  
მართლებრივი ურთიერთობის ცნებას და კრიტერიუმს მოითხოვს.  
სამწუხაროდ, ამ მხრივ არაერთი სიძნელე იჩენს თავს. კერძოდ,  
როგორც უკვე ითქვა, ამ სახელმძღვანელოში სისხლის სამართლის  
საგნის პრობლემასთან დაკავშირებით, გერმანელი კოლეგები  
სამართლებრივ ურთიერთობაზე, მათ შორის სისხლის სა-  
მართლის სფეროში, როგორც წესი, არაფერს ამბობენ. ამდენად,  
მართლწინააღმდეგობის პრობლემა არც თუ ისე ნათელია. კიდევ

უფრო რთული და გაურკვეველია მართლწინააღმდეგობის ცნება რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, რადგან ტრადიციაში მართლწინააღმდეგობა, ერთის მხრივ, დანაშაულის ცნების ერთ-ერთი ელემენტია, ხოლო, მეორეს მხრივ, რამდენადაც დანაშაულის შემაღვენლობა ოთხი ელემენტითაა წარმოდგენილი, მართლწინააღმდეგობა დანაშაულის შემაღვენლობის ელემენტადაც იგულისხმება. ამ ლოგიკით კი გამოდის, რომ დანაშაულის შემაღვენლობის განხორციელების ყოველი შემთხვევა ამავე დროს ქმედების მართლწინააღმდეგობასაც გამოხატავს და, მაშასადამე, მართლწინააღმდეგობას დანაშაულის შემაღვენლობისგან დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია. სწორედ ამის გამოა, რომ რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მართლწინააღმდეგობის პრობლემა, ზოგიერთი გამოწვევის გარდა, არსებითად არ დასმულა და ამ ლოგიკით ვერც დადგება. ეს კი არაერთი პრაქტიკული და თეორიული წინააღმდეგობის წყაროა.

ჯერ ერთი, ქმედების შემაღვენლობა, როგორც უკვე ითქვა, არის აღწერილობითი ფაქტის, მსჯელობა, მართლწინააღმდეგობა კი ღირებულებით (შეფასებით) მსჯელობას წარმოადგენს, რადგან იგი ქმედების უარყოფით სახელმწიფოებრივ შეფასებას გამოხატავს. ბუნებრივია, რომ მართლწინააღმდეგობა ქმედების შემაღვენლობის, როგორც ფაქტის მსჯელობის, ელემენტი ვერ იქნება, ისევე როგორც სამართლის ნორმა, როგორც ქცევის წესი და როგორც ჯერარსი, არსის, ანუ მართლწინააღმდეგობის ელემენტად პირდაპირი ლოგიკური გზით ვერ ჩაითვლება. გასაგებია, რომ ქმედების შემაღვენლობის სტრუქტურაში მართლწინააღმდეგობის შეტანა შედეგია იმ მცდარი მეთოდოლოგიისა, რომლის თანახმად, სამართლის ნორმა, როგორც ქცევის განსაზღვრული წესი, გაგებულია არა როგორც ჯერარსი, როგორც მოთხოვნა, არამედ როგორც არსის, ანუ ფაქტობრივი ვითარების ელემენტი. მეორეც, ქმედების შემაღვენლობის სტრუქტურაში მართლწინააღმდეგობის შეტანას ისიც განამტკიცებს, რომ რუსულ სისხლისსამარ-

თლებრივ ლიტერატურაში, როგორც წესი, გაბატონებულია დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა. ამ პოზიციიდან გაუგებარია, უსწრებს თუ არა სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის ჩადენას? თუ დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებს სისხლის სამართლის კანონის მოქმედება, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ არსებობს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და მაშინ დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა შეუძლებელია. თუ წარმოვიდგენთ, რომ სისხლის სამართლის კანონის ამოქმედებას წინ უსწრებს ადამიანის რაიმე ქმედება, — ეს შეიძლება იყოს არა „დანაშაული“, არამედ კრიმინალიზაციის, ანუ ქმედების დანაშაულად სახელმწიფოებრივი კვალიფიკაციის ობიექტი, რომელიც მომავალი სისხლის სამართლის კანონში შეიძლება შეფასდეს დანაშაულად. მაშასადამე, დანაშაული სისხლის სამართლის კანონის მოქმედებას წინ ვერ გაუსწრებს და მაშინ სისხლის სამართლის კანონი შერაცხად ფიზიკურ პირებს და ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირებს აკისრებს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობა ქმედების მართლწინააღმდეგობაზე მიუთითებს. მოკლედ განვიხილოთ მართლწინააღმდეგობის პრობლემა რუსული სისხლისსამართლებრივი ლიტერატურის მიხედვით.

ცნობილი ფაქტია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების“ (1958 წ.) მიღებამდე დაშვებული იყო კანონის ანალოგია, ესე იგი მხოლოდ ამ “საფუძვლების” მე-7 მუხლის პირველ ნაწილში ჩაიწერა, რომ დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება. ამდენად, მართლწინააღმდეგობა, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი, სრული მოცულობით გაცხადდა სწორედ ამ ანალოგიის გაუქმების შემდეგ, თუმცა მართლწინააღმდეგობას, როგორც დანაშაულის ცნების ელემენტს,

მანამდეც ახსენებდნენ, მაგრამ ამ მიმართებით წამყვანი მანერ/ დანაშაულის მატერიალურ ნიშნად ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება იყო მიჩნეული. მეორეს მხრივ, დანაშაულის შემადგენლობის სრუქტურაში დანაშაულის ელემენტების (საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის) შეტანამ მართლწინააღმდეგობას თავისი ფუნქცია დაუკარგა და იგი „დანაშაულის შემადგენლობის“ ცნებაში გაითქვიფა.

სინამდვილეში ერთია ის, რომ ქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით, ესე იგი, სისხლის სამართლის ნორმაში გადმოცემულია კანონმდებლის მიერ დანაშაულად მიჩნეულო ქმედების შემადგენლობა, ხოლო, მეორეა ამ ქმედების სისხლისსამართლებრივი აკრძალვა, რაც სისხლის სამართლის ნორმის შესაბამის სანქციაშია გამოხატული.

ამ გარემოებაზე სამართლიანად გაამახვილა ყურადღება **ბ. ნოვოსელოვა**, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს ერთ-ერთმა ავტორმა. მისი აზრით, სისხლის სამართლის კანონში ქმედების გათვალისწინებულობასა და ამ ქმედების აკრძალვას შორის სხვაობა პრინციპული ხასიათისაა.<sup>3</sup> ეს მოსაზრება სავსებით სწორია, რადგან ამ მიმართებით არსებითად უნდა იყოს მსჯელობა ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის სხვაობის შესახებ. სამწუხაროდ, ეს სხვაობა დანაშაულის ცნების რუსულ მოდელში ძნელად მისაღწევი ხდება, რადგან საბჭოური და პოსტსაბჭოური რუსეთის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დღემდე ვერ გაბატონდა ის საკმაოდ ცნობილი აზრი, რომ სამართლის ნორმა არის ღირებულებითი, ჯერარსული, მსჯელობა, რომელიც ქმედების მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობის ლოგიკური წანამძღვარია. მაგრამ, სამწუხაროდ, **ბ. ნოვოსელოვი**, როგორც უკვე ჩანს, იზიარებს გერმანულ ტრადიციას, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონში ქმედების გათვალისწინებულობა ქმედების

<sup>1</sup> Уголовное право, Общая часть, М. 2004, стр. 98.

შემადგენლობის ნიშანია, ხოლო მართლწინააღმდეგობა, ამ ქმედების აკრძალვა სოციალური რეკულაციის მთელი სისტემით განისაზღვრება. ავტორი არ ეთანხმება დებულებას, რომ დანაშაულებრივი ქმედება წინააღმდეგება არა მთელ ნორმატიულ სისტემას, რომლის დაცვასაც სისხლის სამართლის კანონი თავის თავზე იღებს, არამედ, სისხლის სამართლის კანონს უშუალოდ. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ავტორი მიმართავს **პ. ბინდიზის, ნ. ტაბანცევიისა** და სხვათა მოსაზრებას, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონში ქმედების შემადგენლობის აღწერის დარღვევა ლოგიკურად შეუძლებელია. სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული სანქციის გამოუყენებლობა შეუძლია სასამართლო ხელისუფლებას და არა სამართალდამრღვევს.<sup>1</sup>

ამრიგად, **ბ. ნოვოსელოვი** იმეორებს **პ. ბინდიზის** ცნობილ დებულებებს, რომლის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი პირი მოქმედებს არა სისხლის სამართლის კანონის წინააღმდეგ, არამედ ამ კანონში აღწერილი ქმედების შემადგენლობის შესაბამისად და რომ სისხლის სამართლის ნორმის სანქცია მიმართულია არა მოქალაქეებზე, არამედ სამართლის შემფარდებულ ორგანოებზე. ამ პოზიციიდან გასაკებია, რომ სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი ჩვეულებრივი ფიზიკური ან იურიდიული პირი ვერ იქნება და, მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტებს შორის არ არსებობს. თუ ეს ასეა, მაშინ გასაკებია, რომ არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა არსებობდეს, რადგან ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ურთიერთობის გარეშე პასუხისმგებლობა არ არსებობს. უფრო მეტიც, **ბ. ნოვოსელოვი** მიდის დასკვნამდე, რომ სისხლის სამართლის ნორმაში აღწერილია ქმედების შემადგენლობა, როგორც სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პირობა და ამდენად სისხლის სამართლის ნორმა დისპოზიციისთვის ადგილს

<sup>1</sup> Уголовное право, Общая часть, М. 2004, стр. 99.

არ ტოვებს.<sup>1</sup>

ირაკვია, რომ სისხლის სამართლის ნორმაში აღწერილია ქმედების შემაღვენლობა, როგორც დანაშაულის ცნების დადგენის ტექნიკურ-იურიდიული ხერხი, ხოლო ქმედების შემაღვენლობის შესაბამისი ქმედების აკრძალვა მოცემულია სისხლის სამართლის კანონმდებელ და მის ფარგლებს გარეთ. საკითხავია: რანაირად შეიძლება სისხლის სამართალი სამართლის დამოუკიდებელ დარგად ჩაითვალოს და ამავე დროს ვამტკიცოთ, რომ სისხლის სამართლის კანონმა დანაშაულებრივი ქმედების აკრძალვის საკუთარი სისტემა არ იცის? უკვე აღვნიშნე ისიც, რომ სამართლის სისტემაში სისხლის სამართალს სულ ბოლო ადგილი უჭირავს. ეს იმით აიხსნება, რომ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისგან თავშეკავების მოთხოვნა ნორმატიული მოთხოვნის ის მინიმუმია, რომელიც ადამიანს წარედგინება. ამგვარი ნორმატიული მოთხოვნის გარეშე სისხლის სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი, შეუძლებელია. უცნაურია ავტორის შემდეგი მტკიცება: სისხლის სამართლის კანონში არაა არც ერთი მუხლი, რომელშიც პირდაპირ მითითებული იყოს დასჯის მუქარით ამ ქმედების აკრძალვაზე.<sup>2</sup> მე კი ვფიქრობ პირიქით — სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმაში არ არსებობს ნორმა, რომელშიც დანაშაულებრივი ქმედების დასჯადობაზე არ იყოს ლაპარაკი, ხოლო ის, რომ ესა თუ ის ქმედება ისჯება ასე თუ ისე, — ნიშნავს ამ ქმედების სისხლისსამართლებრივ აკრძალვასაც. ეს მოსაზრება გამოთქმულია გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც კი, იმის მიუხედავად, რომ აქ სისხლისსამართლებრივ ურთიერთო-

<sup>1</sup> Уголовное право, Общая часть, М. 2004, стр. 98.

<sup>2</sup> იოჰანეს ვესელსი, (ვერნერ ბოილკე), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი, 2010, გვ. 48 (გერმანულიდან თარგმნა ზურაბ არსენიშვილმა, ხოლო ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორობა გასწია სამართლის დოქტორმა ი. დვალაძემ).

ბაზე არაფერს ამბობენ. მაგალითად, **იოჰანეს ვისელსი** და **ვერნერ ბოილკის** ნაშრომში ნათქვამია, რომ "ადამიანი როგორც სამართლის სუბიექტი, სამართლებრივი მოვლენების შუაგულში დგას. სისხლისსამართლის ნორმები სწორედ მისი ქცევისკენაა მიმართული. კანონმდებელი დანაშაულის შემაღ-გენლობის განმახორციელებელს დასჯით ემუქრება, რითაც იგი კონკლუდენტურად განსაზღვრული სახის აკრძალვებისა და ვალდებულებების არსებობის შესახებ გვამცნობს."<sup>1</sup>

ამ საკითხზე შემდგომაც ვიმსჯელებთ, მაგრამ ამჯერადაც შეიძლება იმისი თქმა, რომ სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის შემაღგენლობის განმახორციელებელ პირს დასჯით უკვე ვერ დაემუქრება, რადგან დანაშაულის შემაღგენლობის განმახორციელებელ პირს შეიძლება დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი. მაშასადამე, დასჯის მუქარა, სისხლის სამართლის სუბიექტზეა მიმართული ცხადია, არსებობენ ე. წ. ბლანკეტური ნორმები, რომლებშიც გამოხატულია, ქმედების, ასე ვთქვათ, პირველადი აკრძალვა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს აკრძალვის სისხლისსამართლებრივ ბუნებას. მაგალითად, ავტოსატრანსპორტო დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, არღვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისა და ექსპლუატაციის დადგენილ წესებს, მაგრამ ამ წესების დანაშაულებრივი დარღვევა იმას ნიშნავს, რომ ქმედება და მისი შედეგი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობისაა. მაგალითად, საქ. სსკ-ის 275-ე მუხლის პირველ ნაწილში ლაპარაკია რკინიგზის, წყლის, საჰაერო, ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევაზე იმათ მიერ, ვისაც სპეციალურად ვვალება ამ წესების დაცვა, თუ ამ დარღვევას მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ზოლო, ეს ქმედება

<sup>1</sup> **იოჰანეს ვესელსი**, (ვერნერ ბოილკე), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აკრძალვა, თბილისი, 2010, გვ. 48(გერმანულიდან თარგმნა ზურაბ არსენიშვილმა, ზოლო ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორობა გასწია სამართლის დოქტორმა ი. დვალისძემ).



ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.<sup>1</sup>  
გასაგები უნდა იყოს, რომ ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის წესები დადგენილია სისხლის სამართლის კანონამდე და მის გარეთ, ხოლო თუ ამ წესების დარღვევას მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, მაშინ ჩადენილია დანაშაული. ამ შემთხვევაში სასჯელის მუქარით აკრძალული ქმედებაა ჩადენილი და ამდენად ამ ქმედების სისხლის სამართლებრივი მართლწინააღმდეგობა დაეას არ უნდა იწვევდეს. ჩვენ იბულებული ვართ კვლავ გაეიმეოროთ პროფ. **თ. შირაშილის** შეძრევი დებულება: სისხლის კანონი „დანაშაულის შემადგენლობის შექმნით და მასთან სასჯელის დაკავშირებით ქმნის ნორმას, რომელიც საკლდეებულაა ვველა მოქალაქისთვის. მართალია, სისხლის სამართლის კანონი რუდაქციულად არ არის ისე აგებული: ქურდობა ვველასთვის აკრძალულია, და თუ ვინმემ მოიპარა, — ასე და ასე დაისჯებაო. მაგრამ იგი ამას მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკური მოსაზრების გამო არ აკეთებს, ვინაიდან ვველასთვის გასაგებია, რომ თუ კანონი რაიმე ქმედებას დასჯადად აცხადებს, იგი ამ ქმედებას კრძალავს.“<sup>1</sup>

მე ვიზიარებ პროფ. **თ. შირაშილის** ამ მოსაზრებას, რადგან მასში სწორადაა მოაზრებული, ერთის მხრივ, ქმედების შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმაში, ხოლო, მეორეს მხრივ, — ქმედების შემადგენლობის განხორციელების აკრძალვა სწორედ სისხლის სამართლის კანონის სანქციაში. ავტორის მართებული დასკვნით, „სისხლის სამართლის კანონის ძირითადი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი უკრძალავს მოქალაქეთ განსაზღვრული მოქმედების შესრულებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს იგი მართლმსაჯულების ორგანოებს და აყალიბებს მათი მოქმედების წესს მოქალაქის მიერ ნორმის დარღვევის შემთხვევაში.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> თ. შირაშილი, სისხლის სამართლის პრობლემები, თბილისი, ტ. 1. გვ. 36.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 36.



ამ მოსაზრებას იხიცი უნდა დაეუმატოთ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შექმნისას სისხლის სამართლის კანონმდებლების შემადგენლობის აღწერით კი არ იწყება, არამედ იმ საკითხის გადაწყვეტით, თუ რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედება ჩაითვალოს დანაშაულად, ანუ მართლსაწინააღმდეგოდ და მხოლოდ იმის შემდეგ ქმნის იგი სისხლის სამართლის კანონმდებლების შემადგენლობას.

მართლწინააღმდეგობის თაობაზე, როგორც ეს გერმანულ ენაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, საკმაოდ ბევრი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ ზოგიერთი აღმოჩნდა, თუმცა, ამ საკითხზე ზოგადი სურათის შესაქმნელად ესეც საკმარისია. მაგალითად, **ჰანს იესეკი** საკმაო სისრულით განიხილავს სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობის ცნებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური გაგებით. მისი აზრით, მართლწინააღმდეგობა ნიშნავს ქმედების წინააღმდეგობას სამართლის ნორმასთან. ეს დებულება კი შემდეგნაირად უნდა იქნეს გაგებული: კანონმდებელი სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტად აქცევს ადამიანთა თანაცხოვრებას, ხოლო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ამ თანაცხოვრებას იცავენ, უბრალო მაიძულებელ მოთხოვნებს კი არ გამოხატავენ, არამედ მართლწესრიგის შექმნისკენ მიმართულ მოთხოვნებს. ქმედების მართლწინააღმდეგობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის არაა მხოლოდ ფორმალური წინააღმდეგობა სამართლის ნორმასთან, არამედ, მისი ძირი არის მატერიალურ მართლწინააღმდეგობაში. ეს იმაში ჩანს, რომ ქმედება ხელყოფს სამართლის ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, მაგრამ არა მხოლოდ ბუნებისმეტყველური გაგებით, როგორც ნიუთონის ფაქტობრივი დაზიანება, არამედ, როგორც აგრეთვე სამართლის ნორმით დაცული იდეალური ღირებულების ხელყოფაც.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Hans –Heinrich Ieschek, Lehrbuch Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1998, s. 209-210.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმა-ობიექტურად შეფასებითი მსჯელობაა, რომლის საფუძველზეც ქმედება ფასდება როგორც მართლზომიერი ან მართლსაწინააღმდეგო. საინტერესოა ავტორის მტკიცება, რომ სამართლის ნორმას ორმაგი ბუნება აქვს: ერთის მხრივ, ის აღწერს ქმედების ნიშნებს, ხოლო, მეორეს მხრივ, დაშნაშვიის ქმედებას აფასებს როგორც ფაქტობრივად ვალბს.<sup>1</sup>

ანალოგიურია **პ. როქსინის** მსჯელობაც, რომლის თანახმად, ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედება ტიპურად მართლსაწინააღმდეგოა. აქედან ავტორი ასკვნის, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება ქმედების მართლწინააღმდეგობის ინდიკატორია. თუმცა, ავტორი არც იმ ფაქტს იფიქვებს, რომ ქმედების შემადგენლობა არ შეიძლება მართლსაწინააღმდეგო იყოს, თუ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამოპრიცხველი რომელიმე გარემოება.<sup>2</sup>

ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი ასე მარტვი არაა. განსაკუთრებით რთულდება იგი დანაშაულის სისტემაში განხილვის დროს, როცა იგი, ერთის მხრივ, მიმართებაშია ქმედების შემადგენლობასთან, ხოლო, მეორეს მხრივ, — ბრალთან. მაგრამ ამ საკითხს საგანგებოდ მოგვიანებით განვიხილავ. ამჯერად კი იმას ვიტყვი, რომ გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, როგორც წესი, აღიარებულია, რომ არ არსებობს სპეციალური, სისხლისსამართლებრივი, მართლწინააღმდეგობა. ამ დასკვნას იმის საფუძველზე აკეთებენ, რომ მართლწესრიგი ერთიანია და ამდენად არსებობს მართლწინააღმდეგობის ერთიანი ცნება, რომელიც სამართლის ყველა დარგისთვის საერთოა. მართლწესრიგის ერთიანობის იდეიდან ასკვნიან რომ შეუძლებელია სამართლის ერთ დარგში რაიმე აკრძალოს და ის სამართლის

<sup>1</sup>Hans -Heinrich Ieschek, Lehrbuch Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1998, s. 213.

<sup>2</sup>C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1, München, 2006, s.197.

მეორე დარგში იყოს ნებადართული.<sup>1</sup> უფრო მეტიც, ზოგიერთი გერმანელი კრიმინალისტი ისე შორს მიდის, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობის პრობლემას მართლწესრიგის ფარგლებს მიღმა იაზრებს, როგორც ქმედების წინააღმდეგობას კულტურის ნორმებისადმი. ასე ფართოდ გაგებული მართლწინააღმდეგობა, ცხადია, სცილდება დანაშაულის ცნების ფარგლებს, ხოლო, ეს არსებითად ვერ ეკუთვნის „მართლწინააღმდეგობის,” როგორც ქმედების სამართლებრივი შეფასების, ცნებას.

სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის უარყოფა არსებითად არაა სწორი, რადგან, ჯერ ერთი, არსებობს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, როცა სისხლის სამართლის სუბიექტი ვალდებულია მოქმედებდეს მართლზომიერად და ქმნიდეს მართლწესრიგს. აქედან გამომდინარე, მართლწინააღმდეგობა ქმედება, რომელიც არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და ხელყოფს მართლწესრიგს. გარდა ამისა, არსებობს უმართლობის ცნება, როგორც ქმედების შემაღგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის ერთიანობა. თუ სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა არ არსებობს, მაშინ არც სისხლისსამართლებრივი უმართლობა არსებობს, მაშინ როცა უმართლობის კლასიფიკაციაში სისხლისსამართლებრივი უმართლობა დაეას არ იწვევს. მაგალითად, არსებობს მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ქურდობის და ა. შ. უმართლობა. შესაძენ, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის უარყოფა პრაქტიკულადაც მიუღებელია. მაგალითად, კაცმა იქურდა, მაგრამ მან შემდგომ მოგვიანებით გაიგო, რომ ნიუთის პატრონს ეჭვი მასზე ჰქონდა მიტანილი და იგი იძულებული გახდა, ნაქურდალი პატრონისთვის დაებრუნებინა. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო დავის საფუძველი, ანუ სამოქალაქო-სამართლებრივი მართლწინააღმდეგობა არ

<sup>1</sup> А. Е. Жалинский, Современное немецкое уголовное право, М. 2004, стр. 178.

არსებობს, მაშინ როცა ქურდობა უკვე ჩადენილია, მისი მორალური პოლიტიკური შედეგები სახეზეა და, მაშასადამე, ჩადენილი ქმედება (ქურდობა) სწორედაც რომ სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო. ცხადია, „მართლწინააღმდეგობა“ არის ზოგადსამართლებრივი კატეგორია, მაგრამ ის სამართლის ვველა დარგში, მათ შორის სისხლის სამართალშიც, სპეციფიკურად ვლინდება. სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა რომ არ არსებობდეს, მაშინ, ჯერ ერთი, მოგვიწვეს იმისი მტკიცება, რომ მართლწინააღმდეგობა, როგორც სამართლის სფეროში ზოგადი კტეგორია, სისხლის სამართალში, ანუ, კერძოში არ ვლინდება, ესე იგი, გამოდის, რომ ზოგადი კერძოში არ ვლინდება, რაც შეუძლებელია და ზოგადის უარყოფასაც წარმოადგენს. მეორეც, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის გარეშე ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება, ანუ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაც შეუძლებელი იქნებოდა.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის უარყოფა სწორი არ არის. მაგრამ მართლწინააღმდეგობის პრობლემა სხვა სიძნელეებთანაც არის დაკავშირებული. კერძოდ, შეიძლება თუ არა შეურაცხადი პირის ქმედება შეფასდეს როგორც მართლსაწინააღმდეგო? ეს საკითხი მისი არსებითი მნიშვნელობის გამო ცალკე პარაგრაფად განხილვის ღირსია.

## § 2. შეურაცხადი პირის მოქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხისათვის

უკვე აღინიშნა, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმებში გათვალისწინებულია დამთავრებული დანაშაულის მოდელი, რომელიც ბრალის ფორმებსაც გულისხმობს. მაგალითად, მკვლელობის უმართლობა ბრალის განზრახი ფორმის გარეშე განხორციელებული ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, სისხლის

სამართლის კრძო ნაწილის ნორმის ადრესატი შეიძლება იყოს მხოლოდ შერაცხადი პირი. ამიტომ, რომ შერაცხადისა და მასთან დაკავშირებული საკითხები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია გადაწყვეტილი. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ სახელმწიფოსთან დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ შერაცხადი პირი. შერაცხადი პირი კი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი ვერ იქნება, იმის მიუხედავად, რომ მისი ქმედება შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო.

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, როგორც წესი, ამტკიცებენ, რომ სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა თანაბრად ვრცელდება ყველა ადამიანზე, იმის მიუხედავად, თუ როგორია მისი ასაკი და სულიერი მდგომარეობა. ამავე დროს გერმანელი კოლეგები არ უარყოფენ, რომ სისხლის სამართლის ნორმა არის ღირებულებითი მსჯელობა და რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევას გამოხატავს. საკითხავია: ეკისრება თუ არა შერაცხად პირს მართლზომიერი ქმედების ვალდებულება? პასუხი, ჩემი აზრით, უარყოფითია, რადგან შერაცხადი პირის ქმედების მართლწინააღმდეგობის დასაბუთების სხვა არგუმენტი არსებობს, ვიდრე მისი არარსებული სისხლისსამართლებრივი ვალდებულება, რომლის აღქმა და გაგება შერაცხად პირს არ შეუძლია და არც მოეთხოვება. ამ მხრით ფრიად საინტერესოა **ჰ. რუსიაშვილის** მსჯელობა სამოქალაქო სამართალში მართლწინააღმდეგობის თაობაზე. კრძოდ, ავტორი ამტკიცებს, რომ იურიდიული ვალდებულება უფლების დაცვის საშუალებაა. იურიდიული ვალდებულება კი არ ირღვევა, არამედ, მართლსაწინააღმდეგო ქმედება ყოველთვის არღვევს უფლებას. ავტორის დასკვნით, „უფლების დარღვევა იურიდიული ვალდებულების შეუსრულებლობით არის სამართლის ნორმასთან

ქმედების წინააღმდეგობის ერთადერთი ფორმა.<sup>1</sup>

ეს მოსაზრება ფრიად საინტერესოა, რადგან, ირაკლიანის მომხრეებმა მართლწინააღმდეგობა უფლების დარღვევით გამოიხატება. ნიშნდობლივია, რომ **ლაშა-გიორგი კუტალია** ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს. მისი აზრით, შეურაცხადი იმდენად მოქმედებს მართლწინააღმდეგოდ, რამდენადაც მას ძალუძს დაარღვიოს სხვისი სამართლებრივად დაცული უფლება.<sup>2</sup> მაგალითად, შეურაცხად პირს შეუძლია სიცოცხლე მოუსპოს ადამიანს, ანუ დაარღვიოს სიცოცხლეზე მისი უფლება, ისევე როგორც ამგვარ პირს შეუძლია დააზიანოს ან გაანადგუროს საკუთრების უფლების გამომხატველი რომელიმე კონკრეტული საგანი (მაგალითად, ავტომანქანა, კომპიუტერი, ტელეფონი და ა.შ.). ცხადია, ამგვარ პირს შეუძლია დაარღვიოს მართლწესრიგის დაცვაზე სახელმწიფოს უფლებაც.

ამრიგად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შეურაცხადი პირის მოქმედების მართლწინააღმდეგობა სამართლით დაცული სხვისი უფლების დარღვევით გამოიხატება. ამ დებულებით ჩვენ თავიდან ვიცილებთ იმ გაუგებრობას, როცა შეურაცხად პირს ვაკისრებთ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, რომლის შესრულება ამ პირს არ შეუძლია და მაშინ, ცხადია, მას არც უნდა მოეთხოვოს. მაგრამ მართლწინააღმდეგობის პრობლემა იმითაც რთულდება, რომ ის პირდაპირ კავშირშია სუბიექტის ქცევის მიზანთან. თუნდაც უარყოფითი მნიშვნელობის მიზნის დასახვა და აღსრულება კი მხოლოდ შეურაცხად პირს შეუძლია. **ლაშა-გიორგი კუტალია** ასეთ მაგალითს იმონებს: როცა პირი მოიპარჯვებს ცეცხლსასროლ იარაღს და დაუმიზნებს მის მოპირდაპირე მხარეს მდგომ პირს, მარტოოდენ ამ ფაქტიდან არ შეიძლება ვამტკიცოთ, თუ რომელი

<sup>1</sup> Д. В. Русиашвили, Категория противоправности в гражданском праве, „Гражданско-правовая норма и формы ее применения, Тбилиси, 1982, стр. 48.

<sup>2</sup> ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისი, 2000, გვ. 501.

დანაშაულის (მკვლევლობისა, თუ მისი მცდელობის) ჩადენა-ქმედება პირს გადაწყვეტილი, მაგრამ ეს ობიექტური ქმედება, სუბიექტურად მიზნის მიუხედავად, ობიექტურად მართლსაწინააღმდეგოა. აქედან ავტორი ასკვნის, რომ თუ ნორმის ობიექტურად დარღვევა არ ხდება, ქმედების მართლსაწინააღმდეგობის აღიარება უკიდურესი სუბიექტივიზმი იქნებოდა.<sup>1</sup> ეს დებულება სწორია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ქმედების შეფასება ადამიანის მიზნის ხასიათზე საერთოდ არაა დამოკიდებული. ეს იქნებოდა ობიექტივიზმი, ანუ მეორე უკიდურესობა. მაგალითად, თუ პირი მიზნად არ ისახავს თავისი, ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვას, მაშინ, მისი აქტიური მოქმედება აუცილებელი მოგერიების აქტად ვერ ჩაითვლება. ცხადია, შეურაცხად პირზე ფიზიკური თაუდასხმა ამ უკანასკნელს მოგერიების უფლებას ანიჭებს, იმის მიუხედავად, რომ შეურაცხადის მიზნობრივი მოქმედება ფრიად საეჭვოა. მაგრამ, ადამიანის ქმედების შეფასებაში მიზანს საზოგადოდ აქვს დიდი მნიშვნელობა და მისი უგულვებელყოფა დაუშვებელია.

მიზნის მიხედვით ადამიანის ქმედების შეფასების ნათულსაყოფად ჩვენ იძულებული ვართ, გავიმეოროთ პროფ. **თ. ჯერათილის** მიერ მოხმობილი მაგალითი, როცა სახლს გაუჩნდა ხანძარი, ოთახში დაგროვილი კვამლი აკვანში მწოლიარე ბავშვს გაზით მოხრჩობის საფრთხეს უქმნის. ამ დროს ქურდმა ოთახში შემოჭრის მიზნით გარედან შემოამტვრია ფანჯარა, ოთახში დაგროვილი კვამლი გატეხილი ფანჯრიდან გაიფანტა და ბავშვი გაზით მოხრჩობას გადაურჩა. ამის მიუხედავად, ქურდის მოქმედება მაინც მართლსაწინააღმდეგოა, რადგან, მას ამოძრავებდა არა ბავშვის გადარჩენის, არამედ ოთახის გაქურდვის მიზანი.

ამრიგად, ქმედების მართლსაწინააღმდეგობა ქმედების მიერ შექმნილი ობიექტური საფრთხის გარეშე არ არსებობს, მაგრამ

<sup>1</sup> ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისი, 2000, გვ. 501-502.

ადამიანის ქმედების შეფასება მხოლოდ ობიექტური მხრიდან ობიექტივიზმია, რადგან, სუბიექტის ქმედების მიზანი არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული. ადამიანის ქმედების შეფასება მიზნის, ამ მიზნის მიღწევის საშუალებისა და დამდგარი (მიღწეული) შედეგის ერთიანობა ადამიანური საქმიანობის შეფასების ზოგადი კრიტერიუმი და მისგან არც ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასებაა მოწყვეტილი. აქედან ის დასკვნაც გამოძინარუობს, რომ რამდენადაც შეურაცხად პირს არ შეუძლია დაისახოს მიზანი, ამ უკანასკნელის აქსიოლოგიური, თუ ფსიქოლოგიური გაგებით, ამდენად, შეურაცხადის მოქმედება, როგორც წესი, ფასდება როგორც მართლსაწინააღმდეგო მხოლოდ მისი მოქმედების ობიექტური საფრთხიდან გამოძინარუ, მაშინ როცა შეურაცხადი პირის ქმედება, როგორც უკვე ჩანს, უნდა შეფასდეს მიზნის, საშუალებისა და დამდგარი შედეგის ერთიანობის საფუძველზე.

**და, ბოლოს,** უკვე ითქვა, რომ სისხლის სამართალში წამყვანია დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიული ფორმაა. სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობა (მართლზომიერი ქმედებისა და მართლწესრიგის შექმნა-დაცვისთვის), ცხადია, შეურაცხ პირს არ დაეკისრება. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი მხოლოდ შეურაცხადი პირია.

### **§ 3. ქმედების შემაღვენლობისა და მართლწინააღმდეგობის მიმართების საკითხისათვის**

დავას არ იწვევს ის დებულება, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების (დანაშაულის) შემაღვენლობის განხორციელების გარეშე ქმედების მართლწინააღმდეგ-



გობის საკითხი არ დადგება. ცხადია, არსებობს დანაშაულისთვის მზადება, ან მისი ჩადენის მცდელობა, მაგრამ შემადგენლობის გარკვეული ნიშნების მქონე ქმედების გარეშე ვერც დაუმთავრებელი დანაშაულის ჩადენა იქნებოდა შესაძლებელი. მით უფრო, რომ აქ ქმედება ორი მუხლით კვალიფიცირდება: ზოგადი ნაწილის იმ მუხლით, რომელიც მომზადებას, ან მცდელობას ითვალისწინებს და სისხლის სამართლის კერძო ნაწილის იმ მუხლით, რომლის მომზადება და ჩადენის მცდელობა იქნა განხორციელებული. მაგრამ ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის მიმართების პრობლემა განსაკუთრებით რთულია. ეს, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელზე უნდა ითქვას, რადგან, დანაშაულის სამკვალიანი სისტემაში (ქმედების შემადგენლობა, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი) მისი ელემენტების ერთიანობის დადგენა ადვილი არაა. ამ მხრით, პირველ რიგში, ქმედების შემადგენლობისა და ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის მიმართებას შევხები, რადგან ეს საკითხი მეთოდოლოგიურად უადრესად მნიშვნელოვანია. კერძოდ, არავინ არ დაუობს და ალბათ არც მომავალში იდავეებს იმ დებულების თაობაზე, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა არის ჩადენილი, ანუ ქმედების უკვე განხორციელებული შემადგენლობის უარყოფითი სამართლებრივი შეფასება. ამ პოზიციიდან ძნელი არაა იმ დასკვნის გაკეთება, რომ მაშინ (ესე იგი, თუ მართლწინააღმდეგობა ქმედების სამართლებრივ შეფასებას გამოხატავს), ქმედების შემადგენლობა თავისი ბუნებით შეფასებითი ვერ იქნება. ეს ბუნებრივია, რადგან, შეფასების საფუძველი (სამართლის ნორმა) და შეფასების საგანი (ქმედების განხორციელებული შემადგენლობა) ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული მოვლენებია. ეს დებულება ადვილი გასაგები გახდება, თუ ამ საკითხში ღირებულების თეორიიდან, ანუ აქსიოლოგიური მოძღვრებიდან ამოვალთ ამ პოზიციიდან გასაგებია, რომ სამართლის ნორმა ღირებულებით (შეფასებით) მსჯელობას წარმოადგენს, თუმცა ის არც აღწერილობით,

ფაქტის ვითარებისგანაა მოწყვეტილი. დებულება, რომ ქმედების შემადგენლობა არის აღწერილობითი, ფაქტის, მსჯელობა, მაშინ არაერთ სიძნელეს. თუ ქმედების შემადგენლობა აღწერილობითია, მაშინ, ის შეფასებითი არაა, ესე იგი, არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო, მაშინ, ჯერ ერთი, როგორ ხდება ქმედების შემადგენლობიდან ამავე ქმედების მართლწინააღმდეგობაზე გადასვლა? მეორეც, არსებობს თუ არა ქმედების შემადგენლობა მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველ გარემოებებში?

დავინწყით პირველი დებულების განხილვით კერძოდ, საქმე ჯება არსიდან ჯერარსზე გადასვლის მეთოდოლოგიას. ქმედების შემადგენლობა არის ფაქტის, ანუ არსის მსჯელობა, ხოლო სისხლის სამართლის ნორმა, რომელიც ქმედების შემადგენლობის შეფასებას გამოხატავს, ჯერარსულია. აქედან გამომდინარე, ამკარაა, რომ ქმედების შემადგენლობიდან ამავე ქმედების მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლის გზა არ არსებობს. ეს არის დეონტური, ანუ ნორმათა ლოგიკის ძირითადი მოთხოვნა, რომლის უგულებელყოფა არაერთი საბედისწერო შეცდომის წყაროა. კერძოდ, რაკი ქმედების შემადგენლობა არის აღწერილობითი მსჯელობა, მაშინ, ის შეფასებითი არ არის, ესე იგი არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. ქმედების შემადგენლობის განხორციელება მართლზომიერი აქტი უკვე აღარაა, რადგან, ის სცილდება სახელმწიფოსთან სუბიექტის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს, მაგრამ, მეორე მხრივ, არც მართლსაწინააღმდეგოა, რადგან, ეს ქმედება სამართლებრივად თავისუფალ სფეროში გადადის.

ამრიგად, სამართლის სფეროში ადამიანის ქმედება, როგორც წესი, მართლზომიერია, ან მართლსაწინააღმდეგო. მაგრამ არსებობს შესამე შესაძლებლობაც, როცა ქმედება არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. ეს საკითხი გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სადავოა. უძრავლესობა, როგორც ჩანს, იმ აზრისაა, რომ სისხლის სამართალში ქმე-

დება მართლზომიერია ან – მართლსაწინააღმდეგო. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მოტანილია ამ საკითხზე დისკუსია, საიდანაც ჩანს, რომ აზრი ქმედების სამართლებრივი ნეიტრალობის შესახებ (ესე იგი, არაშეფასებითობის თაობაზე) მცდარად მიაჩნიათ და გაკეთებულია დასკვნა, რომ ქმედება აკრძალულია და ამიტომაც მართლსაწინააღმდეგოა.<sup>1</sup>

ამ საკითხზე განსაკუთრებით საინტერესოა გამოჩენილი გერმანელი კრიმინალისტიკის **პ. როქსინის** მსჯელობა. ავტორი კატეგორიულად არ ეთანხმება იმ უმცირესობას, რომლის თანახმად, სამართალში ქმედება შეიძლება იყოს არა მარტო მართლზომიერი ან მართლსაწინააღმდეგო, არამედ არსებობს შესაძლებლობაც, როცა ქმედება სამართლებრივად თავისუფალ სფეროშია და ამიტომ არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. ამ დებულების წინააღმდეგ ავტორი ამტკიცებს, რომ სამართალში ქმედება ან მართლზომიერია, ან – მართლსაწინააღმდეგო და რომ შესაძვე გამორიცხულია. გამორიცხული შესამის ლოგიკური კანონი, ავტორის აზრით, მოქმედებს ქმედების მართლზომიერების, ან მართლსაწინააღმდეგობის შიგნით და არა მათ გარეთ. გარდა ამისა, ავტორი ამტკიცებს, რომ ორი კონტრადიქტორული მსჯელობა: „მართლსაწინააღმდეგოა“ და „არაა მართლსაწინააღმდეგო“ შესამის შესაძლებლობას არ ქმნის და ამ მიმართებით უმცირესობის აზრი სწორი არაა.<sup>2</sup>

**პ. როქსინის** ამ არგუმენტაციას ვერ დავეთანხმები. სხვას რომ თავი დაუანებოთ, რანაირად შეიძლება ორი კონტრადიქტორული მსჯელობა: „მართლსაწინააღმდეგოა“ და „არაა მართლსაწინააღმდეგო“ შესამეს არ ქმნიდეს? თუ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, მაშინ ის ამავე დროს მართლზომიერი ვერ იქნება. მაგრამ, თუ ქმედება მართლსაწინააღმდეგო არაა, მაშინ, ეს ქმედება

<sup>1</sup> Baumann (Weber) Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, Tubingen, 1995, s. 281-282.

<sup>2</sup> კ. როქსინის დასახ. ნაშრომი, გვ. 610-612.

აუცილებლად მართლზომიერი იქნება? ხომ შეიძლება, რომ ქმედება, რომელიც მართლსაწინააღმდეგო არაა, არც მართლზომიერი იყოს? დიახ, სწორედაც რომ ასეა: ქმედება, რომელიც არა მართლსაწინააღმდეგოა, არ გამორიცხავს იმას, რომ ეს ქმედება არც მართლზომიერია. მაშასადამე, ორი კონტრადიქტორული მსჯელობა: „მართლსაწინააღმდეგოა“ და „არაა მართლსაწინააღმდეგო“, სრულიადაც არ გამორიცხავს შესაძლებელს, ესე იგი იმას, რომ ქმედება, რომელიც მართლსაწინააღმდეგო არაა, შესაძლოა, არც მართლზომიერია. ასეთია სწორედ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, რომლის პრაქტიკული განხორციელება სწორედაც რომ სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში გადადის. იგულისხმება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ფარგლებში ადამიანთა ქმედება მართლზომიერია. როგორც კი განხორციელდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, — ეს ქმედება უკვე მართლზომიერი აქტი არაა, რადგან, როგორც ითქვა, იგი უკვე სცილდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს, მაგრამ არც მართლსაწინააღმდეგოა, რადგან, ქმედების შემადგენლობიდან, როგორც აღწერილობითი მსჯელობიდან, ქმედების მართლსაწინააღმდეგობაზე გადასვლის პირდაპირი ლოგიკური გზა არ არსებობს.

ამრიგად, გერმანელი კოლეგებისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად მაინც არ შეიძლება არ ითქვას, რომ მათ არ აწუხებთ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა, როგორც სამართლის ნორმის, როგორც ჯერარსის, და მართლწესრიგის, როგორც არსის, კავშირის სპეციფიკური ფორმა. ამდენად, ისინი აზროვნებენ სამართლის სფეროს ფარგლებში. ამ პოზიციიდან კი ქმედება ან მართლზომიერია ან — მართლსაწინააღმდეგო, მაშინ როდესაც არსებობს შესაძლებლობა, როცა ქმედება არც მართლზომიერია და არც

მართლწინააღმდგომ, ესე იგი როცა განხორციელებულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, რომელსაც სუბიექტი გადაჰყავს სამართლებრივად თავისუფალ სფეროში, ანუ სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ სამართლებრივი ურთიერთობის უგულებელყოფა სხვა არაფერია, თუ არა ნორმატივში, რომლის ფარგლებში დასმული საკითხის გადაჭრა შეუძლებელია.<sup>1</sup> უფრო მეტიც, ქმედების შემადგენლობის მიმართ გამორიცხული მესამის ლოგიკური კანონი არ გამოდგება. კერძოდ, პროფ. **ს. წერეთელი** გამორიცხული მესამის ლოგიკური კანონის დადებითი დახასიათებისას აღნიშნავს, რომ წინააღმდეგობას ორი — ერთმანეთის წინააღმდეგ — მხარე აქვს და მესამე ასეთი მხარე გამორიცხულია.<sup>2</sup> მაგრამ ამ კანონის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ ის რაიმეს კი არ ადგენს დადებითად, როგორც ამას საზოგადოდ კანონი მოითხოვს, არამედ, გამორიცხავს მესამეს.<sup>3</sup>

აქედან გამომდინარე, ქმედების შემადგენლობის ბუნების დასადგენად გამორიცხული მესამის ლოგიკური კანონი არ გამოდგება, რადგან, საქმე ეხება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის არა გამორიცხვას, არამედ, პირიქით, მის დადგენას ისე, როგორც ის პრაქტიკულად განხორციელდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩადენილი ქმედების გამო სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამ ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაცია შეუძლებელი იქნებოდა.

ამ მეთოდოლოგიური პოზიციიდან ადვილია პასუხი იმ ფრიად სადავო კითხვაზე, არსებობს თუ არა ქმედების შემადგენლობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში? შემადგენლობის ე. წ. „ნეგატიური ნიშნების“ თეორია ამ კითხვაზე

<sup>1</sup> გ. ნაჭყებია, დეონტური ლოგიკა და სამართლებრივად თავისუფალი სფეროს პრობლემა სისხლის სამართალში, “ფილოსოფიური ძიებანი,” ტ. XIV თბილისი, 2010

<sup>2</sup> ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, თბილისი, 1965, გვ. 152.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 151.

უარყოფითად პასუხობს, რის გამოც მას ლოგიკურად დანაშაულის ორკვლიანი სისტემა (მართლწინააღმდეგობა და ბრალი) გამოუდის, ნაცვლად სამკვლიანი სისტემისა. დანაშაულის ცნების სამკვლიანი სისტემიდან გამომდინარე, ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ დგას, როცა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა უკვე განხორციელებულია. ამიტომ შემადგენლობის „ნჯატიური ნიშნების“ თეორია სწორი არაა, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ქმედების შემადგენლობის განხორციელების გარეშე მისი მართლწინააღმდეგობის საკითხი არც დადგება. მით უფრო, რომ ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან მის მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია, ანუ შემადგენლობის ფაქტი ქმედების მართლწინააღმდეგობას მხოლოდ სავარაუდოდ ადასტურებს (გამოძიების სტადიაზე).

ცხადია, ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ სავარაუდოდ დასკვნა სასამართლო განაჩენისთვის საკმარისი არაა. იმისათვის, რომ სასამართლოში დასკვნა მართლწინააღმდეგობის შესახებ იყოს კატეგორიული, ანუ დედუქციური წესით მიღებული, საჭიროა დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის კრიტერიუმი. კერძოდ, ქმედების განხორციელებული შემადგენლობის ფაქტიდან სასამართლო აკეთებს უკუდასკვნას იმაზე, რომ სისხლის სამართლის სუბიექტი ვალდებული იყო ემოქმედა მართლზომიერად, მაგრამ მან დაარღვია სისხლის სამართლის, ან წინდახედულობის ნორმის მოთხოვნა და, მაშასადამე, მისი ეს ქმედება მართლწინააღმდეგოა.



ქედების შენადგენლობა და მართლწინააღმდეგობა დანაშაულის ორი განსხვავებული ელემენტია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ორი ელემენტის ერთიანობა ქმნის შესაძლებელს — უმართლობის ცნებას. თუ მართლწინააღმდეგობა არის ქმედების უარყოფითი შეფასება, უმართლობა არის თვით ქმედების შემადგენლობის მართლწინააღმდეგო განხორციელება.<sup>1</sup> ცხადია, უმართლობის ცნება თვისებრივად ახალია, ვიდრე, მისი ცალკეული ელემენტი. საინტერესოა თვით ტერმინი „უმართლობა“ გერმანულ, თუ რუსულ ენებზე. გერმანულ ენაზე სამართალი გამოითქმის, როგორც „Recht,“ ხოლო უმართლობა — როგორც „Unrecht,“ ანუ, ის, რაც სამართლის გარეთაა. **ჰუმბოლტი** თავისი იდეალისტური ფილოსოფიის ფარგლებში ცდილობდა დიალექტიკური მეთოდის გამოყენებით გაგვეჩვენა უმართლობის არსი და საფუძველი. მისი მტკიცებით, „უმართლობას, როგორც სამართლის მოწვევებითობას, არა აქვს საფრდენი თვით სამართალში თავის თავად, საყოველთაო ნებაში. ამიტომ იგი არის არარა, მოწვევებითი, არაგონიერი, არაჭეშმარიტი.“<sup>1</sup>

ცნობილია, რომ **ჰუმბოლტის** ფილოსოფიაში დანაშაული არის სამართლის უარყოფა, ხოლო სასჯელმა უნდა უარყოს დანაშაული. ამ პოზიციიდან გასაგებია, თუ რატომ მიიჩნევს ჰუმბოლტი უმართლობას არარად, ესე იგი საჯარო სამართლის უარყოფად.

რუსულ ენაზე „უმართლობა“ გამოითქმის როგორც „Неправда.“ **Б. ტაბანცევი** აღნიშნავდა, რომ ეს ტერმინი გამოხატავდა სამართლის, როგორც სამართლიანობის, ხელყოფას, ესე იგი როგორც უსამართლოს.<sup>2</sup>

**Б. ტაბანცევი** არ ეთანხმებოდა უმართლობის იმ გაგებას,

<sup>1</sup> ციტირებულია ა. პონტკოვსკის ნაშრომიდან: А. А. Пионтковский, Учение Гегеля о праве и государстве и его уголовно-правовая теория, М. 1963,

<sup>2</sup> Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Общая часть, Тула, 2001, стр. 54.

რომელიც **პაპულა** დაამკვიდრა, როგორც დანაშაულის ერთ-ერთ ლოგიკურ მომენტს, რომელიც სასჯელის გარეშე არ არსებობს, მაშინ, როდესაც უმართლობის სხვა სახეები, როცა ქმედება სისხლისსამართლებრივად დასჯადი არაა, საკმაოდ ბევრია.<sup>1</sup> მართლაც, არსებობს არა მარტო სისხლისსამართლებრივი, არამედ, სხვა სახის უმართლობაც (მაგალითად, ადმინისტრაციული, სამოქალაქო, დისციპლინური).

სამწუხაროდ, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სისხლის სამართლის თეორია, უმართლობის ცნებას, როგორც წესი, არ იცნობს. გამოწვევისი ამ მხრივ გახლდათ პროფ. **თ. ჯირაქიანი**,<sup>2</sup> ხოლო პროფ. **ო. გამყრელიძე** უმართლობის სისხლისსამართლებრივი ასპექტი დანაშაულში თანამონაწილეობის ასპექტით განიხილა, როგორც თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი.<sup>3</sup> საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისთვის მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის საკმარისი არ არის, მაშინ როცა ვველა თანამონაწილე პასუხს აგებს ერთიანი უმართლობის ფარგლებში. ეს მით უფრო შეესაბამება დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას.

სისხლისსამართლებრივი აზრის ისტორიაში იყო დრო, როდესაც უმართლობა გაგებული გახლდათ წმინდა ობიექტურად (დანაშაულის ცნების კლასიკური მოდელი), მაშინ, როცა მოგვიანებით გაცნობიერდა უმართლობის ისეთი სუბიექტური ელემენტები, როგორიცაა: მიზანი (დანაშაულის ცნების ნეოკლასიკური სისტემა). ეს დანაშაულის ცნების სუბიექტური ელემენტის პრობლემატიკაში მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯი იყო. მართლაც, ადამიანის საქციელის მიზნის, მისი განხორციელების საშუალებისა და დამდგარი შედეგების ერთიანობის გარეშე

<sup>1</sup> Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Общая часть, Тула, 2001, стр. 54-55.

<sup>2</sup> თ. ჯირაქიანი, სისხლის სამართლის პრობლემები, თბილისი, 2007., გვ. 36.

<sup>3</sup> ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989.



შეუძლებელია იმის დადგენა, ქმედება მართლზომიერია, თუ მართლსაწინააღმდეგო, რა გარემოებები და რატომ გამოიწვევს ქმედების მართლწინააღმდეგობას, თუ სუბიექტის ბრალს? მაგრამ უმართლობის ჭეშმარიტი ბუნების გასაგებად მიზანი საკმარისი არ უნდა იყოს. კერძოდ, ცნობილია უმართლობის კლასიფიკაცია არა მარტო სამართლის დარგების მიხედვით, არამედ სამართლის ერთი რომელიმე დარგის ფარგლებშიც. მაგალითად, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არსებობს მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ქურდობის, ძარცვის და ა.შ. უმართლობა. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ, მაგალითად, მკვლელობის უმართლობისთვის აუცილებელია განზრახვა, რადგან, განსხვავებით სიცოცხლის გაუფრთხილებელი მოსპობისგან, მკვლელობა მხოლოდ განზრახი ქმედებაა. გასაგებია, რომ აქ „განზრახვა“ ბრალის ფორმაა და არა წმინდა ფსიქოლოგიური ფენომენი, როგორც ეს „ფინალიზმში“ გაგებული, მაგრამ ამ პრობლემას ბრალის პრობლემატიკაში განვიხილავ. აქ კი მოკლედ დავასკენი, რომ რაკი უმართლობა, როგორც წესი, განზრახვას, როგორც ბრალის ფორმას, მოიცავს, უმართლობიდან ბრალის სფეროში გადასვლა უფრო ლოგიკურია, ვიდრე, მაშინ, როცა უმართლობის სუბიექტურ ელემენტად მხოლოდ მიზანია წარმოდგენილი.

## § 5. ქმედების საზოგადოებრივი სამიზროვნობისა და მართლწინააღმდეგობის თანაფარდობის საკითხისათვის

დანაშაულის ცნების გერმანული მოდელის თანახმად, დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მაგრამ დანაშაულის ეს სისტემა პრობლემურია იმ მხრივ, რომ იგი დანაშაულებრივი ქმედების ფორმალისტური გაგებისა და

უკანონო მსჯერდების საფრთხეს შეიცავს. ამიტომაც დგება დანაშაულის ცნების მატერიალური განსაზღვრების პრობლემა, შემთხვევითი არ გახლავთ ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილში დანაშაულის ფორმალისტური გაგების თავიდან აცილების მიზნით გაკეთებულია არსებითი ხასიათის შენიშვნა, რომლის თანახმად, მცირემნიშვნელოვანი ქმედება, რომელიც დანაშაულისთვის ნიშანდობლივ ზიანს არ აყენებს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს, ან არ უქმნის მას ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს, — დანაშაულად არ ჩაითვლება. ამით აღიარებულია დანაშაულის ცნების მატერიალური გაგების აუცილებლობა, რომელიც არაერთ გაუგებრობას აბათილებს. დანაშაულის ცნების მატერიალური გაგების მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ ჩაზარმ ბმპარია მიუთითებდა, როცა იგი საზოგადოებისათვის დანაშაულის ჭეშმარიტ მყენე ხასიათზე მსჯულობდა. ეს დებულება შემდგომში გახდა საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მტკიცების საფუძველი. საზოგადოებრივი საშიშროება ერთხმად იქნა მიჩნეული დანაშაულის მატერიალურ ელემენტად, წინააღმდეგ დანაშაულის ცნების ფორმალური განსაზღვრებისა, რომელსაც, საბჭოთა კრიმინალისტების აზრით, დანაშაულის კლასობრივი ბუნების მიჩქმალვის მიზნით მიმართავენ ბერყუაზიული კრიმინალისტები. ამით საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების აგებაში იდეოლოგიური ბრძოლის სარბიელი აღმოჩნდა. საბჭოთა კრიმინალისტები კი არ ძალაუდნენ, არამედ, აშკარად უსვამდნენ ხაზს დანაშაულის კლასობრივ ბუნებას, იძას, რომ საზოგადოებრივად საშიშია ქმედება, რომელიც ხელყოფს საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური საზოგადოების საფუძველებს.

დანაშაულის ცნების აგებაში კლასობრივი პრინციპი ნამდვილად არსებობს. მონათმფლობელობა და ფეოდალიზმი აშკარად გამოკვეთილ კლასობრივ დაპირისპირებაზე იყო აგებული.

ცხადია, ამ მხრით ბურჟუაზიული დემოკრატიზმი და ფორმალური კანონიერება გაცილებით უფრო ახლოსაა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ობიექტურობასთან, მაგრამ იდეოლოგიური ამოცანებისგან თავისუფალი შეფასება მეორე უკიდურესობას, ობიექტივიზმს — გამოიწვევდა. რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა კავშირს, — აქ კლასობრივ-პარტიული მიდგომა იმდენად უკიდურესი იყო, რომ ფაქტების არსებით დამახინჯებას იწვევდა. მაგალითად, ტერმინი „საზოგადოებრივი საშიშროება“ ქმედების თითქოს საზოგადოებრივ შეფასებას გამოხატავდა, მაშინ როდესაც საბჭოთა საზოგადოებას, როგორც ასეთს, საბჭოთა სახელმწიფო (მისი პოლიტიკური ზედაფენა და მმართველი ბიუროკრატია) არაფერს ეკითხებოდა. ასე, რომ ტერმინი „საზოგადოებრივი საშიშროება“ საბჭოური სისხლის სამართლის პოლიტიკური პრინციპი გახლდათ და არა ქმედების საზოგადოებრივი შეფასება. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნამდვილი თანაფარდობის ვითარებაში „საზოგადოებრივი საშიშროება“ ქმედების საზოგადოებრივ შეფასებას უნდა გამოხატავდეს, ხოლო სახელმწიფო, რომელიც ქმედების ამ საზოგადოების შეფასებას იღებს მხედველობაში, მისი პოლიტიკური მოტივაციის გათვალისწინებით კრიმინალიზირებულ ქმედებას „მართლწინააღმდეგობის“ ნიშნით დაახასიათებს.

ამრიგად, „საზოგადოებრივი საშიშროება“ ქმედების საზოგადოებრივ, ხოლო, „მართლწინააღმდეგობა“ ამავე ქმედების სახელმწიფოებრივ შეფასებას გამოხატავს. მეორენაირად რომ ვთქვათ, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა გარკვეულ ქმედებათა კრიმინალიზაციის სფეროში საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანაფარდობას გამოხატავს. ამიტომ არ მიმაჩნია მართებულად მეორე უკიდურესობა, როცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ქმედების საშიშროება საერთოდ არ მოიხსენიება და სიმძიმის ცენტრი მართლწინააღმდეგობაზეა გადატანილი. ამაზე მეტყველებს, მაგალითად, ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვის თუ

გაუფრხილებლობის საკანონმდებლო კონსტრუქცია. კერძოდ, აქ ლაპარაკია ქმედების მართლწინააღმდეგობის შევსებაზე მართლსაწინააღმდეგო შედეგზე, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების კრიტერიუმი აუცილებელი ხდება. ცნობილია, რომ მართლწინააღმდეგობას, როგორც ქმედების სახელმწიფოებრივ შეფასებას, მეტ-ნაკლებობის თვისება, ანუ ხარისხი არ გააჩნია. არ შეიძლება ითქვას, რომ, მაგალითად, მკვლელობა უფრო მეტადაა მართლსაწინააღმდეგო, ვიდრე ჯანმრთელობის დაზიანება, ან ძარცვა უფრო ნაკლებადაა მართლსაწინააღმდეგო, ვიდრე ყაჩაღობა. მაგრამ როგორც კი საქმე ქმედების საშიშროებაზე მიდგება, ვითარება არსებითად იცვლება. მართლაც, ცნობილია, რომ ძარცვა შეიძლება ჩადენილ იქნეს ძალადობის გარეშეც, მაგრამ თუ იგი ძალადობით იქნა ჩადენილი, მაშინ, ეს ძალადობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში არ უნდა იყოს (საქ. სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). თუ ეს ძალადობა სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშია, ან იგი ჩადენილია ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება ყაჩაღობად (საქ. სსკ-ის 179-ე მუხლი) და არა ძარცვად. გარდა ამისა, ცნობილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მთელი თავია, რომელსაც პქვია დანაშაული „საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ.“ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი გამოსჭვავის ამ კოდექსის მთელ რიგ სხვა თავებსა და მუხლებში. მაგალითად, საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა (საქ. სსკ-ის 310-ე მუხლი); საბოტაჟი (საქ. სსკ 318-ე მუხლის მესამე ნაწილი); ტერორისტული აქტი (323-ე მუხლი) და ა.შ. უფრო მეტიც, დანაშაულის კატეგორიზაცია (საქ. სსკ-ის მე-12 მუხლი) ხდება არა მართლწინააღმდეგობის ფორმალური გაგების, არამედ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის მიხედვით. ...გასაგებია, რომ ბრალის ცნება და ხარისხი, სასჯელის ხასიათი

და ზომა ქმედების საზოგადოებრივი საშოშროების ხასიათისა და ხარისხის გარეშე მართებულად ვერ იქნება გააზრებული. ამაზე მეტყველებს სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები (საქ. სსკ-ის 53-ე მუხლი), რომელშიც პირდაპირაა გამოხატული ქმედების საზოგადოებრივი საშოშროების ხასიათი და ხარისხი. მაგალითად, აქ ლაპარაკია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე, რაც მართლწინააღმდეგობის ფორმალურ მხარეზე არ დაიყვანება, მით უფრო, რომ აქ მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომაზეა ლაპარაკი, ხოლო ყოველფეხს იმაზე მიანიშნებს, რომ დანაშაულის ცნებაში ქმედების საზოგადოებრივი საშოშროების უგულებელყოფა დაუშვებელია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის შენიშვნა, რომ მცირემნიშვნელოვანი ქმედება არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს, — სწორედ ამ გარემოებაზე მეტყველებს. მით უფრო, რომ არსებობს საფრთხის შემქნელი დელიქტები (საქ. სსკ-ის XXI-ე თავი), რომელიც ქმედების საზოგადოებრივ საშოშროებას ორგანულად უკავშირდება.

დანაშაულის ცნების მატერიალური განსაზღვრების პრობლემა გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც დგას, მაგრამ აქ საკითხი უფრო უმართლობის პრობლემატიკაშია გააზრებული. თუ მართლწინააღმდეგობა დანაშაულის უფრო ფორმალური მხარეა, უმართლობა, როგორც ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის ერთიანობა, მატერიალური მართლწინააღმდეგობის ნიშანია. უფრო მეტიც, აქ მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი (სამართლებრივი სიკვთე), მისი დაზიანების ხასიათი და ზომა, იმის მიუხედავად, რომ ტერმინი „ქმედების საზოგადოებრივი საშოშროება,“ როგორც წესი, გამოყენებული არაა.

## § 1. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია

დანაშაული, საქ. სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მაშასადამე, ბრალი დანაშაულის მესამე ელემენტია. არ არსებობს დანაშაული ბრალის გარეშე. მით უფრო, რომ ბრალი ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია. მაგრამ, სამწუხაროდ, ბრალის პრობლემა იმდენად აბნეული და აწეილ-დაწეილია, რომ ჭირს ამ მიმართებით სათანადო პოზიციის შემუშავება. თუმცა, უკვე მქონდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ბრალი არის უპასუხისმგებლობის სინონიმი, რადგან სუბიექტი ნეგატიური წესით პასუხს აგებს თავისი უპასუხისმგებლო ქმედებისთვის. რაკი „პასუხისმგებლობა“ სოციალური ფილოსოფიის კატეგორიაა, ბუნებრივია, თუ ბრალიც, როგორც პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმა, სოციალური ფილოსოფიის კატეგორია უნდა იყოს. სამწუხაროდ, ფილოსოფიაში ბრალის პრობლემა, როგორც წესი, არ დგას. გამონაკლისია ვეზისტენციალური ფილოსოფია, რომელიც ადამიანს იმდენად დიდ და ყოველმხრივ პასუხისმგებლობას აკისრებს, რომ ამ ნიადაგზე ბრალის პრობლემის გამოყოფა საკმაოდ რთულია. სხვა მიმართულებების ფილოსოფოსები, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ ბრალის პრობლემა იურისტებმა უნდა გადაწყვიტონ. იურისტები კი, სამწუხაროდ, როგორც წესი, ფსიქოლოგიისა და სამართლის(სისხლის სამართლის) მიმართების ჩაკეტილ წრეში ტრიალებენ და ამიტომაც, რომ დღემდე ბრალის ორი ძირითადი თეორიაა გაბატონებული. ესაა ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც არსებითად ფსიქოლოგიური ხასიათისაა, და

ბრალის ნორმატიულ თეორიად წოდებული ნორმატივისტული თეორიის სხვადასხვა ვარიანტი, რომელიც ბრალს, როგორც წესს, სუბიექტის გაკიცხვად თუ გასაკიცხობად აცხადებს. მოკლედ განვიხილოთ ბრალის ეს თეორიები. მით უფრო, რომ ბრალის ცნება და ფორმები, როგორც ცნობილია, სუბიექტური შერაცხვის პრინციპს გამოხატავს, ხოლო, სუბიექტური შერაცხვა, როგორც საზოგადოდ კულტურის, ისე სამართლებრივი კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია.

ბრალის თეორიებს შორის პირველი ბრალის ფსიქოლოგიური თეორიაა, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისამდე გაბატონებული გახლდათ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც კი. ეს თეორია გაბატონებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში და ბატონობს თანამედროვე რუსეთშიც.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, ბრალი არის ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, რომელიც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით გამოიხატება. საქმე ის გახლავთ რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა და მისი მართლწინააღმდეგობა დანაშაულის ცნების ორი შეფარდებით ობიექტური ელემენტია. აქედან გამომდინარე, სუსებით ლოგიკური ჩანს, რომ ბრალი, როგორც დანაშაულის სუბიექტური ელემენტი, დანაშაულის წინა ორი ელემენტის – ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის, ანუ სისხლისსამართლებრივი უმართლობის – გაცნობიერების, ან მისი გაცნობიერების შესაძლებლობით გამოვლინდეს. საქმე ცნობიერების ინტელექტუალურ მხარეს ეჭბა. მაგრამ ქცევა ფსიქოლოგიურად ადამიანის ცნობიერების ნებელობითი მხარის გარეშე შეუძლებელია. იგულისხმება სისხლისსამართლებრივი უმართლობისადმი სუბიექტის ნებელობითი დამოკიდებულება: სურს თუ არა მას ეს ქმედება და მისი შედეგები, ხომ არ იყო იგი ამ მხრივ გარედან იძულებული, რომ მოქცეულიყო ამგვარად, მაშინ,



როდესაც თავისუფლების პირობებში სუბიექტი იმოქმედებს სხვაგვარად და, მაშასადამე, ამ მუხე, მართლსაწინააღმდეგოდ, შედეგებს არ გამოიწვევდა.

გასაკებია, რომ აქ დასმული პრობლემებიდან ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, ბრალის ფსიქოლოგიური მხარე. ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ბუნება ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულებისაგან მოწვევით მართებულად გაგებული ვერ იქნება. მეორეს მხრე, ისიც აშკარაა, რომ ბრალის პრობლემა ფსიქოლოგიის სფეროში ვერ ეტევა. კერძოდ, თუ დასაბუთდება, რომ სუბიექტს მოცემულ შემთხვევაში არჩევანის თავისუფლება არ ჰქონდა, ქმედებისა და მისი შედეგების გაცნობიერების მიუხედავად, სუბიექტი ბრალეული ვერ იქნება. ცხადია, სუბიექტის მიერ ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგების გაცნობიერება ჯერ კიდევ არ გამოხატავს მათდამი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, რადგან „ფსიქიკური დამოკიდებულება“ ჩანს არა იმდენად ინტელექტში, რამდენადაც სუბიექტის ნებაში, კერძოდ, იმაში, თუ, სახელდობრ, როგორ ეკიდება იგი ფსიქოლოგიურად თავის ქმედებას და მის შედეგებს. ეს გარემოება კი ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვის ან გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო კონსტრუქციებშიც ჩანს, მაგრამ ამ საკითხს მოგვიანებით განვიხილავ.

ამრიგად, ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულებისაგან მოწვევით ბრალის ცნება და ფორმები შეუძლებელია. ვიმეორებთ, იგულისხმება სისხლის-სამართლებრივი უმართლობის შვენების, მისი შვენების შესაძლებლობისა და მართლსაწინააღმდეგოდ შედეგებისადმი სუბიექტის ნებელობითი დამოკიდებულების ერთიანობა. ისიც ცხადია, რომ ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება ფსიქოლოგიური კვლევის სფეროა. მით უფრო, რომ ბრალი დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურაში



შეიტანეს, თანაც ისეთი ფსიქოლოგიური ცნებების გვერდით, როგორცაა: მოტევი და მიზანი. ამ პოზიციიდან ამჟამად რომ ბრალი ფსიქოლოგიური ცნებაა. ამიტომ ქვოდება ბრალის ამ გაგებას ბრალის “ფსიქოლოგიური თეორია.” დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარეში შეჰქონდათ მოტევი, მიზანი და ბრალი. მაგალითად, ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ნათქვამი იყო შემდეგი: „დანაშაულის სუბიექტურ მხარეს განეკუთვნება თავისი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება (ბრალი განზრახვის და გაუფრთხილებლობის ფორმით), აგრეთვე დანაშაულის მოტევი და მიზანი.”<sup>1</sup> ცხადია, მოტევი და მიზანი ფსიქოლოგიური ცნებებია (თუმცა, მიზნის ცნება ფსიქოლოგიის სფეროს სცილდება) და ეს დაეას არ იწვევს, მაგრამ გაუგებარია და დაეას იწვევს ის, თუ რანაირად შეიძლება ბრალი, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტი, ფსიქოლოგიურ ცნებად ჩაითვალოს? ეს კითხვა ბუნებრივია, რადგან, ბრალი სუბიექტის გაკიცხვას უკავშირდება, ხოლო ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი, გასაკიცხი ვერ იქნება. მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობდნენ ბრალის ამგვარი ფსიქოლოგიური თეორია სუბიექტის გაკიცხვასთან დაეკავშირებინათ. „ბრალი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით — წერდნენ იქვე, — ეს არის პირის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედებისადმი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონითა და სოციალისტური მორალით გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით”<sup>2</sup> საკითხავია: რანაირად შეიძლება ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი, იყოს გასაკიცხი? გასაკებია, რომ ბრალის ე.წ. ფსიქოლოგიურ-ნორმატიულ თეორიას, როგორც ფსიქიკურისა და ნორმატიკულის მექანიკური დაკავშირების ცდას, სერიოზული

<sup>1</sup> Советское уголовное право, Общая и Особенная часть, М. 1981, стр. 64.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 64.

მეცნიერული საფუძველი არა აქვს. ფსიქოლოგია შეფასებით ცნებებს არ იცნობს და ამდენად ფსიქიკური დამოკიდებულებების სადმი გაკიცხვის ხელოვნური მისადაგება ბრალის ცნებას ვერ მოგვცემს. მით უფრო, რომ ბრალი ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია და ამდენად წმინდა ფსიქიკურ დამოკიდებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს. თუ უფრო ფსიქოლოგიურად ვიმსჯელებთ, მაშინ დაეას არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება გამოიხატება არა იმდენად ბრალში, რამდენადაც მოტოუსა და მიზანში. ამის შესახებ იშვიათად არ წერდნენ კიდევ. „ბრალი, — ნათქვამი იყო ერთ-ერთ სახელმძღვანელოში, — დანაშაულის სუბიექტური მხარის ძირითადი ნიშანია, მაგრამ მთლიანად ვერ ამოწურავს მას. ბრალი თავისთავად ვერ აგვიხსნის იმ სუბიექტურ აღმძვრელებს, რომლებმაც პირი დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანეს, და არ უთითებს იმაზე, თუ რისკენ ისწრაფვოდა პირი დანაშაულის ჩადენით ამ როლს ასრულებენ შემადგენლობის ისეთი ნიშნები, როგორიცაა დანაშაულის მოტივი და მიზანი.“<sup>1</sup>

ამრიგად, ამ მსჯელობაში ფსიქიკურ დამოკიდებულების ფორმად მიჩნეულია არა იმდენად ბრალი, რამდენადაც მოტივი და მიზანი. ამის გამო ბრალის ცნება კიდევ უფრო გაურკვეველი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ბრალის ცნება საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაში „ფსიქიკური დამოკიდებულების“ ფარგლებს მაინც ვერ გასცდა. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში წერდნენ: „ბრალი და მისი ფორმები — ეს სისხლისსამართლებრივი ცნებებია, რომლებიც დანაშაულის, როგორც ადამიანის ქცევის ნაირსახეობის, შესახებ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და საბჭოთა ფსიქოლოგიის მონაცემებს ემყარებიან.“<sup>2</sup> ამ მსჯელობაში რამდენიმე გაუგებრობაა. ჯერ ერთი, რანაირად შეიძლება, რომ ბრალი და მისი ფორმები ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის

<sup>1</sup> Советское уголовное право, часть Общая, М. 1972, стр. 150.

<sup>2</sup> Советское уголовное право, Общая часть, МГУ, 1988, стр. 128.

ფსიქიკური დამოკიდებულების სახით სისხლისსამართლებრივ ცნებად ჩაითვალოს? მეორეც, თუ დანაშაული ადამიანის ქცევის ნაირსახეობას წარმოადგენს, მაშინ დანაშაული ფსიქოლოგიური ცნების ნაირსახეობად უნდა ჩაითვალოს. ქცევა ფსიქოლოგიურად სხვა არაფერია, თუ არა ფსიქიკური პროცესი — მოტყუაცია, მიზნის დასახვა, გადაწყვეტილების მიღება, მისი აღსრულება. თუ დანაშაულებრივი ქმედება ფსიქიკური პროცესია, მაშინ გამოდის, რომ ბრალი არის ქცევისადმი, როგორც ფსიქიკური პროცესისადმი, ფსიქიკური დამოკიდებულება. ცხადია, რომ აქ ორმაგი ფსიქოლოგიზმია: დანაშაული ფსიქოლოგიური ქცევის ნაირსახეობად ცხადდება, ხოლო ამ პოზიიდან საქმე ჯდება არა დანაშაულებრივ ქმედებას, არამედ წმინდა ნებელობით ქცევას, რომელიც ფსიქოლოგიური კვლევის საგანია. თუ დანაშაული ქცევის ნაირსახეობაა, მაშინ ბრალიც, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტი, ხომ ფსიქოლოგიური ცნება უნდა იყოს?

როგორც ჩანს, აქ ჯერ-ჯერობით ფსიქოლოგიის სფეროში ვტრიალებთ და ამის გამო არც დანაშაულებრივი ქმედების ცნება გვაქვს მოპოვებული და არც ბრალის ცნება. სამწუხაროდ, საბჭოური სისხლის სამართლის სფეროში ეს ფსიქოლოგიზმი დაძლეული ვერ იქნა, იმის მიუხედავად, რომ ამ ფსიქოლოგიზმს აცნობიერებდნენ, მაგრამ აქედან, სიტყვების თამაშის გარდა, რეალურ გამოსავალს ვერ პოულობდნენ. მაგალითად, ბრალის პრობლემატიკაში ფსიქოლოგიზმის დასაძლევად გავრცელდა მტკიცება, რომ ბრალი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი უბრალოდ ფსიქიკური დამოკიდებულება კი არაა, არამედ, საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი სუბიექტის უარყოფითი დამოკიდებულება. ეს აზრი თავისებურად დაამუშავა ო. იოფემ სამოქალაქო სამართლის სფეროში ბრალის სპეციფიკის წარმოსაჩენად. მისი აზრით, იურიდიულ ლიტერატურაში ბრალი გაგებულია, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება. მაგრამ, როგორც სწორად აღნიშნავდა ავტორი, ადამიანს ფსიქიკური დამოკიდებულება ყოველგვარი

ქმედებისადმი აქვს. აქედან გამომდინარე, ავტორი აკეთებდა დასკვნას, რომ „ბრალი, მაშასადამე, არის არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, არამედ განსაზღვრული საზოგადოებრივი მოვლენა (ხაზგასმა ავტორისაა — გ. ნ.). ის საზოგადოებრივი შინაარსითაა სავსე. ბრალში ვლინდება საზოგადოებისადმი უარყოფითი, უგულვებელმოფელი დამოკიდებულება.“<sup>1</sup>

ბრალი, როგორც საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, შემდგომში სისხლის სამართლის თეორიაშიც გავრცელდა.<sup>2</sup> ბრალის ამ კონცეფციას მხარი არ დაუჭირეს პროფ. თ. წერეთელმა და **პ. მაყაშვილმა**, რადგან, მათი აზრით, გაუფრთხილებლობის დროს, მით უფრო დაუდევრობისას, საზოგადოებრივი ღირებულებისადმი სუბიექტის უარყოფითი დამოკიდებულება, გამორიცხულია.<sup>3</sup> მართლაც, შეუძლებელია ადამიანი, რომელსაც ყოველგვარი საზოგადოებრივი ღირებულებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ექნებოდა, მით უფრო დაუდევრობის შემთხვევაში. მაგრამ კრიმინალისტების ცდა, რომ ბრალის პრობლემა ფსიქოლოგიიდან ღირებულების სფეროში გადაეტანათ, - ბრალის, როგორც „ფსიქიკური დამოკიდებულების“, სრული უნაყოფობით იყო გამოწვეული. დანაშაულის ისეთი ელემენტი, როგორიცაა მართლწინააღმდეგობა, შეფასებითა და ამდენად ბრალის შეფასებითი თეორია უფრო მართებული ჩანს, ვიდრე ფსიქოლოგიური თეორია. სამწუხაროდ, საბჭოურ სისხლის სამართალში ბრალის შეფასებითი თეორიის შექმნის ცდა კატეგორიულად იქნა დაგმობილი. მაგალითად, **ბ. უტკვსკი** შეეცადა, ბრალის შეფასებითი თეორია აეგო. მისი აზრით, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ბრალი, როგორც

<sup>1</sup> О. С. Иоффе, Обязательства по возмещению вреда, Ленинград, 1952, стр. 30;

<sup>2</sup> Ш. С. Рашковская, Субъективная сторона преступления, М. 1961, стр. 5.

<sup>3</sup> Т. В. Церетели, В. Г. Макашвили, Понятие вины в уголовном праве, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის “მაცნე,” ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986, № 2, გვ. 79.

დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ელემენტი, და ბრალი, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ამ პოზიციიდან ბრალეული ქმედება, ავტორის დასკვნით, არის “ქცევა, რომელიც სოციალისტური მორალისა და სოციალისტური სამართლის თვალსაზრისით უარყოფითად ფასდება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია.”<sup>1</sup> ავტორი მიდიოდა დასკვნამდე, რომ „საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით ბრალი გულისხმობს მორალურ-პოლიტიკურ შეფასებას იმ ობიექტური და სუბიექტური გარემოებებისა, რომლებიც ახასიათებს ქმედებას და მომქმედს.”<sup>2</sup>

როგორც ჩანს, **ბ. შტამსკი** გულისხმობდა ქმედებისა და მომქმედის ერთიანობის სასამართლო შეფასებას, მაგრამ ავტორის ეს პოზიცია მკაცრად გააკრიტიკეს და ბრალის ფსიქოლოგიური თეორია კვლავ იქნა აღორძინებული. მაგალითად, **ა. პიონტკოვსკი** ბრალის პრობლემატიკაში შეფასებას სრულიადაც არ უარყოფდა, მაგრამ მისი აზრით, ბრალი სხვა არაფერია, თუ არა განზრახვა და გაუფრთხილებლობა, რომელიც საბჭოთა წყობილებისთვის საშიშ ქმედებაში გამოიხატება, სოციალისტური კანონისა და კომუნისტური მორალის მიერ ფასდება უარყოფითად.<sup>3</sup>

ამ მსჯელობაში მთავარი სიძნელე ისაა, რომ ბრალი გაგებულია განზრახვად და გაუფრთხილებლობად, მაშინ, როცა ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებადაა მიჩნეული. ფორმისა და შინაარსის სხვაობა კი ფილოსოფიის ანბანური ჭეშმარიტებაა. მით უფრო, თუ განზრახვა და გაუფრთხილებლობა სხვა არაფერია, თუ არა ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, მაშინ, აქ ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ხელუხლებელი რჩება, ხოლო, ბრალის ცნება კი დღემდე პრობლემატურია. ამაზე შეტყვევებს

<sup>1</sup> Б. С. Утевский, Вина в Советском уголовном праве, М. 1950, стр. 10.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 52.

<sup>3</sup> А. А. Пионтковский, Советское уголовное право в шести томах, т. 2, стр. 266.

ბრალის პრობლემატიკა თანამედროვე რუსეთის სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაშიც. მოკლედ გავეცნოთ ძირითად ხაზს ამ საკითხში. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ნათქვამია: “ბრალი წარმოადგენს პირის მიერ ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი განსაკუთრებულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას, რომელიც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ფორმით გამოიხატება.”<sup>1</sup>

ცხადია, დანაშაულებრივი ქმედება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ თუ ბრალი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულებაა და მეტი არაფერი, მაშინ, განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც ამ ფსიქიკური დამოკიდებულების სახე უნდა იყოს. მაშინ გაუგებარია, როგორაა შესაძლებელი, რომ ბრალი, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება, რომელიც ფსიქოლოგიური პრობლემაა, სისხლისსამართლებრივ ცნებად ჩაითვალოს?

აქ, როგორც ჩანს, იკვეთება ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის სიძნელები. ერთ-ერთი სიძნელე ისა, რომ ბრალი, ერთის მხრივ, მიჩნეულია ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებად, ხოლო, მეორეს მხრივ - სისხლისსამართლებრივ ცნებად. მაგალითად, ა. რაროვი ამტკიცებს, რომ ბრალი არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება. მისი ძირითადი ელემენტებია ცნობიერება და ნება. ცნობიერი და ნებელობითი ელემენტების სხვადასხვა კომბინაცია ქმნის ბრალის სხვადასხვა მოდიფიკაციებს. ამიტომ ინტელექტი და ნება - ეს ის ელემენტებია, რომლებიც ქმნიან ბრალის შინაარსს.<sup>2</sup>

ყოველივე ამის შემდეგ სრულად მოულოდნელია ავტორის მტკი-

<sup>1</sup> Уголовное право, Общая часть, .М. 2004, стр. 183.

<sup>2</sup> А. И. Рарог, Субъективная сторона и квалификация преступлений, М. 2001, стр. 14.

ცემა, რომ ბრალი იურიდიული ცნებაა, ამიტომ მისი მეტისმეტი ფსიქოლოგიზაცია არ უნდა მოხდეს, — რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ბრალის ფორმები შევასოთ ფსიქოლოგიური ტერმინებით, რომელთაც კანონმდებელი არ იყენებს.<sup>1</sup>

ვერ ერთი, ბრალი მხოლოდ იურიდიული ცნება არაა — ის არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, რადგან, ბრალის ცნება სჭირდება არა მარტო სამართალს და მის დარგებს, არამედ, ზნეობას, რელიგიას, ადათებს, ტრადიციებს და საზოგადოების სხვა ნორმატიულ სისტემას. მეორეც, რაც მთავარია, თუ ბრალი სხვა არაფერია, თუ არა ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, რომლის ელემენტებს ინტელექტისა და ნებელობის ერთიანობა წარმოადგენს, მაშინ ეს „ფსიქიკური დამოკიდებულება“ მისი ამ ორი ფსიქიკური ელემენტით რანაირად უნდა გარდაიქმნას ბრალის თუნდაც იურიდიულ ცნებად? რანაირად შეიძლება არ მოხდეს ბრალის მეტისმეტი ფსიქოლოგიზაცია, როცა ის თვით ტრადიციული ცნებით, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, იმთავითვე ფსიქოლოგიზირებულია? მას ამ მხრივ არანაირი ამგვარი ზოგადი განცხადება ვერ უშველის, ვიდრე ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის ამოსავალი პრინციპი არ შეიცვლება.

მართლაც, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია მთელი რიგი გამოუვალი წინააღმდეგობით ხასიათდება. უმთავრესი მაინც ისაა, რომ ის ძირითადად ფსიქოლოგიური შინაარსითაა წარმოდგენილი და ამ პოზიციიდან ბრალი სხვა არაფერია, თუ არა ნებელობითი ქცევის ფსიქოლოგიური კონცეფცია. მით უფრო, რომ დანაშაულებრივი ქმედება ნებისმიერი ქცევის ნაირსახეობად ცხადდება. ამიტომაც, რომ თვით ნებელობითი ქცევისა და დანაშაულებრივი ქმედების გამიჯვნის პრობლემა ფრიად სერიოზულია და ვიდრე ეს პრობლემა დგას, ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას არაფერი

<sup>1</sup> А. И. Рарог, Субъективная сторона и квалификация преступлений, М. 2001, стр. 14-15.





ეშველება. მეორეს მხრივ, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლები აშკარად გრძნობენ და ხედავენ, რომ ბრალი, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ელემენტი, სისხლის სამართლის სფეროში შემოდის. მაგრამ რამდენადაც ფსიქიკურიდან სისხლის სამართლის სფეროში პირდაპირი ლოგიკური გადასვლის გზა არ არსებობს, ბრალი ან წმინდა ფსიქიკურია და მაშინ ის სისხლისსამართლებრივი ცნება ვერ იქნება, ან, პირიქით, ბრალი სისხლისსამართლებრივი ცნებაა და მაშინ ბრალი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება ვერ იქნება.

გასაგებია, რომ აქ ბუნებრივად დადგა ფსიქიკურისა და ნორმატიულის (სისხლის სამართლის) მიმართების პრობლემა, რომელიც, როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ენაზე არსისა და ჯერარსის მიმართების პრობლემატიკის კერძო გამოვლინებას წარმოადგენს. ფსიქიკური, როგორც ფსიქოლოგიის სფერო და საგანი, არსის ცნებით აღინიშნება, რადგან ის არსებობის ბეჭდითაა დალდასმული და მისთვის შეფასება უცხოა. სამაგიეროდ, ნორმატიული, რომელიც ნორმის, როგორც ქცევის წესის, გამოხატულებაა, ჯერარსის სფეროა. ამ პოზიციიდან საქმე ეხება ნორმატიულ მოთხოვნას, რომელიც მომავალში უნდა განხორციელდეს. რაიმე იმიტომ უნდა იყოს, რომ ის ჯერ არაა ან, საკმარისად არაა განხორციელებული. არსისა და ჯერარსის, ანუ ფაქტისა და ნორმის მიმართების პრობლემა მეტად რთული ფილოსოფიური პრობლემაა, რომელიც დღემდე პეგელიანიზმისა ან კანტიანიზმის ტყვეობაშია. **პანტმა** ჯერარსი არსისგან (ნორმა ფაქტისგან) მოწვევით წარმოადგინა, ხოლო, **კეპელმა**, პირიქით, ჯერარსი (ნორმა) არსამდე დაიყვანა და ნორმა, როგორც ქცევის წესი, ამ პოზიციიდან ფაქტამდე დაიყვანილი აღმოჩნდა. რამდენადაც **კ. მარქსი** პეგელის ამ პოზიციას იზიარებდა (ის აცხადებდა, რომ კომუნიზმი იდეალი კი არაა, არამედ რეალური მოძრაობაა), საბჭოთა იურისტებმა **პანტი** უარყვეს და **კეპელის** პოზიცია გაიზიარეს, რის გამოც არსისა და ჯერარსის პრობლემას



სათანადო ყურადღება ვერ მიაქციეს. ამის გამო აღმოჩნდა ბრალის პრობლემა ფსიქოლოგიისა და სისხლის სამართლის მიმართების ამ ვიწრო სფეროში ჩაკეტილი იმგვარად, რომ ბრალი ან წმინდა ფსიქიკურია ან წმინდა ნორმატიული, რომელიც ფსიქიკურისგან მოწვევებული ხდება. აქ, როგორც უკვე ჩანს, ბრალს დუალისტური (წმინდა ფსიქიკური და წმინდა ნორმატიული) დახასიათება ეძლევა.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორია უკვე დანაშაულის სისტემას ვერ უმკლავდება. მართლაც, ჯერ ერთი, ქმედების შემადგენლობა, როგორც დანაშაულის პირველი ელემენტი, როგორც წესი, აღწერილობითი, ფაქტის, მსჯელობაა. ამდენად, ქმედების შემადგენლობის თუნდაც ყოველმხრივი შეგნება ბრალის ცნებას ჯერ კიდევ ვერ მოგვცემს, ვიდრე, ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი არ დადგება. მეორეც, მაშასადამე, ბრალი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების, ან მისი შეგნების შესაძლებლობის გარეშე არ არსებობს, ხოლო მართლწინააღმდეგობა, ცხადია, ფსიქოლოგიურ კატეგორიას სრულიად არ წარმოადგენს. მართლწინააღმდეგობა, როგორც ქმედების უარყოფითი სამართლებრივი შეფასება, იმას ნიშნავს, რომ სუბიექტმა დაარღვია მართლზომიერი ქმედების ვალდებულება. ეს, თავის მხრივ, იმ ფაქტს ადასტურებს, რომ მართლწინააღმდეგობა დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე საბუთდება, ხოლო საბჭოთა და თანამედროვე რუსეთის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, პირიქით, როგორც წესი, გაბატონებულია დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა. ამ პოზიციიდან კი დანაშაული გაგებულია, როგორც წმინდა სოციოლოგიური ფენომენი, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენის გარეშეც იაზრება, როგორც იურიდიული ფაქტი. ესაა დანაშაულის პრობლემატიკაში სოციოლოგიზმი, რომელიც, თავის მხრივ, ლოგიკურად გადადის ფსიქოლოგიზმში, როცა დანაშაული ნებისმიერი ქცევის

ნაირსახეობად ცხადდება. დანაშაულის, როგორც ნებისმიერი ქცევის ნაირსახეობის, პოზიციიდან კი ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ორმაგად ფსიქოლოგისტურია, როგორც ქცევისადმი, როგორც ფსიქიკური პროცესისადმი, სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება. ამ მიმართებით სახეზეა ფსიქოლოგია, ხოლო სისხლის სამართლის მეცნიერება არ არსებობს.

ამრიგად, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის ნიადაგზე სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, დასაბუთება შეუძლებელია, და, მაშასადამე, ამ ნიადაგზე დანაშაულის ცნება ვერ აიგება. უფრო მეტიც, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, ერთის მხრივ, განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ბრალის ფორმებად მიიჩნევს, ხოლო, მეორე მხრივ, ირკვევა, რომ არსებობს განზრახი ბრალი და გაუფრთხილებელი ბრალი, და მაშინ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის სახეებია და არა ფორმები. გარდა ამისა, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია არსებითად ეწინააღმდეგება ბრალის ფორმებად წოდებულ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის არაფსიქოლოგიურ, შეფასებით, ასპექტებს, რომელთაც შემდგომში უფრო ვრცლად შევხებით აქ კი დავასახელებთ ევენტუალურ განზრახვას, რომელშიც გამოკვეთილია მართლსაწინააღმდეგო შედეგებისადმი სუბიექტის გულგრილი დამოკიდებულება. „გულგრილი“ შეფასებითი ცნებაა და მისი ფსიქოლოგიური ანალოგი არ არსებობს.

ამრიგად, ბრალი, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, აშკარად ვერ ეკუთვნის ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შეფასებით ასპექტებს. მაგრამ ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება არსებობს არა მარტო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას, არამედ მართლზომიერი ქმედების ფარგლებშიც და მაშინ ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის ნიადაგზე ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქე-

ბელი გარემოებაც არ არსებობს. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ბრალი ფსიქოლოგიურ ცნებას და, მაშასადამე, ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების სახეს არ წარმოადგენს. ცხადია, ბრალი და მისი ფორმები ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულებისგან მოწყვეტით არ არსებობს, მაგრამ ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე ბრალის დაყვანა ბრალის პრობლემატიკაში ფსიქოლოგიზმია, რომლის ნიადაგზე ბრალეული პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელია. მით უფრო, რომ ბრალის ცნება და პრობლემა გარდუვალად გულისხმობს იმ საკითხის დასმასა და გადაჭრას, თუ ვის წინაშე და რისთვისაა სუბიექტი პასუხისმგებელი. ეს უკანასკნელი საკითხი კი დანაშაულთა თავიდან აცილების გამო ურთიერთობის პრობლემის დასმისა და გადაჭრის გარეშე ვერ დადგება და ვერც გადაიჭრება.<sup>1</sup> გარდა ამისა, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ვერაფრით ვერ გამოხატავს დანაშაულის ჩამდენი პირის სოციალურ-პოლიტიკურ მოტყუაცობას, საზოგადოებრივ ღირებულებებისადმი მისი დამოკიდებულებების სისტემას,<sup>2</sup> ხოლო ყოველივე ეს არსებითად გამორიცხავს ბრალის, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულების, და სასჯელის, როგორც სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიების, ლოგიკურ კავშირსაც კი. კერძოდ, უკვე ითქვა, რომ საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზნების განხორციელების შედეგად მსჯავრდებული და სხვა პირები უნდა გამოსწორდნენ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით გასაგებია, რომ სასჯელის მიზნებისა და მისი განხორციელების შედეგების ამ გაგებას ლოგიკურად წინ უსწრებს ბრალი, მაგრამ არა როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი

<sup>1</sup> ამის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ გ. ნაჭყებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი, 2002, გვ. 136 (ლექციების კურსი).

<sup>2</sup> მის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბილისი, 1982.

სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, არამედ ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლობა დამოკიდებულება. სასჯელმა სუბიექტის ეს უპასუხისმგებლობა პოზიტიურ პასუხისმგებლობად უნდა შემოაბრუნოს, როცა ყოფილი მსჯავრდებული (აგრეთვე, სხვა პირი ზოგადი პრევენციის თვალსაზრისით) ამიერიდან იმოქმედებს მართლწესრიგისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით და იგი უკვე აღსდგება სახელმწიფოსთან იმ ურთიერთობაში, რომელშიც იგი იმყოფებოდა მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე.

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ ბრალი და მისი ფორმები ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების გარეშე არ არსებობს, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია მაინც მიუღებელია და ბრალის, როგორც ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძვლის, არსებით დამახინჯებას წარმოადგენს. ამით იმისი თქმა გეინდა, რომ ბრალი არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია და არა ფსიქოლოგიური ცნება. მაგრამ ვიდრე ბრალის ამ კატეგორიას შევუბოდეთ, მოკლედ განვიხილოთ ბრალის ნორმატივისტული თეორიების ძირითადი ნიშნები.

## § 2. ბრალის ნორმატიული (ნორმატივისტული) თეორია

სამეცნიერო ლიტერატურაში ბრალის შეფასებით თეორიას ხშირად „ნორმატიულს“ უწოდებენ. ერთის მხრივ, ეს ტერმინი სწორად გამოხატავს ამ მიმართებით არსებულ საქმის ვითარებას, რადგან შეფასება შეფასების საფუძვლის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ, მეორეს მხრივ, უფრო მართებული ამ მიმართებით იქნებოდა ბრალის ამ გაგებისთვის „ნორმატივისტული“ გვეწოდებინა. საქმე ისაა, რომ ტერმინი „ნორმატივისტი“ ნიშნავს ვითარებას, როცა სამართალი გაგებული და წარმოდგენილია, როგორც ჯერარსული ფენომენი, მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე, მისგან

მწვევტით, ესე იგი, როცა არაა ნაჩვენები, როგორ გადადის  
სამართლის ნორმა მართლწესრიგში. ეს კი სამართლის არსის  
გაგებაში „ნორმატივიზმია,” რომელიც სამართლის თეორიის  
საკითხების მეთოდოლოგიური დალაგების ხერხია. გასაგებია,  
რომ „ნორმატივიზმი“ მეთოდოლოგიური ხერხია ბრალის  
პრობლემატიკაშიც, როცა ბრალი გაგებულია წმინდა შეფასებად,  
ფსიქიკურთან სათანადო კავშირის გარეშეც კი. ამიტომაც ხდება  
უპრიანი, თუ ამ პირობებში აგებული ბრალის თეორიას ბრალის  
ნორმატივისტული თეორია ქწოდოს.

ცნობილია, რომ ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის წინააღ-  
მდეგ გერმანელმა კრიმინალისტმა რ. შრანკმა ჯერ კიდევ მე-20  
საუკუნის დასაწყისში რამდენიმე არგუმენტი მოიმარჯვა. პირველი  
ამ მხრე იმდენად სერიოზული გახლდათ, რომ ამ პოზიციიდან  
ბრალის ფსიქოლოგიური თეორიიდან თითქმის არაფერი რჩებოდა.  
კერძოდ, რ. შრანკმა საესებით მართებულად შენიშნა, რომ, თუ  
ბრალი სხვა არაფერია, თუ არა ქმედებისა და მისი შედეგებისადმი  
სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, მაშინ, ასეთი  
ფსიქიკური დამოკიდებულება სუბიექტს აქვს მართლზომიერი  
ქმედების მიმართაც, მათ შორის - აუცილებელი მოგერიების  
მდგომარეობაშიც. ბრალის ამ კონცეფციიდან ამკარაა, რომ არ  
არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის და, მაშასადამე,  
სუბიექტის ბრალის გამოძრიცხველი რომელიმე გარემოება. უფრო  
მეტეც, ამ პოზიციიდან არც არაბრალეულობის პრეზუმფციის  
პრინციპის საფუძველი არსებობს, რადგან თავისი ქმედებისა და  
მისი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედების  
შემადგენლობის ელემენტია, ხოლო ქმედების შემადგენლობის  
განხორციელების გარეშე გამოძიება ვერ დაიწეება, ხოლო თუ ამ  
შემადგენლობაზე გამოძიება დაიწეო, მაშინ სუბიექტი, ამ ლოგი-  
კით, იმთავითვე ბრალეულია და, მაშასადამე, არაბრალეულობის  
პრეზუმფციის პრინციპის საფუძველიც არ არსებობს.

გარდა ამისა, რ. შრანკმა ცხადყო, რომ ფიზიკური და

ფსიქიკური იძულების დროს ჩადენილი ქმედება ფსიქიკური დამოკიდებულებას არ გამოიწვევს, მაგრამ გამოიწვევს ბრალს აქედან გამომდინარე, რ. ფრანკი დაასკვნის, რომ „ბრალს, გარდა ფსიქოლოგიურისა, შეფასებითი, ნორმატიული ელემენტის უნდა განვაკუთვნოთ.“<sup>1</sup> ეს დასკვნა საესეებით ლოგიკურია, რადგან, უკვე ითქვა, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობა თავისუფლების გარეშე არ არსებობს. თუ პირს ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების შესაძლებლობა არ ჰქონდა, მაშინ ის უპასუხისმგებლოდ, ანუ ბრალეულად ვერ მოიქცევა და, მაშასადამე, ვერც ნეგატიურად იქნება პასუხისმგებელი შესაბამისი ინსტანციის წინაშე. ამდენად, ბრალის ცნებაში სუბიექტის გაკიცხვა (გასაკიცხობა), როცა სუბიექტს შეეძლო მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება ჰქონოდა, ხოლო ის უპასუხისმგებლოდ მოიქცა, — საესებით ბუნებრივი ჩანს. მესამეც, ბრალი, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, არსებით წინააღმდეგობაშია დაუდევრობასთან, რადგან აქ „ფსიქიკური დამოკიდებულება,“ მისი ტრადიციული გაგებით, პრობლემურია, მაშინ როდესაც „ბრალის“ გარკვეული ხარისხი გამოიწვეული არაა.

მიუხედავად ამისა, ბრალის ნორმატივისტული თეორია ასე მარტივი არაა. მასში გამოიყოფა მიმართულება, რომლის თანახმად, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებად კი არ ითვლება, არამედ, ბრალის ელემენტებად (ბრალის ე.წ. „კომპლექსური თეორია“). მაგრამ ტერმინი „ელემენტი“ იმას ნიშნავს, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ცალ-ცალკე არ არსებობენ. ეს კი ფრიად სერიოზული სიძნელეა,<sup>2</sup> რადგან ბრალის განზრახვი და გაუფრთხილებელი ფორმა ერთდროულად მხო-

<sup>1</sup> ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისი, 2000, გვ. 285.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 293.

ლოდ გამონაკლისის წესით (საქ. სსკ მე-11 მუხლი — დანაშაული ბრალის ორი ფორმით) არსებობს. სხვა შემთხვევებში ისინი ცალკე ცალკე ვლინდებიან.

გარდა ამისა, **რ. ზრანკის** თეორიაში ბრალის დამოუკიდებელი ცნება არ არსებობს. კერძოდ, ამ თეორიაში ბრალი არის გასაკიცხი ქმედება. ცხადია, ქმედების გარეშე ბრალი არ არსებობს, მაგრამ ბრალის ცნება ქმედების ცნებაზე არ დაიფუძნება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **რ. ფრანკმა** ბრალის ცნება განუმარტავი დატოვა.<sup>1</sup> საერთოდაც უნდა ითქვას, რომ **ბრალის ცნება, ცნების ლოგიკურ ფორმაში, ბრალის ნორმატივისტული თეორიის აქილვსის ქუსლია.** თუ ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში ბრალის ცნება ცნების ფორმაში მაინც არის გაშლილი, ბრალის ნორმატივისტულ თეორიაში ბრალი არის გასაკიცხობა. როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ (1952 წელის 18 მარტს) ბრალი განმარტა, როგორც გასაკიცხობა. იქვე დაამატა: „ბრალის უარყოფითი შეფასებით სუბიექტი იკიცხება იმაში, რომ ის მოქმედებდა არამართლზომიერად, რომ მან გადაწყვიტა მართლსაწინააღმდეგოდ, თუმცა მას შეეძლო გადაწყვიტა სამართლის სასარგებლოდ.“ აქვე მოცემულია ერთი, მეტად საგულისხმო, დებულება, რომელიც, სამწუხაროდ, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ან გამოტოვებულია, ან სათანდოდ არაა განმარტებული. კერძოდ, აქ ნათქვამია: „ბრალში გაკიცხვის შინაგანი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ორიენტირებულია თავისუფალ, პასუხისმგებლურ, ზნეობრივ თვითგანსაზღვრებაზე და ამიტომ მას შეუძლია გადაწყვიტოს სამართლისთვის და სამართლის საწინააღმდეგოდ.“ აქ ყურადღებას იქცევს ტერმინი „პასუხისმგებლური,“ რაც პოზიტიური პასუხისმგებლობის ნიშანია, ხოლო პოზიტიური

<sup>1</sup>ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისი, 2000, გვ. 294.



პასუხისმგებლობა სისხლის სამართალში დანაშაულთა თავე და აცილების გამო სისხლისსამართლებრივ ურთიერთობის ფორმას მოითხოვს. სამწუხაროდ, გერმანელი კოლეგები სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე, როგორც წესი, არაფერს ამბობენ და ამდენად პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეაც სათანადო ანალიზისა და გამოყენების გარეშე დარჩა. ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ პასუხისმგებლობა, ამ ტერმინის პოზიტიური ასპექტით, უპასუხისმგებლობის, როგორც ბრალის სინონიმის, ლოგიკური საფუძველია. სამაგიეროდ, ამ დადგენილების ის პუნქტი, რომ ბრალი არის გასაკიცხობა, ხშირად ყოფილა კრიტიკის საგანი.

როგორც მართებულად აღნიშნავს **ლაშა-გიორგი კუტალია**, „გასაკიცხობა ნიშნავს არაშეფასებას, არამედ შეფასებითობას, ხოლო შეფასებას წარმოადგენს გაკიცხვა“<sup>1</sup> (ხაზგამა ავტორისაა — გ. ნ.). შესაბამისად, გასაკიცხობას, როგორც აბსტრაქტულ ცნებას, როგორც შეფასებითობას, შეფასების ობიექტი არ გააჩნია, ხოლო, გაკიცხვას, როგორც შეფასებას, აქვს შეფასების საგანი.

გასაკიცხობა, რომ ბრალი, როგორც გასაკიცხობა, სრულიად გაურკვეველია, ხოლო ბრალი, როგორც გაკიცხვის საფუძველი, ბრალის ცნებას უკველად გულისხმობს. სამწუხაროდ, ბრალის ნორმატივისტულ თეორიაში ბრალს ცნების ფორმაში კი არ აყალიბებენ, არამედ, მოკლე ფრაზებით ახასიათებენ, ძირითადად იმ აზრით, რომ საქმე ეჭვა სუბიექტის გაკიცხვას. მაგალითად, გრაფ **ცუ დონას** აზრით, ბრალი „ნების მართლსაწინააღმდეგო ჩამოყალიბებაა“<sup>2</sup> **პ. ფუსსის** მტკიცებით კი ბრალი არის ნორმატიული მსჯელობა პირის ფსიქიკური პროცესის შეფასების შესახებ და არა თვით ეს ფსიქიკური პროცესი.<sup>3</sup> საკითხავია,

<sup>1</sup> ლაშა-გიორგი კუტალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 346.

<sup>2</sup> A. Graf Zu Donna, Der Aufbau der Verbrechen, Berlin, 1950, s. 39.

<sup>3</sup> H. Fuxs., Österreichs Strafrecht, Allgemeiner Teil, Bd. 1, 1998, s. 188.



სახელდობრ, რომელი ფსიქიკური პროცესის შეფასება ბრალის ცნებას? ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშიც ხშირად იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ „ბრალი არის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება,“ მაგრამ, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ფსიქიკური დამოკიდებულებისადმი გაკიცხვის მექანიკური მისადაგება ბრალის ცნებას ვერ მოგვცემს. აქედან გამომდინარე, რამდენადმე გაურკვეველია პ. შულცის მსჯელობაც, რომ „ბრალი არის დამნაშაუის შინაგანი დამოკიდებულება თავისი საკუთარი, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, ქმედებისადმი,“<sup>1</sup> რამდენადაც აქ არ ჩანს, თუ როგორია ეს „შინაგანი დამოკიდებულება“ და რაში გამოიხატება იგი?

**ედმუნდ მეცგერი** და **პირმან ბლანი** ამტკიცებენ, რომ ბრალი არის წანამძღვარი, რომელიც დანაშაულის ჩადენისთვის „დამნაშაუის წინააღმდეგ პიროვნულ გაკიცხვას აფუძნებს.“<sup>2</sup> დიახ, ბრალი სუბიექტის გაკიცხვის საფუძველია, მაგრამ მთელი საქმე ისაა, თუ რა არის ბრალი?

სამწუხაროდ, გარდა ზოგადი ფრაზისა, რომ ბრალი არის გაკიცხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის, ბრალის ნორმატივისტულ თეორიაში ბრალის სრულყოფილი ცნება ძნელად თუ მოიპოვება. ეს დებულება შეიძლება დაუდასტუროთ **პ. როქსინის** მიერ მიმოხილული ბრალის ხუთი თეორიიდან, რომლებშიც ბრალის ცნება ცნების ლოგიკურ ფორმაში ჩამოყალიბებული არაა.

**პ. როქსინი** გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერების ფრიად გამორჩეული წარმომადგენელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ბრალის პრობლემატიკაში ისიც ზოგადი ნორმატივისტული ტენდენციით არის განსაზღვრული. მართალია, ავტორი ფრიად საინტერესოდ მიმოიხილავს ბრალის ხუთ თეორიას: ბრალი, როგორც სხვანაირად მოქმედების შესაძლებლობა, ბრალი, როგორც ფუნ-

<sup>1</sup> H. Schulz, Einführung in der Allgemeiner Teil des Strafrechts, 1973, s. 16.

<sup>2</sup> E. Mezger, H. Blei, Srtrafrecht, Allgemeiner Teil, München, 1967, s. 150.

ქციონალური ცნება (სასჯელის მიზნით განსაზღვრული **პ. იაკობსი**), ბრალი, როგორც ცხოვრების წესის გამოხატულება, ე.წ. „ხასიათის ბრალი“, ბრალი, როგორც უმართლო ქმედება მიუხედავად ქცევის ნორმატიული განსაზღვრულობისა), მაგრამ ბრალის ცნება არც ამ მიმოხილვაშია გამოკვეთილი და არც თვით ამ თეორიებში. იგი კრიტიკულად აფასებს ბრალის ამ თეორიებს და მართებულად აღნიშნავს, რომ ბრალის ნორმატიული თეორია, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიასთან შედარებით, დიდი პროგრესია, მაგრამ, მისი აზრით, ბრალის ცნებაში გასაკიცხობაზე აქცენტის გადატანა მაინც ფორმალური მომენტია და ბრალის შინაარსობრივ მხარეზე პასუხს არ შეიცავს. ავტორი ბრალის ნორმატიული თეორიების კრიტიკისას განსაკუთრებით ვერ ეგუება ბრალის იმ კონცეფციას, რომელიც „სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობის“ თეზისზეა აგებული. ავტორი, ერთის მხრივ, სწორად აღნიშნავს, რომ სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის თეზისი ემყარება ე.წ. საშუალო ადამიანის ცნებას, როდესაც საზოგადოდ შეეძლოთ ემოქმედათ სხვაგვარად, მაშინ, როცა ბრალის პრობლემა გულისხმობს ამ კონკრეტული პიროვნების შესაძლებლობას. მეორეს მხრივ, თეზისი იმის შესახებ, რომ პირს მოცემულ შემთხვევაში შეეძლო ემოქმედა მართლზომიერად, ნებისყოფის თავისუფლების პოსტულატს ემყარება, ხოლო, **პ. რომსინის** აზრით, ნებისყოფის თავისუფლება ემპირიულად დაუმტკიცებადია ისევე, როგორც დაუმტკიცებადია მკაცრი დეტერმინიზმიც.<sup>1</sup> ავტორი „ცხოვრების წესის“ თუ „ხასიათის ბრალს“ მკაცრი დეტერმინიზმის გამოვლენად აცხადებს, მაშინ როდესაც ბრალი არც ადამიანის ხასიათისგანაა მოწვევტილი და არც მისი ცხოვრების წესისგან. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ბრალის პრობლემა ფილოსოფიისაგან მოწვევტილად, ვერ გადაწყდება. **პ. რომსინის** მსჯელობის ლოგიკით კი გამოდის, რომ ბრალის პრობლე-

<sup>1</sup> C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bamd. 1, 4 Auflage, München, 2006, 860-861.

მატიკაში თავისუფლებისა და აუცილებლობის ფილოსოფიური/კატეგორია არ გამოდგება. ცხადია, ყოველთვის იმაზე მეტყველებს რომ, **პ. როქსინის** მსჯელობის ლოგიკით, ბრალის პრობლემა ფილოსოფიის გარეთ და მისგან დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს. ბრალის და სხვა მსგავს პრობლემატიკაში ფილოსოფიიდან გაქცევის ცდა იურიდიული აზროვნების ისტორიაში იშვიათი არაა. საერთოდაც, **პ. როქსინის** მტკიცებით, ბრალის პრობლემა ნების თავისუფლების შესახებ ფილოსოფიური და ბუნებისმეტყველური დავისგან დამოუკიდებელია.<sup>1</sup> **პ. როქსინის** ამ დებულებას ადასტურებს **ლაშა-გიორგი კუტალიაც**. მისი მტკიცებით, „თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში სულ უფრო და უფრო იკვეთება ტენდენცია, რომლის თანახმად, ნების თავისუფლების პრობლემა (ფილოსოფიური გაგებით) ბრალეულობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში არ მიიღება.“<sup>2</sup> მაგრამ, როგორც ჩანს, **კ. როქსინმა** იგრძნო ის უხერხულობა, რაც ნების თავისუფლების უარყოფას უკავშირდება, და იგი საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ ნების თავისუფლება სისხლის სამართალში ამოსავალი უნდა იყოს, თუცა ის ზუსტად დამტკიცებადი არაა.<sup>3</sup> ცხადია, ნების თავისუფლების ფილოსოფიური პრობლემის ზუსტი ემპირიული დამტკიცება შეუძლებელია, მაგრამ ამ პრობლემის მეთოდოლოგიური როლის უგულებელყოფა დიდი გაუგებრობის წყაროა. ამჯერად კი მოკლედ შევაჯამებ ბრალის თაობაზე **პ. როქსინის** მოსაზრებებს. საქმე ისაა, რომ ხსენებული ავტორი ძირითადად განიხილავს ბრალის ნორმატივისტული თეორიის ყველაზე უფრო გავრცელებულ თეორიებს და შესაბამისად, აფასებს მათ. ბრალის ამ თეორიების დალაგებასა და შემფასებში **პ. როქსინის** არაერთი საინტერესო და საყურადღებო აზრია გამოხატული. ავტორი ბრალს ხშირად განიხილავს უმარ-

<sup>1</sup> C. Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bamd. 1, 4 Auflage, Münchm, 2006, 868.

<sup>2</sup> ლაშა-გიორგი კუტალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 628.

<sup>3</sup> კ. როქსინის დასახ. ნაშრომი, გვ. 870.

თლობასთან მიმართებაში და ეს საკვებით სწორია, მაგრამ, მეორეს მხრით, ეს, როგორც ჩანს, იმას ნიშნავს, რომ უმართლობა, როგორც ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ერთიანობა, დანაშაულის ობიექტური მხარეა და მაშინ ბრალი დანაშაულის სუბიექტური მხარე უნდა იყოს. სამწუხაროდ, როგორც წესი, არც აქ ჩანს, თუ რაში მდგომარეობს ბრალი, როგორც დანაშაულის სუბიექტური მხარე? ცხადია, ბრალის ნორმატივისტული თეორია ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის საწინააღმდეგო პოსტულატზეა აგებული. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ბრალის თეორიების ამ მიმოხილვაში **პ. როქსინი** ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ მხარეს (მოტივებს) არც ახსენებს. რასაკვირველია, ბრალის ნორმატივისტულ თეორიებში ადამიანისა და მისი ცნობიერების პრობლემებს როდი უგულვებელყოფენ, მით უფრო, როცა ბრალის პროლემატიკაში ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებაზე მეტად საინტერესო მსჯელობა ხშირია. მაგრამ ბრალის ნორმატივისტული თეორია, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთნაირი არაა, როგორც წესი, ერთ, განმსაზღვრელ, პრინციპზეა აგებული — ბრალი არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების, აგრეთვე მომქმედის, უარყოფითი შეფასება, მისი გასაკიცხობა თუ გაკიცხვა. თუ მართლწინააღმდეგობა ქმედების სამართლებრივი შეფასებაა, მაშინ ბრალი მომქმედის შეფასებით უნდა გამოიხატოს. რაკი ეს უარყოფითი შეფასება სუბიექტის ბრალის გამოთქმაა, ბრალის ცნობობრივი გამოხატვის ერთადერთი ფორმა ამ მხრით მაინც **გასაკიცხობაა**, იმის მიუხედავად, რომ **პ. როქსინი** ბრალის ცნებიდან ამ მართლაცდა უშინაარსო ცნებისა, თუ ტერმინის განდევნას ცდილობს. მეორე მხრით, ბრალი ვერც „გაკიცხვად“ ჩაითვლება, რადგან გაკიცხვა შეფასებას ნიშნავს, ხოლო, ბრალი გაკიცხვის საფუძველია და არა აბსტრაქტული გაკიცხვა ან გასაკიცხობა.

მე სრულიადაც არ ვაცხადებ პრეტენზიას ბრალის ნორ-

მატივისტული თეორიის საბოლოო შეფასების სიზუსტეზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბრალის ფსიქოლოგიური და ნორმატივისტული თეორიების ეს წარუმატებლობა ძირითადად მათი მეთოდოლოგიური უმწეობის შედეგია. თუ ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ბრალის პრობლემატიკაში ფსიქოლოგიზმია, ესე იგი, ბრალი აქ წმინდა ფსიქიკურ ფენომენად ცხადდება, ბრალის ნორმატივისტული თეორია, პირიქით, ბრალს წმინდა შეფასებად აცხადებს. ბრალის ამ ორი, აშკარად ცალმხრივი, თეორიის დასაძლევად კი ფილოსოფიიდან კი არ უნდა გავიქცეთ, როგორც ამას **კ. როქსინი** ამტკიცებს, არამედ, პირიქით, სწორედ ფილოსოფიას უნდა ჩაუღრმავდეთ კერძოდ, ბრალის პრობლემა, როგორც უკვე აღვნიშნე, სოციალური ფილოსოფიის კატეგორიათა ჭრილში უნდა იქნეს გააზრებული. ამ პოზიციიდან კი, ვიმეორებთ, წინა პლანზე დგება პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა, რადგან დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის (შერაცხადი ფიზიკური და ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირის) პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიული ფორმაა. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ბრალის პრობლემა ადამიანისა და მისი პიროვნების პრობლემებს უკავშირდება. პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი სუბიექტისა და ინსტანციის ურთიერთობის ფორმით ვლინდება. სამწუხაროდ, გერმანელი კრიმინალისტები, როგორც უკვე ითქვა, სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე არაფერს ამბობენ. მათი ნორმატივისტული პოზიცია ამითაც არის გაპირობებული. ამიტომაც, რომ არა მარტო ბრალის ცნება და პრობლემა, არამედ ისიც კი არაა გარკვეული, თუ სისხლის სამართლის სფეროში ბრალეული პირი ვის წინაშეა პასუხისმგებელი? კერძოდ, ერთმანეთისგან განასხვავებენ მორალურ ბრალს და ბრალს სისხლის სამართლის სფეროში. მაგალითად, **მ. შვიდპიროვნის** აზრით, მორალური ბრალისას სუბიექტი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე და ამ აზრით „ინსტანცია“

(ესე იგი ვის წინაშეც სუბიექტია პასუხისმგებელი - გ. ნ.) არის საზოგადოება, მაშინ როდესაც სისხლისსამართლებრივი ბრალის მართლწესრიგის დარღვევიდან წარმოსდგება და აქ "ინსტანცია," საბოლოო ანგარიშით, არის სახელმწიფოებრივი მოსამართლე.<sup>1</sup>

ცხადია, სწორია მოსაზრება, რომ მორალური ბრალისას სუბიექტი პასუხს აგებს საკუთარი სინდისის თუ საზოგადოების წინაშე, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ცნობილმა კრიმინალისტმა არ იცის, თუ ვის წინაშეა პასუხისმგებელი პირი, ვინც ბრალეულად ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება? იგი ამ ქმედებისთვის ფიზიკურად წარსდგება მოსამართლის (სასამართლოს) წინაშე, ხოლო ნეგატიური წესით პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე. მაგრამ დებულება, რომ აღნიშნული პირი პასუხს აგებს სახელმწიფოს წინაშე, ლოგიკურად მოითხოვს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეას, ხოლო გერმანელი კოლეგები ამ ურთიერთობაზე, როგორც იკვე ითქვა, არაფერს ამბობენ. ალბათ ზედმეტია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ მოსამართლე მოქმედებს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (როგორც წესი, სახელმწიფო ხელისუფლებათა დანაწილების ზოგადი პრინციპის შესაბამისად) და მას განაჩენი სახელმწიფოს სახელით გამოაქვს. ეს ფაქტი იმას კი არ ადასტურებს, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის გამო წარმოიშობა, როგორც ამას რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დღემდე ამტკიცებენ, არამედ, პირიქით, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოვლენის იურიდიულ ფორმას წარმოადგენს. ცხადია, ბრალის პრობლემა ამ მიმართებით უნდა გადაწყდეს და გადაწყდება კიდევ, მაგრამ ამ ნიადაგზე ბრალის პრობლემის დასმისა და გადაჭრის

<sup>1</sup> Smidhóiser, Strafrecht, Allgemeiner Teil, Tübingern., 1984, s. 190.



შესაძლებლობას შემდგომ განვიხილავთ.

ამრიგად, ნორმატივში, რომელიც დანაშაულთა თაყვანს აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის უგულვებელყოფით ვლინდება, საკმაოდ ცნობილ კრიმინალისტებსაც კი მეთოდოლოგიურად გასაოცარ უძწეო მდგომარეობაში ავდებს. როგორ უნდა იფიქროს **კანტისა** და **კეპელის** სამშობლოში კაცმა, რომ ბრალის პრობლემის გასაღები ფილოსოფიის გარეთ დევს და ფილოსოფიისგან გაქცევით მოიპოვება? სრულიად ელემენტარულია თუნდაც ემპირიულ დონეზე მტკიცება, რომ **სამართლებრივად გასაკიცხი აზრთა წყობა (მრწამსი)**, რაც ბრალის ნორმატივისტულ თეორიაში საკმაოდაა გავრცელებული, როგორც ბრალის ნიშანი, სუბიექტის მოქმედების თავისუფლების გარეშე შეუძლებელია. **ჰ. ოტო** საესებით სწორად აღნიშნავს, რომ სამართლებრივად გასაკიცხი აზრთა წყობის თუ მრწამსის დემონსტრაცია მართლზომიერი ქმედების სასარგებლოდ სუბიექტის გადაწყვეტილების უნარისა და შესაძლებლობის გარეშე ვერ იქნება გამოხატული. მაგრამ სიძნელე ისაა, რომ ავტორი კატეგორულად უარყოფს ბრალს, როგორც სუბიექტის ხასიათისა თუ ცხოვრების წესის ელემენტს, არამედ აღიარებს მხოლოდ „ქმედების ბრალს.“<sup>1</sup>

ცხადია, ბრალი, უპირველეს ყოვლისა, ქმედების ელემენტია, რადგან ქმედების გარეშე ბრალი და ნგატიური პასუხისმგებლობა გამორიცხებულია. მაგრამ, მეორე მხრივ, ბრალი ქმედების სუბიექტის უარყოფითი შეფასების გარეშეც არ არსებობს. ამას თვით ავტორიც აღიარებს. მისი აზრით, ბრალეულად მოქმედება ცალკეულებს შეუძლიათ. ამასთან, მართლზომიერი ქმედების თავისუფლება ბრალისთვის გადამწყვეტია. ამგვარი ცალკეული ქმედება პიროვნების ხასიათისა და ცხოვრების წესისაგან მოწყვეტილი კი არაა, არამედ მათით განისაზღვრება კიდევ.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ბრალი ქმედებისა და მოქმედის უარყო-

<sup>1</sup> H. Otto, Crundkurs Srtafrecht, Allgemeiner Teil, Berlin, 1992, s. 187.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 188.



ფითი შეფასების სინთეზური ერთიანობით ვლინდება. თუ ქმედების შეფასება მართლწინააღმდეგობის ცნებით გამოითქმის, ქმედების სუბიექტის უარყოფითი შეფასების გამოშატველი ცნება დღემდე სათანადოდ არაა შემუშავებული. მართებული იქნებოდა იმისი თქმა, რომ ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის ერთიანობა უმართლობის ცნებით გამოითქმის. უმართლობა, მისი თანამედროვე გაგებით, შეუძლებელია არა მარტო მიზნის გარეშე, არამედ განზრახვის გარეშეც, რადგან სისხლისსამართლებრივი უმართლობის კლასიფიკაციაში მკვლელობა, როგორც განზრახი ქმედება, საკვებით ლოგიკური ხდება. მაშასადამე, უმართლობა არის ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალის კავშირის ფორმა. თუ ქმედების შემადგენლობიდან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლის გზა არ არსებობს, მაშინ ლოგიკურია მეორე დასკვნაც, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობიდან ბრალზე გადასვლის პირდაპირი ლოგიკური გზაც არ არსებობს.

მოკლედ შევხები და თან შევაჯამებ ბრალის ნორმატივისტული თეორიას ერთი, შედარებით უფრო თანმიმდევრული, სახელმძღვანელოს მიხედვით. მხედველობაში მაქვს **ი. ვისკლისა** და **მ. ბრილკის** ერთობლივი ნაშრომი, რომელშიც სისხლის სამართლის თეორიის რიგი საკითხი საინტერესოაა განხილული. ამჯერად მხოლოდ ბრალის პრობლემაზე შევჩერდები. ავტორის აზრით, ადამიანი, როგორც სამართლის სუბიექტი, სამართლებრივი მოვლენების შუაგულში დგას. „სისხლის სამართლის ნორმები სწორედ მისი ქცევისკენაა მიმართული. კანონმდებელი დანაშაულის შემადგენლობის განმარტაციულელებულს დასჯით ემუქრება, რითაც იგი კონკლუდენტურად განსაზღვრული სახის აკრძალვების ვალდებულებების არსებობის შესახებ გვამცნობს.“<sup>1</sup>

<sup>1</sup> იოჰანეს ვესელსი (ვერნერ ბრილკე), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი, 2010, გვ. 48. (გერმანულიდან თარგმნა ზ. არსენიშვილმა, ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი - სამართლის დოქტორი ი. დვალაძე).



არსებითად სწორია დებულება, რომ ადამიანი, როგორც სამართლის სუბიექტი, სამართლებრივი მოვლენების შუაგულში დგას. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ არასწორადაა ნათქვამი, რომ სისხლის სამართლის ნორმებით კანონმდებელი **“დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელს დასჯით ემუქრება,”** რადგან თუ პირმა დანაშაულის შემადგენლობა უკვე განახორციელა, მაშინ აქ **„დასჯის მუქარა“** უკვე გვიანია. მით უფრო, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების გზით პირს შეიძლება დანაშაული კქონდეს ჩადენილი. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის ნორმების მეშვეობით კანონმდებელი დასჯით ემუქრება სისხლის სამართლის ნორმის ადრესატს, ესე იგი, იმას, ვინც სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია და ვისაც ქმედების შემადგენლობა ჯერ არ განუხორციელებია. მით უფრო, რომ სწორედ სისხლის სამართლის ნორმის ადრესატ-ზეა მიმართული სისხლისსამართლებრივი აკრძალვა, როცა დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს აქტიური მოქმედებით, და პოზიტიური ვალდებულება მართლზომიერი საქციელისა, როცა დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს უმოქმედობით.

ამრიგად, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლის-სამართლებრივი ურთიერთობის იდეა არც ხსენებულ ნაშრომშია განვითარებული, ხოლო, უამისოდ არც თუ გადაწყვეტია დებულება, რომ ადამიანი, როგორც სამართლის სუბიექტი, სამართლებრივი მოვლენების შუაგულში დგას. მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომში ბრალის პრობლემა მაინც საინტერესოა. აქ ნათქვამია, რომ **“ბრალეული გასაკიცხაობის საგანს დადგენილი ქცევის მოთხოვნებისადმი დაშინების არაკეთლისინდისიერი განწყობა წარმოადგენს.”**<sup>1</sup>

<sup>1</sup> იოჰანეს ვესელსი (ვერნერ ბოილჟი), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აკებულება, თბილისი, 2010, გვ. 221. (გერმანულიდან თარგმნა ზ. არსენიშვილმა, ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი-სამართლის დოქტორი I ო. დვალისძე).

ცხადია, ბრალეული ქმედებისას ქცევის წესებისადმი სუბიექტის დამოკიდებულება-განწყობა კეთილსინდისიერი ვერაძეების მაგრამ საკმარისია თუ არა ბრალის ცნებისთვის ეთიკური ტერმინი „არაკეთილსინდისურა“? თუმცა თურმე „ბრალა“ ნიშნავს ქმედების გასაკიცხობას იმის გამო, რომ მას საფუძვლად სამართლებრივად გაკიცხვის ღირსი მრწამსი უდევს.<sup>1</sup> უფრო მეტიც, აქ ისიცაა ნათქვამი, რომ თუ უმართლობის შინაარსი დამოკიდებულია ქმედების და შედეგის უღირსობაზე, „ბრალის შინაარსიც ქმედების კონკრეტული შემადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებული მრწამსის უღირსობით განისაზღვრება.“<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ბრალი სუბიექტის მრწამსის უღირსობაა, ხოლო ეს მოსაზრება საყურადღებოა, რადგან, ადამიანის დანაშაულებრივი ქმედება მისი მრწამსისა და ცხოვრების წესისგან მოწყვეტილი არაა. მაგრამ საკმარისი ძველია ეპიზოდური ხასიათის ე.წ. სიტუაციური დანაშაული, რომელიც ზოგჯერ თვით მსხვერპლის მიერ შეიძლება იყოს პროვოცირებული (მაგალითად, ფიზიოლოგიური აფექტის ვითარება), სუბიექტის მრწამსის გამოხატულებად მივიჩნიოთ მით უფრო ძველია ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის პირდაპირი გამოყვანა სუბიექტის მრწამსიდან, რადგან ამ ასპექტით სახეზეა წინდახედულობის ნორმების მოთხოვნებისადმი სუბიექტის კონკრეტული უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, ვიდრე მისი მრწამსის, როგორც ასეთის, უღირსობა.

ხსენებულ ნაშრომში გატარებულია ის მოსაზრება, რომ გერმანულ კრიმინალისტთა უმრავლესობა ემხრობა ბრალის კომპლექსურ ცნებას, რომლის ელემენტებია: შერაცხაობა, ბრალის სპეციალური ნიშნები (მაგალითად, „ქვენარგზობა“, „ბოროტი განზრახვა“ და სხვა); ბრალის ფორმები, უმართლობის შეცნობის

<sup>1</sup> ი. ვესელსი (ვ. ბოილკე), დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 222

შესაძლებლობა, მისატყვებელი საფუძვლების არარსებობა.

ამჯერად კვლავ დავესხებები **ლაშა-გიორგი კუტალიას** იმ მოსაზრებას, რომ ბრალის კომპლექსური ცნება, სისტემის ცნებიდან გამომდინარე, განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ამ სისტემის ერთიან ელემენტად, ანუ ერთად მოიაზრებს, მაშინ როცა განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც წესი, ბრალის დამოუკიდებელი ფორმებია. ეს არგუმენტი კი ბრალის კომპლექსური ცნების საწინააღმდეგოდ შეტყვევებს. მართალია, ბრალის კომპლექსური ცნება ბრალის დადგენის ლოგიკური ხერხია, როცა ნეგატიური წესით ხდება ბრალის ამ ელემენტების გამოირიცხვა, ხოლო სისტემის ამ ელემენტიდან თუ არც ერთი არ გამოირიცხა, მაშინ ბრალი დადგენილად ითვლება. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ბრალის პოზიტიური ცნებისა და მისი ძირითადი ნიშნების გარეშე ბრალის ელემენტების ნეგატიური წესით დადგენა, როცა ბრალის არც ერთი ელემენტი არ გამოირიცხება, მაინც ვარაუდის სფეროა, ვიდრე დედუქციური დასკვნისა.

ბოლოს, ბრალის ნორმატივისტული თეორიებიდან არ შეიძლება მოღუდ მაინც არ განვიხილოთ არტურ კაუფმანის შეტად საინტერესო თვალსზრისი ბრალისა და სასჯელის მიმართების შესახებ. სამწუხაროდ, არტურ კაუფმანის ნაშრომი, რომელშიც ეს თვალსაზრისია განვითარებული (Schuld und Strafe Berlin, 1966), ჩვენთვის ხერლმისაწვდომი არ აღმოჩნდა და ამიტომ ამ ნაშრომის ძირითად იდეებს ლაშა-გიორგი კუტალიას შეფასებების მიხედვით შევხებით. ირკვევა, რომ სასჯელი არის სისხლისსამართლებრივი რეაგირება ბრალზე, როგორც ბრალის გამოსყიდვა და როგორც ბრალისგან გათავისუფლება. ეს უკანასკნელი ნიშნავს პასუხისმგებელი ინდივიდის მიერ სასჯელის შეგნებულ მოხდას, ნაცვლად სასჯელისადმი იძულებითი წესით მორჩილებისა. იმის მიუხედავად, რომ ლაშა-გიორგი კუტალია ამ მოსაზრებას აკრიტიკებს, ამ კრიტიკაში ნეგატიური მხრე გამოთმულია მე-

<sup>1</sup> ი. ვსელსი (ვ. ბოილკე), დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

ტად ნიშანდობლივი ჭეშმარიტება. კერძოდ, არტურ კაუფმანის მიხედვით, სასჯელი ნიშნავს სუბიექტის, როგორც პასუხისმგებელი არსების, ბრალისგან გათავისუფლებას არა მხოლოდ სოციალურად (გარეგანად), არამედ ინდივიდუალურადაც (შინგაგანადაც).“ ეს, ცხადია, ასეც უნდა იყოს, - მსჯელობს ლაშა-გიორგი კუტალია, - მაგრამ რეალურად ეს ას არ არის, რაც მოცემულ შემთხვევაში მთავარია. საკმარისია მხოლოდ მცირე ხნით დავტოვოთ ღიად ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი საპრობილის კარები, რათა დავრწმუნდეთ, რომ არტურ კაუფმანი უხეშად ცდება.”<sup>1</sup>

როგორც ჩანს, ლაშა-გიორგი კუტალიას იმისი თქმა უნდა, რომ საპრობილის ღია კარებიდან გავა ის პატიმარიც კი, რომელსაც სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდა საკმარისად აქვს შეგნებული. მაგრამ ამჯერად არტურ კაუფმანის სასარგებლოდ ვიტყვი იმას, რომ ადამიანი პასუხისმგებელი არსებაა და, მაშასადამე, გამორცხული არაა, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი პასუხისმგებლობის მოგვიანებით გამოღვიძებულმა გრძნობამ შეაწუხოს, ხოლო, ამ ვითარების ფონზე სასჯელი, როგორც ბრალის გამოსყიდვა, საყურადღებოა. სხვა საკითხია, თუ ადამიანი, როგორც პასუხისმგებელი არსება, დანაშაულის ჩადენისას უპასუხისმგებლოდ მოქმედებს. როგორც ლაშა გიორგი კუტალია იქვე მართებულად აღნიშნავს, „ქმედების ბრალეულობას განსაზღვრავს არა ის, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის მომენტში გააჩნდა პასუხისმგებლობის გრძნობა, ესე იგი მოქმედებდა „პასუხისმგებლურად“, არამედ ის, რომ დამნაშავემ იმოქმედა „უპასუხისმგებლოდ“ მიუხედავად „პასუხისმგებლურად“ მოქმედების შესაძლებლობისა; ამიტომაც სუბიექტი სისხლისსამართლებრივად ისჯება როგორც „უპასუხისმგებლო“ და არა „პასუხისმგებელი“ არსება.“

ლაშა-გიორგი კუტალიას ამ მსჯელობიდან აშკარაა, რომ დანაშაულის ჩადენა სუბიექტის „უპასუხისმგებლობას“ ანუ

<sup>1</sup> ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, თბილისი, 1999, გვ. 232.

„ბრალს“ გამოავლენს, ხოლო, ბრალი, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, უკვე არაერთგზის მოვიხსენიე. მაგრამ კიდევ ამ მიმართებით უფრო კონკრეტულ დასკვნებს გავაკეთებდეთ, მოკლედ განვიხილოთ ბრალის ის მოდელი, რომელიც მიღებულია, როგორც წესი, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მართალია, საინტერესო იქნებოდა ბრალის პრობლემა, მაგალითად, საფრანგეთში, ან იტალიაში, ან მუსულმანური სამართლის ქვეყნებში, მაგრამ ამჯერად ბრალის ანგლო-საქსურ მოდელს (თანაც ძალიან მოკლედ) შევჩები.

### § 3. ბრალის ანგლო-საქსური მოდელი

ცნობილია, რომ სამართლის ნებისმიერი სისტემა დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარეების მიმართებას გვერდს ვერ აუვლის. ამ მხრე კი მეტად თავისებურია დანაშაულის ის სისტემა, რომელიც ანგლო-საქსურ სისტემის სამართალშია მიღებული. კერძოდ, ამ სისტემაში დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური მხარე, როგორც ადამიანის ნების გარეგანი აქტი, გამოითქმის ლათინური ტერმინით (Actus reus), ხოლო დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტური მხარე, რომელშიც სუბიექტის დანაშაულებრივი ნებაც, ანუ ბრალიც იგულისხმება, ლათინურად გამოითქმის როგორც “Mens rea.”

არ დაუბენ იმაზე, რომ პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ბრალდება ქმედების ობიექტური მხარის ნიშნებს არ დაადგენს. მაგალითად, თუ ვინმე ვარაუდობს, რომ იგი ქურდობის გზით ითვისებს სხვის ქონებას, მაგრამ ეს ქონება თურმე უპატრონოა, მაშინ დანაშაულის ობიექტური ელემენტი (Actus reus) არ არსებობს, ხოლო, ასეთ პირობებში არც სუბიექტის ბრალი (Mens rea) არსებობს.<sup>1</sup>

როგორც აღნიშნულია, მე-12 საუკუნემდე ინგლისურ სისტე-

<sup>1</sup> Уголовное право зарубежных государств, М. 2001, 26-27.

ლის სამართალში პასუხისმგებლობისთვის საკმარისად მიანი-  
ნდით ობიექტურად გამოწვეული ზიანი. მაგრამ მოგვიანებით  
წარმოიშვა მოთხოვნა დანაშაულებრივი ქმედების ისეთ სუბიექტურ  
ელემენტზე, როგორცაა უკვე ზემოთ მოხსენიებული *Mens rea*,  
რომელშიც იგულისხმება სუბიექტის სულიერი მდგომარეობა  
და დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური მხარისადმი მისი  
დამოკიდებულება. ამ ასპექტით უპირველესია სუბიექტის გან-  
ზრახვის, ისე, გაუფრთხილებლობის სხვადასხვა გამოვლინება.  
მაგრამ აშკარად უცნაურია ის გარემოება, რომ ინგლისის სისხლის  
სამართალში მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია, რომელიც  
განსაკუთრებით იკვეთება განზრახვის ფორმით ჩადენილ ქმედებაში.  
კერძოდ, ფარაუდება, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომე-  
ლიც ჩადენილია შერაცხადი და გონზე მყოფი ადამიანის მიერ,  
სუბიექტის ნების აქტია. ამგვარი პრეზუმფციის გაბათილების  
ტვირთი თვით ბრალდებულს ეკისრება.<sup>1</sup> ცხადია, სისხლის სამარ-  
თალში ბრალეულობის პრეზუმირება, როგორი განზრახვითაც არ  
უნდა იქნეს ჩადენილი სუბიექტის ქმედება, არსებითად ქინააღ-  
მდეგება ბრალდებულის პროცესუალურ მდგომარეობას, რადგან,  
ბრალდებული, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეო-  
ბით, არაბრალეულია, იმის მიუხედავად, რომ მტკიცების საგანში  
ბრალის ფორმებზე მიმანიშნებელი მტკიცებულება შეიძლება დაგას  
არ იწვევდეს. ჯერ ერთი, ბრალის ფორმა და ბრალი ერთი და იგივე  
არაა. მეორეც, ბრალდებულის არაბრალეულობის პრეზუმფციის  
გაბათილებას და ბრალეულის სამართლებრივ მდგომარეობაში  
ბრალდებულის ჩაყენებას მხოლოდ სასამართლო (მოსამართლე)  
აზორციელებს. მაგრამ ინგლისურ სისხლის სამართალში  
უცნაური მხოლოდ ბრალდებულის ბრალეულობის პრეზუმფცია  
კი არა, არამედ, ე.წ. მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპიც,  
როცა ჩადენილ ქმედებაში გამორიცხულია არა მარტო განზრახვა,  
არამედ გაუფრთხილებლობაც. ასეთი მკაცრი პასუხისმგებლობის  
მაგალითად ასახელებენ შემთხვევას, როცა პასუხისგებაში შეიძ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 29.

ლება მიეცეს უფროსი (ბატონი) მისი მოსამსახურის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის. მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპი შეიძლება ამოქმედდეს იმ სტატუტური დანაშაულისათვის, რომელიც არ არის ბრალის ფორმების აღმნიშვნელი ცნობილი ტერმინები („განზრახ,“ „გაუფრთხილებლობით“), რომლებიც სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, დააზუსტოს ბრალის ფორმები.<sup>1</sup>

ამრიგად, მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპი სხვა არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე. ეს პრინციპი კი არსებითად წინააღმდეგობრივია, რადგან თუ სუბიექტს ბრალი, ანუ უპასუხისმგებლობა არ გამოუვლენია, ნეგატიური პასუხისმგებლობაც გამორცხულია და მაშინ ობიექტურად გამოწვეული ზიანისთვის საპასუხო რეაქცია „პასუხისმგებლობას“ არ წარმოადგენს. ის შეიძლება იყოს ე. წ. „დაცვის ღინისძიება,“ რომელიც ამა თუ იმ სუბიექტის ინტერესების დასაცავადაა გათვალისწინებული. იქ, სადაც სუბიექტს მის მიერ ჩადენილ ქმედებაში და ამ ქმედებით გამოწვეულ ზიანში მისი ბრალის გამო თავის მართლება არ მოეთხოვება, რაკი ეს ქმედება სუბიექტის ბრალს არ გამოხატავს, მისი ნეგატიური პასუხისმგებლობა ალოგიკურია. სხვას რომ თავი დაგანებოთ, უპასუხისმგებლობის ანუ ბრალის გარეშე სუბიექტი ვერ გამტყუნდება და, მაშასადამე, გამამტყუნებელი განაჩენის საგანი, თუ ობიექტი ვერ იქნება.

სხვა საკითხია, როცა გამონაკლისის წესით ბრალი შეიძლება ვარაუდის საგანი აღმოჩნდეს. კერძოდ, როცა დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ან საპროცესო შეთანხმების საკითხი, დანაშაული ჩადენილად ითვარაუდება და, მაშასადამე, სუბიექტის ბრალიც პრეზუმირებულია, თუმცა ყოველივე ეს სათანადო მტკიცებულებებს ემყარება.

ამერიკის შვერთებული შტატების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის ცნება, როგორც წესი, განსაზღვრულია ფორმალურად, ხოლო დანაშაულის ელემენტები წარმოდგენილია ამ საკითხში ინგლისური ტრადიციის მიხედვით(ესე იგი

<sup>1</sup> Уголовное право зарубежных государств, М. 2001, 34-35.



ქმედების ობიექტური მხარე — Actus rea), ხოლო, სუბიექტური მხარე (Mens rea), ანუ, ბრალეული სულისკვეთება, ანუ ბრალეული მიზნეულია, რომ ადამიანს ბრალეულად ქმედება ვერ გადააქცევს, თუ მისი სულისკვეთება არაბრალეულია.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული სისხლის სამართლის კანონმდებლობა და დოქტრინა ბრალის ცნებას და ფორმებს საკმაო ყურადღებას აქცევს, აქაც აღიარებულია შკაცრი, თუ აბსოლუტური პასუხისმგებლობის პრინციპი, რომლის თანახმად, პირი სისხლისსამართლებრივი წესით შეიძლება დაისაჯოს მის ქმედებაში ბრალის დადგენის გარეშე. მართალია, ამერიკული დოქტრინა ასეთ ქმედებათა წრეს ნაკლებად მძიმე დანაშაულს განაკუთვნებს, მაგრამ ამას რომ თავი დაუანებოთ, ფაქტი ისაა, რომ ბრალის ცნებასა და ფორმების პრობლემატიკაში არაერთგვაროვანი ტერმინოლოგია და გაგება, მათ შორის — სასამართლო განაჩენებშიც, საკმაოდ მძიმე ვითარებას ქმნის და ამის გამო ბრალის პრობლემა ამერიკის სისხლის სამართალში ერთ-ერთი ყველაზე აბნეული ნაწილია.<sup>2</sup> ამ მხრივ საკმარისი იქნებოდა იმისი მოხმობა, რომ ამერიკის ფედერალურ კანონმდებლობაში ბრალეულობის აღმნიშვნელი 78 ტერმინია ცნობილი (ზოგიერთი ამერიკელი კრიმინალისტი Mens rea-ზე ამბობს, რომ ის არის ქამელეონი, რომელიც ვითარების შესაბამისად იცვლის ფერს; სხვები კი ამბობენ, რომ ის გამოხატავს ქმედების ჩადენას მორალურად გასაკიცხ ფსიქიკურ მდგომარეობაში, ან, ის ნების გასაკიცხ მდგომარეობას ან ის სუბიექტის ამორალურობას გამოხატავს და ა.შ.).<sup>3</sup>

ამრიგად, ირკვევა, რომ ანგლო-საქსურ სისხლის სამართალში ბრალის პრობლემა კიდევ უფრო აბნეულია, რის გამოც ბრალი ცნების ლოგიკურ ფორმაში ჩამოყალიბებული არ ჩანს.

<sup>1</sup> Уголовное право зарубежных государств, М. 2001, 128-129.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 130

<sup>3</sup> И. Д. Козочкин, Основания ответственности в современном уголовном праве, „Гос. и право“, 2010, № 10.



§ 1. ბრალის კაბაჯორიულური ბუნების საკითხისათვის

წინამდებარე ნაშრომში ბრალის პრობლემა და მისი ახალი გაგება მოკლედ მაინც იქნა გადმოცემული, ჯერ ერთი, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან კავშირში; მეორეც, დასაბუთებულ იქნა, რომ ბრალი ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია; მესამეც, ბრალი სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემაშიც უნდა იქნეს გააზრებული და სხვა. ამჯერად კი, არ გავიმეორებ რა ბრალის ახალი ცნებისა და პრობლემატიკის ძირითად პოსტულატებს, მოკლედ აღვნიშნავ, რომ ბრალი საზოგადოდ არის პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმა. პოზიტიური პასუხისმგებლობა ბრალის, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმის, ლოგიკური საფუძველია, რადგან „პასუხისმგებლობა“ რომ არა, არც „უპასუხისმგებლობა“ იქნებოდა შესაძლებელი. ბრალი, თავის მხრივ, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია, რადგან სუბიექტი ნეგატიური წესით პასუხს აგებს თავისი უპასუხისმგებლო ქმედებისთვის. რამდენადაც „პასუხისმგებლობა“ არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, ბუნებრივია, თუ მისი ასპექტების კავშირის ფორმა, ანუ ბრალი, როგორც „უპასუხისმგებლობის“ სინონიმი, აგრეთვე სოციალური ფილოსოფიის კატეგორია უნდა იყოს. კერძოდ, ბრალი შეიძლება შემდგენიარად განისაზღვროს: ბრალი არის ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, როგორც ანტისაზოგადოებრივი ქმედების სუბიექტური მიზეზი, რომელიც ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია.

ეს არის ბრალის უზოგადესი, კატეგორიული, განსაზღვრება

სოციალური ფილოსოფიის დონეზე. **ჯერ ერთი**, საზოგადოებაში მოქმედი ნორმები, როგორც ქცევის ზოგადი წესები (მორალური, რელიგიის, სამართლის და სხვა) ადგენენ საზოგადოების წევრთა მოვალეობებს, მოიქცნენ ამ მოვალეობათა შესასრულებლად. ეს მოვალეობები კი ქმნიან შესატყვის ურთიერთობებს ამ ნორმების ადრესატებს შორის. ამიტომაც, რომ არსებობს მორალური, რელიგიური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა მსგავსი ნორმატიული ურთიერთობა. **მეორეც**, ეს უნასკნელი კი არის განსაზღვრული ინსტანციის ანუ ზემდგომის (მაგალითად, ზნეობაში-სინდისის, სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწისა - ისტორიის, სისხლის სამართლის სუბიექტისა - სახელმწიფოს და ა.შ.) წინაშე ამ ნორმის ადრესატის პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმა. კერძოდ, ამ ნორმების ადრესატი არა მარტო ვალდებულია მოიქცეს ამ ნორმათა მოთხოვნის შესაბამისად, არამედ, მოწოდებულია ამ ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლურად, ანუ მისი შესრულების განწყობით. **მესამეც**, თუ ნორმატიულად დადგენილი ვალდებულების შეგნება ამ ვალდებულების აღსრულების საკმარისი პირობა არაა, ამ ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება უკვე საკმარისია იმისთვის, რომ ეს ვალდებულება შესრულდეს. **მეოთხე**, აღნიშნული ნორმების ადრესატებს აქვთ გარკვეული თავისუფლება, არჩევანის შესაძლებლობა, ხსენებულ ვალდებულებას, როგორც წესი, მოეკიდნენ პასუხისმგებლურად, თუმცა ეს არ გამოირიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს ამ ვალდებულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შესაძლებლობასაც, ხოლო, ეს შესაძლებლობა, რიგ შემთხვევაში, რეალობაში ნამდვილდება კიდევ. **მეხუთე**, ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის ეს უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სუბიექტის ბრალს გამოხატავს, რადგან, მას შეეძლო მოქცეულიყო პასუხისმგებლურად, ხოლო, ის, პირიქით, მოიქცა უპასუხისმგებლოდ, რომელმაც ანტისაზოგადოებრივი

(ამორალური, თუ მართლსაწინააღმდეგო) ქმედება სუბიექტურად გამოიწვია. **მექვსე**, სუბიექტის უპასუხისმგებლობა, რომელიც ანტისაზოგადოებროვ ქმედებაში და მის შედეგებში გამოიხატა, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია, რადგან გარდუვალია, რომ სუბიექტმა ნეგატიური წესით გარკვეული ინსტანციის წინაშე პასუხი აგოს ამ უპასუხისმგებლობის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად (ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგების გათვალისწინებით). მეშვიდე, უპასუხისმგებლობისთვის სუბიექტზე ნეგატიური პასუხისმგებლობის მიზანია ეს სუბიექტი კვლავ პოზიტიური პასუხისმგებლობის პოზიციისაში აღადგინოს და დააბრუნოს.

უკვე ითქვა, რომ ადამიანის პიროვნება, როგორც საზოგადოების წევრი და სოციალიზაციის გარკვეული შედეგი, პასუხისმგებლობის გარკვეული გრძნობის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა, მართალია, ამ ფენომენის ფსიქოლოგიური მხარეა, მაგრამ ის მაინც ადამიანის პიროვნების სოციალურ ურთიერთობათა არსებითი ნიშანია და ქმნის ამ ურთიერთობის შინაარსს, ხოლო ეს ურთიერთობა პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმაა.

აქ მოკლედ ვიტყვი იმის შესახებ, რომ თეორიულ შემეცნებაში აზრის ორი ლოგიკური ფორმა არსებობს: ცნება და კატეგორია. თუ ცნება საგანში ადგენს ზოგადისა და კერძოს, გვარისა და სახის მიმართებას, კატეგორიას ამგვარი დაყოფა არ ახასიათებს და ამიტომ მას შესაბამის სფეროში უზოგადეს ცნებას უწოდებენ. ერთ-ერთ ასეთ უზოგადეს ცნებას, ანუ კატეგორიას „**პასუხისმგებლობა**“ წარმოადგენს, რომელიც სოციალური ფილოსოფიის დონეზე შეიძლება იქნეს გააზრებული. სამწუხაროდ, იურიდიულ ლიტერატურაში „**პასუხისმგებლობა**,“ ან, როგორც წესი, იურიდიული პასუხისმგებლობის სახითაა წარმოდგენილი ან, როგორც წესი, ესმით მხოლოდ ნეგატიური ასპექტით და პოზიტიური პასუხისმგებლობას უარყოფენ. მაგალითად, **ლ. კიტ-**

**რუხინი** სპეციალურად ჩერდება პასუხისმგებლობის პოზიტიურ ასპექტზე და, ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ასკენის <sup>1</sup>რომ “პოზიტიური პასუხისმგებლობა გადადის ნეგატიურში, თუ პირი ბრალეულად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას („პასუხისმგებლობა უპასუხისმგებლობისათვის).”<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ავტორი საკვებით ლოგიკურად მსჯელობს, როდესაც უპასუხისმგებლობა, ანუ ბრალი (“პასუხისმგებლობა უპასუხისმგებლობისათვის”) პოზიტიური პასუხისმგებლობიდან გამოაქვს და ნეგატიურ პასუხისმგებლობას უპასუხისმგებლობაზე აფუძნებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ირკვევა, რომ ავტორის ეს ლოგიკური მსჯელობა მხოლოდ პირობითია, ხოლო, რეალურად თურმე “დაუშვებელია ერთ განსაზღვრებაში გაგაერთიანოთ პატიოსანი ადამიანის მიერ თავისი სოციალური ვალის შესრულებისადმი შეგნებული დამოკიდებულება და სამართალდამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.”<sup>2</sup> ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა ხელუნურია. პასუხისმგებლობა მხოლოდ ნეგატიური შეიძლება იყოს და რომ “პასუხისმგებლობის ორი ფორმისათვის საფუძველი არ არსებობს.”<sup>3</sup>

ამრიგად, **ლ. კპიტრუხინმა**, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტიდან გამომდინარე, გააკეთა საკვებით ლოგიკური დასკვნა, რომ ბრალი სხვა არაფერია, თუ არა სუბიექტის უპასუხისმგებლობა, რომელიც ნეგატიურ პასუხისმგებლობას აფუძნებს. მაგრამ, მეორე მხრივ, პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფით ავტორმა პირწმინდად უარყო ბრალის ახალი კონცეფციის შემუშავების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, თუ პოზიტიური პასუხისმგებლობა არ არსებობს, მაშინ, ლოგიკურია

<sup>1</sup> Л. П. Петрухин, Свобода личности и уголовно-процессуальное принуждение, М. 1985, стр. 92.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 92.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 95.

დასკვნაც, რომ ადამიანის პიროვნება პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე წარმოიდგინოთ, ხოლო რეალურად პასუხისმგებლობის გრძნობა უცხოა ცხოველისთვის, ადამიანის პიროვნებისთვის კი იგი ისევე განუყოფელია, როგორც მისი სოციალურობა. სამწუხაროდ, პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფის სხვა არაერთი ფაქტი არსებობს. მაგალითად, **პ. ღაბუაშვილი** და **პ. ნოშოკონოვი** აღიარებენ პასუხისმგებლობის დაყოფას პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებად, მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ „სისხლისსამართლებრივი მოწესრიგების საგანი და მეთოდი სუბიექტთა ზოგადსამართლებრივ სტატუსს არ ადგენს. ამიტომ, მოქალაქეთა ზოგადი ვალდებულება, დაიცვან სისხლის სამართლის კანონმდებლობა, პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს. პასუხისმგებლობა სისხლის სამართალში რეალურად არსებობს მხოლოდ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ურთიერთობის ჩარჩოებში.“<sup>1</sup> გამოდის, რომ არსებობს პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი საზოგადოდ, მაგრამ ის სისხლის სამართალში არ ვლინდება. მაშასადამე, ზოგადი (პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი) სისხლის სამართალში, როგორც კერძოში, არ ვლინდება, ხოლო ზოგადი კერძოში გამოვლენის გარეშე არ არსებობს. გარდა ამისა, რანაირად შეიძლება პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი, რომელიც ადამიანის პიროვნების პასუხისმგებლობის გრძნობას უკავშირდება, არ ახასიათებდეს სისხლის სამართლის სუბიექტს დანაშაულის ჩადენამდე? როგორც ჩანს, დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა იმდენად ვალბია, რომ ის ადამიანის პიროვნებას პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე წარმოაჩენს და, მაშასადამე, მას ცხოველთან ათანაბრებს, რადგან, ცხოველს, ცხადია, პასუხისმგებლობის გრძნობა არა აქვს. პასუხისმგებლობის სათანადო გრძნობის გარეშე კი დანაშაულის

<sup>1</sup>П. С. Дагел, В. А. Номоконов, Основные направления советской уголовной политики, „ Проблемы советской уголовной политики, „Владивосток, 1985, стр. 71.

ჩამდენი პირი თავის ბრალს უპასუხისმგებლობის აქტად ვერც აღიქვამს, რის გამოც მისთვის ნეგატიური პასუხისმგებლობაც საკლებით უცხო და გარედან თავსმოხვეული აღმოჩნდება. ასეთ პირობებში ნეგატიური პასუხისმგებლობა მის დანიშნულებას — აღადგინოს სუბიექტი პოზიტიური პასუხისმგებლობის პოზიციაში — ცხადია, ვერ შეასრულებს.

ამრიგად, პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფა ან უგულებელყოფა ლოგიკურად სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის პიროვნებაში პასუხისმგებლობის გრძნობის, როგორც მისი სოციალიზაციის შედეგის, უარყოფა ან უგულებელყოფა, ხოლო, ყოველივე ეს ადამიანის სოციალური ბუნების დანახინჯებას წარმოადგენს. ასეთ პირობებში ბრალის პრობლემის მართებული დასმა და გადაჭრა შეუძლებელია. ვფიქრობ, ამ მხრივ მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბრალი, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, სისხლის სამართლის ოფიციალურ კანონმდებლობაშიც კი იყო გათვალისწინებული, ხოლო მას სათანადო თეორიული განვითარება რატომღაც არ მიუღია. კერძოდ, გერმანიის ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 პარაგრაფში ნათქვამი იყო შემდეგი: “ქმედება ბრალეულად ჩადენილად ჩაითვლება, თუ პირი, მიუხედავად მისი შესაძლებლობისა, იმოქმედების საზოგადოებრივ მოთხოვნათა შესაბამისად, უპასუხისმგებლო ქმედების შედეგად ახორციელებს სისხლის სამართლის კანონში აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობას.”

როგორც ვხედავთ, ამ პარაგრაფში “უპასუხისმგებლო ქმედება” არის იმის მიზეზი, რომ სუბიექტი ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას. სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ აქ ტერმინი „უპასუხისმგებლო“ ტერმინი „ბრალეულის“ სინონიმი. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ამ ფრიად საინტერესო იდეას შემდგომი განვითარება არ მოჰყოლია. ასეთივე ბედი

ქია აკად. **3. კუდრიავეცის** იმ დებულებასაც, რომ ბრალი პოზიტიური პასუხისმგებლობის საპირისპირო კატეგორიაა. ავტორის მტკიცებით, პოზიტიური პასუხისმგებლობა სუბიექტური მხარის გარეშე შეუძლებელია. შესაძლოა, პირი უარყოფითად ეკიდებოდეს მის მოვალეობას, მაგრამ თუ ის ამ მოვალეობას მაინც ასრულებს, მისი არც წახალისების და არც გაკიცხვის საფუძველი არსებობს. თუ იმ ვარიანტს განვიხილავთ, რომ “პირი არღვევს როგორც ობიექტურ ვალდებულებას, ისე სუბიექტურ ვალს, მოცემულ შემთხვევაში არის სრული საფუძველი ვილაპარაკოთ სამართალდარღვევაზე, შესაბამისად — პირის ბრალზე.” ქედან გამომდინარე, ავტორი ასკენის, რომ “სწორედ ბრალი, ჩვენი აზრით, გამოდის, როგორც პოზიტიური პასუხისმგებლობის ცნების საპირისპირო კატეგორია”.<sup>1</sup>

ამრიგად, **3. კუდრიავეცი** ბრალს პოზიტიური პასუხისმგებლობის სუბიექტურ მხარედ და მისივე საპირისპირო კატეგორიად აცხადებს. სამწუხაროდ, ავტორმა ამ ფრიად მნიშვნელოვან დებულებას შედგომა განმარტება და განვითარება რატომღაც არ მისცა, რის გამოც მისი პოზიცია ორაზროვანი აღმოჩნდა. კერძოდ, პოზიტიური პასუხისმგებლობის საპირისპირო მდგომარეობად ზოგჯერ ნეგატიური პასუხისმგებლობას მიიჩნევენ, რადგან პასუხისმგებლობის ორი ასპექტი (პოზიტიური და ნეგატიური) ერთმანეთის საპირისპიროდ გამოიყურება, თუმცა, იფიქრებენ იმას, რომ ერთიც პასუხისმგებლობაა და მეორეც. პირველის დანიშნულებაა, იმოქმედოს აწემოში, რათა მოძაგალში გამოირიცხოს ნეგატიური პასუხისმგებლობა და მისი საფუძველი. მეორე კი წარსულში ჩადენილი უპასუხისმგებლო ქმედებას ეფუძნება, რათა სუბიექტი უპასუხისმგებლობის პოზოციიდან პოზიტიური პასუხისმგებლობის სფეროში გადაერთოს.

გასაკებია, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობის საპირისპირო

<sup>1</sup> В.Н.Кудрявцев, Субъективные элементы ответственности, „Вопросы Борьбы с преступностью, Вып. 34. 1981, стр. 5.



ნეკატიური პასუხისმგებლობა კი არაა, არამედ, უპასუხისმგებლობა, როგორც პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეკატიური ასპექტების კავშირის ფორმა, ანუ, ბრალის სინონიმი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ **მ. კუდრიაშვილს** ეს უკანასკნელი გაგება პქონდა მხედველობაში, ესე იგი, მან ბრალი სუბიექტის უპასუხისმგებლობად წარმოადგინა. ეს დასკვნა კი ფრიად არსებითია, რადგან ბრალი, როგორც უკვე ითქვა, პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეკატიური ასპექტების კავშირის ფორმაა ანუ უპასუხისმგებლობის სინონიმი. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი “უპასუხისმგებლობა” ამა თუ იმ კონტექსტში იშვიათად არ გვხვდება, ბრალის სინონიმად იგი, როგორც წესი, დღემდე არაა მოაზრებული. მით უმეტეს, მისი კატეგორიული ბუნება სერთოდ არაა წარმოჩენილი. ჩვენ კი გვაქვს სრული საფუძველი ვამტკიცოთ, რომ „ბრალი,“ როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, კატეგორიული ბუნებისაა. მაგალითად, თუ ბუჩიძე ქება კატეგორიის რაობას და აღნიშნავს, რომ კატეგორია ბერძნული წარმოშობის ტერმინია და თავდაპირველად ნიშნავდა დადანაშაულებას, მხილებას, ხოლო კატეგორიის ფილოსოფიური ანალიზის შემდეგ იგი არსებულის ძირეულ დახასიათებად იქნა მიჩნეული. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ პითაგორელების მიერ შედგენილი კატეგორიების ცხრილში ნათლად გამოიკვეთა აზრი, რომ ცალკეულ კატეგორიებს საქმე აქვთ მათ საპირისპირო მდგომარეობასთან — საზღვარს — უსაზღვროსთან, კენტს — ლუსთან და ა. შ. ამ მოსაზრებაში, როგორც ჩანს, კატეგორიების დიალექტიკური გააზრების ჩანასახი შეიძლება დაუინახოთ.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, საინტერესო ისაა, რომ ცალკეული კატეგორიები საპირისპირო მდგომარეობაზე მიგვიითითებენ. კერძოდ, გამოდის, რომ “საზღვარი,” როგორც გარკვეული აზრის ფორმა, თავის საპირისპიროს ანუ “უსაზღვროს” ადგენს და გამოხატავს

<sup>1</sup> თუ ბუჩიძე, კატეგორიის რაობა, “თანაფარდობითი კატეგორიები,” თბილისი, თსუ, 1983, გვ. 3.



კიდევ. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ „პასუხისმგებლობა,“ მისი პოზიტიური ასპექტით, მიუთითებს მის საპირისპიროზე ანუ „უპასუხისმგებლობაზე,“ რომელიც, თავის მხრივ, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია. აქ, როგორც უკვე ჩანს, იკვეთება სასფუძველ-შედგენის კავშირი: პოზიტიური პასუხისმგებლობა საფუძველია მისი საპირისპიროსთვის, ანუ უპასუხისმგებლობისთვის, ხოლო ეს უკანასკნელი საფუძველია ნეგატიური პასუხისმგებლობისთვის.

არსებობს კატეგორიების ურთიერთგადახლართვაც. ეს, ცხადია, ქება ბრალის კატეგორიასაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა ე. წ. სასაზღვრო კატეგორიებში ბრალის კატეგორიის ადგილის დადგენა, როგორიცაა, მაგალითად, ბრალის კატეგორიის ადგილი თავისუფლებისა და აუცილებლობის მიმართების სფეროში; ან მიზეზისა და შედეგის და ბრალის კატეგორია, თვისებრიობისა და რაოდენობრიობის კატეგორიის მნიშვნელობა ბრალის ხასიათისა და ხარისხის პრობლემატიკაში და სხვა. მაგრამ ამ საკითხებს ბრალის ხარისხის პრობლემასთან კავშირში განვიხილავ ამჯერად კი დაეასკენი, რომ ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, სპეციფიკურად ვლინდება საზოგადოების სხვადასხვა ნორმატიულ სფეროში ამ უკანასკნელის სპეციფიკის შესაბამისად. ნათქვამი ქება სისხლის სამართლის სფეროსაც, რადგან სამართლის ამ დარგში ბრალი, ჯერ ერთი, დანაშაულის ცნების მესამე ელემენტია. მეორეც, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია და სასჯელის დამაფუძნებელ და გამამართლებელ ფენომენს წარმოადგენს. მესამე, ბრალი სასჯელის მიზნების ასპექტითაც უნდა იქნეს განხილული, თუცა ამ საკითხზე ჩვენ უკვე მოკლედ მაინც გვექონდა მსჯელობა და აქ არ გავიმეორებთ. მეოთხეც, ბრალი სისხლის სამართლის სფეროში განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით ვლინდება. ეს საკითხი, თავისი დიდი მნიშვნელობის გამო, ცალკე პარაგრაფს იმსახურებს.

## § 2. ბრალის ფორმების პრობლემა



ბრალის ფორმების პრობლემა არანაკლებ რთულია, ვიდრე ბრალის პრობლემა, თუმცა, ბრალის ცნება ბრალის ფორმების სწორად გააზრების ლოგიკური საფუძველია. ბრალის პრობლემატიკაში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ტრადიციულია, მათ შორის ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშიც, მაგრამ ბრალის ფორმების პრობლემატიკაში იშვიათი არაა ისეთი უკიდურესობანი, როცა ბრალის ფორმა საერთოდაა უარყოფილი, ან ბრალი განზრახვაზე ან გაუფრთხილებლობაზეა დაყვანილი და ბრალის ცნება გაუგებარი ხდება. უფრო მეტიც, აზროვნების ისტორიაში იყო დრო, როცა უარყოფილი გახლდათ “ბრალის” და “სასჯელის” ტრადიციული ცნებები. ასეთი დასკვნა, როგორც ცნობილია, გაკეთდა სისხლის სამართლის ანთროპოლოგიური მიმართულების ლიგვიტით, როცა ადამიანის საქციელი, მათ შორის დანაშაულებრივი ქმედება, ბუნებისმეტყველური მეთოდებით იქნა ახსნილი და გაგებული. ამ მიმართულებაში დანაშაულებრივი ქმედება დასჯადობის მხოლოდ სიმპტომაა და არა საფუძველი. მართალია, ბრალის ფორმებს არ უარყოფდნენ, მაგრამ ისინი მეორეხარისხოვნად იყო მიჩნეული. სასჯელის ტრადიციული ცნების ნაცვლად რეკომენდირებული გახლდათ სოციალური უშიშროების ზომები. ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლებიც, რადგან ამ მიმართულებაშიც დანაშაულობის სოციალურ-ბიოლოგიური ფაქტორების ეკლექტიკური შეკრწინების შედეგად ჩამოყალიბდა ბრალის ტრადიციული ცნებისა და ფორმების უგულებელყოფის ტენდენცია. ამ მიმართულებაში ყურადღება გამახვილდა პიროვნების ე. წ. საშიში მდგომარეობის ცნებაზე, რადგან დანაშაულის ჩამდენი პირი ისეთივე საშიშია, როგორც სულით აუადმყოფი, ხოლო, ამ პირის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს არა სასჯელი, არამედ სოციალური დაცვის სისტემა. ცნობილია, რომ საბჭოურ სისხლის სამართალში (მე-20

საუკუნის 20-იანი წლები), ერთის მხრივ, ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების ზეგავლენამ, ხოლო, მეორეს მხრივ, საგნებისადმი და მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომის უკიდურესმა გაგებამ ხელი შეუწყო იმ აზრის ჩამოყალიბებას, რომ „ბრალი“ და „სასჯელი“ თითქოს ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერების გადმონაშთია, ხოლო საბჭოთა სისხლის სამართალში სანაცვლოდ გამოყენებული უნდა იქნეს ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვა და გაუფრთხილებლობა, ხოლო სასჯელის ცნება სოციალური დაცვის ღონისძიებათა სისტემაში უნდა შეცვალოს. ამ და სხვა ამგვარ მოსაზრებას საფუძვლად ელო არა მხოლოდ უკიდურესობამდე მისული კლასობრივი პრინციპი, არამედ ბრალის პრობლემატიკაში ფორმა-შინაარსის არასწორი გაგებაც. შეუძლებელია არსებობდეს ბრალის ფორმები და არ არსებობდეს ბრალი, როგორც ბრალის ფორმების გვარუობითი ცნება (შინაარსი). სამწუხაროდ, საკითხის ამგვარად დასმას ხელს ისიც უშლიდა, რომ ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის სახეებადაც იქნა მიჩნეული, თითქოს არსებობს განზრახვი და გაუფრთხილებელი ბრალი.

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ შემდგომი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში „ბრალი“ და „სასჯელი“ თავის კანონიერ უფლებებში აღადგინეს, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიიდან გამომდინარე, აქ დგება რამდენიმე პრინციპული მნიშვნელობის საკითხი. **ჯერ ერთი**, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის სახეები ვერ იქნება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყოველი სახე გვარის ცნებას, ანუ ბრალის ზოგად ცნებას მოითხოვს. ამ პოზიციიდან კი „ბრალი“ გარკვეული თვისებრიობის მქონე შინაარსია, რომელიც გამოვლენის ფორმების გარეშე არ არსებობს. მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც ფსიქიკური დამოკიდებულების სახეებია და ამან, თავის მხრივ, განაპირობა, **ჯერ ერთი**, ბრალის ფორმების გარდაქმნა ბრალის

სახეობად; მეორეც, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის წმინდა ფსიქოლოგიური გაგებაც, როცა ბრალი და მისი ფორმები ქმედების შემადგენლობის ელემენტებია.



### §3. ბრალისა და მისი ფორმების თანაფარდობის პრობლემა „ფინალიზმში“

როგორც ცნობილია, დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მოძღვრებაში რამდენიმე მიმართულება არებობს (კლასიკური, ნეოკლასიკური, ფინალური). ამჯერად ფინალისტური თეორია მაინტერესებს, რადგან ამ თეორიაში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებიდან ქმედების ელემენტებად იქნა წამოღგენილი. „ფინალიზმში“ წარმომდგარია იქიდან, რომ ამ თეორიის თანახმად, ადამიანის ქმედება კაუზალური, ანუ, ბრმა კი არაა, არამედ მიზნობრივად, ანუ, ფინალურად არის წარმართული, ესე იგი, მიზნითაა ზედეტერმინირებული (ამ მიმართულების დამფუძნებელი გახლდათ გერმანელი კრიმინალისტი **ჰანს ველ-ცელი**). ცხადია, ადამიანის საქციელი მიზნის, საშუალებისა და შედეგის თანფარდობის გარეშე სწორად ვერ იქნება შეფასებული. მაგრამ ამჯერად ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ „ფინალიზმში“ ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვა და გაუფრთხილებლობა ქმედების ელემენტებად იქნა მიჩნეული. თუ განზრახვა, გერცვლებული მოსაზრების თანახმად, შეიძლება იყოს შეფასებისგან თავისუფალი, ანუ ქმედების ბუნებრივი, ფსიქიკური ელემენტი, გაუფრთხილებლობა, ჯერ ერთი, სუბიექტის ქცევის მიზნის, ანუ ფინალურობის ელემენტი ვერ იქნება (მიზნით დაფუძნებული გაუფრთხილებლობა შეუძლებელია); მეორეც, გაუფრთხილებლობა იმთავითვე შეფასებითი ნიშნებით ვლინდება, იმის მიუხედავად, რომ ის ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულებისგან მრჩვევითი არაა.

პროფ. თ. წერეთელი ფინანსისტების მანკირებას სწორედ <sup>გაშვი</sup> ~~გაშვი~~ ხედავდა, რომ მას გაუფრთხილებლობაც, განზრახვასთან ერთად, ქმედების ფსიქიკურ, ბუნებრივ ელემენტად მიაჩნდა.<sup>1</sup>

ამრიგად, ამკარაა, რომ განზრახვის და გაუფრთხილებლობის, როგორც თუნდაც ქმედების ფსიქიკური ელემენტებისგან, მოწვევტილი ბრალი სხვა არაფერია, თუ არა წმინდა შეფასება (ჯერარსი), რომელსაც შეფასების ობიექტი არ გააჩნია. ამ პოზიციიდან ბრალი მართლაც აბსტრაქტული გასაკიცხობაა და არა გაკიცხვის საფუძველი.

პროფ. **ო. გამყრალიძე** ორიგინალურად აკრიტიკებს ფინანსიზმს და ფიქრობს, რომ განზრახვა შეიძლება იყოს შეფასებისგან თავისუფალიც, როგორც ქმედების წმინდა ფსიქიკური ელემენტი, თუმცა, განზრახვა ზოგჯერ შეიძლება ბრალის ფორმადაც მოგვეკლინოს, მაშინ, როცა, გაუფრთხილებლობა ყოველთვის ბრალია და იგი ქმედების ფსიქიკური ელემენტი ვერ იქნება. საინტერესოა ისიც, რომ ავტორს ბრალი ფსიქიკური ელემენტებისგან გამყმენდილად, ანუ წმინდა შეფასებად წარმოუდგენია.<sup>2</sup>

ამრიგად, როგორც ირკვევა, არსებობს გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის სახე, ხოლო განზრახვა, როგორც ქმედების ფსიქიკური ელემენტი, ბრალის ეტაპზე ფასდება და ისიც შეიძლება სუბიექტს ბრალად შეეცაცხოს. აქედან ის ცნობილი დასკვნა გამომდინარეობს, რომ განზრახვას ორმაგი ბუნება აქვს. ის, ერთის მხრით, არის ქმედების ფსიქიკური ელემენტი, ხოლო, მეორეს მხრით, — ბრალის ფორმა. ეს აზრია გამოხატული, მაგალითად, **ი. ვისელისა** და **ვ. ბოილკის** ერთობლივ ნაშრომშიც. აქ ნათქვამია, რომ “უმართლობის სუბიექტური შემადგენლობისთვის

<sup>1</sup> თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 1. თბილისი, 2007, გვ. 163.

<sup>2</sup> თ. გამყრალიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართლში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, “სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, თბილისი, 2006, გვ. 38-44.

განზრახვის მიკუთვნება არ იწვევს ბრალის სფეროში მისი ყოველგვარი მნიშვნელობის დაკარგვას. უფრო მეტიც, განზრახვამ, როგორც ქცევის ფორმამ და ბრალის ფორმამ, დელიქტების სისტემაში ორმაგი ფუნქცია უნდა შეასრულოს.“<sup>1</sup>

ამრიგად, განზრახვა თავდაპირველად ქმედების ბუნებრივი, ფსიქიკური, ელემენტია. ბრალის ეტაპზე კი მისი შეფასება ქმნის ბრალის ფორმას. იბადება კითხვა: თუ ქმედების ჩადენის დროს განზრახვა ქმედების მხოლოდ ფსიქიკური ელემენტია, მაშინ რანაირად შეიძლება ბრალის ეტაპზე მისმა შეფასებამ შექმნას განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა?

აქ აშკარაა ნორმატივიზმის ზოგადი პრინციპი ფსიქიკური მოვლენების ორმაგი ფუნქციის შესახებ. საყოველთაოდაა ცნობილი, მაგალითად, **ჰანს კლზენის** ცდა, სამართალი გაეწმინდა ყოველგვარი არასამართლებრივი (ფსიქიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა) მინარევებისგან. ამ პოზიციიდან აშკარაა, რომ, მაგალითად, ნებისყოფა, როგორც ადამიანის ფსიქიკური უნარი, სამართლის გარეთაა. მაგრამ როცა კლზენს მაინც დასჭირდა ადამიანი, როგორც სამართლის ნორმის ადრესატი, ის იძულებული გახდა, დაეშვა ნებისყოფის ნორმატიული ცნება, რომელიც ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ცნებასთან არაერთარ კავშირში არაა. ეს აშკარაა ჰანს კლზენის თეორიის იმ დალაგებიდან, რაც პროფ. **ალ. პანეიშვილმა** ჯერ კიდევ 1929 წელს გააკეთა. **ჰანს კლზენი** წერს: “ნებისყოფის ფსიქოლოგიური ცნებისაგან ნებისყოფა იურიდიული მნიშვნელობით განირჩევა იმით, რომ უკანასკნელის საგნად არასოდეს არაა მიჩნეული წარმოდგენა, არამედ გარჯვანი ფაქტები და რომ იურისპრუდენციას არ შეუძლია გამოიყენოს ფსიქოლოგიის მიერ მოცემული დასკვნები, რადგან ნებისყოფის ის ცნება, რომელსაც იძლევა თანამედროვე ფსიქოლოგია, სამარ-

<sup>1</sup> ი. ვესელსი (ვ. ბოილკე), სისხლის სამართალი, დანაშაული და მისი აკუბულება, თბილისი, 2010, გვ. 77. (გერმანულიდან თარგმნა ზ. არსენიშვილმა, სამეცნიერო რედაქტორი-სამართლის დოქტორი ი. დვალიძე).

თლის სპეციფიკური მიზნებისათვის ვერ გამოდგება.”<sup>1</sup>

ამრიგად, ამჟამად, რომ ნებისყოფის ეს ორმაგი, თუ დუალიზმური ფუნქცია ისეთივე ორმაგი, თუ დუალიზტურია, როგორც ბრალის თუორიაში განზრახვის ორმაგი ფუნქცია. ცხადია, საკითხის მონისტური გააზრება და გადაჭრა აჯობებს, მაგრამ ვიდრე ამ საკითხზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია “ფინალიზმში” ბრალის ფორმების უარყოფისა და ქმედების სტრუქტურაში მათი შეტანის შესახებ ფორმა-შინაარსის დიალაქტიკური კავშირის საფუძველზე შევფასოთ კერძოდ, თუ ბრალის ფორმა არ არსებობს, მაშინ როგორაა შესაძლებელი ბრალი? უფორმო შინაარსი და უშინაარსო ფორმა შეუძლებელია. **ლაშა-გიორგი კუტალია** ბრალის პრობლემატიკაში ფინალიზმის ამ წინააღმდეგობას საკვებით სწორად ახასიათებს. კერძოდ, განზრახვისგან და გაუფრთხილებლობისგან მოწყვეტილი ბრალი სხვა არაფერია, თუ არა წმინდა ნორმატიული შეფასება, ვითარც ამ ლოგიკით ჯერარსი არსისგან მოწყვეტილი წმინდა ჯერარსია. აქედან გამომდინარე, ხსენებული ავტორი წერს: „ნორმატიულ შეფასებასთან გაიგივებული სისხლისსამართლებრივი ბრალი არ მოიცავს თავის შემადგენელ კომპონენტად არც განზრახვას და არც გაუფრთხილებლობას, არ გულისხმობს სუბიექტის ფსიქიკის მადეფინირებულ როლს და, ამგვარად, სხვა ნაკლოვანებასთან ერთად, იქცევა დოგმატურად ამორფულ (უფორმო) სისხლისსამართლებრივ ცნებად.”<sup>2</sup>

ამრიგად, ამჟამად, რომ ბრალი მისი გამოვლენის ფორმების გარეშე შეუძლებელია. ამაზე მეტყველებს ფინალიზმის ის წინააღმდეგობაც, რომ განზრახვა თითქოს ბრალის ფორმა კი არაა, არამედ ქმედების ფსიქიკური ელემენტია. ამ პოზიციიდან დგას არა მხოლოდ ბრალის პრობლემა, არამედ სისხლის სამართლის

<sup>1</sup> ალ. ვაჩიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართალზე, თბილისი, 1929, გვ. 51.

<sup>2</sup> ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისი, 2000, გვ. 529.



თორის სხვა ფუნდამენტური პრობლემებიც. რიპარდ ბუში ამ მხრივ ასახელებს ორ პრობლემას — მოშადებას და მცდელობას, როგორც განზრახვის გამოუღენის ფორმებს, და დანაშაულში თანამონაწილეობას, რომელიც აგრეთვე განზრახვის, როგორც ბრალის ფორმის, გარეშე შეუძლებელია.<sup>1</sup>

მართლაც, თუ განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, არ არსებობს, მაშინ ფინალიზმი იძულებული იქნება, აღიაროს დანაშაულში ე.წ. ფაქტობრივი თანამონაწილეობა (განზრახვის, როგორც წმინდა ფსიქოლოგიური, ფაქტობრივი, ბუნების შესაბამისად). მაგრამ მაშინ, ჯერ ერთი, გაუგებარი ხდება დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება (თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე — ე.წ. ლოგიკური აქცესრობა). მეორეც, დანაშაულში ე.წ. ფაქტობრივი მონაწილეობის ლოგიკით შუალობითი ამსრულებლობა შეუძლებელია, რადგან შუალობით ამსრულებლობაში ფაქტობრივად წამქეზებული იურიდიულად ამსრულებელია, ხოლო ფაქტობრივად ამსრულებელი იურიდიულად წამქეზებლის ბრმა იარაღია (თუ აქ ამ „იარაღის“ გაუფრთხილებელი ქმედებაც გამორიცხულია).

ამრიგად, განზრახვის, როგორც ბრალის ფორმის, უარყოფა ან უგულებელყოფა საკმაოდ მძიმე შეცდომისა და გაუგებრობის წყაროა. ცხადია, არსებობს განზრახვის წმინდა ფსიქოლოგიური ცნებაც, რომელიც არსებითად განსხვავდება განზრახვის, როგორც ბრალის ფორმისგან. მაგალითად, ლ. ვევილაშვილი ამტკიცებს, რომ „განზრახვა არის გადაწყვეტილების შედეგად ადამიანში აღმოცენებული შზაობა, რომელშიც უკვე წინასწარ არის განსაზღვრული მეტ-ნაკლები სიცხადით, თუ სად რა უნდა გაკეთდეს.“<sup>2</sup>

აშკარაა, რომ აქ „განზრახვა“ წარმოდგენილია წმინდა ფსი-

<sup>1</sup> R. Busch, Moderne Wandlungen der Verbrechenlehre, Tübingen, 1949.

<sup>2</sup> ლ. ვევილაშვილი, განწყობა და ნებისმიერი ქცევა, „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1992, № 1, გვ. 43.



ქოლოგიურად, თანაც განწყობის თეორიის შესაბამისად, როცა საქმე ქება სუბიექტის მზაობას მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, არ არსებობს. საკითხავია: აქედან ხომ არ გამოდის განზრახვის ორმაგი ანუ დუალისტური ფუნქცია, როგორც ეს ნორმატივიზმშია გაგებული? ეს საითხი თავისი ფრიად სერიოზული მნიშვნელობის გამო ცალკე პარაგრაფს იმსახურებს.

#### § 4. განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა

როგორც უკვე ჩანს, განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიურად არსებობს, როგორც განწყობისეული მზაობა გარკვეული ქმედების ჩასადენად. მაგრამ განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, ფსიქოლოგიურად იგუვია, როგორც ცნობიერების განსაზღვრული სტრუქტურა (ინტელექტის, ნებელობისა და ემოციის ერთიანობა), ხოლო ამ ფსიქოლოგიური ფორმის შინაარსი კი სხვაა, რადგან განზრახვის, როგორც ბრალის ფორმის, საგანი, არსებითად განსხვავებულია. ბუნებრივია, თუ „განზრახვა,“ როგორც ცნობიერების, ინტელექტისა და ემოციის ერთიანობა, არის ფორმა, რომლის შინაარსი „განზრახვის“ საგნით განისაზღვრება. აქ ანალოგიისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ცნობიერების ცნება წმინდა გნოსეოლოგიურად, შემეცნების თეორიის მიხედვით, როგორც ეს მიღებულია მეცნიერებაში საზოგადოდ, და ე. წ. „ღირებულებითი ცნობიერების“ ცნება, რომელიც მიღებულია აქსიოლოგიაში. ცხადია, აქ ორი ცნობიერება კი არაა დაშვებული, არამედ ცნობიერების ორი განსხვავებული შინაარსია გამოკვეთილი. იგულისხმება გარესინამდვილისადმი ადამიანის შემეცნებითი, თეორიული, და ღირებულებითი, პრაქტიკული, დამოკიდებულება. შესაბამისად, ადამიანი, როგორც ასეთი, ერთია, მაგრამ არსებობს საზოგადო-

ებრთვი პრაქტიკის სუბიექტი, რომელსაც საქმე აქვს ღირებულებებით ურთიერთობებთან და ამიტომ ღირებულებებითი ცნობიერების მატარებელია, და გნოსეოლოგიური სუბიექტი, რომელიც თეორიული შემეცნებისთვისაა დანიშნული და ამიტომ ჰუმანიტების იდეის მატარებელია. როგორც პროფ. ნ. კვარაცხელია აღნიშნავს, „სინამდვილისადმი ადამიანის თეორიულ-შემეცნებით დამოკიდებულებას გარკვეული თავისთავადობა გააჩნია და იგი თავისებურად განსხვავდება იმავე სინამდვილისადმი სუბიექტის პრაქტიკული დამოკიდებულებისგან.“<sup>1</sup> ეს უკანასკნელი პირველის საფუძველია, რადგან თავდაპირველად საზოგადოებრივი პრაქტიკაა, ხოლო თეორიული შემეცნება მასზეა დაფუძნებული. საზოგადოებრივი პრაქტიკა კი ღირებულებებითი ურთიერთობების გარეშე არ არსებობს. ღირებულებებითი ურთიერთობა, როგორც ჩანს, იდეალურია, მაგრამ რეალური სინამდვილისგან იგი პრინციპულად არაა მოწყვეტილი. ღირებულებებითი მიმართება თავისი ჯერარსული ბუნების გამო გულისხმობს რაღაცნაირ კავშირს არსთან. ყოველი ჯერარსი ყოველთვის არსის ჯერარსია; არაფრის ჯერარსი არ არსებობს.<sup>2</sup> შემთხვევითი არ იყო ჩემი არაერთგზისი მტკიცება, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არის სამართლის ნორმის, როგორც ჯერარსის და მართლწესრიგის, როგორც არსის, კავშირის ფორმა.

ცხადია, ღირებულებითი ურთიერთობის შესაბამისად არსებობს ღირებულებებითი ცნობიერებაც, რომელიც ამ ურთიერთობის არა მხოლოდ ინტელექტუალური, „უგულო“ და ნეიტრალური გამოხატულებაა, არამედ მისი შინაგანი, ნებელობითი, მხარეა, ღირებულებითი ურთიერთობის „თავისებური წესით ათვისება.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> ნ. კვარაცხელია, ადამიანის როგორც შემეცნებელი სუბიექტის პრობლემა, თბილისი, 1985, გვ. 217.

<sup>2</sup> გ. შუშანაშვილი, ღირებულება და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები, 1980, გვ. 17.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 24.

ცხადია, აქედან გამონაკლისი არც მართლშეგნებაა, რადგან ისიც ღირებულებითი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმას წარმოადგენს. ამით იმისი თქმა გვინდა, რომ მართლშეგნება საზოგადოდ შეგნებისაგან მოწყვეტით არ არსებობს, მაგრამ მართლშეგნება ღირებულებითი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა, რის გამოც ამ სფეროში „განზრახვა“ თავისი შინაარსით სხვაა, ვიდრე განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიურად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში „განზრახვა“ სხვა არაფერია, თუ არა „შეგნებულობის“ სინონიმი, ხოლო ამ პოზიციიდან განზრახვა არის ნებისმიერი ქცევის ნიშანი და ამდენად ქმედების ელემენტი. სულ სხვაა ამ მხრივ განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა. ამ შემთხვევაში სუბიექტი ფსიქოლოგიის სფეროდან ნორმატიული ურთიერთობის სფეროში გადადის. ეს ურთიერთობა კი არის სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოუღენის ფორმა. სუბიექტი ვალდებულია მოიქცეს მართლზომიერად და მოწოდებულია, რომ ამ ვალდებულებას მისი შესრულების განწყობით, ანუ, პასუხისმგებლობის გრძობით მოეკიდოს. თუ სუბიექტი, პირიქით უპასუხისმგებლოდ მოიქცა, მით უფრო შეგნებულად, ანუ, პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებული უარყოფით, (ესე იგი განზრახ), მაშინ ეს განზრახვა უკვე ბრალის, როგორც უპასუხისმგებლობის, გამოუღენის ფორმაა, ხოლო ამ სახით განზრახვა წინ უსწრებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და, მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის ელემენტი ვერ იქნება. ცხადია, განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, განზრახვისაგან, როგორც ქმედების ფსიქიკური ელემენტისგან, მოწყვეტილია და ამიტომ წმინდა ნორმატიული კი არაა, როგორც ეს ნორმატივიზმშია მიღებული, არამედ ამ ფსიქიკური ფორმის ახალი, არაფსიქიკური, შინაარსია, იმგვარი განზრახვა, რომელიც გაკიცხვას იმსახურებს.

ამრიგად, განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, წინ უსწრებს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას, როგორც მართლსაწინააღ-

მდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი. მეორეც, სუბიექტი აცნობიერებს იმას, რომ ის მოწოდებულია, მართლზომიერი ქმედების მოვალეობას მოეციდოს პასუხისმგებლურად. მესამეც, მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების მოწოდება ადასტურებს იმას, რომ სუბიექტი წინასწარვე აცნობიერებს ქმედების შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობას. მეოთხეც, რაც მთავარია, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, სათანადო ინსტანციის წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის შვენებული უარყოფით გამოიხატება, ხოლო ეს ბრალის განზრახი ფორმის ნიშანია. პოზიტიური პასუხისმგებლობის შვენებული უარყოფა, ცხადია, განზრახვის ფსიქოლოგიური ცნება ვერ იქნება. მით უფრო, როცა ამით სუბიექტი უპასუხისმგებლობის, ანუ, ბრალის სფეროში გადადის. სხვა საკითხია ამ პოზიტიური პასუხისმგებლობის არა შვენებული უარყოფა, არამედ მისი უგულვებელყოფა, რომელიც ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის ნიშანია. ამ მიმართებით აშკარაა, რომ ტერმინი „შვენებული“ ტერმინი „განზრახვის“ იგივეობრივი ვერ იქნება. მაგალითად, თვითიმედოვნების დროს სუბიექტს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობა შვენებული აქვს, მაგრამ ის დანაშაულის ჩადენის განზრახვით როდი მოქმედებს. სხვა საკითხია სუბიექტზე დაკისრებული პოზიტიური პასუხისმგებლობის შვენებული უარყოფა, რომელიც განზრახვას, როგორც ბრალის ფორმას, ქმნის. მეხუთეც, ის ფაქტი, რომ განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, განზრახვის ფსიქოლოგიური ცნებისგან განსხვავდება, დასტურდება იმ შეფასებითი ნიშნებით, რითაც კანონმდებელი განზრახვის სუბიექტს ახასიათებს. მაგალითად, კვინტუალური განზრახვის ცნებაში კანონმდებელი სუბიექტს ახასიათებს მართლწინააღმდეგო შედეგებისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, ხოლო, „გულგრილი“ შეფასებითი ცნებაა, რომლის ფსიქოლოგიური ანალოგი არ არსებობს. შემთხვევითი

არც ისაა, რომ არსებობს სამსახურებრივი გულგრილობა (საქ. სსკ-ის 342-ე მუხლი), რომელიც დაუდევრობის მამასადამე, ტერმინი „გულგრილი,“ ერთ შემთხვევაში ახასიათებს ევერტუალური განზრახვის სუბიექტს, ხოლო, მეორე შემთხვევაში – დაუდევრობას. ეს ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტიც, ადასტურებს, რომ ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ბრალის პრობლემატიკაში ფსიქოლოგიზმია. მაგრამ არც მეორე უკიდურესობა – ნორმატივიზმი, ანუ, ფსიქიკურისგან მოწყვეტა – უნდა დაეუშვას, რადგან გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური მექანიზმის გარეშე არანაირი ბრალეული ქმედება ვერ იქნება ჩადენილი. აკად. დ. უზნაძე წერდა, რომ ნებისმიერი ქცევა თავიდან ბოლომდე მოწესრიგებულია, და რომ „გადაწყვეტილების მიღებას შეიძლება წინ უძღოდეს ყოფიანი, მაგრამ როცა სუბიექტი გადაწყვეტს, ყოფიანი ქრება და დამშვიდებულობის გრძობა ჩნდება. სიტყვა გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა (ხაზგასმა ავტორისაა – გ. ნ) იმაზე მიუთითებს, რომ ის წინარე მდგომარეობას ს წ ყ ვ ე ტ ს (ხაზგასმა ავტორისაა – გ. ნ.) და სრულიად ახალს იწყებს, რომელსაც ძველ მდგომარეობასთან აღარაფერი აქვს შემორჩენილი.“<sup>1</sup>

როგორც ჩანს, გადაწყვეტილების აქტი, უპირველეს ყოვლისა, ფსიქიკური პროცესია და ამიტომ ფსიქოლოგიური შესწავლის საგანია, მაგრამ აქ საქმის ვითარება ფსიქოლოგიის სფეროში ვერ ეტყვა და თავისუფლების სფეროში ინაცვლებს. ირკვევა, რომ გადაწყვეტილების მიღება საზოგადოდ, იოლი საქმე არაა, მით უფრო, თუ პასუხსაგები გადაწყვეტილებაა მისაღები და ამიტომ სუბიექტი შეიძლება ყოფიანობდეს. მაგრამ თუ სუბიექტმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, არა მარტო ყოფიანი ქრება, არამედ სუბიექტი ახალ სამყაროში-თავისუფლების სფეროში – გადადის. ცხადია, თავისუფლება ფსიქოლოგიური პრობლემა არაა, მაგრამ გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური მექანიზმის გარეშე თავისუფლება კონკრეტული ქცევისგან მოწყვეტილი, აბსტრაქტული, ცნება იქნებოდა.

<sup>1</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1998, გვ. 191.

მეორე მხრით, გასაგებია ისიც, რომ აქ იგულისხმება ნებე-  
ლობითი ქცევა, როცა სუბიექტი მოქმედებს შვენებულად, ქცე-  
ვის ბუნებისა და მისი შედეგების გათვალისწინებით, ანუ, გან-  
ზრახვის ფსიქოლოგიური ბუნების შესაბამისად. მაგრამ საქმე  
ის გახლავთ, რომ ვენტუალური (არაპირდაპირი) განზრახვა  
წმინდა ფსიქოლოგიურად გადაწყვეტილების ანალოგი ვერ  
იქნება. ამაზე მეტყველებს ქცევის ფსიქოლოგიური ბუნებისა და  
დანაშაულებრივი ქმედების გამიჯვნის პრობლემა, რომელიც თა-  
ვის დროზე, როგორც უკვე აღენიშნე, დასვა და გადაჭრა კიდეც  
პროფ. ბ. ხარაზიშვილმა (ხორნაბუჯელმა). კერძოდ, ავტორი  
დანაშაულებრივ ქმედებას მიიჩნევს არა ქცევად, როგორც ეს  
საყოველთაოდ იყო მიღებული ყოფილ საბჭოთა კავშირში (თუმცა,  
ეს აზრი არც სადღეისოდაა დაძლეული), არამედ, ფსიქოლოგიური  
ქცევის, ანუ, მოტევისა და მიზნის განხორციელების ხერხად.  
გარდა ამისა, ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ განზრახვის  
ტრადიციული დაყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად  
წმინდა ფსიქოლოგიურად გაუმართლებელია. თუ განზრახვა,  
ავტორის მტკიცებით და დ. უზნაძის თეორიიდან გამომდინარე,  
გადაწყვეტილებაა, მაშინ ფსიქოლოგიურად ძნელია შეუურიგდეთ  
გამოთქმას „არაპირდაპირი გადაწყვეტილება,” მაშინაც კი, „თუ  
მას ვუწოდებთ სტაბილიზირებულ გადაწყვეტილებას, როგორც  
ამას დ. უზნაძე აკუთხდა.“<sup>1</sup>

ამრიგად, თუ იქიდან ამოვალთ, რომ განზრახვა წმინდა ფსი-  
ქოლოგიურად გადაწყვეტილების სინონიმია, მაშინ აშკარაა,  
რომ „ვენტუალური გადაწყვეტილება,” როგორც ვენტუალური  
განზრახვის გამოხატულება, ფსიქოლოგიურად მართლაც შეუძ-  
ლებელია, რადგან გადაწყვეტილება ფსიქოლოგიურად ყოველთვის  
მიიღება პირდაპირ და არა ვენტუალურად, არაპირდაპირ.  
აქედან ხომ არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ არაპირდაპირი,

<sup>1</sup> Б. В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981, стр. 30-31.

ვეენტუალური, განზრახვა ფსიქოლოგიურად არ არსებობს, მაგრამ არსებობს არაფსიქოლოგიურად, სისხლისსამართლებრივად? მართლაც, ვველაფრიდან ჩანს, რომ ვვენტუალური განზრახვის ფსიქოლოგიური ანალოგი არ არსებობს და ის ბრალის სფეროში გადადის. კერძოდ, საქართველოს სსკ მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შვებულად უშვებდა ან გულგრილად კვიდებოდა მის დადგომას.“

ვენტუალური განზრახვის ამ საკანონმდებლო ფორმულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აქ ფსიქიკურზე დაუყვანადი ვითარება იკვეთება. ჯერ ერთი, სუბიექტი შვებულად უშვებს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ანუ, არ გამოიციხავს მას, თუმცა იგი ამ შედეგის დადგომის სურვილით არ მოქმედებს. მეორეც, იგი გულგრილად კვიდება ამ შედეგის დადგომას, ესე იგი, ამ შედეგების დადგომა, თუმცა მისთვის არასასურველია, მაგრამ მისი თავიდან აცილებისთვის იგი არც არაფერს აკეთებს. ტერმინი „გულგრილი“ შეფასებითა და სუბიექტს ახასიათებს ურყოფითად, მაშინ, როცა არსებობს ტერმინი „გულმზურვალე“, რომელიც სუბიექტის უაღრესად დადებით შეფასებას გამოხატავს (მაგალითად, „გულმზურვალე მამულიშვილი“). მით უფრო, რომ „გულგრილი“, როგორც უკვე ითქვა, დაუდევრობის სინონიმიცაა. საქ. სსკ-ის 342-ე მუხლში სამსახურებრივი გულგრილობად ფასდება ქმედება, როცა მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი სამსახურებრივი მოვალეობისაღმდეგ დაუდევარი დამოკიდებულების გამო არსებითად არღვევს ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებას, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს.

გასაკებია, რომ „გულგრილი“ ფსიქოლოგიურად არ არსებობს,



ხოლო ბრალის ახალი კონცეფციის თანახმად, „გულგრილი“ სუბიექტის უპასუხისმგებლობას გამოხატავს, რადგან მარტინ თლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულების ვითარებაში მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მისი შედეგი გამორიცხული იქნებოდა. ცხადია, „გულგრილი“ უპასუხისმგებლობის უფრო მაღალ ხარისხს ევენტუალური განზრახვის დროს გამოხატავს, მაშინ, როცა დაუდევრობის შემთხვევაში „გულგრილი“ უპასუხისმგებლობის მინიმალური ხარისხის ნიშანია.

ამრიგად, ამკარაა, რომ ევენტუალური განზრახვა და დაუდევრობა სუბიექტის უპასუხისმგებლობის, ანუ ბრალის სხვადასხვა ხასიათსა და ხარისხს გამოხატავს. ამ პოზიციიდან დავას არ უნდა იწვევდეს თვითიმედოვნების სპეციფიკაც, როცა სუბიექტი უსაფუძვლოდ, ანუ, უპასუხისმგებლოდაა დარწმუნებული, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ დადგება, მაშინ, როცა ეს შედეგი მოცემულ შემთხვევაში გარდუვალია, თუმცა, ამ გარდუვალობას სუბიექტი, წინდახედულობის ნორმებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, არ ითვალისწინებს.

როგორც ჩანს, ევენტუალური განზრახვა, თვითიმედოვნება და დაუდევრობა მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების სხვადასხვა ხასიათსა და ხარისხს გამოხატავს. დაგვრჩა მხოლოდ პირდაპირი განზრახვა. გამოხატავს თუ არა იგი სუბიექტის უპასუხისმგებლობას? ისე ჩანს, პირდაპირი განზრახვა თითქოს წმინდა ფსიქოლოგიური ცნებაა და ბრალის ფორმასთან პირდაპირ კავშირში არაა. სინამდვილეში, პირიქით, სწორედ პირდაპირი განზრახვა გამოხატავს სუბიექტის უპასუხისმგებლობის უკიდურესად მაღალ ხარისხს, რადგან ამ პოზიციიდან სუბიექტი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის არა



მარტო შესაძლებლობას, არამედ მის გარდუვალობასაც კი. სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, **“ქმედება პირდაპირი**

\* საბჭოური სისხლის სამართლის კანონმდებლობაში პირდაპირი განზრახვას განმარტავდნენ ინტელექტუალური ასპექტით, სუბიექტი თითქოს მოქმედებს მისი შგნების მიხედვით ისე გამოდიოდა, თუ სუბიექტს შგნებული ჰქონდა მისი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, მაშასადამე, მას სურდა კიდევ ამ ქმედების ჩადენა და მისი შედეგები. კერძოდ, საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, **“დანაშაული პირდაპირი განზრახვით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენ პირს შგნებული ჰქონდა ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები.”** გამოდიოდა, რომ ის, რაც შგნებულია, სასურველია კიდევ. ეს იყო ჰეგელიანური ინტელექტუალიზმი, როცა ნებელობა ინტელექტისგან შეფარდებით დამოუკიდებელიც კი არაა. ამ საკითხზე ფსიქოლოგიურად სავსებით სწორი დებულება გამოთქვა პროფ. ბ. ხარაზიშვილმა (ხორნაბუჯელმა). მისი აზრით, პირდაპირი განზრახვა არის საკუთარი მოტყვისა და მიზნის მქონე ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების საწყისი, ანტისაზოგადოებრივი შედეგის კატეგორიული გათვალისწინება, იმის მიუხედავად, სურს თუ არა სუბიექტს ეს შედეგი. პასუხი კითხვაზე, სურს თუ არა ეს შედეგი სუბიექტს, ავტორის დასკვნით, მისი ქცევის მოტყვისა და მიზნის მიხედვით უნდა გაეცეს (ნ. В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981, стр. 33-34). მართლაც, მაგალითად, ექვიანობის მოტყვით მკვლელობის შემთხვევაში სუბიექტს სურს მსხვერპლის სიკვდილი, მაშინ, როცა ანგარებით მკვლელობის დროს სუბიექტს სურს არა მსხვერპლის სიკვდილი, როგორც ასეთი, არამედ მსხვერპლის ქონების დაუფლება, ან მისივე ვალისაგან თავის დაღწევა, ხოლო მკვლელობა ყოველთა აშის განხორციელების ხერხია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც 2000 წლის 1 თენისიდან ამოქმედდა, პირდაპირი განზრახვის ცნებაში უკვე გათვალისწინებულია პროფ. ბ. ხარაზიშვილის აღნიშნული კრიტიკული მოსაზრება. კერძოდ, ხაზგასმულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის გარდუვალად დადგომის შგნებაზე (საქ. სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი), როცა ეს შედეგი შეიძლება არც იყოს სასურველი, მაგრამ პირი მოქმედებდეს პირდაპირი განზრახვით ამით თავიდანაა აცილებული ადამიანის ცნობიერების ინტელექტუალური ასპექტის დაყვანა ნებელობითი ასპექტზე ან პირველის მეორისაგან მოწვევტა.

განზრახვითა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული პირობა/თავის ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას.“ როგორც ჩანს, სწორედ პირდაპირი განზრახვით მოქმედი სუბიექტი იმსახურებს ისეთ უკიდურესად უარყოფით შეფასებას, როგორიცაა, მაგალითად, „სასტიკი“ (დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით), „ანგარი,“ (დანაშაულის ჩადენა ანგარებით) „ხულიგანი“ (დანაშაულის ჩადენა ხულიგნური ქვენაგრძნობით (სუბიექტი სულ უმნიშვნელო, მის მიერვე გამოგონილ, საბაბს, ჯანმრთელობის დაზიანების თუ მკვლელობის მიზეზად ასაღებს და იყენებს კიდევც), ან ხულოგნური მოქმედებით, რომელიც საზოგადოების წევრების ან ხელისუფლების წარმომადგენელთა „თავხედური“ გამოწვევით შეიძლება გამოვლინდეს და ა.შ.). ვფიქრობ, პირდაპირი განზრახვის ტრადიციულად წმინდა ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია იმის შედეგია, რომ იგი სუბიექტის ქცევის მოტივებისგან და მიზნებისგან მოწყვეტით იქნა წარმოდგენილი. საქმე ის გახლავთ, რომ მოტივი ფასდება არა თავისთავად, როგორც წმინდა ფსიქოლოგიური ფენომენი, არამედ ქცევის ხერხთან კავშირში. მაგალითად, ანგარების მოტივით მკვლელობის შემთხვევაში მკვლელობა მსხვერპლის ქონების დაუფლების, ან მისივე ვალისგან თავის დაღწევის ხერხია. მიზანი კი გამოყენებული საშუალებისა და დამდგარ შედეგებთან კავშირში ფასდება. მაგალითად, სახელმწიფოს დასუსტების მიზნით ცეცხლის წაკიდება, აფეთქება ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალების გამოყენება საბოტაჟის ჩადენის ხერხია. მაშასადამე, წმინდა ფსიქოლოგიურად არც პირდაპირი განზრახვა არსებობს.

ამრიგად, განზრახვა, ერთი მხრივ, წმინდა ფსიქოლოგიურად არსებობს, როგორც გარკვეული სახის ქმედებისთვის განწყობისეული, ცნობიერი შზაობა, მაგრამ, მეორეს მხრივ, იმის

მიხედვით, თუ რა არის განზრახვის, როგორც ადამიანის ინტელექტის, ნებელობისა და ემოციის ერთიანობის, საგანგებო განუგანზრახი,“ განზრახვის შინაასი იცვლება. შეუძლებელია მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიურ ფენომენად დარჩეს სუბიექტის ცნობიერება, როცა ამ ცნობიერების საგანი არის, ერთი მხრივ, სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ამ სუბიექტს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, - სახელმწიფოს წინაშე მისი პოზიტიური პასუხისმგებლობა მართლზომიერი ქმედებისთვის. აქედან გამომდინარე, მით უფრო ახალი შინაარსით იცვლება სუბიექტის ცნობიერება, როცა დანაშაულის ჩადენის გამო აქ ვგვლავფერი უკუღმა ტრიალდება. კერძოდ, ჯერ ერთი, მართლზომიერი ქმედების მოვალეობის აღსრულების ნაცვლად სუბიექტი, პირიქით, არღვევს ამ მოვალეობას და მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ. მეორეც, ნაცვლად იმისა, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოკიდებოდა პასუხისმგებლურად, ანუ, მისი აღსრულების განწყობით, სუბიექტი, პირიქით, ამ ვალდებულებას ეკიდება უპასუხისმგებლოდ, ანუ, ბრალეულად, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია.

გასაგებია, რომ ყოველივე ის, რაც დანაშაულის ჩადენისას ხდება, ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულებისგან, ანუ, მოტყვისგან და მიზნისგან მოწყვეტით შეუძლებელია, მაგრამ, მეორეს მხრივ, მართლზომიერი ქმედებისადმი ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებასზე არ დაიყვანება და, მაშასადამე, სუბიექტის უარყოფით შეფასებას გამოხატავს. აქ გადამწყვეტია სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის შგნებული უარყოფა, რომელსაც სუბიექტი უპასუხისმგებლობის, ანუ, ბრალის სფეროში გადაჰყავს, როცა სუბიექტი თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას გამოხატავს.

ამრიგად, განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, სრულად არაა მოწყვეტილი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას (სუბიექტის ქცევის მოტივისა და მიზნის ერთიანობას), როგორც ეს ბრალის ნორმატივისტულ თეორიაშია მიღებული, მაგრამ არც ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე არ დაიფანება, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიღებული. მაშასადამე, განზრახვის, როგორც ბრალის ფორმის, დასაბუთებაში დაძლეულია ფსიქოლოგიზმი, როცა განზრახვა ესმით წმინდა ფსიქოლოგიურად, მოტივისა და მიზნის განხორციელების შესაბამისი ხერხების და მათი შეფასების გარეშე; აქ დაძლეულია ნორმატივიზმიც, როცა განზრახვა გაგებულია როგორც წმინდა ფსიქოლოგიურად, ისე წმინდა ნორმატიულად, განზრახვის ფსიქოლოგიური შინაარსისგან მოწყვეტით (განზრახვის დუალისტური გაგება). განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, ფსიქოლოგიური ელემენტებისგან თითქოს დაცლილი წმინდა შეფასებაა, წმინდა ჯერარსია, ანუ გასაკიცხობაა, რომელსაც საგანი არ გააჩნია. ბრალი ამგვარი აბსტრაქტული, უსაგნო, გასაკიცხობა კი არაა, არამედ გაკიცხვის საფუძველია, რადგან სუბიექტი იკიცხება არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის, არამედ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი იმ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისთვის, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოიხატა.

ამრიგად, ბრალის განზრახი ფორმა ფსიქოლოგიურად ნებისმიერი ქცევის ფორმაში (ინტელექტის, ნებულობისა და ემოციის ერთიანობის საფუძველზე გადაწყვეტილების აქტში) ვლინდება, ხოლო დანაშაულებრივი ქმედება, ჯერ ერთი, ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხია და არა ეს ქცევა, როგორც ასეთი. მეორეც, რაც მთავარია, სუბიექტის გადაწყვეტილება, იმოქმედოს მართლსაწინააღმდეგოდ და უპასუხისმგებლოდ, ქმნის ცნობიერების ისეთ ახალ შინაარსს, რომელსაც განზრახვა, როგორც ბრალის

ფორმა, ქნოდება. მეორენაირად რომ ვთქვა, აქ იგულისხმება სუბიექტის განაზრახი, როგორც განზრახვის შინაარსი, რის გამოც სუბიექტი გაკიცხვას იმსახურებს. ისიც გასაგებია, რომ განზრახვა, როგორც სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის შვენიბული უარყოფა, ბრალის, როგორც უპასუხისმგებლობის, უფრო მაღალ ხარისხს გამოხატავს, ვიდრე სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის უგულებელყოფა, რაც ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის ნიშანია.

## § 5. გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის ფორმა

როგორც უკვე ჩანს, ბრალი არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, რომელიც სპეციფიკურად ვლინდება ამა თუ იმ ნორმატიული სისტემის შესაბამისად. გამონაკლისი ამ მხრივ არც სისხლის სამართალია. თუ, მაგალითად, სამოქალაქო სამართალში წამყვანია გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის გამოვლენის ფორმა, ხოლო, განზრახვას უფრო შეზღუდული გამოვლენა ახასიათებს, სისხლის სამართალში, პირიქით, წამყვანია განზრახვა, ხოლო გაუფრთხილებლობას დელიქტის უფრო ვიწრო წრე გამოხატავს.

კიდევ უფრო სპეციფიკურია ამ მხრივ ბრალი ზნეობის სფეროში, თუცა კრიმინალისტები სისხლის სამართლებრივი ბრალის ზნეობრივ საწყისზეც ლაპარაკობენ და ბრალში გაკიცხვის თუ გასაკიცხობის საფუძველს ზნეობაში ეძებენ. ეს, ერთის მხრივ, საესებით სწორია, რადგან ზნეობივი საწყისებისგან მოწყვეტილი ბრალი წმინდა ზნეობრივი ურთიერთობას ნაზიარები ვერ იქნება და ამდენად ვიწრო ნორმატიულ დოგმად გარდაიქმნება, როგორც რაღაც გაურკვეველი ფუნქციონალური ცნება. მაგალითად, არტურ კაუფმანი აკრიტიკებს **მდ. მიცგერის** მოსაზრებას, რომ ბრალის პრობლემა სისხლის სამართალში ნების თავისუფლების

პრობლემისაგან დამოუკიდებელია და რომ სამართლის ამ დარგში/ იგულისხმება სამართლებრივი და არა ზნეობრივი ბრალი. **არტმრ**  
**კაუფმანი** კი ფიქრობს, რომ ბრალის მატერიალური შინაარსი, მისი ფორმალური გაგების წინააღმდეგ, იმაში მდგომარეობს, რომ ბრალი არის ზნეობრივი ფენომენი, ესე იგი ზნეობრივი მოვალეობის წინააღმდეგ თავისუფალი, თვითპასუხისმგებლური გადაწყვეტილება.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, ბრალი ზნეობის სფეროში თვითპასუხისმგებლური გადაწყვეტილებაა. ეს მოსაზრება ფრიად საინტერესოა, რადგან ზნეობის სფეროში არსებობს თავისუფლებისა და აუცილებლობის სრული ერთიანობა. სიკეთის, როგორც უმაღლესი ღირებულების, იძულებითი წესით ქმნა და დამკვიდრება შეუძლებელია. ამდენად, ადამიანის გადაწყვეტილება, იმოქმედოს, ზნეობის სფეროში თავისუფლების გამოვლენაა და, მაშასადამე, თვითპასუხისმგებლურია, იმის მიუხედავად, მოქმედებს თუ არა სუბიექტი მართლაც პასუხისმგებლურად თუ, პირიქით, უპასუხისმგებლოდ, ესე იგი, ზნეობრივი მოვალეობის წინააღმდეგ. მკორენაირად რომ ვთქვა, ორივე შემთხვევაში საქმე ეხება პასუხისმგებლობის თუ, პირიქით, უპასუხისმგებლობის შედეგების თავის თავზე აღების გარდუვალობას. მაშასადამე, ზნეობა ბრალის სპეციფიკური გამოვლენის მეტად თავისებური სფეროა. მაგრამ, მკორეს მხრით, ზნეობრივი და სამართლებრივი ბრალის გაიგივება დაუშვებელია. ეს არა მარტო იმიტომ, რომ გაკიცხვა პირწმინდად ზნეობრივი აქტია, ხოლო სამართლის სფეროში – ფორმალური (ამ მხრით **პ. როქსინი**, როგორც უკვე ვნახეთ, არ ცდებოდა, როცა სისხლის სამართლებრივ ბრალში გაკიცხვას საქმის ვითარების ფორმალურ მხარეს უწოდებდა). უფრო არსებითი ამ მხრით ისაა, რომ ზნეობის სფეროში ბრალის მხოლოდ განზრახი ფორმა ვლინდება, ხოლო გაუფრთხილებლობა მისთვის არსებითად უცხოა. ცნობილია, რომ სინდისი ზნეობრივი

<sup>1</sup> A. Kaufmann, Das Schuldprinzip, Heidelberg, 1961, s. 129.

კატეგორიაა და ადამიანი ზნეობრივად პასუხისმგებელია საკუთარ სინდისის წინაშე. მაგრამ ირკვევა, რომ „სინდისის სამართალი არ იცნობს გაუფრთხილებლობას, როგორც ბრალის საფუძველს. სინდისის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ განზრახვის სფეროზე. გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს ახლავს სინანული და არა სინდისის ქენჯნა.“<sup>1</sup>

ამრიგად, გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის ფორმა, ზნეობის სფეროსთვის უცხია. სისხლის სამართლის სფერო კი გაუფრთხილებლობის გარეშე შეუძლებელია. იგულისხმება წინდახედულობის ნორმის მოთხოვნებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო, ზედმეტად ქარაფშუტული, ან უკიდურესად წინდაუხედავი, დაუდგარი დამოკიდებულება, მაშინ როცა სუბიექტს შეუძლია, წინდახედულობის ნორმის მოთხოვნას მოეციდოს პასუხისმგებლურად. მართალია, სინდისის სამართალი გაუფრთხილებლობას არ იცნობს, მაგრამ გარკვეული თვისუფლება ბრალის ამ ფორმისთვისაც ხდება აუცილებელი. როგორც პროფ. **გ. ბანძელაძე** აღნიშნავდა, „სინდისი არ მოითხოვს იმაზე მეტს, რაც ადამიანს ვვალება, ხოლო, ადამიანს არასოდეს არ ვვალება იმაზე მეტი, რაც ადამიანს შეუძლია.“<sup>2</sup>

ცხადია, გამონაკლისი ამ მხრე არც ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის სფეროა, როცა ადამიანს შეუძლია და მოეთხოვება კიდევ იყოს უფრო წინდახედული, გონიერი, ფრთხილი, პასუხისმგებლური. მით უფრო, რომ გაუფრთხილებლობის სფეროში მოქმედებს ქცევის არაერთი დაუწერელი წესი, რომელიც ადამიანთა თანაცხოვრების, ზოგჯერ მათი უპასუხისმგებლობის, მრავალსაკუთრებანი გამოცდილების განზოგადებას წარმოადგენს. ამიტომაც, რომ გაუფრთხილებლობა იმთავითვე უარყოფითი ნიშნით არის დალდასმული და პოზიტიური პასუხისმგებლობის

<sup>1</sup> გ. ბანძელაძე, სინდისის ცნება მარქსისტულ ეთიკაში, თბილისი, 1977, გვ. 132 (ნაწილი მეორე).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 114.



უგულუბელყოფით ვლინდება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბრალის ფსიქოლოგიური თეორიისთვის გაუფრთხილებლობა უფრო მძიმე ტვირთია, ვიდრე, განზრახვა, რადგან ამ უკანასკნელს „ფსიქიკური დამოკიდებულება“ უფრო ესადაგება, მაშინ, როცა ამ მხრივ გაუფრთხილებლობა, განსაკუთრებით — დაუდევრობა, მეტისმეტად პრობლემურია. დაუდევრობისთვის „ბრალის“ თუნდაც მინიმალური ხარისხის მიწერა საკმაოდ რთულია, მით უფრო, როცა, დაუდევრობას გერმანელი კოლეგები გაუცნობიერებელ (Unbewuste) გაუფრთხილებლობას უწოდებენ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, გაუფრთხილებლობის ორი სახე არსებობს: თვითიმედოვნება და დაუდევრობა. ამჟამად მუხლის მეორე ნაწილში კი ნათქვამია შემდეგი: „ქმდება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული პქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმდება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.“

როგორც ჩანს, სუბიექტი აცნობიერებს იმას, რომ ქმდება, რომელსაც ის სჩადის, წინდახედულობის ნორმითაა აკრძალული. მაგალითად, ავტომანქანის მძღოლი აცნობიერებს იმას, რომ ქალაქში მოძრაობის ის სიჩქარე, რაც მან მოცემულ შემთხვევაში განაუიფარა, ჯერ ერთი, აკრძალულია ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისა და ექსპლოატაციის სპეციალური წესებით; მეორეც, არსებობს წინდახედულობის ნორმაც, რომელიც მძღოლს აფრთხილებს, რომ ავტომანქანის მოძრაობის ზღვრული ნორმის დარღვევა ავტოაფარიისა და მასთან დაკავშირებულ სხვა მძიმე შედეგების დადგომის საფრთხეს შეიცავს. შესაძვე, თვითიმედოვნების დროს სუბიექტი ამგვარ საფრთხეს აცნობიერებს და ითვალისწინებს კიდევ ამ საფრთხიდან გამომდინარე მოსალოდნელ შედეგებს. მაგრამ, მეორეს მხრივ, სუბიექტი იმედოვნებს, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, რაიმე



გარემოების გამო, ეს შედეგი არ დადგება. მაგალითად, მძლოლი/რომელიც არღვევს წინდახედულობის ნორმის მოთხოვნას, შეიძლება იმედოვნებდეს, რომ რადგან თვითონ გამოცდილი მძლოლია, ავტომანქანა გამართულია, გზა სველი და მოლიპული არაა, — აღნიშნული შედეგი არ დადგება. მაგრამ ამგვარი იმედოვნება, როგორც წესი, **ზედაპირულია, ქარაფშუტულია**, კანონის ენით რომ ვთქვათ, **უსაფუძვლოა**, რადგან მართლსაწინააღმდეგო შედეგი მაინც გარდუვალად დგება. სუბიექტი კი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის ამ გარდუვალობას არ ითვალისწინებს და ამიტომაც, რომ თვითიმედოვნება არის გაუფრთხილებლობის ერთ-ერთი სახე.

როგორც ჩანს, თვითიმედოვნებისას პირი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას ითვალისწინებს, მაგრამ არ ითვალისწინებს ამ შედეგის დადგომის გარდუვალობას. საკითხავია: რაა იმისი მიზეზი, ანუ რისი ბრალაა, რომ პირი თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას არ ითვალისწინებს? პასუხი ასეთია: ამის მიზეზი არც მეტი, არც ნაკლები, არის ის, რომ პირი წინდახედულობის ნორმის მოთხოვნას მოეკიდა უპასუხისმგებლოდ (და არა მხოლოდ „უსაფუძვლოდ“, როგორც ამას კანონი ლაპარაკობს), რადგან, წინდახედულობის ნორმის მოთხოვნისადმი სუბიექტის დამოკიდებულება პასუხისმგებლური რომ ყოფილიყო, მაშინ ის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას გაითვალისწინებდა და, მაშასადამე, ამ ქმედებას არ ჩაიდენდა.

ამრიგად, პირი თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას იმის გამო არ ითვალისწინებს, რომ წინდახედულობის ნორმის მოთხოვნებს ის უპასუხისმგებლოდ მოეკიდა. მაშასადამე, წინდახედულობის ნორმის მოთხოვნებისადმი პირის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ბრალაა, რომ იგი თავისი მართლსაწინააღმდეგო შედეგის გარდუვალად დადგომას არ ითვალისწინებს. ამის გამოა, რომ თვითიმედოვნება

გაუფრთხილებლობის სახეა. მართლაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის შესამე ნაწილის თანახმად, „ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამისი გათვალისწინება მას შეეძლო და ვვალებოდა კიდევ.“ გამოდის, რომ თვითიმედოვნებისას პირი არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას, ხოლო დაუდევრობისას — ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას. მაშასადამე, თვითიმედოვნებას და დაუდევრობას ერთი ზოგადი ნიშანი ახასიათებთ — უარყოფითი, როცა არაა გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის როგორც გარდუვალობა, ისე მისი შესაძლებლობა. მეორეს მხრივ, გაუფრთხილებლობის ამ ორ სახეს შორის საერთო იმაშიც მდგომარეობს, რომ ერთიც და მეორეც წინდახედულობის ნორმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას გამოხატავს, ოღონდ განსხვავებული ხარისხით — თვითიმედოვნება უპასუხისმგებლობის, ანუ, ბრალის უფრო მაღალ ხარისხს გამოხატავს, ვიდრე დაუდევრობა, ხოლო ეს უკანასკნელი ბრალის, ანუ, უპასუხისმგებლობის მინიმალური ხარისხის ნიშანია.

ამკარაა, ისიც, რომ პირდაპირი განზრახვა უპასუხისმგებლობის უკიდურესად მაღალ ხარისხს გამოხატავს, რადგან აქ პირი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობასაც კი ითვალისწინებს, მაშინ როდესაც თვითიმედოვნების დროს, პირი-ქით, სწორედ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას არ ითვალისწინებს. ისიც ცხადია, რომ თვითიმედოვნება ამკარად განსხვავდება კვენტუალური განზრახვისგანაც, რომელშიც მართლსაწინააღმდეგო შედეგი შეგნებულადაა დაშვებული, მაშინ, როცა თვითიმედოვნებისას პირი ამ შედეგს ქარაფშუტულად, უპასუხისმგებლოდ გამოიციხავს (ეს შედეგი კი გარდუვალად დგება) და, მაშასადამე, მის დადგომას პირი გულგრილად ჯერც მოეკიდება.

როგორც უკვე ითქვა, დაუდევრობა უპასუხისმგებლობის, ანუ ბრალის უკიდურესად დაბალ ხარისხს გამოხატავს, ამდენად, **3. მაყაშვილი** მართებულად აღნიშნავდა, რომ დაუდევრობის დროს მართლსაწინააღმდეგო შედეგებისკენ სუბიექტის არც ცნობიერება და არც ნებაა მიმართული და ამიტომ ამ შედეგისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება დადებითი აზრით არ არსებობს და რომ ამ მიმართებით ამ შედეგის გათვალისწინების მხოლოდ შესაძლებლობაზე უნდა იყოს ლაპარაკი.<sup>1</sup>

ცხადია, მართლსაწინააღმდეგო შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობა რომ არა, დაუდევრობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელი გახდებოდა. მაგრამ უფრო მართებულია ამ მხრე სიმძიმის ცენტრი წინდახედულობის ნორმებისადმი სუბიექტის დამოკიდებულებაზე გადაკვეტანა. სწორედ ის ფაქტი, რომ სუბიექტი კონკრეტულ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, წინდახედულობის ნორმებისადმი მისი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით აიხსნება. მით უფრო, რომ გაუფრთხილებლობა არაა მოწყვეტილი ნებისმიერი ქცევის ფსიქოლოგიურ მხარეს, გადაწვევტილებას, როცა საქციელი ფსიქოლოგიურად შვენებულია, მაგრამ წინდახედულობის ნორმების მოქმედების სფეროში საქმის ვითარება არსებითად იცვლება. როგორც მართებულად შენიშნავს **მ. უბრაშელიძე**, გაუფრთხილებლობისას სუბიექტი არღვევს წინდახედულობის ნორმას იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი ხელს ჰკიდებს საქმეს მისი სათანადო პროფესიული წესების ცოდნის გარეშე. ასეთ შემთხვევაშიც მოქმედებს წინდახედულობის ნორმა, რომელიც კრძალავს, ხელი მოკიდო იმ საქმეს, რაც არ იცი, და რომელიც ქმნის წარმოდგენას ამ საქმის საშიშროების შესახებ.<sup>2</sup> ეს

<sup>1</sup> В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность, М. 1957, стр. 58.

<sup>2</sup> М. Г. Угржелидзе, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тбилиси, 1976, стр. 29.

მოსაზრება ფრიად საინტერესოა, რადგან, როცა პირი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას იმ საქმის შესრულებაზე, რომლის შესრულების პროფესიული წესები მან არ იცის, გასაკებია, რომ ის მოქმედებს უპასუხისმგებლოდ და, მაშასადამე, ნეგატიურადაა პასუხისმგებელი იმ შედეგისთვის, რაც ამ უპასუხისმგებლო ქმედებას შეიძლება მოჰყვეს.

არაპროფესიონალი პირის მიერ მკაცრად პროფესიული საქმის თავის თავზე აღების შესახებ „წინსწრებული ბრალის“ თეორიის გადმოცემისას ვიმსჯელებ. ამჯერად გვინდა ყურადღება მოვაქციოთ მცდელობას, როცა გაუფრთხილებლობის დახასიათება უნდათ, მაგრამ ბრალისთვის დამახასიათებელ ადეკვატურ ტერმინს ვერ პოულობენ. მაგალითად, **ბ. რარობი** მართებულად არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბრალის გაუფრთხილებელი ფორმა საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით გამოიხატება. ავტორის მტკიცებით, გაუფრთხილებლობისას ამ ღირებულებებისადმი დამოკიდებულება უარყოფითი კი არაა, არამედ „არასაკმარისად ფრთხილი და ყურადღებიანი. მას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ელფერი: უგულვებელყოფა, ქარაფშუტობა, უყურადღებობა, არასაკმარისი ყურადღება. მაგრამ ამასთან საზოგადოებრივად საშიში შედეგი ბრალეულისთვის არასასურველი და მოულოდნელია.“<sup>1</sup> ავტორი არსებითად სწორად ახასიათებს გაუფრთხილებლობას, მაგრამ იგი უფრო ზუსტი მაშინ იქნებოდა, თუ იტყოდა, რომ სუბიექტი სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა საზოგადოებრივ ღირებულებებს, ანუ მან უგულვებელყო წინდახედულობის ნორმებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების აუცილებლობა, ქარაფშუტულად, ან უყურადღებოდ მოეკიდა მათ მოთხოვნებს, რის გამოც მისთვის არასასურველი და მოულოდნელი შედეგი გამოიწვია.

<sup>1</sup> А. И. Парог, Субъективная сторона и квалификация преступлений, М. 2001, стр. 22.

ამრიგად, გაუფრთხილებლობა საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი პირის უარყოფით დამოკიდებულებას პირდაპირ არ გამოხატავს, მაგრამ ამ ღირებულებებისადმი დამოკიდებულებებისგან მოწყვეტილი არაა და წინდახედულობის ნორმისადმი დამოკიდებულებაში გრძელდება. მაგალითად, კაცმა თავის ახლობელს, ან პატესტავს ადამიანს ნაკლებად სუარაუდოა, რომ თავზე ბოთლი დაადგას და მას მიზანში ესროლოს (ცხადია, სროლაში ოსტატობის კიდევ ერთხელ დადასტურების მიზნით), მაშინაც კი, როცა ღრმადაა დარწმუნებული ამ საქმის უსაფრთხოებაში და ამ რწმენის რეალური საფუძველიც არსებობს, ანუ, ტყვიით სროლაში ის ჭეშმარიტი დიდოსტატია. ამ საქმისათვის, ის, როგორც წესი, იყენებს სხვა ადამიანს, რომლის მიმართ ამგვარი მაღალღირებულებითი დამოკიდებულება არა აქვს. ასეთ ადამიანს პირმა, მისი შეშინების მიზნით, შეიძლება ცეცხლსასროლი იარაღიც დაუმიზნოს, რაც ფსიქოლოგიური ქცევის ფრიად საშიში და მართლსაწინააღმდეგო ხერხია, რადგან ქცევის ამგვარ ხერხს იშვიათად არ მოჰყვება ცეცხლსასროლი იარაღის სასხლეტზე ხელის უნებური შეხება და სრულიად მოულოდნელი გასროლაც და მისი ტრაგიკული შედეგიც. გასაკებია, რომ წინდახედულობის ნორმებისადმი ამგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გარეშე არც თვითიმედოვნებაა შესაძლებელი და არც დაუდევრობა. ამ მაგალითებზე ისიც კარგად ჩანს, რომ ორივე შემთხვევაში (როცა ადამიანს თავზე დადგმულ ბოთლს ესერიან ან როცა შეშინების მიზნით ცეცხლსასროლი იარაღს უმიზნებენ), ამკარად არღვევენ წინდახედულობის ნორმის მოთხოვნებს და მათი გაცნობიერება ძნელი არაა, თუ ადამიანი ამ ნორმების მოთხოვნებს მოეკიდება პასუხისმგებლურად. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ დაუდევრობა მართლაც არაცნობიერი ქმედება კი არაა, არამედ პირის უპასუხისმგებლობას გამოხატავს და სწორედ ამ უპასუხისმგებლობის შედეგია, რომ ის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს და, მაშასადამე, პირის ბრალიც ამაში

მდგომარეობს. პროფ. ბ. ხორნაბუჯელი (ხარაზინჰილი) ამ მოსაზრებას შემდეგნაირად გადმოსცემს: „დაუდევრობა ყოველთვის უნდა გულისხმობდეს სუბიექტის მიერ რომელიღაც წესის, ნორმის საზოგადოებრივად შეურიგებულ, შეუთავსებელ, დარღვევას, როცა ის ამ დარღვევისადმი იმდენად გულგრილია, რომ არ ითვალისწინებს კანონით გათვალისწინებულ ანტისაზოგადოებრივი დასჯადი შედეგების დადგომას, რაც ფაქტობრივად ღგება.“<sup>1</sup>

როგორც ჩანს, სუბიექტი წინდახედულობის ნორმით დადგენილი წესის დარღვევისადმი იმდენად გულგრილია, ანუ, უპასუხისმგებლოა, რომ ამ დარღვევის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, მაშინ როდესაც ამ ნორმის მოთხოვნისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების შემთხვევაში ამ შესაძლებლობას გაითვალისწინებდა და, მაშასადამე, ამ ქმედებას არ ჩაიდენდა.

ამრიგად, წინდახედულობის ნორმის მოთხოვნისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაა იმისი სუბიექტური მიზეზი, რომ სუბიექტი არ ითვალისწინებს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას (თვითიმედოვნება) ან შესაძლებლობას (დაუდევრობა). მაშასადამე, თვითიმედოვნება უპასუხისმგებლობის, ანუ ბრალის უფრო მაღალ ხარისხს გამოხატავს, ვიდრე დაუდევრობა. გარდა ამისა, აშკარაა, რომ ბრალი, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და მისი შედეგების სუბიექტური მიზეზია. ეს დებულება კი ლოგიკურად გადადის ე. წ. „წინსწრებული ბრალის“ პრობლემატიკაში, რომელსაც მოკლედ ქვემოთ განვიხილავ.

<sup>1</sup> ბ. ხორნაბუჯელის დასახ. ნაშრომი, გვ. 107.



დაეას არ იწვევს ის დებულება, რომ ე. წ. მატერიალურ შემადგენლობებში, რომლებშიც დანაშაულებრივი ქმედების შედეგი დგება და ამ ქმედების განუყრელი ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშანია, ამ ქმედებასა და მის შედეგებს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელი ხდება. მაგრამ ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ იგი ხელს უწყობს იმის დადგენასაც, თუ როგორი იყო ან როგორი შეიძლებოდა ფოფილიყო ამ ქმედებასთან და მის შედეგებთან სუბიექტური, ანუ, ბრალეული კავშირი. მიზეზისა და შედეგის კავშირისა და ამ უკანასკნელის პრაქტიკული დანიშნულების თაობაზე მხოლოდ თეორიულად როდი მსჯელობენ. ამ სფეროში ადამიანთა პრაქტიკული გამოცდილებაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ადამიანმა თავისი პრაქტიკული საქმიანობის დროს სწორად გათვალოს ამ საქმიანობის მოსალოდნელი შედეგები და ამის მიხედვით თავის თავზე აიღოს ან არ აიღოს მათთვის პასუხისმგებლობა. თუ სუბიექტმა ეს პასუხისმგებლობა უკვე იკისრა, მაშინ, ეს პასუხისმგებლობა სუბიექტის საქმიანობისა და მისი შედეგების სუბიექტური მიზეზია. შესაბამისად, თუ ბრალი სისხლის სამართლის სფეროში არის მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით ვლინდება, მაშინ ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია. ცხადია, „მიზეზი“ ობიექტურია, ადამიანის ცნობიერებისა და ნებისგან დამოუკიდებლად ქმნის შედეგს, მაგრამ გარკვეული აზრით „მიზეზი“ შეიძლება იყოს სუბიექტურიც. აქ შეიძლება ერთი ანალოგია მოვიშველიოთ კერძოდ, აქსიოლოგიაში (ღირებულების ფილოსოფიაში) ღირებულების ობიექტურობა, რომელიც მის იერარქიულ ბუნებაშიც ჩანს (ესე იგი არსებობს



უმაღლესი და უფრო დაბალი რანგის ღირებულება), ამოსაულო  
მაგრამ არსებობს სუბიექტური ღირებულების ცნებაც, როცა,  
მაგალითად, სუბიექტი მოქმედებს არა ღირებულებათა ობიექტური  
წყობის მიხედვით(ვთქვათ, სიკეთის დასამკვიდრებლად), არამედ,  
პირიქით, ღირებულებაზე თავისი სუბიექტური წარმოდგენების  
შესაბამისად (ვთქვათ, ქონებრივ ინტერესს უფრო მაღლა აყენებს,  
ვიდრე სულიერს). ღირებულებათა წყობაზე ამგვარი წარმოდ-  
გენა ხელს უწყობს ანგარებითი ხასიათის დანაშაულის ჩადენას  
და ამგვარი დანაშაულის სუბიექტური მიზეზი ხდება. ანალოგი-  
ურად, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექ-  
ტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, სისხლის სამართლის  
კანონით გათვალისწინებული და მართლსაწინააღმდეგო ქმედე-  
ბის **სუბიექტურ მიზეზად შეილება ჩაითვალოს**. იქნებ ამისი  
გამოძახილია, რომ ქართულ ენაზე ტერმინი „ბრალი“ „მიზეზის“  
მნიშვნელობითაც არის გამოყენებული. მაგალითად, თუ ვინმეს  
ღვიძლი აწუხებს, — ეს თურმე იმისი ბრალია, რომ იგი ალკოჰოლს  
ბოროტად იყენებდა. ეს და სხვა ამგვარი ფაქტი გვაფიქრებინებს,  
რომ „ბრალი,“ როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, წინ  
უსწრებს გარკვეული ქმედების ჩადენას.

ამ მხრივ მოკლედ შევხები ბრალის ცნებას ძველი ქართული  
სამართლის მიხედვით. კერძოდ, პროფ. **ალ. პაჩიოშვილი**  
აღნიშნავს, რომ ტერმინი „ბრალი“ ქართულ ფოფასა და მწერლო-  
ბაში უძველესი დროიდან გვხვდება. მას მოაქვს ისტორიული  
ფაქტი, როცა, ქართული ჟამთაღმწერლის მტკიცებით, მონღოლებმა  
გამოიძიეს დიმიტრი თაუდადებულის საქმე და „ვერა ბრალი  
ჰპოვესო.“ მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა **პაჩიოშვილის**  
**მთაწვინდელის** მიერ ბერძნული სამართლის წყაროების ე.წ.  
თავისუფალი თარგმნა და ამ თარგმნისას გაკეთებული კომენტარი  
ბრალის შესახებ. ირკვევა, რომ ამ ძეგლსა და მის თარგმანში  
უკვე განსხვავებულია ნებსითი და უნებლიე მოქმედება, როცა  
კაცი, მაგალითად, ქვას ან შეშას ესვრის ძაღლს ან ხეს ნაყოფის



ჩამოსაბერტყად, ხოლო ეს ქვა ან შეშა მტყორცნელის უნებურად მოხვდება ადამიანს და ეს მის სიკვდილს გამოიწვევს, — ფაქტობრივად კადაც იწოდება. იგულისხმება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გაურთხილებლობით ბრალის ორი ფორმის — განზრახვისა და გაუფრთხილებლობის — გარეთ მდებარეობს შემთხვევითობის სფერო, სადაც ბრალისა და მისი შესატყვისი პასუხისმგებლობის საკითხი მოხსნილია.<sup>1</sup>

ისიც ირკვევა, რომ ექვთიმე მთაწმინდელი ითვალისწინებს ბრალის ხარისხსაც, როცა აფასებს განზრახ მკვლელობას, მაგალითად, უდანაშაულო ადამიანზე აუზაკურ თევდსხმას მისი მოკვლის ან დაყაჩაღების მიზნით, როცა განზრახი, თავისი არსით, ბოროტია. მეორე შემთხვევაში იგი აფასებს ქალისგან მამაკაცის მოწამვლას ამ უკანასკნელში სიყვარულის აღძვრის სურვილით, როცა „გულის სიტყვა“ და მიზანი მისი მკვლელობა თუმცა არ იყო, მაგრამ ამ მიზნით გამოყენებული საშუალება იმდენად „საეშმაკოა,“ ეს შემთხვევა ნებსით კაცის კვლად შერგვირაცხავსო.<sup>2</sup> საგარაუდოა, რომ აქ საქმე ფენტუალურ განზრახვას ეხება, რაკი ქალი, მამაკაცის მოწამვლის ამ „საეშმაკო საშუალების“ შეგნებიდან გამომდინარე, არ გამორიცხავდა მისი სიკვდილის შესაძლებლობას და გულგრილად ეკიდებოდა ამ შედეგის დადგომას. კიდევ უფრო დამაჯერებელია ექვთიმე მთაწმინდელის მიერ განზრახვის ბუნების ცოდნა სხვა ანალოგიური მაგალითების კომენტარების დროს. კერძოდ, იგი იშველიებს ამ მხრივ არაერთ მაგალითს, როცა ჩხუბის დროს კაცმა აღელვების გამო ვერ მოზომა და მას მსხვერპლი შემოაკვდა კიდევ. ასეთ მკვლელობას იგი ნებსით კვლის მახლობელს“ უწოდებს.<sup>3</sup> ასე, რომ ქართული სამართალი იცნობდა დანაშაულის ჩადენას „აღტაცებით“, ანუ აფექტის

<sup>1</sup> ალ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, 1. თბილისი, 1946, გვ. 147.

<sup>2</sup> ვ. მებრეველი, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2001, გვ. 237.

<sup>3</sup> ვ. მებრეველის დასახ. ნაშრომი, გვ. 238.

ნიადაგზე და იმ დროს, როცა პირი „ბუნებით გრილი იყო“<sup>1</sup> ესე იგი, ე დანაშაულებრივი გულგრილობით (ვერტუალური განხრახვეთ, ან დაუდევრობით).

ამრიგად, ბრალის თაობაზე ქართული სამართლებრივი აზრის ეს მოკლე მიმოხილვაც ადასტურებს, რომ „ბრალი“ ქმედების ჩადენის შემდეგ კი არ ჩნდება, არამედ წინ უსწრებს ამ ქმედებას, როგორც მისი სუბიექტური მიზეზი. სამწუხაროდ, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ბრალი თითქოს ქმედების ჩადენის შემდეგ ჩნდება. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო მყარდება იმის გამოც, რომ დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელში ბრალი მესამე ადგილზეა (ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის შემდეგ). მაგრამ ეს შთაბეჭდილება მაშინვე ქრება, როგორც კი იმას გავითვალისწინებთ, რომ ერთია ბრალი, რომელიც გენეზისურად წინ უსწრებს ქმედებას, და მეორეა ბრალი, როგორც უკვე ჩადენილი ქმედების ელემენტი, — საქმის ვითარება არსებითად იცვლება. ბრალი, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი, ანუ „წინსწრებული ბრალი,“ ქმედების დადგენის შემდეგ წარსულის კუთვნილებად იქცევა. მაშასადამე, ლაპარაკია ბრალზე, რომელიც წინ უსწრებს ქმედებას.

აღსანიშნავია, რომ „წინსწრებული ბრალის“ თეორია („Предшествующая вина“) თავისებურად შექმნა საბჭოთა ცივილისტმა ბ. ანტიმოროვმა. მისი მტკიცებით, ბრალი წინ უსწრებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და მის შედეგებს. იგი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის იდეის წინააღმდეგ გამოდიოდა და ამტკიცებდა, რომ არსებობს წინსწრებული ბრალი და რომ „შედეგობიდან უშვებენ რა ამ ცნებას, ერთობ ხშირად და ერთობ გაურკვევლად მიდიან დასკვნამდე, მაგალითად, აბსოლუტური

<sup>1</sup> გ. ლობჯანიძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2001, გვ. 308.

ტიპის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც თითქოს კანონითაა დადგენილი. სინამდვილეში კი კანონი თავის გადაწყვეტილებას ააგებს ბრალის მომენტზე, რომელიც წინ უსწრებდა.<sup>1</sup> ავტორი ამის მაგალითად ასახელებდა მოვალის მიერ ვალის გადაცილებას. მისი მტკიცებით, ბრალის სფეროში გაკიცხვა ემყარება არა ბრალს, რომელიც მუნე ქმედების ჩადენის დროს არსებობდა, არამედ, ლაპარაკია ბრალის სოციალურ, იურიდიულ ცნებაზე. „წინსწრებული ბრალი,“ ავტორის დასკვნით, იმაში მდგომარეობს, რომ ბრალი არის პასუხისმგებლობის შინაგანი საფუძველი.<sup>1</sup>

„წინსწრებული ბრალის“ მაგალითად ავტორი იმორჩებდა შემთხვევებს, როცა ადამიანი ხელს ჰკიდებს საქმეს, რომელიც მას სათანადოდ შესწავლილი არა აქვს და ამიტომ არ ითვალისწინებს იმ საფრთხეს, რასაც ეს საქმე სხვებისთვის ქმნის, ხოლო თუ მას ამ საქმის შესწავლა და მისი საშიში შედეგების გათვალისწინება შეუძლო, — ის ავტორის დასკვნით, ბრალეულია. ამ აზრის საილუსტრაციოდ ავტორი ასეთ მაგალითს იმორჩებს: მაგანმა სოფელში ფეხი მოიტეხა და იგი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს მიუყვანეს. ამ სტუდენტმა პაციენტს ოპერაციაც კი გაუკეთა, მაგრამ სტუდენტმა დაუშვა შეცდომა და პაციენტს ფეხის ამპუტაცია დასჭირდა. აქედან ავტორი ასკვნიდა: „სტუდენტის ბრალი იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი მოჰკიდა საქმეს, რომელიც საკმარისად არ იცოდა.“<sup>2</sup>

ამრიგად, აშკარაა, რომ ამ მაგალითიდან რამდენიმე დასკვნა გამოდინარეობს. **ჯერ ერთი**, თუ პირი თავის თავზე იღებს მისთვის უცნობი ან არასაკმარისად ნაცნობი საქმის აღსრულების პასუხისმგებლობას, მაშინ ის მოქმედებს უპასუხისმგებლოდ, ანუ, ბრალეულად და ნეგატურადაც არის პასუხისმგებელი ამისთვის. ამის შესახებ უკვე გავუცანით **მ. უბრაშელიძის** მსჯელობას,

<sup>1</sup> Б. С. Антимонов, Значекние вигны потерпевшего при гражданском правонарушений, М. 1950, стр. 102.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 102.

როცა ხსენებული ავტორი სუბიექტისთვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი საქმის აღსრულების თავის თავზე აღებას სამართლიანად ანად მიიჩნევდა წინდახედულობის ნორმის დარღვევად. მუორც, ბრალი, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, წინ უსწრებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. კერძოდ, პაციენტისთვის ოპერაციის ჩატარებით სტუდენტმა თავის თავზე აიღო ქირურგის პასუხისმგებლობა, რაც, მისი მხრივ, უპასუხისმგებლობის აქტი იყო, ხოლო სტუდენტის ეს უპასუხისმგებლობა, ანუ ბრალი პაციენტის ფეხის ამპუტაციის სუბიექტურ მიზეზად მოგვევლინა.

როგორც ვხედავთ, იმის მიუხედავად, რომ **ბ. ანტიმონოვი** პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეას არ იცნობს, მას ბრალი უპასუხისმგებლობის აქტად წარმოუდგენია, თანაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და მისი შედეგების სუბიექტურ მიზეზად, ანუ მათთვის „წინსწრებულად.“ ეს იდეა ავტორმა იურიდიული პირის ბრალის დასაბუთებაშიც გამოიყენა, როცა იგი სოცალისტური ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების, თუ შეუსრულებლობის საკითხს განიხილავდა.

მისი მტკიცებით, თუ საწარმო არ იყო შზად მოცემული დაკვეთის (ვალდებულების) შესასრულებლად, მაშინ სამოქალაქო ბრალი ამ მოუშზადებლობაში სახეზეა სწორედ იმ მომენტში, როცა კისრულობენ ვალდებულებას, რომლის შესრულება შეუძლებელი იყო. უფრო დაზუსტებით ავტორი წერდა: „თუ ვალდებულმა მოქალაქემ ან ვალდებულმა ორგანიზაციამ თავიდან არ აიცილა თავიანთ თავზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, თუმცა მისი თავიდან აცილება შეეძლო, ის ბრალეულად იქნება ცნობილი.“<sup>1</sup>

ამრიგად, თუ ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია კისრულობს რაიმე ვალდებულების შესრულების პასუხისმგებლობას ისე, რომ წინასწარ არ ყოფილა შესწავლილი ამ ვალდებულების

<sup>1</sup> Б. С. Антимонов, Основания договорной ответственности социалистических организаций, М. 1962, 76.

შესრულების პირობები, მაშინ, **ჯერ ერთი**, ეს პასუხისმგებლობა უპასუხისმგებლობის აქტია; **მეორეც**, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობაში ბრალი, როგორც უპასუხისმგებლობის აქტი, დაეას არ იწვევს. **მესამეც**, ეს ბრალი უკვე ვალდებულება მაშინ, როცა სუბიექტი თავის თავზე იღებს წინასწარ შეუსწავლელი ვალდებულების შესრულების პასუხისმგებლობას.

სამწუხაროდ, „წინსწრებული ბრალის“ ეს იდეა, როგორც მოსალოდნელიც იყო, მკაცრად გააკრიტიკეს და ავტორი იძულებული გახდა, ამ იდეაზე უარი ეთქვა. მისი აზრით, „წინსწრებული ბრალის“ ცნება საკმაოდ დამაბნეველია, სამოქალაქო ბრალი სამართალდარღვევამდე თითქოს ჩნდება და ამოიწურება კიდევ.<sup>1</sup> თუმცა ავტორი ამ მხრით თანმიმდევრული უკვე არ იყო. ერთის მხრით, ის ვერ უარყოფდა იმას, რომ საწარმოს მოუშზადებლობა, ვიდრე იგი ამ დაკვეთას მიიღებდა, საწარმოს ხელმძღვანელთა ბრალს ადასტურებს. მაგრამ, მეორეს მხრით, წერდა, რომ ამგვარი ვითარება ადმინისტრაციული გადაცდომაა, შესაძლოა — დანაშაულიც. აქედან მან გააკეთა დასკვნა, რომ “სამოქალაქო ბრალი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაში **ჯერ კიდევ არ არსებობს.**”<sup>2</sup>

ამრიგად, „წინსწრებული ბრალის“ იდეაზე **ბ. ანტიმოწონვმა** უარი თქვა და ამის მიზეზი ამ იდეის გაკრიტიკება გახლდათ. ბრალის ფსიქოლოგიური თეორიიდან გამომდინარე, ეს კრიტიკა სავსებით ლოგიკური უნდა ყოფილიყო, რადგან ბრალი, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, ამ ქმედებას და მის შედეგებს წინ ვერ გაუსწრებდა. მით უფრო, რომ ფსიქიკური რაიმეს მიზეზად მხოლოდ სუბიექტურმა იდეალიზმმა შეიძლება მიიჩნიოს. მაგრამ „წინსწრებული ბრალის“ იდეის კრიტიკა ფრიად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ბრალის

<sup>1</sup> Б. С. Антимонов, Основания договорной ответственности социалистических организаций, М. 1962, 73.

<sup>2</sup> იქვე.

ამგვარი გაგება ბრალს თურმე ქმედების გარეთ გაიტანს, ხოლო ეს საბჭოური იურიდიული მეცნიერებისთვის სახიფათო მიუღებელი იყო. მაგალითად, ო. იოფეს აზრით, „წინსწრებული ბრალი“ იმას ნიშნავს, რომ ვიდრე ეს ბრალი არსებობს, ჯერ კიდევ არ არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ხოლო როცა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ხორციელდება, ბრალი წარსულის სფეროში გადადის. აქედან ავტორი აკეთებდა დასკვნას, რომ „სამართალდარღვევის შემადგენლობის ფარგლებს გარეთ გატანილი ბრალი უუნაროა, დაასაბუთოს დამრღვევის არა მხოლოდ საზოგადოებრივი მსჯავრი, არამედ თვით ამ შემადგენლობის განხორციელებაც დაადასტუროს.“<sup>1</sup>

ამრიგად, „წინსწრებული ბრალის“ იდეა მიუღებელი ყოფილა იმის გამო, რომ ამ ლოგიკით ბრალი ქმედების შემადგენლობის გარეთ იაზრება — თადაპირველად, როგორც ამ შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელების სუბიექტური მიზეზი, რომელიც წინ უსწრებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ხოლო ჩადენილი ქმედებისა და მისი მართლწინააღმდეგობის დადგენის კვალობაზე დგება ბრალის დადგენის პრობლემაც. ამ პოზიციიდან კი ბრალი, როგორც წარსულის კუთვნილება, დანაშაულის შესაძენ ვლემენტს (ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის შემდეგ) წარმოადგენს. სწორედ „წინსწრებული ბრალის“ იდეა გამოხატავს ბრალის როლს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში და მის ადგილს დანაშაულის სისტემაში. ამ დებულებას დანაშაულის ცნების გერმანული მოდელის ლოგიკაც ადასტურებს (ქმედების შემადგენლობა, მისი მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი). აქედან გამომდინარე, საბჭოური და პოსტსაბჭოური რუსეთის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული აზრი, რომ ბრალი ქმედების შემადგენლობის ვლემენტია, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს.

<sup>1</sup> О. С. Иоффе, Гражданское право, Избр. труды, МГУ, стр. 449.

ამრიგად, ბრალი წინ უსწრებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ამას ადასტურებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბრალის ფორმების განსაზღვრების თავისებურებაც. კერძოდ, ბრალის ფორმების გადმოცემისას კანონმდებელი ლაპარაკობს წარსულ დროზე, როცა ბრალის ამ ფორმებს უკვე ჰქონდათ ადგილი და საქმე მათ დადგენას ეჭება. კერძოდ, განზრახვის (მე-9 მუხლი) ელემენტების გადმოცემისას კანონმდებელი ლაპარაკობს, რომ პირს “გაცნობიერებული ჰქონდა,” “ითვალისწინებდა,” “სურდა,” “არ სურდა,” “შეგნებულად უშვებდა,” “გულგრილად კვიდებოდა” (ანუ, ყოველივე ამას ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენამდე).

კანონმდებელი წარსულ დროში ლაპარაკობს გაუფრთხილებლობის ნიშნების გადმოცემის შემთხვევაშიც „ითვალისწინებდა,” „უსაფუძვლოდ იმედოვნებდა,” „არ ითვალისწინებდა,” „შვეძლო“ (საქ. სსკ-ის მე-10 მუხლი).

ბრალის ფორმების საკანონმდებლო გადმოცემა წარსულისთვის დამახასიათებელი ნიშნებით შემთხვევითი არ უნდა იყოს და იმას უნდა ადასტურებდეს, რომ ბრალის ამ ფორმებს, როგორც პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებული უარყოფის ან უგულვებელყოფის გამოვლინებებს, ადგილი აქვთ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენამდე, ხოლო ამ ქმედების ჩადენის შემდეგ ისინი ბრალის დადგენის შესაბამის კრიტერიუმებს წარმოადგენენ. კერძოდ, ჯერ ერთი, ბრალი, როგორც სუბიექტის უპასუხისმგებლობის სინონიმი, წინ უსწრებს ბრალის ფორმებად წოდებულ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, ხოლო ბრალის ფორმები წინ უსწრებენ კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ცნება განმარტებულია, როგორც „ბრალეულად ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედება,



რომელიც ამ კოდექსით სასჯელის მუქართაა აკრძალული“ (მუ-  
14 მუხლი). შემთხვევითია, რომ აქ კანონმდებელი დანაშაულის  
ცნებას ბრალის ცნებით იწყებს? სამწუხაროდ, ამ საკითხს რუ-  
სულ იურიდიულ ლიტერატურაში სათანადო ყურადღება არ  
ექცევა, თუმცა დანაშაულის ცნების რუსული (საბჭოური და პოს-  
ტსაბჭოური) მოდელი ბრალის ცნებას ქმედების შემადგენლობის  
სტრუქტურაში იაზრებს და, მაშასადამე, „წინსწრებული ბრალის“  
იდეას ვერ გაიზიარებს. მაგრამ ამ მხრივ ფრიად საინტერესოა  
აკად. **3. კუდრიაშვილის** მცდელობა, თავისებურად წარმოაჩინოს  
დანაშაულებრივი ქმედების გენეზისი. მისი აზრით, დანაშაულის  
გენეზისის საწყისი ელემენტია სუბიექტი, ესე იგი, ბრალუნარიანი  
პირი, რომლის ზგაულებით ვალიბდება სუბიექტური მხარე (ბრა-  
ლის ფორმების, მოტვისა და მიზნის ერთიანობით), ამის კვალო-  
ბაზე კი იქმნება დანაშაულის ობიექტური მხარე და ობიექტი.<sup>1</sup>

აქედან გამომდინარე, ავტორი ფიქრობს, რომ ქმედების დანა-  
შაულად კვალიფიკაცია უნდა დაეინფოთ უკუთანმიმდევრობით,  
ესე იგი, ის, რაც დანაშაულის გენეზისში პირველია, ქმედების  
დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპზე ბოლო ადგილს დაიჭერს.  
ხსენებული ავტორის ამ სქემაში გენეზისურად პირველია სუბიექ-  
ტი, რომელიც ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკა-  
ციის საფუძველზე ხდება მსჯავრდებული. მეორე მხრივ, ის, რაც  
ამ სქემაში ბოლოა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში არის  
პირველი. ასეთია დანაშაულის ობიექტი. თითქოს ყველაფერი  
სწორია, მაგრამ, ჯერ ერთი, ის, თუ სისხლისსამართლებრივი  
დაცვის რომელი ობიექტია ხელყოფილი, სუბიექტს ქცევის  
მიზნის დადგენის გარეშე შეუძლებელია და, მაშასადამე, ქმედების  
დანაშაულად კვალიფიკაცია „დანაშაულის ობიექტის“ დადგენით  
ვერ დაიწყება. მეორეც, რა უყოთ იმას, რომ სუბიექტის ბრალის  
დადგენის გარეშე „მსჯავრდებულის“ ფიგურა ვერ იქმნება?

<sup>1</sup> В. Н. Кудрявцев, Взаимосвязь элементов преступления, „ Вопросы  
борьбы с преступностью, „ Вып. 25, 1976, стр. 55-56.



გასაგებია, რომ ბრალი დანაშაულის მესამე ელემენტია (ქმედების შენადგენლობისა და ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის შემდეგ). თუ სუბიექტის ბრალის დადგენა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ბოლო ეტაპია, მაშინ ბუნებრივია დასკვნა, რომ მაშინ ბრალი დანაშაულის გენეზისში პირველია, ხოლო ის, რაც დანაშაულის გენეზისში პირველია, ვ. კუდრიაშვილის ამ სქემის მიხედვით, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ბოლო ეტაპზე ინაცვლებს, ანუ საქმე ეჭვა სუბიექტის ბრალის დადგენას.

ამრიგად, აკად. ვ. კუდრიაშვილმა არსებითად სწორად ჩამოაყალიბა დანაშაულებრივი ქმედების გენეზისისა და ამის მიხედვით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში ამ ელემენტების ადგილი (დანაშაულის გენეზისში პირველი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში ბოლოა). მაგრამ მან დაუშვა შეცდომა, როცა ამ სქემაში ბრალის ადგილას ჩასვა სუბიექტი, რომელიც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპზე ხდება მსჯავრდებული. ამკარაა, რომ პირის ოფიციალურ მსჯავრდებას წინ უსწრებს სუბიექტის ბრალის დადგენა, ანუ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში ბრალი ბოლოა, ხოლო აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ დანაშაულებრივი ქმედების გენეზისში პირველი არის ბრალი. მით უფრო, რომ „დანაშაულის ობიექტი“ და „დანაშაულის სუბიექტი“ სოციოლოგიური ხასიათის ცნებებია და, მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის ელემენტებს არ წარმოადგენენ.

ამრიგად, „წინსწრებული ბრალის“ იდეა არსებითად სწორია, რადგან ბრალი მართლწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია. მით უფრო, რომ ბრალი სუბიექტის უპასუხისმგებლობას გამოხატავს, ხოლო ეს უპასუხისმგებლობა პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებული უარყოფით, ანუ, განზრახვის ფორმით, ან მისი უგულვებელყოფით, ანუ გაუფრთხილებლობით ვლინდება. თუ მართლზომიერი ქმედების სუბიექტური მიზეზია ამ ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის

პასუხისმგებლური დამოკიდებულება, მაშინ, ლოგიკურია დასკვნა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება უნდა იწვევდეს.<sup>1</sup>

ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს პროფ. ალ. ვაჩიშვილის მსჯელობა ბრალის პრობლემასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას რომ ეს ავტორი ბრალის პრობლემის გადაჭრის ზღურბლზე აღმოჩნდა. მართლაც ეჭბოდა რა დანაშაულებრივი ქმედების მოტივების პრობლემას, ხსენებული ავტორი წერდა: „ერთ შემთხვევაში მოტივი გამოხატავს პიროვნების საერთო განწყობას, რომელსაც აქვს გარკვეული ნაკლოვანება იმ აზრით, რომ მისი ხასიათი თავისი ძირითადი თვისებით არ უპასუხებს მართლწესრიგის ინტერესებს, წინააღმდეგება მას.“<sup>2</sup> იქვე ავტორი იხილავს მეორე შემთხვევას, როცა ადამიანი მთელი სიცოცხლე ასრულებდა მართლწესრიგის მოთხოვნებს, რაღაც გარემოებათა ზეგავლენით ჩადის დანაშაულს. ამგვარ შემთხვევებში ის ფაქტი რომ საზოგადოებრივად მკენე მოტივმა გაიმარჯვა საწინააღმდეგო მოტივთან ბრძოლაში,\* მიუთითებს იმ გრძობის სისუსტეზე, რომელსაც იგი უნდა შეეკავებინა დანაშაულის ჩადენისგან. აქედან ავტორი აკეთებს საგულისხმო დასკვნას: „ამრიგად, — ასკვნის ის, — ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ ფსიქიკურ მდგომარეობასთან, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ **ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი გ რ ძ ნ ო ბ ი ს ს ი ს უ ს ტ ე ა ნ ა რ ა ს ა კ მ ა რ ი ს ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა** (ხაზგასმა ავტორისაა — გ. ნ) იმ გრძობისა რომელიც შეესაბამება ადამიანთა თანაცხოვრების ინტერესებს.“

<sup>1</sup> უფრო დაწერილებით იხილეთ გ. ნაჭყეაბია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, გვ. 140.

<sup>2</sup> ალ. ვაჩიშვილი, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბილისი, 1957 გვ. 32

\* მოტივთა ბრძოლის ცნობილ იდეას ვერ დავეთანხმებით, რადგან საქმე შეეხება მოტივაციის ფაქტორთა შეპირისპირებას და არა მოტივთა ბრძოლას.

ავტორი ასკვნის: „ჩვენი აზრით, ამაში უნდა ვეძიოთ ბრალეულობის შინაარსი“<sup>1</sup> (ხაზგასმა ავტორისაა — გ. ნ).

ჩემი აზრით ავტორს იმის თქმა უნდოდა, რომ საქმე ეჭვბაპასუხისმგებლობის გრძნობის სისუსტეს, ან მის არასაკმარის განვითარებას, როცა პასუხისმგებლობის გრძნობაზე უპასუხისმგებლობა იმარჯვებს. სამწუხაროდ, იმ დროისთვის, როდესაც პროფ. ალ. ვაჩიშვილის ხსენებული ნაშრომი იწერებოდა, პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა სათანადოდ არ იყო განვითარებული და ამიტომ ამ ავტორმაც მოუღწიეს უფრო ზუსტი სახელი ვერ მოუძებნა. მაგრამ მისი ძირითადი იდეა მეტად საყურადღებოა. მით უფრო, რომ ავტორი ხაზგასმით წერდა: „სისხლის სამართალში ბრალეულობის ორივე ცნობილ ფორმას მოიცავს ერთი ზოგადი ცნება. ისინი არაა მოწყვეტილი ერთმანეთისგან, მათ შორის არაა შეუთანხმებლობა, რომელიც აუცილებლად დაარღვევდა კონსტრუქციის მთლიანობას. ამგვარად, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ხაერთო საფუძველს პოულობენ.“<sup>2</sup> (ხაზგასმა ავტორისაა — გ. ნ).

პართლაც, თუ ჩვენ ამოვალთ იქედან, რომ დანაშაულის ჩადენას პასუხისმგებლობის გრძნობის სისუსტე ან მისი არასაკმარისი განვითარება იწვევს, მაშინ ბრალი სუბიექტის უპასუხისმგებლო საქციელს უნდა ნიშნავდეს. თუ განზრახვა, ამ პოზიციიდან, არის პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის შფხნებული უარყოფა, გაუფრთხილებლობა ამ პასუხისმგებლობის უგულვებელყოფით ვლინდება. მაშასადამე, სწორია ალ. ვაჩიშვილის დასკვნა, რომ სისხლის სამართალში ბრალეულობის ორივე ფორმა ერთ საერთო საფუძველს პოულობს. ესაა პასუხისმგებლობის იდეა, რადგან ბრალი, როგორც უკვე ვიცით, პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმას წარმოადგენს.

<sup>1</sup> ალ. ვაჩიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 32

<sup>2</sup> ალ. ვაჩიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 32

აქედან გამომდინარე, ვიმეორებთ თუ განზრახვა არის სათანადო ინსტანციის (ვთქვათ, სახელმწიფოს) წინაშე პოზიტიური უპასუხისმგებლობის შფნებული უარყოფა, როცა განზრახვი თავისი ბუნებით ბოროტია, გაუფრთხილებლობა არის სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის უგულებელყოფა, როცა სუბიექტი წინდახედულობის ნორმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო არ ითვალისწინებს მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდაუვალობას (თვით-იმედოვნება) ან შესაძლებლობას (დაუდევრობა).

ამრიგად, ირკვევა, რომ ბრალი, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, ასე ვთქვათ, ორმაგი ბუნებისაა. ის, ერთი მხრივ, წინ უსწრებს ქმედებას და ამ ქმედების ჩამდენი პირის ბუნებას გამოხატავს, ხოლო, მეორე მხრივ, ბრალი, როგორც უკვე ჩადენილი ქმედების ელემენტი, ამ ქმედების ბუნებით განისაზღვრება. ამიტომ, რომ ბრალი მომქმედისა და ქმედების სინთეზური ერთიანობით განისაზღვრება. ეს კი ბუნებრივად ქმნის ბრალის ხასიათისა და ხარისხის პრობლემას, რაც, თავის მხრივ, ნეგატიური პასუხისმგებლობის ხასიათისა და ხარისხის პრობლემის საფუძველია.

## § 7. ბრალის ხარისხის მნიშვნელობა და მნიშვნელობა

თავიდანვე ვიტყვი, რომ არსებობს ბრალის ხასიათისა და ხარისხის ცნებები. ბრალის ხასიათი ბრალის თვისებრივი მხარეა, რომელიც ბრალის არსიდან მომდინარეობს. კერძოდ, ბრალი, როგორც უკვე ჩანს, არის მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც, ერთის მხრივ, სუბიექტის თვისებას გამოხატავს, ხოლო, მეორეს მხრივ — ქმედების თვისებას, თუმცა, თავის მხრივ, გველენას ახდენს ამ ქმედების შეფასებაზე. მაგალითად, ქურდო-

ბაში ბრალის ხასიათი სხვაა, ვიდრე მკვლელობაში. ბრალის ხარისხი კი არის ბრალის რაოდენობრივი მხარე და მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ზომას გამოხატავს. გასაგებია, რომ ბრალის ხარისხი განისაზღვრება უპასუხისმგებლობის როგორც სუბიექტით, ისე ობიექტით, ესე იგი იმით, თუ ვინ არის სუბიექტი და რა ქმედებაში გამოხატავს იგი თავის უპასუხისმგებლობას.

როგორც უკვე ჩანს, ბრალი, ერთის მხრივ, წინ უსწრებს ქმედებას და მოქმედის ბუნებიდან გამომდინარეობს, ხოლო, მეორეს მხრივ, ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ელემენტია და, მაშასადამე, ამ ქმედების ბუნებით განისაზღვრება, თუმცა თვითონაც აზღვნს გავლენას ამ ქმედების ბუნებაზე. აქ, როგორც უკვე ჩანს, დგას სისხლის სამართლის თეორიაში ხშირად სადისკუსიო და, თავისი არსით, ფუნდამენტური პრობლემა **ქმედებისა და მოქმედის თანაფარდობის** შესახებ. სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ძირითადი პოსტულატი იმის შესახებ, რომ სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, ძალაში რჩება, რადგან, ქმედების გარეშე „**მოქმედი**“ სისხლისსამართლებრივად არ არსებობს. მოქმედებაზე მოქმედის პრიმატი, როგორც ეს, მაგალითად, სისხლის სამართლის სიციოლოგიური სკოლის წიაღში იქნა აღიარებული, ბრალის პრინციპის უგულვებელყოფას მოასწავებდა, ხოლო რაკი სასჯელი ბრალის გარეშე არ არსებობს, ამ ნიადაგზე, ცხადია, სისხლის სამართალი შეუძლებელია. მოქმედზე ქმედების პრიმატი სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის, არსებობისა და მასში კანონიერების პრინციპის ელემენტარულ მოთხოვნას წარმოადგენს. მაგრამ ეს სრულადაც არ აკნინებს „**მოქმედის**“ როლსა და მნიშვნელობას სისხლის სამართლის სპეციფიკური ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისთვის. ეს ბუნებრივია, რადგან, ბრალი მოქმედის უპასუხისმგებლობას გამოხატავს და, მაშასადამე, მისი გათვალისწინების გარეშე, ჯერ ერთი, მსჯავრდებულისთვის სამართლიანი და მისი პიროვნების-

თვის ადექვატური სასჯელის ზომის შერჩევა შეუძლებელია/ მუორეც, მსჯავრდებულის უპასუხისმგებლობის, ანუ, ბრალის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სასჯელმა მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძობა გამოაღვიძოს. ცხადია, მსჯავრდებულის უპასუხისმგებლობის ხასიათი და ხარისხი მაინც მის მიერ ჩადენილი ქმედების გარეშე არ არსებობს.

ერთი სიტყვით, ბრალის ხასიათისა და ხარისხის პრობლემა მეტად აქტუალურია, მაგრამ ისეთივე რთულია, როგორც საზოგადოდ ბრალის პრობლემა, რადგან, ბრალის არსის სწორად გაგების გარეშე ბრალის ხარისხის გაგება შეუძლებელია. მაგალითად, ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში ბრალის ხარისხი სუბიექტის ინტელექტის, ნებელობისა და ემოციის ერთიანობის ხარისხით განისაზღვრება. ბრალის ხარისხის ამგვარი გაგება სხვა არაფერია, თუ არა ბრალის ფორმებზე ბრალის დაყვანა. რასაკვირველია, ბრალის ფორმებმა ბრალის ხარისხიც შეიძლება გამოხატონ, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. მეორეს მხრივ, ბრალის ცნების ზოგადი განმარტება სუბიექტისგან და ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი ქმედებისგან, ანუ პასუხისმგებლობის ობიექტისგან მოწყვეტით, საქმეს ჯერ კიდევ ვერ შევლის. მაგალითად, დებულება, რომ ბრალი არის სუბიექტის უპასუხისმგებლობის გამოუღენა, შეიძლება წმინდა წყლის ფორმალური მტკიცება აღმოჩნდეს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მცირემნიშვნელოვანი ქმედება დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს. უპასუხისმგებლობა, როგორც პოზიტიური პასუხისმგებლობის საპირისპირო ვითარება, მცირემნიშვნელოვან ქმედებაშიც შეიძლება გამოიხატოს, და მაშინ სისხლისსამართლებრივი ბრალი არ არსებობს, იმის მიუხედავად, თუ ვინ არის და როგორია ამ მიმართებით „მომქმედი.“

აქედან გამომდინარე, ბრალის ხასიათისა და ხარისხის დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრივ, პოზიტიური

პასუხისმგებლობის სუბიექტისა და ობიექტის თანაფარდობას. იგულისხმება სუბიექტის განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ სამართლებრივი მდგომარეობა. აქ უკვე დგას ის საკითხიც, თუ როგორია ის ინსტანცია, ვის წინაშეც სუბიექტია პასუხისმგებელი. გასაგებია, რომ, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაური, მით უფრო დიდი მასშტაბის სახელმწიფოსი, პასუხს აგებს არა მხოლოდ საკუთარი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე, არამედ საზოგადოდ ისტორიისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშეც. ამდენად, გასაგებია, რომ ამგვარი პირის უპასუხისმგებლობამ შეიძლება თავისი გამოხატულება კპოვოს ისეთ ქმედებაში, რომელსაც საერთაშორისო დანაშაულის კვალიფიკაცია ეძლევა.

აქედან გამომდინარე, სუბიექტის განსაკუთრებით მაღალი პასუხისმგებლობა მდგომარეობა, ბუნებრივია, ამ პასუხისმგებლობის შესატყვის ობიექტსაც მოითხოვს, ესე იგი, ამგვარი სუბიექტი, როგორც წესი, მცირემნიშვნელოვანი ქმედების ჩამდენი ვერ იქნება. თუ ამგვარი მაღალი პასუხისმგებლობის პირი უპასუხისმგებლოდ მოეკიდება თავის მოვალეობას, ცხადია, მაშინ მისი ეს უპასუხისმგებლობა შესატყვის ქმედებაშიც კპოვებს თავის გამოხატულებას, ხოლო, ყოველივე ეს, ერთად აღებული, განსაკუთრებით მკაცრ შეფასებას და ნეგატიურ პასუხისმგებლობას გამოიწვევს. მაგალითად, განსაკუთრებით მაღალი, პასუხისმგებლობის სახელმწიფო მოხელე, ანუ სახელმწიფოს პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის აღება, საქ. სსკ-ის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ქრთამის აღებისთვის დაწესებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. ასე, რომ ბრალის ხასიათი და ხარისხი პასუხისმგებლობის სუბიექტისა და ობიექტის თანაფარდობით განისაზღვრება (ესე იგი, იმით, თუ ვინ არის სუბიექტი თავისი მდგომარეობით და რისთვისაა იგი პასუხისმგებელი პოზიტიურად).



სამწუხაროდ, ბრალის ხარისხის თაობაზე ნაშრომი იშვიათია.<sup>1</sup> ასეთ იშვიათობას წარმოადგენს, მაგალითად, **ი. ზილანოვსკის** ნაშრომი. კერძოდ, მართალია, ავტორი, ერთის მხრივ, ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას იზიარებს, მაგრამ, მეორეს მხრივ, აკრიტიკებს მას სწორედ სუბიექტთან კავშირში. მისი აზრით, ბრალის, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების, პოზიციიდან სუბიექტის როლი საერთოდაა მიჩქმალული, ამ ფსიქიკური დამოკიდებულების არჩევაში სუბიექტი თითქოს არც მონაწილეობდა. ამიტომ ავტორი შეეცადა, ბრალის ახალი ცნება შეეშუშაებინა. მისი მტკიცებით, „ბრალი – ეს არის ქმედების ჩადენის თაობაზე თავისუფლად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ქმნის განზრახ ან გაუფრთხილებელ დანაშაულს.“<sup>2</sup>

უცნაური კი ისაა, რომ ბრალის ხარისხის ცნებას ავტორი ბრალის ამ ცნების მიხედვით კი არ განსაზღვრავს, არამედ ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის შესაბამისად. „თუ ბრალი ფსიქოლოგიური კატეგორიაა, — მსჯელობს ავტორი, — მაშინ ბრალის ხარისხიც შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური კატეგორია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრალის ხარისხის განსაზღვრისთვის უნდა გაირკვეს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების ხარისხი და თავისი ქმედების საზოგადოებრივი საშიში შედეგების გათვალისწინების ხარისხი.“<sup>2</sup>

ცხადია, ამ მომენტებს ბრალის ხარისხის დასადგენად მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ავტორი რატომღაც მხედველობაში არ იღებს სუბიექტის ნებულობას და მის ხარისხს, თუმცა, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიიდან ბრალის ხარისხის პრობლემა სწორად მაინც ვერ გადაწყდება. ცხადია, ბრალის ფორმები ბრალის ხარისხს თავისებურად გამოხატავენ. პირდაპირი განზრახვა,

<sup>1</sup> И. Г. Филиановский, Социально-психологическое отношение субъекта к преступлению, ЛГУ, 1970, стр. 122.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 167.



რამდენადაც სუბიექტი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობასაც კი, უპასუხისმგებლობის, ანუ ბრალის უკიდურესად მაღალ ხარისხს გამოხატავს, თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ, მაგალითად, ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში სუბიექტი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, მაგრამ ამ მიმართებით ბრალის ხარისხი მაინც შედარებით დაბალია, რადგან ამ აფექტს განაპირობებს თვით მსხვერპლის მხრივ მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, მძიმე შეურაცხყოფა, ან სხვა მძიმე ამორალური ქმედება, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზის მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ქმედებით გამოწვეული ფსიქიკური ტრამვა (საქ. სსკ-ის III-ე მუხლი). ამდენად, საესეებით მართებული გახლდათ **მ. შპრამელიძის** ცდა, ბრალის ხარისხი ნების თავისუფლების პრობლემასთან დაეკავშირებინა. მისი მტკიცებით, „რაც უფრო მეტია გარემოებანი, რომლებიც ბოჭკვენ ადამიანის ნებას, რაც უფრო ძლიერია მათი გავლენა და ნაკლებია კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების შესაძლებლობა, მით უფრო ნაკლებია ბრალის ხარისხი, და, პირიქით, პასუხისმგებლობის ხარისხი შესაბამისად უნდა განიხაზღვროს.“<sup>1</sup>

ამრიგად, თუ სუბიექტს აქვს იმისი თავისუფლება, რომ გააკეთოს არჩევანი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პასუხისმგებლურ თუ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას შორის, მაშინ ბრალის უფრო გამოკვეთილი ხასიათი და მაღალი ხარისხი დავას არ იწვევს. მეორენაირად რომ ვთქვა, თუ ბრალი სხვა არაფერია, თუ არა მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, მაშინ ბრალის ხარისხი ამ უპასუხისმგებლობის ზომას უნდა ნიშნავდეს.<sup>2</sup> ცხადია,

<sup>1</sup> მ. უგრუბელიძე, ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალზაციისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1978, № 3, გვ. 48.

<sup>2</sup> გ. ნაჭვებია, ბრალის ხარისხის ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართალში, იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, 2009, № 2.

უპასუხისმგებლობის ეს ზომა ამ უპასუხისმგებლობის ხასიათით  
ანუ, ბრალის თვისებრივი ასპექტით განისაზღვრება. აქ კანონმდებ-  
ელს ფრიად სადაუო და მეტად აქტუალური საკითხი, რომელიც  
ბრალის ფორმების საკანონმდებლო განსაზღვრებებს შეეხება.  
კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და  
მე-10 მუხლებში ბრალის ფორმების განსაზღვრებისას კანონ-  
მდებელი ძირითადად მიმართავს მართლწინააღმდეგობის ცნებას,  
რადგან ქმედება და მისი შედეგი მართლსაწინააღმდეგოა. აქედან  
გამომდინარე, ბრალის ფორმების საკანონმდებლო განსაზღვრებში  
საქმე შეეხება ქმედებისა და მისი შედეგის მართლწინააღმდეგობის  
შეგნებას (განზრახვა, თვითმკვლელობა) ან მისი შეგნების შესაძ-  
ლებლობას (დაუდევრობა). მაგრამ მართლწინააღმდეგობას, რო-  
გორც დანაშაულის მეორე ელემენტს, მეტ-ნაკლებობის, ანუ,  
ზარისხის თვისება არა აქვს. არ შეიძლება ითქვას, რომ, მაგა-  
ლითად, მკვლელობა უფრო მეტადაა მართლსაწინააღმდეგო,  
ვიდრე ჯანმრთელობის დაზიანება. მაგრამ მაშინ გასაგებია, რომ  
ბრალის ფორმებში მართლწინააღმდეგობის შეგნებას ბრალის  
ზარისხის დაფუძნება არ შეუძლია. მართლწინააღმდეგობის მი-  
ხედვით შეუძლებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს, მაგალითად,  
ძარცვა ძალადობით, რომელიც არაა საშიში სიცოცხლისა და  
ჯანმრთელობისთვის (საქ. სსკ-ის 178-ე მუხლის შესამე ნაწილის  
„დ“ ქვეპუნქტი) და ყაჩაღობა, როგორც თავდასხმა სხვისი მოძრავი  
ნთვის მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისთვის ან  
ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის  
გამოყენების მუქარით (საქ. სსკ-ის 179-ე მუხლი).

გასაგებია, რომ არსებობს ქმედების საზოგადოებრივი საშიშ-  
როების განსხვავებული ზარისხი, თუმცა, ქმედების საზოგადოებ-  
რივი საშიშროების ხასიათზეც შეიძლება ლაპარაკი. საშუა-  
როდ, ბრალის ფორმების განსაზღვრებების დროს საქართველოს  
სისხლის სამართლის კოდექსში საზოგადოებრივი საშიშროების  
კრიტერიუმი ნახსენებაც არაა. დანაშაულის ცნების ამგარი წმინდა

ფორმალური განსაზღვრება მრავალ სიძნელეს შეიცავს, ხოლო, ამ პოზიციიდან ბრალის ხასიათისა და ხარისხის ცნებას მატერიალური საფუძველი არა აქვს. შეუძლებელია სუბიექტი არ აცნობიერებდეს დანაშაულებრივი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს და ამის შესაბამისად არ შეფასდეს სუბიექტის ბრალის ხასიათი და ხარისხი. ბრალი, როგორც ქმედების ელემენტი, ამ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისგან მოწყვეტილი არაა და ამიტომ, რომ, მაგალითად, დანაშაულთა კატეგორიზაციის დროს (საქ. სსკ-ის მე-12 მუხლი) ბრალის ფორმებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ მაგალითად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად მხოლოდ განზრახ ჩადენილი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს.

საქმე ისაა, რომ საზოგადოებრივი საშიშროება ქმედების საზოგადოებრივ მნიშვნელობას გამოხატავს. შეუძლებელია განზრახ და გაუფრთხილებელ დანაშაულს ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდეთ. უფრო მეტიც, შეუძლებელია ერთნაირი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდეთ მკვლელობას ანგარებით ან დაკვეთით და მკვლელობას, ვთქვათ, აუილებელი მოგიერიების ფარგლების გადაცილებით.

ბრალისა და ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების თანაფარდობის შესახებ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც. მაგალითად, ვ. პიტეცკი ფიქრობს, რომ ბრალის ხარისხი გულისხმობს ახდენს ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე და არა პირიქით.<sup>1</sup> დებულება სწორია, რადგან, როგორც ავტორი აღნიშნავს, მაგალითად, ზიანის განზრახ მიყენებაში ბრალის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ამ ზიანის გაუფრთხილებლობით გამოწვევისას და კანონმდებელი ამის მიხედვით ახდენს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და მისი დასჯადობის დიფერენციაციას. გამოდის, რომ ბრალის ხასიათი და ხარისხი

<sup>1</sup> В. Питецкий, К вопросу о степени вины в уголовном праве, „ Уголовное право, „ 2006, № 3, стр. 41.

გავლენას ახდენს საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხზე. მაგრამ თუ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება არის ამ ქმედების, როგორც რალაც მთლიანის, საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მაშინ, განა ამ მნიშვნელობას არ აცნობიერებს პირი მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე? და მაშინ სუბიექტის ბრალის ხარისხი ქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაცნობიერების ხარისხით (აგრეთვე სუბიექტის ნებელობის ხარისხით) არ განისაზღვრება?

ამკარაა, რომ ე. წ. „წინსწრებული ბრალის“ იდეა გვაძლევს აქ წამოჭრილი დილემის დაძლევის საშუალებას. **ჯერ ერთი**, სუბიექტი, რომელიც იღებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ჩადენის თაობაზე უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას, შეუძლებელია არ აცნობიერებდეს იმას, რომ, მაგალითად, ქურდობა უფრო ნაკლები საშიშროებით ხასიათდება, ვიდრე მკვლელობა ანგარებით ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ინტელექტუალური გაცნობიერება, ამ ქმედების ჩადენისა და მისი შედეგების სურვილის ხარისხთან ერთად, ქმნის ბრალის ხარისხის ცნებას. ბრალი, როგორც უკვე ჩადენილი ქმედების ელემენტი, თავისი ხასიათითა და ხარისხით, უკვე თვითონ განსაზღვრავს ამ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს. ამიტომაა, რომ განზრახვის ფორმით ჩადენილ ქმედებას, როგორც წესი, მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს, ვიდრე გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედებას. განზრახვა, თავის მხრით, ბრალის სხვადასხვა ხარისხს გამოხატავს (პირდაპირი განზრახვა ბრალის უკიდურესად მაღალ ხარისხს გამოხატავს, ვიდრე ვენტუალური განზრახვა. თვითიმედოვნება, თავის მხრით, ბრალის უფრო მაღალი ხარისხის მაჩვენებელია, ვიდრე დაუდევრობა, რომელიც ბრალის უკიდურესად დაბალ ხარისხს გამოხატავს. ცხადია, ბრალის ხასიათი და ხარისხი ნეკატური პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხის საფუძველია.

ბრალის ხასიათისა და ხარისხის ცნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკაშიც. კერძოდ, წინააღმდეგ ე. წ. ლიმიტირებული აქცესობის თეორიისა, რომლის თანახმად, დანაშაულში ყველა თანამონაწილის მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა, ხოლო, ბრალის, როგორც პერსონალური გაკიცხვის, სფეროში თანაბრალეულობა თითქოს შეუძლებელია, აღვნიშნავ, რომ, პირიქით, დანაშაულში ყველა თანამონაწილე ამავე დროს თანაბრალეულია. ჯერ ერთი, ბრალი, როგორც „პერსონალური გაკიცხვა“, ფრიად საეჭვოა, რადგან აქ ერთმანეთში ირფა ბრალი და ნეგატიური პასუხისმგებლობის მართლაც პერსონალური ხასიათი. მეორეს მხრე, ყველა თანამონაწილე პასუხს აგებს განზრახი ბრალით არა სხვისი ბრალისთვის, არამედ ერთიანი თანაბრალეულობის ფარგლებში საკუთარი ბრალის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად. წინდახედულობის ნორმისადმი დამოკიდებულების მკაცრად პერსონალური ხასიათის გამო „გაუფრთხილებელი თანაბრალეულობა“ შეუძლებელია, რაც თავის მხრე იმას ნიშნავს, რომ დანაშაულში გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა შეუძლებელია.

ამრიგად, ბრალის ხარისხი ბრალის, როგორც უპასუხისმგებლობის ზომას გამოხატავს, ხოლო, უპასუხისმგებლობის ეს ზომა განისაზღვრება, ერთის მხრე, პოზიტიური პასუხისმგებლობის შვენებული უარყოფით, ან უგულებელყოფით, რაც ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის შვენების, ან მისი შვენების შესაძლებლობის გარეშე შეუძლებელია. მეორეს მხრე, ბრალის ხასიათი და ხარისხი გავლენას ახდენს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხზე.



საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანამდევნი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშაულის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება.“

როგორც ამ დებულებიდან ჩანს, საქმე შეეხება ქმედების ერთ შემადგებლობაში ბრალის ორი ფორმის შესაძლებლობას. მართლაც, პრაქტიკაში იშვიათი არაა შემთხვევა, როდესაც სუბიექტის განზრახ ქმედებას მოჰყვება შედეგი, რომელიც ამ განზრახვით არაა მოცული, ხოლო ეს შედეგი, თავის მხრივ, სუბიექტის გაუფრთხილებლობას მიწერება, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ განზრახ ქმედების ეს თანამდევნი შედეგი „შემთხვევად,“ ანუ ბრალის გარეშე გამოწვეულად შეფასდეს.

გასაკებია, რომ დანაშაული ბრალის ორი ფორმით საკმაოდ რთულ პრობლემებს ქმნის. **ჯერ ერთი**, აქ საქმე ბრალის ცნებას ეხება. ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის პოზიციიდან ირკვევა, რომ, **განზრახვა და გაუფრთხილებლობა**, ერთის მხრივ, ბრალის სახეებია, თითქოს არსებობს განზრახი და გაუფრთხილებელი ბრალი; ამ პოზიციიდან ლოგიკურია ე. წ. „**შერეული ანუ ბრალის ორმაგი ფორმა**.“ მეორეს მხრივ, საქმე ეხება განზრახვას და გაუფრთხილებლობას, როგორც ბრალის გამოვლენის ფორმებს, როცა საქმე ეხება დანაშაულს ბრალის ორი ფორმით მაშასადამე, ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში საქმე ეხება ბრალის სახეებისა და ფორმების აღრევას. „**ბრალის სახე**“ მართლაც არსებობს. მაგალითად, არსებობს მორალური ბრალი, რომლისგან განსხვავდება სისხლისსამართლებრივი ბრალი. თუ მორალური ბრალი განზრახვის ფორმით ვლინდება, სისხლის სამართლებრივი ბრალი

გაუფრთხილებლობის გარეშე შეუძლებელია. მაშასადამე, ბრალის სახეებისა და ფორმების აღრევა დაუშვებელია. ბრალის ფორმების ცნება კი სავსებით კანონიურია და მაშინ, როგორც უკვე ითქვა, საქმე ეჭვა დანაშაულს ბრალის ორი ფორმით. ამ ვითარების ერთ-ერთ გაურცვლებულ საბუთად იმოწმებდნენ საქ. სსრ 1960 წლის სსკ-ის 110-ე მუხლის მეორე ნაწილს, რომლის თანახმად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით მოპყვებოდა მსხვერვის სიკვდილი.<sup>1</sup>

ანალოგიური ნორმაა გათვალისწინებული საქართველოს ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის მე-117 მუხლშიც. კერძოდ, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღწერილია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ყველა შესაძლო ვარიანტი, ხოლო, ამავე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია იგივე ქმედება, რომელმაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ასეთივე შემადგენლობა გათვალისწინებულია საქ. სსკ-ის 118-ე მუხლის მეორე ნაწილშიც (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელსაც მოპყვა მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა); 137-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (გაუპატიურება, როგორც განზახი ქმედება, რომელსაც გაუფრთხილებლობით მოპყვა მსხვერვის სიცოცხლის მოსპობა); თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელსაც გაუფრთხილებლობით მოპყვა დაზარალდებულის სიცოცხლის მოსპობა (საქ. სსკ 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტი) და სხვა.

ამრიგად, დანაშაული ბრალის ორი ფორმით ამჟამადაც აქტუალურ პრობლემებს აღძრავს. მაგრამ აქ მოკლედ გუემიორებთ, რომ, თუ განზრახვა არის პოზიტიური პასუხისმგებლობის შგნებული უარყოფა, გაუფრთხილებლობა მის უგულებელყოფას წარმოადგენს. ზემოთ დასახელებულ შემადგენლობათა ანალიზი

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. მ. უგრეხელიძის ფრიად საინტერესო სტატია: „შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში,“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე,“ ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 1.



გვარწმუნებს, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისას, აგრეთვე გაუპატიურებისას, თუ სხვა ანალოგიურ შემადგენლობებში, სუბიექტი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, როცა მსხვერლი, ასე ვთქვათ, სასიკვდილოდ გამეტებული არაა ანუ, როცა პირი მსხვერპლის სიკვდილის დადგომას არ ითვალისწინებს. ასეთ პირობებში ამკარაა, რომ მსხვერლის სიცოცხლის მოსპობა შესაძლებელია წინდახედულობის ნორმებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, თუმცა ეს შედეგი მაინც განზრახ აღძრული ქმდებათანაა დაკავშირებული.

ამკარაა, რომ დანაშაული ბრალის ორი ფორმით შეუძლებელია ვენტუალური (არაპირდაპირი) განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შერწყმით, რადგან, ვენტუალური განზრახვისას სუბიექტი არ გამორიცხავს, შეგნებულად უშვებს, გულგრილად ეკიდება ამ შედეგის დადგომას. ამ პოზიციიდან გასაგებია, რომ მსხვერპლის სიკვდილი, ვენტუალური განზრახვის პირობებში გამოწვეული, ფაქტობრივად დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა შეფასდეს და მაშინ საქმე შეეხება მკვლელობას ვენტუალური განზრახვით. მაშასადამე, დანაშაულში ბრალის ორი ფორმით ბრალის პირველადი სახით იგულისხმება პირდაპირი განზრახვა, როცა სუბიექტი, იმის მიუხედავად, რომ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის გარდუვალობასაც კი, ესე იგი, ჯანმრთელობის მძიმე, ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას, გამორიცხავს მსხვერლის სიკვდილის შესაძლებლობას.

რაც შეეხება პირდაპირ განზრახვასთან გაუფრთხილებლობის შერწყმას, — ამ მხრე უფრო ტიპურია დაუდევრობა, როცა სუბიექტი, წინდახედულობის ნორმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. მაგრამ არაა გამორიცხული თვითიმედოვნებაც, როცა სუბიექტი უპასუხისმგებლოდაა დარწმუნებული, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ დადგება, თუმცა ეს შედეგი გარდუვალია, ხოლო ამ გარდუვალობას სუბიექტი არ ითვალისწინებს.



ამკარაა, რომ დანაშაული ბრალის ორი ფორმით შეუთავსებელია ბრალის ე. წ. კომპლექსური ცნების იდეასთან, როცა განზრახვა და გაუფრთხილებლობა განიხილება არა როგორც ბრალის ფორმებად, არამედ ბრალის შემადგენელ ელემენტებად. ამ ლოგიკით კი განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც ერთიანი სისტემის ელემენტები, არსებობენ ერთდროულად და, მაშასადამე, დანაშაული ბრალის ორი ფორმით გამონაკლისი კი არაა, არამედ ზოგადი წესია, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.<sup>1</sup>

დასასრულ, ბრალის ორი ფორმის დროს ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება არა როგორც განზრახი და გაუფრთხილებელი დანაშაული, არამედ იგი საბოლოოდ განკუთვნება განზრახი დანაშაულის კატეგორიას, ხოლო გაუფრთხილებლობით გამოწვეული უფრო მძიმე შედეგი სასჯელის დანიშვნის დროს მიიღება მხედველობაში.

შეიძლება ბრალის ცნება სისხლის სამართალში შემდგნაირად ჩამოყვალაობით ბრალად ჩაითვლება სისხლის სამართლის ან წინდაზღუდობის ნორმით დადგენილი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოიხატება.

განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, არის სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებული უარყოფა, ხოლო, გაუფრთხილებლობა ამ პასუხისმგებლობის უგულვებელყოფით ვლინდება.

პირდაპირი განზრახვა ბრალის, როგორც უპასუხისმგებლობის, უკიდურესად მაღალ ფორმას გამოხატავს, რაკი ამ მიმართებით სუბიექტი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობასაც კი ითვალისწინებს, იმის მიუხედავად, სურს თუ არა მას ამ შედეგის დადგომა; უენტუალური განზრახვა უპასუხისმგებლო-

<sup>1</sup>მის შესახებ იხ. გ. ნაჭყებია, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, 2009, № 1.

ბის, ანუ ბრალის, უფრო დაბალი ხარისხის გამოვლენის ფორ-  
მაა, რაკი ამ მიმართებით სუბიექტი მართლსაწინააღმდეგო შე-  
დგვის დადგომას შესაძლებლობას ითვალისწინებს, ესე იგი, არ  
გამორიცხავს ამ შედეგს, თუმცა მისი დადგომა არ სურს, თუმცა  
მის დადგომას გუილგრილად ეკიდება.

თვითიმედოვნების დროს პირი ითვალისწინებს მართლსა-  
წინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ წინ-  
დახედულობის ნორმის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ თავის თავს  
ისე უპასუხისმგებლოდ არწმუნებს (აიძულებს) მისი ქმედების  
უსაფრთხოებაში, რომ ამ შედეგის დადგომის გარდუვალობას არ  
ითვალისწინებს.

დაუდევრობის დროს პირი წინდახედულობის ნორმის მოთხოვ-  
ნებს იმდენად უპასუხისმგებლოდ ეკიდება, რომ მართლსაწინა-  
აღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

## § 9. ღანაშაულის კატეგორიები

სიტყვა „კატეგორია“ ბერძნული ზმნიდან „კატეგორეო“ მომ-  
დინარეობს და ნიშნავს თქმას რაღაცის შესახებ. არისტოტელე  
პირველი იყო, ვინც შეეცადა კატეგორიების საშუალებით დაუბა-  
სიათებინა ფოფიურების ძირეული მხარეები და კატეგორია საგანგებო  
ბჭობის საგნად აქცია. კატეგორიათა მოძღვრების განვითარებაში  
განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს კანტმა, ჰეგელმა, ჰარტმანმა,  
ჰაიდგერმა. აქ მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს  
კატეგორიების ბუნების შესახებ ერთნაირი გაგება და კატეგორიათა  
სისტემა.<sup>1</sup> კატეგორიის, როგორც გვარებითი ცნების, საშუალებით  
შეიძლება დაუახასიათოთ საგნები, მოვლენები, მათი საერთო  
ნიშნების მიხედვით კატეგორია გამაერთიანებელი ბუნებისაა, რის

<sup>1</sup> იხ. ერქომაიშვილი ვ., ფილოსოფია (გადამუშავებული და შვესებული გა-  
მოცემა), თბ., გვ. 88-94.

გამოც, იგი აბსტრაქტულად არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულთა კატეგორი-  
ებად დაყოფაც ეპორჩილება კატეგორიისთვის დამახასიათებლ ბუნე-  
ბას. სწორედ ამიტომ, დანაშაულთა კატეგორიებად დაყოფა ნიშ-  
ნავს ცალკეულ დანაშაულთა დაჯგუფებას, გაერთიანებას საერთო  
ნიშნის საფუძველზე. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, დანაშაულის  
კლასიფიკაცია, ანუ კატეგორიზაცია ნიშნავს დანაშაულთა დაყო-  
ფას გარკვეულ ჯგუფებად, რომელიმე კრიტერიუმის მიხედვით.

ნებისმიერი დანაშაული მართლსაწინააღმდეგოა, თუცა მათი  
საშიშროების ხასიათი და ხარისხი ერთმანეთისგან არსებითად  
განსხვავდება. ამკარაა, რომ მკვლევობა უფრო მძიმეა, ვიდრე  
ქურდობა და ა.შ. ამის გამო, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში უმეტესი  
ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობებში აღგილი პქონდა  
დანაშაულთა კლასიფიკაციას. მაგალითად, საფრანგეთის სსკ-  
ში მოცემულია სამართალდარღვევათა სამწვერიანი დაყოფა: და-  
ნაშაული, გადაცდომა და დარღვევა; გერმანიის სსკ-ში მოცემულია  
სამართალდარღვევათა ორწვერიანი დაყოფა: დანაშაულებს მი-  
ეკუთვნება ქმედებები, რომლებისთვისაც დაწესებულია სასჯელის  
სახით არანაკლებ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა ან უფ-  
რო მძიმე სასჯელი, ხოლო გადაცდომად მიჩნეულია ისეთი  
მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის ჩადენისთვის სასჯელის  
სახით დაწესებული თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა  
ერთ წელზე ნაკლებია ან ფულადი ჯარიმაა დადგენილი. რუსეთის  
სსკ-ში მოცემულია დანაშაულის ოთხი კატეგორია: ნაკლებად მძიმე,  
საშუალო სიმძიმის, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები.

საქართველოს წინამორბედი საბჭოური სისხლის სამართლის  
კოდექსი იცნობდა დანაშაულის დაყოფას შემდეგ კატეგორიებად:  
განსაკუთრებით მძიმე, მძიმე, ნაკლებად მძიმე და დანაშაულები,  
რომლებიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას.

საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლის პირველ ნაწილში  
დანაშაულის სამი კატეგორიაა მოცემული: ნაკლებად მძიმე, მძიმე

და განსაკუთრებით მძიმე. აღნიშნულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ფორმალური ნიშანი: — თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა და ბრალის ფორმები.

ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას (სსკ-ის 12-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით (სსკ-ის 12-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა (სსკ-ის 12-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

ამა თუ იმ დანაშაულის რომელიმე კატეგორიისადმი მიკუთვნება დამოკიდებულია თვით ამ დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ სანქციაზე და არა მოსამართლის მიერ დანიშნული სასჯელის ვადაზე ან ზომაზე. მაგალითად, სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული დანაშაულისთვის დაწესებული სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან ექვს წლამდე. თუკი მოსამართლე აღნიშნული სანქციის ფარგლებში დანიშნავს თავისუფლების აღკვეთას ხუთი წლით, ჩადენილი დანაშაული მაინც მძიმე დანაშაულად ჩაითვლება, ვინაიდან აღნიშნული დანაშაულისთვის მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, დანაშაულთა კატეგორიებად დაყოფას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები:

**1) ქმედების დანაშაულად მიჩნევა.** ამგვარი სიტუციები წარმოიშობა სისხლის სამართლის კანონის სფეროში მოქმედების საკითხის გარკვევისას, როდესაც კანონმდებელი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ან კერძო ნაწილში აკეთებს შესაბამის დათქმებს რომელიმე კატეგორიის დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების მიზანშეუწონლობის გამო.

ქმედების დანაშაულად მიჩნევა, კატეგორიების მიხედვით, შესაძლებელია შემდეგი ვარიანტებით წარმოჩინდეს:

**ა) იურისდიქციის გავრცელების თვალსაზრისით.** სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული მოქალაქეობის პრინციპით, სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მოქალაქეზე, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც დანაშაულია ჩადენილი, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. მაშასადამე, ამ უკანასკნელ სიტუაციაში ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის საქართველოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება გამოირიცხულია.

ასევე გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დაცვის პრინციპით. კერძოდ, სსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საზღვარგარეთ დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სისხლის სამართლის კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული

მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ბ) დანაშაულის ჩადენის სტადიების თვალსაზრისით ცნობილია, რომ დანაშაულის მოშხადებისას სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საკმაოდ შორეული საფრთხე არსებობს, რის გამოც აბსოლუტურად ლოგიკურია ნაკლებად მძიმე დანაშაულის მოშხადებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამო-რიცხვა. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების მოშხადებისთვის. საგამონაკლისო შემთხვევებში კანონმდებელი სჯის ნაკლებად მძიმე დანაშაულთა მოშხადებასაც (იხ. სსკ-ის 18-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გ) დანაშაულად მიჩნეულ ქმედებათა შეზღუდვის თვალსაზრისით დანაშაულად მიჩნეულ ქმედებათა საშიშროებას კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულის კატეგორიებსაც უკავშირებს და დასჯადად მხოლოდ ამგვარ ქმედებებს აცხადებს. მაგალითად, სსკ-ის 376-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე ან/და მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის.

შესაძლებელია ქმედების დანაშაულად მიჩნევა დამოკიდებული არ იყოს დანაშაულის კატეგორიებზე, თუმცა დანაშაულის კატეგორიებზე მითითებამ დაამძიმოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ანუ შექმნას დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობა. მაგალითად, სსკ-ის 373-ე მუხლის (ცრუ დასმენა) მე-2 ნაწილის მიხედვით, ცრუ დასმენა კვალიფიციურ შემადგენლობას ქმნის მაშინაც, თუ მას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში. ასევე შეიძლება ითქვას სსკ-ის 146-ე მუხლის მე-2 ნაწილზეც, რომელიც ამძიმებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უდანაშაულო პირის განზრახ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემისთვის, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში.

3) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება ხშირად დანაშაულის კატეგორიებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ხანდაზნულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ვადები (სსკ-ის 71-ე მუხლი), ასევე სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება (სსკ-ის 72-ე მუხლი), უმეტესწილად, პირდაპირ უკავშირდება დანაშაულის კატეგორიებს და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია დანაშაულის კატეგორიების როლი არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების დროს (იხ. სსკ-ის 89<sup>1</sup>-ე, 90-ე მუხლები და სხვ.).

4) ნასამართლობის გაქარწყლება, უმეტესწილად, ასევე უკავშირდება დანაშაულის კატეგორიებს. მაგალითად, სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მძიმე დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლდება სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ.

5) დანაშაულის კატეგორიებს ყურადღება ექცევა ასევე პირობითი მსჯავრის გამოყენების ცალკეულ შემთხვევებში, ეს ლოგიკურიცაა, რადგან პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის შემოღების ძირითადი არსი სწორედ ისაა, რომ ნაკლები საშიშროების მქონე დანაშაულების მიმართ, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სასჯელის გარდა, სხვა უფრო ეფექტური და ნაკლებად რეპრესიული ღონისძიებები გამოიყენოს (იხ. 59-ე და 63-ე მუხლები).

6) დანაშაულის კატეგორიები გავლენას ახდენს უკიდურეს თავისუფლების სახით სასჯელის დანიშვნაზე. სსკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკიდურეს თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის.

დანაშაულის კლასიფიკაცია შეიძლება ასევე ხელყოფის გვარობითი და სახეობითი ანუ ქვეგვარობითი ობიექტის მიხედვით

მაგალითად, სსკ-ის კერძო ნაწილი კარებად და თავებად დაყოფილია სწორედ ამ ნიშნის მიხედვით.

დანაშაულთა კლასიფიკაცია ხდება არა მარტო სისხლის სამართლის, არამედ კრიმინალისტიკური ციკლის სხვა მეცნიერებებშიც. ესენია: კრიმინოლოგია, სასჯელაღსრულებითი სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერება და კრიმინალისტიკა. ყოველ მათგანს დანაშაულთა საკლასიფიკაციო კრიტერიუმად აღებული აქვს მათი მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მიხედვით.

დანაშაულის კატეგორიებს დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელაღსრულებით სამართლშიც. მაგალითად, მსჯავრდებულმა ნახვერად ღია ტიპის თუ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა მოიხადოს სასჯელი, როგორც წესი, დანაშაულის კატეგორიების მიხედვით განისაზღვრება. პატიმრობის კოდექსი განასხვავებს დანაშაულებს ერთმანეთისგან იმისდა მიხედვით, თუ ვის მიერაა ჩადენილი დანაშაული: კერძოდ, მამაკაცთა მიერ, ქალების, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული და ა.შ. ამგვარი დაყოფაც გაუღენას ახდენს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შერჩევაზეც (დაწერილებით იხ. პატიმრობის კოდექსი).

დანაშაულის კლასიფიკაცია კრიმინოლოგიაში წარმოებს იმ ნიშნით, რომელიც მოწმობს პიროვნების ანტიისოციალურ მიმართულებას, სიღრმავესა და სიმყარეს დანაშაულებრივი ხელყოფის მექანიზმისა და საშუალების შესახებ. ამ თვალსაზრისით, განასხვავებენ, მაგალითად, არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის დანაშაულობას, რეციდიულ დანაშაულობას, ძალადობით დანაშაულობას, ქალთა დანაშაულობას და ა.შ.

სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულთა კატეგორიზაცია წარმოებს ისეთი ნიშნებით როგორცაა: მაგალითად, საგამოძიებო ქვედებარეობა და ტერიტორიული საგამოძიებო ქვედებარეობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე



და 36-ე მუხლების მიხედვით, საგამოძიებო ქვემდებარეობას და ტერიტორიულ საგამოძიებო ქვემდებარეობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 29 სექტემბრის №178 ბრძანება სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე. ამ ბრძანების მიხედვით, საგამოძიებო ორგანობისთვის განსაზღვრულია ის დანაშაულები, რომელიც მათი საგამოძიებო კომპეტენციაში შედის.

სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულ დანაშაულთა კატეგორიები, ზოგჯერ, გავლენას ახდენს სასამართლოს შემადგენლობის წევრთა რაოდენობაზეც. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განაჩენებსა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო საჩივარი შესაძლებელია სააპელაციო წესით ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ.

დასასრულ, კრიმინალისტიკაში დანაშაულთა კლასიფიკაცია ხორციელდება დანაშაულთა გამოძიების მეთოდისა და ტაქტიკის თავისებურებებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

§ 1. იურიდიული პირის პასუხისმგებლობის  
მეთოდოლოგიური საკითხები

იურიდიული პირის ცნება, ნიშნები და პასუხისმგებლობა ტრადიციული იყო და რჩება ასეთად სამოქალაქო სამართალში, თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში დროდადრო დგებოდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკა. საბჭოურ სისხლის სამართალში დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა მხოლოდ ფიზიკურ პირს ეკისრებოდა, ხოლო იურიდიული პირი ამ მხრე მხედველობაში არ იყო მიღებული. ასეთივე ვითარება იყო პოსტსაბჭოურ სივრცეშიც, მათ შორის, საქართველოშიც, მაგრამ ვითარება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველოში 2006 წლის 25 თებლის კანონით დაწესდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ზუსტად ჩამოთვლილი ზოგიერთი განზრახი დანაშაულისთვის. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული არაა, თუმცა ამ ქვეყნის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ამ საკითხზე დისკუსია დღემდე გრძელდება. მაგალითად, ცნობილი რუსი კრიმინალისტი ნ. ტაგანცვი გამოდიოდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ იურიდიული პირი, მაგალითად, გაუპატიურებას ვერ ჩაიდენს და რომ იურიდიულ პირს ციხეში ვერ ჩასვამ.<sup>1</sup> თითქმის ასეთივე არგუმენტი

<sup>1</sup> Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Общая часть, т. 1. Тула, 2001, стр. 308-309.

გამოყენებული იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იდეის წინააღმდეგ სადღეისოდაც. მაგალითად, **ბ. ბოგუში** კატეგორიულად არ ეთანხმება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იდეას და ცდილობს გააბათილოს ამ მხრივ ვეველა შესაძლო არგუმენტი. ავტორის აზრით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი პერსონალური გასაკიცხობა იურიდიული პირის მიმართ არ მოქმედებს. ასევე უადგილოა, ავტორის აზრით, იურიდიული პირის დასჯა სისხლისსამართლებრივი წესით და სხვა.<sup>1</sup>

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დიდი ხანია დაწესებულია დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში რიგი სამეწარმეო საქმიანობის დადგენილი წესის დარღვევისთვის, მონოპოლისტური საქმიანობისთვის, რომელიც არღვევს თავისუფალი კონკურენციის პირობებს და ამ გზით ზღვოფს მოქალაქეთა ინტერესებს. იურიდიული პირის, როგორც კორპორაციის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია საფრანგეთის 1992 წლის სისხლის სამართლის კოდექსშიც.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება ადვილი საქმე არაა. ამ მიმართებით ლიტერატურაში მომარჯვებულია არაერთი არგუმენტი. მაგალითად, ის, რომ სისხლის სამართალში პასუხისმგებლობა პირადი ხასიათისაა, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი ბრალი ვერ საბუთდება და რომ იურიდიულ პირს ციხეში ვერ ჩასვამ (ანდა სხვა ცნობილ სახელმწიფო იძულების ზომებს იურიდიულ პირს თითქოს ვერ შეუფარდებ). მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით საქმის ვითარებას, მით უფრო, სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დაუდგებით, დასმული პრობლემა, გარკვეულ ფარლებში, შეიძლება მოგვარდეს კიდევ. მართლაც, სისხლისსამართლებრივი

<sup>1</sup> Г. И. Богуш, К вопросу об уголовной ответственности юридических лиц, Вестник МГУ, Серия Право, 2005, № 4.

პასუხისმგებლობა პირადი და პერსონალურია. მაგრამ ეს არგუმენტი არსებითად უსუსურია, რადგან, როგორც სწორად აღნიშნავენ ა. ნიკიფოროვი, განა რომელიმე იურიდიული პირი არაა პერსონალური, მისი საკუთარი სახის მქონე, საკუთარი საქმიანობით, პირადი პასუხისმგებლობით? მართლაც, მერე რა, რომ სასჯელი დანაშაულის ჩამდენ პირს ეკისრება? მთავარი, ჩემი აზრით, არის იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი ბრალის დასაბუთება, ხოლო ის არგუმენტი, რომ იურიდიულ პირს, როგორც კორპორაციული ხასიათის ორგანიზაციულ წარმონაქმნს, „ციხეში ვერ ჩასვამ“, კიდევ უფრო უსუსურია და ლოგიკურად იმის მტკიცებას უტოლდება, რომ სისხლის სამართალში თითქოს მხოლოდ ერთადერთი სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა არსებობს.

ვიდრე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ვისაუბრებდეთ, თავდაპირველად ყურადღება მივაქციოთ იურიდიული პირის ცნებას სამოქალაქო სამართალში. კერძოდ, იურიდიული პირის ცნება და ნიშნები გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (იხ. მეორე კარი). ამ კოდექსის 24-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნია, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და სასამართლოში გამოდის მოსარჩელედ ან მოპასუხედ.

როგორც ჩანს, იურიდიული პირი სამოქალაქო სამართალში ხასიათდება მთელი რიგი ნიშნებით. მაგრამ საქმე ისაა, რომ იურიდიული პირის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებაც არ ყოფილა უპრობლემო და ამიტომაც, რომ იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ არაერთი თეორია

<sup>1</sup> А. С. Никифоров, Юридическое лицо как субъект преступления и уголовной ответственности, М. 2002, стр. 8.

არსებობს. მართლაც, თუ სამოქალაქო სამართალში დასაბუთდა იურიდიული პირის ქმედების, მაგალითად, მართლწინააღმდეგობა, მაშინ რატომ არ შეიძლება ამ მხრივ იურიდიულმა პირმა დაარღვიოს სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა?

ვიდრე ამ საკითხებზე უფრო კონკრეტულად ვისაუბრებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია იურიდიული პირის შექმნის თეორიების მოკლე ანალიზი. ერთ-ერთი ასეთი თეორია არის ე. წ. ფიქციის თეორია. ამ თეორიის თანახმად, იურიდიული პირი არის ფიქცია, ესე იგი, არარეალური, ხელოვნური გამონაგონი, თითქოს ისიც „პირია“, სამართლის სუბიექტია, პასუხისმგებელია და ასე შემდეგ. მეორენაირად, ამ თეორიის თანახმად, ფიქციური აქ ისაა, რომ ფიზიკური პირის თვისებები ხელოვნურადაა გადატანილი კორპორაციული ტიპის ორგანიზაციულ წარმონაქმნზე და იგი ამიტომ ცხადდება პირად, მაშინ, როცა, ამ თეორიის თანახმად, რეალურად მოქმედებს მხოლოდ ფიზიკური პირი, თუმცა, ორგანიზაცია-დაწესებულების ფორმის გამოყენებით უფრო დაზუსტებით, იურიდიული პირის პრობლემატიკაში ფიქციის ორნაირი თეორია შეიძლება დავასახელოთ ერთი, როცა ფიზიკური პირის თვისებები ხელოვნურად გადააქვთ იურიდიულ პირად წოდებულ ორგანიზაციულ წარმონაქმნზე, და, მეორე, როცა თვით იურიდიული პირის რეალობაშიც ეპარებათ ეჭვი.<sup>1</sup>

ცნობილია, რომ ტერმინი „ფიქცია“ ნორმატივიზმში ნიშნავს ხელოვნურს, გამონაგონს, არარსებულს. მაგალითად, ჩვენ უკვე მქონდა მსჯელობა პ. კლზენის შესახებ, როცა მან ნებისყოფის ფსიქოლოგიური ცნების გვერდით შექმნა ნებისყოფის იურიდიული ცნება. ეს უკანასკნელი არის ფიქცია, რადგან ნებისყოფის იურიდიული ცნება შეუძლებელია. მაგრამ ტერმინი „ფიქცია“ მხოლოდ ერთი და ისიც უარყოფითი აზრით არ გამოიყენება. არსებობს სამართლებრივი მოწესრიგების არაერთი ხერხი, მათ

<sup>1</sup> ლ. ჯანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 207-212.

შორის — ფიქცია, როცა საქმე ქება ფაქტობრივად არსებულიდან ისეთ გადახრას, რომელსაც ფიქციის ფორმა მაგრამ შინაარსობრივად გარკვეული საზრისის მქონეა და ამიტომ ხდება აუცილებელი მისი გამოყენება. მაგალითად, სამოქალაქო სამართალში გარკვეული საფუძვლების არსებობისას გარდაცვლილად ცხადდება პირი, რომელიც, შესაძლოა, ცოცხალია კიდევ. სისხლის სამართალში ე. წ. შუალობითი ამსრულებლობისას ის, ვინც ფაქტობრივად წამქეზებელია, იურიდიულად ამსრულებელია, თითქოს დანაშაულებრივი ქმდება მან საკუთარი ხელებით ჩაიდინა. სინამდვილეში კი ფაქტობრივად ამსრულებელი შეურაცხადია და მისი მოქმედებისათვის პასუხს არ აგებს.

ერთი სიტყვით, „ფიქცია“ ყოველთვის არ ნიშნავს ფაქტობრივის ინამდვილიდან უაზრო გადახრას; ის ზოგჯერ პრაქტიკული საზრისის მქონეა და ამიტომ არაერთი უაზრობა იმაში არაა, რომ ფიზიკური პირის თვისების მოდელური გადატანა იურიდიულ პირზე ფიქციური მეთოდის გამოყენებად შეფასდეს. სხვა საკითხია, თუ ამ მიმართებით ფიქცია ერთგვარი გადაძალაძეობაა და ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო რთული და მრავალფეროვანია, ვიდრე სახელმწიფოსა და ფიზიკური პირის ურთიერთობა, ან ურთიერთობა თვით ფიზიკურ პირებს შორის. მაგალითად, მკვლელობა მკვლელისა და მსხვერპლის გარკვეულ ურთიერთობას გულისხმობს, მაგრამ აქ იგულისხმება ფაქტობრივი და არა იურიდიული ურთიერთობა. ზუსტად ასევე ხდება ადამიანთა საქმიანობის მოწესრიგება იურიდიული პირების ორგანიზაციულ-კორპორაციულ ფორმაში, რაც, თავის მხრივ, სრულიად რეალური წარმონაქმნია და არა ფიქცია. ამიტომაც იყო, რომ იურიდიული პირების შესახებ თეორიებში ცნობილია ე.წ. რეალური თეორია, მაგრამ ამჯერად ყურადღებას გაუამხვილებთ რამდენიმე სხვა მეთოდოლოგიურ საკითხზე, რომელიც იურიდიული პირის პასუხისმგებლობის პრობლემაზე მსჯელობას გაგვიადვილებს. ჯერ ერთი, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ

ტერმინი „სამართლის სუბიექტი,“ და „სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი.“ მართლაც, სამართლის სუბიექტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის თანახმად, შეიძლება იყოს ჯერაც დაუბადებელი ბავშვიც, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი ვერ იქნება. მეორეც, სამართლებრივი ურთიერთობა არის სამართლის ნორმის, როგორც ჯერარსის, და მართლწესრიგის, როგორც არსის, კავშირის ფორმა. მაშასადამე, იურიდიული პირი უბრალოდ „სამართლის სუბიექტი“ კი არაა მხოლოდ, არამედ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია. შესამეც, რაკი სამართლებრივი ურთიერთობა არის პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიული ფორმა, იურიდიული პირი პასუხისმგებელია გარკვეული საქმიანობისთვის, ესე იგი, მოწოდებულია თავის მოვალეობას მოეკიდოს პასუხისმგებლურად. ეს იმას ადასტურებს, რომ იურიდიული პირი, ისევე, როგორც ფიზიკური პირი, დანიშნულია გარკვეული პასუხისმგებლობისთვის, უპირველეს ყოვლისა, პოზიტიური ასპექტით, ხოლო, აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს დასკვნა, რომ იურიდიულ პირს, რაკი პოზიტიური პასუხისმგებლობა ვკისრება, შეიძლება დაეკისროს ნეგატიური პასუხისმგებლობაც მისი უპასუხისმგებლო ქმედებისთვის. ამ თვალსაზრისით ფრიად ნიშანდობლივად გვეჩვენება **ვლენტინარის** დებულება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობს საზოგადოება თანამედროვე ადამიანის მწმუნელოვანი აღმოჩენაა.<sup>1</sup> ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ იურიდიული პირი, როგორც გარკვეული საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სწორედაც რომ პასუხისმგებლობის სუბიექტად შეიქნა? გასაგებია, რომ იურიდიული პირი, როგორც გარკვეული საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, როგორც ასეთი კი არ მოქმედებს, არამედ ამ ფორმის შიგნით მოქმედებენ ფიზიკური პირები, რომლებიც

<sup>1</sup> ციტირებულია ო. იოფეს ნაშრომის მიხედვით O. C. Иоффе, Гражданское право, Избр. труды, МГУ, 2003, стр. 132.

იურიდიულ პირზე დაკისრებულ ამოცანებს ასრულებენ. არსებობს იურიდიული პირის დამფუძნებელი დოკუმენტი (დებულება თუ წესდება). რომლის ფარგლებში მოქმედებს ფიზიკური პირი ამ იურიდიული პირის სახელით, მის ინტერესებში, მისივე სასარგებლოდ. ეს კი, ცხადია, იურიდიული პირის საქმიანობის სამართლებრივ ზღვარზე მიუთითებს. გასაკებია, რომ ისეთი ქმედება, რომელიც სცილდება იურიდიული პირის საქმიანობის მომწესრიგებელ დოკუმენტებს, იურიდიული პირის ქმედებად არ შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა და სხვა ანალოგიური დანაშაულებრივი ქმედება იურიდიულ პირს არ შეიძლება მიეწეროს, რადგან, იურიდიული პირის საქმიანობის წესი ამ ტიპის ქმედებას იმთავითვე გამორიცხავს.

ამრიგად, ამჟამად, რომ იურიდიული პირი არის გარკვეული კოლექტიური საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელიც მთელი რიგი ნიშნებით ხასიათდება. **ჯერ ერთი**, იურიდიული პირი არის ფიზიკურ პირთა გარკვეული გაერთიანება, რომელიც საქმიანობის სპეციფიკურ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს. **მეორეც**, იურიდიული პირი გამოცალკევებულია მისი წევრებისგან, მაგრამ მაინც ერთი, გარკვეული მიმართულების, საქმიანობის ფორმად ვალიდდება. ამიტომაც, რომ არსებობს იურიდიული პირის კლასიფიკაცია, მაგრამ ამჯერად მე იმის თქმა მინდა, რომ დანაშაულის ჩადენა, როგორც წესი, მიეწერება კერძო სამართლის იურიდიულ პირს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაშვებული დარღვევების სახით, თუმცა არაა გამორიცხული დანაშაულის ჩადენა ოფიციალური წესით რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიის მიერაც (მაგალითად, დააფინანსოს ტერორიზმი, დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ და სხვა). **მესამე**, იურიდიული პირი მისი წევრების შეცლაზე, როგორც წესი, დამოკიდებული არაა (მით უფრო იურიდიული პირის ორგანოდ წოდებული მმართველი ბირთვის კონკურსის თუ არჩევნების წესით ცვლაზე). ეს ნიშნავს, რომ იურიდიული პირი



საქმიანობის შეფარდებით მყარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა, რომელიც პასუხისმგებელია მისი დამფუძნებელი კუმენტებით დადგენილი საქმიანობისთვის.

## § 2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხვებში<sup>1</sup> კარში, ხოლო 107<sup>1</sup> მუხლში გადმოცემულია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მთელი რიგი საერთაშორისო (გაეროსა და ევოსაბჭოს) კონვენციები, რომლებშიც მონაწილე სახელმწიფოს უძღვეა რეკომენდაცია, ეროვნული კანონმდებლობა ამ კონვენციებთან შესაბამისობაში მოიყვანოს. ეს ქება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების პრობლემადაც.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 107<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ: 1. ქმედება, რომლისთვისაც იურიდიული პირია პასუხისმგებელი, გათვალისწინებულია ამ კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებში (მაგალითად, უკანონო სამქარამეო საქმიანობა - 193-ე მუხლი). მეორეც, ქმედება, რომელიც დანაშაულად ფასდება, ჩადენილია იურიდიული პირის სახელით, ან მისი მეშვეობით, ანუ გამოყენებით, ან მის სასარგებლოდ. ცხადია, ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ

<sup>1</sup> ამის შესახებ უფრო დეტალურებით იხილეთ ა. ოზანაშვილი, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, 2009, № 2, გვ. 184-185.

იმდენად, რამდენადაც არსებობს იურიდიული პირის დებულება, ან წესდება, რომელშიც გათვალისწინებულია ამა თუ იმ იურიდიული პირის საქმიანობის წესი, მიზნები და ამოცანები. ამ პირობებისა და ფარგლების გარეშე იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გამოყენება, ან მისი სახელით თუ სასარგებლოდ მოქმედება შეუძლებელი იქნებოდა. **მესამეც**, თუ ვკვლავფერი ეს ჩადენილია იურიდიული პირის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

ამრიგად, აშკარაა, რომ ფაქტობრივად და იურიდიულად მოქმედებს იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში მოსაქმე ფიზიკური პირი (და არა ეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, როგორც ასეთი), რომელიც იურიდიული პირის საწესდებო ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი. ეს აზრი კიდევ უფრო ნათლადაა გამოხატული საქ. სსკ-ის 107<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილში, რომელშიც უკვე განმარტებულია, თუ, სახელდობრ, ვინ არის იურიდიული პირის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი. ესაა იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, მის წარმომადგენლობაზე, აგრეთვე მისი სახელით გადაწვევტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, ან იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტოლო-სარევიზიო ორგანოს წევრი.

გასაკებია, რომ აქ დასახელებული ფიზიკური პირები, რომელნიც უფლებამოსილი არიან ფოველზე ეს აკეთონ, ცხადია, ერთის მხრეც, შეადგენენ იურიდიული პირის მართვის ორგანოებს, ხოლო, მეორეს მხრეც, იგულისხმება მათი საქმიანობის კონკრეტულ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომლის ფარგლებში ისინი მოქმედებენ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „იურიდიული პირის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის“ ცნებაში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, პირი, რომელსაც ეკისრება პოზიტიური პასუხისმგებლობა იურიდიული პირის საქმიანობისთვის, ესე იგი, ის, ვინც მოწოდებულია შესაბამისი

იურიდიული პირის მართვა-გამგეობას, მის საქმიანობას მონაწილეობის უფლებას უზღვევს. ამასთანავე უზრუნველყოფს მისი საქმიანობის გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობას. აქედან გამომდინარე, არაა გამართლებადი ის მოსაზრება, რომ იურიდიული პირის მართვა-გამგეობის სფეროში პასუხისმგებელმა პირმა კონკრეტულ შემთხვევაში დაუშვას უპასუხისმგებლობა და ჩაიდინოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. თუ ტერმინი „უპასუხისმგებელ“ შეიძლება „ბრალულის“ სინონიმად მოგვევლინოს, მაშინ იურიდიული პირის მართვის ორგანოებში მოსაქმე ფიზიკურმა პირმა შეიძლება იმოქმედოს ბრალულად.

ამრიგად, ამკარაა, რომ ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, რომლის თანახმად, ბრალი არის ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, მით უფრო გამოუსადეგარია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის. მით უმეტეს, რომ იურიდიული პირის საქმიანობაში საქმე ეხება არა ფსიქოლოგიის სფეროს, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნებას. იმის მიუხედავად, რომ არსებობს იურიდიული პირის დაფუძნება-დანიშნულების შესახებ აერაერთი თეორია, ერთი კი მაინც ცხადია: საზოგადოების, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის შესახებ ადრინდელი ტრადიციული შეხედულება იმდენად აბსტრაქტული და უსიცოცხლო გახლდათ, რომ იგი სადღეისოდ ანაქრონიზმად გამოიყურება. ვკულისხმობთ იმ გარემოებას, რომ საზოგადოება, თუნდაც სტრუქტურული თვალსაზრისით, მრავალფეროვანია. არსებობს ადამიანთა საქმიანობის მრავალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელიც უფრო ეფექტურად ემსახურება როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფოს თუ პიროვნების ინტერესებს. გასაკებია, რომ იურიდიული პირის საქმიანობა უაღრესად სასარგებლოა, თუნდაც სამწარმოო საქმიანობის სფეროში (მაგალითად, მწარმოეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად). იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, კერძო სამართლის იურიდიული პირი,

რომელმაც შეიძლება პასუხი აგოს სისხლისსამართლებრივი წესითაც. საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მთელი რიგი ნორმა ითვალისწინებს იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც მთელი რიგი სამქარაშეო საქმიანობის თანმხლები დანაშაულებრივი ქმედებისთვის. მაგალითად, კომერციულ მოსყიდვას (საქ. სსკ-ის 221-ე მუხლი), როგორც წესი, სჩადის ფიზიკური პირი, მაგრამ თუ ეს ქმედება ჩაიდინა იურიდიულმა პირმაც, მას ამ ქმედებისთვის შეიძლება შეეფარდოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ლიკვიდაცია ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ჯარიმა.

ამრიგად, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ ადამიანთა საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას ფიქციური წესით მიეწეროს ფიზიკური პირის თვისებები. საქმე ეხება გარკვეული ფიზიკური პირების საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შიგნით მოსაქმე ფიზიკური პირი, რომელიც პასუხისმგებელია იურიდიული პირის საქმიანობისთვის, შეიძლება მოიქცეს უპასუხისმგებლოდ ანუ ბრალეულად არა მარტო წმინდა სამქარაშეო საქმიანობის სფეროში, არამედ სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ ქმედების სფეროშიც. ამასთან, როგორც უკვე ითქვა, ყველა ის ქმედება, რომელიც იურიდიულ პირს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ეკრძალება, ზუსტადაა ჩამოთვლილი ამ კოდექსით. გარდა ამისა, ყველა ეს ქმედება ზორციელდება ბრალის განზრახი ფორმით. ცხადია, არაა გამორცხული იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმე ფიზიკური პირის განზრახ ქმედებას გაუფრთხილებლობით მოჰყვებს უფრო მძიმე შედეგი (მაგალითად, იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმე მოსამსახურის გულგრილობა), მაგრამ ამ მიმართებით პასუხისმგებელია მხოლოდ ფიზიკური პირი.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებ-

ლობის პრობლემა ასე ცალსახად პოზიტიური არაა. იგი უსამართლობის ზოგიერთ მომენტს უეჭველად შეიცავს. მაგალითად, იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში მოსაქმე ჩვეულებრივ, რიგით, წვერებს, როგორც წესი, წარმოდგენა არა აქვთ იურიდიული პირის მართვის ორგანოებში მოკალათებულ პირთა კრიმინალურ საქმიანობაზე. თუ იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერება, ან სულაც მისი ლიკვიდაცია მოხდება, მაშინ გასაგებია, თუ რა უსამართლოდ ისჯებიან ეს უბრალო ადამიანები (სხვას რომ თავი დაუენებოთ, კარგავენ სამუშაოს). მაგრამ, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი წესით დაუსჯელობას, როგორც ჩანს, უფრო მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ იურიდიულ პირს, ზემოთდასახელებულ პირობებში, ესე იგი, როცა დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გამოყენებით, ან მის სასარგებლოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იმის მიუხედავად, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი.

გარდა ამისა, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც კი, როცა იურიდიული პირის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელმაც დანაშაული იურიდიული პირის ფორმაში ჩაიდინა, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამოირიცხავს იმავე დანაშალისთვის ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ცხადია, აქ გამოირიცხულია ფიზიკური და იურიდიული პირის თანამონაწილეობა დანაშაულში, რადგან დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას იყენებს. მაგრამ, მეორეს მხრივ,

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას მის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის უპასუხისმგებლობის გამო ეკისრება, არ გამოირიცხავს ამ ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც. მაგალითად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის (ფულის გათუთრებისთვის საქ. სსკ 192-ე მუხლი) იურიდიული პირის მიმართ გამოიყენება ლიკვიდაცია, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ჯარიმა, ხოლო ფიზიკურ პირს იგივე ქმედებისთვის, თუ ის იურიდიული პირის ფორმაშია ჩადენილი, შეიძლება დაეკისროს სხვა ჩვეულებრივი სასჯელი, რა თქმა უნდა, ჩადენილის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.

იურიდიული პირის ფორმაში ჩადენილი დანაშაულის გამო იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს მას დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისგან ან სხვა სახის პასუხისმგებლობისგან. ბოლოს, თუ დადგინდა, რომ ფიზიკურმა პირმა იურიდიული პირის ფორმაში ჩაიდინა ქმედება ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის ან სუბიექტის ბრალის გამომრიცხავ გარემოებებში, მაშინ იურიდიული პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

ცხადია, არაა გამორიცხული დანაშაულში იურიდიული პირების თანამონაწილეობაც, ხოლო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში დანაშაულში თანამონაწილეობისთვის დადგენილი წესით გადაწყდება, ცხადია, იურიდიული პირის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასჯელის სახით იურიდიულ პირს შეიძლება შეეფარდოს: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (ძირითადი სასჯელების სახით), ჯარიმა, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით, ხოლო ქონების ჩამორთმევა — მხოლოდ დამატებით სასჯელად.



3. 200

04/996

განცხადება

**ბურამ ნაჭყებია**

**სისხლის სამართალი  
მრავალი ნაწილი**

**(სახელმძღვანელო)**

31.19

საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

დირექტორი — ზაურ ნაჭყებია

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: სოფო ქილიფთარი  
ნონა ჯღარკაუა

კორექტორები: გვანცა შანაუა, ქეთინო წახნაკია

K282.638

4611369-1  
2003-00000000